India is the first country for surrogacy, even if there is not a law that regulates it. Exact numbers are not known, but the One for rights of women publicly denounced the conditions of subordinations of the surrogates, even against their husbands, that usually agree with the surrogacy of their wives in order to get money for their family.

But also Guatemala, Thailand, and some Eastern European countries are now the so-called hub of surrogacy for the increasing requests from all over the world.

Unfortunately, stories of exploitation and poverty are common and are increasing, when we look inside the world of surrogacy.

Recognition of unions and gay marriage is contributing to the spread of this practice: for male gay couples, to have children genetically linked to one of them it is possible only with stepchild adoption or with surrogacy. There is an increasing number of agencies – usually international ones – specifically dedicates to surrogacy of male gay couples.

The final problem now is that of "establishment and contestation of legal parentage" in an international, so fragmented framework.

Who are the parents, the "real" parents in the "brave new world" – the reference is to the novel of Huxley - when the natural links no longer have any importance? It is really possible to establish it on a contractual basis? Is there anyone who is interested into the rights of these babies?

## ДИВНЫЙ НОВЫЙ МИР

*Ассунтина Морреси*
*Ассоциированный профессор по физической химии*
*Департамент химии, биологии и биотехнологии*

По приблизительным подсчетам, со времени рождения Луиса Брауна – первого ребенка из пробирки, появившегося на свет в июле 1978 года - 5 миллионов человек родились с использованием Вспомогательной репродуктивной технологии (ВРТ). Это явление стало настоящим началом антропологической революции. С того времени женщинам открылась возможность рожать детей без какой-либо генетической связи с ними. Теперь, впервые в истории человечества, появилась возможность иметь даже трех матерей – двух генетических, и одну т.н. гестативную суррогатную мать. В общем числе, количество родителей, участвующих в «производстве» ребенка может достигать шести человек. Еще выше число людей, вовлеченных в т.н. «репродуктивное сотрудничество». Однако человеческие отношения между ними слабы: единственное, что их связывает, это контракт, включающий в себя экономические транзакции между людьми, продающими части своего тела, и покупающими их с целью получить финальный «продукт»: ребенка. Суррогация и т.н. донация гамет являются существенной частью картины. Мы хотим исследовать эти вопросы, что бы лучше понять развивающийся вокруг нас технологичный мир.

რეზიუმე:

სინჯარიდან გაჩენილი პირველი ბავშვის ლუის ბრაუნის დაბადებიდან 1978 წლის ივლისში სავარაუდოდ კიდევ 5 მილიონი ადამიანი გაჩნდა დამხმარე რეპროდუქტიული ტექნოლოგიის (დრტ) მეშვეობით. ეს მოვლენა ანთროპოლოგიური რევოლუციის ნამდვილ დასაწყისად იქცა. იმ დროიდან მოყოლებული, ქალებს საშუალება მიეცათ გააჩინონ ბავშვები მათთან ყოველგვარი გენეტიკური კავშირის გარეშე. პირველად კაცობრიობის ისტორიაში სამი დედის ყოლის საშუალება გაჩნდა: ორი გენეტიკური და ერთიც გესტატიურ სუროგატული დედა. საერთო ჯამში, ბავშვის „წარმოებაში" მონაწილე მშობლების რაოდენობამ შეიძლება ექვსსაც მიაღწიოს. კიდევ უფრო მაღალია ე.წ. „რეპროდუქტიულ თანამშრომლობაში" მონაწილე ადამინების რიცხვი. თუმცა მათ შორის ადამიანური კავშირი სუსტია: ერთადერთი, რაც მათ აკავშირებთ, არის კონტრაქტი, რომელიც ეკონომიკურ ტრანზაქციებს შეიცავს ადამიანებს შორის: ერთნი ყიდიან თავისი სხეულის ნაწილებს, მეორენი კი ყიდულობენ მათ, რათა მიიღონ საბოლოო „პროდუქტი": ბავშვი. სუროგაცია და ე.წ. გამეტების დონაცია ამ სურათის მნიშვნელოვანი ნაწილია. ჩვენ ამ საკითხების შესწავლა გვსურს, რათა უკეთ გავუგოთ ჩვენს გარშემო განვითარებად ახალ სამყაროს.

## “RELIGIOUS-SPIRITUAL VALUES IN

## POSTMODERN PHILOSOPHY: FROM PRISM OF CULTURAL DIVERSITY”

*PhD.* ***Elsevar Samadov***
*Senior researcher at the Department of Religious*
*Studies and Philosophical Problems*
*of the Institute of Culture, Philosophy and*
*Law of the National Academy of Science of Azerbaijan*

Postmodern philosophy encircles systems of modern thought of XXI century. Mainly, postmodern philosophy has started from the 50s. By the time, this action and revolution of thought overturned life of philosophy for the West. Again, postmodern philosophy has created together its new values, norms and conception. In this prism, postmodern philosophy has been infected to all directions of life and it is tried to explain times and space in the new meaning and logic. To days, as Deride, Lyotard, Baudrillard, Michel Foucault, Ronald Barthes and John H. Murphy and other philosophers is accepted as philosophers of this action and revolution of thought. Nowadays, some philosophers accepted this philosophy as a result of intellectual needs that comes from requirement of contemporary life. However, opposite side that is represent of philosophical school of Frankfurt and other philosophers do not accept postmodern philosophy as a new line in generally philosophy, because they accept this action and philosophy as a carry of modern tradition. At the same time, postmodern philosophy is not as a new form of classical philosophy, only they accept this philosophy as a flowing.

Moreover, it is possible to take historical traces of this movement to ancient time, but it is possible only standpoint of thought. Even, traces of this movement becoming longer in thought to Dada, Nietzsche, Heidegger and St Augustine. Especially, in forming of postmodern philosophy is observed Nietzsche’s impact.

By the way, postmodern is against to rationalism, positivism, liberalism, capitalism, Marxism and other ideologies and as an upper theory philosophy and their values. Postmodernism adopts eclecticism in every sphere. In every each sphere, postmodernism do not accept levels, rules and justice, by the other words, postmodernism exhibit relativist position in philosophy. For example, according to postmodernist philosopher John W. Murphy, nowadays it is not principle of justice as a moral code, since it has changed values which people accepted. Again, American postmodernist philosopher Lyotard considers that, justice in reality is game of language. By these reasons, they consider that all these ethic, religious and spiritual values are changeable and simply hermeneutical approach. Deride

and Lyotard either defends ethic values on postmodernism, is that they emphasize importance of mutual respect from prism of ethic values.

Postmodernist philosophers show reasonable approach about national, spiritual, religious and other human values in themselves philosophy. Basically, they agitate society and values of society to pluralism. According to these philosophers, plural societies can direct futures more healthy and correctly. From this reason, they are using from hermeneutic methodology; they pay attention with both protecting and rejecting directions in the meaning. From this reason, postmodernists are emphasizing that, in postmodern philosophy it is not only one truth and only one right, in their reality there are much truths and rights. Postmodernist *Foucault's* directions are these:

- Choice being many directions and positive,
- Prefer diversity in every sphere
- Prefer movements to organizations in comparison,
- Prefer acting organizations to systems,
- And believe that being useful is not settle, it is changeable.

In this direction, *Foucault* defends pluralism and diversity on every thing.

In postmodern philosophy, getting shattered in prism of cultural diversity reflects factors of diversity in forming of religious and national-spiritual values. Of course, these processes help to developed of human free will, democracy, and human rights and tolerant but sometimes extreme freedom and election do not be as forthcoming.

In finally, in society occur tyranny and anarchy. Instead of traditional and mankind values are occupied desire and wishes for ensuring of individual egoism. Consequently, it is occurred unexpected view. For instance, as a family life, sexual and others important problems in our society.

## INCREASING COMPLEXITY IN LIFE EVOLUTION AND POSSIBLE EXPLANATIONS

***Fiorenzo Facchini***
*University of Bologna (Italy)*

The life evolution shows an increasing complexity over the time. One can observe some evolutionary directions; some of them can be referred to environmental changes. Moreover the regularities in the development and the evolutionary convergences are not explained exclusively by natural selection. One must assume other natural causes.

In particular one could refer the increase of complexity to the relationality as a characteristic of matter and living beings that highlights a basic finalistic purpose. A possible general finalism in nature can be affirmed, but in a philosophical picture.

## ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲖᲐᲠᲓᲘ ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲔᲑᲘ

***ფიორენცო ფაკინი***
*ბოლონიის უნივერსიტეტი (იტალია)*

სიცოცხლის ევოლუცია დროთა განმავლობაში მზარდ სირთულეს გვიჩვენებს. შეიძლება ევოლუციის მიმართულებები დავინახოთ; ზოგი მათგანი გარემოს ცვლილებებს უკავშირდება. მეტიც, განვითარების რეგულარულობა და ევოლუციური თანხვედრები ვერ აიხსნება მხოლოდ ბეუნებრივი სელექციით. უნდა ვივარაუდოთ სხვა ბუნებრივი მიზეზებიც. შესამჩნევია მზარდი სირთულე მატერიისა და ცოცხალ არსებებს შორის ურთიერთობაში, რაც ძირითად ფინა¬ლი-სტურ მიზანზე მიუთითებს. ბუნების შესაძლო ზოგადი ფინალიზმის მტკიცება მხოლოდ ფილოსოფიურ ასპექტში არის შესაძლებელი.

## РАСТУЩАЯ СЛОЖНОСТЬ ЭВОЛЮЦИИ ЖИЗНИ И ЕЕ ВОЗМОЖНЫЕ ОБЪЯСНЕНИЯ

***Фиоренцо Факини***
*Болонский университет (Италия)*

Эволюция жизни со временем выявляет все больше сложностей. Можно даже разглядеть различные направления в эволюции; некоторые из них связаны с природными изменениями. Более того, регулярность развития совпадения в эволюции не могут быть объяснены всего лишь природными причинами. Следует предполагать и другие естественные причины. Наблюдается возрастающая сложность в отношениях между материей и живыми существами, что указывает на общую финалистическую цель. Утверждать о возможном общем финализме природы можно только в философском аспекте.

# შესაქმეს წიგნის პირველი ტექსტი

***პადრე გაბრიელე ბრაგანტინი***
*ამიერკავკასიის ლათინური წესის*
*ეკლესიის ადმინისტრაცია*

როდესაც თანამედროვე ქრისტიანები სამყაროს შექმნაზე საუბრობენ, უმრავლეს შემთხვევაში, ისინი ორი არჩევანის წინაშე დგანან: დარჩნენ ერთგულნი *(მავანი რაციონალურად მსჯელობს; მავანი კიდევ ლიტერალურად განმარტავს, ლამის ფანატიკურად)* დაბადების 1 თავის სწავლების *(რამდენად უპრიანია სწავლებაზე ლაპარაკი? განა ეს არის ამ თხრობის მიზეზი?... ხომ არ აჯობებდა უბრალოდ „ტექსტზე" გველაპარაკა)* და ანგარიში გაუწიონ მეცნიერული კვლევის შედეგებს.

ასეთი ორმაგი მიდგომა, შეიძლება ითქვას, მეცნიერულ-კრიტიკული ეპოქის დადგომამ მოიტანა, რაც შემდგომ კიდევ უფრო მეტად გამძაფრდა, ვინაიდან იმ არაერთგვაროვან ფილოსოფიურ ინტერპრეტაციებში, რაც ე.წ. მეცნიერულ-კრიტიკულ ეპოქამდე ჩამოყალიბდა, ძნელია ერთი პოზიციის არჩევა.

ამ ორმაგ მიდგომას დღეს კიდევ უფრო ართულებს კრეაციონიზმსა და ევოლუციონიზმს შორის არსებული დაპირისპირება. ევოლუციონისტების აზრით, დაბადების წიგნის პირველი თავი ობსკურანტიზმში გვაგდებს, რაც შეუთავსებელია თანამედროვეობის რაციონალურობასთან. მე მინდა გაჩვენოთ, რომ ეს ტექსტი კი არ უარყოფს ადამიანურ კეთილგონიერებასა და რაციონალურობას, პირიქით, გასხივოსნებულ ადამიანურ გონიერებაში შევყავართ, რაც ყოველ გონიერ ადამიანს და მით უმეტეს მეცნიერს იმგვარად დაეხმარება მსჯელობაში, რომ არც ფიდეიზმში და არც ფუნდამენტალიზმში არ ჩავარდება.

ცხადია, თხრობის ლიტერატურული ჟანრი ანუ მისი მითიური და საღვთისმეტყველო ხასიათი, იმდენად პრეტენზიულია, რომ შეუთავსებელია მეცნიერულ კვლევასთან: გავიხსენოთ თუნდაც ეს ფრაზა „და იქმნა ნათელი", რომლის მოწმეც სულიერი მოდგმიდან არავინ ყოფილა და ყოვლისმცოდნე მთხრობელმა შეძლო მოეთხრო ის, რასაც მოწმე არ ჰყოლია, ანდა ეს ფრაზა: „იხილა ღმერთმა რომ ნათელი კარგი იყო", რაც ღვთიურ თვალსაწირეზე მიანიშნებს...მხოლოდ ეს ორი ფრაზაც საკმარისია იმ აბსოლუტური დისტანციის საჩვენებლად, რაც სურს და რაც შეუძლია გონივრულ ქმედებას, რომელიც ფენომენების კრიტიკული დაკვირვებით არის დაკავებული. ვერ ვიტყოდი, რომ ამ სიტყვებით ბიბლიაში არ იკითხებს რეალობის ხედვა, რასაც რაციონალური განვითარება მოჰყვება და ასეთად უნდა იქნეს კიდეც აღქმული; ამაში არ არის არც კონკორდიზმი და არც მეცნიერულ ცოდნასა და დაბადების წიგნის ამ თხრობას შორის პარალელების თავგამოდებული ძიება. ამ თხრობის გონივრულობაზე, რაციონალურობასა და მეცნიერულობაზე მსჯელობის

საყრდენი წერტილი *(თხრობა სრულად ეყრდნობა იმდროინდელ მეცნიერულ ცოდნას; იგი არც იმდროინდელი მეცნიერების ზღვარს სცდება და არც მას უარყოფს, არამედ მითოლოგიას, იმდროინდელ ცრურწმენებს)* სწორედ იმ სამყაროს დანახვაშია, რომელიც ღვთიური სიტყვიდან იბადება და ადამიანურ სიტყვას შეერთვის; ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მსჯელობა გონივრულად წარიმართოს და არა ყრუებს ან მუნჯებს შორის...; აი, ამაზეა საჭირო „ლაპარაკი“, თანამედროვე მეცნიერის „ალაპარაკება“ და მასში ინტერესის აღძვრა.

*სიტყვით დაყოფილი სამყარო*

ყოველ თხრობას თავისი კულტურული ფონი ადევს, ასევეა აქაც. სხვა შემთხვევაში, შეიძლება გვეფიქრა, რომ იგი მეშვიდე დღის დასრულებისთანავე დაწერა თავად ღმერთმა და ციდან ჩამოაგდო; კულტურულ ფონზე საუბარი ოდნავადაც არაფერს აკლებს ღმრთის ყოვლისშემძლეობას და ამ ტექსტის წმინდა ხასიათს. მისი მიზანია იმ გონივრულობის წინ პლანზე წამოწევა, რაც მასშია დაფარული და რასაც ღვთიურ და ადამიანურ საგნებზე საუბრის დროს მიმართავდნენ; იმ ჭეშმარიტი გონივრულობის, რაც სხვა ტექსტებმა, რომლებიც წმიდა წერილში ვერ შევიდნენ, კი არ უარყვეს, არამედ განსხვავებულად წარმოადგინეს.

დაბადების პირველი თავი ბიბლიური თხრობის იმ პირველი 11 თავის შემადგენელი ნაწილია, რომელიც პატრიარქების ისტორიას მოგვითხრობს, რასაც თავის მხრივ ავყავართ მთელი ამ ბიბლიური თხრობის მწვერვალზე: გამოსვლა და აღთქმა. ამ თავებში აშკარად ორი ტრადიცია იკვეთება: იაჰვისტური და სამღვდელო.

„შესაქმე“ და „დაცემა“ - ორი გადამწყვეტი აქტი პროცესის შემდგომ განვითარებაში, რასც წარმოადგენს ღმერთთან ადამიანის თანდათანობით დაპირისპირება და იაჰვეს საბოლოო ინტერვენცია ახალ შესაქმეში: თავისი ხალხი.

მართალია, ბიბლია დაბადების წიგნით იწყება, მაგრამ ისრაელი თავისი ღმერთი შექმნილი სამყაროდან კი არ აღმოუჩენია, არამედ იაჰვეს მიერ თავისი ხალხის ისტორიაში მოხდენილი საქმეებით: თეოფანიის ღმერთიდან, აბრაამის, ისაკის, იაკობის, მოსეს ისტორიაში მყოფი ღმერთიდან; ეგვიპტის ხსნიდან; აღთქმული მიწაზე დაბრუნებიდან; ამ ღმერთიდან აღიმაღლა თავი ისრაელმა შემოქმედ ღმერთამდე: იაჰვემ პირველმა გააცნო თავი იმ ხალხის მხსნელად, ვინც მასთან აღთქმა დადო. შემდგომ აღმოაჩინა ამ ხალხმა, რომ ეს მაცხოვარი ღმერთი იგივე შემოქმედი ღმერთი ყოფილა, ანუ ცისა და მიწა. ამ ისტორიულ ფონზე უკეთ შეგვიძლია გავიგოთ თუ რატომ ადარებენ ამ ტექსტს ძველი ახლო აღმოსავლეთის კოსმოგონიურ ტექსტებთან და განსაკუთრებით, ისეთ შუმერულ ტექსტთან, როგორიცაა **Enuma Elish** („ვიდრემდე ცათა“, ლურსმნული ნაწერით); ეს გახლავთ თეოგონიური და კოსმოგონიური მითოსის ეპოპეა, რომელიც ჩვ.წ-აღ-მდე II ათასწლეულში გამოჩნდა აქადიურ ენაზე ბაბილონიურ

რელიგიურ ტრადიციაში. იგი სამყაროს შექმნის მითზე და ღმერთი მარდუქის საქმეებზე, ბაბილონიის მფარველ ღვთაებაზე საუბრობს (*Babylōnía*, ძველბერძნულად; აქადეურად *Bābilāni*, *Bāb-ili* -დან, რომელიც ანტიკურ ფორმას სძენს შუმერულ სახელს KA.DIN.GIR.RA, რაც ნიშნავს „ღვთის კარი“, ამორეული დინასტიის ქალაქი, დაარსებული ჩვ.წ-აღმ-მდე XIXს.). **Enuma Elish** კითხვის ან გალობის ფორმით სრულდებოდა აკიტუს განმავლობაში (შუმერულად: A2.KI.TIL3, ლურსმნულით , ნიშნავს "ძალა რომელიც აცოცხლებს სამყაროს"; ასევე დღესასწაულის აღმნიშვნელი სახელი, *Zagmuk*), ბაბილონიის ახალი წლის დაწყების ზეიმზე, უფრო ზუსტად, მეოთხე დღეს თერთმეტი მცნებიდან, ნისანის (Nissanu) თვეში. ამ ეპოპეის არაერთი ექოა დაბადების პირველ თავში: გავიხსენოთ თუნდაც, როდესაც საუბარია ოკეანის ფსკერზე (tehom ebr. tiamat accadico) , რაზეც შემოქმედი ღმერთი აღასრულებს თავის საქმეებს, უკუნზე...; თითქოსდა უკვე გაჩაღებულია ბრძოლა გაყოფისათვის... ღვთის ტრიუმფალური საქმისათვის: „და იქმნა ნათელი“ - ფორმას სძენს ლაპარაკს, რომელიც ქმნის, რომელიც ღვთიური სიოდან იბადება... **Enuma Elish**-ში ლაპარაკია ულმობელ ქარზე... დაბ. 1,1-ში ელოიჰიმის ქარი, რომელიც წყლებზე ლიცლიცებდა, თითქოსდა ეს ქარი მთელ მის ენერგიას შეიცავდა და ელოდა როდის გამოსახავდა თავის სიტყვას ძალაში; სიტყვის ძალაში, რომელიც ქმნილებებზე სახელის დარქმევაში გაგრძელდებოდა - „და უწოდა ღმერთმა ნათელს დღე“ (დაბ.1,4).

შესაქმეს პირველი მოთხრობა შეიძლება მივიჩნიოთ ღვთის სიტყვის მიმართ სამღვდელო ტრადიციის *(ტრადიცია გაძევების შემდგომ განვითარდა 538-450წ. ჩვ.წ-აღ-მდე)* გალობად; ყოველი ქმნილების შექმნა გამოყოფილია თავისი რეფრენით:„იხილა ღმერთმა რომ კარგი იყო“. ავტორს ასევე სურს, რომ ხალხის გონებაში ღრმად ჩაბეჭდოს „შაბათის დასვენება“, ისრაელის ურყევი ტრადიცია. ამიტომაც, ექვსი დღე ოცდა-ოთხსაათიანი ინტერვალით ნორმალურ დროდ აღიქმებოდა. აგიოგრაფიული ეპოქის პრიმიტიული კოსმოლოგია იმის მისანიშნებლად გამოიყენებოდა, რომ ღმერთმა ყველაფერი თავისი უზენაესი ძალითა და განგებულებით შექმნა. მაშინ როცა ეპიკური ჟანრის პოემები შესაქმეს აღწერდნენ როგორც ღვთაებებსა და ქაოსს შორის ხელჩართული ბრძოლის შედეგად, ბიბლიური თხრობა ნათელს ჰფენს ერთი ღმრთის თავისუფალ ქმედებას მისივე სიტყვის მეშვეობით. სხვა ტექსტებიდან, განსაკუთრებით კი ბაბილონიურიდან გამოყენებული სიმბოლოები *(მაგ; მზე და მთვარეს ეწოდება „ლუმინარები“, რადგანაც ეს სემიტური სახელები იმ წარმართულ ღვთაებებს აგონებდათ, რასაც ზოგჯერ თავად ისრაელიც ეთაყვანებოდა)* წმიდა ავტორის პოლემიკის საგნად იქცა მითების წინააღმდეგ. სიტყვა „ბარა (barà)“ იგივეა რაც „ჰქმნა“, - ანუ მხოლოდ ღმრთისთვის განკუთვნილი ტერმინი, – აქ არანაირ წინასახეობრივ მატერიაზე არ მიანიშნებს. აშკარა პარალელებს ვპოულობთ, როდესაც ამ ექვსდღიანი პერიოდის პირველი ნახევრის საქმეებს ვადარებთ მეორე ნახევრის საქმეებთან: პირველ

დღეს შექმნილ ნათელს შეესატყვისება მეოთხე დღეს შექმნილი მზე, მთვარე და ვარსკვლავები. მეორე დღეს შექმნილ ხმელეთსა და ზედა და ქვედა წყლებს – მეხუთე დღის ფრინველები და თევზები. მესამე დღეს მიწის შექმნას – მეექვსე დღეს შექმნილი ცხოველები. პარალელები კიდევ უფრო მკაფიოა, როცა ერთმანეთთან ვადარებთ ამ ორ სერიას. პირველ სერიაში, ღმერთი ქმნილებებს „გაჰყოფს"მხოლოდ და მხოლოდ: პირველ დღეს მოხდა ბნელიდან ნათლის განყოფა, მეორე დღეს ზედა და ქვედა წყლებიდან (წვიმიდან და ოკეანიდან წამოსული) – ხმელეთის განყოფა. მესამე დღეს მიწისაგან – ზღვისა. პირველ სერიაში მოხდენილ ყოველ განყოფას შეესატყვისება მეორე სერიაში შექმნილი „განმგებელი", ანუ „ბინადარნი": და ასე, ზეციური სხეულნი განაგებენ ნათელსა და ბნელზე; ფრინველები და თევზები ჰაერში მოძრაობენ ცის მყარზე ქვემოთ და წყლებში; ცხოველები მიწაზე ბინადრობენ.

*სინთეზი*

| *განყოფა* | *განმგებლობა* |
|---|---|
| *1. ნათელი* | *4. მზე, მთვარე, ვარსკვლავები* |
| *2. მდინარეები, წყლები* | *5. ფრინველები, თევზები* |
| *3. მიწა* | *6. ცხოველები* |

ხმელეთი რკინის დაჭედებულ ხუფად მიიჩნეოდა, რომელიც ზედა წყლებს იკავებდა. სამღვდელო ტრადიცია გვაუწყებს, რომ შესაქმეს მწვერვალმა, ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანში მიაღწია. სემიტები (ასე უწოდებდნენ სემის შთამომავლებს) არანაირ დიკოქტომიას არ ცნობდნენ (სხეულისა და სულის კონცეფცია ბერძნულმა ფილოსოფიამ დაამკვიდრა): ადამიანი სრულიად ღვთის ხატება იყო, რაც განსაკუთრებით ვლინდებოდა ქმნილებებზე მის განმგებლობაში.

ადამიანი, როგორც ღვთის ხატება, მიწაზე მისი წარმომადგენელია; ანტიკური მეფეებისგან განსხვავებით, იაჰვეს სულაც არ ჭირდება კონტრფიგურები; ცნობილია, რომ იმპერიის იმ რეგიონებში, სადაც თავად მეფეს არ შეეძლო პირადად ყოფნა, თავის ქანდაკებას აღმართავდა ხოლმე, ნიშნად იმ ადგილზე თავისი მყოფობისა. ბიბლიის ავტორი კი ცალკეული ადამიანის სახეში ხედავს ღვთის ხატებას. სამღვდელო ტრადიციას სჯერა, რომ სქესთა განსხვავება ღვთიური წარმოშობისაა და ამიტომაც არის კარგი. „ადამიანურობის" (ადამ) სრულ არსი მხოლოდ მაშინ ესხმება ხორცი, როდესაც იქმნება მამაკაცი და დედაკაცი.

ბიბლიური ღმერთი სარბიელზე მყისვე გამოდის, როგორც ლოგოსი, სიტყვა. შესაქმე იმ ძალის ნაყოფია, რომელიც ხდება *სიტყვა-ქმნილება-სახელი.* სამყაროს შექმნის დასრულებისთანავე, ადამიანი, ვისაც ღმერთი სიტყვით მიმართავს (1,28), ღვთიურ საქმეს აგრძელებს ქმნილებებზე სახელების დარქმევით (2,20); მხოლოდ

ადამიანმა შეიძინა სიცოცხლის სუნთქვა (neimat hayyim, აქ სიტყვათა თამაშია yimot - სახელთა მიცემა). შემოქმედი ძალა არ არის ურაგანში... იგი ნათელ სიტყვებშია და ადამიანის ტრანსცენდენტულობა დანარჩენ ქმნილებასთან შედარებით, გამოიხატება სიტყვით მინიჭებული მისი არსის ძიებაში. ამრიგად, ბიბლიის დასაწყისში ამ თხრობის განთავსებით ხაზი ესმევა წუთისოფლის სიღრმისეულ სიბრძნეს, ღვთის სიტყვით შექმნილ და ადამიანზე და მის მყოფობაზე განკუთვნილ სამყაროს სიბრძნეს: ადამიანი ლაპარაკობს არა იმიტომ, რომ ლაპარაკი შეუძლია, არამედ იმიტომ, რომ შეუძლია ლაპარაკის გაგება ...

შემოქმედის საქმეები ერთი კვირა გრძელდება; რაბინები და ეკლესიის მამები (heptameron) (მე-19-ე საუკუნემდე ებრალების და ქრისტიანების უმრავლესობას ლიტერალური ფორმით სჯეროდა ბიბლიური თხრობის სიმართლე და ისიც, რომ სამყარო ღმერთმა სულ რაღაც ექვსი დღის მანძილზე შექმნა. ხოლო ექვსი დღის ალეგორიულ ინტერპრეტაციას ანტიკური ფესვები აქვს და მას ჯერ კიდევ ისეთ ავტორიტეტულ წყაროში ვხვდებით, როგორიცაა *ბარნაბას წერილი,* რომელიც 70 - 132 წლებშია დაწერილი და ახალი აღთქმის უკანასკნელი წიგნების მედროვეა. სულ მალე კლემენტე ალექსანდრიელს შემოაქვს სამყაროს მყისიერი შექმნის იდეა, რაც ბიბლიაში ექვსი დღის მანძილზეა აღწერილი. ორიგენე, პირიქით, მთელ ამ თხრობას მხოლოდ ალეგორიული ფორმით განმარტავს. კლემენტე ალექსანდრიელის მოსაზრებას მოჰყვა ნეტარი ავგუსტინეს იდეა, რომელიც ალეგორიულად განმარტავს ექვს დღეში საქმეთა თანმიმდევრულად გადანაწილებას და ასევე წმიდა თომა აქვინელის მოსაზრება, რომელიც მართებულად მიიჩნევს ავგუსტინისეულ იდეას; არცერთი ეს მოსაზრება არ უარყოფს ტექსტის პირდაპირ გაგებას და ამ ფაქტზე ჯეროვანი კომენტარებიც გააკეთეს).

ბიბლიის ლიტერალური ინტერპრეტაციის სირთულე ფართო დისკუსიის საგანია ანტიკური ხანიდან მოყოლებული, როგორც ებრაელების ასევე ქრისტიანების მხრიდან; უფრო მეტიც, თავად ახალი აღთქმა, ებრაული ბიბლიის სხვადასხვა ალეგორიული ინტერპრეტაციის მაგალითს ცნობს. საღვთო წერილის ალეგორიული ინტერპრეტაცია ალექსანდიის სკოლის ზეგავლენას განიცდიდა. ლოგიკური დაპირისპირებები, რაც შესაქმეს ტექსტის ისტორიულ ჭრილში განხილვის დროს იჩენს თავს, აშკარად იკვეთება მე-3 საუკუნიდან, ორიგენე ალექსანდრიელის მიერ იმ ტექსტში, რასაც შემდგომში გრიგოლ ნაზიანზელი თავის *ფილოკალიაში* შეიტანს; ეს გახლავთ ორიგენეს ძირითადი საღვთისმეტყველო ანთოლოგია.

„რომელი გონიერი ადამიანი დაუშვებს იმაზე ფიქრს, რომ პირველი, მეორე და მესამე დღე და საღამო და დილა არსებობდა მზის, მთვარისა და ვარსკვლავების გარეშე? და რომ პირველი დღე ცის გარეშე იყო დარჩენილი? ვინ არის ისეთი სულელი, რომელიც იფიქრებს, რომ ღმერთი, როგორც მებაღე, ედემში ააშენებდა სამოთხეს,

აღმოსავლეთისკენ და იქ დარგავდა სიცოცხლის ხეს, ხილულსა და შესახებელს, იმგვარად, რომ მისი ნაყოფის მჭამელი სიცოცხლეს მოიპოვებდა ? ან კიდევ, ვინ გაარჩევდა კეთილსა და ბოროტს ხიდან მოკრიფილი ნაყოფის ჭამით? ხოლო თუ ვინმე ამბობს, რომ ღმერთი მიმწუხრზე სეირნობდა სამოთხეში, ადამი კი ხეს ეფარებოდა, არა მგონია, ვინმემ ეჭვქვეშ დააყენოს ამ ფაქტთა სიმბოლური მინიშნებები, მაშინ როცა მოვლენა სიმბოლურად აღიწერა და არა ლიტერალურად).

ანალოგიური მოსაზრებას ვხვდებით ორიგენეს სხვა ტექსტში, როდესაც იგი წარმართ ფილოსოფოს ცელსთან შედის პოლემიკაში.

პროტესტანტული რეფორმა გმობს ალეგორიული ინტერპრეტაციების განმსჯელ ხასიათს და ჰკიცხავს ავტორიტეტს, რითაც ეკლესია მათ დამაჯერებლობას სძენდა ლიტერალურ ინტერპრეტაციასთან დაპირისპირებაში. თეოლოგიის წყაროდ *Sola Scriptura*-ს ლუთერანული პრინციპის გამოყენება, რამდენიმე საუკუნის მანძილზე კეთილად განაწყობდა პროტესტანტ ქრისტიანებს მხოლოდ ლიტერალური ინტერპრეტაციის მიმართ. არალიტერალურ ინტერპრეტაციას უპრობლემოდ იღებდა კათოლიკე ეკლესია, რომლის საღვთისმეტყველო ბაზისი ავგუსტიანისეულ და აქვინისეულ პრინციპს მოიცავდა, რაც არ გამოიხატებოდა რწმენასა და მეცნიერებას შორის დაპირისპირებაში. ცხადია, ლიტერალურ ინტერპრეტაციასაც მიეცა თავისი გასაქანი კათოლიკურ გარემოში, თუმცა იმ დოზით, რაც მას არ აჩვენებდა უმრავლესობის მიერ გაზიარებულ ალტერნატიულ მეცნიერულ ინტერპრეტაციად.

ამდენად, ეკლესია არ გამოხატავს თავის ოფიციალურ პოზიციას ევოლუციის თეორიაზე, საკითხის მოგვარებას მეცნიერებს მიანდობს. ერთის მხრივ, ჩვენ ვიცით იოანე პავლე მეორის მოსაზრებები, რამაც აშკარად გაამყარა ის პოზიცია, რომ ეკლესია დღეს არ უპირისპირდება ევოლუციონისტურ ჰიპოთეზას, როგორც ისტორიულ ფენომენს და აცხადებს, რომ იგი არის „ოდენ თეორია". ამავდროულად, ეკლესია უარყოფს პოზიციას, რომელიც ევოლუციას მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევით გამოწვეულ პროცესად განიხილავს, სწორედ ისე როგორც ეს დარვინმა მოახერხა; იგი აცხადებს, რომ სამყარო არის ერთი მიზნისკენ მიმართული პროექტის შედეგი. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა პაპი ბენედიქტე მე-16-ის შემდეგი განცხადება:

„გასაოცარია მე-4 საუკუნის პაპის, წმიდა ბასილის ამ სიტყვების აქტუალურობა: „მავანნი, თავიანთ გულში არსებული ათეიზმის ხაფანგში აღმოჩენილები, სამყაროს ხედავენ მეთაურისა და წესრიგის გარეშე, ბედის ანაბრად შთენილად". მაინც რამდენი შედის დღეს „მავანში". ისინი თვლიან და ცდილობენ აჩვენონ, რომ მეცნიერულად გამყარებულია ის არზი, რომ ყველაფერი მოკლებული მეთაურს და წესრიგს და რომ ყველაფერი შემთხვევითობაა. უფალი, საღვთო წერილით აფხიზლებს მიძინებულ გონებას და ეუბნება: თავდაპირველ არს შემოქმედის სიტყვა. თავდაპირველ არს შემოქმედი სიტყვა - ამ სიტყვამ შექმნა ყოველივე, რაც შექმნილია იმ გონივრული

გეგმით, რაც არის კოსმოსი - რაც არის სიყვარულიც“ (ბენედიქტე მე-16ის ჰომელია, 2005წ. 9 ნოემბრის გენერალური აუდიენცია).

„დღეს ვხედავ, რომ გერმანიასა და ასევე აშშ-ში საკმაროდ ცხარე დებატები ჩაღდება ე.წ. კრეაციონიზმსა და ევოლუციონიზმს შორის, მათ ურთიერთამომრიცხველ ალტერნატივებად წარმოგვიდგენენ: ვისაც სწამს მაღალი შემოქმედი, არ იღებს ევოლუციას, ხოლო ვინც ევოლუციას იღებს, ღმერთს გამორიცხავს. ეს სრულიად უაზრო დაპირისპირებაა, ვინაიდან ერთი მხრივ არსებობს უამრავი მეცნიერული დასტური ევოლუციაზე და მის რეალურ ხასიათზე, რაც უნდა დავინახოთ და რაც ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ყოფიერებასა და ცოცხალ არსებაზე, როგორც ასეთზე. მაგრამ ევოლუციის მოძღვრება ყველა კითხვას არ სცემს პასუხს, განსაკუთრებით კი იგი არ პასუხობს უმთავრეს ფილოსოფიურ კითხვას: საიდან გაჩნდა ეს ყველაფერი? საიდან იღებს სათავეს ის გზა, რომელიც საბოლოოდ ადამიანთან მიდის? (ბენედიქტე მე-16-ის შეხვედრა ბელუნოს და ტრევიზოს ეპარქიასთან, 2007წ. 24 ივლისი).

შესაქმე არ არის ბრმად ამოხეთქილი ენერგია, ეს არის ქმედება, რომელიც პროგრესულად, წესრიგის დაცვით სრულდება და რაშიც კონრეტული გეგმა იკვეთება. პროგრესი (იხ.: Paul Beauchemp „Creation et separation“) თანმიმდევრული გამოყოფის წყალობით მოხდა (hadal და ღმერთმა გაჰყო), მაგრამ მესამე დღიდან იწყება საუბარი საკუთრივ სახეობებზე (10-ჯერ არის გამეორებული მცენარეებთან და ცხოველებთან მიმართებაში), განუსაზღვრელიდან ქმედება აისახება კონრეტულში და იგება დიფერენცირებული სამყარო.

შესაქმეს დღეთა თანმიმდევრულობა გზას უკვალავს სიტყვის თანმიმდევრულობას: „ღმერთმა ღვთიური წესრიგითგანყო უკუნიდან ნათელი: „იყოს ნათელი“; აქ უკვე სიტყვიერ ფორმაში შევდივართ; თანმიმდევრობა უდაოდ არის ენობრივი კანონზომიერება, განსაკუთრებით, თხრობითი საუბრის, რომ ყველაფერი რიგისდა მიხდვით ითქვას. დაბ.1 თავი ამგვარ თანმიმდევრობას ან თავად ღვთიურ თავისუფლებას უკავშირებს ანდა ავტორს ეს პროცესი შესაქმეზე საუბრისთვის სჭირდება; ღვთიური საქმე ყოველი დღის დასაწყისში ჩნდება და მნიშვნელოვნად პასუხობს მონათხრობის სიუჟეტის განვითარებას. თხრობაში ვერბალური ფესვები, - რაც ბიბლიურ ებრაულში საგანთა გონივრულობაზე მეტყველებს, *ჰინ,*- გაგება, - წინადადების ამ ფორმაშია *-ჰებ,* ღმერთმა განყო, *ჰებ,* ნათელი და ბნელი. მართალია მთხრობელი ნაბიჯ-ნაბიჯ მიუყვება ღვთიურ საქმეებს, იგი იმაზეც ზრუნავს, რომ გვაჩვენოს ყოველივე, რაც კი იქმნება და მათი დანიშნულება; აქ არის ერთი პრინციპი და ერთი შესრულებული საქმე ექვსი დღის წესრიგში: ერთი გონივრული გეგმა, რომელიც მართავს თითოეულს, რათა სისრულეში მოვიდეს „ცა და მიწა“. თანდმიმდევრულ საქმეებში გონივრულობის ყველაზე ლამაზი გამოხატულება ჩანს დასვენებაში, რასაც სასიამოვნო განცვიფრება ახლდა თან: „და იხილა ღმერთმა, რომ კარგია“. ღმერთი არ

არის მხოლოდ შემქმნელი, გარდამსახველი.. მან იცის როგორც გაანაწილოს თავისი განმგებლობა; იგი საშინელ ენერგიას კი არ გასცემს, არამედ საკუთარ თავისუფლებას გამოხატავს; ღმერთი წყვეტს ყველა საქმეს (wayyshot, rad. sabat) და აკურთხებს ამ დღის დასვენებას. ბიბლიური ღმერთი ზღვარს უდებს შემოქმედებით საქმეს, მართავს თავის განმგებლობას, რათა ავტონომიას დაუთმოს ადგილი; *დასვენება* გონივრული პროცესია, მართული და არა უკონტროლო ძალის შედეგი...; *დასვენება* ნიშნავს საკუთარი ძალების ფლობას...

უკვე მეხუთე დღიდან, *კარგიდან* გადასვლა ხდება „ძალიან კარგზე“, ანუ იმ დღიდან, როდესაც სიტყვა მეორე პირით გაეცხადება ცოცხალ არსებებს; თუკი ღმერთი ნათლის შექმნიდან იწყებს ლაპარაკს, მეექვსე დღეს იგი პირადად ჩნდება, მრავლობით ფორმაში ნათქვამი: „ვქმნათ კაცი“ და მხოლობითში: „მე მოგეცით თქვენ ყოველი ბალახი“; და სწორედ ადამიანური წყვილის გამოჩენით გვამცნობს ღვთიური სიტყვა მოსაუბრის არსებობას: „ღმერთმა უთხრა მათ“(28); ღმერთი მიმართავს არსებას, რომელსაც შეუძლია იყოს მეტყველი, „იყოს მსგავსი“, მინიჭებული აქვს სიტყვა ნიჭი, ძალის გონიერება და სიტყვის გონიერება. ამრიგად, თანმიმდევრობა ყოველმხრივ მიმართულია თავისი საბოლოო მიზნისკენ და თხრობითი ფორმა, ღვთიური სიტყვის ვარიაციების ჩვენებისას, ამგვარი თელეოლოგიის ეფექტური მატარებელი იყო.

შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ღვთიური გეგმა გვართა დიფერენცირებით სრულდება, ამიტომაც არ შედის გვართა ევოლუციის პროცესში. გვართა შემოყვანა დღეთა თანმიმდევრობას მისდევს, როცა ღმერთი ქმნის მცენარეების, წყლის ცხოველების, ჰაერისა და ხმელეთის სახეობებს (წყლის, ხმელეთისა და მიწის პარალელურად); თუმცა იქმნება არა ცხოველთა კლასი, არამედ კონკრეტული სახეობები და ასეთად წარუდგენს კიდეც მათ ადამიანს; თუკი ყველაფერი ღვთის უშუალო ხელით შეიქმნა, მათვე ებოძათ სრული ავტონომია რეპროდუქცირების პრინციპით (მიწა აღმოაცენებს თესლს, ბალახი - ღივს...) „ინაყოფიერეთ...“; ღმერთი ქმნის გვარ-სახეობებს და მათ დაბადებას მათივე რეპროდუქციულ უნარს მიანდობს. საინტერესოა ლევიტების 11 თავი, სადაც საუბარია სუფთა და უწმინდურ ცხოველებზე (ესეც სამღვდელო ტრადიციიდან გამომდინარეა) და იმის გაგება, რატომ მოხდა ასეთი გარჩევა... ლევიტების 11 თავში მოცემული დიფერენცირება მხოლოდ და მხოლოდ იმ ხალხისთვის არის, რომელიც სხვა ხალხისგან „გამოირჩეოდა“: ამას პრაქტიკული ხასიათი აქვს და ისრაელიანთა კვების რეჟიმს უკავშირდება..; სავარაუდოდ, ამ გარჩევაში უფრო მეტად საძიებელია ღვთის გეგმის ნიშნები, ცხადია, ბუნებასთან ერთად... რასაც, შეიძლება ითქვას, ჩვენი ცნობიერება ვერ წვდება... ჩვენ შეიძლება უგუნურად მივიჩნიოთ ეს, მაგრამ ასეთი საგულდაგულო დაყოფა რაციონალური და გონივრული კავშირის ნაყოფს წარმოადგენდა და ამიტომაც მიიღეს და დაიცვეს სხვა კულტურებთან შედარებით...

გამოყოფის ანუ სიბრძნის გამოხატულების შემოქმედ საქმეს ადამი აგრძელებს... საინტერესო იქნებოდა სოლომონთან შედარება, რომელიც ადამის საქმის გამგრძელებელია - იგი არქმევს სახელებს და ამკვირდებს ენას... სოლომონზე ამბობენ, რომ მისი სიბრძნე მისივე იგავებით, გალობებით, ყველა აღმოსავლურ სიბრძნეს გასცდა. იგი „ლაპარაკობდა“ მცენარეებთან... ოთხფეხებთან, ფრინველებთან, ქვეწარმავლებთან და ამფიბიებთან (შდრ. 1მეფ.5,5), შეიძლება ითქვას,რომ ადამისა და სოლომონის შედარება, მა აჩვენებს როგორც „მეცნიერებს“ და როგორც პოეტებს. გავიხსენოთ იოჰან გოთფრიდ ჰერდერი, ჰაიდეგერი, რომლებმაც ადამისგან ცხოველებზე მიცემულ სახელებში ადამიანის პოეტური მოწოდების ფესვები განჭვრიტეს ანუ „ამ სამყაროში პოეტივით ბინადრობა“ (ჰოლდერლინი). სოლომონის ენციკლოპედიური სიბრძნე, რასაც 1მეფ. 5,12-13, აგვიღწერს, ახლოს დგას კლასიფიკატორულ ცოდნასთან და მესოპოტამიის მკვიდრთა „სიების ცოდნას“, საიდანაც გადმოგვეცა იგავების წიგნის და ბიბლიური რჯულის კოდექსების აღწერები; ამ „სიების ცოდნას“, შეიძლება საყოველთაო ხასიათი არ ჰქონოდა, მაგრამ იგი პრაქტიკულად ცოდნის ყველა სფეროს მოიცავდა: ბუნების მეცნიერება, მინერალების, მცენარეების და ცხოველების, ინსტრუმენტების, ტანისამოსის, შენობების, საკვების, სასმელების სიას, ღვთაებების, ვარსკვლავების, ქვეყნების, მდინარეების, მთების, ადამიანის სხეულის შემსწავლელი მეცნიერების, მისი პროფესიების...; ეს კლასიფიკაცია მათივე სახელებიდან დაწყებული წესრიგდება და ბიბლიაში ჩვენ ვხედავთ ამ კლასიფიკაციის „ექოს“, რომელიც ღვთის შემოქმედებითი საქმიდან იღებს სათავეს. სოლომონის ცოდნის არეალი ადამის მეორე წალკოტია; ადამი და სოლომონი, ორივე ამოწმებენ, - ერთი დასაბამიდან და მეორე ისტორიის მსვლელობაში, - ადამიანის ამ მოწოდებას: იცხოვროს „გონივრულად“ ღვთისაგან ბოძებულ მიწაზე. მეცნიერული ცოდნა ღვთაებებზე, ბიბლიური კონტექსტით, მონოთეისტური რწმენის გამო კარგავს თავის მნიშნელობას, სხვა ირგვლივ მყოფი ხალხის პოლითეიზმთან შედარებით (ეგვიპტელები, მესოპოტამიელები, ქანანეველები...), თუკი სახეობათა სიაში ძლიერი კავშირი იკვეთება ღვთაებრივსა და ბუნებრივ, კოსმიურ პროცესებს (ცა, წვიმა...) შორის, ებრაულ სამყაროში ყველაფერი ეს წარმოუდგენელია; თუკი ბიბლიური ღმერთი ზრუნავს სამყაროზე და მასთან ერთად სამყაროში შემოდის ქმნილება, ღმერთი მაინც გამოყოფილია, ტრანსცენდენტულია; ღვთისა და სამყაროს აღქმის კონცეფციის სასარგებლოდ, აქ შეიძლება ვისაუბროთ ბუნების პირველ დემითიზაციასა და დესაკრალიზაციაზე; თუკი ეს ე.წ. სია ქმნილების გონიერებაზე მეტყველებს, - პოლითეისტური რწმენიდან დაწყებული, - ბიბლიურ სამყაროში მიღებული იგივე სიები პირველი ამოწმებენ მეცნიერებასა და რწმენას შორის გამოყოფას (მეცნიერება და რწმენა, ქმნილება და შემოქმედი).

თუკი ახლო აღმოსავლეთის ძველ რელიგიურ საზოგადოებას ფონად გასდევს ობსკურანტიზმი, სადაც ბატონობდნენ დემონები და ბოროტეული ძალები, ბიბლიური

თვალსაწიერი და განსაკუთრებით ის, რაც სამღვდელო ტრადიციას უკავშირდება, მნიშვნელოვნად განწმენდს ამ დემონურ რეალობას და აშკარად ამცირებს მათი გავლენის სფეროს; უწმინდური არ არის დემონური ძალა, ეს უბრალოდ ძალაა; კაცის სამკვიდრო თავისუფალი ჩანს ამ დემონური უმართავი ძალებიდან და ღვთისაგან გადაეცემა ადამიანს ცისა და ზღვის უსასრულობით... (ფს.8), რათა იკვლიოს მისგან გამომავალი: „საქმის გამოკვლევა – მეფის ღირსება“. (იგ.25,2). სოლომონი ნაჩვენებია მაძიებელ მეფედ, უფრო სეკულარული ფორმით შეიძლება ასე გამოიხატოს: „დავუდე ჩემი გული, რომ სიბრძნით მეძებნა და შემემოწმებინა, რაც ცის ქვეშ ხდებოდა“ (ეკლ.1,13). შეიძლება გადაილახოს სხვა ზღურბლი და მივაღწიოთ მეცნიერულ ცოდნას დღევანდელი გაგებით, როგორიცაა მაგალითად, ბერძნული კონცეფტუალურობა; თუმცაღა, ადამიანის ცოდნასა და ხელმწიფებაზე ქმნილების მინდობის ბიბლიური საზრისი მეცნიერული ცოდნის ემანსიპირების პირობას ქმნის. ამრიგად, დაბ.1, მთელი თავისი კომპოზიციით და თავისი მკაფიო დისკურსით, ერთდაგვარი მანიფესტია სამყაროს გონიერებაზე; იგი იმ ენის მეშვეობით გვიჩვენებს სამყაროს ბატონობას, რომელიც პირველ ადამიანს ებოძა. აშკარაა, რომ ეს თავი და ასევე მისი მომდევნო თავები, ამტკიცებენ არა მარტო ჭიდილს ღვთიურ მეცნიერებასა და ადამიანურ მეცნიერებას შორის, არამედ იმასაც, რომ ცოდნა, რომელიც სიტყვიდან და ენიდან გამოდის, არაა ღმერთიდან მოპარული პრომეთეს ცეცხლი. ადამიანის „მეცნიერული“ მოწოდება სულაც არ უპირისპირდება მის„პოეტურ“ მოწოდებას; ყველაფერი ეს ახლოს დგას ედემის ბაღში ადამიანის წინაშე მყოფ ღმერთთან ან სოლომონის მისტიურ ლოცვაში (1მეფ.3), სადაც იგი ღმერთს ევედრება სიბრძნეს, რომ სიტყვის მიერ შეძლოს ხალხის მართვა. ეს ცოდნა არ არის შეცდომებიდან და მცდარი არჩევნიდან თავშესაფარი, როგორც ამას ვხედავთ პირველი ადამიანის არასწორ არჩევანში და სოლომონის ცხოვრებით; ფსალმუნი 8, ადამიანის ხოტბა-დიდებით შეგვახსენებს ღვთის განდიდების სწორ გზას: „ბევრად არ დაგიმცირებია იგი ანგელოზებზე... გააბატონე იგი შენი ხელის ნამოქმედარზე; ყოველივე მას დაუმორჩილე“.

ეჭვგარეშეა, *დაბადების წიგნის* პირველი გვერდები გაცილებით მეტს ამბობენ, ვიდრე აქამდე ითქვა; ნებისმიერ შემთვევაში, ისინი უბადლოდ აჩვენებენ რწმენას ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებში; ამ გვერდებზე ვერ შეხვდებით ობსკურან-ტიზმს, პირიქით, ისინი შეგვეგონებენ, რომ დავიცვათ და სამზეოზე გამოვიტანოთ ადამიანის „მეცნიერული“ და „პოეტური“ პასუხისმგებლობა. „ნათელი“, რომელიც დაბ.1,3-ში ჩნდება, ღმრთისგან მოდის და სამყაროს ეფინება, რომ გაანათოს და მართოს იგი ადამიანის გონებრივი პასუხისმგებლობით და შესაძლებლობებით.

***Отец Габриелле Брагантини***
*Администрация церкви латинсокого*
*обряда закавказья*

Когда о сотворении мира говорят по тексту 1-ой главы книги Бытия, то в большинстве случаев как христианин, так и не христианин, выбирают почти два пути: оставаться верным учению 1-ой главы Бытия и внимательно относится к результатам научного исследования (некоторые, можно сказать, рассуждают рационально, некоторые – буквально, почти фанатически).

Для того, что бы невольно не проводить параллели между научным знанием, и первой главой Бытия, существует один разумный, рациональный, и научный способ прочтения этого текста; это становиться возможным как-раз путем познания такого мира, который рождается из Божественного слова, и соединяется с человесеким словом, для того, что бы рассуждение было разумным, а не походило на разговор глухо-нумых...; именно об этом и должен говорить современный историк.

***Padre Gabrielle Bragantini***
*Administration of the Latin Rite*
*Church of South Caucasus*

When the first chapter of the book of Genesis is discussed, in most cases, Christians as well as non-Christians choose two ways: to stay faithful to the teaching of the first chapter of Genesis and to be careful to results of scientific researches (some choose ration thinking, some – think literally and even almost fanatically).

In order not to make parallels between scientific knowledge and the first chapter of Genesis we need to use a reasonable, rational and scientific way of reading this text; it becomes possible when we comprehend the world as created by the word of God and is connected to a human word. It is necessary if we want our dialogue to be reasonable. This is the topic on which moders historian should talk about.

# ადამიანის ბუნების ძიებისათვის არჩილის „გაბაასებაში კაცისა და სოფლისა“

*ფილოლოგიის დოქტორი, პროფ.,* ***დეკანოზი მიქაელ ჭაბაშვილი***
*ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი* ***მზია თამაზაშვილი***
*მასწავლებელი* ***ლალი კიკვიძე***

აღორძინების პერიოდის (XVI-XVIIIსს.) ქართული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ხდება ისეთი სიახლეები, როგორიცაა ეროვნული ლიტერატურის გაძლიერება, ორიგინალური შემოქმედების წარმოდგენა, თემატიკის გაფართოება, მისი გამრავალფეროვნება. ახასიათებს რა აღნიშნულ პერიოდს, აკად. კ. კეკელიძე გამოყოფს ახალ ლიტერატურულ მიმართულებებს, ახალ ჟანრებს; კერძოდ კი, აღორძინების ხანის მწერლობისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია „გაბაასება“ და მორალიტე. ამ თვალსაზრისით, ცნობილია არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, აგრეთვე, „გაბაასება კაცისა და სოფლისა“. კ. კეკელიძე არჩილის „გაბაასებას კაცისა და სოფლისას“ განსაზღვრავს, როგორც „დიდაქტიკურ-მორალური ჟანრის ლირიკას“ – მორალიტეს (კეკელიძე 1981: 318). გაბაასების ჟანრი იძლეოდა ფართო ასპარეზს მწერლის იდეურ-რელიგიური თუ ესთეტიკური შეხედულებების გამოსახატავად. თეიმურაზ I-ის ცნობილი თემატიკა სოფლის სამდურავის შესახებ გახდა ერთგვარი წინაპირობა თუ საფუძველი არჩილის „გაბაასებისა“. როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, არჩილთან დაკავშირებით ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ბაროკოს შესახებ, რამდენადაც, რენესანსისაგან განსხვავებით, რომელიც სიცოცხლის ხალისითაა აღვსილი და გამრჯვების რწმენითაა გამსჭვალული, – ბაროკოს ახასიათებს „არსებული სინამდვილის დისჰარმონიით გამოწვეული პესიმისტური შეგრძნება“, ადამიანის უძლურების იდეა ბოროტის დამარცხების საქმეში (ნაჭყებია 2006). „გაბაასება“ გვიჩვენებს ცხოვრების, ადამიანური ყოფის შინაარსს, მისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვნებით და, აგრეთვე, ადამიანის წინააღმდეგობრივ ბუნებას; ადამიანისა, რომელიც მიდის რა ცხოვრების გზაზე, ეძიებს სწორ გეზს, მართებულ არჩევანს, რის შესახებაც ებაასება კიდეც სოფელს (ცხოვრებას) და ამ საუბრისას გამოხატავს თავის უკმაყოფილებასაც, თავის შეხედულებებსაც, თავის დამოკიდებულებასაც ცხოვრების მიმართ.

აღნიშნული ნაწარმოებით არჩილი ქართულ ლიტერატურაში ამკვიდრებს როგორც ახალს ჟანრს გაბაასებისას, აგრეთვე – მორალიტესაც. ახლებურია იმ დროისათვის მორალის, ზნეობის საკითხების, დიდაქტიკური თემის შემოტანა და წარმოდგენა. არჩილს შემოაქვს, აგრეთვე, ახალი თემატიკა სოციალური უთანასწორობისა, როგორც ახალი თემა აღორძინების ხანის ლიტერატურაში. არჩილს აქვე შემოაქვს სწავლა–მოძღვრება, ანუ ჩვენ ვხედავთ დიდაქტიკური ჟანრის მახასიათებელ ნიშნებსაც. სწორედ ამგვარ ნაწარმოებებს განსაზღვრავდა კ. კეკელიძე, როგორც დიდაქტიკურ-მორალური

ჟანრის ლირიკას. არჩილი ასახელებს საზოგადოების სხვადასხვა საფეხურზე მყოფ ადამიანებს, სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს: მეფეს, მღვდელმოძღვრებს, სოფლის მხედართ, ქვრივ-ობოლს, ვაჭარს, მუშაკს, თავადებს, დიდებულებს, აზნაურებს, ნადს. მათ შორის ურთიერთობას არჩილი მოუწოდებს სამართლიანობით, გულმოწყალებითა და საღვთო სიბრძნით. იგი ადამიანის „ნამდვილ შესამოსელზეც" გვესაუბრება: „საკაცო მუდამ საცმელი მგონია ზნეკეთილობა,/ სიბრძნე საღვთოსა საქმისა, საეროს კარგა ზრდილობა,/ სიმშვიდე, სიტყვა-მარჯვობა, სიმართლის განმკვეთილობა,/ უამაყობით სასირცხოს საქმისა მოთაკილობა"[63]. ამგვარად, შემოდის არჩილის შემოქმედებაში ადამიანური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი უთანასწორობა და მასთან დაკავშირებული ზნეობრივი პრობლემებიც.

არჩილის „გაბაასებაში", აგრეთვე, გარკვეული სახით ვხედავთ როგორც რომან-ტიზმის ნიშნებს, ასევე, რეალიზმისაც. არჩილი გვესაუბრება ყოფის, ცხოვრების სიმუხთლის შესახებ, მის ამაოებაზე, რაც, მოგვიანებით, რომანტიზმის ერთ-ერთი მთავარი მოტივი ხდება. კიდევ ერთ-ერთ მთავარ მოტივად არჩილთან პესიმიზმსაც ვხედავთ, რაც, მოგვიანებით, ასევე, ერთ-ერთ ძირითად თემად გვევლინება რომანტიკოსებისათვის.

არჩილის „გაბაასებაში კაცისა და სოფლისა" ადამიანი მიმართავს სოფელს და ეუბნება: „ვინა იჩემებს, სოფელო, უმუხთლო-უხანობასა?/ იჩქითი რამ ხარ, ანაზდი კარგს ავის ზე დასწრობასა". იქვე განაგრძობს სოფლის ამაოებისა და ცვალებადობის შესახებ არჩილი: „მიჩვენე გუშინდელისა ყვავილის შვენიარება,/ სად არს სიტურფე, სინაზე და მისი ნებიარება,/ ფერი ყირმიზი-ყაყაჩო, თეთრ-ბროლი შეიწერება,/ ეგზომ სიკეთე არ ცუდ-ჰყავ, რომე ძლივ დაიწერება?" აქ ძალაუნებურად გვახსენდება ალექსანდრე ჭავჭავაძისა თუ ნიკოლოზ ბარათიშვილის ცნობილი სტრიქონები სოფლის ამაოებასა და წარმავლობასთან დაკავშირებით. სწორედ ამ თვალსაზრისით ვხედავთ მომავალი, X1X საუკუნის, თემებისა და ლიტერატურული მეთოდების ერთგვარ ნიშნებსა თუ ჩანასახს არჩილის შემოქმედებაში. ამავე დროს, არჩილი, გვიხატავს რა წუთისოფლის სიმუხთლესა და ამაოებას, წარმოგვიდგენს წუთისოფლის რეალურ სურათს, ანუ წარმოაჩენს ადამიანური ცხოვრების რეალურ პრობლემებს, რეალურ მახასიათებლებს. არჩილის აზრით, ლიტერატურამ უნდა ასახოს „ცოცხალი სინამდვილე", გამოიყენოს რეალური და არა – ფანტასტიკურ-ზღაპრული ელემენტები. მასში არ უნდა იყოს „შეთხზული", „გამოგონებული" სახეები, ამბები და პასაჟები. ამ თვალსაზრისით, არჩილის შემოქმედებაში უკვე რეალიზმის ნიშან-თვისებებიც იკვეთება.

[63] *ტექსტს ვიმოწმებთ გამოცემის მიხედვით: ქართული პოეზია. ტ. III, თეიმურაზ I , არჩილი, ნაკადული, თბ., 1975.*

არჩილის „გაბაასებაში“ ჩნდება ბიბლიური სახე-სიმბოლოებიც, ბიბლიური თემები, რომელთა მიზანია ადამიანის განსწავლა, სწორ გზაზე დაყენება, სწორი გზის ჩვენება ცხოვრებაში. მოგვიანებით მსგავს ხერხს მიმართავს დავით გურამიშვილიც, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ, თუ დ. გურამიშვილი ძველი აღთქმის სახეებს იყენებს, – არჩილთან ბიბლიის ორივე ნაწილს ვხვდებით – ძველ აღთქმასაც და ახალ აღთქმასაც“ (ჭუმბურიძე 1987). „გაბაასება კაცისა და სოფლისა“ ძალზე საინტერესო თხზულებაა საღვთისმეტყველო თვალსაზრისით. არჩილი წარმოგვიდგენს, როგორც საღვთისმეტყველო სწავლებას, აგრეთვე, მთელ თავის მსოფლმხედველობას, შეხედულებებს ცხოვრების, წუთისოფლის, მარადისობის შესახებ. არჩილის მსოფლმხედველობა ქრისტიანულ-მართლმადიდებლურია და ემყარება ბიბლიის ცოდნასა და მის საწყისებს. „გაბაასებაში“ წარმოდგენილია ცოდვით დაცემული ადამიანი (ჯერ – ადამი და შემდეგ – მისი შვილები და მთელი კაცობრიობა). ადამის ცოდვაც ხაზგასმით არის ნაჩვენები თხზულებაში: ურჩობა, ღვთის აკრძალვისაგან (მცნებისგან) გარდახდომა და არა – უშუალოდ ხილის მიღება. მცნებისგან გარდახდომას კი მიზნად განღმრთობა – ღმერთად ქცევა – ჰქონდა დასახული, ანუ ამპარტავნობა იყო ურჩობის საფუძველი. სწორედ ურჩობის გამო დაკარგა ადამმა სამოთხე და განიდევნა მიწიერ სამყოფელში. ურჩობისა და ამპარტავნობის გამო ამ სოფელში მოხვედრილი ადამიანი (ადამი) წუხს, გმობს, საყვედურობს სოფელს მისი მუხთლობის, სივერაგის, „ტრელობის“ გამო: „სიტყვა პირველი კაცისა: სოფლის სიმუხთლე, ტრელობა,/ ვაი სოფლისა დაწყებით, ბოლომდის მრუდედ მვლელობა!/ არას ბრძოლისგან იცნობა მისი ეგზომი ჭრელობა,/ რა მწვე სიცრუის აფრაა, სიმუხთლის პელეგონობა!“. სოფლის მომდურავ კაცს ავტორი ორიგინალურად – სოფლისავე პირით – შეაგონებს. მართალია,იოანე ღვთისმეტყველის სიტყვებით, სოფელი „ბოროტსა ზედა დგას“ (1ინ. 5–19), მაგრამ ადამიანმა ისიც უნდა გაიხსენოს, რომ ღმერთმა იგი თავის ხატად და მსგავსად შექმნა. „დაჰბადა კაცი უმანკო, წრფელი, სახიერი, შეუწუხებელი, უზრუნველი, ყოვლითა სათნოებითა შემკობილი“ (წინამძღუარი 2007:187). ადამმა პირველქმნილი უცოდველობა სამოთხეში უფლის მცნების დარღვევით დაკარგა. ცოდვით დაცემით კაცმა „შეიმოსა სიზრქე საწუთროისა ამის ცხორებისა და მოკუდავ იქმნა“. ადამიანმა ნებით შეიწყნარა ეშმაკის ბოროტი განზრახვა და ადამის შთამომავალნი „ესრეთ აღივსნეს ყოვლითავე ცოდვითა და ყოვლისა უშჯულოებისა აღმასრულებელ იქმნეს და აღივსო სოფელი ცოდვითა“ (წინამძღუარი 2007:191). ცოდვამ მოიცვა ადამიანის სულიერი ძალები: გული (გრძნობები), გონება და ნება. XVII საუკუნის II ნახევარში დამკვიდრებული სარწმუნოებრივი, ზნეობრივი დაცემითა და ეროვნული საქმისადმი გულგრილობით სულიერძალაგაცლილ საქართველოს არჩილ მეფემ საყრდენივით შეაშველა მაღალი ზნეობრივი პრინციპების მქადაგებელი თხზულებანი. მისი ნაწარმოებების საფუძველი ადამიანის დანიშნულების ქრისტი-

ანული სწავლებაა. მეფე-პოეტის შემოქმედების ცენტრში კაცის წინააღმდეგობით სავსე, ცოდვისაკენ მიდრეკილი შინაგანი სამყაროა. სწორედ, ამ მხრივ, გამოირჩევა „გაბაასება კაცისა და სოფლისა“, რომელიც არჩილს 37 წლის ასაკში დაუმთავრებია. მასში თავისი ხვედრით უკმაყოფილო ადამიანი საკუთარი წარუმატებლობის მიზეზად მუხთალ წუთისოფელს მიიჩნევს: „სოფელო, მუდამ ტრელობით, მიკვირს, არ სცხრები რად არა?/ არ მოვსვთლი მუდამ სიმუხთლეს, რაები მიყავ, რა და რა!“ სოფელი კი მიუთითებს, რომ ადამიანმა საკუთარ თავში უნდა ეძიოს მიზეზები.

„გაბაასება“ არის მცდელობა იმისა, რომ ავტორი ჩაწვდეს ადამიანურ ბუნებას და, ამავდროულად, გაიაზროს და გაგვიზიაროს ადამიანის დანიშნულება ამ სამყაროში, მისი ყოფის გამართლება, მისი მიზანი, თუ „ვინ არის“ იგი, რისთვის მოსულა და საითკენ მიემართება. ეს სამყარო შექმნილია ადამიანისათვის,მაგრამ ადამიანის დაუმორჩილებელმა, ცნობისმოყვარე და ხარბმა ბუნებამ იმარჯვა. „მეცნიერად“ შექმნილი ადამიანი თავისუფალია არჩევანში. სოფელი ეუბნება კიდეც მას: „ნებსით თუ არ გექმნა, გუფლებოდა ვერც მტერია“. იქნებ ბუნებით ცრუ შექმნა უფალმა ადამიანი? იქნებ თავად ღმერთმა დაუშვა, რომ შემცდარიყო ადამი?! აქ თითქოსდა ჩანს ერთგვარი გამოძახილი დუალისტური ფილოსოფიისა, დუალისტური მიდგომისა, რასაც თვით ადამიანის წინააღმდეგობრივი ბუნება განაპირობებს. ადამი სვამს რიტორიკულ კითხვას: „თუ ბუნებით არა მქონდა, რახან აღვდეგ, რად თან ამყვა?“ ავტორი სოფლის პასუხში ხაზს უსვამს ნების თავისუფლებას. თავისუფლება არის „ხელმწიფება თავისა“, ამიტომ ადამიანს შეუძლია, თავად შეაკავოს საკუთარი სიხარბე და გაუმაძღრობა. ბოროტი უარსოა. სოფელი ეუბნება კიდეც ადამს, რომ იგი „ბოროტს ვერ იცნობდა“, რადგან ბოროტს უფლის ბუნება არ აქვს: „ბოროტს მაგად ვერ იცნობდი, რომ არ ჰქონდა მის ბუნება“. ასე რომ ბოროტი ადამიანმა „შექმნა“ თავისი ცოდვით დაცემის შედეგად. „გაბაასება კაცისა და სოფლისა“ საინტერესო თხზულებაა საღვთისმეტყველო თვალსაზრისით, რადგან მასში პოეტური სახითა და ლირიკული ელფერით არის წარმოდგენილი ადამიანის რაობის, მისი ბუნების ქრისტიანული გაგება, რაც მოიაზრებს, როგორც ძველი აღთქმის, ასევე, ახალი აღთქმის სახე-სიმბოლოებსა და სწავლებას. ამ თვალსაზრისით, „გაბაასებაში“ არის საუბარი უფლის შემოქმედების, ადამიანის დაცემის, უფლის განხორციელების შესახებ. აგრეთვე, არჩილი გვესაუბრება ნათლისღებაზე, ძველი ადამის განძარცვასა და ქრისტეთი შემოსვაზე, ქრისტეს მოსვლაზე.

განხორციელებული უფლის მადლით „ძველი წყევა“ „აღიხოცა“ და მხსნელი ქრისტეს მიერ ადამიანს მიეცა ხსნის გზა. სოფელი ეუბნება ადამს: "სასუფეველი მოგეცათ სამკვიდროდ და მამეულად,/ თქვენი არის დღეის წაღმა, ნუღარ უჭვრეტთ მისეულად,/ ვინც იესო შეიმოსოთ, ვერვინ გმძლავრობსთ მოსეულად,/ ცოტა ხანს თუ ხორცს გატკენდესთ, ვერა გავნოსთ სულსა სულად". ახალი აღთქმის გარდა,

ნაწარმოებში მოყვანილია სახეები ძველი აღთქმიდანაც, ძველი აღთქმისეული სწავლება თუ სიუჟეტები. ასეთია, მაგ., მართალი იობის სახე და ხსენება ნაწარმოებში. ადამიანი ამუნათებს სოფელს, „ყოვლით საქმით რომ განმართლდე, იობით მაინც ცრუ ხარო“. მაგრამ სოფელი განმარტავს, რომ ვერანაირმა განსაცდელმა „ვერ არია“ იობი, ამიტომაც „უმანკოს, მართლის იობის არ მოსწყდეთ თქვენ მოხსენებასო“, – მოძღვრავს სოფელი ადამიანს. აქვე უჩვენებს განსაცდელის ორმაგ ბუნებას: "კვლა განსაცდელის შემთხვევა ორპირად გამოაჩინოს,/ თუ ვინ მართალი შთავარდეს, მადლობით მალ მოარჩინოს,/ უნანელს ცოდვილს პასუხი მიეგოს, არ შეარჩინოს,/ უღვთოს ანგარის კაცისა კვალიცა ნუ დაეჩინოს". განსაცდელი შეიძლება სიმართლისთვისაც შეემთხვიოს ადამიანს და შეიძლება ცოდვის წილ დაემართოს. თუ სიმართლის გამო შეხვდა ადამიანს განსაცდელი, – ეს მას ძალზე არგებს უკვდავი ცხოვრებისათვის; ხოლო თუ ცოდვის გამო შეხვდა განსაცდელი, მაშ, ადამიანს მოვალე ეძებს და უჯობს, წუთისოფელშივე გადაწყვიტოს თავისი ვალის გადახდა, "იქ უშრეტი ცეცხლის დაგებს".

ამგვარად არის "გაბაასების" ტექსტში სახეები, როგორც ძველი, ასევე, ახალი აღთქმის წიგნებიდან.

არჩილის "გაბაასების" მიხედვით საღვთისმეტყველო საკითხების შესწავლის თვალსაზრისით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა კვლევა არის წარმოდგენილი, კერძოდ: კ. კეკელიძის „არჩილ მეფე“, ქ. ტრაპაიძის „ბიბლიური სახეები და მოტივები არჩილის ლექსში „გაბაასება კაცისა და სოფლისა“ (სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, 1997 წელი), ლ. რუხაძის „ქართული აზროვნების ერთი თავისებურება – „საწუთროსა და სიკვდილის“ სახე-სიმბოლოები XVI-XVII საუკუნეების ქართულ პოეზიაში“ (სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, 1997 წ.), ვასილ მიქაბერიძის „ყოფის ამაოება არჩილის პოეზიაში“ (კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, №11. 2007 წ.), მაია ნაჭყებიას „სამყაროს სურათი არჩილის „გაბაასებაში კაცისა და სოფლისა“, აგრეთვე, მისივე, არჩილის „გაბაასება კაცისა და სოფლისა“ ბაროკოს ეპოქის ადამიანის კონცეფციის ასპექტში“ და სხვები.

ადამიანის ბუნება, როგორც რთული და წინააღმდეგობრივი, საკამაოდ დამაჯერებლად არის წარმოდგენილი არჩილის „გაბაასებაში“. ამ ვრცელ დიალოგში გამოკვეთილია ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა ნების თავისუფლება, არჩევანი, ურჩობა თუ მორჩილება, სიკეთე თუ ბოროტება, ცოდვა თუ მადლი, სიმდაბლე თუ ამპარტავნობა და სხვ. თავისი ბუნებით სრულად, სრულქმნილად არის შექმნილი ადამიანი. იგი არ იყო ბოროტის თანაზიარი, მხოლოდ მცნების გარდახდომამ და ურჩობამ ჩააგდო იგი სიმუხთლით აღსავსე ყოფიერებაში. სოფელი ეუბნება ადამს, რომ უფალმა "სრულ სიკეთითა აღგაგო, არ მოგცა ავის მცნობლობა,/ თავისა თავის უფალმან ბოროტს რად უწყე მფლობლობა?!". იქვე სოფელი ამბობს, რომ ადამი მეცნიერად შექმნილია და უმეცრებას კი ჩემულობს: "ავს ამისთვისნ ვერ იცნობდი, რომე შენში არ

ერია,/ რისთვის შესცდი, მცნებას დასცდი, არ გმართებდა შეგერია!/ შენის ნებით თუ არ გექმნა, უგფლებოდა ვერც მტერია.". აქ უკვე ჩანს ადამიანის ნების თავისუფლება და არჩევნის შესაძლებლობა.

ადამიანს აქვს "ხელმწიფება თავისა", მაგრამ სოფელი მიუთითებს, – "ავი ნურა მოგინდებისო". ასე მოექცა ადამის თავისუფალი ნება,არჩევანი და ხატება ბოროტის დამონებაში,იძლია მისგან. ამის შემდეგ სცნო ადამმა სიმწარეც, რადგანაც „უთუოდ მთხრებლში ჩავარდეს, ვინ უაღვიროდ რბოდისა“. მიუხედავად ამისა, ადამს აქვს კვლავ დაბრუნების იმედი და მისწრაფება და ცრუ, მუხთალ სოფელს სიმკაცრითაც კი მიმართავს: "შენით წამერთო დიდება, ნუ სცრუობ, ისევ მომე ცა!". სოფელი კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამპარტავნობით ბოროტნი ძალნი "გარდახდეს საზღვარს უფლისას, რაზედაც დაემართოდეს"; და "საზღვრის გარდახდომა" არის მიჩნეული ამპარტავნობის საფუძვლადაც და შედეგადაც. სწორედ მას მოსდევს ადამიანის ცოდვით დაცემა ადამიანსაც საზღვარი დაუდო უფალმა; უბრძანა: "... ადამ, ნუ მეურჩებია,/ ამ ურჩებისა ნაყოფსა ნუ სჭამ, ნუ შეეხებია! თუ სჭამო, მუნვე სიკვდილით მოჰკვდე, ვერ მოურჩებია,/ ნეტა, თუ ის არ გესმია, სულ ქვეყნით ვერ დარჩებია." სოფელი ეუბნება ადამიანს, – ნუ იფიქრებს, რომ ვაშლით მოკვდა იგი, ყურძნით ან ლეღვით, არამედ – "მცნების ურჩებითა და ბრძანების გარდასვლითა,/ უფრო კიდევ განღმრთობისა ნდომითა და სურვილითა". განღმრთობა ღვთაებრივი გზით სასურველი და სანეტაროა, მაგრამაქ ავტორი უფალთან გაჯიბრების, ამპარტავნობის ცოდვაზე საუბრობს. ადამიანის ამპარტავნობას, მართლაც, საზღვარი არ აქვს; იგი უფალს ღმერთობასაც კი შეეცილა, მასავით ყოფნა მოინდომა: "განღმრთობასაც შეეცილე,რადგან იყო დიდ ხანათი,/ შეადარე ჩემს სიცრუვეს, შენსა სჯობდეს რა ხანათი!".

ადამიანს აქვს "თავისი ნება", "თავისი ნების მქნელია", – ამბობს სოფელი; აქვე აღნიშნავს უსულოთა დამოკიდებულებას ერთმანეთზე: "ცა, ქვეყანა ასრე არის ერთმანეთის იძულებით,.../დიდს ზღვას ქარი ააღელვებს, არ აყენებს თავის ნებით,/ მნათობთ ეტლი არ უტევებს წამსა ერთსა განსვენებად,/ მზე მომახლდეს, გამაახლებს, – განმეშოროს, შემიქმს ვნებად,/ წელიწადში ოთხ გზით შემცვლის ხან სიცხედ და ხან ყინვებად,/ ჩვენ არვის გვაქვს ხემწიფობა, ოდენ შენ ხარ თავის ნებად", – მიმართვას სოფელი ადამს. ადამის შვლებს კი ეუბნება, რომ "სხვა ნივთს ნუ ემსგავსეთ, თქვენ მაღალ ხართ და სხვა ქვენი". თუ ამ სიმაღლეს ადამიანი არ შეიფერებს და არ დაიმკვიდრებს, მაშინ "კაცობას ნუღარ იტყვით და პირუტყვნი დაირქვენითო", – აცხადებს სოფელი, რაც გამოძახილია დავით მეფსალმუნის სიტყვებისა: „კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმა-ყო; ჰბაძვიდა იგი პირუტყუთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ “ (ფს. 48, 12).

აღსანიშნავია, რომ ჩვენ უკვე შეგვიძლია გამოვყოთ ნაწარმოებში მხატვრული სახე – სოფელი, როგორც ავტორის, მთხრობლის ერთგვარი „ლირიკული“ მე, ავტორის

შინაგანი „გაორებული“ ფიქრები, რის გამოც მოცემული დიალოგი სოფელსა და კაცს შორის წარმოგვიდგება, როგორც თვით ავტორის, არჩილის, საკუთარი შინაგანი დიალოგი და პოლემიკა. სწორედ თავისუფალი ნებისა და მაღალი ბუნების გამო ადამიანმა სწორად უნდა წარმართოს თავისი არჩევანი სიცოცხლესა და სიკვდილს, სინათლესა და სიბნელეს, სიკეთესა და ბოროტებას შორის. „რომელიც გთნავსთ, მაზედ წარხვალთ, რა საქმეა სიძნელისა!/ აღირჩიეთ უმჯობესი, ნუ გსურთ ცრუ მოქადულისა“, – მიმართავს სოფელი ადამის შვილებს.

სწორედ ეს არჩევანია უმთავრესი ადამიანისათვის ცხოვრების გზაზე, ანუ სასუფევლისკენ მიმავალ გზაზე. ადამიანს უწევს სიკვდილ–სიცოცხლის გზის გავლა და ამ გზაზე არჩევნის გაკეთება; სურს თუ არა მას სასუფეველი? სურს თუ არა სიწმინდეში მკვიდრობა? ეს თითოეული ადამიანისათვის ინდივიდუალურად გადასაწყვეტია, პირადი არჩევანია და სწორედ ამის შესახებ ებაასება კიდეც სოფელს ადამიანი არჩილის "გაბაასებაში". ნაწარმოებში ისიცაა აღნიშნული, რომ "თვინიერ ღვთისა კეთილი არარა წარემართების". სიწმინდით მოღვაწე "ფინიკებრ აღემართების", ხოლო მწიკლოვანებით აღზევებული დაეცემა და "ამგვარად დაემართება". ქრისტეს სიყვარულს სოფლის სიყვარული არ უნდა ამჯობინოს ადამიანმა. ქრისტეს მოსვლის შემდეგ ადამიანს პასუხი აღარ აქვს და ცოდვის მიზეზის გამართლება, რადგან ყოველგვარი ტვირთი იტვირთა ქრისტემ და ამით დაიხსნა ადამიანი. ადამის შვილებს სწორედ ამას ეუბნება სოფელი, რადგანაც ადამის ძენი, ადამის სანაცვლოდ, იმგვარადვე ესაუბრებიან სოფელს და ასაყვედურობენ მას, როგორც თვითონ ადამი. ნაწარმოებში აშკარად ჩანს, რომ ისინი ნამდვილი მემკვიდრენი არიან ადამისა, მისი ბუნებისა. ასე რომ, ადამის ბუნება და მისი ცოდვიანობა მემკვიდრეობითია, ყველა ადამიანზე გადასული, ამიტომაც ადამისა და სოფლის გაბაასება აქტუალურია თავისი არსით თითოეული ადამიანისათვის. სოფელი მიუთითებს ადამის ძეებს, რომ მათ გონება მიეცათ, „ხელოვანება“, ცვლილებათა უნარი, ამიტომ თავს ვერ გაიმართლებენ იმით, რომ „ადამის ცთომისა წილი გვიც, მითა ვსცთებითო“. სოფელი ჩამოთვლის, თუ რა შეუძლიათ ადამის ძეებს, ანუ ადამიანს, საერთოდ: ტკბილი ხილისას „მოიხვამენ“, ტყავს სხვაზე „ჩამოაცმენ“, ძირმწარეს დაატკბობენ, – ამგვარი საქმიანობით ადამიანებს შეუძლიათ "სხვა სხვითა ბუნებით" შეცვალონ.

სამფერ ხილს მოიტანენ ადამის ძენი და სხვა ხეზე დამყნიან, სამსავე ხილს „სხვაფერ“ გაახარებენ, „პირველ ბუნებას შეუცვლიან“. აქ ნაჩვენებია ადამიანში შემოქმედების ნიჭი, ცვალებადობათა უნარი. აღნიშნულია, რომ ადამიანს თვით გარემოს, ბუნების შეცვლაც კი შეუძლია, ისეთი გონება აქვს უფლისგან მიმადლებული. სწორედ ამის შესახებ ეუბნება სოფელი ადამის ძეებს: „მწარეს ნუშს, მჟავე ბროწეულს ამასაც ასე გამოსცვლით, /ორსავ ძირში მკვარს გაუყრით, სიტკბოებად ამით შეცვლით,/ ... მე სრულ რისთვინ მათქმევინებთ, თქვენს საქმესა თქვენც ვერ მოსთვლით?“.

აქ დასკვნა ერთია: ამგვარი გონების პატრონმა სწორი არჩევანი უნდა გააკეთოს უდარესსა და უმჯობესს შორის; და, თუ მამის მორჩილება ექნება, იგი არ ჩავარდება სავაგლახო ვითარებაში, რასაც მოიჩივლებს ადამიანი სოფლის (ცხოვრების) წინაშე. ადამიანის ბუნების ამგვარად დახატვაში არჩილს უხვად აქვს გამოყენებული ისეთი პასაჟები, სადაც აშკარად ჩანს, როგორც ფილოსოფიური დამოკიდებულება ადამიანისა და ცხოვრებისადმი, ასევე, ფსიქოლოგიური წვდომა ადამიანის არსისა. ამ თვალსაზრისით ნაწარმოები უკვე შეიცავს ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ ელემენტებს, რაც ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი გახდა, მოგვიანებით, ქართველი რომანტიკოსების, კერძოდ კი, ნ. ბარათაშვილის პოეზიისა. საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ არჩილის თხზულებაში ჩვენ უკვე ვხედავთ ყოფის ეგზისტენციალური გაგების საკითხებსა და დამახასიათებელ ნიშნებს. არჩილი გვიხატავს ადამიანისა და ცხოვრების „ორმაგ“, კონტრასტულ ხასიათს, გვიჩვენებს ადამიანის დაცემულ ბუნებას და ცდილობს გზის გაკვლევას ჭეშმარიტ გზაზე – სასუფევლისაკენ მიმავალ გზაზე.

ნაწარმოებში ნაჩვენებია ადამიანის სულის უკვდავება, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხების თეისტური გააზრება, სიცოცხლის საზრისის ძიება, ძიება ბედნიერების გზისა. ამავე დროს, ნაჩვენებია ადამიანის ფსიქოლოგიური მრავალფეროვნება, მისი ხასიათისა და ბუნების მრავალგვარობა, კარგად ჩანს ადამიანის დამახასიათებელი თვისებები, მისი წინააღმდეგობრივი შინაგანი სამყარო. მაგალითად, ადამიანს სურს "ყოველი სიკეთით ყოფა სიმდიდრით...ზეცის ქალაქსა მკვიდრ ყოფა", მაგრამ ადამიანს სოფელივე აცდუნებს, რომელიც "ტკბილადრე შემომყეფელია". ამგვარ ფრაზაშიც – "ტკბილად შემომყეფელი" – ჩანს ცხოვრებისა და ადამიანის ორმაგი, კონტრასტული ბუნება. ადამიანი თუ მდიდარია, – მეტ დიდებას მოიწადინებს; მაგრამ შემდეგ ვინმე სხვას წაჰკიდებს სოფელი და ადამიანიც იმას დაემონება: ბევრიც რომ ჰქონდეს სიმდიდრე, – სიხარბეს შეჰყრის წუთისოფელი, რაც დიდ ჭირად გაუხდება ადამიანს, სხვისას მოანდომებს და ძალით წაართმევინებს, უსამართლოდ გახდის. ამგვარად გვიხატავს არჩილი ადამიანის დაცემულ ბუნებას.

სოფელი თითქოსდა უფრო მეტ კეთილგანწყობას იჩენს ადამიანის მიმართ (ნაწარმოების მიხედვით), რადგან სურს მისი განსწავლა და უფლის მცნებასთან დაახლოება; ხოლო ადამიანი კი წარმოდგენილია უკმაყოფილო, უმადურ არსებად (ქმნილებად), რომელსაც, დიახაც, სჭირდება განბრძნობა და განღმრთობა, ანუ ღვთის გზის გავლით ღმერთთან მისვლა და შერთვა მასთან. სწორედ განღმრთობის გზას უსახავს სოფელი ადამიანს მიზნად და ამაში ხედავს კიდეც თავის დანიშნულებას. თვით შესაქმიდანვე უფალმა მოწყალება მოიღო ადამიანზე, როგორც ამას აღნიშნავს არჩილი თავის "გაბაასებაში", სოფლის მეშვეობით. კერძოდ, სოფელი ეუბნება ადამიანს: უფალმა სრულქმნა "ცანი და ქვეყანა, შენთვის მით იყო შვებითა". აგრეთვე: "ცა ყოვლითა სამკაულით გაგიშვენა და დაგირთო,/ კვლავ ქვეყანა ყოვლის ნივთით მით

აგივსო, შენ მიირთო,/ აწ შენ შეგქმნა საპატრონოდ, ბრალი არის, რომ წაირთო,/ ამ დიდების მომზირალმან, ჰხამს, სიცრუე არ შეირთო!".

აგრეთვე, სოფელი ეუბნება ადამს: "თუ მორჩილ იყო იმისი [უფლისა], ვინ იყო შენი დამნთქმელი?" ან: "ხატებითა გცა პატივი, სული შთაგბერა ცხოველი". სოფელი გაკვირვებულია, რომ ადამიანმა აირჩია "ის ერთი ხე" და მიმართავს: "გვიჩვენე, თუ გვჯობდა ყველას ერთიც ხე". სოფელი აღნიშნავს იმასაც, რომ ადამი სცდა, ავ საქმეს დამორჩილდა. იგი, "მეცნიერად შექმნილი", "უმეცრების მჩემებელი" გახდა. "სრულ სიკეთით აღგებულს", ადამს არ მიეცა "ავის მცნობლობა", მან კი, "თავის თავისა უფალმან", ბოროტს დაუწყო "მფლობლობა". სოფელი აყვედრებს, ამხელს ადამს: "რისთვის შესცდი, მცნებას დასცდი, არ გმართებდა შეგერია,/ შენის ნებით თუ არ გექმნა, უგფლებოდა ვერც მტერია". ამ ცოდვის გამო ადამს "მტერმა უწყო დამონება", რადგან იგი "მოწყალესა ღმერთს გაშორდა". მართალია, ურჩობით დაეცა ადამი, მცნების გარდასვლით, მაგრამ მას სოფელი კვლავ უჩვენებს უფლისაკენ სავალ გზას, რათა ადამი დაუბრუნდეს თავის ოდინდელ, პირვანდელ სამყოფელს – ცათა სასუფეველს. ეს გზა კი განბრძნობასა და განსულიერებას გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, განღმრთობის გზაა. სოფელი იმასაც უჩვენებს, რომ ჩემი (სოფლის) სიყვარულის წილ ქრისტეს სურვილი თუ გექნებათ, – "თუ ვინ გმძლავრობდეს, გმტერობდესთ, აღარა რითი დაინთქნეთ". ამრიგად, ადამიანისათვის მტერიც კი აღარ იქნება საშიში; მაგრამ სოფელი აქვე გზას უსახავს ადამიანს , რომ იგი განწირული არაა; მართალია, ცოდვით დაეცა, მაგრამ ქრისტეს გულმოწყალების გამო ეს ცოდვა შეიძლება გადაიქცეს უფლისკენ სავალ გზად: ამ დაცემამ, კაცნო, "განგაღმრთოცა,/ უკვდავება თქვენ მოგმადლა, მოშურნე კი დაგიხოცა", – ეუბნება სოფელი ადამიანს.

ადამიანს მიეცა ნათლისღება:"ძველისა მის თბის დანთქმითა ახალი მიიღებისა,/ ეს ცად აღგიყვანს ამ სახით, დახშული განეღებისა,/ იშოვეთ სამოთხის კარ–ბაღებისა". ამ სიკეთესა და დიდებას თვითონ არ უნდა მიითვალვიდეს ადამიანი: იგი, მართალია, უკვდავია, მაგრამ უკვდავია უფლის მიერ, ამიტომ სოფელი აცხადებს: "თქვენს სიკეთეს ნუ აბრალებთ, თბე თქვენი ღვთის მარჯვნით მოსოთ". ადამიანი თუ "ხატებას დაიმარხავს", ვერაფერი ვეღარ ეურჩება მას, ყველა ქმნილების განმგებელია იგი, – ნივთიერისაც და უნივთოსიც: „არ მარტო ნივთთ უფალი ხარ, უნივთონიც გმორჩილობენ,/ წმინდათ კაცთა ანგელოზნი ემსახურნეს, არ ურჩობენ", – აღნიშნავს სოფელი. და ბოლოს, სოფელი აშკარად, გამოკვეთით უჩვენებს ადამიანს განღმრთობისა და განბრძნობის მიზანს, ადამიანის ხსნასა და ნავთსაყუდელს – ცათა სასუფეველს: „სასუფეველი მოგეცათ სამკვიდროდ და მამეულად,/თქვენი არის დღეის წაღმა, ნუღარ უჭვრეტთ მისეულად,/ ვინც იესო შეიმოსოთ, ვერვინ გმძლავრობთ მოსეულად,/ ცოტა ხანს თუ ხორცს გატკენდეს, ვერა გავნოსთ სულსა სულად“. ამგვარად უსახავს სოფელი ადამიანს განღმრთობის – ღვთისაკენ მიმავალ, ღმერთთან დასაახლოებელ – გზას. ამ

გზაზე ადამიანს მოუწევს არჩევანი და სიბრძნის მოხმობა, სიბრძნის შეყვარება, და არა– წუთისოფლის ცოდვებისადმი დამონება.

არჩილის „გაბაასება კაცისა და სოფლისა" დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას, დღესაც საინტერესოა იგი მკითხველისათვის, როგორც ლიტერატურულ–ისტორიული თვალსაზრისით, ასევე, თავისი თემატიკითა და პრობლემატიკით, რამდენადაც ადამიანი განუწყვეტლივ ებაასება სოფელს და ეძებს ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზას. ქართული ლიტერატურის განვითარების გზაზე „გაბაასება კაცისა და სოფლისა" წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს, როგორც ჟანრის განვითარების, აგრეთვე, აზროვნების სტილის თვალსაზრისით. „გაბაასებაში" ჩვენ უკვე ვხედავთ როგორც რეალიზმის, ასევე, რომანტიზმის ჩანასახებს; ვეცნობით ახალ ჟანრს, კერძოდ, საკუთრივ გაბაასებასა და მორალიტეს, რითიც ცნაურდება უკვე დიდაქტიკური ჟანრი. ასევე, ვხედავთ ახალ ეტაპს ქართულ საღვთისმეტყველო აზროვნებაში, კერძოდ, ადამიანის დაეჭვებასა და პოლემიკას ამ საკითხების გამო, რის შედეგადაც უკვე შეიძლება ვისაუბროთ ყოფისადმი ეგზისტენციალური დამოკიდებულების შესახებ, თუმცა აღსანიშნავია, რომ ცხოვრების რთულ, დაეჭვებითა და წინააღმდეგობებით აღსავსე გზაზე, არჩილი გვიჩვენებს ერთადერთ ჭეშმარიტ გზას – გზას სასუფევლისას, რაც წარმოადგენს კიდეც ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების მიზანს.

## ლიტერატურა:


1. *კეკელიძე 1981: კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. მე-2, თბ., 1981.*
2. *ნაჭყებია 2006: ნაჭყებია მ. არჩილის „გაბაასება კაცისა და სოფლისა" ბაროკოს ეპოქის ადამიანის კონცეფციის ასპექტში. პერსპექტივა-XXI, VIII (2), თბ.: 2006.*
3. *წინამძღუარი 2007: წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი, წინამძღუარი (სარწმუნოებისათვის), ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თ. ჭყონიამ და ნ. ჩიკვატიამ, არტანუჯი, თბ. 2007.*
4. *ჭუმბურიძე 1987: ლ. ჭუმბურიძე, არჩილისა და დ.გურამიშვილის მხატვრული აზროვნების ზოგიერთი საკითხი, ლიტერატურათმცოდნეობა, თბ. 1987.*

## IN SEARCH OF HUMAN NATURE IN THE “CONVERSATION OF A MAN WITH THE WORLD” BY ARCHIL

*Archpriest Michael ChabaSvili*
*Mzia Tamazashvili*
*Lali Kikvidze*

1. Georgian Literature of the Renaissance period (XVI-XVIII centuries) that was determined by socio-economic and political-cultural situation of our country, presents such innovations that are characteristic to the writing of that epoc, such as strengthening of national motive and national creativity, broadening of thematics, new literary trends, new genres, in particular, conversation and morality play.
2. In this regard, the King Archil’s (1647-1713yy) creative work is especially interesting, particularly, his “Conversation of a man with the world” due to which Archil presents not only new thematics (moral, social inequality) but totally new genre as well; in the same work there already appears the pre-signs of romantism (N. Baratashvili, Vanity of Life, etc.) and realism (by specific meaning).
3. “Conversation of a man with the world” is an interesting work in theological point of view since the Human nature and Christian perception of his nature are presented in poetic and lyrical form which are also considered in teaching New and Old Testament and its symbols.
4. In this point, various studies are presented in scientific literature where all kinds of aspects of the work have been learnt, in particular, “the conversation of a man with the world” is presented in a variety of ways emphasizing the interest toward the work and its versatility. In our work we focus on human nature, its vatiety and aim.
5. Human nature, quite complex and contradictory, is presented in Archil’s “Conversation” in a very interesting and pursuasive way. In this wide conversation with the world are outlined the human characteristics such as free will, freedom of choice, disobedience or obedience, kindness or evil, sin or gratitude, humility or pride, heredity, change of environment (of lives, life) due to action, etc.
6. In depicting the human nature like this, Archil has used lots of passages where apparently appears not only philosophical attitude to the human and life but also psychological access to human nature. In this point, this work already includes

philosophical-psychological elements (which later became one of the peculiar features for Georgian romanticists', in particular, N. Baratashvili's poetry).

7. The world, as if, seems to have more sympathy toward the man (according to the work) because it wants him to be learnt and approach the Lord's commandments; but the man is presented as an unsatisfied, ungrateful creature, who, of course, needs to become wise and deified and the world considers this way as the only true path which the man has to follow and the world sees this as its purpose to the man.
8. The conversation shows a well-known theological idea, truth, that a human with his internal (contradictory) nature, has to follow the way of his Kingdom in which lies the essence of human life. Even today, in the era of devaluation and revaluation of values, the way of Kingdom is left to be the only true, eternal way in life what human must strive for with confidence, certainty and without hesitation. Even now, Archil's "Conversation of a man with the world" does not lose its importance, actuality and expresses support to the man who is constantly having conversation with the world; the man, who should eternally be following the true way of the Kingdom.

## რიჩარდ დოკინზის "ღმერთი - როგორც ილუზია" რაობისათვის

***ანტონინა ჩხარტიშვილი, მარიამ და მარატ ციცქიშვილები, ზურაბ და დავით ზურაბაშვილები***
*საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის შემოქმედებითი ჯგუფი „სულიერი სამყაროს ეკოლოგია“*

უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს პატრიარქის, ილია II-ის დავალებით გავეცანით ფიზიკოს რიჩარდ დოკინზის უკანასკნელ ხანს გახმაურებულ ნაშრომს "ღმერთი როგორც ილუზია". ეს ის რიჩარდ დოკინზია, რომელმაც ჯერ კიდევ 2006 წლის იანვარს ინგლისის მე-4 არხზე წარმოადგინა ორსერიანი დოკუმენტური კინოლენტა "ყველა სიავის ფესვი“ (ქართულად აზრობრივად სწორია "სიბოროტის სათავე"), რომელსაც ამერიკაში ზოგიერთები აღფრთოვანებულები პლაკატით "წარმოიდგინეთ სამყარო რელიგიის გარეშე" შეხვდნენ! ბატონი დოკინზის საოცარი აქტივობიდან გამომდინარე, საქმე გვაქვს ან რაიმე განსაკუთრებულ დავალებასა დაფინანსებასთან, ან კიდევ საშინელ ბავშვობასთან მისი წიგნის მთავარი არგუმენტი რელიგიის წინააღმდეგ არის მცირეწლოვანებზე ამა თუ იმ რელიგიის თავზე მოხვევა მისი პირადი არჩევანისა და სურვილის გარეშე. მართლაც შეიძლება დავინახოთ ამ ფაქტში ძალადობის ელემენტები, მაგრამ განა ნებისმიერი აღზრდის სისტემა არ შეიცავს ძალადობის ელემენტებს? აქ ჩვენ ვგულისხმობთ მოზარდის "სოციალიზაციის“ ხანგრძლივ პროცესს. დავესესხოთ მერაბ მამარდაშვილს: „ადამიანი ორჯერ იბადება, ჯერ ბიოლოგიურად, შემდგომ სოციალურად!“ ალბათ პატივცემულ რიჩარდ დოკინზს ურჩევნია ასოციალურ საზოგადოებაში გაზრდილი, სრულიად „თავისუფალი“ ახალგაზრდობა. ჩვენ ვიცით ამგვარი თაობის ბედი: ბუნება და ადამიანის ფსიქიკა სიცარიელეს ვერ იტანს ეს ახალგაზრდები "პავლიკა მოროზოვის", გიტლერ-იუგენდის ან მაფიის, "იაკუძას" ან "კოზა ნოსტრას" რიგებს ავსებენ, მერე კი ნაციონალისტური ფსევდოპატრიოტული სულისკვეთებით ავტომატებით ცხრილავენ სხვანაირად მოაზროვნეებს. და ბატონ დოკინზის მეზობლები სიამოვნებით ეცნობიან მათ "შინაგანი სამყაროს" კარნახით დაწერილ მემუარებს! იქნებ გენიალური ჰეგელის შეგონება მაინც გაიხსენოთ: „ღმერთი რომ არ იყოს, სასწრაფოდ გამოსაგონებელია-ო!“ პატარა ბავშვს თუ ზეციერი მფარველის შეგრძნება წაართვეს, ის ნამდვილად მშიშარა და დათრგუნული გაიზრდება და დიდობაში იმ საშინელ ბავშვობის განცდებს ბოღმითა და სიბოროტით ამოანთხევს. ნუ მოაკლებთ ბავშვებს ზრუნვას, აზიარეთ ისინი ხვთაებრივი სითბოს მადლს; მაშინ ისინი „დოკინზებათ“ არ გაიზრდებიან და იქნებიან არსებული ტრადიციული ადამიანური საზოგადოების წევრები, თავისი მშობლების პატივისცემლები და წინაპრების ადათის მიმდევრები. და თუ ამაში ვინმე მათ პიროვნულ ჩაგვრას ხედავს, ის შენიღბულად აღვირახსნილობისა და ანტისოციალური ქცევის პროპაგანდისტია.

# ON THE ESSENCE OF "THE GOD – AS AN ILLUSION" BY RICHARD DOKINZ

***Antonina Chkhartishvili, Mariam and Marat Tsitskishvilis,***
***Zurab and David Zurabashvilis***
*The Creative group of the Georgian Academy of Ecological Sciences*
*"The Ecology of the Spiritual World"*

By order of His Holiness and Beatitude, Patriarch of Georgia, Illia the II we have been acquainted with the recently announced work of the physicist Richard Dokinz "The God – as an illusion" who already in January of 2006 had represented on the 4$^{th}$ channel of England the documental film-reel in two parts "The root of all evils" (in Georgian semantically is correct – "The initial of evil") which by some people in America was met with the excited placard – "Imagine the World without a religion"! As a result of amazing activity of Mr. Dokinz we deal either with any special mission – financing, or may be with a terrible childhood. The main argument of his book against the religion is imposing this or that religion on children of young age without his private choice and wish. Really, it is possible really to see in this fact the elements of violation but is not it true that any system of education does comprise the elements of violation? – Here we mean a long process of "socialization" of a teenager.

Let's cite the words of Merab Mamardashvili: - "A man is born twice, for the first time – biologically, then –socially!" It might be that respected Richard Dokinz prefers completely "free" young people grown in asocial society. We know the fate of such a generation: the nature and the psychics of a man can't bear the emptiness – such an youth fills the rows of "Pavlik Morozov", Hitler-Augends or maphia, "Yakudza" or Coza Nostra", and then, with the nationalistic pseudo patriotic spirit shoot those thinking differently.

In addition, the neighbors of Mister Dokinz are acquainting with pleasure with their memoirs written under the dictate of "inner world! May be you are able to recollect even the exhortation of genius of Hegel: -"If the God were not, it should be invented urgently!" If a little child is seized of sensation of a heavenly guardian, it will be grown up in reality as a coward and oppressed and when it is grown up it will throw out with grief and evil those feelings of that terrible childhood. Do not leave the child without care, make it communion to the grace of Divine heat; than they will not be grown up and will become the members of existing traditional human society, respecting their parents and followers the habits of their ancestors. Moreover, if anybody sees in it the personal oppression he is the masked propagandist of promiscuity and antisocial behavior.

# «ЭКОЛОГИЯ ДУХОВНОЙ СРЕДЫ ЧЕЛОВЕКА» – НАЛИЧИЕ ДУХОВНОСТИ ИЛИ ВЕРА ДЛЯ ЭКОЛОГИЧЕСКОЙ ОПТИМИЗАЦИИ ОКРУЖАЮЩЕЙ ПРИРОДНОЙ СРЕДЫ КАВКАЗА

***Марат и Мариам Цицкишвили, А.Г.Чхартишвили***
*Академия экологических наук Грузии*

В отличии от политически идеологизированного и социально-диференцированного XX века, XXI век грядет как эпоха интеграции и экологизации. Однополюсный в политическом смысле мир оказался сильно подвержен диференциации в экологическом и валеологическом смысле - это переходная эпоха от “борьбы за существование” к “совместной борьбе за выживание”. Все более актуальными становятся вопросы глобальных оценок устойчивости биосферы, сохранения здоровой среды обитания. Экологический кризис - главная альтернатива прогресса современной цивилизации. Растущее потребление ископаемых и энергоресурсов, на фоне уменьшения плодородия и площадей пахотных зон и как результат обостренная проблема голода, деградация биосферы, уменьшение видового разнообразия флоры и фауны, растущее загрязнение окружающей среды и как результат сокращение продолжительности жизни в индустриальных регионах - на лицо все признаки надвигаюшейся экологической катастрофы.

К Кавказскому экорегиону обычно принято относить Краснодарский и Ставропольский края, Кабардино-Балкарскую, Северо-Осетинскую, Чечено-Ингушскую и Адыгейскую Республики, Грузию, Армению и Азербайджан. В такой трактовке Кавказ (без Ростовский обл., где фактически нет дикой природы и который, по нашему убеждению, относят к Кавказскому экорегиону только из политических целей «увеличения присутствия России на Кавказе») имеет площадь 44040 тыс. га. Здесь большое число заповедных территорий с общей площадью 898,2 тыс. га, т. е. 2,04% всей территории. При рассмотрений биоразнообразия Кавказа нельзя упускать из виду, что это один из наиболее давно заселенный регионов мира. Последние исследования указывают на Кавказ как родину первого человека на Европейском континенте: Дманисские захоронения, по данным грузинских и немецких археологов однозначно указывают на более древное происхождение “кавказопитека” по сравнению с ниандертальцем, креманьенцем, синантропом или австралопитеком. На это же указывает древность антропогенных ландшафтов Кавказа, их многообразие и распространенность. Вместе с тем Кавказ максимально сохранил нетронутой реликтовую природу древних эпох. В этом дуализм Кавказа, его почти мистический добиблейский этнос - ведь с Кавказом связан и Прометей - последний из титанов, и Ной - первый из атлантов, и многие греко-римские предания: об огнедышащих быках колхидского царя Язона или о золотом руне - не столько способе добычы золота осаждением на овечих

шкурах, сколько о высочайшем уровне земледелия страны "георгиев" и их тоньчайшем льне и легендарной ткани "золотое руно", о волшебной целительнице Медее - основательнице медицины. Кавказ, давший миру древнейшего современного «европоида» - основателя современной Европейской цивилизации, вместе с тем дал ему и все материальные основы современной цивилизации: земледелие, хлеб и вино, металургию и ткацкое дело с медициной! Столько не дала ни одна цивилизация, Рим и Греция, ни Двуречье, ни Египет, ни Индия и Китай! Кавказ - один из "200 глобальных экорегионов" (по определению WWF) , один из 25, наиболее выделяемых по уровню биоразнообразия биологических ресурсов. Играя чрезвычайную роль в сохранении биоразнообразия, определяемую стыком флор и фаун разного происхождения, различными типами высотной зональности, этот регион отличается высокой степенью эндемизма и большим количеством видов, занесенных в международную и национальные Красные книги. Особо возрастает значимость Кавказа как мирового центра видообразования, прародины многих растений, введеных в культуру. Чрезвычайно высокая уязвимость горных экосистем, объясняемая естественной нестабильностью геофизических условий, высокой интенсивностью идущих здесь эгзо- и эндо-генных процессов, требуют постоянных усилий по поддержанию неустойчивого равновесия. Распад СССР и фактическая деградация существующих систем контроля, охраны и использования природных ресурсов, обуславливают необходимость международных усилий для принятия мер по сохранению биологического разнообразия этого региона.

Датой учреждения первого на Кавказе заповедного участка принято считать 1910 год; так указывается в Академическом издании серии "Заповедники Кавказа" (М. "Мысль", 1990). На проходившем в 1912 г. в Тифлисе (тогдашняя транскрипция современного Тбилиси) XIII съезде естествоиспытателей и врачей Российской империи, специально приглашенный один из мировых основателей теории консервации дикой природы, известный немецкий ученый **Гуго фон Конвенц** сделал эпохальный доклад "Об охране памятников природы, вообще и на Кавказе в частности", где было высказано пожелание: ... "что касается Кавказа, то священной объязанностью современников должно быть стремление возможно лучше сохранить его многочисленные и дивные памятники природы, считаясь, само собой разумеется, с требованиями экономического характера. Не нужно быть пророком, чтобы предсказать, что близко то время, когда Кавказ откроется для оживленных сношений и индустрии. В ожидании этого времени, нужно позаботиться, чтобы выдающиеся красоты этого края не были уничтожены железными дорогами и заводами." (1912 г, Г. фон Конвенц). Многие предложения этого выдающегося эколога (который фактически неизвестен в Грузии), через "Решение постоянной комиссии по охране памятников природы на Кавказе" послужили основой для организации в последующем "законодательно оформленных" заповедников.

Экологический конфликт между человеком и окружающей его средой обитания не ограничивается только материальной сферой. Особую тревогу вызывают приямые и косвенные факты деградации внутренней - духовной сферы - психики человека в современном мире, проявляющиеся не только в прямом росте заболеваний психической сферы, но и в росте неадекватной реакции на изменяющуюся среду обитания - миграции и суициды! Область стоящих перед человечеством на рубеже XXI века проблем равно охватывает как материальную сферу обитания так и психо-социальные и этико-моральные аспекты, т.е. духовную сферу. Протекающие в изменчивом внешнем мире процесы деградации природной среды непосредственно затрагивая личность, вызывают "экологический стресс", а значит и изменения в его духовной сфере. Налицо неразрывное единство внутренней духовной сферы человека и внешней среды его обитания. **Объединяющая духовный и материальный мир сущность - человек, в силу своего предначертания должен смочь достичь консенсусса между этими двумя мирами во имя сохранения жизни!** Современная наука признает реальность существования нематериальной сферы - "духовной среды обитания". Экологическое загрязнение среды обитания человека закономерно вызывает деградацию духовной среды. "Духовная среда обитания", объединяющая индивидуальные психо-физиологические сути индивидумов (их духовное "эго") - вот предмет изучения нового раздела экологии человек (антропоэкологии) - "экологии духа"; в этом отличие этой научной дисциплины - духовной экологии от психологии. Нами систматизировано новое научное направление в рамках антропоэкологии ("экологии человека") - экологии духовной среды («экология духа»); это наука об экологии нематериальной среды обитания человека, под которой понимается объединяющая индивидуальные психо-"эго" и нематериальная - духовная среда обитания. При этом, как и для других отделов экологии, экология духа должна подчиняться сформулированному проф. М.С.Цицкишвили закону "экологической триады": *«Экология в конце XX- в начале XXI веков - по сути заново сформировавшееся новое научное направление, которое охватывает все аспекты современной цивилизации, начиная от всех аспектов сосуществования всего живого (от клеточного да популяционного уровней) со средой обитания, и кончая морально-этико-философскими проблемами существования в вечно меняющемся мире и предначертания человека для сохранения жизни на Земле! Наш анализ этого глобального по масштабам узла проблем показывает - основной критерий размежевания экологии как науки от прочих естественных наук: необходимость наличия и неразрывное единство в области расмотрения "экологической триады": объекта исследования - области его существования и воздействующего антропофактора, с объязательным анализом причинно-количественных связей. В противном случае, когда вместо триады рассматривается диада объект - среда, мы дело имеем с классическими естественными или медицинскими науками*

*типа биогеографии, климатологии, курортологии или почвоведения, геоботаники или гигиены».*

Что является третим компонентом экологической триады в “экологии духа”, наряду с объектом-человеком и его духовной средой обитания? Этот вопрос является фундаментальным для всей науки - великий Э.Кант называл его “моральным законом внутри нас” – это результат «социализации» человека, согласно возрениям известного философа Мераба Мамардашвили! Надо иметь в виду и реалии современного «социума» - религия повсеместно, независимо от религиозных возрений индивидума является существенным компонентом социализации личности. Именно исходя из общих традиций социализации общества, еще в середине прошлого века корифеи грузинской науки Авлимпий Зурабашвили и Шалва Нуцубидзе сформулировали два универсальных “пустулата прогресса” (*термин наш* – М.Ц.) человечества - “закон торжества добра над злом”, и “неизбежность перерождения “Homo Sapiens” в “Homo Morales”. Шедевры грузинской научной мысли, имеющие общечеловеческую ценность должны быть доступны всем представителям мировой цивилизации; эти универсальные “пустулаты эволюции” наглядно показывают, что корни экологической деградации в значительной мере морально-этического характера и не исчерпываются материально-ресурсными проблемами, загрязнением среды обитания и деградацией биосферы. Совершенно ясно, что перход к устойчивому развитию возможен только при условии “экологизации” мышления и всей деятельности человечества; повсеместного внедрения всеобщего и непрерывного экологического образования; подлинного освоение достижений мировой мысли, что немыслимо без ознакомления с достижениями мировой цивилизации, в том числе и кавказской! В настоящее время, в рамках антропоэкологии, с позиции новой научной дисциплины - “экологии духа”, необходимо единное расмотрение актуальных для всего Кавказа общемировых экологических проблем, которые одинаково проявляются и в материальном и в духовном мире человека.

Прошло более 30 лет со дня проведения исторической Конференции ЮНЕСКО по природоохранному образованию – Тбилисской Межправительственной конференции ЮНЕСКО 1977 года. Она ознаменовала собой переход на качественно новый уровень экологического образования во всем мире. До сих пор решения Тбилисской конференции ЮНЕСКО широко цитируются и служат руководящими документами для целей экологического и природоохранного образования во всем мире. За прошедшие годы после Тбилисской Конференции ЮНЕСКО в мире произошли разительные перемены. Конференция ООН в Рио-де-Жанейро провозгласила «взаимозависимость и неразделимость мира, развития и охраны окружающей среды», курс на устойчивое развитие. В Докладе 19-ой Спецсессии ООН в июне 1997 года на последующие четверть века было спрогнозировано «учащение «экологизированных конфликтов и углубление экологического стресса». После

«Всемирного Саммита Рио-10» в Йоханесбурге пустулирована недостаточность только увеличения финансовых вложений и институционализации процесса. Корень экологического кризиса - в неверных подходах к природопользованию и природоохране. Стимулирующим фактором объединения международного сообщества может стать новая концепция образования. Академик Н.Н.Моисеев назвал главным и основным условием «устойчивого развития» человечества – экологическое образование! Нужна новая экологическая концепция природоохранного образования, базирующаяся на этических принципах. Речь идет о недопустимости рассмотрения окружающей среды лишь как источника благ, сохранение ее в интересах все большей эксплуатации; в практике преподавания основ охраны природы мотивацией должно служить признание самоценности всех ее составных частей, независимо от их полезности для человека, а методом – минимизация вмешательства в естественную природную среду.

В настоящее время для государств Южного Кавказа наступает период выхода из экономического кризиса. Идет процесс выбора и реализаций основных направлений развития, составление долговременных планов социально – политического обустройства. Ускоряется урбанизация региона; когда то аграрный регион становится основным транзитным коридором между Востоком и Западом, между Европой и Азией! Именно сейчас весьма важно правильно ориентировать государства всего Кавказа на реализацию принципов устойчивого развития, на понимание того, что одним из основных факторов социального развития может служить правильная политика в области охраны природы и оптимального использования биоресурсов региона. Одна из актуальнейших задач международных организаций, частных лиц – меценатов, обществ и фондов – всемерное содействие и реальная поддержка этого процесса! В силу своего геополитического положения Кавказ, и в частности Закавказье, привлекают все большее внимание различных мировых политических сил. Намечаемые межконтинентальные комуникационные пути, нефте- и газо- проводы одназначно указывают на особое значение достижения не только политической, но и экологической стабильности в этом регионе, на заинтересованность в этом прогресивных сил и всего мирового сообщества. Поэтому, вне всякого сомнения, что будут приветствоваться любые усилия на всех уровнях – правительственном, общественном или религиозном для достижения стабильности. В этот процесс уже должны быть активно втянуты правительственные структуры стран Кавказа и близлежащих регионов. Объединение усилий многих специалистов совершенно различного профиля – биоэкологов, геоэкологов, социоэкологов, агроэкологов, социологов, политологов, футурологов, экономистов, врачей, биологов, строителей, технологов, юристов, успешное развитие не только традиционно актуальных научно-экологические направлений – биогеоценологии и охраны биоразнообразия, социоэкологии и геоурбанистики, геоэкологии и инженерной экологии, молисмологии и

менеджмента прибрежных зон, **формулирование совершенно новых научно-экологических направлений, например вышеприведеной «экологии духовной сферы» и «этноэкологии»** – вот гарантии успеха**. «Этноэкология»** - оптимизация и гармонизация условий совместного проживания-сосуществования различных народов и народностей, с учетом их многовековой адаптации к местной природной среде, со щадящей этно-натуральной экономикой. Этноэкология особенно актуальна для многонационального Кавказа, в условиях компактного проживания и усилившихся этноконфликтов, вызванных ими миграционных процессов, острой нехватки плодородных земель и т.д. Когда при отсутствии промышленности, экономической базы, основная социальная нагрузка падает на природные ресурсы – единственный источник обеспечения прожиточного минимума, и когда эта эксплуатация природных ресурсов носит хищнический характер, особенное социальное звучание приобретает юридическая гармонизация отношений общества и природы, хотя проблема охраны биоразнообразия Кавказа и рационального использования биоресурсов – проблема комплексная, в первую очередь связанная с экономическими проблемами наличия соответствующих средств, мобилизацией профессиональных и информационных средств, формированием общественного мнения, созданием правильных природоохранных мотиваций и стимулов, гармонизацией соответствующей законодательной базы, оптимизацией институционального устройства, усилиями на национальном и региональном уровнях, пониманием общемировой значимости проблемы и роли социума.

Для избежания экологической деградации в целом региона Кавказа, достижения реального устойчивого развития, возможны следующие рекомендации в практической деятельности в области охраны природы Кавказа, которые должны быть акцентированы в процессе преподования: должен быть введен в правило приоритет природоохранной деятельности, как основной хозяйственной деятельности в регионе; должно быть введено объязательное всеобщее непрерывное экологическое образование, с максимальным поощрением научных экологических исследований; должны быть узаконены экологическая этика, принципы валеологии и экологии духа как обычные нормы этики и поведения цивилизованного гражданского общества, ответственность за все живое; это срочное восстановление и оптимизация сети мониторинга, с его функциональной диференциацией (реально фоновы, импактный, урбанистский-гигиенический), которой нет и без которой эта система не имеет смысла; это микроэлементная кадастрация всей пищевой и сельскохозяйственной продукции: по сортам, агротехническим условиям, регионам, почвенным и климатическим условиям. Это принесет и экономические выгоды; без этого всякие «экологически чистые» ярлыки - фикция и обман; это кадастрация и постоянный мониторинг качества и водопотребления на основных водных магистралях и водоисточниках всех групп. Вода будет источником богатства региона, но нельзя упускать время – срочно

должны буть проведены большие организационное мероприятия. Разработка «Концепции экологического образования» создает необходимую основу для гармонизации взаимоотношений Человека и Природы, лучшего взаимопонимания между народами, в конечном итоге – для формирования «Концепции Устойчивого Развития » региона Кавказа. В реалиях XX1 века современная экология – мультидисциплинарная научная дисциплина – основа стратегии и тактики спасения жизни на Земле, должна стать обязательной учебной дисциплиной для будущих специалистов любого профиля. **Образование является ключевым звеном, обеспечивающим связь между культурой и развитием. Оно не может существовать в отрыве от культурной среды.** При этом, образование берет свое начало в человеческой культуре, а культура дает ключ к устойчивому человеческому развитию. Вообще, на наш взгляд, **«общая культура» – это понимание обществом своей деятельности через знание, даваемое образован**ием. Образование напрямую связано с научным знанием как элементом культуры**.** По очень четкому определению замечательного философа М.К. Мамардашвили: **культура – это способ поддержания негенетической памяти человечества, реализуемый через образование.** Очевидно культура органически включает в себя и даже требует достижения экологической гармонии как с материальным миром, так и в духовной сфере.


***reziume:***

კაცობრიობის წინაშე მდგარი პრობლემები, თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების ალტერნატივა – ეკოლოგიური კრიზისი განვითარებად მსოფლიოს წინაშე სახავს რიგ პრობლემებს. ნაშრომში ჩამოყალიბებულია ეკოლოგიის სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერები¬საგან გამიჯვნის ძირითადი კრიტერიუმები – “ეკოლოგიური ტრიადის” აუცილებელი არსებობა. ნაშრომში განხილულია კავკასიის რეგიონის მდგრადი განვითარების ასპექტები. კავკასია მსოფლიო ისტორიული და ეკოლოგიური ფასეულობის მქონე რეგიონია. ამავ დროს ეს რეგიონი – ტრანზიტული დერეფანია აზიასა და ევროპას შორის. Mმთიანი ეკოსისტემების მაღალი მოწყვლადობა, გამოწვეული ბუნებრივი არასტებილურობითა და აქ მიმდინარე ეგზო- და ენდოგენური პროცესების მაღალი ინტენსიურობით, მოითხოვს მუდმივ ძალისხმევას არამდგრადი წონასწორობის შესანარჩუნებლად. დასაბუთებულია “ახალი ეკოლოგიური კონცეფციის” შემუშავების და ეკოლოგიის ახალი მიმართულებების განვითარების აუცილებლობა.

**Conclusion**:

In work legal aspects of maintenance of steady development of region of Caucasus are considered. Problems facing to mankind were united in a uniform dilemma of the further development of a civilization, in a philosophical problem "sense of life and purpose of the person". Common to all mankind meaning of Georgia is great and wide: - at the present, Georgia is the last hearth of virgin nature in Europe, wonderful “Mecca” of bio-diversity and one of the centers of the world of genetic bio-diversity. Its importance is not yet conceived entirely. It is the homeland of modern “Europoid”. It is not, by chance, that it is the stage of great number of Greek myths and that it is the land that is the portioned of the Virgin. It would not be unnecessary of reminding the fact that Caucasus has given the mankind the basis of modern civilization, such are: bread, wine, steel, flax and medicine. No region, such are for example: Egypt, Chine, even Greece and Great Rome, has given so much to the mankind! Caucasus - region of the raised historical and ecological value. Simultaneously Caucasus - a transit corridor between Asia and the Europe. Extremely high vulnerability mountain ecosystem, explained by natural instability of geophysical conditions, high intensity going here egzogenic and endogenic processes, demand constant efforts on maintenance of unstable ecological equilibrium. Necessity of development of the “New ecological concept" is proved. Ecological crisis - the main alternative of progress of a modern civilization, has put before a developing world community a number of problems, including educational. In work the basic criteria of delimitation of ecology as sciences from other natural sciences - presence and indissoluble unity of "an ecological triad" are formulated; the basic problems of ecology of Caucasus, and proceeding from it are revealed, the basic purposes of nature protection formation for achievement of sustainable development of region are formulated.

## ქართველების აღმნიშვნელი ერთი სადაო ტერმინის ინტერპრეტაციისათვის

*აკადემიკოსი* ***ნანა ხაზარაძე***
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

დომინიკელი ბერის ფელიქს ფაბრის 1480-1483 წლების ჩანაწერის თანახმად, წმინდა მიწაზე ქართველებს (გეორგიანებს) ნუბიელებს უწოდებენ. ნუბიელების, იგივე კუშიტების, მეროიტების (დღევანდელი სუდანელების) ისტორიის ყველა ასპექტის გათვალისწინებით იმ ერთ მნიშვნელოვან დასკვნამდე მივდივარ, რომ ფელიქს ფაბრის მიერ მოწოდებულ ცნობას რეალური საფუძველი არ გააჩნია. თუმცა ვერ გამოვრიცხავ, რომ ფელიქს ფაბრი ან მისი პირველწყარო ჰეროდოტეს (ძვ.წ. Vს.) იმ თვალსაზრისს იცნობდნენ, რომლის მოწმობითაც კოლხები (ქართვე-ლები) ეგვიპტელების შთამომავლები არიან.

## К ИНТЕРПРЕТАЦИИ ОДНОГО СПОРНОГО ТЕРМИНА ОБОЗНАЧАЮЩЕГО ГРУЗИН

*Акад.* ***Нана Хазарадзе***
*Грузинский технический университет*

Согласно записям доминиканского монаха Феликса Фабри датированными 1480-1483 годами на святой земле грузин (георгианов) именовали нубийцами. Учитывая все аспекты истории нубийцев, тех же кушитов, мэроитов (совр. Суданци) прихожу к однозначному заключению, что сообщение Феликса Фабри не имеет реальную основу. Хотя не исключено, что Феликс Фабри или его пероисточник были знакомы с точкой зрения Геродота (V до н.э.) согласно которому колхи (грузини) являются потомками египтян.

# სულიერი სამყაროს ეკოლოგიის საგნობრივი არსი – თანამედროვე საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების სინთეზი

***დავით, მარიამ და მარატ ციცქიშვილები,***

***ანტონინა ჩხარტიშვილი, ზურაბ და დავით ზურაბაშვილები***

*საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის*

*შემოქმედებითი ჯგუფი*

ვინც ოდნავ მაინც დაინტერესებულია საქართველოში უკანასკნელ დროს მიმდინარე პროცესებით, საზოგადოებრივი ცხოვრების რა მხარესაც არ უნდა ეხებოდეს ეს, აუცილებლად შეამჩნევდა სულ უფრო გამოკვეთილ იმედისმომცემ ტენდენციას: მიუხედავად წამოჭრილი პრობლემების სიმძაფრისა, მიუხედავად უკიდურესი სოციალური დაძაბულობისა, სულ უფრო მკვიდრდება წესი წამოჭრილი საკითხების დაფიქრებულად და ცივილიზებურად განსჯისა, სულიერების მოხმობისა ყველაზე მწვავე კოლიზიების დროსაც კი. სულ უფრო მომწიფებული ხდება ჩვენი საზოგადო აზრი, სულ უფრო უკან იხევს იმპულსურ-ქუჩური მოტივაცია, ცოტაც და საბოლოოდ დამკვიდრდება სულიერება. ყველამ კარგად უწყის საიდან მოდის ეს გამაკეთილშობილებელი ზეგავლენა, ვინ უდგას ამას სათავეში, ვისი უდიდესი პირადი ღვაწლია ეს? საქართველოს საპატრიარქო, უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს პატრიარქის ილია II-ის ბრძნული წინამძღოლობით, სავსებით კანონზომიერად იბრუნებს ჩვეულ ისტორიულ ფუნქციას – მნელბედობის ჟამს იყოს ერის მოძღვარ-წინამძღოლი! ამრიგად, საზოგადოებაში სულიერება მკვიდრდება. ნიშანდობლივი ცვლილებები ხდება აგრეთვე მთელ რიგ საბუნებისმეტყველო და სხვა სოციალურად მნიშვნელოვან მეცნიერებებში - აქაც ბრუნდება სულიერება! რასაკვირველია ყველაზე გამოკვეთილად ეს აისახა ეკოლოგიაში, ვინაიდან ეს მეცნიერება ფაქტობრივად საბუნებისმეტყველოდან საზოგადოებრივ მეცნიერებად ხელახლად ჩამოყალიბების სტადიაშია.

თანამედროვე მეცნიერება განიხილავს ადამიანის ინდივიდუალურ ჯანმრთელობას, როგორც რამოდენიმე ფაქტორის ზეგავლენით "წარმოებულს" (ფაქტორების მნიშვნელობის გათვალისწინებით): მემკვიდრეობა ანუ გენეტიკური სტატუსი, გარემოს ფაქტორები და ცხოვრების წესი. პირველი ფაქტორი მნიშვნელოვნად დეტერმინირებულია, მაგრამ აქაც რელიგია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ ფაქტორის უარყოფითი მხარეების შესასუსტებლად და დადებითი მხარეების წარმოსაჩენად: ვადების დაცვა, თავშეკავება, ბუნებრივ ციკლებში არჩარევა ხელს უწყობს უარყოფითის დათგრუნვას და დადებითის წარმოჩენას. მეორე ფაქტორი უშუალო კონტაქტშია ჩვენს ორგანიზმთან: ჰაერისა და წყლის "მონაწილეობით" ნიადეგში წარმოებული საკვები პროდუქტის ეკოლოგიური სტატუსი განაპირობებს ჩვენი ორგანიზმის ავადობა-

ჯანმრთელობას! უკანასკნელი ფაქტორი მნიშვნელოვანწილად განპირობებულია არა მარტო მატერიალური ფაქტორებით, არამედ ჩვენი აღზდა-განათლებით.

კანონზომიერია, რომ XXI საუკუნის დასაწყისში, გლობალური ეკოლოგიზაციის ფონზე, ეკოლოგიური კანონზომიერებები მატერიალური სამყაროდან “გადაწვდნენ” ჩვენი ცხოვრების სულიერ სფეროს. მეცნიერული ფაქტები ადამიანის ორგანიზმზე არამატერიალური ზემოქმედებების შესაძლებლობის შესახებ ჯერ კიდევ სამედიცინო პრაქტიკაში “პლაცებოს” გამოყენების დროიდანაა ცნობილი. ფაქტების ახსნის სავსებით მეცნიერულად სარწმუნო მიდგომები თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიის პოზიციებიდან სავსებით არგუმენტირებულია ადამიანის პავლოვისეული “მეორე სასიგნალო სისტემის” თავისებურებებით; კიდევ უფრო განმტკიცებულია ბერიტაშვილისეული მეხსიერების თეორიით, აგრეთვე უზნაძის განწყობის თეორიითა და ქვეცნობიერის მექანიზმებით. უკანასკნელ ხანებში ყველაფერს ამას მატერიალური საფუძვლებიც და მატარებელი სუბსტანციაც მოენახა – სიცოცხლის სათავეებთან მდგარი უმარტივესი მოლეკულა - წყალი ავლენს უნარს დაიმახსოვროს და გადასცეს ნებისმიერი სუსტი ზემოქმედება სტრუქტურული გარდასახვის მეშვეობით. მიეცა მეცნიერული საფუძველი არა მარტო ნაკურთხი წყლის თვისებების უსასრულო გადაცემის ფენომენს, არამედ კეთილგანწყობისა და სათნოების გადაცემის ფენომენს, ადამიანის ორგანიზმის სულიერი ემოციის მატერიალურში გარდასახვის ფენომენს. რელიგიასთან მიმართებაში თანამედროვე მეცნიერება ორ აქსიომატურ ფაქტს უნდა ემყარებოდეს: 1) მეცნიერული შეხედულებანი სამყაროს გაჩენაზე არ ეწინააღმდეგება ბიბლიისეულ აღწერილობას; 2) კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ დაბადებულა რეალური ათეისტი, რომლისათვის ღმერთის ცნება უცნობია; თანამედროვე მეცნიერებამ ცალსახად დაამტკიცა, რომ ღმერთის მცნება თანდაყოლილი, ჩვილის ორგანიზმში გენეტიკურად ჩამაგრებული ინფორმაციაა. უფრო მეტიც, სიკვდილის წინ ყველა ათეისტი – მორწმუნეა! მოაზროვნე ადამიანის შექმნა “დიდი გამჩენის” მიერ, ბადებს რამოდენიმე საკრალურ კითხვას: რატომ “ხატებად თვისათ?”; რა ფუნქცია დააკისრა ადამიანს გამჩენმა? პასუხები ამ შეკითხვებზე ამტკიცებს რწმენას და ამდიდრებს მეცნიერებას; ამ საკითხში გასარკვევად ზოგადდიალექტიკური აქსიომა მოვიშველიოთ: სრულყოფილი და სიცოცხლისუნარიანია მხოლოდ დინამიურად განვითარებადი რთული, მრავალკომპონენტიანი, უარყოფითი ურთიერთკავშირით აღჭურვილი სისტემები. რა სახით შეიძლება იყოს რეალიზებული ეს “უარყოფითი უკუკავშირი”, თანაც დინამიური და განვითარებადი რომ იყოს იგი; რა და როგორ უნდა აერთიანებდეს მატერიალურსა და სულიერს ჩვენს სამყაროში? სამყაროს შემქნელის მიერ ყოველივე ცოცხალის ბატონ-პატრონად გაჩენილი ადამიანის ღვთაებრივი ფუნქცია-დანიშნულებაა ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება ამ სამყაროში!

ამრიგად, თანამედროვე მეცნიერება სულ უფრო მზარდ ყურადღებას უთმობს ადამიანის სულიერი გარემოს „მოწესრიგებას“ – „დაბინძურებისაგან დაცვას“. მსოფლიოში პირველ მთავრობათაშორისო კონფერენციაზე გარემოსდაცვითი განა-თლების საკითხებზე, რომელიც ჯერ კიდევ 1977 წლის 14-21 ოქტომბერს თბილისში გაიმართა, დაისვა ამოცანა ისეთი ადამიანის აღზრდისა, რომლის სულიერი სამყარო შესატყვისი იქნებოდა მისი მუდმივად ცვალებადი საარსებო გარემოსი! ადამიანის „ფსიქოსთან” უშუალო კავშირში მყოფი ახალი სამეცნიერო მიმართულება „სულიერი სამყაროს ეკოლოგია“ – სამეცნიერო მიმართულების „ადამიანის ეკოლოგიის“ („ანტროპო-ეკოლოგიის”) ძირითადი ნაწილად მოიაზრება და რეალურად არსებული ადამიანის სულიერი სამყაროს ცვლილებებს იკვლევს, მატერიალური საარსებო გარემოს ეკოლოგიური ცვლილებების ფონზე. ეს სამეცნიერო მიმართულება, საქართველოს სულიერი მამის – უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს პატრიარქის, ილია II-ს კურთხევით ვითარდება. განმარტებიდან ნათელია თანამედროვე ეკოლოგიის ამ მნიშვნელოვანი მიმართულების გნოსეოლოგიურ – ეპისტემიოლოგიური განპირო-ბებულება.

ტერმინი „გნოსეოლოგია” (მე-XVIII საუკუნის გერმანელ ფილოსოფოსთა მიერ შემოღებული), და მისი სრული ანალოგი – „ეპისტემიოლოგია” (ანგლო-ამერიკელ ფილოსოფოსთა მიერ შემოტანილი), ფილოსოფიის ნაწილის – შემეცნების თეორიის აღმნიშვნელი, აერთიანებს და ერთიანობაში განიხილავს, მისთვის ჩვეული კვლევითი მეთოდოლოგიით, შემეცნების სხვა და სხვა ფორმებს: მეცნიერებას, რელიგიას, ხელოვნებას, იდეოლოგიას. ეს ტრადიცია ჯერ კიდევ უძველესი ბერძენი ფილოსოფოსიდან - პარმენიდიდან მოდის და, თავის განვითარებას სოკრატესთან (დიალექტიკაში), პლატონთან (ჭეშმარიტების ცნების შემოტანაში) და არისტოტელე-სთან (ანალიზის მეთოდოლოგიის დამუშავებაში) ჰპოვებს. შუასაუკუნოვან ევროპულ ფილოსოფოსებს ეპისტემიოლოგია გერმანევტიკამდე (ბიბლიის ახსნის ხელოვნება) დაჰყავთ – ცოდნას ხვთის მადლად განიხილავენ! ამავ დროს სქოლასტები ამუშავებენ ცოდნის დაუფლების დედუქტიურ მეთოდებს. თანამედროვე ევროპულ ფილოსოფიაში “გნოსეოლოგიური გადატრიალება” ხდება: “რაციონალისტები” (დეკარტი, ლეიბნიცი) და “ემპირისტები” (ბეკონი, ლოკკი და იუმი) ანვითარებენ ცდისეული ცოდნის მიღების დედუქტიურ მეთოდებს. თანამედროვე ეპისტემიოლოგია დამოუკიდებელ მიმართულებად ყალიბდება “ნეოკანტელების” ზეგავლენით და თავის ძირითად ამოცანად ასახავს”ცოდნის საზღვრულობის” პრობლემას – ანუ არკვევს, აქვს თუ არა ცოდნას საზღვარი?!

ჩვენი ინტერესი ეპისტემიოლოგიისადმი განპირობებულია არა მარტო ამ დარგის ძირითადი დებულებების თანამედროვე მეცნიერისათვის აუცილებელი ცოდნით, არამედ მნიშვნელოვანწილად გრეგორი ბეიტსონის პიროვნებით (Грегори Бейтсон –

რუსულ ტრანსკრიპციაში; Gregory Bateson – ინგლისურ ტრანსკრიპციაში); მე-XX საუკუნის უდიდესი მოაზროვნე, ფილოსოფოსი, ეკოლოგი, კიბერნეტიკოსი და სისტემური თეორეტიკოსი (დაბადებულია - 09.05.1904; გარდაიცვალა – 04.07.1980). მან უდიდესი კვალი დატოვა ყველა მეცნიერებებში, განსაკუთრებით ფსიქიატრიასა და კომუნიკაციების თეორიაში; ჩვენი ინტერესი მისადმი განპირობებულია მისი უკანასკნელი მეცნიერული ნაშრომების კრებულით, რომელშიც მან შეაჯამა თავისი ეპისტომილოგიური კვლევები, რომელიც მას წარმოედგინა კიბერნეტიკის, ევოლუციის თეორიისა და გენეტიკის სინთეზის შედეგად, და რომელსაც იგი მომავლის "ცოცხალზე სინთეზური მეცნიერების" საფუძვლად მოიაზრებდა და უწოდებდა მას "გონების ეკოლოგიას"! ეს არის ქრონოლოგიურად პირველი ამგვარი დასახელება გამოქვეყნებულ მეცნიერულ პუბლიკაციაში ჩვენს მიერ შერჩეული საკვლევი არესი, რომელიც ტერმინოლოგიურად და აზრობრივად თითქმის იდენტურია ჩვენს მიერ შემოთავაზებული სამეცნიერო მიმართულების დასახელებისა - "სულიერი სამყაროს ეკოლოგია"!

გრეგორი ბეიტსონის ნაშრომების ფილოსოფიური ანალიზი ქართულენოვან ლიტერატურაში ჯერ კიდევ ელოდება თავის მკვლევარს; თანამედროვე მეცნიერებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია მის მიერ ჩამოყალიბებული პოსტულატები ინფორმაციის თეორიაში, ფსიქოანალიზში. საკმარისია ითქვას, რომ იგი ნორბერტ ვინერთან ერთად ითვლება "კიბერნეტიკის მამათ", ნეიროლინგვისტური პროგრამირების ფუძემდებლად. თანამედროვე ფსიქოთერაპიის სხვა და სხვა მიმართულებების წარმომადგენლები თვლიან მას თავის მასწავლებლად. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მიდგომები და ძიებები ყველა მეცნიერების გამაერთიანებელი "პატერნებისა", მისი პარადოქსალური ცნება ძნელად სათარგმნი ტერმინით "ორგული გზავნილი" (ჩვენ მიგვაჩნია ასეთი თარგმანი ინგლისური „double bind"-ის უფრო შესატყვისად, წინააღმდეგ რუსული ტერმინისა "двойное послание"); სიცოცხლის ბოლო წლებში, ემყარებოდა რა თავის ენციკლოპედიურ ცოდნას, ბეიტსონმა გადაამუშავა ტრადიციული მიდგომები მატერიასა და აზროვნებას შორის და ამტკიცებდა, რომ "გონიერება (როგორც ინფორმაციის აღქმისა და გადამუშავების შესაძლებლობა-უნარი – შენიშვნა ჩვენია) დამახასიათებელია მთელი ცოცხალი სამყაროსათვის, რომელიც უწყვეტ ერთიანობას ქმნის არაცოცხალ ბუნებასთან"! ამ მიდგომებს ვაღიარებთ ჩვენც და ამ "პოსტულატს" ვთვლით ამოსავალ წერტილად "სულიერი სამყაროს ეკოლოგიის" კანონიზაციისას.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში, ქართული მეცნიერების კორიფეებმა – აკადემიკოსებმა შალვა ნუცუბიძემ და ავლიმპი ზურაბაშვილმა (მნიშვნელოვანწილად დიმიტრი უზნაძის "განწყობის თეორიისა" და ივანე ბერიტაშვილის აღმოჩენილი ადამიანის ქცევის რეფლექსურ ფორმებზე მაღალი,

გონივრული ფორმების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით), ჩამოაყალიბეს ორი უნივერსალური "ზოგადსაკაცობრიო პროგრესის პუსტულატი" (ტერმინი ჩვენია!): "ბოროტების სიკეთით ძლევისა" და ""Home Sapiens"-ის" Home Morales"-ში" გარდაუვალი გარდასახვისა"! XXI საუკუნე ქართული მეცნიერების ბერმუხების მიერ კაცობრიობისათვის ნაანდერძევი პრინციპების გარდუვალი განხორციელების ხანაა – წინააღმდეგ შემთხვევაში ცივილიზაციის შემდგომი განვითარება შეუძლებელია. საოცარია მათი ინტუიციის ძალა – თანამედროვე მეცნიერება აღიარებს, რომ კაცობრიობის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის გზები მნიშვნელოვნად სცილდება მატერიალურ სფეროს და მოითხოვს აგრეთვე მორალურ-ზნეობრივ გადაწყვეტას! სავსებით ცალსახია, რომ მატერიალური და სულიერი სამყაროს გამაერთიანებელი არსების – ადამიანის ვალია სიცოცხლის გლობალური შენარჩუნებისათვის ამ ორ არეებს შორის კონსენსუსის დამყარება.

"სულიერი სამყაროს ეკოლოგიის" დარგში ჩვენი პირველი პუბლიკაციები საქართველოში თითქმის ორ ათეულ წლის წინანდელია. უკვე 1999 წლის, "საპატრიარქოს უწყებებში" (№18, 7-13 მაისი, გვ.8-9) გამოქვეყნდა, კონკურსის "მართლმადიდებლობა და დღევანდელობა" ფარგლებში, ა. ჩხარტიშვილისა და მ. ციცქიშვილის ნაშრომი "სულის ეკოლოგიის პრობლემები". ამას მოყვა პუბლიკაცია საპატრიარქოს სამეცნიერო ჟურნალ "ლოგოსში" (№3, 2004, გვ. 124 -127: მ. ციცქიშვილი, ა. ჩხარტიშვილი: სულის ეკოლოგია და რელიგიური მრწამსის პრობლემა). შემდეგ იყო ორი საერთაშორისო კონფერენცია: თბილისი-2004, 4–7 თებერვალი, "რელიგია და საზოგადოება – რწმენა ჩვენ ცხოვრებაში", ქუთაისი – 2008, 25-26 ნოემბერი, "რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთობების საკითხი". სულიერი სამყაროს ეკოლოგიის საკითხების ფართო თემატიკას ეხებოდა ჟურნალ "კარიბჭეში" (№5(92), გვ. 40-42) გამოქვეყნებული ინტერვიუ "ადამიაში დაგროვილი უარყოფითი ენერგია გამოსავალს ითხოვს და პოულობს აგრესიულ ქცევაში". საპატრიარქოს რადიომ არაერთი სპეციალური გადაცემა მიუძღვნა ეკოლოგიურ და სამედიცინო აკადემიების ნამდვილი წევრების, პროფესორების მარატ ციცქიშვილის და ზურაბ ზურაბაშვილის გამოსვლებს "სულიერი სამყაროს ეკოლოგიის" პრობლემებზე.

ჩატარებული გამოკვლევების შედეგები ნაწილობრივ გაშუქებული იყო დარგობრივ პერიოდულ გამოცემაში "ეკოლოგიის პრობლემები" (გამომცემელი საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია, მთავარი რედაქტორი მ. ციცქიშვილი). ამ კვლევების თემატიკაზე დაცულია ძალზე საინტერესო საკვალიფიკაციო ნაშრომი (ლია მირზაშვილი – "ეკო-ბიოლოგიური და ეკო-სოციალური რისკ-ფაქტორები კატასტროფათა შემდგომი პერიოდის სუიციდებში"; სამეცნ. ხელმძღვანელი პროფესორი დ. ზურაბაშვილი).

აღვნიშნავთ რა "სულიერი სამყაროს ეკოლოგიის" დარგში მეცნიერული კვლევების გაგრძელება – განვითარების უდიდეს სამეცნიერო და პრაქტიკულ მნიშვნელობას, ვაღიარებთ რა ამ დარგში მეცნიერულად დასაბუთებული რეალური შედეგების მისაღწევად მეცნიერ – ფსიქიატრების ჩართვას, როგორც აუცილებელ პირობას, ვთვლით აუცილებლად შევქმნათ ერთობლივი მეცნიერული კვლევებისათვის ერთობლივი შემოქმედებითი კოლექტივი. სამეცნიერო კვლევების შემოქმედებითი ჯგუფი რეგულარულად ჩაატარებს ყოველ 6 თვეში შეხვედრა – კოლოკვიუმებს, საკვლევი პრობლემების ერთობლივი განხილვისათვის და ნახევარწლიური ანგარიშების მოსასმენად გაფართოებულ დონეზე. თანამშრომლობის შემდგომ ეტაპზე დაიგეგმილია მომზადება და 2015 წლის მეორე ნახევარში ჩატარება სამეცნიერო კონფერენციისა "სულიერი სამყაროს ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები"; ასევე დაგეგმილია სამეცნიერო ნაშრომთა კრებულის გამოცემა 2015 წელს. აუცილებელია ეკოლოგიის ამ ნაწილის სახელმძღვანელოს მომზადება და სასწავლო პროგრამებში შეტანა.

ტრადიციათ იქცა, ყოველი წლის დასასრულს, ნიკოლოზობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს პატრიარქი ილია II ლოცავს საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიას. ეს პატივი ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიამ დაიმსახურა დაუღალავი მოღვაწეობით საქართველოს ბუნებისა და საარსებო გარემოს საკეთილდღეოთ, აგრეთვე სრულიად ახალი სამეცნიერო მიმართულების "სულიერი სამყაროს ეკოლოგიის" ჩამოყალიბება-დაარსებისათვის. საგულისხმოა სიტყვა, რომლითაც ჯერ კიდევ 2000 წელს უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს პატრიარქი ილია II მიმართავდა საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიას: "აი დღესაც, შევთხოვთ უფალს, რომ წმიდა ნიკოლოზის ლოცვით დალოცოს საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია, აკადემიკოსები და ბევრი კეთილი საქმე გააკეთებინოს მათ. მინდა მივმართო ამ ადამიანებს, რომ ჩვენ, მორწმუნე საქართველოს ეკლესიის წევრები, გვერდით დავუდგებით ყოველ კეთილ საქმეში". "სულიერი სამყაროს ეკოლოგიის" შემდგომი განვითარებისათვის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიას 2009 წლის ნიკოლოზობის დღესასწაულზე უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ ჯილდოთ გადასცა ხატი ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა!

ლიტერატურა:

1. "ეკოლოგიის განათლების, მეცნიერების, პოლიტიკის პრობლემები". საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. სამეცნოვანი კრებული. (პროფესორ მარატ ციცქიშვილის რედაქტორობით). გამომცემლობა "კოპი რუმი". თბილისი, 2012, ტომი I. 279 გვ. (გვ. 108 -128)
2. "ეკოლოგიის განათლების, მეცნიერების, პოლიტიკის პრობლემები". საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. სამეცნოვანი კრებული. (პროფესორ მარატ ციცქიშვილის რედაქტორობით). გამომცემლობა "კოპი რუმი". თბილისი, 2012, ტომი II. 403 გვ. (გვ. 315 -364)
3. "ეკოლოგიის განათლების, მეცნიერების, პოლიტიკის პრობლემები". საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. სამეცნოვანი კრებული. (პროფესორ მარატ ციცქიშვილის რედაქტორობით). გამომცემლობა "კოპი რუმი". თბილისი, 2012, ტომი III. 308 გვ. (გვ. 259 -274).

## ЭКОЛОГИЯ ДУХОВНОЙ СФЕРЫ – СИНТЕЗ СОВРЕМЕННЫХ ЕСТЕСТВЕННЫХ И ГУМАНИТАРНЫХ НАУК

***Антонина Чхартишвили, Мариам и Марат Цицкишвили,***
***Зураб и Давид Зурабишвили***
***Творческая группа Грузинской Академии экологических наук***

**Резюме:**

В экологический конфликт человека и среды его обитания непосредственно «включена» его духовная среда: протекающие в изменчивой природной среде процессы вызывают у личности «экологический стресс», врываясь в его душу. В целый ряд естественных наук возвращается «духовность». Наиболее ярко это заметно в экологии, которая находится в стадии превращения из естественной в общественную науку. Новое научное направление - «экология духовной сферы» мыслится как неотъемлемая часть «антропоэкологии» («экологии человека») и исследует реальные изменения духовной сферы человека, на фоне изменений в материальной сфере обитания человека.

# THE ESSENCE OF THE SUBJECT OF THE ECOLOGY OF THE SOUL

***Antonina Chkhartishvili, Mariam and Marat Tsitskishvilis, Zurab and David Zurabashvilis***
*The creative group of the Georgian Academy of Ecological Sciences*

For many years there have being carried out in the world too actual researches of mutual convergence – relations of science and religion the basis of which was actually the speeches, sermons and Epistles of His Holiness and Beatitude, the Patriarch of Georgia, Illya II. This is one more brilliant facet of His multilateral and invaluable activity for the nation, which is connected with the objective evaluation by Him of significance of the science for the nation and the country! A number of related problematic have been marked out in the issues of interrelations of the religion and science. The definite interest to these issues has been summed up at several International Scientific Conferences hold in Tbilisi and Kutaisi by the blessing of His Holiness and Beatitude. One of them was the International Conference held in Kutaisi on the 25$^{th}$ of November, 2008, in the collected works of which there were formulated for the first time the thematic and main key issues of a new scientific direction - “The Ecology of a spiritual world”.

The modern science pays much more increasing attention to the problems of “regulation” – “Protection against pollution” of a spiritual environment of a man. A new scientific direction being in direct relation with the “Psycho” of a man - “The ecology of the spiritual world” is considered the main part of “The Ecology of a man” (The Anthrop-ecology”. “The social ecology”) the scientific discipline and investigates the changes happened in reality in spiritual world of a man on the background of the ecological changes of the material livelihood environment. We have chosen the name for this direction of a global ecology in the same way as a known work (*Gregory Bateson* „Steps to an Ecology of Mind“, which is a pioneering in the world scientific literature).

“The ecology of the spiritual world” – is that scientific direction of multidisciplinary ecology, which should respond to searching out the regularities of ways and means of realization of duties-destination granted to the man by the Lord. On the other hand, this scientific direction should disclose the looking for the ways to protect the spiritual world of the man by means of the religious belief as the most effective essence of the divine protective system.

# მეცნიერების და რელიგიისა ურთიერთობის სახეცვლილება

*ი. ლექვინაძე, თ. ადეიშვილი, მ. ციცქიშვილი,*
*ხ. კიკალიშვილი*
*ქ. ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

„რელიგია ყოველთვის იყო მეცნიერების მტერი და ახლაც მტერია“. ასეთი შეფასება ბევრმა ჩვენთაგანმა, ალბათ, სკოლის მერხიდანვე ისე შეისისხლხორცა, რომ აღარც ეჭვს იწვევს და აღარც გადაფასებას მოითხოვს. მართალია, ათეისტური პროპაგანდა ამ ბოლო დროს აღიარებს, ახლა რელიგია „ღიად აღარ ესხმის თავს მეცნიერებასო“, მაგრამ იმასაც ამატებს, პრინციპული „საომარი მდგომარეობა“, თუმცა ფარული ფორმით, მაინც არსებობსო.

არადა, მეცნიერება სწორედ რელიგიის წყალობით იწყება და ორივე მათგანი, ოდითგანვე, მჭიდრო ურთიერთკავშირით არსებობდა. ძნელი წარმოსადგენია, რომ უძველესი ეგვიპტისა და ბაბილონის ქურუმები მათემატიკის, ასტრონომიისა და მედიცინის საფუძვლებს იმისთვის ქმნიდნენ, რომ „ახალ დროებას მორგებოდნენ“. ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციის ტაძრები მეცნიერების აკვანი იყო და პირველი სკოლები, ლაბორატორიები და ობსერვატორიები სწორედ იქ შეიქმნა. პირველი ანატომიური ატლასები, პირველი მათემატიკური ფორმულები, პირველი რუკები იმ ხალხის შექმნილია, ვინც რელიგიას ემსახურებოდა. ეს აღიარებული ფაქტია და ამას ვერავინ გაექცევა.

ანტიკურ მეცნიერებას საფუძველი სწორედ რელიგიურმა მოაზროვნეებმა ჩაუყარეს. პითაგორელთა საზოგადოება, ვინც მათემატიკის განვითარებას გაუხსნა გზა, რელიგიური ორდენი იყო. არისტოტელემ, თანამედროვე ბუნებისმეტყველების მამამ, ის რელიგიურ-ფილოსოფიური პრინციპებიც შექმნა, მოგვიანებით ქრისტიანული აზროვნების ნაწილად რომ გადაიქცა. შუა საუკუნეებში სწორედ ეკლესია აღმოჩნდა ევროპის ერთადერთი კულტურული კერა, ვინც ანტიკური მეცნიერების ჩანასახები შემოინახა. მონასტრები უძველეს ლიტერატურას აგროვებდნენ და თავის კედლებში თავს ეპოქალური ცოდნის მთელ საგანძურს თავს უყრიდნენ. გვიანი ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ქრისტიანული მოაზროვნეები თავისი დროის უდიდეს მეცნიერებადაც გვევლინებოდნენ. დიდ წმინდა ბასილსა და ნეტარ ავგუსტინეს ბუნებისმეტყველება ძალიან აინტერესებდათ. წმინდა ალბერტისა და წმინდა თომა აკვინატელის ენციკლოპედიური გონება მეცნიერებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და მის მრავალ დარგს სწავლობდა. ბერი როჯერ ბეკონიც, შუასაუკუნეების მეცნიერების განვითარების საქმეში დიდი წვლილი რომ შეიტანა, ღვთისმეტყველი და მისტიკოსი გახლდათ. არაქრისტიანულ სამყაროშიც იგივე სურათი იშლება. არაბი ღვთისმეტყველები არისტოტელეს მოძღვრებას სწავლობდნენ, ასტრონომიას, ალგებრასა და ანატომიას ანვითარებდნენ, ბუდისტები ლოგი-

კასა და შემეცნების თეორიას ქმნიდნენ. ასე, რომ ძველი აღმოსავლეთის სამყაროში, ანტიკურ ეპოქასა და შუასაუკუნეებში რელიგია და მეცნიერება გვერდიგვერდ, მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში ვითარდებოდნენ და ერთმანეთისათვის სასარგებლოდაც კი აღმოჩნდნენ. პირველი ძლიერი დაპირისპირება მეჩვიდმეტე საუკუნეში, დედამიწის ბრუნვის პრობლემასთან დაკავშირებით გაჩნდა.

თეორია იმის შესახებ, რომ დედამიწას სამყაროში ცენტრალური ადგილი უჭირავს, საერთოდ არაა რელიგიური მოძღვრება და მით უმეტეს ქრისტიანული. იგი ჩამოყალიბდა მეორე საუკუნის ალექსანდრიელი სწავლულის, პტოლემეოსის თხზულებაში „დიადი შენობა“. ამ წიგნის გამოჩენა კოსმოლოგიაში უდიდეს მოვლენად გადაიქცა, რადგან მან ანტიკური ხანის ასტრონომიული ცოდნა დააჯამა. თავისი დროისათვის ეს, როგორც ახლა ამბობენ, „პროგრესული მოვლენა“ გახლდათ.

საუკუნეების მანძილზე გეოცენტრული სისტემა ასტრონომიის ქვაკუთხედად ითვლებოდა. მეცნიერული აზროვნების სისხლი და ხორცი ამით გაიჟღინთა. ბუნებრივია, რომ მთელ სამეცნიერო სამყაროსთან ერთად, მას ქრისტიანი ფილოსოფოსებიც იზიარებდნენ. ბიბლია ხომ ამის შემდეგ არაფერს ბრძანებდა, თუმცა დედამიწა არაფერზეა ჩამოკიდებულიო, ამტკიცებდა.

მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნეებში გეოცენტრიზმს საფუძვლები შეერყა და პირველი ეჭვი სწორედ ქრისტიანულმა მოაზროვნეებმა გამოთქვეს. მაგ., ცნობილი გერმანელი ღვთისმეტყველი კარდინალი, ნიკოლოზ კუზანსკი (1401-1465) წერდა: „დედამიწა აშკარად მოძრაობს, ჩვენ კი ამას ვერ ვგრძნობთ, რადგან მოძრაობა მხოლოდ რაიმე უძრავთან შეფარდებით შეიძლება აღიქვა“. ახალ, ჰელიოცენტრულ პრინციპებს სამეცნიერო ფორმა პოლონელმა მღვდელმა, ნიკოლოზ კოპერნიკმა მოუძებნა. მისი წიგნი „ციურ სფეროთა ბრუნვის შესახებ“ პაპს მიეძღვნა და პაპმაც დიდი მადლიერებით მიიღო. მაშინ ეს თეორია მრავალმა ასტრონომმა, მათ შორის ტიჰო ბრაგემაც უარყო. ამის მიუხედავად, ქრისტიანმა სწავლულებმა მსჯელობისათვის ერთ-ერთ შესაძლებელ ვერსიად ჩათვალეს.

ასე გავიდა სამოცდაათიოდე წელი. კოპერნიკიცა და ტიჰო ბრაგეც კარგა ხნის გარდაცვლილები იყვნენ, როცა ამ პრობლემის ირგვლივ მოულოდნელად სასტიკი, იდეური ბრძოლა გაჩაღდა. მისი პრელუდია „მეცნიერების მარტვილად“ გამოცხადებული ჯორდანო ბრუნო ნოლანელის (1548-1600) ბედკრული პროცესი აღმოჩნდა. პროცესზე ბრუნომ განაცხადა: „კათოლიკე და ეკლესიის შვილი ვარ, ჩემი რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებები კი ქრისტიანობას არ უპირისპირდება. ჩემი ხედვა ყოველთვის ეთხვეოდა წმინდა დედა კათოლიკური ეკლესიის ხედვას“.

მაგრამ მისი გულწრფელობა არავინ დაიჯერა და „სიმშვიდის სახიფათო დამრღვევი, ერეტიკოსების მეგობარი და ცრუმოძღვრების მქადაგებელი“ რომის საერო გუბერნატორს გადასცეს, თან თვალთმაქცური თხოვნაც დაურთეს, ისე

დასაჯეთ, ნურც მოკლავთ და ნურც დაამახინჯებთო. მიუხედავად ამისა, ანგარიშ-სწორება მაინც შედგა. 1600 წლის 19 თებერვალს ბრუნო სიკვდილით დასაჯეს.

ეს ტრაგიკული მოვლენა, ისევე როგორც ინკვიზიციის მთელი მოღვაწეობა, ეკლესიის ხელისუფალთა პირდაპირი და დანაშაულებრივი ღალატია რელიგიისა. აზრიც არა აქვს იმის შეხსენებას, რომ რწმენის საკითხებით ძალმომრეობა სახარების მოძღვრებას საფუძველშივე უპირისპირდება. ეკლესიის მამამთავარნი პირდაპირ ადასტურებდნენ, რომ „რელიგიამ უნდა დაგარწმუნოს და არა გაიძულოს“.

კოპერნიკის იდეებმა ქრისტიანულ სწავლულებს შორის ფეხი მალე მოიკიდა. 1616 წლის თებერვალში გამოვიდა ბერი პაოლო ფოსკარინის წიგნი, რომელიც ჰელიცენტრულ ჰიპოთეზას იცავდა. საერო ასტრონომებს შორის კი მისი მხარდამ-ჭერი სახელგანთქმული გალილეო გალილეი აღმოჩნდა (1564-1642), რომელიც თავისი მეცნიერული პროპაგანდის ენერგიულ პროპაგანდას შეუდგა.

გ. გალილეი კოპერნიკელობის საყოველთაო აღიარებისათვის იბრძოდა და დამაჯერებლად ასაბუთებდა, კოსმოგონიის საკითხებში წმინდა წერილზე დაყრ-დნობა უაზრობააო. წმინდა წერილი, რა თქმა უნდა, არ ცდება, აი მისი განმარ-ტების მსურველი კი შეიძლება შეცდესო... აქ ბუნებრივ მოვლენებზეა საუბარი, მას კი უშუალოდ გრძნობებით აღვიქვამთ ან დასაბუთებული მტკიცებულებების საფუძველზე, გონებით ვაღიარებთ, ამიტომ, წმინდა წერილის ტექსტებმა არ უნდა დაგვაეჭვოსო. გალილეის შეკითხვებს კარდინალმა კონტმა უპასუხა: არსებობს აზრი, რომლის თანახმადაც ბიბლიური ტექსტების განმარტება ჰელიოცენტრიზმის ჰიპოთეზას არ უპირისპირდება, მაგრამ ეს საყოველთაო აზრი არააო. გარდა ამისა, პროტესტანტულ სამყაროში ხმა დაირხა, პაპი უფლის მტერი და ანტიქრისტეა, რადგან კოპერნიკის ცრუმოძღვრებას უჭერს მხარსო. გალილეის მტრებმა სწორედ ამით ისარგებლეს და პაპი დაარწმუნეს, ეს დაუსრულებელი დავა ბრუნავს თუ არა დედამიწა, ადამიანთა გონებას აღაგზნებს, მოაზროვნე ადამიანებში კი ცდუნებასა და მანკიერ სულს აღვიძებსო; ეს ხომ მხოლოდ ჰიპოთეზაა, მეცნიერულად ზუსტად მას ვერავინ ასაბუთებსო და აქვე მოითხოვეს ჰელიოცენტრული ლიტერა-ტურა ცენზურით აეკრძალათ, რადგან ცუდის მეტი არაფერი მოაქვსო. გალილეიმ, თავის მხრივ, კოპერნიკელობის დაცვა სცადა, მაგრამ მისივე თანამედროვის თქმით: „საკუთარ აზრს უფრო ენდო, ვიდრე მეგობრებისას“..

ჰელიოცენტრიზმის ირგვლივ ატეხილი კამათის არეალი სახიფათოდ გაფა-რთოვდა და გალილეის წინააღმდეგ ინტრიგებიც უფრო ჩაიხლართა. ბოლოს და ბოლოს სწავლულის მოწინააღმდეგეებმა იგი რომში მძიმე სასამართლოში გამო-იძახეს და ამ პროცესზე გალილეიმ თავისი შეხედულებები მთლიანად უარყო.

„ბრუნოს საქმისაგან“ განსხვავებით გალილეის პროცესი უკვე აღარ უკავშირ-დება რომელიმე ფილოსოფიურ დოქტრინას. აქ საუბარია იმ სამეცნიერო თეორიის

პროპაგანდაზე, რომელსაც საეკლესიო ცენზურა კრძალავდა, მაგრამ საწინააღმდეგო პოზიციაც ხომ მეცნიერულია, თუმცა მცდარია. ისევ შეგახსენებთ, რომ გეოცენტრიზმი მეცნიერული თეორიაა, და არა რელიგიური, როგორც კი ჰელიოცენტრიზმი მეცნიერულად დასაბუთდა, იგი აღარც აღარავის აწუხებდა და აღარც აღელვებდა. დღესდღეობით, ამ ასტრონომიული თეორიისთვის ამხელა იდეური მნიშვნელობის მინიჭება უაზრობადაც კი გვეჩვენება. რა თქმა უნდა, მეცნიერების განვითარებაში პოლიტიკისა და იდეოლოგიის ჩარევა უარყოფითი მოვლენაა. საბედნიეროდ, ეს იშვიათად ხდება ხოლმე. რაც შეეხება ათეიზმს, ასეთი ჩარევა მან სისტემად გადააქცია. განა გალილეის პროცესზე ბევრად უფრო სამარცხვინო მოვლენები არ გვახსოვს? დიდი ხანი კი გავიდა მას შემდეგ, რაც გენეტიკას ცრუ მეცნიერების იარლიყი მიაკერეს, ათეულობით მეცნიერმა კი თავისი მონანიებით გალილეის ბედი გაიზიარა? ფსიქოლოგიაში – ფსიქოანალიტიკური მიმართულებები, ლინგვისტიკაში – სემანტიკა, ისტორიულ მეცნიერებაში – „წრეებ-ის თეორია“, კოსმოლოგიაში – სამყაროს გაფართოების თეორია ხომ ასევე აიკრძალა. შესანიშნავი სწავლულების, მენდელისა და მორგანის, სახელები კი სალანძღავ სიტყვებად გადაიქცა... და ეს ყველაფერი შუასაუკუნეებში კი არა, მე-20 საუკუნის შუაწლებში ხდებოდა. ნიუტონსა და დეკარტეს, კეპლერსა და პასკალს მე-17 საუკუნეში რელიგიისა და მეცნიერების „კონფლიქტი“ არ აწუხებდათ. მეცნიერულ გმირობას მათთვის ხელი არ შეუშლია ჭეშმარიტად რელიგიურ და ღვთისმეტყველ ადამიანებად დარჩენილიყვნენ. თავისუფლების სულით გაჟღენთილ მე-18 საუკუნეშიც კი ლომონოსოვი, ჰერშელი და ეილერი ბუნების შესწავლას რელიგიური მსოფლმხედველობის საფუძვლებიდან იწყებდნენ. მე-19 საუკუნეშიც იგივე სურათს ვხედავთ. ლიბინი და პასტერი, კიუვიე და უოლესი, ლაიელი და ფარადეი, მაიგრი, რენტგენი, ომი, მაქსველი და მრავალი სხვა ღვთისმოსავები იყვნენ. მე-20 საუკუნეში „მეცნიერებისა და რელიგიის კონფლიქტმა“ ფაქტიურად ყოველგვარი აზრი დაკარგა.

„მეცნიერება და რელიგია, – წერს ამერიკელი ფილოსოფოსი ჰოკინგი, – ჩვენს დროში ერთმანეთს აღარ ებრძვიან. მხოლოდ ის თავქარიანი სწავლულებიღა შემორჩნენ, დიდი სურვილი რომ აქვთ რელიგია სიძველეების მუზეუმს ჩააბარონ. ახლა რელიგიის და განათლების ურთიერთობის პრობლემას გადავხედოთ. უმთავრესი საკითხია: შეიძლება თუ არა, რომ რელიგია და მეცნიერება თავისუფლად განვითარდნენ და ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ?

დიდებითი პასუხი თავისთავად მოდის, ეს ობიექტები ხომ თვისობრივად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მეცნიერება ხილულ სამყაროს სწავლობს და მატერიალურ სამყაროს იკვლევს, რელიგიისა და ზემგრძნობიარესკენ სულიერი სწრაფვა ახასიათებს და წმინდა სამეცნიერო მეთოდებით მას ვერასდროს შეიცნობ.

მეცნიერება კვლევას ვერასოდეს შეაჩერებს, მან ხომ უფრო და უფრო მეტი მოვლენა უნდა ახსნას, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ მთელი მატერიალური

სამყაროს შეცნობა რომც შეძლოს, არამატერიალური მისთვის მაინც მიუღწეველი დარჩება. სწორედ ამის გამოა, რომ სწავლულმა ფილოსოფიური დასკვნები ფაქტებ-ზე დაყრდნობით ძალიან ფრთხილად უნდა გააკეთოს. განსაკუთრებით სახიფათოა დოგმატიზმი, რომელიც არა მხოლოდ მეცნიერებისათვის უცხო სფეროში იჭრება, არამედ თავად მეცნიერების განვითარებასაც ამუხრუჭებს. ასეთი დოგმატიზმის ნიმუშია ვთქვათ, ერნესტ ჰეკელის სისტემა, ვინც მეცნიერებაში ისეთი დებულებებ-ის დამკვიდრება სცადა, მისი აზრით უცვლელი რომ დარჩებოდა.

იმის მაგალითები, თუ როგორ იცვლებოდა ერთი სამეცნიერო დებულება მეორეთი, საკმარისზე მეტი გვაქვს და ეს სულაც არ არის „მეცნიერების კრიზისი". ასეთ კრიზისს მხოლოდ ძველი ჭეშმარიტების უკანონო აბსოლუტიზაცია აჩენს.

მეცნიერება თავისი არსით რელიგიისა და ფილოსოფიის მიმართ ნეიტრალურია. ასე მაგალითად, პლატონის მოძღვრება ანტიკურ სამყაროში შეიქმნა, მაგრამ ამ იდეას თავისი ფასეულობა არც ჩვენს თანამედროვეობაში დაუკარგავს და ვერნერ ჰეიზენ-ბერგმა ეს მშვენივრად დაასაბუთა. რელიგიურ სულიერებაში თუ ხელოვნების მშვენიერებაში, კაცობრიობის აღმოჩენები არც აფერხებენ და არც უნდა აფერხებ-დნენ მატერიალურ სფეროში მეცნიერების აღმოჩენებს.

სწავლულისთვის რელიგიის მნიშვნელობა ყველაზე კარგად ეინშტეინმა ახსნა, როცა განაცხადა, მკვლევარისთვის ნამდვილი შთაგონების წყაროა იმისი რწმენა, რომ სამყარო გააზრებული მოვლენააო. როცა სულიერების მატარებელი სწავლული სამყაროს სივრცეებში ან ატომის სიღრმეებში უზენაეს კანონზომიერებას აღმოაჩენს, ამაში უზენაესი გონების გამოვლინებას ხედავს და თავის გამოკვლევებსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

თუ რელიგიისა და მეცნიერების საზღვრებს ასეთი კუთხით დავინახავთ, მათ შორის ყოველგვარი „დაპირისპირება" გაქრება. დღეს ამას მსოფლიოს სწავლულთა დიდი ნაწილი აღიარებს. ეს კი ათეისტებს ძალიან აწუხებთ, მათ ხომ „კონფლიქტის" გაღვივება ჭირდებათ. ამიტომ წერდა ასე შეშფოთებით ერთ-ერთი მათგანი: მრავალი ბურჟუაზიული მეცნიერი რელიგიისა და მეცნიერების კავშირზე ალაპარაკდა: მ. ბორნი, მ. პლანკი, ვ. ჰეიზენბერგი, კ.ფ. ფონ ვეიცზეკერი, პ. იორდანი და სხვა ცნობილი ფიზიკოსები ერთხმად ამტკიცებდნენ, მეცნიერება და რელიგია ერთმანეთს არ უპირისპირდებაო.

მეცნიერება ადამიანის ცხოვრებაში შეზღუდულ როლს თამაშობს. თავისი არსით იგი მორალის მიღმა რჩება. განა ერთნაირად მეცნიერებას არ ეკუთვნიან ის სწავლულნი, ვინც თავისივე მსგავს ადამიანებზე დანაშაულებრივ ცდებს ატარებს და ისიც, ვინც ექსპერიმენტის პროცესში საკუთარ სიცოცხლეს წირავს?

არ არსებობს მხოლოდ საბუნებისმეტყველო მონაცემების საფუძველზე აგებუ-ლი „სამეცნიერო მსოფლმხედველობა". ცხოვრების ჩვენეული ხედვა ყოველთვის შეიცავს რაღაც ისეთს, მეცნიერების მიღმა რომ რჩება. გარდა ამისა, ადამიანს არ

შეუძლია მხოლოდ ბუნების შესწავლით მიღებული დასკვნებით იხელმძღვანელოს. აზრისა და ფასეულობის, ბოროტისა და კეთილი უზენაესი კატეგორიები ხომ რწმენის სფეროს განეკუთვნება. სწორედ ამიტომ მაქს პლანკის სიტყვები უნდა მოვიშველიოთ: „მეცნიერება და რელიგია თავისი ჭეშმარიტი არსით ერთმანეთს არ უპირისპირდება. ყველა მოაზროვნე ადამიანისთვის ისინი ერთმანეთს უნდა ავსებდნენ“.

რელიგია ადამიანს ასწავლის თვით ცხოვრებას, როგორ უნდა იცხოვროს. მეცნიერება ასეთ კითხვებზე პასუხს ვერ გასცემს. იგი სამყაროს მატერიალური მოწყობის შესწავლითაა დაკავებული. მეცნიერების სფერო – უპირატესად ინტელექტის სფეროა, ადამიანს კი არ შეუძლია თავისი თავი მხოლოდ ერთი სფეროს ჩარჩოებში მოაქციოს. რელიგიური მსოფლშეგრძნება ის უწყვეტი წრეა, რომელშიც მოქცეულია ადამიანის ცხოვრება. მისი ცოდნისკენ სწრაფვაც და სამყაროს მეცნიერული კვლევაც ამის ნაწილია. „რელიგია, – აღნიშნავს ფრანგი ფილოსოფოსი ემილ ბუტრუ, – ადამიანს უფრო მდიდარ და სიყრმისეულ ცხოვრებას სთავაზობს, ვიდრე თვითმყოფადი ან თუნდაც ინტელექტუალური ცხოვრება მისცემდა. ეს არის თავისებური სინთეზი ან თუ გნებავთ ინსტიქტისა და გონების იდუმალი სულიერი კავშირი, სადაც თითოეული მათგანი მეორესთან შერწყმის წყალობით გარდაისახება, აენთება და ისეთ სრულ შემოქმედებით ძალას შეიძენს, ვერასოდეს რომ ვერ შეიძენდა ცალ-ცალკე რომ ემოქმედა“.

ამგვარად, მეცნიერება და რელიგია რეალობის შეცნობის ეს ორი გზა, დამოუკიდებელ სფეროებად კი არ უნდა დარჩნენ, ჰარმონიულ სინთეზს უნდა ქმნიდნენ, რაც ჭეშმარიტების გზაზე კაცობრიობის სვლას დიდად დაეხმარება.

ნიკოლაი ბერდიაევი თავის თხზულებაში „თავისუფლების ფილოსოფია“ აღნიშნავს თანამედროვე ფილოსოფიის დაავადება – საზრდოობის დაავადებააო. დაკარგულია საზრდოობის წყარო და ამიტომ ფილოსოფიური აზრი ღონემიხდილია – არ ძალუძს ჩაწვდეს ყოფიერების საიდუმლოს, მიაღწიოს თავისი მარადიული მისწრაფებების მიზანს. ფილოსოფიური აზრის საზრდო ვერ იქნება საკუთარი თავი, ე.ი. ფილოსოფია ვერ იქნება განყენებული, თვითკმარი. მისი საზრდო ვერ იქნება მხოლოდ მეცნიერება.

ძველად ფილოსოფიის საზრდო რელიგიური იყო. ფილოსოფია და საერთოდ ყოველგვარი შემეცნება, ცხოვრების ფუნქციას წარმოადგენდა, ცხოვრება კი ორგანულად რელიგიური იყო. დღეს ფილოსოფია აღარ არის საკრამენტალური, როგორიც იყო ძველად და შუა საუკუნეებში. ის დაქვეითდა, იქცა პოლიტიკურ, უნაყოფო ფილოსოფიად. წმინდა პოლიციური ფილოსოფიის გენიალური ნიმუში კანტმა მოგვცა. პოლიციურ ფილოსოფიას გარკვეული კავშირი აქვს პოლიციურ სახელმწიფოსთან, იგი მოკლებულია რეალიზმს და ყოფიერებას აჩრდილად აქცევს. ყველა იმ ძნელბედობის შემდეგ, განყენებული აზროვნებისა და რაციონალური ცდის უდაბნოებში ხეტიალის შემდეგ, ფილოსოფია უნდა დაუბრუნდეს ტაძარს,

თავის წმინდა ფუნქციას და იქ იპოვნოს დაკარგული რეალიზმი, კვლავ ეზიაროს ცხოვრების საიდუმლოებებს.

რელიგიას ძალუძს არსებობა ფილოსოფიის გარეშე, მაგრამ ფილოსოფიას არ შეუძლია არსებობა რელიგიის გარეშე. რელიგია ფილოსოფიის სასიცოცხლო საფუძველია, იგი რეალური ყოფიერებით ასაზრდოებს ფილოსოფიას.

ქრისტიანული ფილოსოფია არ არის „გნოზისი“ იმ მნიშვნელობით, რომელსაც დებდა ამ სიტყვებში ვალდენტინი, არც „თეოსოფია“, როგორც ეს სიტყვა ესმის რ. შტაინერს, თუმცა ნამდვლიად ის გნოზისიცაა და თეოსოფიაც. წმინდა გნოსტიკური გზა, გარკვეული აზრით, ლუციფერული გზაა. გნოსტიციზმი გვასწავლის ჭეშმარიტების შემეცნებას და არა ჭეშმარიტების მოპოვებას, იგი ქადაგებს შემეცნებაში შემართებას, რომელსაც თან ახლავს უარის თქმის საგმირო საქმე. თავისი არსით როგორი მისტიკურიც არ უნდა იყოს, მისი სამოსელი რაციონალიზმია. გნოსტიციზმისათვის რელიგია წარმოადგენს ცოდნას – საიდუმლოს და განცხადებულს, რაღაც მოძღვრების განდობას.

თეოსოფია გნოსტიციზმის ერთ-ერთი ფორმაა. ნიკოლაი ბერდიაევის მიხედვით ფილოსოფია არ უნდა იყოს თეოლოგიის მსახური მაგრამ ალბათ არ უნდა არსებობდეს თავად თეოლოგიაც. ფილოსოფიას არ შეუძლია იყოს ღვთისმეტყველური აპოლოგეტიკა. მან არ უნდა იკისროს ეს ამოცანა. ის აცხადებს ჭეშმარიტებას, მაგრამ ეს გაცხადება ძალუძს მხოლოდ მაშინ, როცა ნაზიარებია რელიგიური ცხოვრების საიდუმლოებებს, იცის ჭეშმარიტების გზა. ფილოსოფია, რომელიც თავის საზრდოს რელიგიურ გამოცდილებაში მოძებნის, არ იქნება სქოლასტიკა.

რელიგია, რომელსაც არ მოაქვს განთავისუფლება, სიყალბეა და მოტყუება. ფილოსოფია უნდა იყოს ღვთისმეტყველური ან კლერიკალური. ფილოსოფია უნდა იყოს საეკლესიო, რადგან მხოლოდ ეკლესიაშია თავისუფლება.

ლიტერატურა:


1. *„მნათობი“, 2003 წ. 7-8.*
2. *„მნათობი“, 2003 წ. 1-2.*

## MODIFICATION OF INTERRELATION OF SCIENCE AND RELIGION

***Izolda Leqvinidze, Teimuraz Adeishvili, Marat Tsitskishvili, Khatuna Kikalishvili***
***Ak.*** *Tsereteli Kutaisi State University*

The widely spread postulate that “The religion always was and still is the enemy of the science” is wrong. Such an assessment is characteristic not only for the figures of “The Soviet epoch”. In historical aspect in various epochs, review of interrelation of science and religion takes us to quite oppositional conclusions.

In the temples of Old Eastern Civilization of Egypt and Babylon the fundaments of mathematics, Astronomy and Medicine had been created. The science has been originated in the very bosom of the religion. The first observatories, Atlases Anatomy, the first mathematical regularities, the first maps have been created by those people who had been serving to the religion. The Society of the Pythagoreans who had opened the way to development of mathematics was the philosophical-religious Order. At the same time, it is the merit of the thinkers-scientists of Antique Era creation of religious-philosophical principles which became lately the basis of Christian thinking, It’s enough to mention the Neo-Platonism of Plato, or Aristotle – the unrivaled “stragirician” – The Father of modern natural sciences.

In the Middle Ages the very church appeared in Europe the only cultural hearth which has preserved the germs of Antique science. The monsters were collecting the oldest literature and in its walls were gathering the whole treasures of the epochal knowledge. The Medieval Christian thinkers were the greatest scientists of their time as well – the monks were Okami, Malthus or Roger Beckon whose works have not lost their significance even today. Galileo himself was of religious epoch and was a close friend of Romanian Pope; In the works of Isaac Newton used to give a priority to theological works.

“The science and Religion, - writes Hoking, - do not fight to each other in our time. Only those levity scientists have been preserved who have a great wish to give the religion to the museum of old things. In addition this is not even a typical. But among the religious workers I doubt greatly that appears such a person who wants to suppress the science or believes that it is possible.”

The science plays a limited role in the moral life of the modern man. By its essence it stays beyond the moral and to fill this lack can only the religion and belief as an initial of the moral. Thus the religion will never lose its social function.

## სამყაროს შექმნის ბიბლიური აღწერა და თანამედროვე მეცნიერული შეხედულებები

*პროფესორი **ნოდარ კეკელიძე***
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტი*

სამყაროს წარმოშობის პრობლემა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი საკითხია. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი, მრავალმილიარდიანი ექსპერიმენტის ჩატარება, რომელიც ხორციელდება დიდ ადრონულ კოლაიდერზე (LHC), ცერნში. აღნიშნულ პრობლემას მიეძღვნა მრავალი უმნიშვნელოვანესი წიგნი და სერიოზული სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის შესრულებული სახელოვანი ძველი ბერძენი ფილოსოფოსებისა და აღმოსავლეთის დიდი მოაზროვნეების მიერ [1-33]. საინტერესო და ფრიად საკვირველია, რომ მათი იდეები გარკვეულ თანხმობაშია ზოგიერთ მნიშვნელოვან თანამედროვე გამოკვლე-ვებთან. ცხადია განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სამყაროს შექმნის ბიბლიური აღწერა [1]. პრობლემის ინტენსიური კვლევა გაჩაღდა ბოლო 50 წლის პერიოდში, როდესაც ძირითადად ნიუტონის და განსაკუთრებით ალბერტ ეინშტეინის იდეების ბაზაზე ფაქტობრივად შეიქმნა ახალი დარგი – <u>კოსმოლოგია</u>. კოსმოლოგიის განვი-თარებას ძლიერი ბიძგი მიეცა მას შემდეგ, რაც განხორციელებულ იქნა რიგი სენსა-ციური აღმოჩენებისა და დაგროვდა დაკვირვებების უზარმაზარი მასალა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოპოვებულ იქნა კოსმოსური აპარატების გამოყენებით. ამ მიმართულებით უნდა აღინიშნოს ხელოვნურ თანამგზავრზე განთავსებული თანამე-დროვე, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ტელესკოპი -„ჰაბლი“ (ამჟამად მზადდება მეორე, კიდევ უფრო მძლავრი „ჰაბლი“).

პრობლემის კვლევისთანავე მკვეთრად დაისვა პრინციპული საკითხი: როგორ წარმოიშვა ჩვენი სამყარო? არის იგი ევოლუციური - თავისთავადი განვითარების შედეგი თუ იგი შექმნა <u>უზენაესმა ძალამ – ღმერთმა</u>?!

ძველი და ახალი დაკვირვებებისა და გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ სამყარო არის სავსებით უნიკალური, მოწესრიგებული, ჰარმონიული და გემაზომიერად მოწყობილი.

აღნიშნულის საფუძველზე ჩვენ უნდა გამოვიტანოთ ფრიად ლოგიკური და ბუნებრივი დასკვნა, რომ შეუძლებელია ასეთი მოწესრიგებული, ზუსტად კონსტრუ-ირებული სამყარო წარმოშობილიყო თავისთავად, შემთხვევითი, ევოლუციური პროცე-სების შედეგად. ბუნებრივია მას უნდა ჰყოლოდა დიდი <u>კონსტრუქტორი-შემოქმედი-ღმერთი</u>.

განსაკუთრებით დაუჯერებელია, რომ სამყაროში თავისთავად გაჩენილიყო სიცოცხლე და მისი ურთულესი და უმაღლესი გამოვლინება – ადამიანი.

დადგენილია, რომ ჩვენი დედამიწა არის უნიკალური მთელს სამყაროში. დღევანდელი უმაღლესი ტექნოლოგიების გამოყენებით გამოკვლეულია მილიარდობით ვარსკვლავი, გალაქტიკები, გაგვაჩნია ინფორმაცია, მიღებული უზარმაზარი სივრციდან, რომელიც მილიარდობით სინათლის წელს მოიცავს და არსად არც ერთხელ აღმოჩენილი არ იქნა დედამიწის მსგავსი პლანეტა და მასზე სიცოცხლის არსებობის კვალი.

დედამიწა საოცრად დიზაინირებულია, იგი უზუსტესადაა განლაგებული პლანეტათა შორის სივრცეში. საკმარისი იქნებოდა იგი ცოტა უფრო ახლოს ან შორს ყოფილიყო მზისგან, რომ ან დაიწვებოდა ან გაიყინებოდა. მისი ბრუნვის ღერძის დახრილობაც ზუსტად არის შერჩეული. არც ერთ პლანეტას არ აქვს ასეთი, სიცოცხლისთვის აუცილებელი და კოსმიური გამოსხივებისგან დამცავი ატმოსფერო. დედამიწას გააჩნია მძლავრი მაგნიტური ველი, რომელიც იცილებს დიდი ენერგიის მქონე დამუხტული ნაწილაკების მძლავრ ნაკადს და ა.შ.

ევოლუციური თეორიის თანახმად წარსულში სამყარო იმყოფებოდა ქაოსურ მდგომარეობაში და განვითარება მიემართებოდა აღმავლობის გზის მარტივიდან რთულის წარმოქმნით, **სტრუქტურულობისაკენ, ანუ მოწესრიგებულობისკენ სწრაფვით.** ეს კი მკვეთრად ეწინააღმდეგება თერმოდინამიკის მეორე კანონს, რომლის მიხედვითაც dS≥0 ანუ ენტროპია ყოველთვის იზრდება და სისტემა მიისწრაფვის არა მოწესრიგებულობისკენ, არამედ – ქაოსურობისკენ.

ალბათობის თეორიაზე დაყრდნობილმა ზუსტმა მათემატიკურმა გამოთვლებმა, მათ შორის შ.შოშიაშვილის მონაცემებმა აჩვენა, რომ ჩვენს სამყაროში სიცოცხლის თავისთავად გაჩენის ალბათობა პრაქტიკულად ნულის ტოლია. აღმოჩნდა, რომ გენების შემთხვევით წარმოქმნის ალბათობა არის $10^{-100}$–$10^{-200}$ შორის.

ზემოაღნიშნულის მეშვეობით სამეცნიერო კვლევებსა და ზუსტ მათემატიკურ გამოთვლებზე დაყრდნობით, საღმრთო წერილების, თეოლოგიური და ფილოსოფიური შრომების მოშველიებით, ყველას უნდა გამოეტანა დასკვნა ევოლუციური თეორიის სრული უსაფუძვლობის შესახებ. სამწუხაროდ ასე არ მოხდა. არქიმანდრიტი ალიპიი, მღვდელ კონსტანტინე ბუფეევის წიგნის წინასიტყვაობაში [29] აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ ევოლუციონისტური თეორია, რომელსაც ჩვენ სასკოლო მერხიდან გვინერგავდნენ „არის არაუმეტეს ჰიპოთეზისა, რომელიც არ არის დადასტურებული სერიოზული არქეოლოგიური მონაცემებით, აზროვნების ეს სტერეოტიპი მიღებულ იქნა მეცნიერებისა და არამეცნიერების ძირითადი მასის მიერ. რაშია დარვინის თეორიის ასეთი წარმატების მიზეზი? მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის ცნობიერებამ, რომელმაც დაკარგა ღმერთთან ცოცხალი ურთიერთობა, ჯერ კიდევ ვერ **მოიგონა სამყაროს წარმოქმნის სხვა „მეცნიერული ახსნა“.** აღნიშნული მკაცრი განცხადება ახლოსაა სინამდვილესთან. სამწუხაროდ, მეცნიერების დიდი უმრავლესობა (მათ შორის მორწმუნენიც) არ ცდილობენ თავიანთი მეცნიერული გამოკვლევები უშუალოდ დაუკავშირონ ღმერთის სახელს და, როგორც წესი, ცდილობენ შექმნან თეორიები შემოქმედის დიდი ძალის გამოყენების გარეშე. თანამედ-

როვე კოსმოლოგიური კვლევის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, ნიუტონის კათედრის მემკვიდრე, გენიოსად აღიარებული სტივენ ჰოუკინგი [26,27] სვამს ასეთ კითხვებს: „აქვს კი ღმერთს ადგილი უსასრულო სამყაროში? და კიდევ: „იქნება კი შემოქმედის არსებობის იდეის აუცილებლობა, მაშინ, როდესაც ჩვენთვის გასაგები გახდება ღმერთის ჩანაფიქრი?“

ჰოუკინგი, და არა მხოლოდ ის, ცდილობს გაარკვიოს არსებობს თუ არა სამყაროში რაღაც ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს სამყაროს კანონებს და თუ ჩვენ ამ პრინციპს ვიპოვით, ანუ შევიმუშავებთ სამყაროს წარმოშობისა და განვითარების ერთიან კონცეფციას, ჩვენ უკვე გვეცოდინება როგორ იმართება ამ პრინციპისა და შესაბამისი კანონების მეშვეობით სამყარო. მაშინ გაიხსნება ღმერთის ჩანაფიქრიც და ალბათ კაცობრიობისთვის მოიხსნება ღმერთის არსებობის საჭიროება. აღნიშნულთან დაკავშირებით მკაფიოდ უნდა აღინიშნოს, რომ ღმერთის ადგილი სამყაროში ყოველთვის იყო, არის და იქნება.

ბუნების ფუნდამენტური პრინციპისა და კანონების ძიება კარგი და აუცილებელია, მაგრამ ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა პრინციპს და კანონს ქმნის ღმერთი და შემდგომ მათი „საშუალებით“ ზუსტად და მიზანმიმართულად მართავს იგი სამყაროს.

ყველაზე მტკიცე მორწმუნე გახლდათ გენიალური ნიუტონი, რომელიც მეცნიერული კვლევების დროს წმინდა წერილსაც იყენებდა. იგი თვლიდა, რომ მოძრაობას სამყაროში პირველი ბიძგი მისცა შემოქმედმა.

სამყაროს წარმოშობისა და განვითარების არსებულ თეორიებს შორის შესაძლოა გამოიყოს დიდი აფეთქების თეორია, ლინდეს ინფლაციური თეორია, სიმების თეორია, M თეორია და კოსმიური კონცეფცია [3].

ყველა ეს თეორია დიდი აფეთქების თეორიის გარდა (**დათ**) წარმოადგენს მკაფიოდ გამოხატულ ევოლუციონისტურ მოდელებს.

ზოგიერთი ავტორისეული წარმოდგენითა და ფორმით და განსაკუთრებით კი ჰოუკინგის ვარიანტით [12] **დათ**-ც წარმოჩნდება და განიხილება როგორც ევოლუციონისტური თეორია. მაგრამ თუ ჩვენ ღრმად გავაანალიზებთ და მოვახდენთ **დათ** მცირე მოდიფიცირებას მივიღებთ სამყაროს შექმნისა და განვითარების მწყობრ, **მეცნიერულ-თეოლოგიურ თეორიას**, რომელიც კარგად ესადაგება ბიბლიას და მეცნიერულად „ასაბუთებს“ მას.

დიდი აფეთქების თეორიის არსი შემდეგში მდგომარეობს: ათასწლეულების მანძილზე ციურ სხეულებზე დაკვირვების შედეგად ბევრ ადამიანს და მათ შორის მეცნიერებს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ სამყარო არის უცვლელი, სტაბილური, მარადიული და უსასრულო. აქედან კი გამომდინარეობდა „მეცნიერული“ დასკვნა, რომ სამყარო არ იცვლებოდა და არც არასოდეს შეიცვლებოდა, იგი მუდამ არსებობდა და მაშასადამე არც არავის შეუქმნია!

სწორედ ეს ძირითადი და პრინციპული სტერეოტიპი დაანგრია დიდი აფეთქების თეორიამ და მოაბრუნა მეცნიერება ბიბლიისკენ, სადაც მკაფიოდაა აღნიშნული, რომ სამყარო შექმნა ღმერთმა.

ფრიად ნიშანდობლივია, რომ მეცნიერთა შორის ისე ძლიერად იყო ფესვგადგმული სამყაროს სტაბილურობის პრინციპი, რომ თვით ეინშტეინიც კი მტკიცედ იზიარებდა აღნიშნულ აზრს. მეტიც, იგი შეეცადა თავისსავე გენიალურ თეორიაში შეეტანა კორექტივები, რათა „დაესაბუთებინა" სამყაროს სტაბილურობა, რასაც შემდგომში თავის დიდ შეცდომად მიიჩნევდა. მან გრავიტაციის ფორმულაში შეიტანა ცნობილი დელტა წევრი, რომელმაც შემდგომში, მართალია სხვა მიმართულებით, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამყაროს ერთიანი თეორიის განვითარების საქმეში. საბედნიეროდ 1922-1924 წწ. ყველასთვის უცნობმა საბჭოთა მეცნიერმა ფრიდმანმა უარყო ეინშტეინის შესწორება, ამოიღო დელტა წევრი და განახორციელა ეინშტეინის განტოლების ზუსტი ამოხსნა, საიდანაც გამომდინარეობს, რომ **სამყარო არ არის სტაბილური, იგი ცვალებადია** (სამყარო ფართოვდება) და სწორედ ეს იდეა არის ჩადებული გიორგი გამოვის და სხვათა დიდი აფეთქების თეორიაში. ამასთანავე აუცილებელია აღინიშნოს, რომ სამყაროს გაფართოების იდეა პირველად ჰოლანდიელმა ასტრონომმა დე სიტერმა დააფუძნა, აგრეთვე აინშტაინის განტოლებებზე დაყრდნობით [33].

და აი 1929 წელს გამოჩენილი ამერიკელი ასტროფიზიკოსის – ჰაბლის მიერ აღმოჩენილ იქნა, რომ გალაქტიკები დიდი სიჩქარით შორდებიან ერთმანეთს. აქედან გამომდინარეობს უმნიშვნელოვანესი დასკვნა, რომ **სამყარო არ არის სტაბილური, სამყარო ფართოვდება,** რაც წარმოადგენს დიდი აფეთქების თეორიის **პირდაპირ, უტყუარ ექსპერიმენტულ დასაბუთებას**. დღეისათვის ეს ფაქტი ურყევად არის გამეფებული მსოფლიოს მეცნიერულ წრეებში. აღნიშნულის გამოა, რომ ჰაბლის ღვაწლი გათანაბრებულ იქნა ნობელის პრემიასთან და მისი სახელი მიენიჭა დედამიწის თანამგზავრზე დამონტაჟებულ ტელესკოპს, რომლიც საშუალებითაც განხორციელებულ იქნა ფანტასტიკური გაზომვები და აღმოჩენები.

თუ წარმოვიდგენთ გაფართოების შებრუნებულ პროცესს, ჩვენ იოლად მივალთ იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ ადრე სამყარო იყო შეკუმშული. უფრო მეტიც, ამ „პროცესის" ბოლოს იგი წერტილამდე უნდა შეკუმშულიყო. **დათ**-დან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დასაწყისში სამყარო იყო წერტილი, ე.ი. იგი არ არსებობდა და რაღაც ძალის ზემოქმედებით იგი უეცრად აფეთქდა და სამყარომ უსწრაფესად დაიწყო გაფართოება სივრცეში. მაშასადამე, **დათ**-დან ჩანს, რომ იყო „დრო", როდესაც სამყარო არ არსებობდა. ამრიგად, დიდი აფეთქების თეორია შეიცავს სინგულარობას ანუ **სამყარო შეიქმნა არაფრისგან**, რაც სრულ თანხმობაშია ბიბლიურ წარმოდგენებთან. სამყაროს შექმნის მომენტამდე არაფერი არ არსებობდა. არ იყო არც მატერია (არც ნივთიერება), არც სივრცე და საერთოდ დროც არ მიმდინარეობდა. ე.ი. უნდა დავასკვნათ, რომ სამყარო შექმნა ღმერთმა და ღმერთმა იგი შექმნა არაფრისგან, რაც ემთხვევა მოსე წინასწარმეტყველის განმარტებას:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ <u>დიდი აფეთქების მოდელი</u> ფაქტობრივად წარმოადგენს **<u>კრეაციონისტულ თეორიას</u>**.

**„მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იდო უფსკრულზე და სული ღვთისა იძროდა წყლებს ზემოთ“** (დაბადება 1,2),

რაც იმას ნიშნავს, რომ სამყარო იყო ქაოსური, ხოლო გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის ს.ავალიანის განმარტებით ქაოსი ექვივალენტურია „არაფრის“.

მატერია, ნივთიერება, მასა (m), ღმერთმა შექმნა ენერგიისგან ეინშტეინის ფორმულის

$E=mc^2$ -ის

„შესაბამისად“ და ეს ენერგიაც ღმერთმა შექმნა (ალბათ ე.წ. „ფარული“ ანუ უხილავი ენერგიისაგან).

**დათ**-ისა და კვანტური ფიზიკის გამოყენებით შესაძლებელია შეფასებულ იქნეს სამყაროს შექმნის ძალიან ადრეული პერიოდის მახასიათებლები. განსაკუთრებით მცირე პლანკისეულ დროში, $t=10^{-43}$ წამის პერიოდში სამყაროს სივრცული ზომები შეადგენდა $10^{-33}$ სმ. ე.ი. ამ „დროს“ სამყარო ძალიან ახლოს იყო ე.წ. წერტილოვან მდგომარეობასთან და წარმოუდგენლად მცირე სივრცეში მოთავსებული იყო განუზომლად დიდი ენერგია $E=10^{18}$GeV და ეს ენერგია (შესაბამისი მასა) უსწრაფესად გავრცელდა სივრცეში. ვის თუ არა ღმერთს შეეძლო გაეჩინა ასეთი ფანტასტიკური რაოდენობის ენერგია, გადაექცია იგი მასად და შეექმნა სამყარო.

დიდი აფეთქების თეორიას ხშირად აკრიტიკებენ იმ მოტივით, რომ აფეთქება დამანგრეველი პროცესია და რომ აფეთქებით რამის, მითუმეტეს სამყაროს, შექმნა არ შეიძლება. ამ მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ აფეთქება წარმოადგენს სწრაფ პროცესს. აღნიშნულ შემთხვევაში დიდი აფეთქება განიხილება, როგორც ენერგიის წარმოშობის, მისი მასად გარდაქმნისა და გაფართოების ძლიერ სწრაფი პროცესი. და როგორც ჩემმა დოქტორანტმა ბელა კვირკველიამ დისკუსიის დროს აღნიშნა-აქ ასაფეთქებელი არაფერი იყო, ვინაიდან ჯერ კიდევ არც არაფერი არსებობდა.

**დათ**-ის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი „არგუმენტი“ გახლავთ ის, რომ იგი მოიაზრება როგორც **<u>ევოლუციონისტური თეორია</u>**, ხოლო ევოლუციის ქვეშ იგულისხმება ნელი (არარევოლუციური) განვითარება - **<u>მარტივიდან რთულისკენ</u>** მაშინ, როდესაც კრეაციონისტული თეორია გულისხმობს პირდაპირ რთულის შექმნას.

აქ ჩვენ მკაფიოდ უნდა გავმიჯნოთ ორი ეტაპი: **<u>სამყაროს შექმნის პირვანდელი აქტი</u>**, რომელიც განხორციელდა არაფრისგან, წერტილიდან, დიდი აფეთქების შედეგად, ანუ პრაქტიკულად მყისიერად. ამრიგად, დიდი აფეთქების მოდელი წარმოჩინდება, როგორც კრეაციონისტული თეორია, სადაც პირვანდელი აქტის - სამყაროს შექმნის ავტორი შესაძლოა იყოს მხოლოდ ღმერთი. აქ სადავო არაფერია.

განსჯის საკითხი შესაძლოა იყოს მხოლოდ მეორე ეტაპი-მრავალმილიარდიანი პერიოდი.

აღნიშნული პრობლემის დასაძლევად საჭიროა **დათ**-ის სახეცვლილება, რაც ძირითადად გულისხმობს თვით ევოლუციის ცნების დაზუსტებას და შესაბამის პროცესში ახალი პრინციპის შეტანას.

მართალია **დათ** გულისხმობს კვარკებიდან პროტონებისა და ნეიტრონების შექმნას, შემდეგ კი ელექტრონების მონაწილეობით ატომების მოლეკულების და ნივთიერებების ჩამოყალიბებას, მაგრამ აღნიშნული ფაქტიურად არ არის ევოლუციური გზა. აქ განხილულ უნდა იქნეს ორი პრინციპი:

1. აღნიშნული ცვლილებები ევოლუციურად, ანუ **თავისთავად**, ქაოსურად, ყველაფრისგან დამოუკიდებლად კი არ ხდება, არამედ ისინი ხორციელდება **ღმერთის უშუალო და პირდაპირი მონაწილეობით**.
2. აქ ადგილი არა აქვს ევოლუციურ, უწყვეტ, თანაბარ, უბრალო, ნელ, მხოლოდ რაოდენობრივ პროცესებს, აქ ხდება უძლიერესი, **თვისობრივი ცვლილებები**, თანაც სწრაფად და რევოლუციურად.

კვარკებიდან პროტონების და ნეიტრონებისაკენ და შემდეგ ატომებისა და მოლეკულებისაკენ გარდასახვა არ არის სვლა მარტივიდან რთულისაკენ.

კვარკი სულაც არ არის უფრო მარტივი, ვიდრე პროტონი, ნეიტრონი და ბირთვი, პირიქით იგი უფრო რთულია.

ბუნებაში არსებული ყველა ფუნდამენტური ძალა მცირდება სხეულებს შორის მანძილის გაზრდის დროს, კვარკებს შორის მოქმედი ურთიერთქმედება (მიზიდულობის ძალა) კი იზრდება მანძილის ზრდასთან ერთად. ამითაა გამოწვეული ის გარემოება, რომ დღემდე ვერ ხერხდება კვარკების განცალკევება და იზოლირებულად შესწავლა, უმძლავრესი ტექნიკის გამოყენებითაც კი.

ატომბირთვი უფრო რთულია, ვიდრე ატომი. ატომები იქმნება ორბიტებზე მბრუნავი უარყოფითად დამუხტული ელექტრონების დადებითად დამუხტულ ბირთვებთან მიზიდულობის ძალების არსებობის საშუალებით, ხოლო ბირთვული ნაწილაკების (დადებითად დამუხტული პროტონებისა და ნეიტრონების) შეკავშირებისთვის საჭიროა ახალი ტიპის ძლიერი ბირთვული ძალების შემოყვანა.

ასევეა ატომის შექმნა. იგი უფრო რთულია, ვიდრე მოლეკულა. ატომბირთვები და ელექტრონები აყალიბებენ ფანტასტიკურ სტრუქტურას – ატომს, სადაც ერთეულები უბრალოდ კი არ ერევიან ერთმანეთში, არამედ ელექტრონები მწყობრად რეგულარულად, მიზანმიმართულად ლაგდებიან **დასაშვებ** ორბიტებზე, ჩნდება აკრძალვების კანონები და მოქმედებას იწყებს სრულიად ახალი მოვლენა – პაულის პრინციპი (ფაქტობრივად შემოდის თვისობრივად ახალი „პაულის ძალები“) და ყოველივე ეს ხორციელდება არა თავისთავად, არამედ გარეშე ზეძალის დიდი დიზაინერის და კონსტრუქტორის – შემოქმედის მიერ. ამრიგად, ღმერთი ქმნის ახლებურ, თვისობრივად სრულიად განსხვავებულ სტრუქტურებს (სისტემებს), რაც ვეღარასოდეს განხორცი-

ელდება ევოლუციის გზით და რაც აგრეთვე ეწინააღმდეგება თერმოდინამიკის მეორე კანონს.

მოლეკულა და ნივთიერება მარტივად იქმნება დადებითი და უარყოფითი იონების შეკავშირებით, მაგ. $Na^{+}+Cl^{-} \rightarrow NaCl$

ამავე დროს დაუშვებელია ევოლუციის სრული უგულებელყოფა. ცნობილია, რომ იგი არსებობს ცოცხალ ორგანიზმებშიც. გვართა შიგნით ადგილი აქვს ცვლილებებს, ცხოველები იცვლიან ფერს, ეგუებიან გარემოს, მაგრამ გარემოსთან შეგუება ღმერთის მიერ მინიჭებული, თანდაყოლილი ცვლილებაა. როცა დათვს არ აქვს საკვები, იგი მთელ ზამთარს ძილში ატარებს.

ღმერთი სამყაროს ქმნის მიზნობრივად, მიზანშეწონილად, როცა საჭიროა იგი სამყაროს ქმნის ეტაპობრივად, როცა საჭიროა პირდაპირი აქტის გზით.

ბიბლიაში აღწერილი სურათიც ფაქტობრივად, ეტაპობრივი პროცესია. ღმერთი სამყაროს ქმნიდა „ექვსი დღის" მანძილზე, ქმნიდა მის სხვადასხვა ნაწილებს. მაგრამ სიცოცხლე და ადამიანი, ეს ურთულესი სისტემა, მან შექმნა ისეთი, რომ იგი მთლიანად იყო აღჭურვილი ყველა საჭირო თვისებებით. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ადამიანს უნდა ჰქონოდა ყველა აუცილებელი ატრიბუტი, მათ შორის უმაღლესი – გონიერება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ გადარჩებოდა იმ სასტიკ გარემოში.

ალბათ მიზანშეწონილია ჩვენ დავუშვათ, რომ ისევე როგორც უფალმა ადამიანს მისცა ნება და შესაბამისად გარკვეულწილად დამოუკიდებლად მოღვაწეობის უფლება და არ შექმნა იგი რობოტად, ასევე უნდა ვივარაუდოთ, რომ ღმერთმა შექმნა ძალები და ბუნების კანონები, რომელთა საშუალებებითაც გაკვეულ პირობებში და გარკვეულ მონაკვეთში მიმდინარეობს პროცესები. ალბათ ასეთ „სიტუაციას" გულისხმობდა დიდი ნიუტონი, როცა ამბობდა ღმერთი ყველგან არის, მაგრამ იგი მოძრაობას ხელს არ უშლისო. ამასთანავე საჭიროა მკაფიოდ აღინიშნოს, რომ ეს კანონები კი არ მართავენ სამყაროს, არამედ <u>სამყაროს ამ კანონებით მართავს შემოქმედი</u>. მკვლევარების მოკრძალებული მისია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გამოავლინოს ეს კანონები და შეეცადოს მიახლოებით გაარკვიოს როგორ შექმნა ღმერთმა სამყარო. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ სრულ ჭეშმარიტებას ჩვენ ვერასოდეს მივაღწევთ. ამიტომაა რაც უფრო ღრმად შევდივართ სამყაროს ლაბირინთებში, მით უფრო დიდი და რთული საიდუმლოებები ისახება ჩვენს წინაშე.

სამყარო შექმნილია უზუსტესი და უფაქიზესი კონსტრუირების გზით. ფიზიკისა და ასტროფიზიკის უახლესი შედეგები უტყუარად ასაბუთებენ, რომ ადრეული სამყარო აწყობილია $10^{-59}$ სიზუსტით. განა შესაძლებელია ასეთი, წარმოუდგენლად მაღალი, ნამდვილად ფანტასტიური სიზუსტით სამყაროს აწყობა ვინმეს ან რამეს განეხორციელებინა, ღმერთის გარდა?!

ღმერთმა სამყაროს აგებისას ჯერ შექმნა და შემდგომ "გამოიყენა" ურთიერთქმედების ოთხი ძალა: ძლიერი, სუსტი, ელექტრომაგნიტური და გრავიტაციული.

სწორედ ამ ძალების საფუძველზეა აგებული მთელი სამყარო. დღეისათვის შესაძლებელია ჩაითვალოს რომ შექმნილია ამ ძალების გაერთიანების თეორია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ როგორც ამას დაბეჯითებით მიუთითებდა ა. ეინშტეინი, სამყარო ერთიანია; ეს კი ნიშნავს, რომ იგი შექმნილია ერთი ხელით, ერთი კონსტრუქტორის - შემოქმედის მიერ.

სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე ზოგად და ფუნდამენტურ კანონზომიერებას წარმოადგენს **სიმეტრიის კანონი**. იგი გვხვდება და სრულდება ყველგან, როგორც მიკრო, ასევე მაკროსამყაროში. და აი აღმოჩნდა, რომ სუსტი ურთიქრთქმედება არღვევს კვარკებისა და ანტიკვარკების ტოლი რაოდენობით წარმოქმნის სიმეტრიას (ანუ CP ინვარიანტობას). ეს პრაქტიკულად ძლიერ სუსტი ეფექტია, მაგრამ სწორედ ის თამაშობს გადამწყვეტ როლს. საქმე იმაშია, რომ ამ ეფექტის შედეგად ყოველ მილიარდ ანტიკვარკთან ერთად იბადება მილიარდ პლუს ერთი კვარკი. და სწორედ ეს **ერთადერთი კვარკი წყვეტს სამყაროს და კაცობრიობის ბედს**. დიდი აფეთქების თეორიის შესაბამისად სამყაროს გაფართოების და გაციების გარკვეულ ეტაპზე, როდესაც ნაწილაკების ენერგია მნიშვნელოვნად ეცემა, ინტრენსიურად მიმდინარეობს კვარკებისა და ანტიკვარკების ანიგილაციის – მოსპობის პროცესი და „ცოცხალი“ რჩება სწორედ ის ერთი ზედმეტი კვარკი, რომლის საშუალებითაც აიგება მთელი ჩვენი სამყაროს მატერია.

Естественно предположить, что на раннем этапе сотворения Вселенной, когда существовала очень большая плотность обыкновенной материи, доминировали мощные силы притяжения, и Вселенная расширялась с замедлением. Однако, в результате сильного расширения, плотность обыкновенной материи значительно уменьшалась, и силы гравитационного притяжения также значительно уменьшались, в то время как плотность темной энергии изменялась незначительно. Поэтому, согласно теории большого взрыва, должно было наступить время, когда отталкивающая сила могла преодолеть силу гравитационного притяжения, и Вселенная должна была начать расширяться ускоренно. И на самом деле, в 2001г. на основе измерения интенсивного излучения сверхновых звезд было обнаружено, что во Вселенной действительно началось ускоренное расширение, и это явление имело место 5 миллиардов лет назад. Отмеченное открытие вывело ТБВ на качественно новый этап.

Что касается большого возраста Вселенной (~ 14 миллиардов лет), в этом отношении, необходимо отметить, что примененное в Библии слово День не означает, по нашему представлению, двадцать четыре часа, т.к. Солнца еще не было. Кроме того, на древнееврейском языке - день также означает промежуток времени, и что особенно важно Библия есть совокупность обобщенных повествований. С другой стороны, вовсе не принципиально за какое время Бог создал Вселенную, а самое важное то, что Вселенную сотворил Бог! Он мог сотворить Вселенную за более короткое время, чем пять дней, даже мгновенно. Согласно ТБВ акт создания Вселенной произошел за фантастически малое время – за планковское время $t=10^{-43}$сек. т.е. практически мгновенно. Также за трудно представляемое короткое время $t=10^{-36}$сек. появились основы нашей Вселенной - кварки и лептоны, а за стотысячную долю секунды были созданы кирпичи Вселенной – протоны и нейтроны и за три минуты были созданы ядра первого вещества – гелия.

ТБВ объединила физику микромира и макромира.

То, что Вселенная насчитывает много миллиардов лет, сегодня считается неоспоримым фактом. Это научно обосновано и доказано многочисленными астрономическими, астрофизическими, геологическими, географическими, физическими, химическими, радиоактивными и другими методами, исследованиями, анализом и оценками. В этой связи полезно вспомнить знаменитое изречение Давида (и не только его) – один день, как тысячу лет. Ведь сегодня за возраст Вселенной принято считать около 10000 лет, а не шесть дней, как считалось раньше. Важно заметить также, что современному научному представлению о времени не противоречит и Православный Катихизис [31].

Использование эволюционистами фактора большого времени не является обоснованным приемом. Как было показано выше Сотворение и становление Вселенной не осуществлялось по законам эволюции (от простого к сложному).

Известный грузинский философ С. Авалиани [13,14] хаос отождествляет с понятием «ничто» – «ничего». По его мнению, основанная на модели большого взрыва и инфляционного расширения Вселенной, ТБВ является теорией космологического креационизма. Она окончательно отвергла идею Вечной Материи, которая составляет главную основу любого материалистического мировозрения.

Современная космология, мягко говоря, поставила под сомнение, принятый в течение веков закон сохранения материи и энергии, и тем самым снабдило религиозное мировоззрение новыми аргументами, и то, что раннее являлось сферой веры, было представлено в виде научного знания.

В указанном аспекте весьма целесообразно вспомнить потрясающее стихотворение знаменитого русского поэта Гавриила Державина – «Бог». В этом обширном стихе поэт представляется как глубоко мыслящий философ и теолог.

Г. Державин писал:

«*Хаоса бытность довременну*
*Из бездн ты вечности воззвал,*
*А вечность, прежде как рожденну,*
*В себе самом ты основал»*

Анализируя строки Державина, мы приходим к заключению, что хаос («Земля безвидна и пуста») относится к довременной категории, т.е. это было состояние, когда еще не было времени. Таким образом, хаос можно рассматривать как «ничто», а это точно соответствует библейским представлениям и современным научным взглядам, в частности теории большого взрыва.

Согласно Державину, хаос находился в пропасти Вечности («бездн вечности»), из которой его поднял Бог. А Вечность также была довременной. Согласно этому, можно сделать заключение, что Вечность – это атрибут Бога, и она была до сотворения Вселенной. И «потом» Бог создал наш реальный мир, в котором не может существовать Вечность.

Необходимо отметить, что проф. Ш.Сабашвили, а также известный художник и поэт Эсма Ониани (1938-1999гг), сделали прекрасные переводы «Бога», где им удалось точно выразить сложнейшие и глубокие мысли Державина. При этом проф. Ш.Сабашвили осуществил глубокий анализ философско-теологической концепции стихотворения Державина [32].

## Заключение

На основе вышеизложенного можно заключить, что на сегодняшний день теория большого взрыва является единственной моделью происхождения Вселенной, которая с большой точностью и убедительностью была экспериментально подтверждена. При этом были использованы новейшие технологии современности, в том числе искусственные спутники Земли, мощнейшие компьютерные системы, высокочувствительные оптические устройства, расположенный на орбите Земли – телескоп и др.

Теория большого взрыва, представленная в некотором модифицированном виде, фактически является креационистской научной теорией, которая хорошо соответствует библейским представлениям. Она научно «объясняет» акт сотворения Богом Вселенной и другие библейские утверждения. Она дает убедительные ответы на поставленные перед Библией вопросы.

Другие теории математически, безусловно, хорошо и точно обоснованы. С их помощью были достигнуты важные результаты, в том числе, объединение четырех фундаментальных сил, объяснение сути гравитации и др. Однако, указанные теории пока еще экспериментально не подтверждены, в отличие от теории большого взрыва. А как хорошо известно, критерием истины является только эксперимент.

Мы должны надеяться, что в будущем будет создана единая теория, в которой четко будет представлена роль Создателя!

## ЛИТЕРАТУРА:

1. *БИБЛИЯ Книги Священного Писания Ветхого и Нового Завета. Издание Московской Патриархии. Москва 1968*
2. *Ш. Шошиашвили. О космической Вселенной и бессмертии души. Издательство Некери. Тбилиси. 2003.*
3. *Ш.Шошиашвили. Вселенная, наука и религия. Из-во. „Меридиани“. Тбилиси 2009*
4. *Ш. Шошиашвили. Космическая Вселеннаяс точки зрения теософии. Книга II. „Меридиани“. Тбилиси. 2012.*
5. *N. Aviezer, In the Beginning... Biblical Creation and Science. KTAV Publishing House, Hoboken N.J 07030. 1997*
6. *Mark Van Bebber and Paul S. Taylor. Creation and Time. Eden Communications. USA/Canada*
7. *А. Д.Линде.Физика элементарных частиц и инфляционная космология. М.: Наука, 1990*
8. *С. Вайнберг. Первые три минуты. М., Москва. 1988.*
9. *В. Грин. Элегантная Вселённая. Москва 2004.*
10. *Г.Двали. Кто нарушил закон тяготения. В мире науки. №5. 2004.*
11. *Nima Arkani-Hamed, S. Dimopoulos, G. Dvali and G. Gabadadze, "Nonlocal modification of gravity and the cosmological constant problem," (2002). hep-th/0209227.*

12. *Hawking, Stephen W. A Brief History of Time: From the Big Bang to Black Holes. (2001)*
13. *С. Авалиани. Теоретическая философия. Универсал. Тбилиси. 2007*
14. *С. Авалиани. Научная онтология. Философская библиотека. Тбилиси. 1994*
15. *Рисс А., Тернер М. 'От замедления к ускорению' // В мире науки, 2004*
16. *Г. Никобадзе. Невидимые размерности Вселенной. Интеллект. Тбилиси 2009*
17. *Г. Никобадзе, Концепции современного естествознания. Тбилисский государственный университет. 2000*
18. *И. Вашакидзе, Г. Никобадзе. Современная физика для всех. Тбилисский государственный университет. 1999*
19. *Н. Роинишвили, М.Сванидзе Эволюция Вселенной. От Большого Взрыва до Большого Разрыва. Тбилиси. 2004*
20. *Я. Б. Зельдович, Современная космология. «Природа», №9, 1983*
21. *Ш.Шошиашвили, Н.Кекелидзе. Новые сведения о божественной Вселенной: Проблемы экологии. Под редакцией Марата Цицкишвили. Тбилиси 2008*
22. *Н.Кекелидзе. О сотворении Вселенной. Тезисы международного симпозиума по вопросам евреистики и библиологии. Холон. 2000*
23. *Кекелидзе Н.П., Шошиашвили Ш.С. К вопросу Сотворение или эволюция. Православное Осмысление Творения Мира. Выпуск 3. стр.353. Москва 2007, Выпуск 2. стр.337. 2006*
24. *Н.П. Кекелидзе, Ш.С.Шошиашвили. О взаимноотношении науки и религии; Наука и Религия. Сборник Докладов первой международной конференции. Тбилиси. 2005*
25. *[25] Ш.Шошиашвили, Н.Кекелидзе. О рождении Космической Вселенной. Труды креационисткого общества. Вначале было слово. Под общей редакцией Д.Багатурия и Н.Кекелидзе. стр.42. Из-во Тбилисского Государственного Университета. 2006*
26. *С. Хокинг. Будет ли необходимость в идее Создателя, когда нам станет понятен замысел Бога. Наука и Религия. №8. 1991*
27. *С. Хокинг. Есть ли место Богу в беспредельной Вселённой. Наука и Религия.№6, 1999*
28. *М. Хлопов, Космомикрофизика. «Знание». Москва. 1989*
29. *Священик Константин Буфеев. Православное вероучение и теория эволюции. Санкт-Петербург. 2003*
30. *Пятикнижие Торы на грузинском языке. Перевод и редактирование Шалома Дэвида. Тель-Авив. 1996*
31. *Иерей Олег Давыденков ... Катихизис. Введение в догматическое Богословие. Курс лекций. Издательство Православного Свято-Тихоновского богословского института. Москва 2000*
32. *Ш.А. Сабашвили, Философско-теологическая концепция стихотворения Г. Державина «Бог» и выполненый нами его Грузинский перевод (на русском языке); «Наука и религия», Сборник докладов первой международной конференции стр. 526, 302-314. Тбилиси. 2005*
33. *И. Иванов. Как взорвалась Вселенная М., «Квант», №68, 1988*

# ნეტარების სიმფონია და ნეტარების ცნების საზრისი ბიბლიის მიხედვით

*პროფ. მზია სულაძე*
*სასწავლო უნივერსიტეტი `გეომედი~*

ბიბლიაში ნეტარების ცნება გააზრებულია, ვითარცა ჭეშმარიტი, მარადიული, სრული, თვითკმარი, უდიდესი სიხარულისა და ბედნიერების განცდა, რომელიც ადამიანის შინაგანი მდგომარეობის, მისი ჭეშმარიტი შინაგანი სამყაროს ბუნებრივი გამოხატულებაა.

ნეტარება არის ღვთივსათნო ადამიანის მოღვაწეობის უმაღლესი მიზანი. ბიბლიური ნეტარების განცდა შეუძლებელია ადამიანის მთელი შინაგანი ენერგიისა და ემოციური მუხტის ღმერთთან ერთობის განცდის გარეშე. ესაა ხილულ და უხილავ სამყაროთა შორის გადებული ღვთაებრივი ხიდი, ადამიანის მუდმივი სრულყოფის, მარადიულობისა და უკვდავების გზა. იგი მოიაზრება, როგორც ადამიანის ხსნის, მისი გადარჩენის წყარო - „რომელმან სუას წყლისა მისაგან... არღარა სწყუროდის უკუნისამდე, არამედ... ვიდოდის ცხორებად საუკუნოდ“ (იოვ. 4:14)

ბიბლიაში სიტყვა ნეტარება გვხვდება 87-ჯერ. ძველი აღთქმის წიგნებში იგი 47-ჯერ არის გამოყენებული, ხოლო ახალი აღთქმის წიგნებში კი 40-ჯერ. ნეტარების სიმფონია, რომელიც მომზადდა ამ წიგნების მიხედვით, ნათლად წარმოაჩენს ნეტარების თემის საზრისს, მნიშვნელობას და ნეტარების გააზრების იმ განმასხვავებელ ნიუანსებსა თუ მსოფლმხედველობრივ ასპექტებს, რომელიც ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში არის ასახული.

**ნეტარების სიმფონია**

**ძველი აღთქმა**

1. „ნეტარია შენი ხალხი, ნეტარნი არიან შენი მორჩილნი, მუდამ შენს წინაშე რომ დგანან და ისმენენ შენს სიბრძნეს“ (3მეფ.10:8 )
2. „ნეტარია შენი ხალხი, ნეტარნი არიან შენი მორჩილნი, მუდამ შენს წინაშე რომ დგანან და ისმენენ შენს სიბრძნეს“ (2ნეშტ.9:7 )
3. „იშვებდე და იხარებდე მართალთა შვილების გამო, რადგან შეიკრიბებიან ისინი და აკურთხევენ მართალთა უფალს! ნეტარ არიან შენი მოყვარულნი! გაიხარებენ შენი მშვიდობით“(ტობ.13:15)
4. „ნეტარნი არიან შენს ტანჯვათა გამო შეწუხებულნი, რადგან გაიხარებენ შენით, როცა შენს დიდებას მოესწრებიან, და სიხარულში იქნებიან უკუნისამდე! აკურთხოს სულმა ჩემმა ღმერთი, დიდი მეუფე“(ტობ.13:16)
5. „ნეტარია კაცი, რომელმაც არ შესცოდა თავის პირით და ცოდვის სევდამ არ დაამწუხრა“ (ზირ.14:1)

6. „ნეტარია, ვისაც არ არცხვენს თავისი სული და ვისაც არ დაუკარგავს სასოება" (ზირ.14:2).

7. „ნეტარია კაცი, რომელიც სიბრძნეს ეწაფება და ვინც თავისი გონიერებით მსჯელობს" (ზირ.14:20).

8. „ნეტარია, ვინც გონიერ ქალთან ცხოვრობს, ვინც არ შესცოდა ენით და თავისზე უღირსს არ ემსახურა" (ზირ.25:8).

9. „ნეტარია, ვინც სიბრძნე მოიხვეჭა და მიუთხრობს მას ყურადმღებელთ"(ზირ.25:9)

10. „ნეტარია არიან შენი მხილველნი, სიყვარულში განმშვენებულნი და ჩვენც სიცოცხლით ვცხონდებით" (ზირ.48:11).

11. „ნეტარია ის ვინც ამაებში (საღვთო კანონებში) გაიწაფება და ვინც გულში ჩაიდებს მას, გაბრძენდება" (ზირ.50:28).

12. „ნეტარია ის კაცი, ვინც პოვა სიბრძნე და ვინც გონიერება შეიძინა! რადგან მისი შეძენა სჯობს ვერცხლის შეძენას და მისი მოსავალი - ხალას ოქროს. მარგალიტებზე უფრო ძვირფასია და შენგან სანატრელი არაფერი შეედრება მას. მის მარჯვენაში დღეგრძელობაა, მარცხენაში სიმდიდრე და დიდებაა; მისი გზები ნეტარების გზებია და ყოველი მისი ბილიკი სიმართლეა. იგი უკვდავების ხეა მათთვის, ვინც მას მოეჭიდება. ნეტარნი არიან მისი მფლობელნი" (იგავ.3:13-18)

13. „ახლა კი მისმინეთ შვილებო! ნეტარნი არიან ვინც ჩემს გზებს იცავენ!"(იგავ.8:32)

14. „ნეტარია კაცი, მე რომ მისმენს, ჩემს კარებთან ფხიზლობს დღენიადაგ და ჩემი კარის წყრთილებს იცავს"(იგავ.8:34)

15. „თავისი ახლობლის მოძულე ცოდვილია, ღარიბ-ღატაკთა მწყალობელი კი ნეტარია" (იგავ.14:21)

16. „მართალი თავის უმწიკვლოებით დადის, ნეტარნი არიან მისი შვილები მის შემდეგ!" (იგავ.20:7)

17. „ნეტარია წაუბილწველი ბერწი ქალი, რომელმაც არ იცის საწოლი ცოდვისა. იგი მიიღებს ნაყოფს სულთა განკითხვისას"(სიბრძ.3:13)

18. „საჭურისსაც, ვის ხელსაც ურჯულოება არ ჩაუდენია და არ განუზრახავს ბოროტი უფლისა მიმართ, მიეცემა გამორჩეული მადლი რწმენისა და უსანატრელესი წილი უფლის ტაძარში" (სიბრძ.3:14)

19. „...უკვდავებაა სიბრძნესთან წილნაყრობა, მასთან მოყვრობა - ნეტარება და მის ხელთა ნაშრომი - მოუკლებელი სიმდიდრე, მასთან საუბარი - გონიერება და მის სიტყვებთან ზიარება - სახელის მოხვეჭა; დავდიოდი და ვეძებდი, როგორ შემეძინა იგი" (სიბრძ.8:18)

20. „მაინც სურს უფალს თქვენი შეწყალება და მაინც აღდგება თქვენს შესაბრალებლად, რადგან სამართლის ღმერთია უფალი, ნეტარია ყოველი მისი მოსავი" (ეს.30:18)

21. „დამკვიდრდება ჩემი ერი მშვიდობის სამყოფელში, მყუდრო სავანეებში და უზრუნველ სადგომებში... ნეტარნი ხართ, ვინც ყველგან თესავთ, სადაც წყალია, და ნებაზე უშვებთ ხარს და სახედარს“ (ეს.32:20)
22. „ნეტარი ხარ, ქვეყანავ, რომ შენი მეფე არავის ჰმონებს და შენი დიდებულები თავის დროზე რომ ჭამენ, ძალთა მოკრებად, არა სალხინოდ!“ (ეკლ.10:17)
23. „ნეტარი ხარ, ისრაელო! ვინ შეგედრება შენ, ხალხო გადარჩენილო უფლის მიერ, რომელიც შენი მფარველი ფარია და შენი დიდების მახვილი! მტრები დაგიწყებენ ლაქუცს, შენ კი გადაჯეგავ მათ სათაყვანო გორაკებს (რჯლ.33:29)

**ფსალმუნები**

1. „ნეატარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა და საჯდომელსა უშჯულოთასა არა დაჯდა. შჯულსა უფლისასა არს ნებაი მისი და შჯულსა მისსა ზრახვენ იგი დღე და ღამე “(ფს.1:1-2)
2. „ნეტარ არს კაცი რომელმან გამოსცის ნაყოფი მისი ჟამსა თვსსა და ფურცელნი მისნი არა დასცვვენ, და ყოველივე რაიცა ყოს, წარემართოს მას“ (ფს.1: 3)
3. „ნეტარ არიან ყოველნი, რომელნი ესვენ უფალსა“ (ფს.2:12)
4. „ნეტარ ხართ რომელთა შესწირეთ მსხვერპლი სიმართლისაი და ესევდით უფალსა“ (ფს.4:5)
5. „ნეატარ არს კაცი, რომელი ეფუცოს მოყვასსა მისსა და არა ეცრუოს; ვეცხლი მისი არა მისცა აღდგინებად და ქრთამი უბრალოსა ზედა არა მოიღო; რომელმან ყოს ესე, იგი არა იძრას უკუნისამდე“ (ფს.31:1)
6. „ნეტარ არიან რომელთა მიეტევნეს უშჯულოებანი და რომელთა დაეფარნეს ცოდვანი“ (ფს.31:1)
7. „ნეტარ არს კაცი, რომელსა არა შეურაცხოს უფალმან ცოდვაი, არცა არს პირსა მისსა ზაკვაი“ (ფს.31:2)
8. „ნეტარ არს ნათესავი, რომლისა არს უფალი ღმერთი მათი, ერი, რომელ გამოირჩია სამკვიდრებელად თვისა“ (ფს.32:12)
9. „განიცადეთ და იხილეთ რამეთუ ტკბილ არს უფალი; ნეტარ არს კაცი, რომელი ესავს მას“ (ფს.33:8)
10. „ნეტარ არს კაცი, რომლისა სახელი უფლისაი სასო მისა არს და არა მიხედნა ამაოებასა, არცა სიცბილსა ტყულისასა“(ფს.39:4)
11. „ნეტარ არს რომელმან გულისხმა-ყოს გლახაკისა და დავრდომილისაი, დღესა ბოროტსა იხსნეს იგი უფალმან“ (ფს.40:1 )
12. „ნეტარ არიან, რომელნი დამკვიდრებულ არიან სახლსა შენსა, უკუნითი უკუნისამდე გაქებდენ შენ“ (ფს.83:4 )

13. „ნეტარ არს კაცი, რომელისა შეწევნაი მისი შენგან არს უფალო ძალთაო; აღსლვაი გულსა თვისსა დაიდვა“ (ფს.83:5 )

14. „უფალო ღმერთო ძალთაო, ნეტარ არს კაცი, რომელი გესავს შენ“ (ფს.83:12)

15. „ნეტარ არს ერი იგი, რომელმან იცის გალობაი შენი“ (ფს.88:15)

16. „ნეტარ არს კაცი, რომელიცა განსწავლო, უფალო, და შჯულისა შენისაგან ასწაო მას“ (ფს.93:12)

17. „ნეტარ არიან, რომელთა დაიცვან სამართალი და ყონ სიმართლე ყოველსა ჟამსა“ (ფს.105:3)

18. „ნეტარ არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა, მცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად“ (ფს.111:1)

19. „ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან შჯულსა უფლისასა“ (ფს.118:1)

20. „ნეტარ არიან, რომელნი გამოიკულევენ წამებათა მისთა, ყოვლითა გულითა გამოიძინენ იგინი“ (ფს.118:2)

21. „ნეტარ არს რომელმან აღავსოს ნებაი თვისი მათგან, არა ჰრცხვენოდის, რაჟამს ეტყოდიან მტერთა მათთა ბჭეთა შინა“ (ფს.126:5)

22. „ნეტარ არიან ყოველნი, რომელთა ეშინის უფლისა, და რომელნი ვლენან გზათა მისთა. ნაშრომი ნაყოფთა შენთაი შჭამო შენ, ნეტარ იყო და კეთილი გეყოს შენ“ (ფს.127:1)

23. „ასულო ბაბილოვნისაო, უბადრუკო, ნეტარ არს, რომელმან მიგაგოს შენ მისაგებელი შენი, რომელ შენ მომაგე ჩვენ! ნეტარ არს, რომელმან შეიპყრნეს ჩჩვილნი შენნი და შეახეთქნეს კლდესა“ (ფს.136:8-9)

24. „ნეტარ არს ერისა მის, რომლისა არს უფალი ღმერთი მათი“ (ფს.143:15)

25. „ნეტარ არს, რომელისა ღმერთი იაკობისი შემწე არს მისსა, და სასოებაი მისი არს უფლისა მიმართ ღმრთისა მისისა“ (ფს.145:5)

**ახალი აღთქმა**

**მათე**

1. „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი“ (მათ. 5:3)

2. „ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ“ (მათ:5:4)

3. „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათი დაიმკვიდრონ ქვეყანაი“ (მათ. 5:5)

4. „ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განსძღნენ“ (მათ.5:6)

5. „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“ (მათ.5:7)

6. „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“ (მათ.5:8)

7. „ნეტარ იყვნენ მშვიდობის-მყოფელნი, რამეთუ მათ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ“ (მათ.5:9)

8. „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი" (მათ.5:10)

9. „ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გყუედრიდნენ და გდევნიდნენ და თქუან ყოველი სიტყვაი ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუით ჩემთვის. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი ფრიად არს ცათა შინა" (მათ.5:11-12)

10. „ნეტარ არს, რომელი არა დაბრკოლდეს ღვთისა მიმართ" (მათ.11:6)

11. „ხოლო თუალნი თქვენი ნეტარ არიან, რამეთუ ხედვენ, და ყურნი თქვენნი, რამეთუ ესმის უფლისაი" (მათ.13:16)

12. „ნეტარ არს მონისა მის, რომლისაი მოვიდეს უფალი მისი და პოოს იგი ესრეთ მოქმედი. ამენ გეტყვი თქუენ, ვითარმედ ყოველთა ზედა მონაგებთა მისთა დაადგინოს იგი" (მათ.24:46-47)

**ლუკა**

1. „ნეტარ ხართ გლახაკნი სულითა, რამეთუ თქვენი არს სასუფეველი ღმრთისაი"(ლუკ.6:20)

2. „ნეტარ ხართ თქუენ, რომელთ გშიის აწ, რამეთუ განსძღეთ; ნეტარ ხართ რომელნი სტირთ აწ, რამეთუ იცინოდით" (ლუკ.6:21)

3. „ნეტარ იყვნეთ, რაჟამს მოგიძულნენ თქუენ კაცთა და ოდეს გამოგასხნენ თქუენ და გაყუედრებდენ და განხადონ სახელი თქუენი, ვითარცა ბოროტთაი, ძისათვის კაცისა"(ლუკ.6:22)

4. „და ნეტარ იყოს, რომელი არა დაჰბრკოლდეს ჩემდა მომართ"(ლუკ.7:23)

5. „ნეტარ არიან თვალნი, რომელნი ხედვენ, რომელსა თქუენ ხედავთ, და ესმის, რომელი თქუენ გესმის" (ლუკ.10:23)

6. „ნეტარ არიან, რომელთა ისმინონ სიტყუაი ღმრთისაი და დაიმარხონ იგი"(ლუკ.11:28)

7.„ნეტარ იყვნენ იგი მონანი, რომელთაი მოვიდეს უფალი მათი და პოვნეს იგინი მღვიძარენი, ამენ გეტყვი თქუენ, რამეთუ მოირტყნეს და დასხნეს იგინი, წარმოუდგეს და ჰმსახურებდეს მათ დაღათუ მეორესა სახუმილავსა და მესამესა მოვიდეს და პოვნეს ესრეთ, ნეტარ იყვნენ იგინი" (ლუკ.12:37-38)

8. „ნეტარ არს იგი მონაი, რომლისაი მოვიდეს უფალი მისი და პოოს იგი ესრეთ მოქმედი" (ლუკ.12:43)

9. „და ნეტარ იყო, რამეთუ არარაი აქუს, რაიმცა მოგაგეს შენ, და მოგეგოს შენ აღდგომასა მას მართალთასა" (ლუკ.14:14)

10. „ნეტარ არს, რომელმან ჭამოს პური სასუფეველსა ღმრთისასა" (ლუკ.14:15)

11. „რამეთუ აჰა ესერა მოვლენან დღენი, რომელთა შინა თქუან: ნეტარ არიან ბერწნი და მუცელნი, რომელთა არა შვნეს, და ძუძუნი, რომელთა არა განზარდნეს" (ლუკ.23:29).

**იოანე**

1. „უკუეთუ მე დაგბანენ ფერხნი, უფალმან და მოძღვარმან, და თქუენცა თანა-გაც ურთიერთას დაბანად ფერხთა. რამეთუ სახე მიგეც თქუენ, რაითა ვითარცა-ესე მე გიყავ თქუენ, ეგრეთვე თქუენცა ჰყოფდეთ. ამენ, ამენ გეტყვი თქუენ: არა არს მონაი უფროის უფლისა თვისისა, არცა მოციქული უფროის მომავლინებლისა თვისისა. ესე თუ სცანთ, ნეტარ ხართ, უკუეთუ ჰყოფდეთ ამას."(იოვ.13:14-17)

2. „ჰრქუა მას იესუ, რამეთუ: მიხილე და გრწამს; ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვჰრწმენე" (იოვ.20:29)

**საქმე მოციქულთა**

1. „ნეტრ არს მიცემაი უფროის ვიდრე მოღებაი" (საქმ.20:35)

**კათოლიკე ეპისტოლენი:**

**პავლე**

1. „ნეტარ არიან, რომელთა მიეტევნენ უშჯულოებანი და რომელთა დაეფარნენ ცოდვანი"(ჰრომ. 4:7)

2. „ნეტარ არს კაცი, რომელსა არა შეურაცხა უფალმან ცოდვაი"(ჰრომ.4:8)

3. „აწ უკვე ნეტარებაი ესე წინადაცუეთილებასა ზედა არს ანუ წინადაუცუეთილებასაცა? რამეთუ ვიტყვით, ვითარმედ: შეერაცხა აბრაჰამს სარწმუნოებაი იგი მისი სიმართლედ"(ჰრომ.4:9)

4. „რომელ-იგი ჟამთა თვისთა აჩუენოს ნეტარმან მან და მხოლომან ძლიერმან მეუფემან მეუფეთამან და უფალმან უფლებათამან..."(1ტიმ.6:15)

5. „რაი-მე უკუე იყო ნეტარებაი იგი თქუენი? რამეთუ გეწამები თქუენ, ვითარმედ, შე-თუმცა-საძლებელ იყო, თუალნიმცა თქუენნი აღმიხადენით და მომცენით მე..."(გალატ.4:15)

**იაკობი**

1. „ნეტარ არს კაცი იგი, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა, რამეთუ გამოცდილ იქნეს და მოიღოს გვირგვინი ცხოვრებისაი, რომელი აღუთქუა ღმერთმან მოყვარეთა მისთა" (იაკ.1:12)

**პეტრე**

1. „და დაღაცათუ გევნებოდის სიმართლისათვის, ნეტარ ხართ, ხოლო შიშისა მის მათისაგან ნუ გეშინინ, ნუცა შესძრწუნდებით" (1პეტ.3:14)

2. „უკუეთუ იყუედრებოდით სახელისათვის ქრისტესისა, ნეტარ ხართ, რამეთუ დიდე-ბისაი იგი სული თქვენ ზედა განსუენებულ არს, რამეთუ ვითარ იგინი ჰგონებენ, იგმობვით, ხოლო ვითარ-იგი თქუენ გნებავს, იდიდებით" (1პეტ.4:14)

**გამოცხადება**

1. „ნეტარ არს, რომელი იკითხვიდეს და რომელნი ისმენდნენ სიტყვათა ამის წინასწარმეტყუელებისათა და დაიმარხონ, რაი-იგი მას შინა წერილ არს, რამეთუ ჟამი ახლოს არს" (გამოცხ.1:3.)

2. „...ნეტარ არიან მკუდარნი იგი, რომელნი უფლისა მიერ მოკუდენ ამიერითგან. იტყვის სული: ჰე, რაითა განისუენონ შრომათაგან მათთა, და საქმე მათი შეუდგეს მათ თანა"(გამოცხ.14:13)

3. „ნეტარ არიან წოდებულნი სერობასა მას კრავისასა, და მრქუა მე: ესე სიტყუანი ჭეშმარიტნი ღმრთისანი არიან" (გამოცხ.19:9)

4. „ნეტარ არს და წმიდა, რომელსა აქუნდეს ნაწილი აღდგომასა მას შინა პირველსა. მათ ზედა მეორესა მას სიკუდილსა არა აქუს ხელმწიფებაი, არამედ იყვნენ მღდელ ღმრთისა და ქრისტესა და სუფევდენ მის თანა ათასსა მას წელსა" (გამოცხ.20:6)

5. „ნეტარ არს, რომელმან დაიმარხნეს სიტყუანი წინასწარმეტყუელებისა ამის წიგნისანი" (გამოცხ. 22:7)

6. „ნეტარ არიან, რომელნი იქმოდიან მცნებათა მისთა, რაითა იყოს ხელმწიფებაი მათი ძელსა მას ზედა ცხორებისასა, და ბჭეთა მათ მიერ შევიდენ ქალაქად" (გამოცხ.22:14).

ბიბლიაში სიტყვა ნეტარების გამოყენების შემთხვევები შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგ პუნქტებად:

I. ნეტარების გააზრება ადამიანისა და ღმერთის მიმართებაში:

1. „ნეტარი ხარ, ისრაელო! ვინ შეგედრება შენ, ხალხო გადარჩენილო უფლის მიერ, რომელიც შენი მფარველი ფარია და შენი დიდების მახვილი! მტრები დაგიწყებენ ლაქუცს, შენ კი გადაჯეგავ მათ სათაყვანო გორაკებს(რჯლ.33:29)

2. „აჰა,ნეტარია კაცი, რომელსაც ამხელს ღმერთი"(იობ.5:17)

3. „ნეტარი არს, რომელი გამოირჩიე და შეიწყნარე, და დაიმკვიდროს ეზოთა შინა შენთა, აღვივსნეთ ჩვენ კეთილთა სახლისა შენისათა..."(ფსალ.64:4)

4. „ნეტარ არს კაცი, რომელსა ესინის უფლისა, მცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად"(ფსალ.111:1)

5. „ნეტარ არს ერისა მის, რომლისა არს უფალი ღმერთი მათი"(ფსალ.143:15)

6. „ნეტარ არს კაცი, რომელსა უფალი არ შეურაცხავს ცოდვას"(რომ.4:8)

7. „ნეტარ არიან კრავის საქორწინო სეობაზე წვეულნი" (გამოცხ. 19:9)

II. ნეტარება ადამიანთა შორის ურთიერთობებში

3მეფ.10:8 - „ბედნიერია შენი ხალხი, ბედნიერები არიან შენი მორჩილნი, მუდამ შენს წინაშე რომ დგანან და ისმენენ შენს სიბრძნეს".

ფსალ.105:3 - ნეტარ არიან, რომელთა დაიცვან სამართალი და ყონ სიმართლე ყოველსა ჟამსა".

ფსალ.40:1–„ნეტარ არს, რომელმან გულისხმა-ყოს გლახაკისა და დავრდომილისაი დღესა ბოროტსა იხსნეს იგი უფალმან“.

იგავ.14:21 –„თავისი ახლობლის მოძულე ცოდვილია, ღარიბ-ღატაკთა მწყალობელი კი ნეტარია“.

III. ნეტარება როგორც ადამიანის გულის მდგომარეობა, რომელიც მის საქმეებში ვლინდება

ფსალ.1;1 –„ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა და საჯდომელსა უშჯულოთასა არა დაჯდა“

ფსალ.118:1 – „ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან სჯულსა უფლისასა“

მათ.5:3 – „ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“

მათ.5:4 – „ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იქმნენ“

მათ.5:5 – „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“

მათ.5:6 - „ნეტარ იყვნენ წმინდანნი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“

მათ.5:7 – „ნეტარ იყვნენ მშვიდობის-მყოფელნი , რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ“

მათ.5:8 – „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა“

1პეტრ.3:14 – „ მაგრამ კიდევაც რომ ევნოთ სიმართლისათვის, ნეტარნი ხართ; მაშინ, ნუ შიშობთ მათი შიშით, და ნურც ძრწით.“

1პეტრ.4:14 – „თუ ქრისტეს სახელისათვის იგმობით, ნეტარნი ხართ, ვინაიდან სრული დიდებისა და სულისა ღმრთისა ივანებს თქვენზე. მათ მიერ იგმობა იგი, თქვენ მიერ იდიდება“

ძველი აღთქმის წიგნებში ღმერთი პირდაპირ არ ქადაგებს ნეტარებაზე. აქ უფალი ზოგადად ასწვლის ადამიანებს ღვთივსათნო ცხოვრების წესს და ვითარების შესაბა-მისად, ლაკონიურად მიანიშნებს თუ როგორ შეუძლია ადამიანს მიაღწიოს ნეტარების მდგომარეობას, რომელიც ოდენ ღვთის შემწეობით, ღმერთის მიერ ადამიანის ცხოვრების გზის წინასწარგანსაზღვრულობით, უზენაესთან ერთობით, მისდამი სრუ-ლად მინდობითა და უსაზღვრო იმედით შეიძლება დაიმკვიდროს კეთილგონიერმა ადმიანმა. ძველი აღთქმის წიგნებიდან, შედარებით სახიერად ნეტარების თემა დავით მეფის საგალობლებში არის წარმოდგენილი, რომელიც პირველივე ფასლმუნიდან იწყება ნეტარების მნიშვნელობის გააზრებით. ფსალმუნებში ნათლადაა გადმოცემული ნეტარი ადამიანის სულიერი განცდები, მისი შინაგან სამყარო და მოღვაწეობა.

წმინდა წერილში სიტყვა ნეტარება და ნეტარი იხმარება, როგორც ღმერთის -„ნეტარმან მან და მხოლომან ძლიერმან მეუფემან მეუფეთამან და უფალმან უფლებათამან“ (1.ტიმ.6:15), ასევე ღვთისმშობლისა (ლუკ.1:45, ლუკ.11:27 ) და იმ ადამიანების მიმართ, ვინც აღასრულებენ უფლის მცნებებს (გამოცხ..22:14 )… წმნიდა წერილში ეს სიტყვა გვხვდება ძირითადად მაშინ, როცა საუბარია ადამიანის შინაგან მდგომარეობაზე

„ნეტარ არს კაცი, რომლისა სახელი უფლისაი სასო მისა არს და არა მიხედნა ამაოებასა, არცა სიცბილსა ტყუილისასა“(ფს.39:4)

ან ადამიანებთან ურთიერთობაში მის მდგომარეობაზე - საბას დედოფალი ეუბნება სოლომონს: ბედნიერია შენი ხალხი, ბედნიერები არიან შენი მორჩილნი, მუდამ შენს წინაშე რომ დგანან და ისმენენ შენს სიბრძნეს“(3მეფ.10:8), ან „ნეტარ არს რომელმან გულისხმა-ყოს გლახაკისა და დავრდომილისაი, დღესა ბოროტსა იხსნეს იგი უფალმან“ (ფს.40:1 )...

ნეტარების ცნება არის ფუნდამეტური საფუძველი ქრისტიანული მოძღვრებისა. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც სახარებაში, ასევე ღვთისმსახურების დროს. ლიტურგიის დროს ნეტარების მცნებებს გალობენ იმ მომენტში, როცა წმინდა სახარება საზეიმოდ შეაქვთ საკურთხეველში, რაც ნიშნავს იმას, რომ ნეტარების მცნებები ისეივე წმინდაა, როგორიც თვით ქრისტეს სწავლება.
ნეტარების თემით მთლიანად გამსჭვალულია ახალი აღთქმა. ნეტარებაზე ხშირად საუბრობს წმ. წერილი არა მარტო სახარებაში, არამედ ეპისტოლეებში, წმიდა მოციქულთა საქმეში და იოვანეს გამოცხადებაში (მათე, 6:20; მათე,7:21; ლუკა,11:28; ლუკა,12.37:38; ლუკა,14:14; ლუკა,14: 15; საქმე 20:35; იაკობი 1:12; გამოცხ.1:3; გამოცხ.19:9; გამოცხ.20:6; გამოცხ.22:7; გამოცხ.22:14. 1 პეტრე,1:58; 1 იოანე,3:2; 1 კორ.2:9; 1 კორ.13:12; კოლ.3:4...).

თავისი ერთერთი პირველი ქადაგება (მათე 5:3-12) მაცხოვარმა სწორედ ნეტარების თემას მიუძღვნა. მთაზე ქადაგებაში გადმოცემულია ძირითადი კრიტერიუმები იესო ქრისტეს სწავლებისა, სადაც პირდაპირ და ღიად საუბრობს, ნეტარების ვითარცა, ქრისტიანი ადამიანის ცხოვრების საზრისზე და მისი მოღვაწეობის უმთავრეს მიზანზე. იესო ქრისტეს სწავლების განსაკუთრებული ძალა და სიბრძნე სწორედ ნეტარების ცნებებშია გაცხადებული. ამ ქადაგებაში აღწერილია ყველა მნიშვნელოვანი შემთხვევა თუ მოვლენა, რომელშიც შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანი ცხოვრებაში, და მოცემულია ერთადერთი სწორი რჩევა, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი ამა თუ იმ ცხოვრებისეულ სიტუაციაში.

ეს ქადაგაება არის ჰომელეტიკის მშვენიერი ნიმუში, რომელიც სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება და თანმიმდევრულად გადადის ერთი ნაწილიდან მეორეში: 1.ზეციური სამეფოს მოქალაქეობა (მათ.5:3,5); 2. ღმერთის მეუფების სამართლიანობა (მათ.5:4,6,7,); 3. ღვთის სამეფოში შესვლის მოწოდება (მათ. 5:8,9,10,11).
ნეტარების ცნება ორი აღთქმის დამაკავშირებელი ღერძია. უფალი იესო ქრისტე, მთაზე ქადაგებისას, განსაკუთრებით ხაზს უსვამს ორივე აღთქმის ერთიანობასა. იგი ეჭვ ქვეშ კი არ აყენებს ძველ აღთქმისეულ მცნებებს, არამედ პირიქით, თავის ქადაგებაში უფრო ღრმა აქცენტებს აკეთებს ძველი აღთქმის ზნეობრივ ნორმებზე.

ორი მოციქული - მათე (5-8 თავები) და ლუკა (6 თავი) დაწვრილებით გადმოსცემს მთაზე ქადაგებას. როგორც სახარებიდან ჩანს, უფლის სიტყვა, მსმენელებმა, თავდაპირველად მიიღეს, ვითარცა სრულიად ახალი მოძღვრება ადამიანსა და სამყაროზე. თვითონ უფალი კი თავის სწავლებას არ განიხილავდა, როგორც პრიციპულად ახალ მოძღვრებას, პირიქით მან ხაზი გაუსვა მის კავშირს ძველი აღთქმისეულ სწავლებასთან: „ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დახსნად სჯულისა გინა წინასწარმეტყველთა; არამედ აღსრულებად“ (მათ.5:17). ქადაგებაში იგი გამოყოფს ძველი აღთქმისეული სწავლების იმ ელემენტებს, რომლებიც მაშინდელი იუდევეთა საზოგადოების მიერ იყო მივიწყებული ან უბრალოდ იგნორირებული. სწორედ ამით აიხსნება მსმენელთათვის იესო ქრისტეს სწავლების უჩვეულობა და მოულოდნელობა. უფალი მოვიდა არა ძველი აღთქმის კანონების შესაცვლელად, არამედ მათი ჭეშმარტად აღსრულებისათვის, მისი საკრალური შინაარსის განმარტებისა და სათანადოდ გააზრებისათვის. უფალი არ მოუწოდებს თავის მიმდევრებს უარყონ ძველი რწმენა და დაივიწყონ უძველესი ჭეშმარიტი სწავლება. ის ხაზს უსვამს ძველი და ახალი აღთქმის მთლიანობასა და მემკვიდრეობითობას. ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით ორივე აღთქმის არსი არის ერთიანი ღვთააებრივი გამოცხადება, რომელიც ერთმანეთს ავსებს: „რამეთუ სჯული მოსესაგან მოეცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტება ქრისტეს იესუის მიერ იქმნა“ (იოან.1:17). სწორედ ამიტომ, ქრისტიანობას უწოდებენ ორი აღთქმის რელიგიას.

უფალი არ უარყოფს რა ძველი აღთქმის კანონის სამართლიანობას, უფრო მაღლა წევს მორალური მოთხოვნების თამასას და უფრო მეტ ზნეობრივ მოთხოვნებს უყენებს ადამიანს. ახალი აღთქმის მოთხოვნილება არა მარტო აღემატება ძველი აღთქმის მოთხოვნებს, არამედ მიმართულია ადამიანის სულის მდგომარეობის განსაკუთრებული ფორმირებისაკენ, რომელიც გამორიცხავს ცოდვის არა მარტო ჩადენას არამედ განზრახვასაც კი. მთაზე ქადაგებისას მაცხოვარი მიმართავს ხალხს: „გესმა, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ: არა კაც-ჰკლა; ხოლო რომელმან მოკლას, თანა-მდებ არს სასჯელისა. ხოლო მე გეტყვი თქუენ, რამეთუ რომელი განურისხნეს ძმასა თვისსა ცუდად, თანა-მდებ არს სასჯელისა; და რომელმან ჰრქუას ძმასა თვისსა რაკა, თანა-მდებ არს იგი კრებულისაგან განსვლად; და რომელმან ჰრქუას ძმასა თვისსა ცოფ, თანა-მდებ არს იგი გეჰენიასა მას ცეცხლისასა“(მათ.5:21-22). ძვ. აღთქმის კანონის შესაბამისად, როგორც ვიცით, სასამართლოს წინაშე წარსდგება კაცის მკვლელი, ახალ აღთქმის მიხედვით კი სასამართლოში მოხვდება უკვე ისიც, ვინც ამაოდ მრისხანებს თავის ახლობელზე. ეს არაა შემთხვევითი, რამეთუ რისხვა და ბოროტება არის ის გრძნობები, რომლებსაც ადამიანი მიჰყავს საშინელ მოქმედებამდე, თვით მკვლელობამდე.

სახარებისეული გაგებით, ბედნიერებაა თავმდაბლობა და იმით დაკმაყოფილება რაც ადამიანს მიცემული აქვს, როგორც ფიზიკურად, ასევე მეტაფიზიკურად. ქრისტიანული ბედნიერების ამგვარი გაგების მთავარ არგუმენტს წარმოადგენს ცხრა ნეტარების შესახებ არსებული მათეს სახარების ცნობილი ტექსტი – „ნეტარ არიან გლახაკნი სულითა“, რომელიც ტრადიციულად განიმარტება როგორც თავმდაბლობის აპოლოგია, რომელიც პირველ ადგილზე დგას ნეტარების მცნებებს შორის.

ქრისტიანს ღმერთი აძლევს განსაკუთრებულ მადლს – ისეთ ნეტარებას, ისეთ შინაგან სიხარულსა და ბედნიერ სიმშვიდეს, რომლის წართმევაც არ შეუძლია არაფერს ამ სამყაროში, თვით სიკვდილსაც კი. ნეტარება წმინდა წერილში იხსენიება მაშინ როცა მიწიერი ადამიანებისათვის გაუგებარია მსგავს მდგომარეობაში იყვნენ უბრალოდ ბედნიერები: „ნეტარნი ხართ, როცა მოგიძულებენ და მოგიკვეთენ კაცნი, შეურაცხ-გვყოფენ თქვენ და სათრეველად აქცევენ თქვენს სახელს, როგორც უკეთურს კაცის ძის გამო“ (ლუკ.6:22) ან „მაგრამ კიდევაც რომ ევნოთ სიმართლისათვის, ნეტარნი ხართ; მაშინ, ნუ შიშობთ მათი შიშით, და ნურც ძრწით“ (1პეტრ.3: 14).

ასე რომ, ნეტარება არის განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობა, განუცდელი სიხარული, რომელზეც ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს ცხოვრების თავგადასავლები. ქრისტიანი ნეტარია დევნასა და მწუხარებაშიც კი! პირველმოწამე სტეფანე, ნეტარებას განიცდიდა, როდესაც ურწმუნოებმა ქვებით ჩაქოლეს. ის პირისპირ ჭვრეტდა იესოს... იესოს სამყარო და მისი ნეტარება ავსებდა სტეფანეს გულს. და სწორედ ეს აძლევდა მას ძალას, რათა გულმხურვალედ ელოცა თავის მკვლელებზე.

ნეტარების ძირითადი საწყისი არის ადამიანის ღმერთისადმი სიყვარული და ღვთის სიყვარული ადამიანისადმი. ღვთისადმი სიყვარულის გარეშე არ არის ხსნა, არ არის ნეტარება. სიყვარული ბუნებრივად მიისწრაფვის სიყვარულის ობიექტის შეცნობისაკენ. ასეთი განწყობით სული ნეტარებს: „ნეტარ არს კაცი, რომელიცა განსწავლო, უფალო, და შჯულისა შენისაგან ასწაო მას“ (ფს.93:12), ან „ნეტარ არს ერი იგი, რომელმან იცის გალობაი შენი“ (ფს.88:15)... დავით მეფსალმუნე, ცოცხლებს, ჯერ კიდევ მიწიერ ცხოვრებაში მყოფებს, აძლევს კურთხევას უგალობონ უფალს. „ჩვენ ცხოველნი ვაკურთხევდით უფალსა ამიერითგან და უკუნისამდე“ (ფსალ.113,26). სულის შინაგანი მდგომარეობა, შინაგანი ნეტარება ვლინდება კრავის წინაშე პირისპირ დგომაში, მის მსახურებასა და განდიდებაში (აპოკ.7,9-17,) მასთან თანაცხოვრებაში (იოან.14,3; ფილიპ. 1,26), ქრისტესათან ერთად მარადიულ მეუფებასა (2ტიმ.2,11-12) და უფლის პირისპირ ჭვრეტაში. ეს მარადიული ერთობა, კავშირი და ურთიერთობა ღმერთთან არის მთავარი საფუძველი მართალთა ნეტარებისა, რომელიც იწვევს სულიერი და ხორციელი ძალების მარადიულ სასიხარულო ქმედებას.

ტრანსცენდენტალური ბედნიერების – მარადიული ნეტარი ცხოვრებისა და მიწიერი ბედნიერების მისაღწევად საჭიროა უფალთან შეერთება, როცა ადამიანის სულში თვით

უფალი იწყებს ცხოვრობას. როცა სულისათვის ღმერთი ხდება ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიზანი: „მასში ვცხოვრობთ და ვმოქმედებთ" (პავლე), ანუ მთელი მიწიერი თუ გარდაცვალების შემდეგ ცხოვრება მასში და მისთვის ვარსებობთ. ცხოვრების მიზანი და სულის მოქმედება სამოთხეში არის იგივე: გვიყვარდეს, აღიარო და განადიდო ღმერთი. აი ესაა ადამიანის ნეტარება. მხოლოდ მაშინ იგრძნობს ადამიანი თავს ჭეშმაროტად ბედნიერად როცა იცხოვრებს ღმერთთან ერთად, როცა გახდება ღმერთის სამეუფეო სამყაროს წევრი. მაშინ უფალი იზრუნებს მასზე და დააკმაყოფილებს მის ყველა მოთხოვნილებასა თუ სურვილს. ასეთი ადამიანი დაცული იქნება უფლის ხელით უბედურებისა და მწუხარებისაგან: „ხოლო ძალ-უც ღმერთსა ყოველივე სახმარი გარდამეტებად თქვენდა, რაითა ყოველსა შინა მარადის ყოველივე უნაკლოდ გაქუნდეს და ჰმატებდეთ ყოველსა ზედა საქმესა კეთილსა" ( 2კორ.9:8). ნეტარებისკენ მიმავალი გზა იწყება აქ ადამიანის მიწიერ ცხოვრებაში, იგი გრძელდება და საბოლოოდ სრულდება მარადიულობაში ზეცაში. მას არ აქვს დასასრული, იგი არის მარადიული და სრულყოფილი. მისი წართმევა და მოპარვა არავის არ შეუძლია, ის არაა დამოკიდებული შემთხვევითობაზე. მარადიული ნეტარება არის უსრულყოფილესი მადლი, სიკეთე, სილამაზე და მარადიული სიყვარული. სწორედ ესაა შინაგანი ნეტარება. უფრო ზუსტად კი შინაგანი ნეტარებაა: ა) მთელ ანგელოზთა დასთან მარადიული, ორმხრივი ურთიერთობები (ებრაელ. 12, 22-23; ლუკ.16,22); თანაცხოვრება და ორმხრივი, უახლოესი ურთიერთობა ყველა წმინდანთან (მათ.8,11; ლუკ.13,28-19) და, ბოლოს, სამოთხის წარმოუდგენელი სილამაზე, რომელიც იხილა მესამე ცამდე აყვანილმა პავლე მოციქულმა. აი ასეთი შინაგანი და გარეგანი ნეტარება ელოდება ყველა წმინდანს კერძო განკითხვის შემდეგ.

სულის ნეტარებისათვის აუცილებელია, რომ მთელი მისი ძალები მოქმედებდნენ აქტიურად და მხიარულად. სულიერი ძალების – გონების, ნებისა და გრძნობის უსასრულო და მარადიული მისწრაფება ჭეშმარიტებისადმი წარმოადგენს სულის შინაგანი მოღვაწეობას სასუფევლის ნეტარ ცხოვრებაში. ესაა შინაგანი ნეტარება, ანუ შინაგანი მოღვაწეობა სულისა. ღმერთთან ურთიერთობა და მის პირისპირ ჭვრეტა იწვევს მთელი სულიერი ძალების უსასრულო, მხიარულ მოქმედებას, ერთი მოქმედება იცვლება მეორე უფრო სრულყოფილი მოქმედებით, რომელიც თანდათან და მარდიულად ვითარდება. გონების, ნების და გრძნობის – შესაბამისად შინაგანი ნეტარების შინაარსს შედგენს მათი ძალების მოქმედება: უყვარდეს, აღიარებდეს და განანდიდებდეს თავის შემოქმედ ღმერთს, წყაროს ნეტარებისა, საიდანაც გამომდინარეობს ყველა ჭეშმარიტება, რომელმაც თავის თავის შესახებ თვითონ დაამოწმა, რომ ის ჭეშმარიტებაა, ჩვენი ღმერთი, იესუ ქრისტე. სულის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიზანი, როგორც მიწაზე, ისე გარდაცვალების მერე არის უყვარდეს, აღიარებდეს და განანდიდებდეს ღმერთს. სწორედ ესაა ადამიანის ჭეშმარიტი ნეტარება, რომელიც მას

აღავსებს უცხო სასიცოცხლო ენრგიითა და ძალით, რაც ნიშნავს ადამიანის ღვთაებრივი სიყვარულის ენერგიით გაჯერებას. ადამიანი ხდება ღვთაებრივი მადლის თანაზიარი და ღმერთთან ერთობის რეალური ფიზიკური და მეტაფიზიკური განცდა ეუფლება.

ქრისტიანული სწავლებით ნეტარება არის ქრისტიანი ადამიანის მოღვაწეობის უპირველესი მიზანი, სული წმიდის მადლის მოპოვებით მიღწეული სულიერი და მატერიალური ყოფიერების უმაღლესი მდგომარეობა, რომელიც უდიდესი მორალური ღირებულება და უდიდესი ბედნიერებაა. ნეტარება არის ცხონების გზა და ცხოვრება არის ნეტარება.

სახარების მიხედვით პირდაპირი შინაგანი ონტოლოგიური კავშირია ადამიანის ზნეობრივ სახესა და ნეტარებას შორის. ქრისტიანობამ ჩამოაყალიბა ადამიანის უკიდურესად მაღალი იდეალი, რომელიც მუდმივად ორიენტირებს პიროვნულ სრულყოფაზე, თვით ღმერთის განსახიერებაზე: „იყავით სრულყოფილნი, როგორც სრულყოფილია თქვენი ზეციერი მამა“

სახარება ძველი აღთქმისგან განსხვავებით, გვასწავლის რომ ბედნიერებისათვის საერთოდ არაა საჭირო მიწიერ კეთილდღეობაზე ზრუნვა, არამედ საჭიროა სულზე ვიფიქროთ, რადგან სხეული მოკვდავია, ხოლო სული მარადიული ფენომენია.
ახალ აღთქმაში მარადიული ცხოვრების რწმენის განმტკიცებით, ხდება მიწიერი ბედნიერების გაგების ზეციური ნეტარების განცდით ჩანაცვლება (მათე, 5:2-12; ლუკა, 6:20-26), რომელიც ადამიანის შინაგანი სამყროს, მისი არსების ჭეშმარიტი მოწოდებაა. ესაა უზენაესი კანონი, რომელიც აწერიგებს ადამიანის შინაგან სამყაროს, მის აზროვნებას, მისი გულისა და სულის უფაქიზეს სიმებს, რაც ღვთაებრივი ნეტარების მიღწევის ერთადერთ გზას წარმოადგენს.

ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით ნეტარების მეტაფიზიკურ, ტრანსცენდენტალურ არსს ყველაზე უკეთ გამოხატავს სწავლება გარდაცვლილთა აღდგომის შესახებ. სრულყოფილი და სრული ნეტარება ქრისტიანი ადამიანისათვის მომავალი მდგომარეობაა, როცა საბოლოოდ მოხდება გამარჯვება სიკვდილსა და ჯოჯოხეთზე.

# СИМФОНИЯ БЛАЖЕНСТВА И ИСТИНА ЧУВСТВА БЛАЖЕНСТВА ПО БИБЛИИ

***Проф. Мзия Суладзе***
*Геомед Учебного Университета*

Блаженство - это чувство истинной внутренной радости и счастья. Блаженство состоит из постоянного движения к духовному совершенству, кротости, поиска правды и справедливости, милосердии, миротворчестве, чистоте сердца, готовности пострадать за истину. Высшая степень блаженства – совершенное единение с Богом, Царство Божья.

В Ветхом Завете никогда не говорится, что Бог прямо сообщает блаженство человеку, но содействие Бога, направляющего путь человека, приводит человека к блаженству. Согласно Ветхому Завету, блаженство достигается в «жизни с Богом», означающей полное предание себя Богу, безграничную на Него надежду.

В свящ. Писании слова: блаженный и блаженство, кроме Господа Бога, который блаженный единый и сильный усвоивается разным лицам, в разных обстоятельствах и состояниях. блаженной называется: Матерь Божия (Лук.1:45, Лук.11:27 ), боящаяся Бога и любящая заповеди Его (Пс.1:1 ,3, Пс.127:1 ,5), люди, исполняющие заповеди Господни (Отк.22:14 ), слушающие слово Господне и исполняющие его (Мат.13:16 ).

В нагорной проповедь Иисус Христос, как Царь неба и земли, призывая нас к вечному Царство Божья, указывает пути к нему, через исполнение Его заповедей, за исполнение которых Он обещает вечное блаженство в будущей вечной жизни.

Его проповедь - это прекрасный образец гомилетики. Она содержит три основных раздела: 1. граждане небесного Царства; 2. праведность Царства Божия; 3. призыв войти в Царство.

Блаженство – это подлинное счастье или счастье истины, вечное (как вечна истина) и полное (истина самодостаточна). Иными словами, блаженство – второе имя спасения. Блаженство – это счастье мудреца, или сама мудрость, понимаемая как счастье. Блаженство – истинная любовь к истине. Полное и совершенное блаженство человека христианина принадлежит будущему состоянию, когда окончательно будет совершена победа над адом и смертью.

## ზოგიერთი ქართული საეკლესიო ტერმინისა და სინტაგმის მართებული დაწერილობის შესახებ

*პროფ. გურამ ტყემალაძე*
*სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

ნაშრომში განხილულია სამი საკითხი: 1. წმიდა თუ წმინდა, წმიდანი თუ წმინ¬დანი? 2. ღმერთმა ქმნას თუ ქნას? 3. კათოლიკოსი თუ კათალიკოსი, კათოლიკე თუ კატო¬ლიკი-კათოლიკი?

მრავალი ძველი და ახალი ქართული საეკლესიო და საერო ლიტერატურის კრიტიკული განხილვისა და ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება:

1. სიტყვების: წმიდა-წმინდა, წმიდანი-წმინდანი, სიწმიდე-სიწმინდე და მისთ. ერთი მნიშვნელობით გამოყენება საეკლესიო და საერო ლიტერატურასა და ზეპირსიტყვიერებაში მიზანშეუწონელია.

სამწუხაროდ, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ, 1986) და ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი (ქეოლ, 1998), წმიდათაწმიდას გარდა, რატომღაც არ ცნობს სიტყვებს: წმიდა, წმიდანი, სიწმიდე და მისთ. ქეგლ აღნიშ¬ნავს მხოლოდ, რომ წმიდა იგივეა, რაც წმინდა (მნიშვ. 4), ანუ აღნიშნულ ლექსიკონისათვის რელი¬გიური თვალსაზრისით წმიდაც არის წმინდა.

2. ლიტერატურასა და ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებულ და დამკვიდ¬რებულ გამოთქმებს (სინტაგმებს) ღმერთმა ქნას, ღმერთმა არა ქნას - სჯობს ღმერთ¬მა ქმნას და ღმერთმა არა ქმნას. თუმცა, ქეგლ-ში ვკითხულობთ ქმნა (ძვ.) იგივეა, რაც ქნა. ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს – ღმერთმა ინებოს, რაც საუკეთესოა აღნიშნულ გამოთქმებს შორის.

3. ა. მართებული ფორმაა კათოლიკოსი და არა კათალიკოსი. თუმცა, ქეგლ და ქეოლ ცნობს კათალიკოსს, კათალიკოსობას. მხოლოდ ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ ლექსიკონში (2009) გვაქვს ორივე პარალელური ფორმა: კათო¬ლიკოსი (კათოლიკოს-პატრიარქი ილია II)//კათალიკოსი (ანტონ კათალიკოსი). ბ. კათოლიციზმის ყველა მიმდევარს ქართულად სასურველია ეწოდოს კატოლიკი (კათოლიკი), ხოლო ეკლესიას – კატოლიკური (კათოლიკური).

ქეგლ-ის თანახმად კი არის: კათოლიკე (კათოლიკისა) ვინც კათოლიზმს აღიარებს.

კათოლიკობა 1. კათოლიკედ ყოფნა; 2. იგივეა, რაც კათოლიციზმი.

# საბანკო სისტემა და მევახშეობა: ინტერკონფესიონალური კანონიკური ანალიზი

***მღვდელი ალექსი ქშუტაშვილი***

*თეოლოგიის დოქტორი საეკლესიო სამართალში*

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და ახალი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებასთან ერთად საზოგადოებაში შემოსავლის ახალი ფორმები გაჩნდა: ფულის პროცენტული გასესხება, გირაო, ლომბარდი, საბანკო ბიზნესი და ა.შ. ბუნებრივია, მართლმადიდებელ მრევლში ჩნდება კითხვა, რამდენად გამართლებულია ქრისტიანული ზნეობის მხრივ მსგავს საქმიანობებში მონაწილეობა. ცოდავს თუ არა ადამიანი, რომელიც სალომბარდე ან საბანკო სისტემის თანამშრომელია, ან კერძო სახით ასესხებს პირად ფულს და მოგებული პროცენტებით ირჩენს თავს.

ძველი საეკლესიო ტერმინოლოგიით ქონების პროცენტებით გასესხებას, ზოგადად, მევახშეობას ეძახიან (გამოსვლათა 22: 24). მაგრამ, მევახშეობაზე საუბრისას, უპირველესყოვლისა, აუცილებელია თავად ამ ტერმინის სწორი განსაზღვრა. სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში განასხვავებს ვახშს, რომელიც ვალის სარგებლის უწესო სარგებელს ნიშნავს [4: 259], ვასხისგან, რომელიც წესიერი ვალის სარგებელიაო [4: 257]. იგი, ასევე, განმარტავს, რომ „ვასხი არის, ვინცა ვეცხლი და რაიცა სხვა ივალოს და წესიერი სარგებელი მისცესო“ [5: 50]. ხოლო უწესო ვალის სარგებელთან აქვს მოცემული მინიშნება წმინდა წერილზე, კერძოდ, გამოსვლათა წიგნის 22-ე თავის 24-ე მუხლზე, სადაც წერია: „თუ ვინმეს, ჩემ ერისაგანს, ღარიბ-ღატაკს, ვერცხლს ასესხებ, მევახშესავით ნუ მოექცევი, სარგებელს ნუ დააწესებ“ [1: 77]. აქედან ისეთი დასკვნის გამოტანა შეგვიძლია, რომ უწესო ვალი გაჭირვებული ადამიანისგან საპროცენტო სარგებლის აღებას ნიშნავს. სხვა შემთხვევაში, თუ ღარიბ-ღატაკ ადამიანთან საქმე არ გვაქვს, როგორც ჩანს, მოვალისგან გარკვეული საპროცენტო სარგებლის აღება სულხან-საბა ორბელიანის დროს დანაშაულად არ მიიჩნეოდა. ვახტანგ VI სამართლის წიგნში მოცემულია განმარტება, რას ნიშნავს სარგებლის სარგებელი, ანუ იგივე ვახში: „სარგებლის სარგებელი არაფერის ვალისა არ გაჩნდების, არც ითხოვების, არც მიეცემინების. რა რომ ერთი ორზე გარდასცილდების, სხვა სარგებელი აღარ გაუჩნდების“ [6: 513]. აქედან ჩანს, რომ ვახში არა ნებისმიერ საპროცენტო სარგებელს, არამედ უზომოდ დიდს – გასესხებული თანხის 100% აცდენილ დანამატს ნიშნავდა.

აღსანიშნავია, რომ ძველი აღთქმა უკრძალავდა ისრაიტელებს ვახშის აღებას ერთმორწმუნე თანატომელებისგან, მაგრამ უშვებდა ამ საქმეს უცხოელებთან მიმართებით (გამოსვლათა 22. 24; ლევიტელთა 25. 36-37; მეორე სჯულთა 23. 20).

ახალი აღთქმის სწავლებით, მორწმუნე ქრისტიანი ყველა ადამიანთან მიმართებით ერთი და იმავე ზნეობის კანონებით უნდა ხელმძღვანელობდეს. სესხთან დაკავშირებით მაცხოვარი იესო ქრისტე ბრძანებს, „გიყვარდეთ თქვენი მტრები, კეთილი უყავით და სესხი მიეცით მათ, ისე, რომ არაფერს მოელოდეთ სანაცვლოდ" (ლუკა 6. 35) [1: 1019].

ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ რომის იმპერიაში პროცენტით გასესხება საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკა იყო. უკვე ქრისტიანი იმპერატორები ცდილობდნენ ან საერთოდ აეკრძალათ, ან კანონის გარკვეულ ჩარჩოებში მოექციათ ეს ძველი ჩვეულება. მაგალითად, წმინდა იუსტინიანე დიდი (VI ს.) ერთ-ერთ კანონში განაწესებდა, რომ თუ ვინმე დროულად არ შემოიტანდა გაჭირვებულებისთვის და ეკლესიების მშენებლობისთვის განკუთვნილ ანდერძით დატოვებულ თანხას, ექვსი თვის შემდეგ იმ ადამიანს მთლიან ვალთან ერთად შესაბამისი პროცენტების გადახდაც დაეკისრებოდა. დიდი ბიზანტიელი კანონისტები – წმინდა ფოტი კონსტანტინეპოლის პატრიაქი (VIII ს.) და ბალსამონი ანტიოქიის პატრიარქი (XII ს.) – ეთანხმებოდნენ და ადასტურებდნენ წმინდა იუსტინიანეს ასეთ გადაწყვეტილებას [9: 113]. იმპერატორი ლეონ ბრძენი (X ს.) კანონთა ახალ კოდექსში – ბასილიკაში, ასევე, იძლეოდა ნებართვას სესხში გარკვეული საპროცენტო სარგებლის აღებისთვის [11: 217].

საეკლესიო კანონები სასულიერო პირებს უმკაცრესად უკრძალავს მევახშეობას. მოციქულთა 44-ე, პირველი მსოფლიო კრების მე-17, მეექვსე მსოფლიო კრების მე-10, ლაოდიკიის კრების მე-4, კართაგენის კრების მე-5 და მე-20, ბასილი დიდის მე-14 და გრიგოლ ნოსელის მე-6 კანონები მევახშე სასულიერო პირებს განკვეთას განუწესებენ:

მაგ., ნიკეის პირველი მსოფლიო კრება (325 წ.) განაჩენს, „ვინაიდან ბევრმა კლერიკოსმა ანგარება და მომხვეჭელობა შეიყვარა და დაივიწყა საღვთო წერილი, რომელიც ამბობს: „ვეცხლი მისი არა მისცა აღნადგინებად..." (ფსალმ. 14. 5), და სესხი გასცა და მეასედს ითხოვს, ამიტომ წმინდა და დიდი კრება ადგენს, რომ ამის შემდეგ ვინც იმხილება გასესხებული თანხისთვის ვახშის აღებაში, ან სხვა ანგარებითი საქმიანობისათვის ფულის გაცემაში, ან გასესხებული თანხის ნახევრის ნამატის სახით მოთხოვნაში, ან სამარცხვინო მომხვეჭელობის მიზნით სხვა რაიმე ჩანაფიქრში, ასეთი პირი განიკვეთოს და უცხო ექმნეს სასულიერო დასს" [2: 201].

ასევე, 419 წლის კართაგენის ადგილობრივი კრების მე-5 კანონში ნათქვამია: „სამღვდელო დასის წევრთაგან, დაე, ნურავის მიეცემა ნება ვახში აიღოს რაც არ უნდა იყოს ნივთისაგან... რაც ერისკაცთა შორის გასაკიცხია, რაზომ უფრო დაგმობის ღირსია იმათ შორის, რომლებიც სამღვდელო დასს განეკუთვნებიან" [3: 131-132].

წმინდა მამების ასეთი მკაცრი განჩინება იმითაც იყო განპირობებული, რომ როგორც ფრანგი მართლმადიდებელი კანონისტი მთავარეპისკოპოსი პეტრე ლუი-ლიე აღნიშნავს, იმ საუკუნეებში სარგებლის საპროცენტო განაკვეთი ძალზე დიდი იყო [13: 151].

ძველი ქართული სამართალი ასევე ძალზე მკაცრად უდგებოდა მევახშეობას. მაგალითად, XIV საუკუნის გიორგი ბრწყინვალის სამართლის 46-ე კანონში წერია: “სარგებელი არც ქართველთ სჯულთა შიგან ძეს წესად, რომე აღიღონ, და არც სხუათა სჯულთა უწერია. და სარგებელი არის უწესო. და თუ რადმე მიმცემი კაცი ასრე ავი იყოს, რომე სარგებელი აღიღოს, რა გინდა რა ხანი გამოსულიყოს, ათსა თეთრს ზედა ორი თეთრი მიეცეს, – რაზომი დიდი ხანი დაეყოს, ამის მეტს ნურას მისცემს და არც სამართალია მისაცემლად. და თუ დია რათმე ავი კაცი არ არის, არც ამისი აღება მართებს. სამართალი ესრეთ ყონ ყოველთა” [6: 420-421].

ჩვენი სტატიის თემასთან დაკავშირებით საინტერესოა გავეცნოთ, რა დამოკი-დებულება ჰქონდათ აღნიშნულ საკითხთან სხვა ქრისტიანულ კონფესიებსაც. მაგალითად, კათოლიკურ ეკლესიაში სქოლასტიკის მამა თომა აქვინელი XIII საუკუნეში წერდა, რომ სახლის ან საოჯახო მოხმარების სხვა ნივთების გაქირა-ვებისთვის საფასურის აღება დასაშვებია, რადგან გამოყენებისას ისინი ცვდებიან, ხოლო ფულის შემთხვევაში, ის არ ცვდება, გასესხებული თანხა ინარჩუნებს თავის თავდაპირველ იურიდიულ თუ ეკონომიკურ ძალას. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, თომა აქვინელის აზრით, დაუშვებელია საცხოვრებელი ფართის ერთი დღით გაქირავებისთვის თანხის აღება, რადგან ნორმალური მოხმარების შემთხვევაში, ერთ დღეში სახლი არც გაცვდება, არც დაძველდება და არც დაიშლება [9: 114]. ჩვენი აზრით, ეს არგუმენტი აბსოლუტურად მცდარია, რადგან ცნობილია, დროთა განმა-ვლობაში ფულიც „ცვდება“, ანუ ექვემდებარება ინფლაციას და შეიძლება სრულ დევალვაციასაც კი.

თომა აქვინელს წარმოდგენილი ჰქონდა სხვა იურიდიულ-ეკონომიკური არგუმენტიც: რადგან ქონება არსებობს მოძრავი და უძრავი, აქედან გამომდინარე, ის განასხვავებდა ისეთ ცნებებს, როგორიცაა ქონების ფლობა და ქონების გამოყენება. ანუ, უძრავი ქონება, როდესაც დროებით გაიცემა სხვა პირზე, ქონების გამომყენებელი ხდება ის პირი, რომელიც იღებს იმ ქონებას, ხოლო მისი იურიდიული მესაკუთრე - ქონების გამცემი; ამიტომ მფლობელს შეუძლია გაყიდოს არა უშუალოდ ქონება, როგორც საგანი, არამედ მისი გამოყენების უფლება და შესაბამისად, ამაში აიღოს გარკვეული თანხა. თომას აზრით, ასეთი ტიპის ეკონომიკური ურთიერთობა სწორი და გამართლებულია, რადგან გამომყენებელი იხდის თანხას იმაში, რაც იყიდა, კერძოდ – ქონების ანუ საგნის გამოყენებაში.

რაც შეეხება მოძრავ ქონებას, აქ შეუძლებელია მოხდეს გამიჯვნა ქონების ფლობასა და გამოყენებას შორის. მაგალითად, ის, ვინც ყიდის ხორბლის გამოყენებას, ვერ შეინარჩუნებს ხორბლის ფლობასაც, რადგან ის იხარჯება. იგივე ხდება ფულის შემთხვევაშიც – პირველივე გამოყენებაზე იურიდიულად და ეკონომიკურად ის იხარჯება. რადგან შეუძლებელია შეინარჩუნო ფულის ფლობა და ცალკე გაყიდო მხოლოდ მისი გამოყენება, ამიტომ დაუშვებელია გასესხებულ ფულში პროცენტების აღება – თვლიდა თომა აქვინელი. ეს თეორიაც მალევე გაკრიტიკებული იქნა, რადგან იმის გამო, რომ თანხის გასესხებისას კრედიტორს დროებით ერთმევა საკუთარი ფულის გამოყენების საშუალება, ამიტომ ზუსტად ეს "ნაკლი" შეიძლება ანაზღაურებულ იქნას საპროცენტო მოგებით [9: 115].

XIII საუკუნის სომხური საკანონმდებლო ძეგლი სმბატ სპარაპეტის სამართალი ცალსახად უარყოფითად აფასებს პროცენტულ გასესხებას. მაგალიტად ხსენებული სამართლის ძეგლის 188-ე კანონში ნათქვამია: „თუ ვინმე იძლევა რამეს სესხში, დაუშვებელია, რომ მან აიღოს სარგებელი, რადგან ღმერთმა ეკრძალა ეს სჯულში, განსაკუთრებით იმ ადამიანის შვილებისგან, ვინც აიღო სესხი. რადგან, თუ მამა გარადიცვალა, შვილები საერთოდ არ არიან ვალდებულნი იხადონ სარგებელი". საინტერესოა, რომ სომხური სამართალი კრძალავს ასევე გირაოში ან პროცენტული სარგებლის მიზნით ისეთი საგნების გაცემას, რომლების აუცილებელია ადამიანის არსებობისთვის, მაგალიტად კამეჩების, წისქვილების და ა.შ. [16: 157-158].

საქართველოში ბაპტისტური ეკლესიის დაარსების თარიღად ითვლება XIX საუკუნის 60-ანი წლები. 1880 წელს თბილისის ბაპტისტური ეკლესიის კრებაზე იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება: „გაჭირვებულებისთვის, რომლებიც სესხულობენ ფულს საყოფაცხოვრებო საჭიროებებისთვის, პროცენტებით გასესხება ცოდვაა, მაგრამ მდიდრისაგან, რომელიც იღებს თანხას თავისი საქმის გასაფართოებლად, ზომიერი პროცენტის აღება ცოდვა არ არის. თუმცა ფულის ჩადება ისეთ კომპანიებში, რომლებიც მევახშეობით არიან დაკავებულნი, კატეგორიულად აკრძალულია" [17: 79]. საინტერესოა, რომ ზუსტად ამ მიზეზის გამო თბილისის ბაპტისტურ ეკლესიაში მოხდა განხეთქილება. საკრებულოდან გარიცხეს თავად ლიდერი ამ ეკლესიის, ვინმე ნ.ი. ვორონინი, რომელმაც, როგორც თვითონ იმართლებდა თავს, არ იცოდა რითი იყო რეალურად დაკავებული ერთ-ერთი კომპანია, რომელშიც დააბანდა ფული. გარიცხვიშ შემდეგ ვორონინმა აიყოლა მრევლის ნაწილი და ჩამოაყალიბა პარალელური საკრებულო [17: 79].

დაწყებული XVIII საუკუნიდან კაპიტალისტური სისტემის ჩანასახებთან ერთად როგორც კათოლიკური, ასევე მართლმადიდებელი ეკლესიების დამოკიდებულება საპროცენტო გასესხებასთან დაკავშირებით თანდათან უფრო მოქნილი ხდება. მაგ., სჯულისკანონის მცოდნე სასულიერო პირების მიერ შედგენილი ვახტანგ VI

სამართლის წიგნის 125-ე კანონი განაწესებს: „თეთრი რომ გასცეს კაცმან, თუ ძალი ქნა და სული სძულს, თუმანი – თვეში ხუთშაურად; თუ სული ცოტად უყვარს – აბაზად; თუ უკეთ უყვარს – სამ შაურად; და თუ მართლა უყვარს – ორ შაურად. სულ უკეთესი ის არის, რომ სარგებელი სულ არ აიღოს“ [6: 513].

ასევე წმინდა ანთიმოზ ივერიელმა ყოველთა წმიდათა სახელობის მონასტრის ტიპიკონში (1713 წ.) დაადგინა, რომ მონასტერს შეეძლო წელიწადში შვიდი პრო-ცენტის სარგებლით გაესესხებინა თანხები, მაგრამ იმ პირობით, რომ შემოსული ფული მხოლოდ ქველმოქმედებას უნდა მოხმარებოდა. „ფული არ უნდა იყოს გაჩერებული მოგების გარეშე“ – წერს უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტი წმინდა ანთიმოზ ივერიელი [10: 300].

XIX-XXI საუკუნეების ახალმა მსოფლიო ეკონომიკურმა სისტემამ მართლ-მადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებს საბოლოოდ ჩამოუყალიბა დაწერილი თუ დაუწერელი ახალი კანონიკური პრინციპები საპროცენტო გასესხებასთან, ანუ „მევახშეობასთან“ დაკავშირებით. მაგალითად, საბანკო სისტემა, რომელიც ყველა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია, თავიდან ბოლომდე ფულის საპროცენტო სესხება-გასესხებაზეა დაფუძნებული.

1942 წელს ვატიკანი აფუძნებს საკუთარ ბანკს, რომელსაც რელიგიური საქმე-ების ინსტიტუტის სახელწოდება აქვს (Instituto per le Opere di Religione) და რომელიც დღემდე წარმატებულად ფუნქციონირებს [14: 1]. 1983 წელს მიღებული და დღემდე მოქმედი კათოლიკური ეკლესიის სჯულისკანონი 1259-ე და 1284-ე კანონებით ნებას რთავს იპოთეკური თუ სხვა ტიპის სესხების გამოყენებას [12: 303, 309].

რაც შეეხება მართლმადიდებელ ეკლესიას, ისტორია უკვე იცნობს წმინდან ბანკირებსაც, როგორც წმინდა ილია მართლის ჭავჭავაძის შემთხვევაშია. დღეს-დღეობით მსოფლიოს ყველა ადგილობრივი ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ფინანსები დაბანდებულია სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო ბანკებში. 1995 წელს მიღებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგე-ობის დებულების XII თავის მე-14 პარაგრაფში ნათქვამია, რომ “საეკლესიო თანხები ინახება ბანკში შესაბამისი საეკლესიო დაწესებულების სახელზე” [7: 207]. წინა საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს საპატრიარქო თავადაც საკუთარი ბანკის მფლობელიც იყო. არცერთი სასულიერო პირი არ უკრძალავს თავის მრევლს, ისარგებლონ ბანკებით ან მუშაობდნენ საბანკო სისტემაში და ა.შ. 2002 წელს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართ-ლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება, ასევე, არ უკრძალავს ეკლესიას საბანკო სისტემით სარგებლობას [8: 212].

საპროცენტო გასესხებაზეა დაფუძნებული თანამედროვე მსოფლიოს სოციალუ-რი დაცვის სისტემაც. კერძოდ, ადამიანები თავისი ყოველთვიური შემოსავლებიდან

სახელმწიფოს თუ სხვა კერძო სტრუქტურებს ურიცხავენ გარკვეულ თანხას, რის სანაცვლოდაც ისინი ღებულობენ ჯანმრთელობის, საპენსიო, თუ სხვა სახის დაზღვევას. ანუ საბოლოოდ მიღებული თანხა, იდეაში, ბევრად აღემატება ადამიანის მიერ გადარიცხულ ფულს.

თანამედროვე მსოფლიოში ფული განიხილება, როგორც ჩვეულებრივი ქონება, რომელიც სახლის, ბინის, სახნავი მიწის, ავტომობილის, თუ სხვა რაიმე ნივთის მსგავსად შეიძლება იყოს გაქირავებული.

რა თქმა უნდა, საპროცენტო გასესხებასთან დაკავშირებით სამ ასპექტში ეკლესიის ზნეობრივ-კანონიკური პრინციპები დარჩა უცვლელი:

1. ასეთი ტიპის საქმიანობა, ისევე, როგორც ნებისმიერი ბიზნესი აბსოლუტურად დაუშვებელია სასულიერო პირებისთვის, რომლებიც მოწოდებულები არიან, იზრუნონ ადამიანების სულიერ ცხონებაზე და მათ უნდა ჰქონდეთ შეუბღალავი რეპუტაცია, ხოლო ნებისმიერი ტიპის საქმოსნობა ითხოვს, ერთის მხრივ, დიდ დროსა და ენერგიას და მეორეს მხრივ, წარმოქმნის ბევრ კონფლიქტურ სიტუაციას. მაშასადამე, ასეთი მღვდელი კი არ აშენებს, არამედ პირიქით, დააბრკოლებს და დაშლის მრევლს.

2. პროცენტი არ უნდა იყოს დიდი. რაც უფრო დაბალია გასესხების პროცენტი, მით უფრო რელიგიურად სწორი და გამართლებულია. ამავდროულად, მოგებული პროცენტი არ შეიძლება იზრდებოდეს უსასრულოდ, ის არ უნდა აღემატებოდეს გასესხებული თანხის ოდენობას, ან გასესხებული ნივთის თვითღირებულებას.

3. გაჭირვებულ, ღატაკ ადამიანებზე პროცენტით გასესხება დაუშვებელია.

## ლიტერატურა:


1. *ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1989.*
2. *მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით, I ტ., გამომცემლობა „ალილო“, თბ., 2007.*
3. *მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით, II ტ., გამომცემლობა “ალილო”, თბ. 2011.*
4. *სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I ტ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, თბ., გამ. «მერანი», 1991.*
5. *სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II ტ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, გამ. «მერანი», 1991.*
6. *ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963.*
7. *საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება (1995), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კალენდარი 2011, საქართველოს საპატრიარქო, თბ.*
8. *კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის (2002), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კალენდარი 2011, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი.*
9. *Pidalion, Cu oranduirea noua si talcuiri de Arhimandrit Zosima Tarala si Iconom Stavrofor Haralambie Popescu, Institutul de Arte Grafice « Speranta », Bucuresti, 1933.*
10. *Antim Ivireanul, Opere, Editura « Minerva », Bucuresti, 1997.*
11. *S.B. Daskov, Dictionar de Imparati Bizantini, Editura Encicopedica, Bucuresti, 1999.*
12. *Codul de Drept Canonic, Institut Teologic Romano-Catolic, Iasi, 1995.*
13. *Архиепископ Петр Л'юилье, Правила первых четырех Вселенских Соборов, Издание Сретенского моастыря, Москва, 2005.*
14. *http://ru.wikipedia.org/wiki/*
15. *Смбат Спарапет, Судебник, Составление текста, перевод с древнеармянского предисловие и примечания А.Г. Галстяна. Ереван, 1958.*
16. *К.Г. Сардарян, Проблемы государственной власти и права в Судебнике Смбата Спарапета, Право и Образование, 2012, 9.*
17. *История Евангельских Христиан-Баптистов в СССР, Изд. Всесоюзного Совета Евангельских Христиан-Баптистов, Москва, 1989.*

## БАНКОВСКАЯ СИСТЕМА И РОСТОВЩИЧЕСТВО: ИНТЕРКОНФЕССИОНАЛЬНЫЙ КАНОНИЧЕСКИЙ АНАЛИЗ

***Священник Алексий Кшуташвили***
*Доктор теологии по церковному праву*

После распада Советского Союза, вместе с формированием новой экономическскй системы в обществе появились новые формы дохода: выдача денег под процент, залог, ломбард, банковский бизнес и т.д. Естественно среди православной паствы возникает вопрос, насколько оправдано, с точки зрения христианской нравственности, участие в подобного рода деятельности. Грешит ли человек, являясь участником банковской системы или ломбарда, или если он выдает личные деньги частным образом, и живет на проценты?

В пердыдущей статье мы попытались исследовать, какое отношение исторически было у христианской церкви к этому вопросу, как менялось это отношение в разных конфессиях в течение веков, и что самое главное, какую точку зрения могут иметь в современных условиях христианская паства и священнослужители по вопросу отдачи под процент денежных, или других средств, и вообще по поводу банковских систем.

## BANKING SYSTEM AND USURY: INTER CONFESSIONAL CANONICAL ANALYSIS

***Priest Alex Kshutashvili***
*PhD Theology of Church Law*

After the Soviet Union collapse and with establishment of a new economic system new types of income became available in society: monetary loans, mortgages, pawnshops, bank business and so on. For orthodox parish it is important to find out whether it is ethically justified to be involved in such types of business. Is it a sin to be a member of a bank system, to run a pawnshop, or to give loans?

In our previous work we tried to find out how Christian church treated those issues, what were the changes in its attitude in different confessions during the centuries and what is the most important – what is a standpoint that a parish and priests can have on these matters?

# რელიგია და მეცნიერება - გზა ჭეშმარიტებისა და ჰარმონიისაკენ

*პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,*

*პროფ.* ***ნატო ქავთარაძე***

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

სამყაროს დასაბამიდან, იმ მილიონობით წლებიდან ჩვენს, მზის გალაქტიკაში ადამიანი ყველაზე უფრო მაღალგანვითარებული ცოცხალი არსებაა, რომელიც თავისი არსებობის მანძილზე ცდილობს შეიცნოს თვით სამყარო, მისი წარმოშობის პირველი წყარო, ძირითადი კანონზომიერებები და საზოგადოდ მისის არსი. კაცობრიობას მუდამ აწუხებს მნიშვნელოვანი კითხვა – როგორ წარმოიშვა სამყარო, სად არის მისი საწყისი და დასასრული. სწორედ ამ ინტერესმა დაუდო საფუძველი თავდაპირველად ფილოსოფიურ აზროვნებას და მეცნიერებას, ხოლო შემდეგ კი ისეთ ცნობილ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, როგორიცაა – ფიზიკა, მათემატიკა, ბიოლოგია, ქიმია და ა.შ.

კაცობრიობის ისტორიამ შემოგვინახა ადამიანთა უდიდესი დაკვირვების შედეგად მიღებული ცოდნა – გამოცდილება. მართალია, წერილობითი წყაროების მიხედვით პირველ მეცნიერებად ბერძნები ითვლებიან, მაგრამ ისიც ცნობილი ფაქტია, რომ ძველი ბაბილონელები – ხალდები, ინდოელები და ეგვიპტელები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ელემენტებს ჯერ კიდევ მანამდე ფლობდენ, ვიდრე ამ მეცნიერებებს სახელწოდებები არ ჰქონდათ. კერძოდ, ასტრონომიის, ფიზიკისა და ქიმიის ელემენტების პირველ საწყისი ცოდნა სწორედ ამ ხალხიდან მოდის, რომ არაფერი ვთქვათ მედიცინაზე. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ძალზე რელიგიურები იყვნენ ანუ მეცნიერება ცალკე, დამოუკიდებლად არ იყო წარმოდგენილი. ბერძნებმა კი მეცნიერების განვითარების გზაზე დამოუკიდებლობა აირჩიეს და იგი სრულიად გარიყეს რელიგიისაგან, რასაც ხანგრძლივი და მრავალსაუკუნოვანი უთანხმოება მოჰყვა მეცნიერებასა და რელიგიას შორის ბუნების შეცნობის საკითხებთან დაკავშირებით. დაპირისპირებამ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ მრავალი მეცნიერის სიცოცხლე შეეწირა სამყაროს მეცნიერულად ახსნის საქმეს. თუმცა იყვნენ ისეთი დიდი მეცნიერებიც, რომლებიც თავიანთი მეცნიერული მოღვაწეობისას აშკარად თუ ფარულად მაინც იზიარებდნენ რელიგიურ წარმოდგენებს.

**ადამიანი – შემოქმედი**

ცნობილ ადამიანთა შემოქმედებასა და მათ მიღწევებს საქმისადმი სიყვარული და წარმატების იმედი განაპირობებს, მთავარია სამყაროს კანონზომირებათა შეცნობაში სწორი გზის არჩევა. იმ ადამიანთა შორის, ვისთვისაც მეცნიერება უპირველესი იყო, ლუი პასტერი დაუფარავად წერდა: „რაც უფრო ღრმად ვეუფლები მეცნიერებას, მით უფრო მორწმუნე ვხდები“.

ისეთი დიდი მეცნიერი, როგორიც ა. აინშტაინი იყო, წერდა: „მეცნიერება რელიგიის გარეშე კოჭლია, რელიგია მეცნიერების გარეშე - ბრმაა“. აინშტაინის ამ სიტყვების ლოგიკურობას დღევანდელი მეცნიერული მიღწევებიც ადასტურებენ. ყველასათვის ცნობილი ფაქტია თუნდაც ის, რომ თუ როგორ იცვლება წყლის სტრუქტურა, როცა მის ირგვლივ ლოცვები იკითხება, ან თუნდაც, როცა მორწმუნის მიერ ტაძარში წმინდა გამოსახულების წინ დანთებული სანთლის წინ ლოცვის კითხვის შემდეგ სანთელი უბრალოდ კი არ ქრება, არამედ იგი სინათლედ და სითბოდ იქცევა, რომელიც თავის სხივებით ირეკლავს წმინდა სახეებს. მეცნიერებამ დიდი ხანია დაადასტურა ბუნების უნივერსალური კანონი: „ბუნებაში არაფერი არ იკარგება, მხოლოდ ადგილი აქვს ერთი ნივთიერების გარდაქმნას მეორე ნივთიერებად, ერთი ენერგიისა – ენერგიის მეორე სახედ. ამდენად, რაც აქ, დედამიწაზე ცოცხალი ადამიანის მიერ კეთდება მატერიალური სახით კვლავ მატერიალურს უბრუნდება, ხოლო ჩვენი სულიერი მხარე ასახვას ზეციურ სამყაროში პოულობს სიტყვის, აზრის, ხელოვნების სახით. როგორც ამბობენ „ცა ჩვენი სარკეა.“ რაც ნიშნავს, რომ რასაც წარმოვთქვამთ ლოცვა იქნება თუ წყევლა, მუსიკალური ჰანგები თუ ხელოვნების ის ნიმუშები, რომლებიც ადამიანის სულის, ფიქრის ნაყოფია სამყაროს ინფორმაციული ველის მიერ მიიღება და თუ როგორ გვიბრუნდება იგი, ამის მიხვედრა ძნელი არ არის.

თანამედროვე ცხოვრებაში ყველა აღიარებს თუ რა ძალა აქვს ლოცვას. აღსანიშნავია, რომ სანკტ-პეტერბურგის ვ.ბ. ბეხტერევის სახელობის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვ. სლეზინი, ექსპერიმენტისას აღმოაჩინა, რომ ლოცვისას ადამიანი იმყოფება განსაკუთრებულ მდგომარეობაში. ცნობილი ფაქტია, რომ ლოცვა ერთგვარი მედიტაციაა, რომლის დროსაც თავის ტვინის ქერქში ირთვება აგზნების მექანიზმი.

ექსპერიმენტისათვის მათ მოიწვიეს ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარი და მისი ლოცვისას ჩაიწერეს ელექტროენცეფალოგრამა, რომელმაც აჩვენა თავის ტვინის ქერქის სრული გამოთიშვა სრული ცნობიერების ფონზე. მათ ამ ფენომენს ადამიანის მეოთხე მდგომარეობა უწოდეს.

აქამდე მეცნიერებისათვის ცნობილი იყო ადამიანის სამი მდგომარეობა: სიფხიზლე, ნელი ძილი და ჩქარი ძილი, რომლებიც ერთმანეთისაგან თავის ტვინის ქერქში ელექტრონული იმპულსების ხასიათით განსხვავდებიან.

როგორც გამოკვლევებმა აჩვენეს, ჩქარი ძილისა და სიფხიზლის დროს ელექტრო-ენცეფალოგრამა მსგავსია, ხოლო თავის ტვინის სრული გამოთიშვა ხდება, როგორც ნელი ძილის, ისე ლოცვის დროს. გამოდის, რომ ლოცვითი მდგომარეობა ისეთივე თვისობივი და აუცილებელია ადამიანის ორგანიზმისათვის, როგორც მანამდე ცნობილი სამი მდგომარეობა. ადამიანის ცხოვრებაში შეინიშნება ცნობიერების ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა. არსებობს შეკავებისა და გათიშვის სისტემები... როცა ადამიანის ცხოვრებაში მისივე ნებით გამოირიცხება თავის ტვინის მეოთხე მდგომარეობა, იწყება გარკვეული უარყოფითი პროცესები. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სასულიერო პირების და ბერ-მონაზვნებისათვის დამახასიათებელია სულიერი

სიმშვიდე, რადგან ღვთისმსახურებისას მღვდელი ხშირად წარმოსთქვამს - „მშვიდობა თქვენდა“ ანუ გვისურვებს სულიერ სიმშვიდეს, მაგრამ ლოცვის გარეშე სულიერი სიმშვიდის მოპოვება ძნელია და ამაშია ლოცვის სამკურნალო თვისება.

ამით დასტურდება, რომ ნამდვილი ლოცვის დროს ხდება სინამდვილისაგან მოწყვეტა, რაც იწვევს პათოლოგიური კავშირების ნგრევას. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა კი ადამიანს ხელს უწყობს გამოჯანმრთელებაში. ამრიგად, მეოთხე მდგომარეობა – ეს არის გზა ჰარმონიისაკენ.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჩაწერილ იქნა კათოლიკე მღვდლის ელექტრო-ენცეფალოგრამა. აქ კი არ შეიმჩნეოდა თავის ტვინის ქერქის სრული გათიშვა, თუმცა ამის ნიშნები მაინც აღინიშნება. მანვე აღიარა, რომ მართმადიდებელი ქრისტიანები უფრო კარგი მოცველები არიან, რადგან მათში უფრო შემონახულია იესოს ლოცვის უწყვეტი პრაქტიკა.

### მეცნიერება თუ რელიგია

თუ ჩვენ დავსვამთ კითხვას ასე: სად უფრო მეტი შეგვიძლია გავიგოთ სამყაროსა და მისი კანონზომიერებების შესახებ რელიგიასა თუ მეცნიერებაში, სად დევს გასაღები ყველაფრის ახსნისა, პასუხი შეიძლება ასე ჟღერდეს - იმისათვის, რომ სწორად აღვიქვათ და ავხსნათ ყველაფერი, საჭიროა რწმენაც და ცოდნაც ისე შევუსაბამოთ ერთმანეთს, რომ ისინი ურთიერთს კი არ გამორიცხავდნენ, არამედ ავსებდნენ.

მაქს პლანკი მეცნიერებასა და რელიგიას შორის კავშირს ასეთ შეფასებას აძლევდა: „რელიგია და მეცნიერება სრულებით არ გამოხატავს ურთიერთს, პირიქით, ისინი თანხვდებიან და ავსებენ ერთმანეთს.“

„ორივენი – რელიგია და საბუნებისმეტყველო მეცნიერება – თავიანთი დასაბუთებისათვის საჭიროებენ ღვთის რწმენას, მაგრამ რელიგიისათვის ღმერთი დგას საწყისში, მეცნიერებისათვის – მთელი აზროვნების ბოლოში. რელიგიისათვის ის წარმოადგენს ფუნდამენტს, მეცნიერებისათვის მსოფმხედველობის ჩამოყალიბების გვირგვინს.“

სამყაროში არ არსებობს მოვლენა, რომელსაც ახსნა არ შეიძლება ჰქონდეს. სამყაროში მოვლენები მკაცრად კანონზომიერად ხდება და ზოგჯერ შეუძლებე-ლიცაა მეცნიერების მიერ მათი ახსნა მრავალგვარ კავშირებში. მხოლოდ ძალზე დიდი რწმენისა და ცოდნის ადამიანები აღწევენ მაქსიმალურ შედეგებს ამ მხრივ.

დღევანდელი გადასახედიდან კი აშკარაა ის კავშირი, რომელმაც მეცნიერება რელიგიასთან ერთად სამყაროს შეცნობის დიდ გზაზე უნდა გაიყვანოს. მსოფლი-ოში არსებული ძირითადი რელიგიებიდან (ბუდიზმი, იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი) ყველა რელიგია ქადაგებს ადამიანში რწმენის სიმტკიცეს, ადამიანურ სიყვარულს და სიკეთეს, რაც თავისთავად ღვთიურია.

სამყაროს შეცნობის საკითხში ადამიანი მთავარი ფიგურაა, ის არის როგორც შემოქმედი, ასევე დამკვირვებელიც. ადამიანს, როგორც დამკვირვებელს გააჩნია სენსორული გრძნობის ორგანოები: თვალი, ყური, ენა, ცხვირი და კანი, რომლის გაგრძელებად ითვლება თვით ადამიანის მიერ შექმნილი დაკვირვების ხელსაწყო - დანადგარები.

გარდა ამისა, ინტუიციური გრძნობის ორგანოებად მიჩნეულია თავის ტვინი („გონის თვალი“) და გული („გულისყური“). [2 გვ.4] აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ მეცნიერთა დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ პირველად ადამიანის ჩანასახში თვალისა და გულის ჩანასახი ყალიბდება, შემდეგ კი დანარჩენი სხვა ორგანოები. ყველაზე ბოლოს ყალიბდება თავის ტვინი, როგორც ადამიანის ყოველგვარი ქცევის და მოქმედების მაკოორდინირებელი ორგანო. ადამიანის – დამკვირვებლის მიღმა ობიექტურად არსებული საგნები და მოვლენები აღიქმებიან ზემოხსენებული სენსორული გრძნობის ორგანოებით. მაგრამ საგნებსა და მოვლენებს ისეთი თვისებებიც აქვთ, რომლებიც სენსორული ორგანოებით ვერ აღიქმებიან, ისინი მხოლოდ შინაგანი შეგრძნებებით ანუ ინტუიციის მეშვეობით აღიქმება. ასეთებია: სულიერება, სილამაზე, მშვენიერება, ჰარმონია და ა.შ.

ა. აინშტაინის თვალსაზრისით“ არსებობს კოსმოსური იდუმალება, რომლის ინტუიციური შემეცნება წარმოადგენს მეცნიერების, ხელოვნების და რელიგიის წყაროს (საფუძველს)“ [2, გვ.4]

მე-20 საუკუნის უდიდესი მეცნიერი ნ. ბორი მიანიშნებდა მეცნიერებისა და რელიგიის ამოსავალ პოზიციათა არსებით განსხვავებაზე. მეცნიერება ისწრაფვის, რათა განავითაროს ზოგადადამიანური გამოცდილების მოწესრიგების საერთო მეთოდები; რელიგია კი ემსახურება იდეალს, რათა საზოგადოებაში დამკვიდრდეს შეხედულებათა და ქცევათა სრული ჰარმონია. [1, გვ.36]

ყველა რელიგიაში ცოდნა, რომელიც ჰქონდათ საზოგადოების წევრებს ლაგდებოდა განსაზღვრულ მზა სქემასა და სტრუქტურაში. პირველადი შინაარსი კი ამ სტრუქტურისა შეიცავდა ფასეულობებსა და იდეალებს, რომლებსაც ეფუძნებოდა კულტი და რწმენა. ამიტომ შინაგანი კავშირი შინაარსა და ფორმას შორის ნაკლებად იქცევდა ყურადღებას მანამდე, სანამ მეცნიერების შემდგომმა განვითარებამ ახალი, კოსმოლოგიური დასკვნები არ გააკეთა. [1, გვ. 36]

კვლავ მაქს პლანკის მტიცებით: „საითაც არ უნდა გავიხედოთ, რა საგანსაც არ უნდა დავაკვირდეთ, ვერსად ვიპოვით წინააღმდეგობას მეცნიერებას და რელიგიას შორის. პირიქით, ჩვენ აშკარად დავინახავთ მათ შორის სრულ ჰარმონიას - რელიგიაც და მეცნიერებაც ეძებს ჭეშმარიტებას და მიდს ღვთის აღიარებამდე.“

**სამყარო – რწმენა და ცოდნა**

ცნობილია, რომ ჩვეულებრივი ადამიანი იყენებს თავისი ტვინის შესაძლებლობების მხოლოდ 2,5%-ს, მასზე მეტი ანუ 3%-მდე შესაძლებლობების მქონე ადამიანები ითვლებიან გენიოსებად ან მედიტაციური უნარის მქონე ადამიანებად. თუ ჩვენ ჩვენი შესაძლებლობებიდან ვახერხებთ სამყაროს ასეთ შემეცნებას, თუ თავის ტვინის 5% იმუშავებდა, ბუნებრივია სამყაროს სხვა თვალით შევხედავდით და დავინახავდით. მაგრამ ჩვენ გვინდა შევეხოთ არა მხოლოდ მატერიალურ შესაძლებლობებს, არამედ ადამიანის სულს, რომელიც უჩინარია. იგი საფუძვლად უდევს ადამიანს, როგორც ცოცხალ არსებას, მის განვითარებას და მის გონებრივ მოქმედებას.

არ შეიძლება არ დაეთანხმო იმ მეცნიერებს, რომლებიც თვლიან, რომ არსებობს სამყაროს ორი სხვადასხვა ხედვა:

ა) მეცნიერული ანუ „გარეგანი ხედვა“, როცა ადამიანი შეიმეცნებს მის მიღმა ობიექტურად არსებულ სამყაროს;

ბ) მედიტაციური ანუ „შინაგანი ხედვა“, როცა ადამიანის გონი უშუალოდ (სენსორული ორგანოების გარეშე) უკავშირდება უჩინარ მატერიას.მხოლოდ ასეთი ხედვით აიხსნას ისეთი ფენომენები, როგორიცაა: ნათელმხილველობა, დისტანციური ხედვა და სხვადასხვა ფსიქოლოგიური მოვლენები [2. გვ.5].

კაცობრიობაში დამკვიდრებულია ისეთი ცნებები, როგორიცაა „ცოდნა“ და „რწმენა“, ეს თავისთავად უკვე ნიშნავს სიტყვიერადაც სუბიექტ-ობიექტს შორის გამყოფი ხაზის გავლებას.

2003 წლის 23-24 მაისს თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართულ პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ თავის გამოსვლაში აღნიშნა: „პირველადი არის რწმენა. მორწმუნე ადამიანი მონაა ღვთისა.ეს ძალიან მნიშვნელოვანი თეზისია. მე მინდა შეგახსენოთ, რომ საქართველოში მუდამ იყო ტრადიცია ცოდნასა და რწმენას შორის სიახლოვისა. მონასტერი არა მარტო სულიერი მოღვაწეობის სავანე როდი იყო, არამედ დიდი მეცნიერული ცენტრი“. ამის შემდგომ პატრიარქმა მაგალითად მოიყვანა მე-19 საუკუნის ცნობილი მეცნიერის კამილ ფლამარიონის წიგნი – „ღმერთი ბუნებაში“, სადაც სხვა საკითხებთან ერთად იგი ეხება ისეთ საკითხს, როგორიცაა ძალა და მატერია. ე.ი. ძალა ხელმძღვანელობს მატერიას, თუ პირიქით, მატერიას გააჩნია ძალა... [4, გვ.5]

თუ საკითხს მეცნიერული თვალსაზრისით განვიხილავთ, არ გაგვიჭირდება იმის მტკიცება, რომ სწორედ უხილავ ძალთა მოქმედება (გრავიტაციული, ელექტრომაგნიტური და სხვ.) განაპირობებს იმ უზუსტეს წესრიგს კოსმოსში, რომელსაც ემორჩილება არა მხოლოდ დედამიწის და ჩვენი გალაქტიკის სხვადასხვაგვარი მოძრაობა, არამედ მთელი სამყარო.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი თავმჯდომარე ა. კრეს მორისონი სტატიაში „შვიდი მიზეზი, რომლებიც ხსნის, თუ

რატომ მწამს ღმერთი", მათემატიკური ანალიზით ასაბუთებს, რომ გონიერი წარმართვის გარეშე, სიცოცხლე დედამიწაზე ვერაფრით ვერ გაჩნდებოდა. მაგალითისთვის მას მოჰყავს უტყუარი მტკიცებულებები:

ბრუნვის სიჩქარე დედამიწის ზედაპირზე საათში ათასი მილია. დედამიწა რომ საათში ასი მილის სიჩქარით ბრუნავდეს, დღეცა და ღამეც ათჯერ უფრო გრძელი იქნებოდა. ამსიგრძე დღის განმავლობაში მზე ყოველივე ცოცხალს გადაბუგავდა, ღამე კი ყველაფერს სიცივე მოუღებდა ბოლოს.

მზის ტემპერატურა 12000 გრადუსია ფარენგეიტით. დედამიწა ზუსტად იმ მანძილით არის დაშორებული მზისგან, რომ ეს „მარადიული ცეცხლი" ისე გვათბობდეს, როგორც საჭიროა, არც მეტად არც ნაკლებად. მზე რომ ორჯერ ნაკლებ სითბოს გვიგზავნიდეს, გავიყინებოდით, ხოლო ორჯერ მეტად რომ გვათბობდეს, სიცხე დაგვხოცავდა.

დედამიწის ღერძი 23 გრადუსით არის დახრილი. ამიტომაც არსებობს წელიწადის დრონი. დახრილობა სხვანაირი რომ იყოს, ოკეანეების ანაორთქლი იმოძრავებდა წინ და უკან, სამხრეთისკენ და ჩრდილოეთისკენ, და ყველა კონტინენტს ყინულით დაფარავდა.

მთვარე 50000 მილით რომ იყოს ჩვენგან დაცილებული, ოკეანის მიმოქცევას ისეთი გრანდიოზული მასშტაბი ექნებოდა, რომ კონტინენტები დღე-ღამის განმავლობაში ორჯერ მოექცეოდნენ წყლის ქვეშ.

ატმოსფერო, რომელიც დედამიწას გარს აკრავს, ოდნავ უფრო თხელი რომ ყოფილიყო, მილიონობით მეტეორი, რომლებიც ახლა ატმოსფეროში იწვება, დედამიწაზე ჩამოცვივდებოდა და უთვალავ ხანძარს გამოიწვევდა.

ეს და ურიცხვი მაგალითი მოწმობს, რომ დედამიწაზე სიცოცხლის შემთხვევით გაჩენის ალბათობა მრავალი მილიონიდან ერთიც კი არ არის.

ცხადია, ის უხილავი ძალები, რომლებიც დღეს აღიარებულია მეცნიერების მიერ (გრავიტაციული, ელექტრომაგნიტური, პრეცესიული და სხვ.) უდიდეს როლს ასრულებენ სამყაროში. ბუნებრივია ადამიანის სულიც ამ სამყაროში და თვით დედამიწაზე უდიდესი დატვირთვის მქონეა. ჩვენ თუ ჯერჯერობით არ შეგვიძლია მეცნიერულად იმის დასაბუთება, რომ გარდაცვალების შემდეგ იგი განაგრძობს რაღაც ფორმით არსებობას, არც იმის უარყოფა იქნება მართებული, რომ იგი არ არსებობს.

ვ. კაზნაჩაევის თვალსაზრისით, არსებობს სიცოცხლის ორი ფორმა: ველისმიერი და ცილურ-ნუკლეიდური; თავის დროზე, დასაწყისში, ეს ორი ფორმა ერთმანეთს შეხვდა და „შეუღლდა", ჩვენ ყველა წარმოვადგენთ ამ კოსმოსური პაემანის შედეგს, თუმცა, ეს ჯერჯერობით პრაქტიკული ჰიპოთეზაა.

საკითხის ახსნისათვის საჭიროა სხვადასხვა მეცნიერთა გაერთიანება და ერთიანი მეცნიერების შექმნა.

თანამედროვე ბიოლოგები მიიჩნევენ, რომ სამყარო ერთიანი, მთლიანი ორგანიზმია, რომელსაც საფუძვლად სიცოცხლე უდევს, ამიტომ არის საჭირო სხვადასხვა მეცნიერებებისა და რელიგიის გაერთიანება [2. გვ.6].

დედამიწაზე არსებული სხეულები არა მხოლოდ მის გარშემო არსებული ველების გავლენას განიცდიან, არამედ თვალით ხილულ მატერიალურ არსებებს და მათ შორის ადამიანებსაც თავიანთი ინდივიდუალური, ფერადი ველი აქვთ. გარდაცვალების წინ ყველა ადამიანს ეს ველი უძლიერდება ანუ მისგან გამომავალი ელექტრომაგნიტური გამოსხივება აქტიურდება, რასაც გრძნობენ ირგვლივ მყოფი მცენარეები და ცხოველები. მაგ., ძაღლები ყმუილით აფიქსირებენ მოახლოებულ სიკვდილს ან ოთახის მცენარეები იწყებენ ჭკნობას.

მეცნიერებაში ცნობილია ტერმინი „გენის დეფექტი“, რომელსაც განიცდის მკვლელი, როცა ის წინასწარგანზრახვით თავს ესხმის მსხვერპლს. ამ დროს მოულოდნელობისაგან მსხვერპლის ველი ისეთნაირად ძლიერდება, რომ აზიანებს თავდამსხმელის ველს ანუ დაზიანება აღწევს გენამდე, რის გამოც გენი განიცდის დეფექტს. მკვლელის გამოსხივების ფერი იცვლება ანუ თუ შეიძლება ითქვას „უარყოფითი გამოსხივების“ მატარებელი ხდება. ბუნებრივია, ასეთი ადამიანის ოჯახში ყოფნა მოქმედებს გარშემომყოფებზე ან მომავალი შვილების გენეტიკაზე. ეს ხდება შემდგომში საფუძველი ოჯახში დეფექტის მქონე შთამომავლობის დაბადების ან რაიმე ცუდი მომავლისა, რაც შემდეგ გარკვეულწილად აღიქმება როგორც წინაპართაგან ჩადენილი ცოდვა.

ცნობილია, რომ მე-20 საუკუნის ყველაზე დიდი აღმოჩენა გენის გაშიფვრა იყო, რომელიც დღესდღეისობით სიცოცხლის საწყისად არის მიჩნეული. ამერიკელი მეცნიერების უოტსონისა და კრიკის მიერ რეტგენოსტრუქტურული ანალიზით დადგინდა დნმ-ის ძაფის სტრუქტურა, რის შედეგადაც მიღებულია დასკვნა, რომ გენების მემკვიდრეობის სუბტრატი არის „დნმ“ [6.]

ამრიგად, თუ „სიცოცხლის საწყისი“ დეფექტირებულია, ბუნებრივია შემდეგში სრულყოფილი სიცოცხლე ანუ ჯანსაღი პიროვნება ვერ მიიღება.

ქართველი მეცნიერის, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. შ. შოშიაშვილის მოსაზრებით – „ადგილი აქვს უზოგადეს კოსმიურ პრინციპს: „კოსმიური სამყარო ფართო გაგებით, მატერიის ხილულ და უხილავ ფორმათა ჩათვლით, უსასრულოა სივრცე – დროის თვალსაზრისით, წარმოადგენს თვითრეგულირებად და ევოლუციურად თვითგანვითარებად ცოცხალ სულიერ ორგანიზმს“ [2. გვ.7].

შემთხვევითი არ იქნება იმაზე საუბარი, რომ ის, რაც შექმნილია და მოღწეულია თუნდაც ჩვენამდე გნებავთ მეცნიერებასა და ხელოვნებაში, დასაბამს იღებს იქედან, რომ ადამიანები უდიდესი რწმენით აკეთებდნენ იმ საქმეს, რომელიც მათ აინტერესებდათ. როცა ი.ნიუტონს ჰკითხეს: „რამ მიგიყვანათ მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმოჩენამდეო?“, მან მიუგო: „მუდმივად მასზე ფიქრმაო“.

სწორედ რწმენა და სიყვარული აძლევს ადამიანს იმ დიდ მუხტს, რომლითაც ადამიანის უბადლო, განუმეორებელი საქმიანობის და შემოქმედების შედევრები იქნა შექმნილი.

ეს ორი თვალით უხილავი – რწმენა და სიყვარული არის ადამიანის აზროვნების, მისი მოქმედების დასაწყისი, იმ უდიდესი ცოდნის საფუძველი, რომელიც მას გარესამყაროდან ეძლევა. სწორედ რწმენითა და სიყვარულით უნდა მოემზადოს ადამიანი დიდი საქმის დასაწყებად.

ქრისტიანულ რელიგიაში წმინდანთა ცხოვრების ისტორია იმის დამტკიცებაა, - რომ რწმენით განმტკიცებულნი კეთილი საქმეების კეთებით, ლოცვითა და მარხვით როგორ ცდილობდნენ აჰყოლოდნენ სამყაროს ჰარმონიას. ეჭვს არ იწვევს ის, რომ რელიგიური მოძღვრება დაფუძნებულია უდიდეს ცოდნაზე და გამოცდილებაზე სამყაროს კანონზომიერებებისა და ჰარმონიის შესახებ.

რელიგია არის ეთიკის საფუძველი, რომელიც პიროვნებას ეხმარება სწორად განსაზღვროს და შეახამოს თავისი ქცევები საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნებთან. ვ. ჰაიზენბერგი თავისი მემუარული ხასიათის წიგნში „ნაწილი და მთელი" გვამცნობს მე-20 საუკუნის უდიდესი მეცნიერის ნ. ბორის მოსაზრებებს რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ნ. ბორი აღნიშნავდა, რომ მას არ სწამს პიროვნული ღმერთი.ამავე დროს იგი დასძენს, რომ რელიგია ენას სულ სხვაგვარად იყენებს, ვიდრე მეცნიერება. რელიგიის ენა პოეზიის ენასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე მეცნიერების ენასთან. რელიგიაში ობიექტური სინამვილეა ნაგულისხმევი, რომლის მიხედვითაც იგი მეცნიერული ჭეშმარიტების კრიტერიუმებს უნდა ექვემდებარებოდეს და სამყაროს დაყოფა სუბიექტურად და ობიექტურად ამ შემთხვევაში ზედმეტია. რელიგიის ენა ისეთია, რითაც კაცი აქ ნაგულისხმევ სინამდვილეს ჩასწვდება, მაგრამ ეს სრულადაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს აქ სინამდვილე არ იყოს. თუ რელიგია წარმოიშვა, როგორც ადამიანთა საზოგადოების გონითი სტრუქტურა, მაშინ იგი შეიძლება საზოგადოების უძლიერეს მაკავშირებელ ძალად იქცეს ან არსებულმა საზოგადოებამ თავად განავითაროს მისი გონითი სტრუქტურა და მის ცოდნას შეუფარდოს.ამასთან რელიგია ხელს უწყობს საზოგადოების ცხოვრების ჰარმონიას [1. გვ.39].

მართალია, დღემდე სამყაროს აგების პრინციპი აუხსნელია, მაგრამ როგორც მაქს პლანკი აღნიშნავდა, იგი აიხსნება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ დავუშვებთ რაღაც უმაღლესი საწყისის არსებობას ღმერთის სახით, რომელიც აწესრიგებს ამ ვითარებას და ქმნის საოცარ ჰარმონიას და სიმეტრიას სამყაროში. ამდენად, ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ სინამდვილის ახსნისას გამოყენებულიქნას სხვადასხვა ხერხები.

ა. აინშტაინის აზრით კი – „კოსმოსური იდუმალების შეგრძნება ყველაზე ღრმა და მშვენიერია ცხოვრებაში".

სამყარო და ენა თავისი წარმოშობით ერთმანეთის მსგავსია. ენით აღიწერება სამყარო და მასში მიმდინარე მოვლენები. ენა ასტრუქტურებს ჩვენს ყოფას ამ ქვეყნად. ეს ნიშნავს რომ ენა დადებულია ჩვენს თვალებზე და ამით აღწერს ირგვლივ ყველაფერს, მაშინ ძველ და ახალ ქართულს შორის არის განსხვავება. ეს მიუთითებს, თუ რა თვალით ხედავდა ადამიანი ძველად სამყაროს.

როგორც ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა გასავ გასვიანმა თავის ნაშრომში „ქართული ანბანის სამყაროლოგია“ უამრავ მნიშვნელოვან და საინტერესო გამოკვლევათა შორის ასეთი დასკვნაც გააკეთა – „სამყაროს ყოველ მოვლენას ასახავს ქართული ანბანი მისი ასომთავრული, მისი სახელდება, ქართველთა სამივე ენა [5. გვ.14].

თანამედროვე ქართულმა მართლმადიდებლური ეკლესია და ქართველი მეცნიერები ცდილობენ, რომ რელიგიასა და მეცნიერებას შორის ხანგრძლივად მიმდინარე დაპირისპირებამ სრულიად სხვა მიმართულება შეიძინოს – დაპირისპირებულნი ერთმანეთს კი არ გამორიცხავენ, არამედ ერთმანეთს ემატებიან და ამით წინ მიიწევენ სამყაროს და სინამდვილის უკეთ შეცნობისკენ.

ლიტერატურა:


1. *ვ. კობახიძე, „ნილს ბორის დამატებითობის პრინციპი და მისი ზოგადსაგანმანათლებლო მნიშვნელობა სწავლებაში“, თსუ, თბილისი, 1997.*
2. *შ. შოშიაშვილი, „კოსმიური სამყაროსა და სულის უკვდავების შესახებ“, გამომც. „ნეკერი“, თბილისი, 2003.*
3. *არქიმანდრიტი ლაზარე (აბაშიძე), „ეკლესია ვენახი“, გამომცემლობა „მთა კარმელი“, თბილისი, 2003.*
4. *ჟურნალი „ფენომენი„ №6(17) ივნისი, 2003 წ.*
5. *გაზეთი „ახალი ეპოქა“, 31.10-06.11.2003. სტატია „თანამედროვეობის მნიშვნელოვანი აღმოჩენა“*
6. *გაზეთი „სოხუმის სადროშო“ №15 (128) – 29.11.2003. სტატია „გენის შემეცნება გრძელდება“.*
7. *ჟურნალი „საფარველი“ 1, ზუგდიდი, 2003. (თარგმნა იზა კუხიანიძემ ჟურნალიდან „რუსკი დომ“).*
8. *ჟურნალი „კარიბჭე“ 2, 2004. (თანამედროვე მეცნიერება და ღვთის რწმენა“ ავტ. ნ. ლანჩავა)*

## FOR THE WORK – "THE RELIGION AND THE SCIENCE - THE WAY TO THE TRUTH AND THE HARMONY"

*Doctor of Pedagogical sciences, prof.* ***Nato Qavtaradze***
*Georgian Technical Univeristy*

The introductory part of the Theses deals with the historical past of the religion and science, with those negative results which has drifted away the religion and science from each other for a long time.

The main part of the work consists of three chapters. The First Chapter - "A man-creator" deals with the role and destination of a man as a creator. It has been justified the truth which is done here on the Earth by a man in material form and returns back to material one, and our spiritual finds its reflection in the heavenly world in the form of a word, idea and art.

In the following Chapter the necessity of contact of the religion and science has been substantiated by logical discussion, which should help to a man, and generally, the science to walk on a large way of cognition of the the World. The considerations of the greatest scientists of the 20$^{th}$ c. – Albert Einstein and Nils Bore about the relation of the religion and science have been brought as the only condition of development and progress of the civilization.

The sub-chapter – "The World - the Belief and the knowledge" lights up the soul as the main basis for development and mental action of a man; The role of the belief in the life of a man: the historical destination of the Georgian Orthodox Church has been shortly reviewed from the point of view of strengthening of belief and knowledge; which has been going on till present, The most important discoveries and achievements, the considerations of biologists and physicists have been formed and explained. The analysis in connection of these discoveries from the religious point of view has been done.

The most general principle of the Orthodox life – the belief and love is the basis for starting and victory of great deeds, for cognition of earthly truth and harmony which is witnessed by the history of the saints' life in the Christian religion.

The Final part of the report is a substantiation of the fact, that what kind a harmony exists in nature and how the man is able to see this harmony on the basis of a religious belief and strength.

# იესო ქრისტეს ღმერთობა სახარებებიდან სეკულარულ და ნეოპროტესტანტულ დისკურსის ფონზე

*ისტორიის დოქტორი,*

*ასოც. პროფ.* ***დეკანოზი ლევან მათეშვილი***

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

იესო ქრისტეს ღმერთობა ქრისტიანული ცენტრალური დენომინაციების თეოლოგიური ბაზისის ძირითადი ქვაკუთხედია. ამგვარი აზროვნება 2000 წელს ითვლის. მიუხედავად ამისა, ბიბლიის თანამედროვე სეკულარული მკვლევრები და ზოგიერთი ნეოპროტესტანტული დენომინაცია ამ მოსაზრებას ეჭქვეშ აყენებს და გვთავაზობს სახარებების განსხვავებულ ინტერპრეტაციას, რომელიც გამორიცხავს ტრადიციულ საეკლესიო გააზრებას აღნიშნულ საკითხზე. იეჰოვას მოწმეები, სხვა ახალი აღთქმის მკვლევრების მსგავსად, კატეგორიულად უარყოფენ, რომ იესო, თავისი გამოთქმებით, ღმერთს უტოლებდა თავს. ამაზე, თითქოს, რიგი სახარების ტექსტებისა მიუთითებს, განსაკუთრებით იოანეს სახარებიდან (ინ. 5:18, 10:30). ბიბლეისტები უკვე დიდი ხანია შეთანხმდნენ მეოთხე სახარების ქრისტოლოგიის თაობაზე: იოანე, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ქრისტეში განკაცებულ ღმერთს ხედავს [1]. მის სახარებაში ქრისტე ამაზე პირდაპირ საუბრობს: „მე და მამა ერთი ვართ“, მოწაფეები კი ღიად აღიარებენ მისი ღვთაებრიობის რწმენას და არ იყვედრებიან ამით: „მიუგო თომამ და უთხრა მას: უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ (იოანე. 20:28,29), „მით უფრო მეტად ცდილობდნენ იუდეველები იესოს მოკვლას, ვინაიდან არა მარტო არღვევდა შაბათს, არამედ თავის მამად იტყოდა ღმერთს და მას უტოლებდა თავს“ (იოანე. 5:18). არ არის გასაკვირი, რომ განკაცების ადრექრისტიანული ღვთისმეტყველების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ზუსტად ამ სახარებამ ითამაშა.

მეოთხე სახარების ავტორობის საკითხი ბოლო 160 წლის მანძილზე ფართოდ და საკმაოდ აქტიურად განიხილებოდა. ასეთი ინტერესის მიზეზი იმ დარწმუნებულობაშია, რომლითაც სახარების ავტორი ქრისტეს ღვთაებრიობას მოწმობს. იყო იმის დამტკიცების მცდელობები, რომ ეს სახარება მოწმის დაწერილი კი არ არის, არამედ უცნობი, მაგრამ გენიალური ღვთისმეტყველის ნაშრომს წარმოადგენს, რომელიც მის მიერ აღწერილი მოვლენების განვითარებიდან ორმოცდაათი ან ასი წლის შემდეგ ცხოვრობდა. შესაბამისად, ის ქრისტეს შესახებ ეკლესიის გვიანდელ სწავლებას ასახავს და არა იმას, თუ სინამდვილეში ვინ იყო იესო, რას ამბობდა და რას აკეთებდა.

თუმცა, ისტორიულ-კრიტიკული თვალსაზრისით, სინოპტიკური სახარებები (მათეს, მარკოზის და ლუკასი) ქრისტეს ღვთაებრიობის კონცეფციას არ შეიცავენ. სინოპტიკოსი მახარებლების შეხედულებას მათეს სახარების ნაწყვეტი გამოხატავს: „13.

ხოლო როდესაც ფილიპეს კესარიის მხარეს მივიდა, იესომ ჰკითხა თავის მოწაფეებს: რას ამბობს ხალხი, ვინ არისო ძე კაცისა? 14. მათ მიუგეს: ზოგს იოანე ნათლისმცემელი ჰგონიხარ, ზოგს - ელია, ზოგს - იერემია თუ ერთ-ერთი წინასწარმეტყველი. 15. კვლავ ჰკითხა მათ: თქვენ თვითონ ვინღა გგონივართ მე? 16. სიმონმა, იმავე პეტრემ, მიუგო: შენა ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღმრთისა. 17. ხოლო იესომ პასუხად თქვა: ნეტარი ხარ შენ, სიმონ, იონას ძეო, რადგან ხორცმა და სისხლმა კი არ გაგიცხადა ეს, არამედ ჩემმა ზეციერმა მამამ.“ ამ ნაწყვეტის ინტერპრეტაციისას გადამწყვეტ მომენტს „ძე ღვთისა“ გამოთქმის გაგება წარმოადგენს, რომელსაც შეიძლებოდა როგორც ფართო (ძველ აღთქმაში: წმიდა მართალი, ცხებული, ანგელოზი, მეფე), ასევე კონკრეტული მნიშვნე-ლობაც ჰქონოდა (იესო – ღვთის ძე, ამ გამოთქმის კერძო და უნიკალური მნიშვნელობით). იოანე მახარებელს ღვთის ძეობა, რა თქმა უნდა, მეტაფიზიკური და სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობით ესმის: სიტყვა ერთარსი ძეა, ანუ ღვთის ერთადერთი ძე, სიტყვის კერძო გაგებით (გენეტიკურად: „მამის ძე“ 2 ზნ. 3).

მოცემულ ნაწყვეტში შეუძლებელია არ შევნიშნოთ ორი გამოთქმის ურთიერთ-დაპირისპირება: „ძე კაცისა“ და „ძე ღვთისა“ („რას ამბობს ხალხი, ვინ არისო ძე კაცისა?“). ბიბლეისტებს შორის არ არის აზრთა თანხმობა „ძე კაცისა“ გამოთქმის მნიშვნელობის თაობაზე. ეს ან მესიანობაზე მითითებაა (დანიელ წინასწარმეტყველის წიგნის მოტივი), ან მდგრადი ძველი აღთქმისეული ფრაზეოლოგიზმი, რომელიც ადამიანური მოდგმის წარმომადგენელს გამოხატავს (რიცხ. 23:19; იობ. 16:21, ფსალ. 8:5, იესო. 56:2, იერ. 49:18, იეზ. 2:1). „ძე კაცისა“ ნიშნავს უბრალოდ „ადამიანს“, „ადამიანი, როგორც ასეთი“, ანალოგიად შეიძლება მოვიყვანოთ: „სახედრის შვილი“ – ვირი (დაბ. 49:11). ჩვენი აზრით, ორივე ვარიანტი სწორია და ერთმანეთს ავსებს. შესაბამისად, გამოთქმა - ძე კაცისა მოციქულებს შეიძლებოდა იესოს ზეადამიანური ბუნების მინიშნებად მიეღოთ.

აქ იეჰოვას მოწმეებსა და სხვა ინტერპრეტატორებს ღვთაებრიობის, როგორც ყოფის კატეგორიის გაგების თემაზე სპეკულაციების ფართო სივრცე აქვთ. ამიტომ წინ უნდა წავიდეთ. ამისათვის ჩვენ იესო ნაზარეველზე იუდეველთა შეხედულებებს გავაანა-ლიზებთ. რაბინმა ჯეიკობ ნიუსნერმა ერთობ საინტერესო წიგნი დაწერა, სახელწოდებით „რაბი იესოსთან საუბრობს“ (რუს. თარგმ. ბ. დინინა) [2]. წიგნის ავტორმა ამოცანად დაისახა იესო ნაზარეველის გამოთქმებსა და სწავლებაზე მეორე ტაძრის ეპოქის ნორმატიული იუდეველის შეხედულება ეჩვენებინა. წიგნის მიზანია ქრისტიანებს აჩვენოს, რომ თორის ერთგულ იუდეველს ყველა კანონიერი საფუძველი გააჩნდა რიგი პრინციპული მომენტების გამო ქრისტეს მოწაფე არ გამხდარიყო.

რატომ ავირჩიეთ ასეთი გზით სვლა? საქმე იმაშია, რომ ქრისტიანები მიჩვეულნი არიან იმ აზრს, რომ იესო ნაზარეველის მესიანობა ნებისმიერი იუდეველისთვის ცხადი იყო. თუმცა ისტორიულ-კრიტიკული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს ასე არ იყო. უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, რომ იესო ზოგჯერ ამბობდა იმას, რაც იუდეველური მესიის

სტატუსსა და უფლებამოსილებას აღემატებოდა. საქმე იმდენად იმაშიც არ არის, რომ I საუკუნის იუდეველებმა მესია-მხსნელი მეფის ცრუ ხატი შექმნეს (არც თუ მთლად უსაფუძვლოდ, სხვათაშორის) და ამიტომ არ მიიღეს იესო. საქმე უფრო იმაშია, რომ იესო, ჯერ ერთი, თორაზე მაღლა აყენებდა თავს, და მეორეც – ის ამბობდა იმას, რისი თქმაც მხოლოდ ღმერთს შეეძლო.

**ცოდვების მიტევება**

ცოდვების მიტევების ეპიზოდი: „2. და, აჰა, სარეცლით მიჰგვარეს მას დავრდომილი; იხილა იესომ მათი რწმენა და უთხრა დავრდომილს: გამხნევდი, შვილო, მოგეტევა შენი ცოდვები. 3. ზოგიერთი მწიგნობარი გულში ამბობდა: ღმერთს გმობსო იგი. 4. ხოლო იესო მიხვდა მათ ზრუნვას და თქვა: რატომ იზრახავთ ბოროტს თქვენს გულში? 5. რა უფრო ადვილია: ამის თქმა - მოგეტევოს შენი ცოდვები: თუ ამისა - აღდეგ და წადი? 6. ხოლო რათა იცოდეთ, რომ ძეს კაცისას ძალა შესწევს ამ ქვეყნად ცოდვების მიტევებისა, - ასე უთხრა დავრდომილს - აღდეგ, აიღე შენი სარეცელი და წადი შენს სახლში. 7. ისიც მაშინვე აღდგა და წავიდა თავის სახლში. 8. ამის მხილველი ხალხი განცვიფრდა და ადიდებდა ღმერთს, რომელმაც ასეთი ძალა მისცა ადამიანებს. 9. იქიდან წამოსულმა იესომ დაინახა საბაჟოში მჯდომარე კაცი, რომელსაც მათე ერქვა სახელად, და უთხრა მას გამომყევიო; ისიც ადგა და გაჰყვა“ (მათ. 9: 2-6).

შევნიშნავთ, რომ მწიგნობრებმა ავადმყოფისთვის ცოდვების მიტევების შესახებ ქრისტეს სიტყვებზე სრულიად სამართლიანად მოახდინეს რეაგირება. ძველი აღთქმა ცალსახად აჩვენებს, რომ ცოდვების მიტევება მხოლოდ ღმერთს შეუძლია (იესო. 43:25; გამ. 34:9; რიცხ. 14: 18-19; ფს. 24:18; 31:5; 102:3; 129:4; ის. 55:7). იესო კი ამბობს, რომ ქვეყნად ცოდვების მიეტევის ძალაუფლება აქვს. აქ ვხედავთ მის არაადამიანურ ყოფაზე მინიშნებას (სხვაგვარად, რა აზრი ექნებოდა აქ ქვეყნის ხსენებსა?). მაგრამ ჩვენ არ ვიღებთ პასუხს კითხვაზე: საიდან აქვს მას ასეთი პატიების პრეროგატივა? იესო ამ საგონებელს განკურნების სასწაულით ფანტავს, რომლის კონტექსტშიც ყველა დანარჩენი პრეტენზია ზედმეტია. ამის მიზეზი იმაშია, რომ აღთქმათშორის იუდეველურ ტრადიციაში ცოდვა და ავადმყოფობა მჭიდრო კავშირში იყო (რჯლ. 28:27; 2 მეფ. 12:13; ფს. 40:5, 106:17-18; b. Sabb. 55a), ისევე როგორც განკურნება და მიტევება (2 მეფ. 12:13; 2 ნეშტ. 7:14; ფს. 102:3; ის. 38:17, 57:18-19; იაკ. 5: 15; b. Ned. 41a).

შემდეგ, მათე ამატებს: „ამის მხილველი ხალხი განცვიფრდა და ადიდებდა ღმერთს, რომელმაც ასეთი ძალა მისცა ადამიანებს“ (მათ. 9:8). აქ მახარებელი უბრალო ხალხის რეაქციას გადმოგვცემს, რომელმაც მიიჩნია, რომ ღმერთს ადამიანებისთვის ასეთი ძალაუფლების მიცემა შეუძლია (ავღნიშნავთ, რომ „ადამიანები“ მრავლობით რიცხვშია ნახსენები). ეს მიანიშნებს, რომ ხალხმა ქრისტე, ამ შემთხვევაში, როგორც - თუნდაც დიდებული მაგრამ – ერთ-ერთი ადამიანთაგანი აღიქვა. მარკოზსა და

ლუკასთან ხალხის დასკვნაზე არაფერი წერია: ხალხმა უბრალოდ ღმერთი ადიდა (მკ. 2:12; ლკ. 5:26).

ამ ეპიზოდზე იეჰოვას მოწმეებს შემდეგი მოსაზრება გააჩნია: „ამის შემდეგ იესო ყველას, მათ შორის თავის კრიტიკოსებსაც, უჩვენებს, რომ მას ქვეყნად ცოდვების მიეტევების ძალაუფლება მართლაც გააჩნია და რომ ყველაზე დიდებული ადამიანია მათგან, ვისაც კი დედამიწაზე უცხოვრია“ (gt თავი 26). მაგრამ ეს ძლივს თუ ეთანხმება ძველ აღთქმას. ჩვენ ვერ ვნახავთ ვერც ერთ წინასწარმეტყველებას, რომელიც ამბობს, რომ იეჰოვა მესიას ცოდვების მიტევების ძალაუფლებას მისცემს. მესია უდიდესია, მაგრამ ის მაინც ადამიანია. მესიაში ამგვარი წარმოდგენები არც აღთქმათშორის ტრადიციაში იყო: „იმის რწმენა, რომ ცოდვებს მხოლოდ ღმერთი მიუტევებს, რამოდენიმე ტექსტში ჰპოვებს ასახვას (ზირ. 2:11; Midr. Ps. 17:3; შეად. CD-A III, 18; 1QSXI, 14; IQHa XII, 37). თუმცა ზოგჯერ შეიძლება შეგვხვდეს მტკიცება, რომე ეს ან ესქატოლოგიურ მღვდელს შეუძლია (T. Levi 18:9), ან მესიას (Tg. Isa. 53:4; Pesiq. Rab. 37:2), სინამდვილეში კი, პირველი მხოლოდ გამოაცხადებს ღვთის შენდობა, მეორე კი ითხოვს მას“ [3]. გარდა ამისა, სჯულის თანახმად, ნებისმიერი ცოდვა ტაძარში მსხვერპლშეწირვით გამოისყიდება. ქრისტე კი ადამიანის ცოდვებს ტაძრის გარეშე მიუტევებს. ამით ის აჩვენებს, რომ ტაძარზე მაღლა დგას. იუდეველურ ტრადიციაში ცოდვების მიტევება მსხვერპლშეწირვის გარეშე ღვთის პრეროგატივაა (იხ. მიდრაშ Tanh. Lev. 3:6: “მე წარვხოცავ მათ ცოდვებს მსხვერპლეშირვების გარეშე”). ამიტომ, ჩვენი აზრით, ყველაზე გონივრული იქნებოდა გვეფიქრა, რომ მესიას ძალუძს ქვეყნად ცოდვების მიტევება, რადგან ის მამის თანაბარია, იგივე ღმერთია, რაც მამა.

**ტაძრისა და შაბათის მიმართ დამოკიდებულება**

ეპიზოდი, რომელიც იესოს მოწაფეების მიერ შაბათს მარცვლების კრეფას ეხება (მათ. 12:1-8), ორ მნიშვნელოვან მოწმობას გვაძლევს. თავისი მოწაფეეების დასაცავად იესოს არგუმენტად მოყავს შემთხვევა, როდესაც დავითი და მღვდელმთავარი რჯულის ფორმალური დარღვევისას არ განიკითხებიან და რომ შაბათის შეზღუდვები ტაძარში მსახურებაზე არ ვრცელდება. მისი სიტყვების მთავარი ლეიტმოტივია: „წყალობა მსურს და არა მსხვერპლი“. თუმცა იესო უფრო შორს მიდის. მას „არა მხოლოდ დავითის საქციელის გამეორებაზე აქვს პრეტენზია, არამედ აცხადებს, რომ მისი იქ ყოფნა ტაძარზე აღმატებულია და რომ ძე კაცისა შაბათის ბატონია“ [4]. თუ ტაძარში მომსახურე ლევიტები და მღვდლები არ განიკითხებიან შაბათის დარღვევისთვის, მაშინ მითუმეტეს ქრისტეს მოწაფეები არ უნდა განიკითხნონ, რადგან: „აქ არის ის, ვინც ტაძარზეც უმეტესია“ (12:6). ჩნდება საფუძვლიანი კითხვა: ვინ შეიძლება იყოს იჰვჰ-ს ტაძარზე უმეტესი? იეჰოვას მოწმეების პუბლიკაციებში ამ კითხვაზე პასუხი უბრალოდ

არ არის. თუმცა ცხადია, რომ იეჰოვას ტაძარზე უმეტესი შეიძლება მხოლოდ იეჰოვა იყოს! მესია ვერ იქნება ტაძარზე უმეტესი, რადგან მასზე ღვთის სახელია (იერ. 7:11).

სხვა მტკიცება არანაკლებ საინტერესოა: „მე კაცისა - შაბათის უფალია“. იეჰოვას მოწმეები მას უცნაურად განმარტავენ: „რას გულისხმობს იესო? ის თავისი სასუფევლის ათასწლიან მშვიდობიან სუფევას გულისხმობს“ (gt თავი 31). მაგრამ ფარისევლებმა საერთოდ არაფერი იცოდნენ ათასწლოვანი სასუფევლის შესახებ! თანაც, ამ კონტექსტში საუბარი მიდიოდა პირდაპირი გაგებით შაბათზე, რომელიც ქრისტეს მოწაფეებმა დაარღვიეს. და კვლავ ვაწყდებით ქრისტეს პარადოქსულ მტკიცებას: ძველ აღთქმაში არსად არ არის საუბარი იმაზე, რომ მესიას შაბათზე ექნება ძალაუფლება, ან რომ მისი ავტორიტეტი შაბათის კანონზე მაღლა დგას. შაბათი რომ თვით იჰვჰ-ს ეკუთვნის, გამოსვლაშია ნათქვამი - 16:25; 20:10; 13:31; იეზ. 20:12-13. მხოლოდ კანონმდებელს შეეძლო დაედგინა, რომ შაბათის შესახებ მისი კანონი არ ვრცელდებოდა მღვდლებსა და ლევიტებზე. თუმცა იეჰოვას მოწმეები ამტკიცებენ: „ისევე, როგორც ლევიტებისთვის იყო ნებადართული შაბათს მსახურების გაგრძელება, ასევე იესოსაც, როგორც მესიას შეეძლო მისთვის ღვთისგან დაკისრებული ვალდებულებები შეესრულებინა ღვთის რჯულის დაურღვევლად“ [5]. ეს „მესიის უფლებები“, რჯულის, წინასწარმეტყველებისა და წერილის თანახმად, არ შეიცავდა ასეთ ძალაუფლებას. შაბათის დაცვის კონტექსტში უნდა გავიხსენოთ ქრისტეს საკვირველი სიტყვები: „28. მოდით ჩემთან ყოველი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, და მე მოგიფონებთ თქვენ. 29. დაიდგით ქედზე ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მშვიდი ვარ და გულით მდაბალი, და მოიპოვებთ სულის სიმშვიდეს. 30. ვინაიდან უღელი ჩემი ამოა, და ტვირთი ჩემი - მსუბუქი.“ (მათ. 11: 28-30). ეჭვს არ იწვევს, რომ ყოველი, ვისაც ეს სიტყვები ესმოდა, გაიხსენებდა სიმშვიდეს, რომელსაც შაბათი აძლევს. ისრაელიტები უნდა განრიდებოდნენ საქმეს, რადგან ღმერთმა დაისვენა თავისი საქმეებისგან. უფალი წინასწარმეტყველის მიერ ამბობს: „13. თუ შეაბრუნებ შენს ფეხს შაბათისგან, რომ დათრგუნო სურვილი ჩემს წმიდა დღეს, შერაცხავ შაბათს სანეტაროდ და უფლის წმიდად მის განსადიდებლად, და პატივს მიაგებ მას, არ მოიქცევი შენი ჩვეულებით, სურვილს არ აისრულებ და ფუჭსიტყვაობას არ მოჰყვები, 14. მაშინ ინეტარებ უფალში, დედამიწის მაღლობებზე დაგსვამ და იაკობის, მამაშენის, მემკვიდრეობით გამოგკვებავ, რადგან უფლის ბაგეებმა ბრძანა.“ (ეს. 58: 13, 14). მაგრამ იესო მიანიშნებს, რომ ჭეშმარიტი სიმშვიდის მოპოვება მხოლოდ მასში შეიძლება. ამგვარად, თვითონ იესო იქცევა ისრაელის შაბათად: ჩვენი ღვთისადმი მიმსგავსებად (გამ. 20:11).

ჯ. ნიუსნერი ასკვნის: „ეჭვგარეშეა, რომ იესოსთვის ცხადი იყო, მოწაფეების მიერ შაბათის დარღვევის შესახებ მისი სწავლებანი რამდენად გასაკვირი იყო. ჩემთვის ცხადია, რომ აქ გადაუჭრელ კონფლიქტს აღმოვაჩენ: ან: “გახსოვდეს შაბათი დღე, რათა წმიდა ჰყო იგი“, ან „მე კაცისა არის შაბათის უფალიც“, მაგრამ არა ორივე ეს მტკიცება

ერთად“. ჩვენ ვხედავთ რჯულიდან ქრისტეს პიროვნებისკენ გადახრას. მაგრამ მცნება ხომ ღმერთმა მოგვცა, მაშ როგორ შეუძლია მესიას აქცენტი გადაიტანოს თავის პიროვნებაზე?! ჩვენი აზრით მოცემული წინააღმდეგობა გადაუჭრელია, თუ იესოში მხოლოდ მესიას დავინახავთ.

**ქრისტეს სწავლება და რჯული**

ქრისტეს სწავლებისა და მოსეს რჯულის შეფარდების თემა უდიდეს ინტერესს წარმოადგენს არა მარტო ბიბლეისტებისთვის, არამედ ღვთისმეტყველებისთვის. ქრისტეს წინაშე, რომელიც იუდეველებს უქადაგებდა, ურთულესი ამოცანა იდგა: ახალი ღვინო უნდა ჩაესხა ძველ ტიკებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის რჯულზე მაღლა უნდა დამდგარიყო მისი გაუქმების გარეშე. სხვაგვარად, მისი ქადაგება მხოლოდ იმის თხრობად გამოდგებოდა, რაც ისედაც ცნობილი იყო.

უდაოდ, ძირითად მომენტს მთაზე ქადაგება წარმოადგენს, რომელიც მათ. 5:17-48-შია გადმოცემული. აქ ვხვდებით ქრისტესა და ტრადიცული სწავლების ექვს ცნობილ შედარებას, რომლებსაც ფორმულირების გამო ანტითეზები ეწოდება: „თქვენ გსმენიატ, რომ ნათქვამია... მე კი გეუბნებით თქვენ...“. ჩვეულებრივ, როდესაც ქრისტეს წერილი მოყავს, ის ამბობს „წერია“. გამოთქმა „გსმენიათ, რომ ნათქვამია“ შემთხვევითი არ არის. საქმე იმაშია, რომ სინაგოგაში ხალხი ისმენდა, რადგან კითხვა და კომენტარები (თარგუმული პარაფრაზი) არამეულ ენაზე ზეპირი სახით იყო.

არსებობს გავრცელებული მოსაზრება, რომ იესო მთის ქადაგებაში უბრალოდ მცნებების თავდაპირველ მნიშვნელობას აღადგენს, გამოასწორებს რა ფარისეველთა მცდარ განმარტებებს. ამ აზრს ძირითადად პროტესტანტი ეგზეგეტები იზიარებენ და გამონაკლისს არც იეჰოვას მოწმეები შეადგენენ [6]. სხვა მოსაზრების თანახმად იესო თორას მისი თავდაპირველი მნიშვნელობით აღადგენს, შემდეგ კი ცათა სასუფევლის მომავალი ეპოქისთვის რჯულის უფრო ღრმა და რადიკალურ წაკითხვას იძლევა. ამ აზრს ეკლესიის მრავალი მამა იზიარებდა.

ამ საკითხში გარკვევისთვის აუცილებელია თითოეული ანტითეზის გაანალიზება. მათგან პირველი ორი მსგავსია: ქრისტე დეკალოგის მცნებებს იმეორებს და იმ გულისთქმებს განიკითხავს, რომლებსაც ამ მცნებების დარღვევისკენ მივყავართ (5: 21-30). მიჩნეულია, რომ ქრისტე თავდაპირველი მცნებების ჭეშმარიტ მნიშვნელობას ხსნის. მაგრამ მკვლელობისა და მრუშობის აკრძალვაში არ ჩანს მრისხანებისა და ვნების აკრძალვა. თითქოს, მეორე მოსაზრება უფრო უხდება: ქრისტე რჯულის „ზღვარს“ მაღლა სწევს, მისი მოთხოვნები საქციელის სფეროდან გულისთქმების სფეროში გადაყავს. მაგრამ, ქრისტე არსად არ გამოხატავს რჯულის კორექტირებისა და გაუმჯობესების ზრახვას. ანტითეზის კონსტრუქცია გვიჩვენებს, რომ იგი თავის

ავტორიტეტს რჯულს უთანაბრებს. ახალი მცნებები ღვთის ძის სიტყვით არის მოცემული - „მე გეტყვით თქვენ“ - და არა მოსეს რჯულით.

მესიის სწავლებასა და რჯულს შორის კავშირი მესამე ანტითეზაში კიდევ უფრო სუსტია (5: 31,32). იესო ციტირებს რჯლ. 24:1-ს და, როგორც ჩანს, გულისხმობს რა განქორწინების მიმართ ლიბერალურ დამოკიდებულებას, რომელსაც ჰილელის სკოლა ემხრობოდა, კრძალავს განქორწინებას, გარდა მრუშობის მიზეზისა. ის შამაის სკოლის პოზოციაზე იდგა, რომელიც ამ საკითხში უფრო მკაცრი იყო. ზოგადად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქრისტემ რჯულის სწორი გაგება აღადგინა. მაგრამ ქრისტე მოსეზე ზევრად მკაცრია, რადგან უკანასკნელი მეორე ქორწინებას მრუშობად არ უწოდებს. ასე რომ, იმის თქმა როდი შეგვიძლია, რომ ქრისტეს სწავლების ეს პუნქტი პირდაპირ გამომდინარეობს ძველი აღთქმიდან.

მეოთხე თეზისი ფიცის დაცვის საკითხს ეძღვნება (მუხ. 33). მართლაც, თვითონ რჯული არ მოითხოვს ფიცს და ამიტომ ქრისტეს აკრძალვა სულაც არ ეწინააღმდეგება თორას. მაგრამ მეორეს მხრივ, ქრისტე მართლაც უარყოფს, ან სულ მცირე, ზღუდავს ფიცის კანონიერებას. სხვა სიტვყვებით რომ ვთქვათ, ქრისტე კრძალავს იმას, რასაც თორა არ კრძალავს. იდეა, რომ თითქოს მთის ქადაგება რჯულს განმრტავს არაადექვა-ტურია, რადგან ქრისტე ერთი ფიცით ძველ აღთქმაში მკაცრად რეგლამენტირებულ აღთქმებისა და ფიცის მთელს სისტემას უარყოფს.

მეხუთე ანტითეზაში თანაბარი მიგების ძველი აღთქმისეულ სწავლებას („კბილი კბილის წილ და თვალი თვალის წილ“) უპირისპირდება მოთხოვნა: „არ შეეწინა-აღმდეგო ბოროტს“ (5:38-42). ჯ. ნიუსნერი ქრისტეს სწავლების პრინციპულ სიახლეს აღნიშნავს: „სიტყვები „თვალი თვალის წილ“ არანაირ კავშირშია არ არის ბოროტისადმი არ შეწინააღმდეგების მოთხოვნასთან. „თვალი თვალი წილ“ „თორის გარშემო ზღუდეს“ არ ავლებს. ბოროტებისადმი წინააღმდეგობა რელიგიური მოვალეობაა, ისევე როგორ სიკეთის ქმნა, ღვთის სიყვარული, მის მტრებთან ბრძოლა. თორაში ერთი სიტყვაც არ არის ბოროტისადმი არ შეწინააღმდეგებაზე, ის არ აქებს მათ, ვინც სულმდაბლობის გამო ბოროტებას ემორჩილება, ან მათ, ვინც ქედმაღლურად მიიჩნევს, რომ ბოროტებისადმი შეწინააღმდეგებამდე არ უნდა დავიდეს. ბოტოების წინაშე პასიურობა, თვითონ ბოროტებას ემსახურება. თორა მარადიულ ისრაელს მოუწოდებს ყოველთვის სიკეთის მხარეზე იბრძოლოს. თორა აკანონებს ბრძოლას და აღიარებს კანონიერ ხელისუფლებას სიკეთის სახელით და მე განმაცვიფრებს იესოს ქადაგება ბორო-ტებისადმი თვინიერების, როგორც რელიგიური მოვალეობის, შესახებ“. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ იესო ამ მცნების ჭეშმარიტ არსს გვიხსნის, რადგან „თვალი თვალის წილ“ პრინციპი ისრაელის მსაჯულებს ეხებოდა, რომლებსაც სამართლიანობაზე და სასჯელისა და დანაშაულის ადექვატურობაზე უნდა ეზრუნათ.

მტრისამდი სიძულვილის შესახებ ბოლო თეზისი განსაკუთრებით საჩვენებელია (5: 43-47). რჯულში არ არსებობს მცნება: „გიყვარდეს მოყვასი შენი და გძულდეს მტერი შენი“. ეს აშკარა პარაფრაზია. ჩვენ თავს ნებას მივცემთ, არ დავეთანხმოთ ყველაზე გავრცელებულ აზრს, რომ რჯული არ შეიცავდა მტრებისადმი სიძულვილის მოწოდებას. მაშინ, რა ვუყოთ ამას: „ხელში ჩაგაგდებინებს და შენც დაამარცხებ მათ, დაარისხე ისინი, არ შეკრა მათთან კავშირი და არც დაინდო“ (რჯლ. 7:2), „17. ემტერეთ მიდიანელებს და მუსრი ავლეთ, 18. რადგან მტრულად მოგექცნენ, როცა გაცთუნეს ფეღორით და ქოზბით, მიდიანელთა თავკაცის ასულით, თავიანთი დით, რომელიც მოიკლა ფეღორის გამო თავსდამტყდარი განადგურების დღეს“ (რჯლ. 25: 17,18), „ნუთუ არ მოვიძულო, უფალო, შენი მოძულენი, და შენს მოწინააღმდეგეებს არ ვედაო?“ (ფს. 138:21). საუბარია აღთქმულ მიწაზე მცხოვრებ წარმართულ ერებზე, ისრაელის ღმერთის მტრებზე. თუმცა რჯული „შენი ხალხის შვილებზე“ შურისგებასა და სიძულვილა კრძალავდა (ლევ. 19:18). ამგვარად, ქრისტეს მცნება, ნებისმიერ შემთხვევაში, ნებისმიერ ძველ აღთქმისეულ კანონზე ერთი თავით მაღლა დგას.

ექვსივე ანტითეზის ერთობლივი განხილვისას ცხადი ხდება, რომ საუბარია არა რჯულის უფრო ღრმა გაგებაზე და არც მცნების პირვანდელი სულისკვეთების ახსნაზე. არა, პირველ პლანზე მაინც ქრისტეს არაჩვეულებრივი ავტორიტეტი დგას, რომელიც გამოიხატება სიტყვებით: „მე კი გეტყვით თქვენ“. ეჭვგარეშეა, რომ ხალხი, რომელიც მას უსმენდა, ზუსტად ასე გაიგებდა მისი ქადაგების ტონალობას: „28. და როცა დაასრულა იესომ სიტყვა, უკვირდა ხალხს მისი მოძღვრება. 29. ვინაიდან ის ასწავლიდა მათ როგორც ძალმოსილი, და არა როგორც მათი მწიგნობარნი“ (მათ. 7: 28,29). რაბინი ჯ. ნიუსნერი მთის ქადაგებაზე თავის სთაბეჭდილებაზე წერს: „მაგრამ რა თორაა ეს , რომელიც თორას სწავლებას აღრმავებს ამ სწავლების წყაროს - ღმერთის აღიარების გარეშე? მე იმდენად იესოს მოძღვრებანი კი არ მაშფოთებს, თუმცა ზოგიერთ მათგანს არ ვიზიარებ, რამდენადაც, თვით მოძღვარი. ამის მიზეზი, მისი მოძღვრების გადმოცემის ფორმაა. მთაზე დგომისას, ის ასეთი ენით ლაპარაკობს: „თქვენ გსმენიათ, რომ ნათქვამია... მე კი გეტყვით თქვენ...“ ეს ენა მოსეს თორას ენასთან განმაცვიფრებელ კონტრასტშია. მისი მოძღვრები, როგორც ვხედავთ, თავისი სახელით ლაპარაკობენ, მაგრამ თორაზე მაღლა მდგომ სიბრძნეზე პრეტენზიის გარეშე. მოსე წინასწარმეტყველი არა თავისი, არამედ ღმერთის სახელით ლაპარაკობს და იმას ქადაგებს, რისი თქმაც ღმერთმა უბრძანა. მაგრამ იესო არ ლაპარაკობს, როგორც თორის მოძღვარი, არც როგორც წინასწარმეტყველი. დააკვირდით, როდესაც მოსე სინას მთიდან ხალხთან ჩადის, ის ღვთის გამოცხადებას ასეთი სიტყვებით იწყებს: „მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანეთ ეგვიპტელთა ქვეყნიდან, მონობის სახლიდან“ (გამ. 20:2). მოსე ლაპარაკობს როგორც ღმერთის წინასწარმეტყველი, ღმერთის სახელით და

ღმერთის განგებით. როგორი რეაქცია უნდა მქონდეს იესოს „მე“-ზე, რომელიც თავის ნათქვამს აშკარად უპირისპირებს იმას, რაც ძველთაგან გვსმენია?“

მაშასადამე, ჩვენს წინაშე ახალი კანონმდებლობაა. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ იესო თავის თავს ეწინააღმდეგება, როდესაც ამბობს: „ნუ გგონიათ, თითქოს მოვედი რჯულის, გინდა წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად. გასაუქმებლაღ კი არ მოვედი, არამედ აღსასრულებლად“ (მათ. 5:17)? არა. მათესთან, სიტყვას „აღსასრულებლად“ (ბერძ. პლეროო) მკვეთრად გამოხატული ისტორიული და ესქატოლოგიური ასპექტები გააჩნია. ჩვეულებრივ, ამ ტერმინს მათე იყენებს, როდესაც ქრისტეს მიერ წინასწარმეტყველებების აღსრულებაზეა საუბარი. იესომ არა მხოლოდ განახორციელა წინასწარმეტყველებანი, არამედ ზოგიერთი ისტორიული მოვლენა აღადგინა (მაგ., მათ. 2:15). გავრცელებულია ამოსაზრება, რომ იესოს უნდოდა რჯულის "შევსება" (ბერძნულ სიტყვა „პლეროო“-ს ასეთი მნისვნელობაც შეიძება ჰქონდეს). მაგრამ ანტითეზების მიმოხილვა აჩვენებს, რომ სიტყვის გაგების ასეთი ვარიანტით ყველა ანტითეზა ვერ აიხსნება. ქრისტე, საბოლოოდ აღასრულებს რა რჯულს, აღემატება მას. ის ამტკიცებს, რომ მის სწავლებას ღვთის ნების ესქატოლოგიური აღსრულება მოაქვს, რაზეც მოსეს რჯული წინასწარმეტყველებდა. იესო „აღასრულებს“ რჯულს არა მისი განმარტებით, არამედ სიმართლის უფრო მაღალი სტანდარტების დაწესებით, რაც ცათა სასუფევლისა და *რჯულის რჩეულთათვის აუცილებელია* [7].

საკმარისია ახალგაზრდის ეპიზოდი გავიხსენოთ, რომელმაც ქრისტეს ჰკითხა: რა უნდა გაეკეთებინა მარადიული ცხოვრების დამკვიდრებისათვის? (მათ. 16:19-21). რჯულის მთავარი მცნებების ჩამოთვლის, მისი მწვერვალის: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ დამატებისა და ახალგაზრდისგან დადებით პასუხის მიღების შემდეგ, იესო ამატებს „ერთიღა გაკლია: გაყიდე ყველაფერი, რაც გაბადია, მიეცი გლახაკთ და გექნება საუნჯე ცაში; მერე მოდი და გამომყევ მე“ (ლუკ. 18:22). აწი რჯულის სიმართლე აღარ არის საკმარისი. საკმარისია რაღაც მეტი, რასაც სინაის რჯულის ძველაღთქმისეული სიმართლე ვერ იძლეოდა (მათ. 5:20). კონკრეტულად რა? „გამომყევ მე“, ამბობს ქრისტე. ჯ. ნიუსნერი აღნიშნავს: „იესოს სურს, რომ მას გავყვე და მისი მსგავსი ვიყო. მსმენია თუ არა თორაში მსგავსი მცნება? რა თქმა უნდა, კი: „იყავით წმიდა, რამეთუ მე ვარ წმიდა, უფალი, ღმერთი თქვენი“ [8]. თორა მომიწოდებს ღმერთს ვემსგავსო, წმიდა ვიყო... რაშია ცხოვრების აზრი? რისთვის ღირს ცხოვრება? ქრისტეც და თორაც ამტკიცებს, რომ ღმერთი ამ კითხვას პასუხობს. თორას და ქრისტეს თანახმად, იმისათვის რომ სრულყოფილი ვიყო, უნდა ვისწრაფო რომ ან ღმერთივით წმიდა ვიყო, ან მთელი ჩემი სიმდიდრე ქრისტეს გამო დავტოვო. როგორია არჩევანი? რა უნდა ავირჩიო თორის თანახმად, რომ ღმერთს მივბაძო, მისი მსგავსი ვიყო? რა უნდა გავაკეთო ქრისტეს თანახმად, რომ გავყვე ქრისტეს? როგორ გავაკეთოთ არჩევანი ამ თანაბარ ალტერნატივებს შორის? ერთსა და იმავე კკითხვაზე ორი პასუხი, თორის ორი

სხვადასხვგვარი წაკითხვა“. და ახლა, მორჩილების გზით მავალმა ახალგაზრდამ უნდა იფიქროს არა თორაზე, არამედ იესოსა და მის სწავლებაზე, რომელიც თორას ცოცხალი განხორციელებაა (მკ. 3:1-6, 9:7; შეად. მკ. 10:20-30) და რომელიც, ამგვარად, ახლა თვითონ აკავშირებს ისრაელსა და თორას და ისრაელს მის იდენტურობას აძლევს“ (იხ. გამ. 20:12 კომენტარი მკ. 7:10-ში და ზემოთ). ამიტომ არ არის გასაკვერი, რომ იესო აქაც ამტკიცებს თორას, ამასთანავე თავის თავსა და თავის ძალაუფლებას თორაზე მაღლა აყენებს.

ბიბლეისტები აღნიშნავენ, რომ მთის ქადაგების სახელწოდება შემთხვევითი როდია. როგორც საღვთო გამოცხადების მატარებელმა ღმერთი მთაზე იხილა, ასევე იესოც თავის მოწაფეებს ღვთის ნებას მთაზე უცხადებს (მათ. 5:1-2) [9]. ჩვენს წინაშე ახალი მოსეა. თითქოს, იესოს მესიანობით ყველაფერი შეიძლება აიხსნას, რომელიც ახალი წინასწარმეტყველივით, მოსეს მსგავსად იქცევა (რჯლ. 18:15). მით უმეტეს, რომ წინასწარმეტყველების თანახმად მესია მოძღვარი იქნება (გამ. 42: 3-4). ასეთი ახსნა დაეხმარებოდა იეჰოვას მოწმეებსა და ყველას, ვინც ქრისტეს ღვთაებრივ ავტორიტეტს უარყოფს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ძველ აღთქმაში არსად არ წერია, რომ მესია ახალ რჯულს მოიტანს. წინასწარმეტყველებთან კი ვკითხულობთ, რომ ესქატოლოგიურ პერსპექტივაში სიონის თორა გამოცხადდება: „რამეთუ ციონიდან გამოვა თორა და იერუშალაიმიდან - ღვთის სიტყვა“ (ეს. 2:3, თანახ). მაგრამ ამ თორას თვითონ ღმერთი გამოაცხადებს: „ყური დამიგდეთ, ჩემო ხალხო და მომისმინეთ, ჩემო ტომო! რამეთუ ჩემგან გამოვა თორა და ჩემს მართლმსაჯულებას სინათლესავით გადმოვღვრი ხალხებზე“ (ეს. 51:4, თანახი), „რადგან ეს არის ის აღთქმა, რომელიც უნდა დავუდო ისრაელის სახლს იმ დროის შემდეგ, ამბობს უფალი. წიაღში ჩავუდებ მათ [10] ჩემს რჯულს და გულზე დავაწერ. მათი ღმერთი ვიქნები მე და ისინი ჩემი ერი იქნებიან“ (იერ. 31:33, თანახი).სინაის აღთქმა, როგორც თვითონ მოსე გვიჩვენებს, თვით იჰვჰ-ს ქმედებაა (გამ. 24:8), მაგრამ საიდუმლო სერობაზე ახალ აღთქმას იესო დებს. იქ ისრაელიტებმა სადღესასწაულო ტრაპეზზე ღვთის წინაშე აღთქმა დაამტკიცეს (გამ. 24:9,11); აქ კი თორმეტნი - აღდგენილი ტომების წარმომადგენელნი (მაგ., იერ. 31:27-28, 50:4; იეზ. 34:11-24; შეად.: ათ. 19:28 და ლუკ. 22:30) იგივეს აკეთებენ იესოსთან (მკ. 14:16-17; შეად, მკ. 3:13-19). შეიძლებოდა რომ უფრო დიდებული ახალი აღთქმა ადამიანთან დადებულიყო? თუ სინაის აღთქმის მიღებით ისრაელი თვით იჰვჰ ღმერთის „პატარძალი“ გახდა (ეს. 62:4-5; იერ. 2:2; ოს. 2:16-20), მაშინ როგორღა გახდებოდა ისრაელი ადამიანის, ქრისტეს (იეჰოველთა ვერსიით მიქაელ მთავარანგელოზის) „პატარძალი“ ახალი აღთქმის დადების შედეგად (მკ. 2:19,20, ინ. 3:29, 2 კორ. 11:2, გამოცხ.19:7)?

**ვინ უფრო მნიშვნელოვანია: ქრისტე თუ მშობლები?**

ქრისტესა და თორის ერთ-ერთი მთავარი მცნების ურთიერთმიმართების ერთ-ერთ საჩვენებლ ეპიზოდს წარმოადგენს ნაწყვეტი სახარებიდან, რომელიც მოგვითხრობს, ერთი ყმაწვილი ქრისტეს როგორ სთხოვს ნებას, სანამ მას შეუდგება, თავისი მამა დამარხოს (მათ. 8:21). ქრისტეს პასუხი გამაოგნებელია: „შენ მე გამომყევ, და მკვდრებს მიანდე თავიანთი მკვდრების დამარხვა“ (მათ. 8:22). ებრაელის ყურისთვის ეს განცხადება შემზარავი დანაშაულის აქტივით გაიჟღერებდა. აი, როგორ კომენტარს უკეთებს ამ ეპიზოდს ერთ-ერთი გამოჩენილი ახალი აღთქმის მკვლევარი: „დასაწყისში კარგი იქნებოდა შეგვეხსენებინა მშობლების პატივისცემის - და მათი დაკრძალვის - მოთხოვნის სიმკაცრე. გარდაცვლილი ნათესავების დაკრძალვის მოვალეობა პირველად დაბ. 23:3-შია ნახსენები, სადაც აბრაამი სარას დაკრძალვისთვის საფლავს ითხოვს და ჩვეულებრივი ებრაული ინტერპრეტაციის თანახმად, ეს მეხუთე მცნებიდან გამომდინარეობს. გარდაცვლილ ნათესავებზე ზრუნვის მოვალეობის სერიოზულობა ყველაზე ცხადად ბრაქოთ 3,1-ში ჩანს, სადაც ნათქვამია, რომ ეს მოვალეობა შემას ხმამაღლა გამეორებისა და ფილაქტერიების ტარების მოვალეობაზე მაღლა დგას . ანალოგიურად, ტობითის წიგნში, ტობია უარს ამბობს დაქორწინდეს ქალზე, რომელმაც შვიდი ქმარი დაკარგა პირველი ღამეების დროს. მიზეზია იმაშია, რომ თუ ტობიას ამ ქალის მცველი დემონი მოკლავდა, ეს ტრაგედია მის მშობლებსაც დაღუპავდა, მათ კი „არ ჰყავთ სხვა შვილი, რომელიც დაკრძალავდა მათ“ (ტობ. 6:13-15). აქ მშობლების დაკრძალვის მოვალეობა ნიშნობაზე უარის თქმის საბაბად გვევლინება. ამგვარად, ცხადად ჩანს, რომ მიცვალებულ ნათესავებზე, განსაკუთრებით კი მშობლებზე, ზრუნვის მოვალეობას იესოს დროს ძალიან მკაცრად იცავდნენ. უფრო გვიანდელი რაბინული აზრის თანახმად, მღვდელმთავარი და ნაზარეველიც კი, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ეკრძალებოდათ გვამურ უწმიდურობასთან შეხება, უნდა გააკეთონ ეს იმ შემთხვევაში, თუ მიცვალებულს არავინ დარჩა მზრუნველი (ნაზირ 7,1). გამოთქმა „შენ მე გამომყევ, და მკვდრებს მიანდე თავიანთი მკვდრების დამარხვა“ - ორმაგი შოკია. მისი დადებითი შინაარსი - მოწაფეობისკენ დაუყოვნებლივი მოწოდება, რომელიც ყველა სხვა მოვალეობას აღემატება - ყველამ აღიქვა... გარდაცვლილ მშობლებზე ზრუნვის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა - ეს ფაქტიურად ღვთისადმი დაუმორჩილებლობაა“ [11]. მაშასადამი, ქრისტესადმი შედგომა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დეკალოგის მეხუთე მცნების დაცვა.

**ღვთიური ძალაუფლება**

„იესოს მტკიცებაში - ინ. 5:21-ში - რომ ძე აცოცხლებს ვისაც მოისურვებს, ისევე როგორც მამა აღადგენს მკვდრებს და აცოცხლებს, ძველი აღთქმის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი თემის გამოძახილია. ძველი აღთქმაც და მეორეე ტაძრის ეპოქის

ლიტერატურაც თანხმდებიან, რომ მკვდრების აღდგენა და გაცოცხლება - მხოლოდ ღმერთის პრეროგატივაა (შეად. რჯლ. 32:39; 1 მეფ. , 2:6; 4 მეფ. 5:7ტობ. 13:2; სიბრძ. 16:13). ამიტომ იესოს თანამედროვეებს არ სჯეროდათ, რომ მესიას მკვდრების აღდგენის ძალაუფლება მიენიჭება (იხ. სქოლიო Kostenberger 2004; 187n61). ამგვარად, იესოს განხცადება მკვდრების აღდგენისა და მათი გაცოცხლების უნარის შესახებ კიდევ შოკისმომგვრელად ჟღერს. თუმცა, ელია ზოგჯერ გამონაკლისად მიაჩნდათ, რადგან მკვდრების აღდგენისას ღმერთი მის მიერ მოქმედებდა, იესოს განხადება ბევრად უფრო თამამია - მან თავი უბრალოდ მკვდრების აღდგენაში ღვთის ინსტრუმენტად კი არ წარმოაჩინა, არამედ იმად, ვისაც თავისი სურვილისამებრ შეეძლო აღედგინა“ [12].

„ასევე ყურადღებას იმსახურებს ინ. 5:22-ში მოყვანილი მტკიცება, რომ მამა არავის არ განსჯის, არამედ მთელი მსჯავრი ძეს გადასცა,; ებრაული წერილის თანახმად, სამსჯავროც მხოლოდ ღვთის პრეროგატივაა (მაგ., დაბ. 18:25; შეად. მსაჯ. 11:27). მეორე ტაძრის ეპოქის ლიტერატურაში მესიის როლი სამსჯავროს საქმეებში ასევე მეორეხარისხოვნად არის გამოყვანილი - ის განსაზღვულია ღვთის მტრებზე მსჯავრის აღსრულებით იუდეველთა ნაციონალისტურ წადილთან შესაბამისობაში (მაგ., Pss. Sol. 17:21-27). რაბინისტულ ნაშრომებში ასევე საუბარია იმაზე, რომ ქვეყნიერების მსაჯულის როლი მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის“ [13].

ქრისტესა და ფარისვლების კლასიკური დავა შაბათის დაცვის თაობაზე იოანეს სახარებაშია აღწერილი - 5:18. იესო შაბათ დღეს მწოლიარე განრღვეულს განკურნავს და ის სიარულს იწყებს. შემდეგ, განკურნებული თავის სარეცელს აიღებს და მიდის. იუდეველები ეუბნებიან, რომ ის შაბათს არღვევს. ის პასუხობს: „ვინც განმკურნა, მანვე მითხრა: აიღე შენი სარეცელი და წადი“ (იოანე. 5:11). შესაბამისად, განიკითხება იესო, რადგან მან ადამიანს შაბათის დარღვევისკენ უბიძგა. იუდეველური გადმოცემით სარეცლით ადამიანის ტარება არ იკრალებოდა, ცარიელი სარეცელისგან განსხვავებით (Mish. Shabbat. 10:5). ჩვეულებრივ, ხაზს უსმევენ, რომ იესო არ არღვევდა შაბათის მცნებას, რადგან რჯულში ნახსენები არ არის მიშნაში ჩამოთვლილი შაბათს აკრძალული 39 სახის სამუშაო. რატომღაც, საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას იმ ფაქტს, რომ ქრისტე იუდეველებთან პოლემიკაში არასოდეს არ იყენებს ამ გარემოებას. არადა, ეს ყველაზე მარტივი გამოსავალი იქნებოდა. პასუხი იმაში მდგომარეობს, რომ წერილობით თორაში საერთოდ არ არის საუბარი იმაზე, თუ რა იგულისხმება „სამუშაოში“. მაშასადამე, არსებობდა ავტორიტეტული კოლექტიური განმარტების ტრადიცია, რომელიც აქ იგულისხმება.

თავისი მისამართით ბრალდებაზე იესო სრულიად გასაკვირი სიტყვებით პასუხობს: „მამაჩემი აქამდე იღვწის და მეც ვიღვწი“ (იოანე. 5:17). ქრისტეს არგუმენტის ძალა მის ღმერთთან შედარებაშია. ღვთის საქმეები არ შეჩერებულა დასაბამიდან და ცხადია, რომ ის შაბათობითაც იღწვის ისე, რომ არ არღვევს შაბათებს (რაბა გამ. 30:9;

შეად. რაბა დაბ. 11:10). მაშასადამე, თუ ღმერთი შაბათის მცნებაზე მაღალია, მაშინ ეს იესოს მიმართაც მართებულია. ამ არგუმენტზე იუდეველთა რეაქციამ არ დააყოვნა: „მით უფრო მეტად ცდილობდნენ იუდეველები იესოს მოკვლას, ვინაიდან არა მარტო არღვევდა შაბათს, არამედ თავის მამად იტყოდა ღმერთს და მას უტოლებდა თავს“ (იოანე. 5:18) [14].

საყურადღებოა აგრეთვე ზღვის დაცხრომის ეპიზოდი. საკვირველია მოწაფეთა რეაქცია: „ვინ არის იგი, ქარიც და ზღვაც რომ მორჩილებენ?“ (მკ. 4:41). რატომ იყვნენ მოწაფეები ასე გაოგნებულნი? საქმე იმაშია, რომ ზღვაზე ბატონობა თვით იჰვჰ-ს ერთ-ერთი ძველი აღთქმისეული მახასიათებელი იყო: „შენ ბატონობ ზღვის მოქცევაზე, მის აზობოქრებულ ტალღებს შენ ამშვიდებ“ (ფსალ. 88:10), „გადააქცევს ზღვის ღელვას სიწყნარედ და დადუმდებიან მისი ტალღები“ (ფსალ. 106:29). იესო წყალზეც დადის, რამაც არ შეიძლება შემდეგი სიტყვების ალუზა არ გამოიწვიოს: „მან ერთმა გაშალა ცა და მიაბიჯებს ზღვის ხერხემალზე“ (იობ. 9:8). ამიტომ მოწაფეთა გაკვირვება სავსებით გასაგებია: იესო აკეთებს იმას, რაც მხოლოდ ღმერთს ძალუძს.

**დასკვნები**

შევაჯამოთ ყოველივე. ჩვეული შეხედულებების შეცვლა ძალზედ რთულია. მაგრამ იმისათვის რომ ქრისტეს სწავლების მთელი სიმწვავე ვიგრძნოთ, მას I საუკუნის ნორმატიული იუდეველის თვალით უნდა შევხედოთ. მაშინ ცხადი გახდება მისი რევოლუციური სკანდალურობა, რაც მის რელიგიურ ოპონენტებს აფთრებდა. ხშირად, თანამედროვე ქრისტიანები ლოგიკური ანაქრონიზმის ტიპიურ შეცდომას უშვებენ, როდესაც ქრისტეს ამა თუ იმ სახარებისეულ გამოთქმას იმ კონტექსტში იგებენ, რაც მის, ან მისი მოწაფეების მიერ გოლგოთისა და სულთმოფენობის შემდეგ ითქვა. იმისათვის, რომ ამ შეცდომას თავი ავარიდოთ, საჭიროა აღმოვჩნდეთ მეორე ტაძრის ეპოქის იუდაიზმის ატმოსფეროში, რომლისკენაც იყო მიმართული ქრისტეს სწავლება.

მისი სწავლება არა მხოლოდ მამხილებელი და არაკომფორტული, არამედ პრინციპულად განსხვავებულიც იყო. ამავდროულად, ქრისტე არ წყვეტდა კავშირს ძველ აღთქმასთან. იუდაიზმისთვის სრულიად არ არის უცხო მესიას იდეა, რომელიც რჯულს ახლებურ განმარტებას მისცემს, აჩვენებს მის სიღრმისეულ, აქამდე უცნობ აზრს. მაგრამ ერთია თორის განმარტება, მისი ახლებური აღმოცენა, ხოლო სულ სხვა არის მისი მოდიფიცირება, მოთხოვნების გამკაცრებით ან მათი სრული გაუქმებით. ის არ ლაპარაკობდა ბრძენთა, ან თუნდაც დიდ წინასწარმეტყველ-მამხილებელთა მსგავსად. ის საუბრობდა, როგორ ძალაუფლების მქონე, ძალაუფლებისა, რომელიც თვით მოსეს ავტორიტეტს აღემატებოდა. ამ მიზეზის გამო თანამედროვე იუდეველები ვერ აღიარებენ იესო ნაზარეველს თავის მესიად, რაც თავის წიგნში რაბინმა ჯეიკობ ნიუსნერმა აჩვენა [15]. შესაბამისად, დასკვნა არც თუ ისეთი დამამშვიდებელია: იესო

ნაზარეველი ან თვითმარქვია იყო, რომელმაც თავისი მესიანობა დაიჯერა, ან გიჟი, რომელმაც თავის თავზე ღვთიური პრიორიტეტები აიღო.

იეჰოვას მოწმეები, ისევე როგორც სხვა ანტიტრინიტარისტები, იძულებულნი არიან ქრისტეს მოძღვრებისა და რჯულის მიმართებას სხვა ახსნა მოუძებნონ: „მთის ქადაგებაში ექვსჯერ მიმართავს იესო თავის მსმენელთ სიტყვებით: თქვენ გსმენიათ, რომ ნათქვამია...“ ან „გარდა ამისა, ნათქვამია...“ - და შემდეგ რაღაც ახალს აუწყებს მათ: „მე კი გეტყვით თქვენ...“ (მათე: 5:21, 22, 27, 28, 31-34, 38, 39, 43, 44). ეს ადასტურებს, რომ მისი მსმენელნი მიჩვეულნი იყვნენ ფარისეველთა ზეპირი ტრადიციების შესაბამისად მოქმედებას. იესომ მათ სხვა გზა უჩვენა, რომელიც მოსეს რჯულის ჭეშმარიტ სულს ასახავს“ (w02 15/3 გვ. 6), „მაშასადამე, როდესაც იესოს მოსეს რჯულის ნაწილი მოყავდა და ამატებდა: „მე კი გეტყვით თქვენ...“, ის კი არ აუქმებდა ამ რჯულს, ან ცვლიდა სხვა რჯულით, არამედ აღრმავებდა მას და აძლიერებდა, აჩვენებდა რა, თუ რა სული იდგა მის მიღმა“ (w90 1/10 გვ. 15 აბზ. 20.). როგორც ზემოთ ვნახეთ, ამგვარ მიდგომას მთის ქადაგების მხოლოდ ზოგიერთი ანტითეზის ახსნა შეუძლია. გარდა ამისა, იესო პირდაპირ ამბობს, რომ რჯული ყოველთვის არ გამოხატავს ღვთის სრულყოფილ ნებას (შეად. მათ. 19:3-12). კიდევ უფრო საჩვენებელია ქრისტეს განცხადება, რომ არაფერი ადამიანში შემავალი არ ბილწავს მას (მკ. 7:15,20). მაგრამ რჯული პირდაპირ საწინააღმდეგოს გვეუბნება (ლევ. 11:43)! როგორ შეიძლება ამ რევოლუციურ შეხედულებაში კაშრუტის მცნების გაღრმავება ან ჭეშმარიტი სული დავინახოთ, როდესაც საქმე პრინციპულად ახალ შეხედულებას ეხება?! [16].

ისტორიული ქრისტიანობისათვის ეს სირთულე ქრისტეში მამის თანაბარი ღვთაებრივი სიტყვის აღიარებით წყდება. ქრისტე, როგორც ღმერთი, ორივე აღთქმის შემოქმედია - სინაისა და სიონის თორის, ამიტომ უფლება აქვს ახალი მოგვცეს. აქ არ არის არანაირი წინააღმდეგობა. მესიას ცნება ადამიანზე მეტს მოიცავს: „რადგან შეგვეძინა შვილი, მოგვეცა ძე და უფლობა იყო მის ბეჭებზე, ეწოდა სახელად საკვირველი მრჩეველი, ღმერთი ძლიერი, მარადისობის მამა, მშვიდობის მთავარი“ (ეს. 9:6). ბიბლიურ სიტყვათგამოყენებაში სახელის დარქმევა ხდება დარქმეულის ნამდვილი არსის შესაბამისას (შეად. რჯლ. 25:10, ლუკ. 1:32, 35, 76), ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ წინასწარმეტყველებაში საუბარია ჩვილის მხოლოდ თეომორფულ სახელზე პელე-იოეიც-ეილ-გიბბორ-ავიად-სარ-შალომ. ცნობილი მესიანური 109-ე ფსალმუნი მელქისედექის წესით აღმდგარ მესიაზე ლაპარაკობს, რომელიც იეჰოვა ღმერთის მარჯვნივ ზის. თუმცა უყურადღებოდ რჩება, თუ რა წერია მესიაზე ქვემოთ: „უფალი შენს მარჯვნივაა“ (ფსალ. 109:5). გამოდის, რომ თვითონ იეჰოვა არის ამ მეფის მარჯვნივ, თითქოს ღმერთი და ეს მეფე ურთიერთშენაცვლებადნი არიან! ბოლოს, ეს მეფე მოიმოქმედებს იმას, რასაც სხვა ადგილებში მხოლოდ ღმერთს მიაწერენ: ხალხების მსჯავრი და მთელი დედამიწის მმართველების შემუსვრა (ფსალ. 109:6). არანაკლებ

საინეტერესოა „კაცის ძის მსგავსის“ ხილვის დეტალები (დან. 7:13, 14). დან. 7:13-ში ზეციური მესიის მიმართ გამოყენებული გამოთქმები, ჩვეულებრივ, ღვთის მიმართ გამოიყენება, რომელიც ზეციურ ღრუბლებზე ადამიანის სახით ევლინება (იხ. ფსალ. 67:5, 103:3, ეს. 19:1, შეად. რჯლ. 33:26). ამგვარად, დან 7:13-ში აღწერილია ღვთიური პიროვნული განკაცება (შეად. იეზ. 1:26, 8:2). არამეულ ტექსტში დან. 7:9-10 -ის ფრაზაში „დაიდგა საყდრები“ ორობითი რიცხვია გამოყენებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იეჰოვას გვერდით სამსჯავროს საყდარზე დაჯდება ვიღაც მეორე, რომლის ძალა-უფლება „ძველთა დღთას“ ძალაუფლების ტოლია. ბოლოდროინდელი კვლევები ვარაუდობს, რომ დან. 7:9-14-ის ტექსტმა განაპირობა მონოთეიზმის ის საკმაო მოქნილობა, რომელმაც ებრაულ ქრისტიანობაში იესოს სრული ღვთაებრიობის აღიარება უზრუნველყო (იხ. L. Hurtado 1988, განსაკუთრებით გვ. 71-92) [17]. ჩვენი აზრით, იესო ნაზარეველის ქრისტიანობისა და მესიანობის შენარჩუნების ერთადერთი შესაძებლობაა - ვაღიაროთ, რომ ის განკაცებული ღმერთია. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მოძღვრის ღვთიური ავტორიტეტის და ძალაუფლების პრეტენზიების ადექვატური ახსნა.

იეჰოვას მოწმეებს მხოლოდ ის დარჩენიათ, განაცხადონ, რომ ქრისტე იგივეს ამბობდა, რადგან მას, როგორც პირმშოსა და მთავარანგელოზს, განსაკუთრებული ძალაუფლება თვით იეჰოვამ მისცა. ეს მართლაც ასეა: „მამას უყვარს ძე და ყველაფერი ხელთ მისცა მას“ (იოანე. 3:35), „ყველა ხორციელზე მიეცა ხელმწიფება“ (იოან. 17:2). თუმცა აქ საფუძვლიანი კითხვა ჩნდება: *შეეძლო თუ არა მამას თავისი ძალაუფლება და უფლებამოსილებანი თუნდაც დროებით მიეცა მისთვის, ვინც მისი თანაბარი არ არის?* ღმერთის გარდა კიდევ ვინმეს თუ შეუძლია ცოდვების მიტევება, ახალი რჯულის მიცემა, ქვეყნიერების განსჯა, მკვდრების აღდგება? ძველი აღთქმისა და მეორე ტაძრის ეპოქის იუდეველური ტრადიციის თანახმად - ცალსახად არა [18]. ძისადმი ყველაფრის გადაცემას ქრისტე ხსნის: „ყველაფერი მამისაგან მომეცა მე და არავინ იცის ძე, გარდა მამისა; და არც მამა იცის ვინმემ, გარდა ძისა და იმისა, ვისთვისაც ძე ინებებს მის გამოცხადებას“ (მათ. 11:27). მუხლის მეორე ნაწილი პირველს ხსნის: მამა ძეს ყველაფერს გადასცემს, რადგან ყველაფერი იცის ძის შესახებ, როგორც მან ყველაფერი იცის მამის შესახებ (შეად.: „როგორც მე მიცნობს მამა, ასევე ვიცნობ მეც მამას“ (იოან. 10:15)). მამა ძეს სრულყოფილად იცნობს, შესაბამისად, ძეც ასევე იცნობს მამას.

რას ნიშნავს „მამის ცნობა“ სინამდვილეში? ბიბლიური მონოთეიზმის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი ამბობს, რომ ღმერთი მიუწვდომელია: „აჰა, მაღალია ღმერთი და ვერ შეგვიცვნია; აღურაცხელია მისი დროჟამი“ (იობ. 36:26), „33. ეჰა, ღმერთის სიუხვის, სიბრძნისა და ცოდნის სიღრმე! რაოდენ გონებამიუწვდომელნი არიან მისი მსჯავრნი და მიუკვლეველი მისი გზანი! 34. რადგანაც ვინ შეიცნო აზრი უფლისა, ან ვინ იყო მისი მრჩეველი?“ (რომ. 11:33, 34). იეჰოვას მომწეები ამას ეთანხმებიან: „არ უნდა გვიკვირდეს,

რომ ღმერთის შესახებ ყველაფერს სიზუსტით ვერ შევიმეცნებთ. მაგ., თუმცა ჩვენი სამყაროს შესახებ ცოდნა მუდამ ღრმავდება, მეცნიერები მაინც უშვებენ, რომ შესაძლოა ისინი ვერასოდეს ბოლომდე ვერ შეიმეცნებენ უსასრულოდ მცირეს, ან უსასრულოდ დიდის საიდუმლოებებს. მაშასადამე, როგორ შეძლებდა ქმნილებას მთლიანად შეემეცნა შემოქმედი ღმერთის სიბრძნის სიღრმე? იობმა აღიარა იეჰოვას წინაშე: „ასე ვლაპარაკობდი იმაზე, რაც არ ვიცოდი, ცემთვის საოცარ საქმეებზე, რომლებიც არ ვიცოდი" (იობ. 42:3 შეად. რომ 11:3). ამიტომ ღვთის სრული შემეცნება ჩვენი შეზღუდული გაგების უნარის ფარგლებს მიღმაა" (g92 8/4 გვ. 26).

ჩნდება კითხვა: როგორღა იცის ძემ - ქმნილებამ - მამაზე ყველაფერი? აი, როგორ ცდილობენ იეჰოვას მოწმეები ამ სირთულიდან თავის დაღწევას: „მაგრამ რატომ არ იყო იესოს მხრიდან გადაჭარბება იმის თქმა, რომ მხოლოდ მან იცის ყველაფერი მამის შესახებ? ის იყო „ქმნილებათა შორის პირმშო" და მას იეჰოვასთან განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა აკავშირებდა (კოლ. 1:15). წარმოიდგინე, რამდენად ძლიერია მამასა და ძეს შორის სიყვარული და მეგობრობა აღურიცხავი წლების მანძილზე, სანამ ისინი ორნი იყვნენ და შემდგომშიც, როდესაც მათ დაიწყეს შექმნა და სხვა სულიერი ქმნილებებიც გაჩნდნენ" (იოან. 1:3; კოლ. 1:16, 17). რა უნიკალურ შესაძლებლობას ფლობდა ძე: მთელი ეს დრო მას მამასთან ყოფნა შეეძლო, მისი აზრი, ნება, ნორმები და გზები შეემეცნა. ეჭვგარეშეა, იესო არ აჭარბებდა, როდესაც ამბობდა, რომ ყველაზე კარგად იცნობდა მამას. იეჰოვასთან ასეთი ახლო ურთიერთობის წყალობით იესომ შეძლო მამის პიროვნების ისე აღმოჩენა, როგორც ამას ვერავინ სხვა ვერ შეძლებდა" (cf თ. 2 გვ. 17-18 აბზ. 7-8). მიაქციეთ ყურადღება, როგორ იცვლება ქრისტეს სიტყვების ფორმულირება: „იესო არ გაჭარბებდა, როდესაც ამბობდა, რომ მამას ყველაზე კარგად იცნობს". მაგრამ ის ამას არ ამბობდა! მან თქვა, რომ იცნობს მამას ზუსტად ისე, როგორც მამა იცნობს მას, ანუ სრულყოფილად. სხვებზე უკეთ ცოდნა და ყველაფრის ცოდნა - შემეცნების ორი სხვადასხვა დონეა. ცხადია, ასეთი ილეთი საჭიროა იმისათვის, რომ გაექცნენ დასკვნას: თუ ძე ქმნილებაა (არ აქვს მნიშვნელობა, პირმშოა, თუ არა), მაშინ ის ვერ შეიცნობს მამას სრულყოფილად. მაშასადამე, ძე არ არის ქმნილება. გასაგებია, რომ ვერც დროის ფაქტორი („წლების აღურიცხავი რაოდენობა"), ვერც სხვა რამ ვერ გადაწყვეტს ამ ამოცანას. მიუწვდომლად დიდი და აღუწერლად უსასრულო ვერ შეიცნობა მის მიერ, რაც შეიმეცნება და რასაც დასაბამი აქვს. ვინც არ უნდა იყოს ძე მოწმეთა კონცეფციაში, ის თუნდაც ყველაზე დიდებულ, მაგრამ მაინც შეზღუდულ ქმნილებად რჩება. შემოქმედსა და ქმნილებას შორის უფსკრული გადაულახავია. შედეგი: ღმერთს შეუძლია ყველაფერზე ძალაუფლება გადასცეს მხოლოდ მას, ვინც მისი თანაბარი, ე.ი. არა*სხვას*: „არ მივცემ ჩემს დიდებას სხვას" (ეს. 42:8). ერთარსი ძე არ არის *სხვა* მამის მიმართ. ის არის ის, რაც არის მამა: „9. უთხრა მას იესომ: რა ხანია თქვენთანა ვარ და ვერ მიცნობ, ფილიპე? ვინც მე მიხილა, მამაც იხილა; როგორღა ამბობ, მამა

გვიჩვენეო? 10. ნუთუ არა გწამს, რომ მე მამაში ვარ და მამა - ჩემში. სიტყვებს, რომლებსაც გეუბნებით, ჩემით როდი გეუბნებით, არამედ ჩემში მყოფი მამა აკეთებს საქმეს" (იოან. 14: 9, 10). მტკიცება „მე მამაში ვარ და მამა - ჩემში" საკმაოდ უცნაური ფორმულირებაა მამასთან მორალური და სულიერი ერთობის აღწერისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მტკიცება - *რწმენის საგანია* („ნუთუ არა გწამს...?") და არა იმის, რისი დანახვაც შეიძლება, საუბარი ქრისტეში გამოვლენილ ღვთაებრივ თვისებებზე რომ ყოფილიყო.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ თუ იოანე მახარებელს არა მარტო ქრისტეს ღვთაებრიობის შესახებ ცხადი მტკიცებები მოყვას, არამედ ღვთის ძეობის თავის საკუთარ რეფლექსიასაც გვიჩვენებს, სინოპტიკოსი მახარებლები იგივე აზრებს სხვაგვარად გამოხატავენ. ისინი ქრისტეს ღვთაებრივ ძალაუფლებაზე, იჰვჰ-ს პრეროგატივებზე ალუზიებით მეშვეობით ლაპარაკობენ, რომლებსაც ქრისტე თავის თავთან მმიმართებაში იყენებს (მიუტევებს ცოდვებს, თავს რჯულსა და ტაძარზე მაღლა აყენებს, აცხრობს ქარიშხალს, განსჯის სამყაროსა და მკვდრებს აღადგენს). იუდეველთა უმეტესობა ასეთი მესიის მიღებისთვის მზად არ იყო. მაგრამ იმ იუდეველებს, რომლებიც ქრისტეს მოწაფეები გახდნენ, არ შეეძლოთ თავის მოძღვარში სრულიად საკვირველი და ღვთიური რამ არ დაენახათ. მათ შეისმინეს ქრისტეს სიტყვები: „საქმეებს მაინც რწმუნეთ, რათა შეიცნოთ და ირწმუნოთ, რომ მამა ჩემშია, ხოლო მე - მასში" (იოან. 10:38). ჭეშმარიტად, საქმეები სიტყვებზე ხმამაღლა ღაღადებს. მოგვიანებით, აღდგომის შემდეგ, მოწაფეები სრულად გაიაზრებენ იმას, თუ ვინ იყო მათთან მთელი ამ სამნახევარი წლის მანძილზე.

ლიტერატურა:


1. *Робертсон А.Т. Божественность Христа в Евангелии от Иоанна. Екэнд-Рэпидс, Мичиган. Baker Books House. 1916.*
2. *http://berkovich-zametki. Com/2011/Zametki/Nomer1/Dynin1.php*
3. *Ветхий Завет на страницах Нового. Под редакцией Г. Била и Д. Карсона. Т. II. Черкассы, 2010. с. 275.*
4. *Реймонд Браун. Введение в Новый Завет. Том. 1. ББИ. М., 2007 г. с. 219.*
5. *Сторожевая башня. 01.03.1995. с.7.*
6. *Сторожевая башня. 01.10.1990. с. 13.*
7. *Five Views on Law on Gospel, edited by Stanley Gudry [Grand Rapids: Zondervan, 1196]: 319-76.*
8. *Следует отметить, что именно эта заповедь святости является главным императивом исполнения всех перечисленных заповедей Торы (Лев. 19:2 и сл.).*
9. *Реймонд Браун. Введение в Новый Завет. Том. 1. ББИ. М., 2007 г. с. 213.*
10. *Ср.: «Если пребудете во Мне и слова Мои в вас пребудут» (Ищфн. 15:7).*
11. *Э. П, Сандрерс. «Иисус и иудаизм». Пер. С англ.: А. Л. Чернявский. М.: 2012. С. 323.*
12. *Ветхий Завет на страницах Нового. Под редакцией Г. Била и Д. Карсона. Т. II. Черкассы, 2010. с. 336.*
13. *Там же. С. 337.*
14. *Здесь не так важно, действительно ли Иисус нарушал субботу или же Он нарушил лишь иудейское предание о Субботе. В обоих случаях Он, как равный Отцу, по Его же словам, был выше любых предписаний о субботе как таковой. Логика аргументации Христа строится именно на этом основании.*
15. *Безусловно, есть еще вопрос исполнения в Иисусе ветхозаветных пророчеств, однако сложность их интерпретации выходит за рамки данной статьи.*
16. *Показателен комментарий евангелиста Марка: «тем самым Он объявляет чистой всякую пищу» (Мк. 7:19, ПЕК).*
17. *Более подробно о видении Сына Человеческого и его влиянии на христологию, см. В данной статье: http://stavroskerst.ru/*content.
18. *Примечательно, что СИ утверждают: Иегова не передал Сыну право выслушивать молитву людей. Эту прерогативу Отец оставил только за Собой: «Хотя Бог охотно делится своей властью, Он никогда, и никому не передавал полномочия слушать молитвы» (w 10 1/10 с. 52). Следовательно, СИ все же понимают, что Бог не может передать всех полномочий Сыну. Однако не вполне понятно, чем власть судить человечество меньше права выслушивать молитвы, если «Отец не судит никого, но суд весь дал Сыну, что бы все чтили Сына, как чтут Отца» (Иоан. 5:22,23)?*

**THE DIVINITY OF JESUS CHRIST IN GOSPELS VS. SECULAR AND NEO-PROTESTANT DISCOURSE**

*PhD in history, Associated professor,*
*protoiereus* ***Levan Mateshvili***
*Georgian Technical University*

The divinity if Jesus Christ is a theological basis for the main Christian denominations. This theology has 2000 year old tradition. Nevertheless, modern secular biblical scholars and some neo-protestant denominations questions this point of view and suggest us a different interpretation of the Gospel which excludes ecclesiastical commentaries on this topic.

Previous report – based on the Gospel text which is used by the modern biblical scholars and above mentioned religious groups – reasons this discourse and proves discrepancy between their views and hermeneutic understanding of the authentic Gospel texts.

**БОЖЕСТВЕННОСТЬ ИИСУСА ХРИСТА НА ОСНОВЕ ЕВАНГЕЛИЙ НА ФОНЕ СЕКУЛЯРНОГО И НЕОПРОТЕСТАНТСКОГО ДИСКУРСА**

*Доктор истории, ассоц. проф.,*
*протоиерей* ***Леван Матешвили***
*Грузинского технического университета*

Божественность Иисуса Христа является краеугольным камнем богословия центральных христианских деноминаций. Эта традиция насчитывает 2000 лет. Несмотря на это, современные секулярные исследователи Библии и некоторые неопротестантские деноминации ставят под сомнение данную точку зрения, и предлагают нам другое толкование Евангелия, исключающее традиционную церковную точку зрения на данный вопорс.

Предыдущий доклад, исходя из евангельского текста – которым пользуются как современные библеисты, так и упомянутые религиозные объединения – аргументирует данный дискурс, и в рамках полемики доказывает несоответствие подобных мнений с герменевтическим пониманием аутентичного евангельского текста.

# სულიერების გამომხატველი სიტყვების ბედი თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში

*ფილოლ. მეცნ. დოქტორი, პროფ.* ***მანანა ტაბიძე***
*საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი*

როგორც არაერთხელ აღნიშნულა, ენა, ბუნების სხვა შემადგენელთა მსგავსად ოდესღაც თვითრეგულირებად სისტემას წარმოადგენდა, რომელიც ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ორგანული ნაწილი იყო და სამყაროსა და დედამიწის ცვალებადობა – განვითარების ზოგად პროცესში იყო ჩართული[64]; ეს ჰარმონია დიდი ხანია დაირღვა – აღარც ბუნებას დასცალდა თავისი გზით სიარული და აღარც ადამიანებს შეუძლიათ მათივე ჩარევით არეული გარემოს მართვა. თვითდინებისა და ადამიანური რეგულაციების ქაოსურმა თანხვედრამ გაუთვალისწინებელი და უცნაური შედეგები გამოიღო. ამ შედეგებს ვერც ენა ასცდა. ენებს დაემართა მრავალი უბედურება: ენათა დაბრკოლება, ენათა კვდომა, ენათა მუტაცია, ენათა ეკოლოგიური წონასწორობის მოშლა, ენათა ჩამორჩენა („დაგვიანება“), ხელოვნური ენების წარმოქმნა, ბუნებრივი ენების განადგურება, ენობრივ სისტემათა ცვლა, ენათა ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაცია. ცხადია, იმას ვერ ვიტყვით, რომ ხელოვნური ჩარევების (და მიზნობრივი დაგეგმარების) გარეშე ენები უცვლელ, სტატიკურ მდგომარეობაში დარჩებოდნენ, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ენათა განვითარების „ბუნებრივი“ გზა იქნებოდა სრულიად სხვაგვარი და ღვთაებრივ ჩანაფიქრთან მაქსიმალურად მიახლოებული.

მაგრამ რამდენადაც ჩვენ უკვე აღარ ძალგვიძს ამ ბუნებრივი, მაგრამ არშემდგარი პერსპექტივის განჭვრეტა, იმ მონაცემთა ანალიზით უნდა შემოვიფარგლოთ, რომელთაც ემპირიულ მასალაში ვხედავთ.

ჩვეულებრივ, ენაში ცვალებადობას განიცდის ყველაფერი: ლექსიკა-ფრაზეოლოგია, აქცენტი და წარმოთქმა, სიტყვაწარმოება და მორფოლოგია, სინტაქსი და სტილისტიკა... ამ ცვლილებებს საერთო ჯამში სისტემის ცვლილებებიც შეიძლება მოჰყვეს შედეგად. და მაინც, როგორც ამბობენ, ჯერჯერობით „ენა მდმივი ცვალებადობის მიუხედავად, საკუთარ თავს ინარჩუნებს“. რამდენ ხანს გაგრძელდება ეს გამძლეობა? ყოველ ენას თავისი მდგრადობის ხარისხი და მიზანი აქვს. ქართულს ჩვენს ისტორიულ თვალსაწიერში მკაფიო თვითკონტროლი ახასიათებს, მწიგნობარ-კოდიფიკატორთა ენობრივი კურსი, რომელიც უთუოდ საერო და სასულიერო ხელისუფალთა პოლიტიკური (მათ შორის ენის პოლიტიკის) ამოცანების გათვალისწინებით ტარდებოდა, მიმართული იყო

---

[64] *გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას სიტყვები: „ხევი მთას მონებს, მთა - ხევსა,/წყალნი - ტყსთ, ტყენი - მდინარეთ,/ყვავილნი - მიწას და მიწა - თავის აღზრდილთა მცენარეთ/ და მეხომ ყველას მონა ვარ,/ პირზედ ოფლგადამდინარედ!“*

სალიტერატურო ენის მკაცრი ნორმირებისა და დიალექტური ვარიანტების შინაგანი მრავალფეროვნების შენარჩუნებისაკენ. უნდა ვიფიქროთ, რომ დიალექტურ მრავალფეროვნებას განაპირობებდა ერთი მხრივ, ფეოდალური საქართველოს ხშირი დაქუცმაცებულობა სამეფო-სამთავროებად, როდესაც ძნელი იყო სახალხო მეტყველების ერთიანობის კონტროლი, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს რელიეფის მრავალფეროვნებით გამოწვეული სამეურნეო და საყოფაცხოვრებო თავისებურებები და ენობრივ-კულტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავებული მეზობლები ქვეყნის საზღვრებზე. ამ მრავალფეროვნების მობილიზებას ერთიანი სალიტერატურო (სამწიგნობრო) ენის გარშემო და ამ ენის გამდიდრება-განვითარების სამსახურში ჩაბმასაც ორი ძირითადი მამოძრავებელი ძალა უზრუნველყოფდა: ერთი მხრივ, ეს იყო ერის ურყევი ნება მთელი თავისი მოქმედებისა და ეროვნული განვითარების უპირველეს მიზნად „ერთიანი და ძლიერი საქართველოს შექმნა“ დაესახა, მეორე კი იყო საქართველოს ეკლესია, რომელიც მოციქულთა მიერ საქართველოში მოტანილ ღვთის სიტყვას იმ ერთადერთ ენაზე აწვდიდა ერს, თავად უფალმა რომ განსაზღვრა კავკასიაში მცხოვრები ქართველი ხალხისათვის.

როგორც კი ამ ორიენტირებს საფუძველი ეცლება, იწყება მრავალი ეროვნული ფასეულობის, და მათ შორის ენისაც, გაკოტრება. ამდენად ენაში მიმდინარე პროცესებს აკლდება ორგანიზებული ზრუნვა, ხოლო ენის მოფრთხილების დიდი იდეა ოდენ გარეგანი ეფექტების მქონე ღონისძიებებით ჩანაცვლდება ხოლმე[65].

საზოგადოება რეაგირებს გარემო ცვლილებებზე.

ენაც რეაგირებს;

ამ რეაქციის გამოხატულებაა დღევანდელ ქართულში თავჩენილი მოვლენები: სიტყვის მნიშვნელობათა დაქვეითება, სინონიმური სიტყვების გამოყენების დაბალი ხარისხი (მაგ., საერო კომუნიკაციურ მიმოქცევაში გამოიყენება კეთილი, იშვიათად - სათნო, გამოიყენება თანაგრძნობა, იშვიათად - გულმოწყალება, თანალმობა და სხვ.[66]), პოლიტიკური ლექსიკის (შეფასების შემცველი შინაარსების) პოლიტიზაცია და დეპოლიტიზაცია. თანამედროვე ენობრივი ცვლილებების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება ცვლილებებს ტექსტის ორგანიზაციასა და დისკურსში. ანუ, ამჯერად ენის ფორმალური განვითარების პროცესს ახალი სტიმული გაუჩნდა - თუ ოდესღაც მაღალი სტილი და თემატური სიღრმისკენ სწრაფვა ენობრივი ქსოვილის სრულყოფისაკენ იყო

[65] *ამ რიგისად შეიძლება ჩაითვალოს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ოფიციალური „გახსენება“ მხოლოდ 14 აპრილს, ქართულის არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის სწავლების შესახებ საერთაშორისო თავყრილობების გამართვა (თუმცა ამის პარალელურად ქართულ სკოლებში ქართული ენის გრამატიკა, როგორც საგანი, ამოღებულია) და სხვ.*

[66] *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის სპეციალობის მაგისტრანტების ჯგუფმა (ცვენი ხელმძღვანელობით) 2012-13 წლებში ჩაატარა მცირე გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც დადგინდა ეს ტენდენცია).*

მიმართული, თუ მწიგნობართა მაღალი კომპეტენცია და საზოგადოების სულიერ განვითარებაზე ორიენტირებულობა მათ აიძულებდა ენობრივი ნოვაციები ინტელექტ-უალურად და ექსპრესიულად დატვირთული და რთული ფაქტურის შექმნისაკენ მიემართათ, ამჟამად მასობრივი მომხმარებლის ზერელე ენობრივი კომპეტენციები, „მწიგნობართა" კატეგორიაში თავჩენილი გამარტივებული აზრი და ემოციურობისაგან დაცლილი კონტექსტი ტექსტი, რომელიც მეტწილად ილუსტრაციებითაა შევსებული და მხატვრული თვალსაზრისით ადაპტაციისაგან არის გამოცარიელებული, თავად ენობრივი მასალის წინაშე ახალი ტიპის ამოცანებს ბადებს. თანამედროვე სკოლებში (სკოლის ყველა საფეხურზე) შემოსული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშთა ადაპ-ტაცია (ცხადია, სხვადასხვა ხარისხისა) იმდენად ცვლის და ამარტივებს ამ ნაწარმოებთა ენობრივ ქსოვილს, რომ ფაქტობრივ თანამედროვე ადამიანი (მოსწავლე, სტუდენტი) ისე წაიკითხავს კლასიკურ ტრილოგიას ან ტეტრალოგიას ნახევარ საათში წასაკითხი ტექსტის სახით, რომ არც სიუჟეტის განვითარების ისტორიული ატმოსფეროს წარმოდგენა დასჭირდება, და ვერც იმ დიალოგებსა თუ მონოლოგებს მოისმენს, რომელიც ამ წიგნებმა ჩვენამდე მოიტანეს, როგორც კაცობრიობის განვითარების გზის უწყვეტობისა და ეპოქათა მუდმივი თანაარსებობის აშკარა დადასტურება.

ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის შედარებითი სიმტკიცის ფონზე განსაკუთრებით თვალშისაცემია ლექსიკური ფონდის რყევები. ამ რყევათაგან ზოგი ენის სოციალურ-პოლიტიკური ცხოველმყოფელობის ბუნებრივ დინამიკაში თავსდება, ზოგი კი ხელოვნურად არის გააქტიურებული (შეგნებულად ან შეუგნებლად). ლექსიკაში მიმდინარე ძირითად შინაარსობრივ ცვლილებათა შორის ასახელებენ უნივერსალური კატეგორიების მთელ რიგს; ამ ე.წ. უნივერსალიებს ჩვენც განვიხილავთ, ოღონდ მათ განხილვას ქართული მაგალითებით შევეცდებით: 1. მნიშვნელობათა შესუსტება (დეაქტუალიზაცია) (მაგ., საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ძალა დაკარგა ისეთმა სიტყვებმა, როგორიც იყო პარტკომი, ქალაქკომი, ცეკა (აბრევიაცია შესიტყვებისა „ცენტრალური კომიტეტი"), პოლიტხელი, კომკავშირი (კომუნისტური კავშირი), აგიტაცია (რომელიც დღეს პიარმა შეცვალა); 2. ლექსიკის დეიდეოლოგიზაცია (ამ რიგისაა: პიონერი (ახლა ეს სიტყვა კვლავ დამწყებს, პირველს ნიშნავს და არა სკოლის საშუალო სასწავლო რგოლის მოსწავლეთა კომუნისტურ კავშირს), ამხანაგი (კომუნისტებთან პარტიულ თანამებრძოლს ნიშნავდა, დღეს კი ეს სიტყვა თითქმის დაუბრუნდა თავის ძველ მნიშვნელობას (მეგობრის ბადალი)), 3. გადააზრება ანუ სიტყვის მნიშვნელობის გადატანა (მაგ. მორწმუნეს კომუნისტები „ცრუმორწმუნეს", ჩამორჩენილს ეძახდნენ, ურწმუნოს (ათეისტს) - რაციონალისტსა და განათლებულს და სხვ.); 5. ლექსიკური ჯგუფების პოლიტიზაცია და დეპოლიტიზაცია (ამ რიგისაა: ერთობა, კრება, საბჭო, კავშირი და სხვ.); 6) მეტაფორიზაცია, როგორც პოლიტიკური ვითარების შეფასების გამოხატვის საშუალება (მაგ.: კომუნისტური შრომის დამკვრელი,

სოციალისტური რეალიზმი, ლენინური გზა და ა.შ.) 7. დესემანტიზაცია (დეტერმინოლოგიზაცია) ტერმინოლოგიური ლექსიკისა; 8. სინონიმურ სიტყვათა კონკურენცია (მაგ.: მანიფესტაცია – მსვლელობა, ელჩი – ამბასადორი და სხვ.)

თავის დროზე პოლიტიკამ მოიმარჯვა ეს სიტყვები და თავის მყიფე ავტორიტეტს გადააყოლა ისინი. ამ თამაშს პოლიტიკა დღესაც აგრძელებს: ცდილობს რა, თავი გაიკეთილშობილოს სიტყვების კეთილშობილური კონოტაციის ხარჯზე, სინამდვილეში საკუთარი ნაკლოვანებების შინაარსით ტვირთავს ამ სიტყვებს და სამუდამო ან დროებითი დავიწყებისთვის წირავს (როდესაც 90-იანი სამხედრო ხუნტის ლექსიკონში სიტყვა „დემოკრატია“ გააქტიურდა, ხალხმა სიტყვაც შეიძულა მოძალადე პუტჩისტებთან ერთად; და დღეს ძლივს ბრუნდება ეს სიტყვა სათანადო ფასეულობის აღმნიშვნელ ლექსემად. ასე იქცა ირონიულ შესიტყვებად საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ეპითეტი „უფროსი ძმა“ და სხვ.); რუსულიდან ლექსიკის სესხების პროცესმა დიდი ზიანი მიაყენა ქართული ენის ლექსიკურ ფონდს, რადგან მაშინ სესხება რუსული იმპერიის (ძველისა და ახლის) ენობრივი პოლიტიკის ნაწილი იყო და ორგანიზებულ კონტროლს ემორჩილებოდა (ტერმინოლოგებისაგან პირდაპირ მოითხოვდნენ ყოველწლიურ ანგარიშს დარგობრივ ენებში ახლადშემოსული რუსული სიტყვების რაოდენობის შესახებ. და მაინც, ქართული ენის სპეციალისტები ახერხებდნენ მეცნიერებისა და განათლების სისტემის რუსულისათვის გათვლილი საერთო საკავშირო სტანდარტი, შეძლებისდაგვარად, ქართული ენის ინტერესებისათვის მოემარჯვებინათ. დღეს ვიტარება უფრო რთულია. რადგან დღეს ერთი მხრივ არცერთი სათანადო სტრუქტურა არ ზრუნავს ქართული ენის პრესტიჟის გაზრდაზე ქვეყანაში (პირიქით, ტარდება უცხო ენათა გაიდეალების პოლიტიკა), მეორე მხრივ კი გლობალიზაცია ჯერ არნახული სისწრაფით აახლოებს ერთმანეთთან სხვადასხვა ინფორმაციასა და ცოდნას, რაც ენობრივი ადაპტაცია-თარგმნის პრობლემებს უკიდურესად ართულებს.

განსაკუთრებით დაზარალდა ადამიანის სულიერი, ემოციური სამყარო, რომელსაც ინფორმაციის სიჭარბის[67] გამო თავისი ემოციების ამსახველი ლექსიკური აღმნიშვნელების (მარკერების) შესარჩევად აღარც დრო აქვს და აღარც უნარი; ამიტომაცაა, რომ ამ გლობალისტურ ქაოსში ხელაღებით მიმართავენ სესხებას ენისადმი გულშემატკივრობა დაკარგული თანამედროვე პოლიტიკოსები და საზოგადოებრივი სამსახურების წარმომადგენლები. გამოიკვეთა რამდენიმე ტენდენცია:

---

[67] *ხშირად სრულიად ფუჭი ინფორმაციის (მაგ.: ტელე და რადიაო წამყვანები საათობით ყვებიან, რამდენი ქმარი ჰყავდა რომელიმე ტოპმოდელს ან კინომსახიობს; რომ ერთსა და იმავე დღეს დაიბადნენ თურმე გალაკტიონი და უცხოელი რეჟისორი, და ამ რეჟისორის ბავშვობის ამბების მოსმენა უფრო მნიშვნელოვანია საჭესთან მჯდომი ქართველი მოქალაქისათვის, ვიდრე გალაკტიონის თუნდაც ერთი ლექსისა) ფონზე შესაფერის სიტყვებსაც კი ვერ ურჩევს დღევანდელი ახალგაზრდა.*

- ენაში მომრავლდა სინონიმები-დუბლეტები[68]: განსაკუთრებით თანამედროვე დარგობრივი ენები და პოლიტიკის ენა აღმოჩნდა მიდრეკილი სიტყვათ-სესხებისაკენ[69], რასაც ქართული ენის ლექსიკურ ფონდში გაუთვალისწინებელი და სამეცნიერო თვალსაზრისით ჯერაც შეუფასებელი პროცესები მოჰყვა; ამ შედეგთაგან ყველაზე საცნაური სწორედ ლექსიკური დუბლეტების არნახული რაოდენობაა: მგრძნობიარე – სენსიტიური; შემოქმედებითი – კრეატიული, მშვენიერი – სექსუალური, მისწრაფება – ამბიციურობა, შუღლი – კონფლიქტი, შემართება _ ენთუზიაზმი, ძალადობა – აგრესია, ჩაგვრა – დისკრიმინაცია, თვითმკვლელობა - სუიციდი და სხვ.
- საკუთრივ ქართულმა (ან დიდი ხნის ნასესხობის გამო ქართულში პოლისემანტიკურ დონეზე დამკვიდრებულმა ლექსიკამ) განმარტებითი და დარგობრივ-ტერმინოლოგიური ლექსიკონების სათავო ნაწილიდან განმარტებით ნაწილში გადაინაცვლა და ტერმინული მკაფიოობა დაკარგა;
- აკადემიური (და ხშირად პუბლიცისტურიც კი) ტექსტი უცხო წარმოშობის სიტყვათა სიჭარბის გამო სხვა ენაზე დაწერილს დაემსგავსა. ამან კი გააძნელა კომუნიკაციური ურთიერთობებიც და სასწავლო პროცესიც, რადგან მოსწავლე ან სტუდენტი (მით უფრო მოსწავლე) კითხულობს ფრაზას და შინაარსს ვერ იგებს, რადგან ყოველი სიტყვა ლექსიკონის გამოყენებას მოითხოვს, მაგ.: **„დაფიქსირდა ტენდენცია, გატარდეს ამ კოალიციის ფუნდამენტური ანტიდისკრიმინაციული, ინკლუზიური პოლიტიკა და მიღწეულ იქნეს დემოკრატიული ტრანსფორმაცია, როგორც ეკონომიკური სტაბილურობის გარანტია.“ ან: „ ინოვაცია, მერტონის მიხედვით, დევიაციის სანიმუშო ფორმაა“** და სხვ. ახალგაზრდას ესოდენ ბუნდოვანი ტექსტი არასრულფასოვნების გრძნობას უჩენს და ასათვისებელ მასალას დაუძლეველ დაბრკოლებად წარმოადგენინებს.

საზოგადოებრივ ყოფაში ხმარებიდან გადის ისეთი ლექსიკა, რომელსაც დღეს მხოლოდ ეკლესიის წიაღში თუ ხვდება ადამიანი; ამ რიგისაა: ვაჟკაცობა, სიმამაცე, თავგანწირვა, სიწმინდე, სული, სულიერება, წმინდა ადამიანი, ღირსება, გულ-მართლობა, ზნეობა, ზნეობრიობა, სინდისი, ნამუსი, შემწეობა, მეოხება, მხარში ამოდგომა, გონიერება, სიბრძნე, გამჭრიახობა, გულშიჩამწვდომი, სათნოება, რწმენა, შთაგონება, მოკრძალება, თავმდაბლობა, გარჯა და სხვ.

ამ სიტყვათა აქტუალურობის შესუსტებას სამი ახსნა უნდა ჰქონდეს: 1. გაღარიბებულია ადამიანის ლექსიკური მარაგი საზოგადოების დაბალი წიგნიერებისა და ცუდად დაგეგმილი საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგად; 2. საზოგადოებაში

---

68 *ზოგჯერ ლინგვისტები ლექსიკურ დუბლეტებად პარონიმულ ფორმებსაც ნათლავენ. ამ საკითხზე მსჯელობა ძალიან საინტერესოა, თუმცა წინამდებარე სტატიაში ეს დისკუსია ვერ გაიშლება.*

69 *ამ ბოლო დროს არა მხოლოდ სიტყვათა, არამედ მაწარმოებელთა სესხების ტენდენციაც დაჩნდება.*

ნაკლებად არის ის ფასეულობები, რომლებიც ამ სიტყვების გამოყენებას საჭიროს გახდიდა; 3. საზოგადოებრივი ელიტა, რომელიც ქმნის დღეს პოლიტიკურ და კულტურულ დისკურსს, მოწყვეტილია საკუთარ ფესვებსაც და ეროვნულ ფასეულობებსაც.

იმ სიმდიდრიდან, რომელიც ისტორიამ შეამოწმა და თანამედროვე საქართველოს კოსმიურ და მსოფლიო რყევათა ფონზე მეტ-ნაკლები სისრულით გადაურჩინა, ერთ-ერთი ენაა, უკვე მოფიქრებული და დადასტურებული სტრატეგიითა და ტაქტიკით; დღეს ამ კურსის შეცვლა ძალიან სახიფათოა, რადგან ელვის სისწრაფით ცვალებადი მსოფლიოს მომავლისა და გარერეგულაციების შედეგთა გამოცნობა სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით უაღრესად შეჭირვებულ საქართველოს კი არა, მსოფლიოს „დალხენილ“ ერებსაც აღარ შეუძლიათ. ამიტომაც ჩვენი მიზანი უნდა იყოს თანამედროვე ენობრივი პროცესების აღწერა, გაანალიზება, კრიზისის ნიშნების დიაგნოსტირება და ისტორიული გამოცდილების გათვალისწინების გზით ქართული ენის დაცვის, სახელმწიფო ფუნქციონირების უზრუნველყოფისა და ინოვაციურ რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანის ფრთხილი და თანმიმდევრული ენობრივი პოლიტიკის გატარება.

## მეცნიერება და რელიგია გლობალიზაციის პირობებში

*ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,*

*პროფ.* ***გელა ლობჯ(ჟ)ანიძე***

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ქართული ქრისტიანული ჟურნალის ,,კრიალოსანი" რედაქტორი*

1. მეცნიერებასა და რელიგიას შორის დღეს არსებული ურთიერთმიმართება გლობალიზაციის ცნების კვალდაკვალ განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც ეროვნული საზღვრები იშლება, მსოფლიო მიდის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ენობრივი ერთიანობისაკენ და, ბუნებრივია, ასეთი რთული და წინააღმდეგობრივი ფენომენი მრავალი თვალსაზრისით განსაკუთრებულად საყურადღებოა. თანამედროვე მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ერთმანეთისაგან იზოლირებულად არსებობა. გლობალიზაცია ქმნის ახალ პერსპექტივებს სხვადასხვა ქვეყნების, ერების ცივილიზაციათა და კულტურათა ურთიერთობისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გლობალიზაცია არის არა მხოლოდ ახალი ტექნოლოგიები, მეცნიერებისა და ტექნიკის მონაპოვართა დანერგვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, არამედ სულიერი კულტურის სფეროში ახალი მწვავე პრობლემებია, იგი კაცობრიობის მომავალი ბედის გარკვევას მოითხოვს _ ადამიანის, ინდივიდის, პიროვნების და საბოლოო ჯამში, ეროვნული ცნობიერების, კულტურებისა და საერთოდ, ერების თვითმყოფადობის არსის დაზუსტებას.

2. აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებლობისათვის დემოკრატიული საზოგადოების პრინციპები სრულიად მისაღებია და ადამიანთა თანასწორობის იდეა ქრისტიანობის კუთვნილებაა. ის ფასეულობანი, რომლებიც პატივს მიაგებენ ადამიანის თავისუფლებას, ხელს უწყობენ სამართლებრივი სახელმწიფოს შენებას და აღიარებენ სახელმწიფოსა და კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობას.

3. ერთპოლუსიანი სამყაროს შექმნა, რომლისაგან რელიგია, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი სოციალური ფენომენი განზე ვერ დადგება იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისაგან, რომელიც აშფოთებს საზოგადოებას და არ შეუძლია ბრმად მიჰყვეს პროცესებს, რომლის დროს ეკონომიკური მექანიზმების არამართებული გამოყენებით ხდება სულიერი სივრცის ნეგატიური ტრანსფორმაცია და ინტეგრირება. რელიგია გვასწავლის, რომ გლობალიზაციას არ უნდა შევუშინდეთ და იგი ყოველმა ქვეყანამ სასიკეთოდ

უნდა გამოიყენოს. საერთაშორისო და ეროვნულმა კანონმდებლობებმა კი ყოველ ქვეყანას თავისი საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნებაში უნდა შეუწყოს ხელი.

4. როგორც ძველი სიბრძნე ამბობს, სახელმწიფოსათვის უმჯობესია, მის მოქალაქეებს ჰქონდეთ მაღალი ზნეობა, რადგან მაღალზნეობრივი საზოგადოება ძლიერი და განვითარებული სახელმწიფოს საწინდარია. დასავლეთის განვითარებული ქვეყნებიც სწორედ ამის გათვალისწინებით ქმნიან თავიანთ კანონმდებლობას და საზოგადოებრივი ცხოვრების წესს. ის, რომ მსოფლიოს ტრადიციული რელიგიებიდან ყველაზე უნიკალური ქრისტიანული სწავლებაა, იმითაც დასტურდება, რომ დღეს მთელ მსოფლიოში აღიარებული ადამიანთა უფლებების დეკლარაცია სწორედ ქრისტიანულ ღირებულებებზეა დაფუძნებული. ქრისტიანული ღირებულებები კი ყველაზე სრულყოფილი სახით მართლმადიდებლურ ეკლესიაშია დაცული, რადგან იგი ინახავს სამოციქულო ეკლესიის სწავლებას. მისი უნივერსალურობა ვლინდება იმაში, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას საუკუნეთა მანძილზე უცვალებელი მრწამსი და სწავლება აქვს, რომელიც ეფუძნება წმინდა წერილს, საღვთო გადმოცემას, მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებების დადგენილებებს და წმიდა მამათა მოძღვრებას. ეს მის საყოველთაობას და უცდომელობას განაპირობებს. საერთოდ, სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეოპოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები.

5. უფალი ბრძანებს: ,,ეძიებდეთ პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესსა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ~ (მათე 6. 22-33). ყოველი ჭეშმარიტი მორწმუნე სიცოცხლის ბოლო წუთამდე ეძიებს ღმრთის სასუფეველს, რისთვისაც ის მიწიერ ცხოვრებაში ღვთივსათნო ცხოვრებით აღასრულებს საღმრთო მცნებებს; მცნებათა ცოდნა მას ეხმარება საღმრთო კანონებთან შესაბამისობით, ყოველ ეპოქაში, დროის შესატყვისად შეაფასოს მიმდინარე მოვლენები, სამეცნიერო მიღწევები და ცივილიზაციის მონაპოვრები.

6. თანამედროვეობის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მატერიალური ყოფიერების სრულყოფას საფუძვლად დაუდოს სულიერი ფუნდამენტი, დაუბრუნოს პრაქტიკას მორალურ-ზნეობრივი საფუძვლები. როგორც საღრმთო წერილიდან და ცხოვრებისეული გამოცდილებიდან არის ცნობილი, ქვეყნიური სიკეთენი ამაო და წარმავალია; ამიტომ, აუცილებელი და მნიშვნელოვანია, გლობალიზაციის ურთულეს და უსწრაფეს პირობებში გაფართოვდეს კვლევა-ძიება ზემოაღნიშნულ საკითხებზე რელიგიური, ბიბლიური გააზრებით, რადგან ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ფასეულობათა შორის ზეაღმატებული ადგილი ბიბლიას, თეოლოგიურ, ქრისტიანულ ზნეობას და მასზე დაფუძნებულ სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობას

უკავია, რომელთაც მთლიანობაში მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ გლობალიზაციის ნეგატიური ტენდენციებსა და გამოვლინებებთან.

7. მეცნიერებისა და რელიგიის შეხახებ ფრიად საინტერესოა გამოჩენილი გერმანელი ფიზიკოსის მაქს პლანკის შეხედულება: „რელიგია და მეცნიერება სრულებით არ გამორიცხავს ურთიერთს, როგორც ამას ადრე ფიქრობდნენ და რისიც ეშინია დღეს ბევრ ჩვენს თანამედროვეს; პირიქით, ისინი თანხვდებიან და ავსებენ ერთმანეთს“. „ორივენი _ რელიგია და საბუნებისმეტყველო მეცნიერება _ თავიანთი დასაბუთებისათვის საჭიროებენ ღვთის რწმენას, მაგრამ პირველისთვის (რელიგიისთვის) ღმერთი დგას საწყისში, მეორისთვის (მეცნიერებისთვის) _ მთელი აზროვნების ბოლოში. რელიგიისთვის ის წარმოადგენს ფუნდამენტს, მეცნიერებისთვის _ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების გვირგვინს“.

სარწმუნოებისა და მეცნიერების დაკავშირების შესახებ წმინდა ილია მართლის ცნობილი მოძღვრება მარად უკვდავია და მისი გახსენება ყოველთვის საჭიროა: ,,ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურგებელნი არიან, მაგრამ ამ ორ სამფლობელოს შორის შემაერთებელი ხიდი არის სიბრძნე. გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება არის წყარო ერის მსახურებისა, ღვაწლისა, მადლისა და საქმისა, რადგანაც კაცთათვის მსახურება მსახურებაა ღვთისა~...

# СВЕДЕНИЯ РУКОПИСИ № 153 О КНИГЕ ЦАРЯ НИМРОДА

*Д-р* ***Натела Борисовна Попхадзе***
*Руководительница Информационного центра*
*Академии Фазис в Тбилиси*

В короткое сравнительно время открыто достаточно много источников которыми пользовались составители разных частей и отделов "Картуелта Цховреба"/"Картлис Цховреба". К числу этих вновь открытых книг нужно отнести также “Книгу Нимрода”- сочинение, на которое неоднократно ссылаются грузинские летописи. “Книга Нимрода” до последнего времени считалась утерянной.

«Только в прошлом году я нашел ее в числе рукописей грузинского церковного музея (№153, in quarto стр. 376), переписанный почерком *нусхури*» - писал проф. Мосэ Гиоргевич Джанашвили. Он считал, что рукопись не древнее XVII века. Она содержит в себе следующие статьи:

1. "Выход Адама и Евы из рая" (стр 1-54)
2. "Сотворение мира и человека, сочинение отца Ефрема" (стр 54 -142)
3. "Толкование на книгу Бытия" (стр 142-190)
4. "Родословие патриархов от Адама до Христа" (стр 190-222)
5. "Мудрые изречения философов" (стр. 222-251)
6. "Учение Иоанна Златоуста” (стр 251-266)
7. "Благовестническое странствие апостола Павла” (стр. 266-292)
8. Разные мелкие статьи отцов церкви (стр.292-376).

Неизвестно, кто был переписчиком этого сборника, с какого оригинала и когда (в каком году) он списан. Переписчик заключил свою работу только следующим неопределенным выражением:

"Господи, да будет мравал-жамиер ) два слова намеренно выскоблены), по приказанию которого переписана сия святая и душу прсвещающая книга”

Автор первой статьи неизвестен, другие же (2-4), повидимому, составлены неким Ефремом; может-быть, он есть тот Ефрем, который оставил толкование на Библию.

Четыре первые статьи суть апокрифические, и о них речь наша – писал профессор. Но прежде чем перейти к апокрифам, считаю нужным привести одно важное сказание "Картлис-Цховреба”, которое в эти летописи могло попасть из "Книги Нимврода”.

В "Картлис Цховреба" (стр 84) мы читаем:

"Царь Мириан (342) будучи язычником, часто призывал к себе мцхетского священника Абиатара, знатока древних и новых книг, и беседуя с ним., входил в исследование учения Христа. и сам царь Мириан тоже имел "Книгу Нимрода", и в ней написано было так: "Во

время постройки башни Вавилонской послышался голос с неба и голос этот был обрашен к Нимроду: "Я Михаил, назначен Богом, Князем Востока. Выйди из этого города, который зашитит Бог. Придет время, когда явится владыка небес, Тот, которого хочешь видеть ты, поруганный Непоруганного. От страха Его рассеются прелести мира сего, цари оставят царствование и изберут себе убожество, но Тот, увидя тебя в печали, **спасет** тебя". Тогда (после прочтения этих слов в Книге Нимрода) Мириан понял, что древние и новые книги одинаково свидетельствуют (о явлений Мессии), и что Книга Нимрода также подтверждает их сказания, и после этого он решился принять христианство.

Еще более интересную выдержку из той же Книги Нимрода приводит Джуаншер Джуаншериани, зять царя Арчила II (718 г). Этот хроникер в уста царя Вахтанга Горгасала (532 г) влагает следующие слова: "Вы, аборигены Картли являетесь родственниками царей Картли! Вы царствуете силою царей ваших, мы же, цари ваши, **происходим от героя Нимрода**, в их же (нимродовских) книгах написано так. Нимврод/Неброд/ Неброти сделался царем раньше всех царей мира. Он был так силен, что одолевал льва, как какую-нибудь кошку, будучи пешим, догонял ослов и серн. Могущество его было столь велико, что ему подчинялись все потомки Ноя.

Я (Н. Попхадзе) просмотрела и проверила сведения рукописи №153 в фонде Национального Центра рукописей в Тбилиси и убедилась в достоверности сведений исследователя М. Джанашвили. Эта рукопись исследовалась после Джанашвили другими учеными. От себя скажу, что Нимрод/Неброти царил на территории включающей Месопотамию. На самом деле до Нимрода царствовало множество царей. Редакторы и составители рукописи №153 о них не были осведомлены, кажется. Касательно древней истории скажу, что страна по имени Аиаколхети, Карду простиралась к югу до океана. На заседании участников коференции в Академии Фазис высказано было мнение о том, что слово океан происходит от слова киана и обозначает воду окружающую киану (планету землю).

Карду/Карту/Са-карту-ело есть имя нашего народа и нашей республики. Древнее царство именуемое Карду/Кардуниа известно по клинописным шумерским и аккадским королевским летописям 2-го и 1-го тысячелетий до н.э. Позднее, наш предок написал в сборнике *Цховреба Картуелта*, что мы, народ Карду/Картуели являемся этнически родственными/потомками наших древних царей, и что те цари наши были этнически родственны с царем по-имени Неброти (Немруд/ Нимврод), который был первым царем в мире. Это мнение наших предков привлекательное стремлением к единению всей нашей нации/ всего нашего этноса и потому именно его следует нам всячески проталкивать и поощрять. Расшифровка с 1630-ых годов давно забытых клинописных письмен и текстов страны Колхети/ Кардуниаша пролила свет на позабытые факты. Первоисточники - тексты

королевских летописей выявили детали наименований царств, регионов, гор, озер, рек, городов, имен многих личностей и т.д., известных в II-I тысячелетиях до нашей эры. Профессор Мосэ Джанашвили изучил клинопись шумерских, аккадских, урартских, хеттских писаний и даже иероглифы страны Кимет/Древнего Египта с целью вникнуть в те данные, которые касаются истории нашей страны в те далекие дни. Я согласна с точкой зрения Проф. М. Джанашвили о том, что наш современный этнос Карту/Картуели является продолжением этноса древнего царства Карду/Кардуниа клинописных источников. В этом особенно убедилась во время моего недавнего визита в область, где есть исток реки, известной по имени Тигрис, а по клинописным источникам, по имени реки Тиглат. Исток расположен там, где находится современный Юго-Восточный край Республики Турция у границы страны Суриа (Сирия). Я убеждена, что по крайней мере, какая-та часть местного населения того края действительно поныне наши этнические родственники, судя по их внешнности, по чертам лица, по антропологическим характеристик ам, их походке, манере поведения. В данной публикации приведу выдержки из одного исследования профессора М. Джанашвили, касающиеся древней обширной территории нашего этноса, древних наименований регионов нашего народа. Обращаю внимание читателей на то, что современное наименование на английском языке нашего этноса -*Георгиан*- отражает лишь наименование, известное лишь с первого века, и то - не для всего нашего этноса, а лишь ее части, проживающей в первом веке у озера Урканиа (нынешнее наименование Озеро/«Море» Каспия. О том упоминал политический деятель римской империи по имени Тацит. С учетом времени появления наших основных наименований, уместно именовать наш этнос и нашу страну Аиаколхети-кардугеоргиа страной, или Аиаколхети - на всех языках.

**ЛИТЕРАТУРА:**

1. *Джанашвили Мосэ. Изгнание Адама из Рая, Нимрод и семь послепотопных народов. Книга Нимрода. Сборник сведений о Кавказе. Том. 2, стр. 58-89. Тифлис.1897.*
2. *Рукопись грузинская №153. Архив. Национальный ценгр рукописей. Тбилиси.*

# მოძრავი რეალობის მოდელი

*თ. ბაციკაძე*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

ვოლფ მესინგი ყოველგვარი მკითხაობის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მან თქვა: `არასდროს და არავის კითხოთ თქვენი მომავლის შესახებ. არასდროს და არავის!~ მომავლის ცოდნა შეიძლება ფატალური აღმოჩნდეს, მომავალი შემთხვევითი არ არის, წარსულისა და აწმყოს ერთმანეთზე ზედდებით წარმოიშვება მომავალი, რეზულტატის სახით.

პლოხოვმა შექმნა მოძრავი რეალობის მოდელი და დაარქვა მას `ევოლუციის მატრიცულ-პერიოდული მოდელი~. მისი განსაზღვრებით მომავალი შემთხვევის თამაში არ არის. არსებობს განვითარების ერთიანი ალგორითმი, რომელიც მოქმედებს როგორც ბუნებაში, ასევე საზოგადოებაში. ეს ალგორითმი ნათლად აჩვენებს, რომ მატერიის განვითარების ყველა ეტაპზე ევოლუციური პროცესები მიმდინარეობდა ერთი და იგივე მატრიცის მიხედვით. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, სივრცე-დროს მატრიცული სტრუქტურა გააჩნია. ამიტომ მომავლის პროგნოზირება, ფაქტობრივად გაანგარიშებაა და არა წინასწარმეტყველება. ყველაფრის გამოთვლა შეიძლება, რადგან მომავალი უკვე იყო, წარსული კი კიდევ იქნება. პლოხოვის აზრით ჩვენ არც პირველი ვართ და არც უკანასკნელი მზის სისტემაში. დღემდე არავინ იცის, რა არის ენერგია, რატომ აქვს ატომსა და გალაქტიკას ერთნაირი შემადგენლობა, ვინ შექმნა სიცოცხლისა და პირველყოფილი უჯრედის განვითარების პროგრამა, როგორ წარმოიშვა დ.ნ.მ-ის კოდი? როგორც ზემოთ ითქვა, პლოხოვის აზრით, ყოველივე არსებულის საწყისს წარმოადგენს კოსმოსის ინფორმაციული მატრიცა (გნებავთ ღმერთი). დღეს მეცნიერები საუბრობენ იმის შესახებ, რომ სამყარო შევსებულია ინფორმაციული ველით. სწორედ ამ ველს გააჩნია მატერიის შექმნისა და განვითარების პროგრამა. ამ პროგრამის შესაბამისად ჩვენი მზე თანამიმდევ-რულად ქმნიდა პლანეტებს გარკვეული დროის ინტერვალით. დაბადების შემდეგ პლანეტები დროთა განმავლობაში შორდებოდნენ მზეს, როგორც წყალში ჩაგდებული ქვის მიზეზით წარმოიქმნება და ფართოვდება წრეები. ამ პლანეტებზე, ან მათ თანამგზავრებზე, რიგრიგობით წარმოიშვებოდა და იღუპებოდა სიცოცხლე.

სიცოცხლე წარმოიშობოდა მაშინ, როცა თითოეული პლანეტა აღმოჩნდებოდა ბიოსფეროს არსებობისთვის აუცილებელ მანძილზე მზიდან, რომელიც კოსმოსური მაშტაბით ძალიან მცირე ინტერვალში მდებარეობს. ამ ლოგიკის თანახმად შემდგომი ცივილიზაციების ბაზისები გახდებიან პლანეტები ვენერა და მერკური.

პლანეტარული პერიოდების შესახებ ლაპარაკობდა ჯერ კიდევ პლატონი „ტიმეი“-ში: „თუ პლანეტური პერიოდები ციკლურია, მაშინ ციკლურია მსოფლიო ისტორიაც. ანუ არაფერია ისეთი რაც, არ იყო წარსულში და რაც იყო, იქნება კვლავ, მაგრამ არა კერძო ფრაგმენტების სახით, არამედ სრულად“.

პლოხოვი თავის მოძრავი რეალობის მოდელში ამტკიცებს: წარსულის ციკლური გამეორება აწმყოში და აწმყოსი _ მომავალში მიმდინარეობს ყოველთვის უკუ-პროპორციით. რაც უფრო ხანგრძლივად გროვდება ინფორმაცია წინა ეტაპზე, მით

ნაკლებია მისი რეალიზაციის დრო შემდგომ ეტაპზე. შევადაროთ 4,5 მილიარდი წელი კრიპტოზოის პერიოდი, რომელმაც მოგვცა მხოლოდ უხერხემლონი და 0,5 მილიარდი წელი, როცა ფაქტიურად მოხდა „აფეთქება" უამრავი სახეობების წარმოშობის სახით.

ჩვენ ხომ თვითონ ვიმეორებთ დედის საშოში ცოცხალი ორგანიზმების მილიარდ-წლიან ევოლუციურ გზას საოცრად მცირე დროში (ნაყოფი ჯერ მოლუსკს ჰგავს, შემდეგ თევზს და მხოლოდ ბოლო ეტაპზე ადამიანს).

მკვლევარები თვლიან, რომ ადამიანებს აქვთ არა ერთი, არამედ სამი ტვინი: „ძველი" (პალეოკორტექსი – რეპტილიებისაგან), „საშუალო" (მეზოკორტექსი _ დაბალი ძუძუმწოვრებისაგან) და „ახალი" (ნეოკორტექსი _ მოაზროვნე ადამიანის ქმნილება), ანუ, თუ ვიხუმრებთ, ყოველ ჩვენგანში ერთმანეთის გვერდით არსებობენ ნიანგი, ცხენი და ადამიანი, სამი ცნობიერების სინთეზი. ორი მათგანი _ უფრო ძველი თითქოს ძილის მდგომარეობაშია, მაგრამ ხდება, რომ ისინი იღვიძებენ და მაშინ „ნეოკორტექსი" უძლურია.

საინტერესოა თომას მანის მოსაზრება – „ანგელოზსა და მხეცს შორის დგას ადამიანი. უნდა ვაღიაროთ, რომ იგი მხეცთან უფრო ახლოს არის".

დავუბრუნდეთ პლოხოვს, ჰქონდა თუ არა ღმერთს არჩევანი, როცა იგი ქმნიდა სამყაროს? ერთი რამ ცხადია _ კოსმოსში არსებული მკაცრი კანონზომიერებანი და სიცოცხლე მოწმობს სრულქმნილი გეგმის არსებობას, რასაც პლოხოვი „მატრიცას" უწოდებს. ამ მატრიცის არსიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენ უკვე ვარსებობდით სხვა არსში, სხვა დროს. ჩვენ ამჟამად ვიმეორებთ მარსის ეტაპს. რომლის ისტორია დამთავრდა იმით, რასაც დედამიწელები მიაღწევენ 2003 წელს, ამბობდა პლოხოვი. თუმცა მათ გაგვასწრეს ტექნიკურ განვითარებაში, მაგრამ მარსის ცივილიზაცია ინფორმაციული თვალსაზრისით, არ დაღუპულა: ინფორმაციული მატრიცა „ესტაფეტით" გადმოგვეცა ჩვენ, როგორც შემდეგ პლანეტას სიცოცხლის სარტყელში.

რაც შეეხება 2003 წელს, ჩვენ სრული აზრით გავხდებით დედამიწელები. კაცობრიობა იმავე კანონებით ვითარდება, რითაც ყოველივე არსებული. პირველყო-ფილი, თემური, წყობილებიდან ჩვენ დრომდე 24 ეტაპი გავიდა: 8 ე.წ. „პასიური" დამთავრდა შუა საუკუნეებით, შემდეგ იყო 16 _ „აქტიური" აღორძინების ეპოქიდან 2003 წლამდე. მხოლოდ ამ მომენტიდან მთავრდება წინა პროგრამა და გავდივართ საკუთარი პროგრამის განხორციელებაზე. 2003 წლიდან იწყება ცივილიზაციის ახალი ეტაპი და გადასვლა ბიოსფეროდან ნოოსფეროში. პლოხოვი ქრონოლოგიური გარღვევის შესახებ: ფიზიკურად ეს არის სივრცის ნაწილი, სადაც მოხდა სამი სხვადასხვა პოლარული დროის კვანტების დამთხვევა. დრო არაერთგვაროვანია. საკითხის ისტორია არისტოტელედან მოდის, რომელმაც დასვა კითხვა რით განსხვავდება წარსული აწმყოსაგან? აინშტაინმა დრო დააკავშირა მასასთან და სინათლის სიჩქარესთან. კოზირევმა დროს უწოდა ენერგიის ფორმა და ჩათვალა, რომ ყველა პროცესი სამყაროში მიმდინარეობს დროის ან შთანთქმით ან გამოყოფით.

დღევანდელი წარმოდგენით დრო არის სივრცის წინააღმდეგობის ზომა. სივრცის მახასიათებლებზე, მის ინფორმაციულ ტევადობაზე არის დამოკიდებული დროის მიმდინარეობა. მაგ., დრო ერთუჯრედებიანებისთვის და ადამიანებისთვის

სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს. სხვადასხვაა იგი მოზრდილი ადამიანებისათვის და ბავშვებისათვის. რადგან იგი ბავშვებისათვის ინფორმაციულად უფრო ტევადია ამიტომ უფრო ნელა მიმდინარეობს. ბავშვის წელიწადი უფრო დიდხანს გრძელდება. სიცოცხლის შუა ნაწილიდან დაწყებული იგი იკუმშება (სწრაფად მიმდინარეობს).

დრო ისევე როგორც სივრცე, მრავალგანზომილებიანია. მას კვანტური ხასიათი აქვს, თუმცა ჩვენ გვეჩვენება უწყვეტად, რადგან მისი კვანტები პრაქტიკულად ერთმანეთზე ლაგდება. დროის მდინარება დამოკიდებულია სივრცეში ინფორმაციის სიმკვრივეზე (გაჯერებაზე). აქედან გამომდინარეობს ისეთი ცნება, როგორიცაა „დროის პიდაპირი და უკუმოძრაობა". „უკუ" გულისხმობს, რომ სხვადასხვა პირობებში დრო მიმდინარეობს თუ უკან არა, ყოველშემთხვევაში სხვაგვარად, რაც არღვევს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს და ბოლოს: როცა სივრცე-დროითი კვანტების ნორმალური მიმდინარეობა ირღვევა, წარმოიშობა ის ქრონოლოგიური გარღვევები, რომლებიც იწვევს ბუნებრივ კატაკლიზმებს, სტიქიურ უბედურებებს, სოციალურ აფეთქებებს. არსებობს აზრი, რომ დროს აქვს მოვლენების, ფაქტების უკვალოდ გაუჩინარების თვისება. ბოლო გამოკვლევები ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას. ირკვევა, რომ ყველაფერი, რაც უკვალოდ უჩინარდება, სინამდვილეში ტოვებს ინფორმაციულ კვალს დროსა და სივრცეში.

ადამიანის ბიოლოგიური სიკვდილის დროს ხდება მისი ინფორმაციული მატრიცის სრული კონსერვაცია მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით, მაგრამ სხვა ფიზიკურ არსში. ამ აზრით დღევანდელ ბიოლოგიურ სხეულებში არსებობენ ნერონი, პუშკინი, პითაგორა, ნაპოლეონი და სხვ. როგორც ამბობენ, პითაგორა ფლობდა ყველა წარსული განსხეულებების ცოდნას (მოგონებას).

რას ფიქრობენ სულზე მკვლევარები? ნახევარი საუკუნის წინ მეცნიერი და ფილოსოფოსი დიმიტრი პანინი თვლიდა, რომ სული არის „ტრანსფიზიკური ნაწილაკების გამკვრივება". ფენომენალური ამერიკელი ედგარ კეისი, რომელიც ჩვენი დროის გამოცანად დარჩა, ამტკიცებდა, რომ სული არის „მაღალი სიხშირის ენერგია, რომელიც ინახვს ყველა წარსული სიცოცხლის მეხსიერებას".

დღეს ტერმინოლოგია სხვაგვარია. პროფესორი ისკაკოვი ამჯობინებს სულს უწოდოს „მიკროლეპტონური ჰოლოგრამების ერთობლიობა". ყველა თანხმდება იმაში, რომ ადამიანის ბიოლოგიური სიკვდილის შემდეგ რჩება მისი მარადიული ნაწილი „მე" – ენერგო-ინფორმაციული სიმკვრივე (მატრიცა).

პლოხოვის აზრით, მთავარი ის არის, რომ ყოველ ადამიანს აქვს პოტენციური უნარი შევიდეს სამყაროს ენერგოინფორმაციულ ველში, იმ უსაზღვრო ინფორმაციის ოკეანეში, რომელიც შეიცავს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. მხოლოდ მეხსიერების ბარიერი, რომელიც ადამიანის დაბადებისას ფორმირდება, ბლოკავს ამ ინფორმაციულ არხს, რომელიც აკავშირებს ყველაფერს ყველაფერთან. მაგრამ ხანდახან ადამიანი გადალახავს ამ ბარიერს ტრანსში, ჰიპნოზში, ექსტრემალურ სიტუაციაში, ხანდახან ძილშიც კი. და მაშინ გარღვეულ რაზში მძლავრ ნაკადად შემოდის ადამიანისათვის უცნობი ინფორმაცია. ხდება, რომ იგი იწყებს მისთვის უცნობ ენაზე ლაპარაკს (ეს ენა შეიძლება ძველიც იყოს). ახდენს მეცნიერულ აღმოჩენებს, აღწერს მოვლენებს,

რომელთაც ადგილი ჰქონდა მის დაბადებამდე. ან ხედავს მომავალს, როგორც ნოსტრადამუსი, კეისი ან მესსინგი. როგორც წესი, ეს მოვლენა უმართავია და მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ იგი მართვადი გავხადოთ. თუ ვიცით მეხსიერების ბარიერის ფორმირების ალგორითმი, შეიძლება შევიდეთ ზემოხსენებულ ინფორმაციულ ველში და მივიღოთ ინფორმაცია დროისა და სივრცის ნებისმიერი ადგილიდან. „ფაქტობრივად, ბუნებრივი მოვლენების მატრიცული რიცხვების ცოდნა წარმოადგენს მატერიის მეხსიერების კოდის გასაღებს და იგი მე მაქვს", – ამბობს პლოხოვი.

დავუშვათ, პლოხოვი სიმართლეს ამბობს, რა გამომდინარეობს აქედან? მისი თქმით, პირველ რიგში მოხდება კოლოსალური გარღვევა ცოდნაში. ეს არის გზა ახალი მსოფლმხედველობისა და ეკოლოგიისაკენ. ხელისუფლების ახალი წინასწარ ცნობილი ფორმისკენ _ ევოკრატიისაკენ. ეს იქნება ხელისუფლება, რომელიც მოემსახურება საზოგადოების ჰარმონიულ განვითარებას, რომელიც ერთმანეთს შეუსაბამებს სიცოცხლის სოციალურ და ბუნებრივ ასპექტებს. ამგვარმა ახლებურმა აზროვნებამ უნდა მიგვიყვანოს ახალი წარმოების, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, მედიცინის დაბადებამდე, სადაც მკაცრად იქნება პროგნოზირებული ეკოსიტუაცია. ეს იქნება ნოოსფერო, რომლის შესახებაც წერდა ვერნარდსკი.

ეს ყველაფერი კარგია და ამ თვალსაზრისით პლოხოვის ნაშრომი ღირებულია, მაგრამ პირადად მე წარმოუდგენლად მეჩვენება იდეა, რომ რაღაც სასწაულით მიღებული ყველა ცოდნა სამყაროზე და კაცობრიობაზე საშუალებას მოგვცემს ვიწინასწარმეტყველოთ ყველა მომავალი მოვლენა და მათი შედეგები. ლეიდენის უნივერსიტეტის პროფესორის ვან ფოგტის აზრით, ჩვენ ვერასდროს გვეცოდინება ყველა საწყისი პირობა და ვერ გამოვიყვანთ სამყაროს ყველა მოქმედ კანონს. ვერასდროს შევქმნით მოცარტის „სი მინორ" სიმფონიას როგორ კარგადაც არ უნდა შევისწავლოთ მისი ტვინი, კალმისტარი, ქაღალდი და ა.შ.

იგივე აზრი სხვაგვარად გამოთქვა რომის კლუბის ყოფილმა პრეზიდენტმა კინგმა: დღეს გამეფებული უმეცარი მატერიალიზმის შესაცვლელად და მეცნიერებაში აზროვნების კრიზისის დასაძლევად საჭიროა ახალი რევოლუციური დოქტრინა, რომელიც იქნება განვითარების ღერძი.

შესაძლებელია თუ არა რომ, ვიაჩესლავ პლოხოვის მოძრავი რეალობის მოდელი გახდეს ამგვარი ღერძი? ყოველ შემთხვევაში ფილოსოფოსი ვინცენტ ფიოდოროვი ამგვარად პასუხობს: `ყველა ჩემთვის ცნობილი ევოლუციის მეცნიერული კონცეფციიდან პლოხოვის კონცეფცია ყველაზე ფუნდამენტალუ¬რად მეჩვენება".

# МОДЕЛЬ ДВИЖУЩЕЙСЯ РЕАЛЬНОСТИ

***Т. Бацикадзе***

*Грузинский технический университет*

В предложенной статье дается критический анализ модели движущейся реальности ученного Плохова.

Плохов создал модель движущеися реальности и назвал ее «матрично-периодическая модель эволюции». По его определению, будущее – это не игра случайностей. Существует единный алгоритм развития, который действует как в природе, так и обществе. Этот алгоритм наглядно показывает, что на всех этапах развития материи, эволюционные процессы происходили по единой матрице. Другими словами пространство и время имеют матричную структуру. Поэтому прогнозировать будущее – это означает практически его вычислить, а не предсказать. Все можно вачислить, т.к. будущее уже было, а прошлое еще будет. По мнению Плохова мы не первые и не последние в Солнечной системе. До сих пор никто не знает, что такое энергия, почему атом и галактика имеют одинаковую структуру, кто создал программу жизни и первородной клетки, как возник код ДНК. По мнению Плохова, началом всего существующего является космическая информационная матрица (если желаете, Бог). Сегодня учёные говорят о том, что Вселенная заполнена информационным полем. Это поле содержит в себе программу создания и развития материи. Согласно этой программе Солнце последовательно, с определенным временным интервалом, создавало планеты. После рождения, планеты со временем отдалялись от солнца, как круги на воде от брошенного камня. На этих планетах, или их спутниках, по очереди возникала и гибла жизнь.

Если войти в это информационное поле, то можно получить информацию с любой точки пространства и времени.

## ქრისტიანული პედაგოგიკა და ქართული ანბანის სახელმძღვანელოები

*პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,*
*ასოც. პროფ. ნათელა მაღლაკელიძე*
*ილიას უნივერსიტეტის მეცნიერებისა და*
*ხელოვნების ფაკულტეტი*

ქართული მწიგნობრობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია შეუძლებელია წარმოვიდგინოთ წერა-კითხვის სწავლების გარეშე. უძველეს დროს შედგენილი ანბანის სახელმძღვანელოები, გარდა წერა-კითხვის სწავლებისა, მიზნად ისახავდა მოსწავლეთა ზნეობრივ აღზრდასაც, რომელსაც საფუძვლად ქრისტიანული მორალი ედო. საუკუნეების განმავლობაში ქართული პედაგოგიური აზროვნების ქვაკუთხედს ხომ ქრისტიანობა წარმოადგენდა. „ქრისტიანობის გავლენა განსაკუთრებულია ჩვენი ისტორიის ორიათასწლოვან მონაკვეთში მომავალი თაობის აღზრდა-განათლებაზე, საერთოდ სკოლისა და პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაზე *(ა. ასათიანი,ნარკვევები ქრისტიანული პედაგოგიკის ისტორიიდან, ტ.I, თბ. 2007, გვ. 5*). რადგანაც განათლების უძველესი კერა ეკლესია გახლდათ, ბუნებრივია, რომ ანბანის სახელმძღვანელოები სწორედ იქ იქმნებოდა. სწორედ ამიტომ **წერა-კითხვა** და **ლოცვები** ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში ისწავლებოდა *(გ. თავზიშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ. 1974, გვ. 367*).

მე-19 საუკუნემდე არსებული ანბანები თუ ანბანის სახელმძღვანელოები პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება გავყოთ: 1. საეკლესიო ტექსტებში და მინაწერებში ჩართული ანბანები, რომელთაც სასწავლო დანიშნულება უნდა ჰქონოდათ; და 2. ანბანის სახელმძღვანელოთა ცალკეული გამოცემები *(მ. თალაკვაძე, ი. გოგებაშვილის ანბანის სახელმძღვანელოთა აგების პრინციპები, თბ. 1952, გვ. 3).*

ამჟამად ცნობილ ხელნაწერ ძეგლებში ჩართული „ანბანებიდან" უძველესად არის მიჩნეული შატბერდის კრებულში მოთავსებული ქართული ანბანი, რომელსაც სასწავლო დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ტერმინი „ანბანი" აქ პირველად გვხვდება, როგორც გარკვეული ენის ბგერების გამომხატველი ნიშნების, ანუ ასოების, ერთობლიობა. მკვლევარები ამ წიგნს ჩვენამდე მოღწეულ უძველეს „სასწავლო წიგნად" მიიჩნევენ. (მ. *თალაკვაძე, გვ. 4).*

ანბანი სასწავლო დანიშნულებით ჩართულია მომდევნო საუკუნეების ქართულ საეკლესიო ხელნაწერებშიც. ზოგან მას მეთოდიკური მითითებებიც ახლავს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა **1233 წ ტბელ აბუსერიძის** მიერ დაწერილი საეკლესიო კალენდარი. მას აშკარად აქვს სასწავლო დანიშულებაც: „თვინიერ ანბანის დასწავლისა ვითარ კითხვა არ იყოფების".აქვე ცალკე კომპონენტებად არის გამოყოფილი „ანბანის დაწერა და სწავლა", „ყრმათა წერა-კითხვა". ირკვევა, რომ ამ ანბანის მიხედვით კვირის

ცალკეული დღეები ყოფილა გამოყოფილი ყრმათათვის წერა-კითხვის შესასწავლად *(ქრ. შარაშიძე, ქართული საანბანო წიგნის ბიბლიოთეკა, 1941, გვ. 5)* .

ნაბეჭდი გამოცემებიდან ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება **დავითნსა** და **ლოცვანში** მოცემული ანბანები. ანბანი გვხვდება მე-18 საუკუნის შვიდ ნაბეჭდ წიგნში, რომელთაგან ექვსი დავითნის სხვადასხვა გამოცემას წარმოადგენს, ერთი კი – თბილისში გამოქვეყნებულ ლოცვანს. სპეციალისტების აზრით, დავითნსა (1749 წ.) და ლოცვანში (1793 წ.) ჩართული ანბანები თავიანთი აგებულებით, მეთოდით, მასალის განაწილებითა და სავარჯიშოებით „სრულიად დამთავრებულ სასწავლო სახელმძღვანელოს წარმოადგენს" *(ქრ. შარაშიძე, გვ. 17).*

ცალკე გამოცემულ ანბანის პირველ სახელმძღვანელოდ კი უნდა მივიჩნიოთ 1629 წ. რომში „სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების" მიერ გამოცემული „იბერიული ანბანი ლოცვებითურთ". საკითხავ მასალად აქ გამოყენებულია: "მამაო ჩვენო", „ღვთისმშობლის ლოცვა", „მრწამსი", „ათი მცნება" ... ვარაუდობენ, რომ წიგნის ავტორი ნიკიფორე ირბახია (ჩოლოყაშვილი). ასევე, ლოცვებია გამოყენებული საკითხავ მასალად ***სტოკჰოლმში*** (1700–1710) გამოცემულ ***„ქართულ ანბანში"*** *(ლოცვები: „მამაო ჩვენო", „ღვთისმშობლის ლოცვა"),* ***„რუსულ-ქართული ანბანში"*** *(პეტერბურგი, 1737-44*). გარდა იმისა, რომ აქაც საკითხავ მასალად მხოლოდ საეკლესიო ხასიათის ტექსტებია მოცემული, მას ლოცვაც აქვს წამძღვარებული რუსულ და ქართულ ენებზე: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა". როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ეს არის პირველი სახელმძღვანელო დაწერილი რუსებისათვის ქართული ანბანის შესასწავლად.

საერთოდ, საკითხავ მასალად სასულიერო ხასიათის ტექსტების გამოყენება ჩვეულებრივი ამბავი იყო ამ პერიოდის ანბანის სახელმძღვანლოთათვის. ეს ბუნებრივიც არის: სახელმძღვანელოს ავტორები ხომ ხშირად თავად სასულიერო პირები იყვნენ: (***თეოფანე პროკოპოვიჩი,*** *„პირველი სასწავლო ყრმათა",მოსკოვი,* ***გაიოზი,*** „ანბანი", მოზდოკი, 1797, 1739, ***ტარასი მღვდელ-მონაზონი,*** *ანბანი, ტფილისი, 1825...*).

პირველი, ვინც ქართული ანაბნის სახელმძღვანელოში საეკლესიო ტექსტების გარდა საკითხავ მასალად ხალხური ზღაპრები და იგავები შეიტანა, პლატონ იოსელიანია (1838). ამის შემდეგ მსგავსი საკითხავი მასალის შეტანა ქართული წერა-კითხვის სახელმძღვანელოებში ჩვეულებრივი ამბავი გახდა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტექსტები **აღმზრდელობითი** ხასიათის იყო, რაც თავისთავად ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და მორალის განმტკიცებისაკენ იყო მიმართული *(****მაქსიმოვიჩი,*** *„ყრმათა მეგობარი", 1852, თარგმნა ი. კერესელიძემ;* ***ი. კერესელიძე,*** *„ანბანი ახალ-მოჰსწავლეთა ყრმათათვის", 1856-1862 წ.წ.;* ***ს. მდივანოვი,*** *„ანბანი", 1863;* ***დ. ფურცელაძე,*** *„ქართული ანბანი", 1863;* ***პ. უმიკაშვილი,*** *„ქართული ანბანი", 1865-1866 წ.წ.;* ***ლ. ჩომახიძე,*** *„ქართული ანბანი", 1875;* ***რ. ისარლიშვილი,*** *„პირველი წიგნი*

*წერა-კითხვის სასწავლებლად“, 1875; ა.* ***ჯუღელი,*** *„ყმაწვილის სარკე“, 1875...*). მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნები საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მეთოდიკით, მიზანია ერთი აქვთ: წერა-კითხვასთან ერთად აზიარონ ქართველი მოსწავლეები ქრისტიანული ცხოვრების წესს.

საინტერესოა, როგორ არის წარმოდგენილი რელიგიური აღზრდის საკითხები იაკობ გოგებაშვილთან. ამ საკითხის შესახებ საბჭოთა მკვლევარები შეგნებულად დუმდნენ, ან სხვადასხვა მიზეზთა გამო არასწორ ინტერპრეტაციას აძლევდნენ და ქართული ზნეობის ამ უდიდეს მასწავლებელს მატერალისტად ნათლავდნენ *(ი.ტოტოჩავა, ი. გოგებაშვილის პოლიტიკური შეხედულებანი, თბ. 2000, გვ. 203)* . ამ მხრივ საინტერესოდ გვეჩვენება მისი სტატია „მეგრული დაწყებითი სკოლისათვის“, სადაც იგი წერს: „სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნა გამოიწვევს რელიგიის სწავლებაზე უარის თქმასაც და ამ სკოლებს გადააქცევს მატერიალის-ტებისათვის მოსაწონ ათეისტურ სკოლებად “ *(ი. გოგებაშვილი, ტ. II, გვ. 317*). ეს სიტყვები ორი თვალსაზრისით არის საინტერესო: ერთის მხრივ, მასში მოჩანს მშობლიური ენისა და რელიგიის სწავლების ურთიერთკავშირი, და მეორე მხრივ, ადასტურებს, რომ დიდი პედაგოგისათვის მიუღებელი იყო ე.წ. „ათეისტური სკოლები“.

შემთხვევითი არ იყო, რომ ზნეობის სათავაედ იგი ერთდროულად ეკლესიასა და სკოლას აცხადებდა: „ეკლესია და სკოლა არის სათავე ხალხის ზნეობისა, ეთიკისა. ხოლო თვითონ ეთიკა, სპეტაკი ზნე საძირკველია ხალხის სიმტკიცისა, კეთილდღე-ობისა, წარმატებისა“ (*ი. გოგებაშვილი, „დედა ენა“, 1876, წინასიტყვაობა, გვ. 5*). მას მიაჩნდა, რომ ჭეშმარიტ მოძღვარს ხალხისათვის სიკეთის მოტანა შეეძლო მხოლოდ მშობლიურ ენაზე ქადაგებით. სასულიერო პირი, რომელიც ვერ ფლობს ერის დედაენას, ვერ იქნება ამ ერის ინტერესების დამცველი, მრევლისაგან გაირიყება, გაწყვეტს ერთან სულიერ კავშირს. დედაენა არის არა მხოლოდ ცოდნის შეძენის საფუძველი, არამედ ერისათვის რელიგიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების მძლავრი იარაღი _ ასეთია ი. გოგებაშვილის შეხედულება ამ საკითხზე.

დიდ ინტერესს იწვევს ქრისტიანული აღზრდისადმი მიძღვნილი მისი სტატიების და ნაშრომები. მათ ჩამოთვლასა და ანალიზს ამჯერად არ შევუდგებით, რადგანაც ეს ცალკე კვლევის საგანია. ამჯერად ვეცდებით განვიხილოთ, თუ როგორ არის წარმოდგენილი რელიგიური აღზრდის საკითხები მის „დედა ენაში“. იდეა მოზარდის რელიგიური და ზნეობრივი მორალის ფორმირებისა ამ წიგნშია ჩადებულია და ხორცშესხმული საკითხავი მასალის სახით. ამასთანავე, ავტორი ამ დროს ცდილობდა გაეთვალისწინებინა მოზარდის ასაკობრივი თავისებურებანი და არ გადაეტვირთა მისი გონება გაუგებრად, შეუგნებლად დაზეპირებული ლოცვებით. სწორედ ამიტომ სწავლების პირველ წელს იგი მოსწავლეებს სთავაზობდა მხოლოდ იესო ქრისტეს ცხოვრების ამსახველ სურათებსა და ორი პატარა ლოცვას: „უფალო შეგვიწყალე“ და

„მოგვმადლე უფალო“. ეს ლოცვები, მისი აზრით, არის „ადვილათ გასაგები ჰაზრის მხრივ და კიდევ უფრო ადვილათ დასახსომი სიპატარავის გამო“. „ყოველ დღე სათქმელი ლოცვების ახსნას, მათი შინაარსის გაგებას და ბოლოს ზეპირათ დასწავლას კლასი შეუდგება მხოლოდ მეორე წელს“ (ი. გოგებაშვილი, „დედა ენა“, 1876, წინასწიტყვაობა, გვ. *V*).

როგორც ვიცით, 21-ე გამოცემიდან „დედა ენა“ ორ ნაწილად გაიყო. ეს გამოცემა საინტრესოა იმითაც, რომ ამიერიდან იგი „ყველა სარწმუნოების ქართველთათვის“ იყო განკუთვნილი. წიგნის ორ ნაწილად გაყოფის მთავარი მიზეზიც ეს უნდა ყოფილიყო: პირველი – საანბანო - ნაწილი ყველა სარწმუნოების ქართველი მოზარდისათვის უნდა ყოფილიყო მისაღები: „წინათ ანბანში ერია ელემენტი მართლმადიდებელი ეკლესიისა, რომელიც ძლიერ უშლიდა ხელს გამაჰმადიანებულ ქართველებს, ქართველ ებრაელებსა და თვით ქართველ კათოლიკეთაც ეხმარათ ეს ანბანი. ოცდაპირველს გამოცემაში გამოვტოვეთ ეს ელემენტი და ამით შესაძლებელი გავხადეთ ანბანის სწავლება ყველა სარწმუნოების ქართველთათვის“ *(ი. გოგებაშვილი „დედა ენა“, მეორე ნაწ., 1907, წინასიტყვაობა*). ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს, თუ რა დიდი სიფრთხილით უდგებოდა ი. გოგებაშვილი რელიგიური აღზრდის საკითხებს.

ეს ცვლილება შეეხო „დედა ენის“ მხოლოდ პირველ ნაწილს, მეორე ნაწილი კი უფრო გამრავალფეროვნდა ქრისტიანულ-ზნეობრივი ხასიათის საკითხავი მასალით. მხედველობაში გვაქვს მისი „მოთხრობანი და ლექსები წმინდა ზნეობაზე“. პედაგოგი ცდილობს თავის შეიკავოს სახარებისეული შეგონებების დოგმატურად მიწოდებისაგან. სახარების შეგონებებს იგი თავად საკითხავ ტექსტში აქსოვს. დედააზრი ამ ნაწარმოებებისა თავად ტექსტების დასათაურებაში იკითხება: „სიკეთე სიკეთისათვის“, „ეფერებოდეთ ობლებსა“, „სამაგიერო სიკეთე“... **გიყვარდეთ მოყვასი თქვენი** – უქადაგებს იგი ამ მოთხრობებით ნორჩ მკითხველს. ამ მცნებას არანაკლებ მნიშვნელოვანი მცნება უკავშირდება: **შეიწყნარე მტერი შენი** – „თავის გაწირვა მტრისათვის“, „სიკეთე ბოროტისათვის“, „გულკეთილი ქვრივი“... ამ მოთხრობების კითხვისას შეუძლებელია არ გაგახსენდეთ სახარებისეული ჭეშმარიტება: „გიყვარდეთ თქვენი მტერი, დალოცეთ თქვენი მაწყევარნი, კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენს მდევნელთა და შეურაცხმყ0ფელთათვის, რათა იყოთ თქვენ შვილნი მამის თქვენის ზეციერისა“ (მათე,5, 44-45). ზნეობრივი კრიტერიუმების განსაზღვრისას ი. გოგებაშვილისათვის მიმტევებლობა და შემწყნარებლობაა მთავარი. „თუ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, თქვენც მოგიტევებთ მამა თქვენი ზეციერი“ (მათე,6,14). დიდი პედაგოგი ბავშვებს უქდაგებს საკუთარი შეცოდმების შეცნობასა და მონანიებას, რაც ხშირად ბოდიშის მოხდაში გამოიხატება. „როდესაც რამე შეგვეშლება, უნდა შევინანოთ და ბოდიში მოვიხადოთ. როდესაც ცოდვანი ჩვენი ჩვენს თვალწინ გვიდგებიან, მაშინ ღმერთსა ვთხოვთ, წყალობის თვალით გადმოგვხედოს, გვაპატიოს

შეცოდებანი და განიწმინდოს სულნი ჩვენნი ცოდვის თესლისაგან“ (ი. გოგებაშვილი, *ტ. II, გვ. 216*) .

არა იპარო - უქდაგებს მწერალი მოსწავლეებს, როცა საკითხავად სთავაზობს ისეთ დიდაქტიკურ მოთხრობებს, როგორიცაა: „შაქრო და კაჭკაჭი“, „ქურდი“, „ქურდი და მამალი“, „სირცხვილის აშორება“...

გიყვარდეთ და პატივი ეცით მშობლებს - მოძღვრავს იგი ბავშვებს მოთხრობებით: „ერთგული პატარა ქალი“, „დაკარგული ბავშვი“, „მამა და შვილები“, „დედობრივი სიყვარულის ძალა“. ამგვარად შერჩეული მასალა, ბავშვებს, გარდა იმის, რომ აზიარებს სახარებისულ ჭეშმარიტებას, აძლევს დაფიქრების, განსჯისა და სათანდო დასკვნების დამუკიდებლად გაკეთების შესაძლებლობასაც.

„სკოლებში პირველი ადგილი უნდა ეჭიროს შეგირდების მიერ ისეთი ცოდნის შეძენას, რომელიც მიესადაგება მათ აღზრდას, რომელიც გამოადგება საქრისტიანო ზნეობას“, _ ეს არის ამოსავალი წერტილი მისი პედაგოგიური კონცეფციისა, რომლის ხორცშესხმასაც მისი საანბანო წიგნი წარმოადგენს. „დედა ენა“ განათლებისა და ქრისტიანული სარწმუნოების შერწყმის შესანიშნავი ნიმუშია. სწორედ ამიტომაც გასცდა იგი საანბანო წიგნის ფარგლებს და ქართველთათვის ქრისტიანული ზნეობის მაგალითადაც გადაიქცა.

## ლიტერატურა:


1. *ა. ასათიანი, ნარკვევები ქრისტიანული პედაგოგოკის ისტორიიდან, ტ.I, თბ. 2007.*
2. *ი. გოგებაშვილი, „დედა ენა“, 1876.*
3. *ი. გოგებაშვილი „დედა ენა“, მეორე ნაწ., 1907.*
4. *ი. გოგებაშვილი, ტ. II, 1956.*
5. *გ. თავზიშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ. 1974.*
6. *მ. თალაკვაძე, ი. გოგებაშვილის ანბანის სახელმძღვანელოთა აგების პრინციპები, თბ. 1952.*
7. *ქრ. შარაშიძე, ქართული საანბანო წიგნის ბიბლიოთეკა, 1941.*

**CHRISTIAN PEDAGOGICS AND THE MANUALS OF GEORGIAN ALPHABET**

*Doctor of Pedagogical Sciences,*
*Ass.Prof.* **Natela Maghlakelidze**
*Faculty of Sciences and Art in Ilia University*

1. The multi century history of the Georgian bibliography is hard to imagine without literacy teaching. The abecedaries created in the ancient times were aimed not only at teaching literacy but the development of the pupils, based on the Christian morality. Christianity used to be a cornerstone of the Georgian pedagogic thinking. As the church had always been the oldest bed of education it was only natural that the abecedaries were created there. It also was the reason for knitting tightly the teaching of literacy and the prayers.
2. Georgian alphabet included into the Shatberdi collection is believed to be the oldest among the "alphabets" included into the written masterpieces known to this day, and it should have bore educational purposes as well. The experts believe that the term "alphabet" (anbani) is encountered there, as the unity of signs expressing the sounds of a certain language for the first time. They regard the book as the oldest of educational books preserved to this day. The alphabet is included into the Georgian church manuscripts of the following centuries as a teaching aid. In some cases it is supplied with the methodic recommendations. In this respect the calendar written by Tbel Abuseridze in 1233 is of major interest. It definitely is meant as educational. We learn that in accordance with the given abecedary certain days of the week used to be assigned for teaching literacy to the youths. From printed publications the alphabets included into the Psalms and Prayers are of particular interest in this respect. Alphabets are encountered in seven printed books of the 18$^{th}$ century, six of which are various editions (publications) of psalms, while the remaining one is a book of prayers published in Tbilisi. According to the experts' the alphabets included into the Psalms (1749) and Prayers (1793) represent a full, complete abecedaries, due to their construction, method, material distribution and exercises;
3. The "Iberian Alphabet with Prayers" published separately as the first manual in 1629 in Rome by the "Faith Spreading Society" should be regarded the first text-book. Prayers are used as reading material in the "Georgian Abecedary" of 1700 – 1710, printed in Stockholm, and "Russian-Georgian abecedary" printed in Petersburg in 1737-44). Use of religious texts for reading was a common practice for the manuals of the period. Moreover it was natural, as the theologians used to be mostly the authors of the manuals: Prokopovich Theophanus "Primary Teachings for the Youths", Moscow, Gayoz, "Abecedary", Mozdok, 1797, 1739, Tarasi The Monk-Priest, "Abecedary", Tiflis, 1825…)

4. It is worthy of note how the religious upbringing issues are presented by Iakob Gogebashvili. He declared both the school and the Church the source of virtue. The idea (thought) of forming the religious and moral ethics is embedded in “Deda Ena” and incarnated by the way of reading materials. The author was trying to take into account the age characteristics of the youths, without overburdening the mind with the prayers memorized mechanically. For this reason, in the first year, he offered the pupils only the portraits of the life of the Christ and two short prayers, “God have mercy upon us” and “Grant us oh Lord”. The definition of the daily prayers, comprehension of the content and finally memorizing would be attempted by the class on the next year only.” (I. Gogebashvili. “Deda Ena”, 1876, Preface, p.V).
5. As we do know, “Deda Ena” was split into two parts after the 21st edition. The mentioned edition is remarkable for the fact that it was meant for the Georgians of “all confessions”. The reason for splitting the book into two parts had to be the same: the first, the abecedary part – had to be acceptable for the youths of all confessions. Thus the changes were applied only to the first part of “Deda Ena”, while the second part was diversified by the reading materials of on Christian ethics. We are referring to the “Stories and verses on divine ethics.” The teacher tries to abstain from delivering the biblical exhortations in a dogmatic way. He integrates the biblical exhortations into the text itself.
6. “The schools should give priority to the provision of such knowledge which is relevant with their upbringing, and will be of use for the Christian ethics” – wrote I. Gogebashvili. “Deda Ena” is a perfect example of merging the education and Christian faith. That is why it left the limits of the abecedary book and turned into an example of Christian Ethics.

# ᲥᲕᲐᲜᲢᲣᲠᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘ

*პროფ.* ***რ. ბაბლიძე,*** *პროფ.* ***ნ. კეკელიძე,***
*უფროსი მასწ.* ***მ. ჩხაიძე***
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

განხილულია ანალოგიები წმინდა სამების ფენომენსა და ქვანტურ მოვლენებს შორის. მაგალითისათვის აღებული ზედენადი თხევადი ჰელიუმის ლანდაუს ორკომპონენტიანი მოდელის თავისებურებები. ნაჩვენებია ზედენადი თხევადი ჰელიუმის ბლანტი ანუ ნორმალური n-კომპონენტისა და არაბლანტი ანუ ზედენადი s-კომპონენტის ერთობლიობის მეტად მნიშვნელოვანი მსგავსება წმინდა სამების სამი ჰიპოსტატის, ანუ სამი მდგენელის სასწაულებრივ ფენომენთან. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ისევე, როგორც წმინდა სამების ფენომენისათვის, ანუ მისი სამი ჰიპოსტატისათვის, ასევე ზედენადი კომპონენტებისათვისაც საოცრად ადექვატურად ჟღერს წმინდა იოანე დამასკელის სიტყვები, რომ ისინი „შერეულნი არიან ერთმანეთში შეურევნელად და განცალკევებულნი არიან ერთმანეთისაგან განუყოფლად“.

მეცნიერება და რელიგია საზოგადოებრივი ცხოვრების ორი მეტად მნიშვნე-ლოვანი დარგია. ქვემოთ შევეცდებით დავასაბუთოთ, რომ მათ შორის არ არსებობს არავითარი ანტაგონიზმი და დაპირისპირება – პირიქით, ისინი ძალზე ეფექტურად ურთიერთქმედებენ და ეხმარებიან ერთმანეთს ჭეშმარიტების დადგენაში, თუმცა ისტორიული თვალსაზრისით, მათ შორის სულაც არ იყო ყოველთვის ერთფეროვანი ურთიერთობა. იყო მათ შორის აშკარად მტრული დამოკიდებულების პერიოდები. ეს განსაკუთრებით ეხება კათოლიკური ინკვიზიციის ხანას. ადამიანი დაბადებიდან კრიტიციზმითაა დაჯილდოებული და იგი ჭეშმარიტად მიიჩნევს მხოლოდ იმას, რისი ცხადად და თვალსაჩინოდ წარმოდგენა შეუძლია მის ინტელექტს, გონებას. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი უჯერებს მხოლოდ და მხოლოდ თავის „საღ აზრს“, რომელსაც მისი ინტელექტი გამოიმუშავებს ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე. ერთი სიტყვით, ადამიანი არწმუნებს საკუთარ თავს, რომ თუ მას არ ძალუძს რაიმე წარმოიდგინოს ცხადად და თვალსაჩინოდ, ასეთი რამ უბრალოდ არ შეიძლება არსებობდეს რეალობაში. ასეთი სქემა გაბატონებული იყო ძალიან დიდი ხნის განმავლობაში – უხსოვარი დროიდან ძალიან XX საუკუნის დასაწყისამდე, ვიდრე ქვანტურმა მექანიკამ არ უარყო ჭეშმარიტების ასეთი განმარტება და შეცვლა იგი ახალი პრინციპულად განსხვავებული დეფინიციით: ჭეშმარიტების ერთადერთი კრიტერიუმია მხოლოდ და მხოლოდ ცდა, ექსპერიმენტი. რაც ექსპერიმენტულად არ დასტურდება მისი ჭეშმარიტებად მიღება ყოვლად მიუღებელია. სინამდვილეში არსებობს ერთადერთი უზენაესი მსაჯული – ექსპერიმენტი ანუ ცდა, რასაც ეს მსაჯული დაადგენს საბოლოო, უაპელაციო ჭეშმარიტებაა და არავითარ განსჯას არ ექვემდებარება. სიცხადისათვის მოვიყვანოთ მაგალითები. დავიწყოთ „საღი აზრის“

პოზიციებიდან. ვთქვათ, რიამე საგანს ვისვრით ქვევიდან ზევით. ამისათვის საჭიროა ვუბიძგოთ მას, ანუ მივანიჭოთ საწყისი სიჩქარე ქვევიდან ზევით. მოძრაობა თავიდანვე იქნება შენელებული, რადგან დედამიწის მიზიდულობის ძალა ეწინააღმდეგება ზევით ასროლილი სხეულის მოძრაობას. შედეგად ამისა, მოძრაობის სიჩქარე კლებულობს და ერთ მომენტში სხეულის ზევით მოძრაობა შეწყდება და მისი სიჩქარე გაუტოლდება ნულს. იმავე მომენტში სხეული იწყებს ვარდნას ქვევით და დაეცემა იატაკზე. აქ ყველაფერი აღწერილია ცხადად და თვალსაჩინოდ – ყველაფერი გასაგებია. უდავო არგუმენტებს ეყრდნობა „საღი აზრი“. ასეთი მაგალითები უამრავია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და ჩვენი ლოგიკაც სიამოვნებით აღიქვამს მას, როგორც უდავო ჭეშმარიტებას.

მაგრამ სულ სხვა სიტუაციაა ქვანტურ მექანიკაში. მაგალითად, ელემენტარულ უმცირეს ნაწილაკებს, ვთქვათ, ელექტრონს ქვანტური მექანიკის თვალსაზრისით, ტრაექტორია არ გააჩნია. ანუ ელექტრონი სივრცის ერთი წერტილიდან ისე გადადის მეორე წერტილში რომ მას ტრაექტორია არ ესაჭიროება. ჩვენი „საღი აზრის“ თვალსაზრისით ეს ხომ სრული უაზრობაა. როგორ სხეული მოძრაობს ტრაექტორიის ანუ გზის გარეშე? პირდაპირ, რომ ვთქვათ, ეს ხომ ნამდვილი სისულელეა. მაგრამ, რა ვქნათ, თუკი ცდა ამას ადასტურებს ჯიუტად? საქმე კი ისაა, რომ ქვანტური განსაზღვრებით ელექტრონის მახასიათებელ სიდიდეებს შორის ტრაექტორია საერთოდ არ შედის. გაუგებარია? რა თქმა უნდა, გაუგებარია, მაგრამ ეს ექსპერიმენტულად დადასტურებული ჭეშმარიტებაა – ქვანტურ მექანიკაში ელემენტარულ ნაწილაკებს ტრაექტორია არა აქვთ, იგი მათ უბრალოდ არ ესაჭიროებათ.

ქვანტური მექანიკა ძალზე რთული მეცნიერებაა, როგორც მეთოდური ასევე მასში ჩადებული ფიზიკური წარმოდგენების თვალსაზრისით. ნობელის პრემიის ლაურეატის, აკადემიკოს ლევ ლანდაუს [1] სიტყვებით, ქვანტური მექანიკა იყო პირველი, სადაც ადამიანმა შეძლო აღმოეჩინა და შეესწავლა ისეთი მოვლენები, რომელთა გაგება და წარმოდგენა მას თავად აღარ შეუძლია და რაც ყველაზე მთავარია, ეს არა იმიტომ, რომ ადამიანის ინტელექტი სუსტია ამისათვის, არამედ იმის გამო, რომ ქვანტური მოვლენების ცხადად და თვალსაჩინოდ წარმოდგენა პრინციპულად შეუძლებელია. მეტიც, ასეთი მცდელობაც კი მიუღებელია, არაკორექტულია. ნუ შეეცდებით მოატყუოთ ბუნება და წარმოიდგინოთ ის, რისი წარმოდგენაც შეუძლებელია – გვაფრთხილებს აკადემიკოსი ლანდაუ. ცნობილი ამერიკელი ფიზიკოსი, ასევე ნობელის პრემიის ლაურეატი რიჩარდ ფეინმანი ამ გაუგებრობებთან დაკავშირებით ამბობს [2]: „მე სრულიად კატეგორიულად შემიძლია განვაცხადო, რომ მსოფლიოში ქვანტური მექანიკა არავის არ ესმის!“. მაგრამ აქ ერთი ნიუანსია – ტერმინი „არ ესმის“ არ ნიშნავს, „არ იცის“. ფიზიკოსებმა ქვანტური მექანიკა, რა თქმა უნდა, იციან და თანაც ძალიან კარგად იციან. წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნებოდა ეს საშინელი ძალის ატომური და

წყალბადის ბომბები, ლაზერები, ფანტასტიკური კოსმონავტიკა, სასწაულმოქმედი სამედიცინო ტომოგრაფები და კიდევ ათასი სხვა რამ საოცრება. ერთი სიტყვით – ფიზიკოსებმა ქვანტური მექანიკა იციან, მაგრამ არ ესმით! აი, ასე, მოკლედ, კონკრეტულად და სრულიად გაუგებრად. გამოსავალი ერთადერთია – უნდა შევეჩვიოთ, რომ დღეს, ქვანტურ ეპოქაში, ჭეშმარიტების ერთადერთი კრიტერიუმია მისი უდიდებულესობა ცდა ანუ ექსპერიმენტი! მისი ვედრიქტი საბოლოოა და არავითარ განსჯას არ ექვემდებარება. ამის კარგი მაგალითია, ის ფაქტი, რომ არცერთ თეორიულ კონცეფციას, აღმოჩენას არ ანიჭებენ მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ ნობელის პრემიას, ვიდრე იგი არ დადასტურდება ექსპერიმენტულად.

ახლა გადავიდეთ უშუალოდ ჩვენს ძირითად პრობლემაზე – როგორ განიხილავს ქვანტური მექანიკა ქრისტიანული რელიგიის ძირითად დოგმატს, ღვთაებრივ წმინდა სამებას.

ღმერთის არსის თვალსაჩინო და ცხადი წარმოდგენა ადამიანის გონებისათვის აბსოლუტურად მიუწვდომელია [3]. ამითაა განპირობებული ფუძემდებლური პარადიგმა – რელიგიის საფუძველი არის რწმენა. ჭეშმარიტი მორწმუნეთათვის ყველაფერი წესრიგშია – პრობლემები არ არსებობს. მაგრამ დანართჩენთათვის ძირითადი პრობლემატური მოწინააღმდეგე, კვლავ და კვლავ, არის იგივე „საღი აზრი“ თავისი თვალსაჩინო და ცხადი წარმოდგენების მოთხოვნით.

ვნახოთ როგორ ახერხებს ქვანტური მექანიკა ამ ჩახლართული სიტუაციიდან გამოსვლას.

ქრისტიანული რელიგიის თითქმის ყველა დოგმატი გამომდინარეობს ღმერთის ერთიანობისა და სამსახოვანი არსის ფენომენიდან, ღმერთი თავისი არსით სრულიად ერთიანია, მაგრამ არსებობს სამი სახის, სამი ჰიპოსტასის ერთიანობაში – მამა, ძე და სული წმინდა. ესაა სწორედ წმინდა სამება, რომელიც არსებობს მხოლოდ ერთ მთლიანობაში – მისი დაცალკევება სამ დამოუკიდებელ წევრად პრინციპულად შეუძლებელია, წარმოუდგენელია. წმინდა იოანე დამასკელის შესანიშნავი განმარტებით [3] სამი ჰიპოსტასი „შერეულნი არიან ერთმანეთში შეურევნელად და განცალკევებულნი არიან ერთმანეთისაგან განუყოფლად“. უკეთესი ფორმულა ძნელი მოსაფიქრებელია – სამი ჰიპოსტასი არსებობს მხოლოდ ერთიანობაში, მათი გამოყოფა, დანაწილება ცალ-ცალკე გამორიცხულია.

გასული XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ფიზიკაში შეიქმნა ძალზე დელიკატური სიტუაცია, რომელსაც დღემდე ანალოგი არ გააჩნია. საქმე ეხება აკადემიკოს პეტრე კაპიცას მიერ თხევადი ჰელიუმის ზედენადობის აღმოჩენას [4], რისთვისაც მას ნობელის პრემია მიენიჭა. როგორც აღმოჩნდა, ძალიან დაბალი ტემპერატურის პირობებში $\left(T \approx -270^0 C\right)$ თხევადი ჰელიუმი კარგავს სიბლანტეს, მისი სიბლანტის კოეფიციენტი ხდება ნულის ტოლი ($\eta = 0$). ამ მოვლენას კაპიცამ უწოდა „ზედენადობა“. არასპეციალისტებისათვის ეს ყოველივე ალბათ სულაც არაა ისე ტრაგიკული, როგორც ამას ფიზიკოსები აღიქვამენ. საქმე ისაა, რომ არაბლანტი

სითხის $(\eta = 0)$ წარმოდგენა ჩვეულებრივი ან კლასიკური ფიზიკის ფარგლებში სრული უაზრობაა, რადგან პირობა $\eta = 0$ ნიშნავს, რომ ასეთი სითხე არავითარ წინააღმდეგობას არ უწევს მასში მოძრავ სხეულებს. ეს კი ადამიანის გონებისათვის აბსოლუტურად მიუღებელია. მეორე მხრივ, სწორედ ასეთი მოვლენა აღმოაჩინა კაპიცამ ექსპერიმენტულად. აქედან გამოდმინარეობს ერთადერთი დასკვნა – აქ ჩვენ საქმე გვაქვს ქვანტურ მოვლენასთან. როგორც ცნობილია ქვანტური მოვლენების ცხადი და თვალსაჩინო წარმოდგენა შეუძლებელია, არაკორექტულია. თუ ჭეშმარიტების ერთადერთი კრიტერიუმი მეცნიერებაში არის ცდა, მაშინ ნებისმიერი ფიზიკური სიდიდის გაზომვა სხვადასხვა მეთოდით უნდა იძლეოდეს ერთიდაიგივე შედეგს. კაპიცამ თავის ექსპერიმენტში გამოიყენა ძალიან ვიწრო ხვრელში სითხის გადინების მეთოდი. წარმოვიდგინოთ სითხით სავსე ჭიქა, რომლის ფსკერში არსებობს ძალიან ვიწრო ხვრელი. რაც უფრო მეტი იქნება სითხის სიბლანტე, მით უფრო მეტად გაუჭირდება სითხეს ხვრელში გადინება და ნაკლები იქნება გადინების სიჩქარე. ასეთი ცდით კაპიცამ აჩვენა, რომ გარკვეულ პირობებში $(T \approx -270^0 C)$ თხევად ჰელიუმს სიბლანტე არ გააჩნია $(\eta = 0)$ ე.ი. იგი იმყოფება ზედენადობის მდგომარეობაში.

სითხის სიბლანტის გაზომვა სხვა მეთოდებითაც შეიძლება. მაგალითად, თუ სითხეში ჩავაგდებთ ბურთულას, იგი ჩაიძირება, თანაც მისი მოძრაობის სიჩქარე მით ნაკლები იქნება, რაც მეტია სითხის სიბლანტე. და აქ მოხდა მეორე საოცრება, ამ მეთოდით გაზომილი თხევადი ჰელიუმის სიბლანტე, იგივე პირობებში ( $T \approx -270^0 C$) აღარ აღმოჩნდა ნულის ტოლი $(\eta \neq 0)$. ე.ი. გაზომვის ეს მეთოდი აღარ ადასტურებს თხევადი ჰელიუმის ზედენადობას. პირველი შეხედვით, ჩვენ საგანგებოდ ვუწოდეთ „დელიკატური“ – საქმე ისაა, რომ ორივე შემთხვევაში გაზომვები აბსოლუტურად ზუსტი და კორექტულია. მაშ, რა გამოდის – ერთსა და იმავე დროს თხევად ჰელიუმს სიბლანტე აქვს კიდეც $(\eta \neq 0)$ და არცა აქვს $(\eta = 0)$. მეორე ასეთი საოცარი ფაქტი მეცნიერებამ დღემდე არ იცის.

გამოსავალი ამ ჩახლართული მდგომარეობიდან იპოვა აკადემიკოსმა ლევ ლანდაუმ, რისთვისაც მასაც მიანიჭეს ნობელის პრემია.

ქვემოთ შევეცდებით მოვიყვანოთ ლანდაუს თეორიის უმარტივესი განმარტება. ლანდაუმ თხევადი ჰელიუმი წარმოიდგინა, როგორც განსხვავებული თვისებების მქონე ორი სითხის განსაკუთრებული ნარევი [5]. ასეთი მოდელის თანახმად, ზედენადი თხევადი ჰელიუმი არის სითხე, რომელიც შედგება ორი მდგენელისაგან, ორი კომპონენტისაგან. აქედან ერთ კომპონენტს სიბლანტე არ გააჩნია და მას ზედენადი, ანუ s-კომპონენტი ეწოდება და მისი სიბლანტე ნულის ტოლია $(\eta = 0)$. მეორე კომპონენტი ჩვეულებრივი ბლანტი სითხეა, მას ნორმალური ანუ n-კომპონენტი ეწოდება და, ცხადია, მისი სიბლანტე არ უდრის ნულს $(\eta \neq 0)$.

მეორე ტიპის ცდაში, ბურთულა ჩაძირვისას წინააღმდეგობას განიცდის ბლანტი n-კომპონენტის მხრიდან და ვიღებთ აქაც სრულიად გასაგებ შედეგს $(\eta \neq 0)$. ე.ი. ამ შემთხვევაში ჩვენ ვზომავთ ნორმალური n-კომპონენტის სიბლანტეს.

აი ასე, ერთი შეხედვით სრულიად მარტივად, ახსნა ლანდაუმ კაპიცას ექსპერიმენტის სრულიად არაორდინალური შედეგები – $(\eta s = 0)$, $(\eta \neq 0)$. აქვე უნდა გამოვტყდეთ, რომ ამ მოჩვენებითი სიმარტივის უკან იმალება ქვანტური მექანიკის ძალზე რთული და სერიოზული შინაგანი ლოგიკა, რომლის ცხადად და თვალსაჩინოდ წარმოდგენა ადამიანის გონებისათვის აბსოლუტურად მიუწვდომელია. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შევეცდებით, რაც შეიძლება მარტივად ავხსნათ როგორ ესადაგება ზედენადი თხევადი ჰელიუმის ორკომპონენტიანი, ორსახოვანი ანუ ორჰიპოსტასიანი მოდელი, სმინდა სამების სამსახოვან ანუ სამჰიპოსტასიან ფენომენს.

თხევადი ჰელიუმის ლანდაუსეული ორკომპონენტიანი მოდელი ქვანტური ფენომენია და მისი ცხადად და თვალსაჩინოდ წარმოდგენა ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელია. კერძოდ, ზედენადი (არაბლანტი) s-კომპონენტი და ნორმალური (ბლანტი) n-კომპონენტი შერეულნი არიან ერთმანეთში ისეთნაირად, რომ ინარჩუნებენ ინდივიდუალურ თვისებებს, მაგრამ მანამ, სანამ ისინი ერთად არიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზედენადი ჰელიუმის s და n-კომპონენტები „შერეულნი არიან ერთმანეთთან შეურევნელად“, ანუ მათი შერევა, ერთად ყოფნა არ იწვევს მათი ინდივიდუალური თვისებების აღრევას – s-კომპონენტი რჩება ზედენად, არაბლანტ $(\eta = 0)$, n-კომპონენტი კი ჩვეულებრივ ბლანტ სითხედ $(\eta \neq 0)$.

მეორე მხრივ, ასეთი ქვანტური მოდელის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ მისი კომპონენტების განცალკევება პრინციპულად შეუძლებელია. ე.ი. აბსოლუტურად გამორიცხულია ერთმანეთისგან გამოვყოთ ცალკე s და n-კომპონენტები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვანტური მექანიკა კატეგორიულად კრძალავს ცალკე s და ცალკე n კომპონენტების არსებობის შესაძლებლობას.

ამრიგად, აქაც ზედენადი ჰელიუმის s და n კომპონენტები „განცალკევებულნი არიან განუყოფლად“ ე.ი. ინარჩუნებენ ინდივიდუალობას, ვიდრე ერთად არიან, მათი განცალკევება ანუ გაყოფა პრინციპულად არ ხერხდება. ზემოთ მოყვანილი, ბრჭყალებში ჩასმული ფრაზები „შეურევნელად შერეულნი“ და „განუყოფლად განცალკევებულნი“ მოვიყვანეთ წმინდა იოანე დამასკელის ნაშრომიდან [3], რომელშიც იგი მსჯელობს წმინდა სამების ღვთიურ ფენომენზე.

ზემოთ განხილული ზედენადობის გარდა ბუნებაში არსებობს უამრავი სხვა ქვანტური მოვლენა. ყველასათვის საერთოა ის, რომ მათი ცხადი და თვალსაჩინო წარმოდგენა ადამიანის გონებას არ ძალუძს და ეს მაშინ, როცა ექსპერიმენტი სრული სიცხადით და სრულიად დამაჯერებლად ადასტურებს მათ რეალურ არსებობას. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია განსაკუთრებულად

ხაზგასმით წარმოვაჩინოთ ქვანტური მექანიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, გნებავთ, გლობალური დებულება – სენტენცია:

ის ფაქტი, რომ ჩვენს გონებას არ შეუძლია რაიმე მოვლენის ცხადად და თვალსაჩინოდ წარმოდგენა, სულაც არ ნიშნავს, რომ ასეთი მოვლენა საერთოდ არ არსებობს. კერძოდ, გამომდინარე ზემოთქმულიდან, წინამდებარე სტატიის დასაწყისში მოყვანილი ფრაზა: „...ის, თუ რა არის ღმერთი, თავისი არსითა და ბუნებით, – ეს სრულიად მიუწვდომელია და უცნობია ადამიანის გონებისათვის" [3], ქვანტური მექანიკის შინაგანი ლოგიკის შესაბამისად, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წარმოადგენდეს რაიმე საეჭვო კონტრარგუმენტს ღმერთის არსებობის საკითხისათვის.

ახლა გადავიდეთ უშუალოდ წმინდა სამების ფენომენზე. მეცნიერება, რა თქმა უნდა, გაცილებით ახალგაზრდაა რელიგიასთან შედარებით. რელიგიის განვითარების პირველ ეტაპებზე გავრცელებული იყო მრავალღმერთიანობის მოდელი, ვიდრე ძველი აღქმის გამოცხადებამ საბოლოოდ და კატეგორიულად არ დაამკვიდრა ერთი ღმერთის რწმენის საყოველთაო მოძღვრება. ძველ აღთქმაში, ახალთან შედარებით, წარმოდგენები და მსჯელოლზები ღმერთის სამპიროვნებაზე, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ შედარებით ბუნდოვანია. ღმერთის სამპიროვნება, მისი სამი ჰიპოსტასის სახით არსებობა განსაკუთრებით გაცხადდა უფლისა ჩვენის, იესო ქრისტეს ამქვეყნად გამოჩენისას.

ქრისტიანული სარწმუნოების ძირითადი საეკლესიო სიმბოლოს თანახმად, ღმერთი ერთია, ე.ი. ერთი არსებაა, მაგრამ იგი შეიცნობა სამი ჰიპოსტასის სახით, რომელნიც „ერთმანეთში შერეულნი არიან შეურევნელად და განცალკევებულნი არიან განუყოფლად" [3], ანუ, როგორც მრავალჯერ იყო ჩვენ მიერ აღნიშნული, სამების ჰიპოსტასები არსებობენ მხოლოდ ერთად, მათი განცალკევება კი გამორიცხულია. ამ ფორმულას ზოგჯერ ასეც გამოთქვამენ: „ღმერთი ერთია, ღმრთაება – სამი პირია".

ყოველი შემთხვევისათვის, ყოველგვარი მოულოდნელი გაუგებრობისგან თავის დაზღვევის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთი ნიუანსის განხილვა. გამოუცდელ მკითხველში შეიძლება გამოიწვიოს ერთგვარი ილუზია, რომ აქ ჩვენ შევძელით ზედენადი ჰელიუმიადნ ცალკე გამოგვეყო ზედენადი ს-კომპონენტი, რადგან მას სიბლანტე არ გააჩნია ($\eta s = 0$).

მართლაც, სრული ილუზიაა – თუ მოვაგროვებთ ხვრელიდან გამომდინარე სითხეს ხელში თითქოს შეგვრჩება გამოცალკევებული ზედენადი s-კომპონენტი, მაგრამ რეალობა სულ სხვაგვარია. ჩვენდა გასაოცრად, შეგროვილი სითხე იქნება არა განცალკევებული ზედენადი s-კომპონენტი, არამედ ჩვეულებრივი თხევადი ჰელიუმი, რომელიც შეიცავს ორივე n და s კომპონენტებს ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც კი ზედენადი s-კომპონენტი გამოვა ხვრელიდან, იგი დაუყოვნებლივ, იმავე წამს, როგორც ფიზიკოსები იტყვიან, მყისეულად გადაიქცევა

ჩვეულებრივ ორკომპონენტიან ზედენად თხევად ჰელიუმად. გაუგებარია? გეთანხმებით, მაგრამ ასეთია ქვანტური მოვლენების შინაგანი ლოგიკა. ასე რომ, ჩვენ მართლაც საქმე გვაქვს „ერთმანეთში შეურევნელად შერეულ“ და „განუცალკევებლად გაყოფილ“ n და s კომპონენტებთან, ზუსტად ისე, როგორც ამას გვასწავლის ქრისტიანული რელიგიის სიმბოლო წმინდა სამების სასწაულებრივი ერთიანობის შესახებ.

შეგვეძლო კიდევ უამრავი ანალოგიური ფორმულის მოყვანა ღმერთის ერთიანობისა და მისი სამსახოვნების შესახებ, მაგრამ ერთი რამ მათთვის სრულიად საერთოა – ადამიანის საღ აზრს, რომელიც მას მიღებული აქვს თავისი ყოველდღიური პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე, წმინდა სამების არსის ადექვატური შეცნობა არ ძალუძს. ადამიანთა დიდი უმრავლესობა არ იჯერებს იმას, რაც უშუალოდ არ უნახავს და არ გაუგონია. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დეკარტი აცხადებდა, რომ ჭეშმარიტია ის, რაც ადამიანის გონებას შეუძლია წარმოიდგინოს ცხადად და თვალსაჩინოდ. დეკარტისეული ეს განმარტება მძლავრ წინააღმდეგობას უწევდა ქვანტურ მექანიკასა და ფარდობითობის თეორიას, ვიდრე ექსპერიმენტებმა პრინციპულად არ დაამარცხეს მისი ბატონობა. ზემოთ ჩვენ მრავალჯერ აღვნიშნეთ და ერთხელ კიდევ გავიმეორებთ: ის ფაქტი, რომ ჩვენ რაიმე მოვლენას ვერ აღვიქვამთ ცხადად და თვალსაჩინოდ, არ ნიშნავს, რომ ეს მოვლენა არ არსებობს. კერძოდ, ის ფაქტი, რომ ღმერთის არის და ბუნება ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელია, არ გამოდგება იმის მტკიცებად, რომ ღმერთი არ არსებობს. ანალოგიისათვის ჩვენ მოვიყვანეთ ექსპერიმენტულად მკაცრად დადასტურებული, ზედენადი თხევადი ჰელიუმის ლანდაუსეული ორკომპონენტიანი მოდელი, რომელშიც შემადგენელი ჰიპოსტასები, ზედენადი s-კომპონენტი და ბლანტი n-კომპონენტი „შერეულნი არიან ერთმანეთთან შეურევნელად და განცალკევებულნი არიან ერთმანეთისაგან განუყოფლად“, ზუსტად ისე, როგორც ამას ამტკიცებს ქრისტიანული ეკლესიის ძირითადი სიმბოლო, წმინდა სამების სამი ჰიპოსტასის: მამის, ძისა და სულიწმიდის შესახებ.

პაპ პიუს XII ღრმა რწმენით: კათოლიკური რწმენა რაციონალურია და ასაზრდოვებს ნდობას ადამიანური ცოდნისადმი... რწმენის შეცნობა არ ეწინააღმდეგება ცოდნას... მხოლოდ ჰარმონიულ ურთიერთობას რწმენასა და ცოდნას შორის, შეუძლია, აჩვენოს სწორი გზა ღმერთისა და თვით-რეალიზებისაკენ... ამგვარად, რწმენა არ შედის კონფლიქტში მეცნიერებასთან, არამედ თანამშრომლობს მასთან; სთავაზობს რა ფუნდამენტალურ კრიტერიუმებს, რათა მან ხელი შეუწყოს საყოველთაო კეთილდღეობას და ითხოვს მხოლოდ, რომ მეცნიერებამ შეწყვიტოს ის ინიციატივები,

რომელთაც, ღმერთის თავდაპირველი ჩანაფიქრისადმი წინააღმდეგობით, შეიძლება გამოიწვიონ შედეგები, რომლებიც თავად ადამიანის წინააღმდეგ ბრუნდება... თუ მეცნიერება, რწმენის ფასეული მოკავშირეა, სამყაროსადმი ღმერთის ჩანაფიქრის ჩვენეული გაგებით, რწმენა წარმართავს სამეცნიერო პროგრესს კაცობრიობის კეთილდღეობისა და ჭეშმარიტებისაკენ” [3.29.].

პიუს XII რწმენას ასახელებს უზენაესად, ხოლო რწმენის მეცნიერებას უწოდებს თეოლოგიას. პონტიფექსის აზრით, თომა აკვინელმა შექმნა აპოლოგეტიკა ჯანსაღ და ნამდვილ საფუძველზე, ცოდნისა და რწმენის კომპეტენციებს შორის განსხვავების ზუსტი განსაზღვრით. ,,კარგადაა ცნობილი, თუ რაოდენ ამაღლებულად უყურებს ეკლესია ადამიანურ ცოდნას, ვინაიდან ცოდნა, ნათლად ცხადყოფს, ღმერთის არსებობას” [4.29].

ვატიკანის I კრებაზე, სპეციალური სხდომები მიეძღვნა რწმენის და მეცნიერების საკითხებს. კრების დასასრულს მიღებული დოგმატური კონსტიტუცია, საგანგებოდ ეხება და მთელ თავს უძღვნის რწმენისა და მეცნიერების თანაარსებობისა და ერთიანობის პრობლემებს. დოგმატური კონსტიტუცია ადგენს და ამოწმებს, რომ: ,,მართალია, რწმენა ცოდნაზე მაღლა დგას, არასოდეს იქნება რაიმე რეალური უთანხმოება რწმენასა და ცოდნას შორის, მაშინ როცა იგივე ღმერთია, რომელიც აცხადებს საიდუმლოებებს და ნერგავს რწმენას, რომელმაც ადამიანის გონებას უბოძა ცოდნის ნათელი” [5].

დოგმატური კონსტიტუცია, სრულად წარმოაჩენს, ერთის მხრივ, ეკლესიის და ქრისტიანული საზოგადოების დამოკიდებულებას, მიდგომებს სახარებისეული რწმენისა და ტრადიციებისადმი, ასევე, მეორეს მხრივ, იგი ამზადებს ქრისტიანებს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებისადმი. ეკლესიის პოზიცია, ცალსახა და ნათელია რწმენის, მეცნიერების ურთიერთმიმართებისადმი. ეკლესიის სწავლებით, რწმენა და ცოდნა ,,ერთმანეთს ამაგრებენ, ვინაიდან, ერთის მხრივ, ცოდნამ შექმნა რწმენის საფუძვლები და მისი ნათელით გასხივოსნებული, ავითარებს ღვთაებრივ საკითხთა მეცნიერებას; მეორეს მხრივ, რწმენა იცავს ცოდნას შეცდომებისაგან და აღჭურვავს მას მრავალი სახის შემეცნებით” [6.10].

რწმენისა და ცოდნის, ეკლესიისა და მეცნიერების ურთიერთ დამოკიდებულების და ამ მიმართებით, პაპმა იოანე-პავლე II, ქრისტიანთა პოზიციის შესახებ, მნიშვნელოვანი ხედვა განავითარა. პაპმა 1998 წელს, საგანგებო ენციკლიკა მიუძღვნა რწმენის და მეცნიერების ერთობას, მათ ურთიერთ ჰარმონიულ თავსებადობას და არაკონფლიქტურობას. ენციკლიკაში – იდეს Fides et Ratio წმ. იოანე-პავლე II წერს: ,,რწმენა ითხოვს, რომ მისი საგანი გაგებულ იქნას ცოდნის დახმარებით; თავისი ძიების მწვერვალზე კი ცოდნა აღიარებს, რომ მას არ შეუძლია მის გარეშე, რასაც რწმენა წარმოადგენს...” [7.42].

ექვსი წლით ადრე, 1992 წლის 4 ნოემბერს, იოანე-პავლე II, მეცნიერებათა პონტიფიკალურ აკადემიას მიმართავს წერილით, სადაც ამოწმებს, რომ ,,რწმენა არასდროს დაუპირისპირდება ცოდნას" და, რომ ,,არსებობს შემეცნების ორი სფერო; ერთი, რომელსაც თავისი წყარო გამოცხადებაში აქვს და მეორე, რომლის აღმოჩენაც, ცოდნას შეუძლია თავისი ძალით. ამ უკანასკნელს, განსაკუთრებით, მიეკუთვნება ექსპერიმენტული მეცნიერებები და ფილოსოფია. განსხვავება, შემეცნების ამ ორ სფეროს შორის, არ უნდა იქნას გაგებული, როგორც წინააღმდეგობა. ეს ორი სფერო, არაა სრულად უცხო ერთმანეთისთვის, მათ გააჩნიათ შეხების წერტილები. თითოეულისთვის შესაფერისი მეთოდოლოგიები, შესაძლებელს ხდის, სინამდვილის სხვადასხვა ასპექტების გამოვლენას" [8.12].

დღევანდელი სამყაროს ერთ-ერთი გამორჩეული ინტელექტუალი, პაპი ბენედიქტე XVI, ჯერ კიდევ კარდინალად ყოფნის დროს, როდესაც რწმენის კონგრეგაციას ხელმძღვანელობდა, დიდ ყურადღებას უთმობდა მეცნიერებასა და ფილოსოფიას. თითქმის ყოველ თეოლოგიურ ნაშრომს, დიდი ყურადღებით ეცნობოდა და ხშირად მათ ავტორებსაც, გულისყურით უსმენდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ბენედიქტე XVI-ის პოზიცია Mრელიგიის და მეცნიერების, რწმენის და რაციონალური გონების ჰარმონიულ თანაარსებობაზე; ცოდნით და რწმენით ღმერთის შეცნობაზე.

2010 წელს, რწმენის და ცოდნის თემას, ბენედიქტე XVI სპეციალური კატეხეზა მიუძღვნა. ვატიკანში, პავლე VI საკონფერენციო დარბაზში, რწმენის წელიწადთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრაზე, პაპმა კატეხეზა პირადად წაიკითხა: ,,კათოლიკური რწმენა რაციონალურია და აგრეთვე, ასაზრდოებს ნდობას ადამიანური ცოდნისადმი... რწმენის შეცნობა არ ეწინააღმდეგება ცოდნას... მხოლოდ ჰარმონიულ ურთიერთობას, რწმენასა და ცოდნას შორის, შეუძლია აჩვენოს სწორი გზა ღმერთისა და თვით-რეალიზებისაკენ... სწორი ურთიერთობა, მეცნიერებასა და რწმენას შორის, აგრეთვე, ემყარება ნაყოფიერ ურთიერთქმედებას შემეცნებასა და რწმენას შორის. სამეცნიერო კვლევა იწვევს, კაცობრიობას და კოსმოსთან დაკავშირებულ ახალ ჭეშმარიტებათა შემეცნებას. კაცობრიობის ჭეშმარიტი კეთილდღეობა, რწმენის მეშვეობით ხელმისაწვდომი, აღნიშნავს მიმართულებას, რომელსაც აღმოჩენის მისეული გზა უნდა მიჰყვებოდეს" [9].

პაპმა, საგანგებო აქცენტი გააკეთა რწმენის და გონების დაპირისპირების შეცდომაზე - ,,ამგვარად, რწმენა არ შედის კონფლიქტში მეცნიერებასთან, არამედ თანამშრომლობს მასთან, სთავაზობს რა ფუნდამენტურ კრიტერიუმებს, რათა მან ხელი შეუწყოს საყოველთაო კეთილდღეობას და ითხოვს მხოლოდ, რომ მეცნიერებამ შეწყვიტოს ის ინიციატივები, რომელთაც, ღმერთის თავდაპირველი ჩანაფიქრისადმი წინააღმდეგობით, შეიძლება გამოიწვიონ შედეგები, რომლებიც თვითონ ადამიანის წინააღმდეგ ბრუნდება... თუ, მეცნიერება, რწმენის ფასეული მოკავშირეა, სამყაროსადმი

ღმერთის ჩანაფიქრის ჩვენეული გაგებით, რწმენაც წარმართავს სამეცნიერო პროგრესს კაცობრიობის კეთილდღეობისა და ჭეშმარიტებისაკენ" [10].

კატეხეზის დროს, ბენედიქტე XVI საგანგებოდ, ხაზი გაუსვა თავის პოზიციას და აღნიშნა, რომ ,,მე ყოველთვის ვუარყოფდი ე.წ. ფიდეიზმის პრინციპს, მწამდეს – გონების საპირისპიროდ" [11].

წინამორბედი პაპების დარად, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს რწმენისა და მეცნიერების ურთიერთობას, პაპი ფრანცისკე: ,,დიალოგი მეცნიერებასა და რწმენას შორის, აგრეთვე ეკუთვნის ევანგელიზაციის საქმეს მშვიდობის სამსახურში. მაშინ, როცა პოზიტივიზმი და სციენტიზმი უარყოფენ ცოდნის სხვა ფორმათა ნამდვილობას, გარდა პოზიტიურ მეცნიერებათა ფორმებისა, ეკლესია სთავაზობს სხვა გზას, რომელიც მოითხოვს სინთეზს, ემპირიულ მეცნიერებათა შესაფერისი მეთოდების საპასუხისმგებლო გამოყენებასა და შემეცნებას სხვა სფეროებს შორის, როგორებიცაა ფილოსოფია, თეოლოგია, ასევე თვითონ რწმენა... რწმენა არ უშინდება ცოდნას; პირიქით, ის ძიობს და ენდობა ცოდნას, მაშინ, როცა ცოდნის ნათელიც და რწმენის ნათელიც ღმერთისგან მოდის და არ დაუპირისპირდება ერთმანეთს" [12.242]

პაპის ხედვით, სამეცნიერო კვლევის სფეროში პოზიტიურმა აზროვნებამ, არა მარტო უარყო სამყაროს ქრისტიანული ხედვა, არამედ, მეტადრე უგულებელყო მორალური ხედვის მოწოდება. რაციონალიზმის კრიზისი გადაიქცა ნიჰილიზმად. ,,ეკლესია არ უარყოფს მეცნიერების საოცარ პროგრესს. პირიქით, ის აღტაცებულია იმ უზარმაზარი პოტენციალის აღიარებით, რომელიც ღმერთმა უბოძა ადამიანის გონებას. როცა კი მეცნიერებები _ მკაცრად ფოკუსირებულნი კვლევის საკუთარ სპეციფიკურ სფეროზე _ მიდიან დასკვნამდე, რომლის უარყოფაც არ შეუძლია ცოდნას, რწმენა არ უპირისპირდება მას... დროთა განმავლობაში, მეცნიერებმა, გადალახეს მათი სამეცნიერო კომპეტენციის შეზღუდვები, გარკვეული განცხადებების და მოთხოვნების გაკეთებით. მაგრამ აქ, პრობლემა არაა თვითონ ცოდნასთან, არამედ, ცალკეული იდეოლოგიის მხარდაჭერასთან, რომელიც გზას უღობავს ჭეშმარიტ, მშვიდ და ნაყოფიერ დიალოგს" [13.243].

პაპ ფრანცისკეს პოზიციაც, ზუსტად იმეორებს მისი წინამორბედისა და წმინდანად შერაცხული პაპის, იოანე-პავლე II-ის ხატოვან გამონათქვამს, რომ ,,რწმენა და ცოდნა ჰგავს ორ ფილტვს, რომლებითაც ადამიანური სულისკვეთება მაღლდება ჭეშმარიტების განჭვრეტამდე" [14.42.].

დრომ გვიჩვენა, რომ ქრისტიანულ კონფესიათა დაახლოების პროცესში, როგორც ეკუმენურმა მოძრაობამ, ასევე საერთო სეკულარიზაციამ, უარყოფითი როლი შეასრულა. უკანასკნელ ათწლეულებში, ეკლესიის მიმართ განსაკუთრებულ გამოწვევებს სეკულარიზაციის გაძლიერება აყენებს. ჯერ კიდევ 1985 წელს, ჟურნალ ,,ჯვარი ვაზისაში", წილკნელი ეპისკოპოსი ზოსიმე, მიუთითებდა იმ მავნე ზეგავლენის შესახებ, რომელსაც ახდენდა ტოტალური სეკულარიზაცია საზოგადოებაზე. თუმცა, ამ

პროცესში, დადებითი მუხტის მატარებელი გახდა მეცნიერების და რელიგიის ჰარმონიზაციის კუთხით წარმოებული ეკლესიათა ფართომასშტაბიანი თანამშრომლობა. საქართველოს სინამდვილეში, ამის ნათელი მაგალითია – კათოლიკე ეკლესიის მიერ, საქართველოში და საპატრიარქოში, ერთობლივად ჩატარებული სამეცნიერო ფორუმები და ასევე, ამ ეკლესიათა ეგიდით, ასევე სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლების თანამონაწილეობით განხორციელებული სიმპოზიუმები. თვალსაჩინოებისათვის გამოვყოფთ ერთ-ერთ ასეთ საერთაშორისო ფორუმების ციკლს, როდესაც სამი სიმპოზიუმი მიეძღვნა – ასურელი, კაბადოკიელი და იერუსალიმელი მამების მოღვაწეობას, როგორც აღმოსავლურ ისე დასავლურ საეკლესიო ტრადიციებში. ამ ღონისძიებებში, აქტიურად იყო ჩაბმული წმინდა საყდრის დესპანიც სამხრეთ კავკასიაში. ,,განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ იგი ორგანიზებულია კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა ერთობლივი ძალისხმევით. Eეკლესიის მამები, ჩვენი საერთო მემკვიდრეობაა და, მიუხედავად განსხვავებებისა, გაუგებრობებისა და განყოფისა, რომლებიც არსებობდნენ სხვადასხვა პატრისტიკულ მიმდინარეობათა შორის, დღესაც ვხედავთ, რომ ისინი ბევრად უფრო ახლოს იყვნენ, ვიდრე ვფიქრობდით და რომ მათ შორის განსხვავებები, შეიძლება იყოს ურთიერთგამამდიდრებელი. ჩვენ შეიძლება ვეძებოთ ის, რაც გვაერთიანებს, ხოლო, განსხვავებები, დანახული სწორი კუთხიდან და ურთიერთ ნდობის ატმოსფეროში, შეიძლება გახდეს ურთიერთგამდიდრების შესაძლებლობა, საკუთარი იდენტობის უაყოფის გარეშე” – აღნიშნავს, წმინდა საყდრის ქრისტიანული ერთიანობის პონტიფიკალური კონგრეგაციის პრეზიდენტი, კარდინალი ვალტერ კასპერი, ასურელი მამებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმის ნაშრომთა კრებულის წინასიტყვაობაში [15.17].

აღნიშნულ სიმპოზიუმზე, სპეციალური კვლევა მიეძღვნა, აღმოსავლური და დასავლური ეკლესიების ორი გამორჩეული წმინდანის, დავით გარეჯელისა და ფრანცისკე ასიზელის მოღვაწეობისა და ცხოვრების პარალელების წარმოჩინებას. ,,აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის განსხვავებებთან ერთად, უფრო მრავალი – საერთოა, განსაკუთრებით კი, ქრისტიანული სიყვარული. ჩვენი მცდელობაც იქით კი არ უნდა იყოს მიმართული, რომ ხელი შევუწყოთ, საუკუნეების განმავლობაში, ადამიანთა მიერ, ხელოვნურად გაჩენილი დაპირისპირებების გაღრმავებას, არამედ მიტევებითა და სიყვარულით აღვსილებმა, ერთიანობის ჩატეხილი ხიდის აღდგენის, ურთიერთსიყვარულის აღორძინების სულისკვეთებით ვიღვაწოთ” [16.161].

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ საერთაშორისო სიმპოზიუმში მონაწილეობდა და ქართულ-ასურულ საეკლესიო ურთიერთობებზე, მოხსენება გააკეთა მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ. შეგვიძლია, დავასახელოთ სხვა მრავალი სამეცნიერო ფორუმები, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების წარმომადგენელთა ერთობლივი მონაწილეობით, რომლებიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩატარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამცხე-ჯავახეთის

სახელმწიფო უნივერსიტეტში, ანდრია პირველწოდებულის სახ. საპატრიარქოს უნივერსიტეტში, სულხან-საბა ორბელიანის სახ. სასწავლო უნივერსიტეტში და სხვ. ამ შეხვედრებმა დაადასტურა, რომ რწმენისა და ცოდნის, მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთ ჰარმონიულ თანამშრომლობას, ალტერნატივა არ გააჩნია! და, ამ ორი უძველესი ქრისტიანული ეკლესიის ხედვა, ამ მიმართებით – სავსებით იდენტურია.

ორ ეკლესიას შორის დიალოგი, მეცნიერებისა და რწმენის ერთიანობის შესახებ, ნაყოფიერედ გრძელდებოდა აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანული ჟურნალის – ,,დიალოგის'' ფურცლებზე, სადაც ქვეყნდებოდა ცნობილ მართლმადიდებელ და კათოლიკე ღვთისმსახურთა და თეოლოგთა საღვთისმეტყველო და სამეცნიერო შრომები.

მეცნიერებისა და რწმენის სინთეზის, აღმოსავლური და დასავლური ეკლესიების თანამშრომლობის პერსპექტივების ანალიზისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ბიოეთიკის ერთობლივ კვლევებს, რომელთა მასშტაბი, დღევანდელ საქართველოს მაგალითზე, ერთობ შთამბეჭდავია.

XX საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბებულმა სოციალურმა ვითარებამ, ურბანი-ზაციის ტემპებმა, მომხმარებლური საზოგადოების ჩამოყალიბებამ, სეკულარიზაციამ და გლობალიზაციამ წარმოქმნა აუცილებლობა, რომ ამ გამოწვევათა საპასუხოდ, ეკლესიას გადაედგა საპასუხო ნაბიჯები. ყოველივე ამ ფაქტორმა, თავისდაუნებურად, შეუმზადა ნიადაგი ბიოეთიკის ჩამოყალიბებას.

მართალია, ქრისტიანული ეთიკის შესახებ, მანამდეც არსებობდა მრავალი კვლევები, მაგრამ ეს მაინც კონფესიური ელფერის მატარებელი იყო. ამიტომ, საჭიროებამ მოიტანა, ინტერკონფესიული ხასიათის მეცნიერული დარგის ჩამოყა-ლიბებისა, რომლის სწავლებაც და მოთხოვნებიც ერთნაირად მისაღები გახდება ყველა კონფესიის წარმომადგენლისათვის. ბიოეთიკის ინტერესები, ეხება ყველა იმ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემის მოგვარებას, როგორიცაა აბორტი, უტილი-ზაცია, ევთანაზია თუ კლონირება. აქვე აღვნიშნავ, რომ ყველა აქ ჩამოთვლილი სფერო, რაღაც კუთხით, კრიმინალთანაც არის დაკავშირებული. ამიტომ, მის მიმართ, სხვადასხვა სახელმწიფოს, განსხვავებული მიმართება და საკანონმდებლო ბარიერები აქვს შექმნილი. ასევე, სრულიად განსხვავებულია, სხვადასხვა ისტორიულ-კულტურული ტრადიციების მქონე საზოგადოების დამოკიდებულება, ამ პრობლემათა მიმართ.

უკვე, გასული საუკუნის ბოლოს, საქართველოში, ცალკეული ენთუზიასტების მიერ, საფუძველი ჩაეყარა ბიოეთიკის შესწავლას. ამიტომ, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა ბიოეთიკა ის-ის არის პირველ ნაბიჯებს დგამდა, საქართველოში უკვე გაჩნდა დაინტერესება ბიოეთიკის მიმართ.Dდაიწყო სამეცნიერო საქმიანობა ამ მიმართულებით. ერთ-ერთი პირველი ექიმთაგანი, ვინც ბიოეთიკაში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა, გახლდათ ჩვენი სიმპოზიუმის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ღირსი

მამა ადამი (ახალაძე).Fქართველმა ფილოსოფოსებმაც აირჩიეს, ბიოეთიკა, თავისი სამეცნიერო საქმიანობის სფეროდ. ასე, რომ XXI საუკუნის გარიჟრაჟზე, უკვე იყვნენ ის ენთუზიასტი პროფესიონალები, რომელთა გარჯით, ჩვენს ქვეყანაში, ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევითმა წამოწყებამ იწყო დამკვიდრება. შეიქმნა ბიოეთიკის ეროვნული საბჭოც. საქართველოში, ბიოეთიკის დანერგვაში, ქვაკუთხედის როლი შეასრულა საქართველოს საპატრიარქომ, სადაც უწმინდესის ლოცვა-კურთხევით ჩამოყალიბდა ბიოეთიკის განყოფილება. უკვე შემდგომში, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, დაფუძნდა ბიოეთიკის კათედრა, გამოიცა სახელმძღვანელოები.

დროის, დაახლოებით ეს 10-წლიანი მონაკვეთი, 90-იანი წლებიდან 2008 წლამდე, შეიძლება მოვიაზროთ, ეროვნული ბიოეთიკის განვითარების პირველ ეტაპად, როცა ბიოეთიკა, ეკლესიის და პროფესიონალთა მცირე ჯგუფის, ზრუნვის საგანს წარმოადგენდა.

პირობითად, ბიოეთიკის განვითარების მეორე ეტაპის დაწყებად, 2008 წელი უნდა მივიჩნიოთ, როდესაც ეროვნული ბიოეთიკის განვითარება გასცდა მართლმადიდებელი ეკლესიის და სამედიცინო სფეროს საზღვრებს და გზის გაკაფვა იწყო შედარებით ფართო საზოგადოებისკენ.

საქართველოს რელიგიათმცოდნეთა კავშირის, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის და საქართველოში კათოლიკე ეკლესიის მხარდაჭერით, დაიწყო საერთაშორისო სიმპოზიუმების, შეხვედრების, სემინარების ორგანიზება, რომელშიც თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი და სამედიცინო უნივერსიტეტიც ჩაება. ფართო ნაყოფიერი და პრაქტიკული საქმიანობა დაიწყო ქუთაისში შექმნილმა „ინერ-საქართველოს ორგანიზაციამ“. პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად, ბიოეთიკის პოპულარიზაციას ხელი შეუწყო კრებულებისა და სხვადასხვა პრაქტიკული ბუკლეტების გამოცემამ, სტუდენტურმა აქციებმა (რომლებიც აბორტის საწინააღმდეგო ხასიათის ატარებდა). გამოვყოფ, საქართველოს სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა საბჭოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას, როდესაც ნაჩვენები იყო ფილმი ევთანაზიაზე და მოეწყო ამ ფილმის საჯარო განხილვა. ამით ხელი შეეწყო ბიოეთიკის პოპულარიზაციას. ბიოეთიკის განვითარების ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანია მ. პიერ დიუმულენის როლი, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ბიოეთიკით დაინტერესებული ენთუზიასტებს.

მესამე ეტაპის დაწყება, შეიძლება 2011 წლით დავათარიღოთ, როცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოში რომის კათოლიკე ეკლესიების ერთობლივი ორგანიზებით საფუძველი ჩაეყარა სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების ტრადიციას.Aაქვე მინდა, მოვიყვანო ციტატა ვატიკანის იმდროინდელი ელჩის, არქიეპისკოპოსს კლავდიო გუჯეროტის მოხსენებიდან: „ორივე, როგორც კათოლიკე, ისე მართლმადიდებელი ეკლესიები – ტრადიციულია. მათი ტრადიციები ქრისტიანობის სათავეებთან მიდის. მე არასოდეს გამიგია, რომ კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის ბიოეთიკასთან დაკავშირებულ საკითხებს გამოეწვიოს დაპირისპირება. ისლამურმა

სამყარომაც მიიღო ბიოეთიკის გამოწვევა და გაიზიარა ტრადიციული ეკლესიის ხედვა. ბიოეთიკის კუთხით დაპირისპირება, მხოლოდ რელიგიურ და არარელიგიურ საზოგა-დოებებს შორის წარმოიქმნება.Eეს დაპირისპირება უნდა ავიცილოთ, უნდა შევძლოთ, განვასხვავოთ პოლიტიკური – ტრადიციულისაგან. ჩვენთვის ადამიანურობის პრინციპი არის მთავარი" [17.14].

მართლაც, როგორც მართლმადიდებელი, ასევე კათოლიკე ეკლესიებისათვის, მთავარი – ქრისტიანული პრინციპია. პრინციპი, სადაც მოყვასზე ზრუნვა არის უმთავრესი, იმ დროს, როდესაც, ბევრი სახელმწიფო თუ ბიზნეს ინტერესი, სხვა პრიორიტეტებს აყენებს წინა პლანზე.

ბიოეთიკის განვითარების მესამე ეტაპი, მნიშვნელოვანია იმ გარემოებით, რომ ბიოეთიკის შესწავლა და პოპულარიზაცია თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა; ეს თანამშრომლობა კი ხელს უწყობს, ამ ორი დიდი ტრადიციის მქონე ქრისტიანულ ეკლესიას შორის, დიალოგის გაღმავებას. ეკლესიათშორისი ურთიერთობების გაღრმავება, მეტად მნიშვნელოვანია, ზოგადად, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ეფექტური წარმართვისათვის.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ერთობლივი მონაწილეობით, ბიოეთიკის საერთაშორისო ფორუმების ორგანიზებამ, ასევე, ჩვენი საზოგადოებისათვის, აქტუალური თემატიკისადმი მიძღვ-ნილმა ინტერკონფესიურმა სამეცნიერო შეხვედრებმა, ბიძგი მისცა, ბიოეთიკური კვლევებით, საზოგადოების სულ უფრო მზარდ დაინტერესებასაც. უკვე, არაერთი სამეცნიერო ფორუმი ჩატარდა, სადაც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის და რომის კათოლიკე ეკლესიის მწყემსმთავრები და სასულიერო პირები იღებდნენ მონაწილეობას. უდაოდ,Eეს ერთობლივი შეხვედრები, ხელს უწყობს, ამ ორ ქრისტიანულ კონფესიას შორის დაახლოებასაც, რაც ხანგძლივი ინტერკონფესიული დიალოგის პროცესში, უდავოდ მნიშვნელვანი მონაპოვარია. ხოლო, ეკლესიათშორისი სამეცნიერო ფორუმებში ჩართული სასულიერო პირები და მეცნიერ-მკვლევარები, ამ ისტორიული პროცესის არა მხოლოდ მოწმეები, არამედ უშუალო მონაწილეები არიან.

## ლიტერატურა:


1. *Vatican.va/encyclicals/LeoXIII/ Aeterni Patris/5.*
2. *Vatican.va/encyclicals/piusXII/ Humani Generis/29.*
3. *იქვე.*
4. *იქვე.*

5. *ვატიკანის კონსტიტუცია.*
6. *იქვე.*
7. *„რწმენა არასოდეს დაუპირისპირდება ცოდნას", ჟურ. „საბა", 3. 2004წ. გვ. 7. Vatican.va/encyclicals/John-PauII/ Fides et Ratio/12.*
8. *Vatican.va/en/news/benedictXVI/it as rational to believe.2010.*
9. *იქვე.*
10. *იქვე.*
11. *Vatican.va/encyclicals/francis/evangelii gaudium/242.*
12. *Vatican.va/encyclicals/francis/evangelii gaudium/243.*
13. *Vatican.va/encyclicals/John-PauII/ Fides et Ratio/42.*
14. *კასპერი ვ.Aასურელი მამები აღმოსავლურ და დასავლურ საეკლესიო ტრადიციებ-ში, თბ. 2009.G*
15. *ბარდაველიძე ნ. წმ. დავით გარეჯელისა და წმ. Fფრანცისკ ასიზელის მოღვაწეობის პარალელები, მამები აღმოსავლურ და დასავლურ საეკლესიო ტრადიციებში., თბ., 2009.G*
16. *გუჯეროტი კ. ბიოეთიკა და თანამედროვეობის პრობლემები., კრებ. „ბიოეთიკა"., თბ., 2010.*

**THE SYNTHESIS OF SCIENCE AND FAITH AND THE PROSPECTS OF CHURCH COOPERATION**

***Nugzar Bardaveli***

Christian Church from the first centuries of his existence had to oppose with antique science and culture. Despite the existing sharp theological difference and resistence the first century christian fathers were apperently recognizing the neccessity of maintaining the antique world`s intelectual achievement and the sevicr of faith for Christian religion. In this way unvaluable role was fulfilled by the local church of Aleksandria, the merit of its fathers was the unity of christian study and the knowledge accumulated in the antique world. As a result of this synthesis saint fathers were enabled to involve science in theology service. The christian fathers of Antiokia, Kabadokia were broadly using the experience of rhetotic and pedagogics in the process of Katekhization, also while dealing intelectual-theological debates with pegan erudites.

From V-VI centuries the decay of Katekhization practice and after the closure of antique philosofic schools, the necessity of science and knowledge was moved to the second place. On the east Rome empire and on other east Christian states, among them on Georgia, in conditions of worldwide military aggression the desirable era of science and theology development has not come. In the Christian world only form XII century begins the renaissance of science national education. In the west Europe the works of Albert the Great and particularly Toma Akvineli made actual the neccesity of uniting the knowledge and faith. Historically this period is coincided with the basement of Bolonya and Sorbona universities. In parallel of west Europe the unity of christian study and national education takes place in Georgia as well- in the academies of Gelati and Ikalto.

The close cooperation of science, art and religion still continues in the era of renaissance and enlightenment. But what concerns to the end of XIX century for christian church scientific progress doesn`t represent the purpose of split.

In XX-XXI centuries the teaching of church grants the main privilege to the unity of faith and knowledge. In the Roman pope`s Encyklika we can find many times accentuation on the neccessity of uniting the faith, knowledge, science and christian morals. On the neccessity of science and christian faith unity is also poithinted out in the epiatology of Georgian Catholicon-Patriarch Ilia the II.

In the XXI century on the process of uniting the Christian churches, the most reasonable, positive influence mainly in the science, and concretely in bioethics has the cooperation. Bioethic is the sphere where the east and west churches have more in common than debatable. To confirm this argument we have the joint international symposiums and conferences dedicated to the problem of bioethic in the last years by Georgian Orthodox Church and Roman Catholic church. The importance of these scietific forums have been estimated positively in Georgia by the hierarches of active orthodox and catholic churches. Besidoox es bioethic, interconfecial feature had adrexital history and theology connected with international scientific forums and printing editions, in which orthodox and catholic scientists and piouses were participating

Thus, the relationship of science and faith, their synthesis, is the sphere of kindness, which has a power to bring together once the joint, but at present split into two parts, east and west church.

## რელიგიისა და ბიზნესის ურთიერთმიმართებისათვის

*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,*
*პროფ.* ***ბადრი ცხადაძე***
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*

ერთი შეხედვით, რელიგიასა და ბიზნესს ერთმანეთთან თითქოს საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს, მაგრამ როგორც ირკვევა, წარმატებული ბიზნესის თავი და თავი რელიგია და რელიგიურობაა. ბიზნეს-ეთიკის შინაგანი მხარეების ჩაღრმავებით ძიებას მკვლევარები რელიგიამდე და რელიგიურობამდე მიჰყავთ. ასე რომ, ბიზნეს-ეთიკურ ნორმებსა და ქცევის წესებს, პარტნიორისადმი სამართლიან დამოკიდებულებას, ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, საკუთარი თავის შეცნობას საფუძვლად რელიგიური მრწამსი უდევს.

ყოველდღიურობის, ეგზისტენციალური ყოფის შესახებ არაერთი საგულისხმო მოსაზრება აქვთ გამოთქმული თეოლოგებს, ცნობილ სასულიერო მოღვაწეებს, რომელნიც ბიბლიის _ ძველი აღთქმის, გაგონილი ან მრევლისგან მოსმენილი, ასევე საკუთარი, კერძო თავს¬გადა¬ხდენილი ამბების გაანალიზებით საინტერესოდ წარმოაჩენენ ბიზნესში მოღვაწე ან ბიზნესთან ახლოს მყოფი ადამიანების მსოფლხედვა-სა და საქმიან ქმედებას, საერთოდ, რელიგიის ადგილს ბიზნესურთიერთობებში. ვფიქრობთ, ამ კუთხით საჭიროა თავმოყრა და ერთ წიგნად გამოცემა თეოლოგთა, ქრისტიანული, იუდეური, მაჰმადიანური რელიგიის მოღვაწეთა გამონათქვამებისა, რაც, სამწუხაროდ, დღემდე ქართულ ენაზე არ არსებობს.

რელიგიური ეთიკა საზოგადოების ყველა სფეროში აღწევს და შესაბამისი შედეგებით წარმოდგება. რელიგიასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის თემა ძალიან ფაქიზი და ამასთანავე კომპლექსურიცაა. რელიგია, სათანადო აზრით, საზოგადოების მომცველობის არეალიდან სახელმწიფოს იდეურ-პოლიტიკური სახის განმსაზღვრელიც კი გახდა. უფრო მეტიც, მან საზოგადოებისა და სახელმწიფოთა არსებობის ისეთ ძირეულ საწყისში შეაღწია, როგორიც არის ეკონომიკა, და კიდევ უფრო ჩაწვდა შრომის, ბიზნესის არეალებს, ბიზნეს-კომუნიკაციების ,,ხვიარა შიგთავსს’’. მოვლენათა განვითარების კვალობაზე კი რელიგიამ აქტიურად დაიწყო თავისი საწყისების, პრინციპებისა და ბოლოს თავისი ეთიკის სრულად გავრცელება შრომასა და ბიზნესზე. ამიტომაც არის რომ მთელს მსოფლიოში დღის წესრიგში დადგა საკითხი: რაოდენ ძლიერი ან ყოვლის მომცველი არის რელიგიის გავლენა ბიზნესზე; ან კიდევ რაოდენ მგრძნობიარე არის შრომაზე რელიგიის ზემოქმედების არეალი, ან კიდევ: რა სიმაღლეზეა რელიგიისა და ბიზნესის ურთიერთმიმართების ხარისხი.

ათ მცნებაზე დაფუძნებული დღევანდელი ქრისტიანი ადამიანის ცხოვრების წესი (ასევე არაქრისტიანისაც!), რაოდენ პარადოქსული არ უნდა იყოს, უპირატესად, მთლიანად ბიზნესი¬საკენ არის მიმართული, ხოლო მისი ცხოვრების აზრი ბიზნესზეა ორიენტირებული; ბიზნესმა მოიცვა ადამიანი თითქმის ყველგან და ყველაფერში, მისი დაბადებიდან თვით გარდა¬ცვა¬ლებამდეც კი. იგი იმდენად გრანდიოზული მნიშვნელობის სოციალურ-ეკონომიკურ კატეგორიად ჩამოყალიბდა, რომ მას მოწიწებით თავს უხრის ყველა, დაწყებული სახელმწიფოდან, დამთავრებული

პიროვნებით: მან არ დატოვა ადამიანის ცხოვრების არც ერთი სფერო _ ყველგან თავისი ადგილი დაიჭირა.

დღევანდელ მსოფლიოში ბიზნესის წარმართვისა და გაძღოლის ერთ-ერთი წარმატებულ მიმართულებად განიხილება ებრაული ბიზნესი. ამ აზრმა იმდენად მომცველობითი დატვირთვა შეიძინა, რომ ამ სახელისა და შინაარსობრივი ქმედების მქონე ბიზნესი ებრაელი ერის სხვა ერებისაგან გამორჩევადობის არსებით მომენტად და მოცემულობადაც კი იქცა. და ეს ყოველივე იმ წინაპირობის ფონზე მიმდინარეობს, როცა ებრაელი ერი მსოფლიო მოსახლეობის 0.002 %-ზე ნაკლებს წარმოადგენს, დაახლოებით 20 მილიონამდე ებრაელი თავისი რელიგიური სახით, იუდაიზმით, მსოფლიო ბიზნესში ძალზე მაღალ ადგილს იჭერს. ებრაელები ამ სარბიელზე იმდენად მოწინავენი არიან, რომ მათზე სწორება ყველა სხვა პატარა ერისთვის ღირსებისა და იმავდროულად კეთილმიმბაძველობის ტოლფასია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სწორედ რელიგია წარმოჩინდა იმ ეთიკურ საწყისად, რომელმაც განაპირობა ის გარანდიოზული წარმატებები, რაც იუდეველებს დღეს ეკონომიკაში, სოციალურ, ჯანმრთელობისა თუ სამხედრო სფეროებში აქვთ.

ყოველივე აღნიშნული საბოლოოდ ნათლად აყალიბებს აზრს იმის შესახებ, რომ საზოგადოებასა და რელიგიას შორის ურთიერთობის იუდეური მაგალითი ძალზე ღირებულია. დღეს ქრისტიანიზმისა და ისლამის წინამორბედი რელიგია აერთიანებს 18 მლნ ადამიანს, მაშინ როცა ქრისტიანობა 1,7 მილიარდს, ხოლო ისლამის მომხრეები კი 1 მილიარდს აღწევს. ამ ფონზე იუდაიზმი და ებრაული ბიზნესი იმ სახის რელიგიური ეთიკის ისეთ ერთიან სივრცობრივ არეალს და ცხოველმყოფელობის სახეს ქმნის, რომ მას ბადალი არ ჰყავს არც ერთი რელიგიისა და ბიზნესის ურთიერთმიმართებისა და ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით.

ბიზნესით დაინტერესებული მართლმადიდებელი ადამიანი ბიზნესში არსებულ დილემას _ რაზე აიღოს ორიენტირი, საით წარმართოს თავისი აზროვნება და ქმედება და ა.შ. ყველა დაბრკოლებას წარმატებით დაძლევს მხოლოდ ამაღლებული რელიგიური ორიენტირებით; ამ სიტუაციაში ყველა ის, ვისაც ბიზნესით ,,ტკბობა~ და აქ არსებული სიკეთის დაგემოვნება განუზრახავს, ვისაც მარტივად ბიზნესის მორევში წელგამართული შესვლა და იქ წარმატების მიღწევა ეზმანება, მოვალეა პირნათელი იყოს უფლის წინაშე. საწინააღმდეგო და საპირისპირო შემთხვევაში იგი დასახულ მიზანს ვერ მიაღწევს, მას დაძლევს დაბნეულობა და გაურკვე-ვლობის გარემო. აღნიშნული სახის საშიშროების თავიდან ასაცილებლად ბიზნეს¬ურთიერთობებში შესაძლო უარყოფითი შედეგის პრევენციის მიმართულების ერთ-ერთ ქმედით საშუალებას წარმოადგენს ბიზნესმენის რელიგიური მრწამის, ბიზნესის ურთიერთ¬დამოკიდებულების არეალის სრულად გაცნობიერება და შემეცნება.

ჩვენი საბოლოო დასკვნით, წარმატებული ბიზნესისათვის აუცილებელი წინაპირობაა რელიგია და რელიგიურობა _ ათი მცნებისა და ქრისტეს მოძღვრების სულით ხორცამდე გათავისება ამა სოფელსა შინა, რათა დედამიწაზე ბიზნეს-ურთიერთობებით წარმატებულად თვალხილულნი ვიარებოდეთ.

## TO THE MUTUAL RELATION OF RELIGION

**AND BUSINESS**

*Doctor of Philology, Prof.* ***Badri Tskhadadze***
*Georgian Technical University*

At first sight, religion and business mustn't have anything common, but as it turned out, the main precondition of successful business is religion and religiousness. In-depth study of inner side of business ethics leads researchers to religion and religiousness. Hence religious faith is the basis of business ethical norms and rules of conduct, a fair-minded relation to partners, obligations and responsibility, and self-cognition.

Many noteworthy thoughts about everyday life, existential life are suggested by theologists, famous spiritual figures, who interestingly represent world-view and business activity of humans involved in business or found near business, and generally the place of religion in business relations based on the analysis of Bible – Old Testament, stories investigated or else heard from congregation (flock), as well as adventures known to their cost. We think that from this viewpoint there is a necessity of putting together of utterances of theologists, Christian, Judaic, Muslim religious figures and their issuing as one book that unfortunately still doesn't exist in Georgian.

Religious ethics penetrates in all spheres of society and represents itself in appropriate results. Topic of relations between religion and society is very delicate and at the same time complex one. The way of life of today's Christian human (as well as of non-Christian!) based on the Ten tables, no matter how paradoxical it sounds, predominantly is directed towards business, while his/her mission in life is focused on business; business accompanies human almost everywhere and in everything, from his/her birthday even until death. It becomes such grandiose social-economic category that everyone inclines the body with reverence in front of it, starting with the state and ending with person: it doesn't leave any sphere of human's life and takes its place everywhere.

Jewish business is considered as one of the most successful directions of business conduct and management in today's world. This idea has acquired such comprehensive meaning that business of this name and content-related action turned into substantial moment and even givenness of Jewish people chosenness from other nations.

# წინარექრისტიანული ჰიერატების მხატვრული ორგანიზება გრიგოლ რობაქიძის მოდერნისტულ ტექსტებში

*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,*
*პროფ.* ***ეკა ცხადაძე***
*შოთა რუსთაველის თეატრისა და*
*კინოს უნივერსიტეტი*

გრიგოლ რობაქიძე ქართული მოდერნიზმის ყველაზე ცნობილი ფიგურაა, რომელიც გამუდმებით მიელტვოდა ორიგინალური მწერლური სტილისა და აზროვნების დამკვიდრებას ქართულ გარემოში. მან თავის ქართულენოვან და გერმანულენოვან ტექსტებში შემოგვთავაზა წინარექრისტიანული აზროვნებისათვის დამახასიათებელი ისეთი სიმბოლოები და რელიგიურ-მისტიკური რიტუალები, რომლებიც სრულიად უჩვეულო და უცნობი იყო იმდროინდელი ქართველი მკითხველისათვის.

გრიგოლ რობაქიძისათვის ქრისტიანობა პიროვნების სულიერი დახვეწილობის და უნივერსალური მსოფლაღქმის ერთიანობას ნიშნავდა, რომელიც მკაფიოდ არის წარმოჩენილი მწერლის მხატვრულ ტექსტებში. იმავე დროს, მას სურდა ენახვებინა ქრისტიანობის წინარე ხანის მოცემულობები და დაემტკიცებინა, რომ ეპოქათა და სახელდებათა ნაირგვარობის მიღმა ადამიანები საოცრად მსგავსნი და ერთნაირები არიან.

აღმოსავლეთი და დასავლეთი გრიგოლ რობაქიძისათვის ამოუწურავი ვარიაციების საბადოა, რომელთა ურთიერთობა რეალურისა და მიღმურის ზღვარზე წარმოუდგენია. გრიგოლ რობაქიძე მიიჩნევდა, რომ აღმოსავლეთში თვლემა-ჭვრეტა-ანალიზი უფრო გამოკვეთილი და თვალში¬საცემია დასავლეთის ფორიაქის, აჩქარებული რიტმისა და მიზანსწრაფვის ფონზე. გრიგოლ რობაქიძის მოსაზრებით, ამ ორი სამყაროს განსხვავებულობას რელიგიური შეხე¬დულებები განა¬პირობებენ, რომლის გაშიფვრა და წარმოდგენა მისთვის მხატვრული კუთხითაც არის შესაძლებელი.

„გველის პერანგში“ ერთ-ერთი უმთავრესი წარმართული ჰიერატი არის ჰამადანის ლომი, რომელსაც ნაყოფიერების ღვთაების თვისებები მიეწერება და ადამიანები გარკვეულ რიტუალებს ატარებენ ქვის ამ ფიგურასთან. გრიგოლ რობაქიძემ დიდი ადგილი დაუთმო აღმოსავლურ ყოფას, რადგან აღმოსავლეთში ეგულებოდა ქართველთა პირველსაცხოვრისი და ჩვენი ტომების თავდაპირველი სარბიელი. ჰამადანის ლომი, მზის ღმერთთან მისი კავშირი, ატისის რელევანტურობა, თამუზის საბედისწეროობა და გილგამეშის უკვდავების სურვილი  არის ის აზრობრივი

ქვაკუთხედი, რომელიც მარადისობისა და წარმავალობის შეცნობის ადამიანურ შიშსა და იმედებს განაპირობებს.

„ქალღმერთის ძახილში“ ფალოსის კულტის რიტუალებია აღწერილი, რომელიც სვანეთის მთებში ტარდება და რომელსაც ასევე ნაყოფიერების წინარექრისტიანულ ღვთაებასთან აქვს უშუალო კავშირი. გრიგოლ რობაქიძე ყოველ წუთს შეგვახსენებს, რომ ძველი მსოფლიოს ნაშთები და უძველესი რწმენა-წარმოდგენები ახალი სამყაროს ნაწილიც არის და ამას არქაულობისა და ესთეტიზმის გარდა, რეალური ცხოვრებისეული ნიადაგი აქვს. ორგიასტული რიტუალები, ფალოსის კულტი, ნაყოფიერების სურვილი ოდინდელი ატისისა და თამუზის ღვთაებებთან ისეთივე კავშირშია, როგორც სიცოცხლის მარადიულობა და არსებობის კვლავ დაბრუნების სურვილი ყველა დროის კაცობრიობაში.

„ლონდაში“ სრულყოფილად არის აღწერილი ფრიგიული ტიპის საკურთხეველი, რომელზეც მსხვერპლად ადამიანებს სწირავენ და რომელიც ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებებით არის მორთული. ირემი, არწივი და გრიფონი საკულტო დანიშნულების არსებებია, რომლებიც წარმართული სამყაროს სიმბოლოები და ჰიერატებია, რომელთა მხატვრული ფუნქცია ქართული მოდერნისტული ტექსტების პოლიფონიურობისა და აზრობრივი ვარიაციების გამოკვეთაა.

გრიგოლ რობაქიძე ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ადამიანთა სიძლიერეს და სისუსტეს ერთი ამოსავალი წერტილი აქვს, ესაა ცხოვრების აღქმისა და გაგების, მარადიული სიცოცხლის წყურვილი, რომლის ქვეცნობიერში იმედი და სასოწარკვეთა ფიგურირებს და რომელიც მსოფლიო რელიგიების წარმომქმნელი და შთამაგონებელია. მწერალი ცდილობდა საკუთარი იმედების, სურვილების და შიშის მხატვრული ფიქსაციის ფონზე ჩასწვდომოდა რელიგიის ღვთიურ ძალმოსილებას.

**ВОПРОС ФОРМИРОВАНИЯ НАЦИОНАЛЬНОГО СОЗНАНИЯ В ГРУЗИНСКОМ МОДЕРНИЗМЕ**

*Доктор филологических наук, проф.* ***Эка Цхададзе***
*Университет Театра и кино им. Шота Руставели*

Модернизм включает в себя формирование и необходимость отражения новейших и ультрасовременных реалий. Выдающийся представитель грузинского модернизма Григол Робакидзе смело предлагал стимулировать иррациональный заряд и активно культивировать научные взгляды в художественном пространстве. Философский и художественный изобразительный мир Григола Робакидзе рассматривает в тесной связи «светские» „rassiul'', так и религиозные элементы.

Согласно общему мировосприятию «голубороговцев» „cisferyanwelebis'' и их идейного вождя Григола Робакидзе понимание «культа женщины» связывается с памятью. Память – это то «атавистическое», что рельефно представлено в незаконченном романе Григола Робакидзе «Палестра» и прозаических текстах об амазонках Тициана Табидзе.

В грузинском модернизме окончательно просматривается вполне осмысленная и вычерченная схема, в которой личность и подсознательное создают с помощью иррационального заряда памяти один художественный мир, сочетающий как исторические данные, так и популярные в 10-20-ых годах XX-го века научные взгляды.

Путем сведения в один контекст «памяти» и «созерцания» национальное сознание грузинского модернизма формирует в дальнейшем собственные ценности.

**FORMING NATIONAL CONSCIOUSNESS IN GEORGIAN MODERNISM**

***E. Tskhadadze***

Modernism includes the formation and necessity of reflection of the latest and ultra-modern realities. The outstanding representative of Georgian modernism Grigol Robakidze made a bold proposal to stimulate the irrational charge and cultivate actively scientific views in the artistic space. Grigol Robakidze's philosophic and artistic world considers "secular" and religious elements in close association.

According to the general world-view of the representatives of "Blue Horns" „cisferyanwelebis'' and their ideological leader Grigol Robakidze interpretation of the "woman's cult" is linked to memory. Memory is that "atavistic," which was presented vividly in Grigol Robakidze's unfinished novel "Palestra" and Titsian Tabidze's prosaic texts about the Amazonians.

In Georgian modernism a thoroughly considered and drawn scheme is finally noticeable, in which the individual and subconscious create, through the irrational memory charge, one artistic world combining both historical data and scientific views popular in the 1910-1920'ies.

By combining "memory" and "contemplation" in one context the national consciousness of Georgian modernism forms subsequently its own values.

# პეტრე იბერის რელიგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა

*რაულ გვეტაძე*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

ნეოპლატონიზმის რიცხვთა მოძღვრების ღრმა მცოდნემ, პეტრე იბერმა, თავისი არეოპაგიტული თხზულების თარიღი დაშიფრა ლოგოსში „იეროთეოს“. ამ სახელის იზოფსეფია ათვლი¬ლია, როგორც ბერძნული, ასევე, ქართული რიცხვითი სისტემით და უდრის 469 რაც მიგვანიშნებს ნაწარმოების შექმნის თარიღზე.

მდიდარი ონომასტიკური და ქრონოლოგიური ხასიათის ინფორმაცია ასახულია იტალიელ არქეოლოგის ვერჯილიო კორბოს მიერ პალესტინის ლაზთა მონასტერში აღმოჩენილ აბა ანტონის მოზაიკურ წარწერაზე. წარწერაზე გარკვეული ნიშნულებია, რომელთა საშუალებით ამოიკითება ბერძნული ჟღერადობით ტერმინი „ონიმა“ (სახელი), პეტრე იბერის ერისკაცობის შემოკლებული სახელი „მარუან“ და პეტრეს დაბადების 410 წელი.

არეოპაგიტული ტრაქტატის თანახმად „ყოველი ორობაÁარა არს დასაბამ, არამედ ერთობაÁარს დასაბამ ყოვლისა ორობისა“. გამოვთვალოთ ცალ ცალკე „იერო“-ს და „თეოს“ გემატრია:

10(b) +5(t) +100(h) +70(j )=185

9(s) +5(t) +70(j) +200(c) =284,

იეროთეოსის კოდური მნიშვნელობის 469 დანაწევრებული ერთ-ერთი მდგენელის 185-ს შერწყმა დიოკლეტიანეს ერასთან, გვაძლევს არეოპაგიტული თხზულების შექმნის თარიღს ქრისტე¬შობით: 284+185=469. ამრიგად, მტკიცდება, რომ არეოპაგეტიკა შექმნილია მე-V საუკუნეში და არავითარი კავშირი მას არ აქვს დიონისე არეოპაგელთან.

პალესტინის აბა ანტონის ქართული მოზაიკური წარწერა ასტრონომიულ-კალენდარული ციკლების საფუძველზე შედგენილი ქრონოლოგიური კრიპტოგრამაა და, არსებითად, ისტორიულად პირველი ეპიგრაფიკული ძეგლია, დათარიღებული ქრისტიანული ერით (ქრისტესითა 532 წლით).

# РЕЛИГИОЗНАЯ И НАУЧНАЯ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ ПЕТРА ИБЕРА

***Раул Гветадзе***
*Грузинский Технический Университет*

Петр Ибер дату написания ареопагетического сочинения зашифровал логосом Иеретеос. Изопсепия этого имени, расчитанная как по грузинской, так и греческой численной системе составляет 469 и указывает на дату создания трактата.

Богатая хронологическая информация отражена на древнегрузинской эпиграфической мозаичной надписи обнаруженной итальянским археологом Верджилио Корбо при раскопке древнегрузинского монастыря в Палестине. На надписи имеются определенные знаки, благодаря которым прочитывается термин “Онима” (имя) и сокращенное мирское имя Петра Ибера – Маруан.

Палестинская мозаичная надпись Аббата Антония представляет хронологическую криптограмму составленную на базе астрономическо-хронологических циклов и по сути является исторически первым эпиграфическим памятником, который датирован 532 годом от рождества Христова.

## მოღვაწე და მეცნიერი - გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი

*პროფ. **მერაბ ნაჭყებია***

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ჩვენს დრომდე გამოჰყვა ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებებს საბჭოურ სინამდვილეში მიზნობრივად დანერგილი აზრი, რომ სასულიერო სფერო მეცნიერებასთან არ არის დაკავშირებული და სასულიერო პირები მეცნიერების წარმომადგენლებად არ უნდა განვიხილოთ; ეს სრულიად მცდარი შეხედულება, თავის დროზე ათეისტური მანქანის ძალადობით მოხვედრილი წიგნებში, დღემდე მოქმედებს და სასულიერო პირთა მიღწევებისა და მიგნებების სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვას უშლის ხელს. მათ ასახელებენ როგორც მოღვაწეებს, მწერლებს, პოეტებს, მაგრამ მათ სამეცნიერო ნაშრომებსა და კვლევებს ,,აკრედიტაციას'' არ აძლევენ, აქაოდა ილიას, აკაკის, ვაჟას სამეცნიერო ნაღვაწი შემდეგი პერიოდების წარმო¬მადგენელთა დისერტაციებს ტოლს ვერ უდებენო. თუმცა „დასაშვებია“ ათონელთა, პეტრიწის, მეფეთა და უფლისწულთა სამეცნიერო ამაგის ქება და აღიარება. ჩვენ გრიგოლ დადიანზე გვექნება საუბარი;

ჩვენს მოხსენებაში ქართველ სამეცნიერო მამათა ერთ დიდ წარმომადგენელს შევეხებით, რომელიც თავისი განსწავლულობით, საკვლევი საკითხის შესწავლის მეთოდოლოგიური სიზუსტითა და ანალიტიკური აზროვნებით ნებისმიერი ქვეყნის სამეცნიერო სკოლას დაამშვენებდა. ჩვენ გრიგოლ დადიანზე გვექნება საუბარი; ცხადია, ამ პიროვნების საერო და საზოგადო ნაღვაწის თუნდაც მიმოხილვა ადვილი არ არის, მაგრამ შევეცდებით მოხსენებაში მისი ღვაწლის რამდენიმე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ასპექტი წამოვწიოთ წინ:

1. გრიგოლ დაადიანს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ეპოქის გამორჩეულ ადამიანებთან: ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ნიკო ნიკოლაძესთან, დიმიტრი ყიფიანთან, თედო სახოკიასთან... წმინდა მღვდელმთავრებთან გაბრიელ ქიქოძესა და ალექსანდრე ოქროპირი¬ძესთან; იგი შეუვალი სიმტკიცით ამოუდგა გვერდით ამ ბრწყინვალე კოჰორტას სამშობლოს ინტერესების დასაცავად და გაბედულად დაუპირისპირდა ცარიზმის პოლიტიკას კავკასიის რუსიფიკაციის საქმეში.

2. XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამეგრელოში, აფხაზეთსა და სვანეთში დედაენისა და ქართული იდენტობის გადასარჩენად ბრძოლაში ჩაბმული იყო საქართველოს მოსახლე¬ობის უკლებლივ ყველა ფენა. ამ საქმიანობას კოორდინაციას უწევდნენ თერგდალეულები, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და სხვ. სამეგრელოში ამ ბრძოლას სათა¬ვეში ედგა მეუფე გრიგოლი, რომელსაც ქართლ-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ დაავალა წარედგინა წერილობითი დასკვნა მეგრულად გადაღებული საყოველდღეო ლოცვ¬ები¬სა და ათი მცნების სიზუსტის შესახებ და სამეგრელოში ღვთისმსახურების მეგრულად წარმა¬რთვის მიზანშეწონილობის თაობაზე. გრიგოლ დადიანის ხელმძღვანელობით ჩატა¬რებულ იქნა მასობრივი გამოკითხვა, რასაც წერილობით გამოეხმაურა ეპარქიის ყველა ბლაღოჩინი და ბევრი საერო პირი. პლებისციტების შედეგად მოგროვილი მასალების საფუძველზე მეუფე გრიგოლის ხელმძღვანელობით ეპარქიის სამღვდელოების ყრილობაზე მიღებულ იქნა ერთადერთი სწორი დასკვნა, რისი გათვალისწინება ზოგიერთ ჩვენს „თანამედროვესაც“ არ აწყენდა. ხელისუფლებამ ქვეყნის სასიკეთო დასკვნა არ აპატია დიდ მამულიშვილს; იგი მოსკოვში გადაიყვანეს სამუშაოდ, რაც ფაქტობრივად სამშობლოდან მის გაძევებას ნიშნავდა;

3. მოხსენებაში ასევე საუბარია გრიგოლ ეპისკოპოსის ღვაწლზე ძველი ქართული საეკლესიო გალობის, საერო სასწავლებლების აღდგინების სფეროში, მისი ქადაგების სტილზე და სხვ.

## სამშენებლო მეცნიერების როლი რელიგიის განვითარებაში

*ასოც. პროფ.* ***ი. ქვარაია***
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რელიგიის წარმოშობასთან ერთად, ღვთისმსახურებისა და რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა საკულტო ნაგებობების მშენებლობა. საკულტო ნაგებობების შექმნა განპირობებულია არა მხოლოდ რომელიმე სარწმუნოებისათვის დამახასიათებელი რიტუალური მოთხოვნების დაცვით, არამედ იგი ხასიათდება იმ დროისათვის არსებული საინჟინრო ხელოვნების განვითარების დონით და როგორც წესი ატარებს მკვეთრად გამოხატულ ეროვნულ ხასიათს. ძირითადად სწორედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში განთავსებულმა თუნდაც სრულიად უმნიშვნელო, პრიმიტიული რელიგიების, კერპთაყვანისმცემლობის თუ უდიდესი დახვეწილი რელიგიების ცნობილმა საკულტო ნაგებობებმა მოიტანეს დღემდე უამრავი ინფორმაცია საზოგადოების ყოფისა და მისი რელიგიური წარმოდგენების შესახებ. გაოცებას იწვევს ადრეული საუკუნეებში შექმნილი ტაძრებისა და საკულტო ნაგებობების არქიტექტურული გადაწყვეტები და მათი მასშტაბები. თითოეულ მათგანში თვალნათლივ არის ასახული იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი სამშე¬ნებლო საქმის წარმოების შესაძლებლობები. ძალიან ხშირად ასეთი შენობების ასაგებად წარმოუდგენლად დიდი მოცუ¬ლო¬ბის სამუშაოები ხელითა და უმარტივესი ტექნიკური საშუალებებით არის შესრულებელი. ამის გამო მსოფლიო საგანძურად ქცეული, რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების დიდი უმრავლეობის მშენებლობა რამდენიმე ათეული და ასეული წლების განმავლობაში ჭიანურდებო¬და. მაგ., მეოცე საუკუნის ბოლომდე, მსოფლიოში ყველაზე მაღალ რელიგიურ ნაგებობად აღიარებული, გერმანიის ქ. ულმის გოტიკური ტაძრის (სიმაღლე 161,5მ) მშენებლობა სამშენებლო და ფინანსური პრობლემების გამო ხუთ საუკუნეზე მეტ ხანს მიმდინარეობდა 1377-1890 წლებში.

თანამედროვე სამშენებლო მეცნიერების მიღწევებმა შესაძლებელი გახადა კონსტრუქციების გაანგარიშების ახალი მეთოდების, უახლესი სამშენებლო ტექნიკის, სამშენებლო მასალების და ტექნოლოგიების გამოყენებით სამშენებლო პროცესების წარმოების გამარტივება და მათი შესრულების ვადების შემცირება. თუ წინათ მხოლოდ მაღალგანვითარებულ, ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში იყო შესაძლებელი უნიკალური რელიგიური დანიშნულების ნაგებობების აშენება, ეხლა ეს პრობლემას აღარ წარმოადგენს და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიმდინარეობს საინტერესო არქიტექტურის მქონე და მაღალ საინჟინრო დონეზე შესრულებული მსგავსი მშენებლობები. მათი სიმრავლე ხელს უწყობს შესაბამისი რელიგიების გავრცელებას და განვითარებას. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ მსოფლიოში ყველაზე

მაღალი რელიგიური შენობის სახელს ამჟამად უკვე ფლობს, მაროკოში, ხასან მეორის სახელზე, 1986-1993 წლებში აშენებული მეჩეთი, რომლის ერთადერთი მინარეთის სიმაღლე 210 მეტრს შეადგენს. ასევე აფრიკის კონტინენტზე, კოტ-დიუვარის დედაქლაქ იამუსუკროში აიგო 1985-1989 წლებში მსოფლიოში ყველაზე დიდი ქრისტიანული ტაძარი `ნოტრ-დამ დე ლა პე~. ამასთან საინტერესოა, რომ ეს გრანდიოზული მშენებლობა განხორციელდა ქვეყანაში სადაც ქრისტიანები Mმთელი ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 20%-ს შეადგენენ.

განსაკუთრებულიAაღნიშვნის ღირსია უკანასკნელ წლებში ტაძრებისა და ეკლესია-მონასტრების მშენებლობის არნახული მასშტაბები საქართველოში. გასული საუკუნის ბოლოს ქვეყნაში, მრავალი ათეული წლების განმავლობაში არსებული კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, მოსახლეობისათვის რწმენის დაბრუნების უმთავრეს ნიშნად იქცა ის, რომ თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტში უკვე აგებულია ან ამჟამად მიმდინარეობს მართმადიდებელი ეკლესიების მშენებლობა. 1995-2004 წლებში ქ. თბილისში აშენდა წმინდა სამების საკათედრო ტაძარი, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეულია თავისი სიდიდით, არქიტექტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტის მხრივ მსოფლიოს მართმდიდებელ ეკლესიათა შორის. დასასრულს უახლოვდება, საქართველოში სიდიდით მეორე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობა ქ. თბილისში, მახათას მთაზე. აღნიშნული ტაძრის მშენებ¬ლობას უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ ქართველი ხალხის მეორე ავტოპორტრეტი უწოდა. მას მთელი საქართველო და უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები თანაბარი, 1 ლარიანი, შემოწირულობით აშენებენ ცოცხალთა და გარდაცვლილთა სახელით. ასეთი ერთობა რწმენის ამაღლების საუკეთესო საშუალებაა. თვით ტაძრის რთული და უნიკალური რკინაბეტონის გუმბათ-თაღოვანი კონსტრუქციების გაანგარიშება განხორციელდა უახლესი კომპიუტერული პროგრამების საშუალებით. მშენებლობის მაღალი ტემპი და შესრულებული სამუშაოების მაღალი ხარისხი უზრუნველ¬ყოფი¬ლია თანამედროვე საყალიბე სისტემების, ძალოვანი ხარაჩოების, ბეტონის მიმწოდებელი ტექნიკის და სხვა პროგრესული ტექნოლოგიური სიახლეების გამოყენებით.

## РОЛЬ СТРОИТЕЛЬНОЙ НАУКИ В РАЗВИТИИ РЕЛИГИИ

*Асоц. профессор* ***И. Кварая***
*Грузинский Технический Университет*

С возникновлением религии для обеспечения выполнения ритуалов богослужения в виде различных религиозних обрядов и молитв необходимым собитыем стало строительство культовых сооружении. Создание культовых здании было обусловленно не только отдельными ритуальными требованиями, но также характеризуется уровнем развития инженерного искусства и как правило носит четко выраженный национальный характер. Именно по этой причине, расположенные в разных уголках мира даже незначительные культовые сооружения примитивных религии и разумеется в большей степени известные религиозные сооружения донесли до настояшего вемени бессценную информацию о жизни и религиозных представлениях общества того времени. Вызывают удивительние архитектурные решения и масштабы созданных в очень ранние периоды существования человечества храми и культовые здания. В каждом из них отчетливо видны возможности строительного дела той эпохи. Очень часто для возведения таких сооружений большие объемы строительных работ выполнялись в ручную с использованием простейшей вспомогательной техники. В виду этого продолжительность строительства многих сооружении, ставщих в последствии достоянием мирового наследия, продолжалось несколько десятки и даже сотни лет. Например строительство, считавшейся до конца XX века самым высоким религиозным зданием (высота 165,5м), лютеранской церкви в немецком г. Ульме, из-за строительных и финансовых проблем длилось с 1377 года до 1890 года или в течении более пяти веков.

Достижения современной строительной науки дали возможность за счет упрощения методов расчета строительных конструкции, использования новейшей техники, новых строительных матералов и технологии упростить производство строительных процессов и значительно уменьшить сроки их возведения. Если раньше лишь высокоразвитые и экономически хоошо обеспеченные государства могли себе позволить строительство уникальных религиознных здании и сооружении, то сейчас это не составляет никакую сложность. Уже во многих странах мира ведется строительство таких объектов с очень интересной архитектурой и выполняемых на очень высоком инженерном уровне. Их множество разумеется способствует развитию и распространению соответствующих религии. Подтверждением тому служит тот факт, что носивщее в настоящее время титул самого высокого религиоздного здания мира, минарет высотой 210 метров, мечета Хассана второго был построен в г. Касабланка в большом портовом городе государства Марокко в

1986-1993 годах. Также на африканском континенте, в столице Кот-дивуара, в г. Ямусукро был возведен в 1985-1989 годах самый большой христианский храм Нотр-дам-де-ла-Пэ. При этом интерено, что такое грандиозное строительство было произведено в стране, где христиане составляют лишь 20% всего населения.

Особенно следует отметить невиданные масштабы строительства в последнее время храмов, церквей и монастирей в Грузии. В конце прошлого века, после свержения сушествуюшей в течении многих десятилетии коммунистического режима, определяющим знаком возврашения населения к истинной вере служит тот факт, что почти во всех населенных пунктах страны построены или строятся церкви. В 1995-2004 годах в г.Тбилиси был построен храм святой Тройцы, который замечателен свойм архитектурным и конструкторским решением и занимает одно из передовых мест среды существующих в мире зданий православных церквей. В настоящее время подходит к завершению строительство второй по величине в Грузии храм – храм имени иконы иверской Богоматери в г.Тбилиси на горе Махата. Данное строительство Каталикос-Патриарх всея Грузии, Святейший и Блаженейший Илия второй назвал вторым автопортретом грузинского народа. Храм строит вся Грузия, за счет пожертвований в виде 1 лари от имени каждого живого или усопщего человека. Такое единство наилучший способ повышения уровня существующей веры среди населения страны. Расчеты сложнейшего и уникального куполно-оболочного перекрытия храма были произведены благодария разработанных в последнее время новейших компью-терных программ. Высокий темп и высокое качество выполняемых работ обеспечено использованием современных опалубочных систем, силовых монтажных лесов, бетоно-укладывающей техники и других прогрессивных технологических методов производства строительных работ.

## მიღმური სამყაროსა და უახლესი მეცნიერების შესახებ

***შოთა შოშიაშვილი, ნოდარ კეკელიძე***
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ამჟამად სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერები იკვლევენ საიქიო – მიღმური სამყაროს საიდუმლოებებს. არსებობს მრავალი წიგნი და სტატია, რომლებშიც აღწერილია კლინიკური სიკვდილგადატანილი ასობით ადამიანის შთაბეჭდილებები და მოგონებები საიქიო ცხოვრების შესახებ. ჩვენი აზრით, ღმერთი სპეციალურად უშვებს ასეთ მოვლენებს, რათა ადამიანები დაარწმუნოს ამ ფენომენის არსებობის ჭეშმარიტებაში. მათ შორის მეცნიერულად ყველაზე საინტერესოა რადიოფიზიკოს ვ. ეფრემოვის მონათხრობი, რომელმაც თვითონ განიცადა კლინიკური სიკვდილი.

ამ თემაზე ჩვენ ვისაუბრეთ 2008 წელს ქუთაისში ჩატარებულ პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე „რელიგიისა და მეცნიერების ურიერთმიმართების საკითხები“ [1].

მაშინ ჩვენ ვეყრდნობოდით ივ. ფრანგიშვილის მიერ თავის წიგნში – „Системный подходи повышение еффективности управления“ [2]. გამოქვეყნებულ მასალას, რომელშიც მან ყურადღება გაამახვილა ჟურნალ „Жизнь“-ში 2005 წელს გამოქვეყნებულ სტატიაზე ”Ученый раскрыл тайну загробного мира” [3].

იმ დროს ჩვენთვის არ იყო ცნობილი თვით ვ. ეფრემოვის მიერ, კლინიკური სიკვდილიდან 16 წლის გასვლის შემდეგ გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია „Здесь и там: исследования и размышления“ [4]. ამ შრომაში ვ. ეფრემოვმა, როგორც კვალიფიცირებულმა რადიოფიზიკოსმა და ხელოვნური ინტელექტის დიდმა სპეციალისტმა, შეძლო ყველაზე წიგნიერად, დაწვრილებით და მეცნიერულად აღწერა თავისი საიქიო ცხოვრების განცდები და შთაბეჭდილებები კლინიკური სიკვდილის განმავლობაში.

ჩვენ გადავწყვიტეთ ფართო საზოგადოებას გავაცნოთ მაღალი რანგის მეცნიერის ვ. ეფრემოვის მეცნიერული მოსაზრებები და დასკვნები საიქიო – მიღმური სამყაროს შესახებ.

1. **საგნის ინფორმაციული ასახვის შესახებ.** ცნობილია, რომ ადამიანი გარედან მიღებული ინფორმაციისა და თავის ტვინში შენახული გონინფორმაციის შეჯერების საფუძველზე აზროვნებით გამოიმუშავებს ახალ გონინფორმაციულ მოსაზრებას. გონინფორმაცია ხასიათდება ადრესატულობითა და შენახვადობით. შესაბამისად, ადამიანის თავის ტვინის მიღმა უნდა არსებობდეს მის მიერ ახლად შემუშავებული აზრის – გონინფორმაციის შენახვის საშუალება – ადრესატის სახით [6]. ჩვენი მოსაზრებით, ამ ადრესატის რაობა შეიძლება აიხსნას **ა. სილინის** მიერ შემოტანილმა ნებისმიერი საგნის ინფორმაციული ასახვის („სია“) კონცეფციით.

1998 წელს ჟურნალ „Сознание и физическая реальность“-ში გამოქვეყნდა ა. სილინის სტატია „Тайна информации“, სადაც ავტორს შემოაქვს ნებისმიერი საგნის ინფორმაციული ასახვის – „სია“ – (Информационное отображение − ИО) ცნება [5].

ავტორის კვლევით, აღმოჩნდა, რომ ადამიანის ჩანასახი თავისი განვითარების დროს იმეორებს ცოცხალი ორგანიზმების განვითარების ყველა სტადიას სირთულის ზრდის მიხედვით, მარტივი მოლუსკიდან დაწყებული, თევზების გავლით ... ადამიანამდე, მათი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ანუ სახეზეა სიცოცხლის ევოლუციური განვითარების ერთიანი გენეტიკური ხაზი. ისმის კითხვები: როგორ შეიძლება ამ ფაქტის შეთავსება იმ აუცილებელ შემთხვევით პროცესებთან, რომელიც აღმოჩენილ იქნა არაწრფივ თერმოდინამიკაში? სად არის ის უხილავი ხელი, რომელიც შეუმცდარად მართავს ევოლუციურ პროცესს?

დნმ-ში და ქრომოსომებში ჩაწერილი ინფორმაცია არ არის საკმარისი ჩანასხის სამართავად მისი მიზანდასახული განვითარებისათვის. ამისთვის საჭიროა მისთვის გარედან აუცილებელი და უსწორესი ბიოინფორმაციის მიწოდება. რაც ადამიანის ჩანსახს საშუალება აქვს განვითარდეს ნებისმიერი მიმართულებით, მიუხედავად ამისა ის ყოველთვის ვითარება ერთადერთი უსწორესი მიმართულებით (თუ გარედან რაიმემ არ შეუშალა ხელი). ე.ი. არსებობს რაღაც უხილავი ძალა, რომელიც მას არ აძლევს გადახვევის საშუალებას და მიმათავს მას სწორედ განვითარების ერთადერთი სწორი ხაზის გასწვრივ [5].

ნებისმიერი სისტემის სტრუქტურულობის ზომა შეიძლება გამოისახოს წყობითი ინფორმაციის მეშვეობით. სამყაროს სტრუქტურულობის ევოლუციური განვითარების სირთულის ზომას წყობითი ინფორმაცია წარმოადგენს. თანამედროვე მეცნიერებაში, ფორმის როლს ინფორმაცია ასრულებს. ინფორმაციის ცნება იძლევა საგნის სრული (როგორც გარეგანი ისე შინაგანი სახის) აღწერის საშუალებას [6].

ა. სილინის აზრით, ჩვენ სამყროს ახასიათებს 2 ფუნდამენტული ტენდენცია:

1. მატერიას ახასიათებს სტრუქტურულობის ზრდა მარტივიდან რთულისაკენ;
2. ეს ზრდა ხასიათდება დევიზით: „უკანდაუხევლად“ („Ни шагу назад“), რაც იმაში მდგომარეობს, რომ ბუნება მიაღწევს რა სტრუქტურულობის გარკვეულ დონეს, ცდილობს შეინარჩუნოს იგი ინფორმაციულ დონეზე, მიუხედავად იმისა, რომ მატერიალური მხარე შეიძლება დანაწევრდეს და დაიღუპოს კიდეც. რაღაცნაირად, ერთხელ წარმოქმნილი განვითარების მორიგი პიკი, შემდგომში, ინფორმაციულ დონეზე აღარ იხარჯება, მისი მატერიალური მატარებლის დაშლის შემთხვევაშიც კი, ხოლო პრინციპი − „უკანდაუხედლად“ გამოხატავს კოსმიური სამყაროს, როგოც მთლიანის განუწყვეტელი ევოლუციური განვითარების პრინციპს.

ბიოლოგიაში არსებული ერთი სასწაული მდგომარეობს შემდეგში: უზარმაზარი სხვაობა ორგანიზმის ქრომოსომებში მოთავსებულ ინფორმაციასა და ინფორმაციის იმ გიგანტური რაოდენობას შორის, რომელიც საჭიროა ჩანასახის გადასაქცევად ზრდასრულ

ორგანიზმად. მართალია ზრდასრული ადამიანს ბევრი თვისება ნაწილობრივ განისაზღვრება მშობლების დნმ-ემებში ჩაწერილი გენეტიკური ინფორმაციით, მაგრამ ზრდასრული ადამიანის ინფორმაციული ზომა გაცილებით მეტია ჩანასახის მიერ მემკვიდრეობით მიღებულ იმფორმაციასთან შედარებით. საიდან ჩნდება ორგანიზმში ასეთი უზარმაზარი განსხავებული ინფორმაცია?

მეორე სასწაული მდგომარეობს გენეტიკური ინფორმაციის ზუსტ გადაცემაში მშობლიდან შვილზე, უამრავი თაობების განმავლიბაში. გენეტიკური ინფორმაცია მიუხედავად მისი ზღაპრული სირთულისა, ინარჩუნებს გამაოგნებულ მდგრადობას. სად არის ის ზუსტი კონტროლის მექანიზმი, რომელიც იცავს გენეტიკურ ინფორმაციას გადაცდომისაგან?

რას წარმოადგენს ცოცხალი ორგანიზმის მართვის შტაბი, რომელიც უზუსტესად მართავს ორგანიზმის შემადგენელი ორგანოებისა და უთვალავი რაოდენობის უჯრედების ურთიერთშეთანხმებულ ისეთ მოქმედებას, რომელიც იწვევს ორგანიზმის თვითშენახვას?

ა. სილინის თვალსაზრისით, ამ საწაულებზე პასუხის გაცემას მივყავართ ინფორმაციული ასახვის (Информационное отображение – ИО) კონცეფციასთან. სხეულის ინფორმაციული ასახვა – „სია“ წარმოადგენს მისი სტრუქტურულობის შესაბამის სრულ ინფორმაციას. იგი წარმოდგენს იდეალურ რეალობას. სხეულის „სია“ უხრწნელია. იგი თავის პროტოტიპს (სხეულებრივ არსებას) ამყოფებს წონასწრობის მდგომარეობაში გარემოსთან და ხელს უწყობს მის გამრვლებას ხელსაყრელ პირობებში. სხეულებრივი სტრუქტურის შემთხვევითი ან მიზანდასახული გართულებისას „სია“-ც შესაბამისად რთულდება შესაბამისი ინფორმაციის რაოდენობისა და ხარისხის გაზრდით. ამით ხორციელდება პრინციპი –„უკანდაუხედლად“. „სია“-ს კონცეფცია ხსნის მატერიალური სამყაროს უწყვეტი განვითარებისა და აუცილებელი შემთხვევითობის თანაარსებობასაც [5].

„სია“-ს კონცეფციამ შეიძლება ნათელი მოჰფინოს ზემოხსენებულ სასწაულებრივ მოვლენებს ბიოლოგიაში, რომელთათვისაც იძლევა არსებითად ერთნაირი ახსნის საშუალებას.

ცოცხალი ორგანიზმის ჩანასახი შეიცავს მხოლოდ აუცილებელ ინფორმაციას ემბრიონის განვითარების ინიცირებისათვის. მისი შემდგომი ფორმირება ზრდადასრულ ორგანიზმად ხორციელდება ეტაპობრივად მასში ინფორმაციის დოზის თანდათანობითი შეტანით შესაბამისი „სია“-დან.

გენოტიპის მუდმივობა მილიონი წლების განმავლობაში შეიძლება აიხსნას იმით, რომ გენეტიკური ინფორმაცია თაობიდან თაობას გადაეცემა არა ეტაპობრივი მეთოდით, როცა შეცდომების დაგროვება თანდაუხწევველია, არამედ ერთჯერადი მეთოდით უშუალოდ „სია“-დან, რომელიც ან უცვლელია, ან იცვლება, მაგრამ ძალიან ნელა.

ორგანიზმის მართვა, როგორც ერთიანი მთლიანისა, ხორციელდება აგრეთვე ცოცხალი ორგანიზმის „სია“-ს მეშვეობით, რომელიც თვალყურს ადევნებს ცოცხალი სისტემის ნებისმიერ გადახრას ფიზიოლოგიური მდგომარეობიდან და, საჭიროების შემთხვევაში,

რთავს დამცავ მექანიზმს. ამ შემთხვევაში „სია“ წარმოგვიდგება როგორც უსრულყოფილესი დიფერენციალური ანალიზატორი, რეგულარული უკუკავშირით.

„სია“-ს კონცეფციით მარტივად იხსნება აგრეთვე ცოცხალი ორგანიზმის გენეტიკური კოდის ერთადერთობა და მრავლჯერადი განმეორება. გენეტიკური კოდის შესაბამისი ინფორმაცია წარმოშობისთანავე, როგორც ნორმა, ავტომატურად მაგრდება „სია“-ში და ინახება [5].

2. **ვ. ეფრემოვის მიერ გამოტანილი დასკვნები.** ვ. ეფრემოვმა დაადგინა, რომ იმ ქვეყნად არსებობს ნებისმიერი ამქვეყნიური ადამიანისმიერი საგნის შესაბამისი ინფორმაციული მასივი. იგი შეიცავს ინფორმაციის უშველებელ რაოდენობას, რომელიც შეესაბამება აღებულ საგანს. მასში აღმოჩნდა ამომწურავი მონაცემები იდეის საფუძვლების, მოფიქრების, კონსტრუქციის თვისებების, გათვლებისა და ფაქტიური პარამეტრების, წარმოების ტექნიკური პროცესებისა და სხვა სახით. შეიძლება ითქვას, რომ იმ ქვეყნად არსებობს ამქვეყნიური საგნებისა და მოვლენების სრული და ამომწურავი **ინფორმაციული აღწერა**.

ეს ფაქტი შეიძლება მივიჩნიოთ ექსპერიმენტალურ დადასტურებად **ა. სილინის** ჰიპოთეზისა ნებისმიერი სხეულის ინფორმაციული ასახვის – „სია“-ს არსებობის შესახებ.

ვ. ეფრემოვმა, კლინიკური სიკვდილის მდგომარეობიდან გამოსვლის შემდრგ, პირადი შტაბეჭდილებებზე დაყრდნობით გამოიტანა შემდეგი დასკვნები:

– მიღმური სამყაროში, რომელშიც ის მოხვდა ნამდვილად არსებობს;
– რადგანაც აზროვნებს, ე.ი. თვითონაც არსებობს (ერთი ფილოსოფოსისა არ იყოს: „ვაზროვნებ ე.ი. ვარსებობს“). აღმოჩნდა, რომ ადამიანი, როგორც ამქვეყნად, ისე იმქვეყნად არსებობს – მხოლოდ უფრო უკეთესად.
– საიქიო სამყარო ერთიანი გომოგენური არე კი არაა, არამედ შედგება განსაკუთრებული არაერთგვაროვნებებისაგან. რომლებიც ქმნიან მაღალი რიგის სირთულის სტრუქტურებს, რომელიც თავის მხრივ შეიძლება გავაიგივეოთ „ლანდშაფტის“ ცნებასთან.
– აზროვნების არსებობის ფაქტი მიუთითებს ინფორმაციის არსებობაზე. ინფორმაციის როგორც ასეთის, ქვეშ შეიძლება ვიგულისხმოთ რაღაც პირველსაფუძვლის სხვადასხვანაირი სტრუქტურების გამოვლინება (პირველსაფუძვლის ქვეშ კი შეიძლება ვიგულისხმოთ ვაკუუმში არსებული რაღაც სუბსტანციის არაერთგვაროვნებები, რომლის ბუნება ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით);
– არსებობს ცალკეული ინფორმაციული ფრაგმენტების ინფორმაციული ურთიერთქმედება;
– არსებობს ამ ინფორმაციული მრავალნაირი წარმონაქმნების შედარებით მდგრადი ანომალიები, რომელთა ფუნქციური თავისებურებები ისეთია, რომ შეიძლება გავაიგივეოთ ელემენტარული ლოკალური ოპერაციებისა და მიმართული გადაცემების

თვისებების მქონე ცნობილ სტრუქტურებთან, რომლებიც შეადგენენ ნებისმიერი ინფორმაციული გარდამქმნელების ფუნქციონალობის საფუძველს [4].

**აზროვნების უნარის ამაღლება.** ვ. ეფრემოვის მიხედვით, იმ ქვეყნად მოხდა გონიერების საოცარი გარდაქმნა, რომელმაც ახალ პირობებში შეიძინა პრინციპულად სრულიად ახალი, დედამიწისეულისაგან განსხვავებული, რადენობრივი და თვისობრი მახასიათებლები. გაჩნდა განსაკუთრებული სიმსუბუქე. შესასწავლი მომვლენების არსში სიღრმისეული შეღწევისა და ერთდროულად რამდენიმე მასალის ფართოდ მოცვის უნარი. ანუ ისეთი არაჩვეულებრი მდგომარეობა, რომელიც შეიძლება გავაიგივეოთ სივრცული ცნობიერების ცნებასთან. აზროვნების პროცესი მიმდინარეობს სწრაფად და თავისუფლად, ყოველგვარი ძალდატანებისა და წინააღმდეგობის გარშე, არაჩვეულებრივად გაიზერდა ოპერატიული და დიდხნიანი მახსოვრობის მოცულობა. მოხდა ცნებითი და სახიერი აზროვნებების ურთიერთგანჭოლვა. მისთვის თავიდენვე ცხადი გახდა, რომ ამ ახალ, არაჩვეულებრივ პირობებში იგი შეძლებდა ნებისმიერი კვლევის ეფექტურად ჩატარებას.

შესაბამისად, იმ ქვეყნად ვ. ეფრემოვს გაუჩნდა აზროვნების ყოვლის შემძლეობის შეგნება. ამის დამადასტრებლად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ფაქტი:

საკონსტრუწტურო ბიოროში მთელი ორი წლის განმავლობაში იბრძოდნენ ფრთიანი რაკეტებთან დაკავშირებულ ურთულესი მრავალკომპონენტიანი ტექნიკური ამოცანის გადაწყვატაზე. მან წარმოიდგინა ეს კონსტრუქცია და დაინახა პრობლემა მთელი თავისი მრავალწახნაგოვნებით. მის გონში თავისთავად მყისიერად წარმოიქმნა დასმული ამოცანის ამოხსნის ალგორითმი, რომელიც დაიმახსოვრა. ახლობელთა წრეს, რომელიც თვლიდა, რომ ვლადიმირმა გონი დაკარგა, მდგომარეობიდან გამოისვლის შემდგ სიხარულით აუწყა, რომ გადაწყვიტა ტექნიკურად ძალიან რთული მნიშვნელოვანი ამოცანა. მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ მან ის ჩაიწერა და პრაქტიკაში დანერგა! [4].

იმ ქვეყნიური გამოცდილებისა და ცოდნის გამოყენებით ეფრემოვმა დაიწყო კვლე-ვები, მათ შორის თეორიული და ექსპერიმენტალური პარაფსიქოლოგიის მიმართულებით.

**მომხდარის მეცნიერული გააზრება.** გადატანილი შემთხვევის მეცნიერულად გააზრებისათვის ეფრემოვს 16 წელი დასჭირდა, სანამ შეძლებდა ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელ აღეწრას, რომელიც მაინც ვერ შეესაბამებოდა იმას, რასაც ადგილი ჰქონდა სინამდვილაში: ძალიან ძნელია აღიწეროს პარალელურად მიმდინარე პროცესები მიმდევრობითი თხრობის მეშვეობით [4].

ჩვენ გარემომცველ სამყაროში განსაკუთრებული ადგილი უკავია ცოცხალ მატერიასა და სიცოცხლეს. 1995 წელს აკადემიკისი სტრუმინსკი თავის ნაშრომებზე და XX საუკუნის ფუნდამენტურ გამოკვლევებზე დაყრდნობით დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის შესახებ მივიდა შემდეგ დასკნებამდე: ცოცხალ მატერიასა და სიცოცხლეს არ შეეძლო წარმოშობილიყო მკვდარი მატერიის მოძრაობისა და გარდაქმნის პროცესებში. კაცობრიობის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზები სიცოცხლის წარმოშობის შესახებ

უსუსურნი არიან. ცოცხალი მატრიის მოლეკულური შენობა ძირფესვიანად განსხვავდება მკვდარის შენობისაგან. იგი მრავაჯერადად უფრო რთულია. ცოცხალი მატერია მკვდარისაგან განსხვავდება არა მარტო სტრუქტურულობის დიდი სირთულით, არამედ იმით, რომ ცოცხალ მატერიის მარტივ წარმონაქმნებსაც კი გააჩნია გარესამყაროდან თავისუფალი ენერგიის იმ რაოდენობით მითვისების უნარი, რამდენიც საჭიროა ცოცხალ ორგანოში ენტროპისს ზრდის – სხეულის **რღვევის** შეწყვეტისათვის.

ცოცხალი მატერიის სპეციფიკური თვისებები ვერ იხსნება მარტო მატერიალური ძალების (4 ფუნდამენტალური ძალის) საფუძველზე. აქ გარკვეულ როლს უნდა ასრულაბდნენ სულიერი ბუნების ძალებიც (ინფორმაციული ურთიერთქმედება უჩინარ სულიერ ორეულთან მიღმური სამყაროდან). ცოცხალი მატერიის ეს თავისებურებანი აჩვენებენ სულიერი სამყაროსა და **უმაღლესი გონის** არსებობას, რომელიც ჩვენ დროში მჟღანდება ცოცხალი მატერიის ყოფის არსებობის ფორმით, მისი სიცოცხლით, კვებითა და გამრავლებით. სამყარო შედგება მატერიის ენერგიისა და სულისაგან, რომელიც ბადებს ცოცხალ მატერიას. (ამას ამბობს თანამედროვე დამსახურებული მეცნიერი). მკვდარი მატერიის თვისებაა სწრაფვა ქაოსურობისაკენ, ენერგიისა – სითბური წონასწორობისაკენ – სიკვდილისაკენ; ცოცხალი მატერიის ძირითადი თვისება კი მის ევოლუციურობაში – მარტივიდან რთულისაკენ სწრაფვაში და განვითარებაში მდგომარეობს [4].

ვ. ეფრემოვის აზრით, ამ წრის საკითხების მეცნიერული გადაწყვეტა გართულებ-ულია იმის გამო, რომ მეცნიერული აპარატისა და ლოგიკის, როგორც მეცნიერების უნივერსალური ენის, კლასიკური გამოყენება, აღნიშნული (სიცოცხლის) პროცესების მიმართ, ნაკლებგამოსადეგია. კაცობრიობის ცივილიზაციის ამჟამინდელი ეტაპი გამოირჩევა ჩვენი წარმოდგენების ისეთი ინტელექტუალიზაციით, რომელიც თხოულობს მათემატის **არაკლასიკური** კარის (ნაწილის) გამოყენებას. კლასიკურ და არაკლასიკურ მათემატიკას შორის მთავარი განსხვავება ჩამალულია მათემატიკის პირველადი ცნების – "წერტილის" სხვადასხვა პრინციპით განმარტებაში. კლასიკურ მათემატიკა ეყრდნობა წერტილის **აბსოლუტური სიზუსტით** მოცემის პრინციპს. არაკლასიკურში კი წერტილი მოცემულია **ინფორმაციული პრინციპით**, რომლის დროს წერტილის შესახებ ცნობილია მხოლოდ გარკვეული ინფორმაცია. თუმცა შესაძლებელია წერტილის შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის არსებობის შემთხვევაც, როცა მისი მდებარეობა განისა-ზღვრება მაქსიმალური სიზუსტით, ანუ აბსოლუტურად.

ინტელელექტუალურ (გონინფორმაციულ) სისტემებს შეისწავლის ახალი მეცნიერება **ინფორმატიკის** სახელწოდებით. იგი ეყრდნობა სწორედ არაკლასიკურ მათემატიკას, რომელიც იყენებს წერტილის ინფორმაციულად განსაზღვრის პრინციპს. მეცნიერული საზოგადოება ჯერჯერობით მზად არ არის თავის კვლევებში გამოიყენოს არატრა-დიციული მათემატიკის აპარატი. გარდა ამისა, ინფორბატიკის ბევრი განყოფილება

ჯერჯერობით კარგად არაა დამუშავებული, რაც წარმოადგენს ძირითად დაბრკოლებას განხილული პრობლემების შესწავლაში [4].

**უახლესი ფიზიკის შესახებ.** როგორც ბოლო მეცნიერული გამოკვლევები, ექსპერი-მენტები და დაკვირვებები გვიჩვენებენ, საყოველთაოდ აღიარებული ფიზიკური მოდელები ვერ ხსნიან სამყაროში მიმდინარე პროცესების უმეტეს ნაწილს. აღმოჩნდა, რომ სასკოლო, საუნივერსიტეტო და აკადემიური მეცნიერული ცოდნის მხოლოდ (2-3)% შეესაბამება რეალურ სურათს, და პირიქით, სამყაროში მიმდინარე პროცესების, მატერიისა ენერგიის გაუცნობიერება შეადგენს (97-98)%. ამრიგად, დღეს ოფიციალურ მეცნიერებაში უცოდინარობა რაიმეს შესახებ 50-ჯერ სჭარბობს ჭეშმარიტებულობას. როგორც ირკვევა, დღეს ოფიციალურ მეცნიერებას გააჩნია უსუსტესი, და ხშირად არასწორი წარმოდგენა ბიოლოგიური ორგანიზმის თვისებების, ადამიანის მახსოვრობისა და აზროვნების შესაძლებლობის შესახებ.

ჩვენ ვხვდებით მრავალ ფენომენს, რომლებიც ვერ იხსნება არსებული მეცნიერული პარადიგმებით. ჩანს, რომ ამჟამინდელი აუხსნელი მოვლენების ახსნა შესაძლებელი იქნება „ახალი ფიზიკით“, რომელიც უშვებს (ინფორმაციის გავრცელებას) სიმათლის სიჩქარეზე მეტ სიჩქარეს.

2. ბოლო დროს დაიკვირვება იმ პუბლიკაციების რაოდენობის ზრდა, რომლებშიც განიხილება საკითხები **ინფორმაციულ წარმოდგენებზე**. აქ განიხილება არატრადიციული მოსაზრებები, რომლებიც არსებულ სამყაროს ასახავენ ძირითადად ინფორმაციულ პროცესებზე დაყრდნობით.

ვ. ეფრემოვის მოსაზრებით, მდგომარეობის ახსნის მიზნით შეიძლება დავეყრდნოთ შემდეგ მოსაზრებებს:

ა) სუბიექტურ შემეცნებაზე დაფუძნებული მოსაზრება გლობალური ინფორმაციული პირველსაფუძვლის არსებობის შესახებ, რომელიც სტრუქტურულებულია ინფორმაციულ შესაძლებლობების მქონე სისტემების სახით.

ბ) ყოფაში არსებულის ობიექტების ინფორმაციული ურთიერთქმედების ხასიათი.

ვ. ეფრემოვის ამ მოსაზრებას თანხვედება ჩვენი მოსაზრება ინფორმაციული ურთირთქმედების შესახებ [6].

ვ. ეფრემოვის თვალსაზრისით „ობიექტები“ და „თვისებები“ შეკრულნი არიან ერთიან არსებობისათვის თვითკმარ ინფორმაციულ სტრუქტურაში. მას გააჩნია გოლოგრაფიული თვისების ამოუწურავი ინფორმაციული სტრუქტურა და შეიძლება აღიწეროს **არაჩვე-ულებრივი** მათემატიკური აპარატით. ეს მათემატიკური აპარატი იყენებს ინფორმაციულ წერტილებს რომლებიც, ინფორმაციის შემცველობის მიხრდვით, შეიძლება გაიგივებულ იქნას უდიდეს ინფორმაციულ ბლოკებთან.

ამრიგად, მიკრო და მაკროსამყაროში, აგრეთვე ვაკუუმში დაკვირვებადი ფიზიკური პროცესებს (ნახევარსპინიანი ნაწილაკების უცნაური ქცევები, ტორსიული ველები და სხა) შეიძლება ჰქონდეთ ინფორმაციული საფუძველი .

ვ. ეფრემოვი თავისი შთაბეჭდილებების ერთიან აღწერაში ეყრდნობა შემდეგ, ჯერ კიდევ დაუსაბუთებელ, დებულებებს:

- ორივე სამყარო – საიქიო და სააქაო – იმფორმაციულია – ყველა მათი ობიექტი წარმოდგენილია ინფორმაციულად მოცემული თვისებებით.
- ყველა ობიექტის ამსახველი პარამეტრები, მოვლენები და დრო დისკრეტულია (ანუ კვანტურია).
- ფუნდამენტური მოვლენების მიზეზობრიობა ინფორმაციულია.
- ორივე სამყარო (სააქაო და საიქიო) მუდმივად ურთიერთქმედებს ერთმანეთთან. ისინი თვისებების ერთობით თითქოსდა წარმოადგენენ განკერძოებული არეებს, მაგრამ სინამდვილეში მათი ერთობლიობა ერთ წამყვან სუბიექტთან (ღმერთთან) ერთად ქმნიან ერთიან გლობალურ ინტელაქტუალურ სისტემას.
- ეს სამყარო (სააქაო) უფრო მარტივია ჩვენი გაგებისათვის. მას, როგორც წესი, გააჩნია მუდმივების მტკიცე კარკასი, რომელიც განაპირობებს ბუნების კანონების ურყეობას; ხოლო მოვლენებს აკავშირებს დროსთან.
- ეს სამყარო იქმნებოდა, ეხლაც იქმნება და მომავალშიც შეიქმნება (ეს დებულება შეესაბამება ჩვენ ჰიპოტეზას სამყაროს ციკლურობას [7]). ყველაფერი რაც იქმნება და ქრება ბუნების კანონებიდან გამომდინარეობს. თანამედროვე მეცნიერება, როგორც წესი, შეისწავლის უკვე შექმნილის (ამჟამინდელ) ნაწილს.
- გარკვეულ პირობებში, პრაქტიკულად ნებისმიერ ადამიანს გარკვეული დოზით ძალუძს აზრობრივად იმოქმედოს ორივე სამყაროზე [4].

ყოველივე ეს მიუთითებს ორივე სამყაროს ღმერთისეულობაზე და მათ ერთობაზე ერთიანი, თვითკმარი და ცოცხალი მთელის სახით.

3. **ახალი შეხედულება სივრცე-დროის შესახებ.** რას ვგულისხმობთ სამყაროს სტრუქტურაში? ეს არის კითხვა, რომელიც დებატების საგანს წარმოადგენდა ასობით წლების განმავლობაში.

ისმის კითხვა ჩვენ სინამდვილეში ჩაძირულები ხომ არა ვართ სივრცე-დროის ქსოვილში?

ამ კითხაზე პასუხს გვთავაზობს სიმების თეორია.

ისე, როგორც ელექტრომაგნიტორი ველი შედგება უამრავი რაოდენობის ფოტონების ერთობისაგან, გრავიტაციული ველიც შედგება უამრავი რაოდენობის გრავიტონებისაგან. გრავიტინი კი წარმოადგენს სიმის რხევის ერთ-ერთ კერძო შემთხვევას. რაც იმას ნიშნავს, რომ გრავიტაციული ველი შედგება მერხევი სიმების უამრავი რაოდენობისაგან.

მეორე მხრივ გრავიტაციული ველი განპირობებულია სივრცე-დროის ქსოვილის სიმრუდით. ამიტომ სივრცე-დროის სტრუქტურა უნდა გავაიგივეოთ კოლოსალური რაოდენობის ნელად მერხევ სიმებთან. სიმების ასეთ მდგომარეობას სიმების კოჰერენტული მდგომარეობა ეწოდება. ამრიგად სიმები წარმოგვიდგება სივრე-დროის ქსოვილის ძაფებად.

სიმების თეორიის მიხედვით სივრცე-დრო წარმოადგენს ქსოვილს, რომლის ძაფებს სიმები წარმოადგენენ, ანუ სივრცე სიმებისაგან ნაქსოვ ქსოვილს წარმოადგენს. ჩვეულებრი ქსოვილის ნაჭერი წარმოადგენს მქსოველის მიერ გულმოდგინედ შეერთებულ ძაფების ერთობას. ამიტომ ისმის კითხვა, ხომ არ არსებობს ძაფების სახით ისეთი საწყისი მასალა, როლებიც ჯერ არ შეზრდილან ორგანიზებულ ფორმად, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ სივრცე-დროის სახით. აღმოჩნდა, რომ არ არსებოს ცალკეული სიმის ისეთი მდგომარეობა, რომელიც ჯერ არ ჩართულა სივრცე-დროის ქსოვილში [8].

ასეთი მდგომაროზის აღსაწერად საჭირო სიტყვები ჩვეულებრივ სალაპარაკო ლექსიკონში არ არსებობს. (ამით მეცნიერების ენა ეთანადება მისტიკოსების ენას).

ედ. ვიტენისა და სხვა მრავალი თეორეტიკოსის მიერ შემუშავებულ იქნა მიკროსამყაროს უახლესი M-თეორია, რომელიც თავის ფარგლებში აერთიანების 4-ვე ცნობილ ფუნდამენტალურ ურთიერთქმედებას. ამ თეორიის მიხედვით კოსმიური სამყარო წარმოადგენს 11-განზომილებიან უსასრულო და მარადიული სამყაროს. მის პროექცას (კვეთას) წარმოადგენს ჩვენი ოთხგანზომილებიანი კოამოსური სამყარო, რომელიც შემოსაზღვრულია დროსა და სივრცეში.

მრავალი მეცნიერის მიერ M-თეორიის ბოლოდრინდელმა გამოკლევებმა უჩვენეს, რომ პლანკისეული სიგრძის მიღმა არეში შიძლება არსებობდეს სამყარო სივრცე-დროის გარეშე. ასეთ სამყაროზე გარკვეული წარმოდგენა შეიძლება მოგვცეს ე.წ. **ნულ-ბრანის** სახელწოდებით ცნობილმა რაღაც რაობამ.

აღმოჩნდა, რომ M-თეორიაში ეს ობიექტი შეიძლება იყოს ყველაზე ფუნდამენტული. დიდ მანძილებზე ის იქცევა წერტილოვანი ნაწილაკის მსგავსად, მგრამ უმცირეს მანძილებზე მისი თვისებები სავსებით განსხვავება ნაწილაკისაგან. გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ პლანკისეულ ზომაზე ნაკლებ მასშტაბში ნულ-ბრანები საშუალებას იძლევინ უმცირესი ფანჯრიდან შევიხედოთ იქ არსებულ არაჩვეულებრივ სამყაროში.

ამ ნულ-ბრანების გამოკვლევამ უჩვენა, რომ მასში ჩვეულებრივი გეომეტრია იცვლება ე.წ. **არაკომუტატური** გეომეტრიით. ამ გეომეტრიულ მიდგომაში სივრცისა და წერტილებს შორის მანძილის ჩვეულებრივი ცნებები თავის ადგილს უთმობენ სრულიად სხვა ცნებების ერთობლიობას. ეს მიდგომა ფიზიკოსებს საშუალებას მისცემს დაადგინონ თუ სინამდვილეში როგორია სივრცე-დროის სტრუქტურა [8].

უკვე ამჟამად, M-თეორიის გამოკვლევებით ჩანს პლანკისეული სიგრძის მიღმა დამალული არე, რომელშიც, შესაძლებელია არც არსებობდეს სივრცისა დროის ცნებები.

(შეიძლება აქ გამოყენებულ იქნეს მარადისობის ცნება). ასეთი მსჯელობა მიგვანიშნებს სამყაროს გაგების მორიგ **ევოლუციურ ნახტომის არსებობაზე** [8].

ხომ შესაძლებელია მასში არსებობდეს ისეთი ულტრა მცირე ზომის სტრუქტურები, რომლებიც შეეაბამება გარკვეულ სახის ინფორმაციას, რომელიც შეიძლება გამოდგეს კოსმიური გონის მატერიალურ საფუძვლად.

მეცნიერები უშვებენ, რომ ინფორმაცია შეილება არა მარტო გადაეცემოდეს სივრცის ერთი წერტილიდან მეორეში, არმედ შეიძლება ასებობდეს ჩაწყობილი სახით სივრცულ ფორმებში (სტრუქტურებიში). მათემატიკური თვალსაზრიშით, ამჟამად, ეს სავსებით ამოხსნადი ამოცანაა, მით უმეტეს მრავალგანზომილებიან სივრცეში.

კომპუტერული მათემატიკური მოდელიტებით დადგენილ იქნა, რომ სამყარო შედგება ვირტუალური „ინფორმაციული ყულაბებისაგან“, რომლებიც იკვეთებინ ერთმანეთთან ცვლიან ინფორმაციას. მაგრამ, რეალურად რას წარმოადგენს ვირტუალური „ინფორმაციული ყულაბა“, ახლანდელი მეცნიერებისათვის ჯერ-ჯერობით გაუგებარია.

სწორედ არაკლასიკურ მათემატიკას, რომელიც იყენებს წერტილის ინფორმაციულად განსაზღვრას, ეფუძნება ინფორმატიკა, როგორც მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ინტელექტუალურ სისტემებს. მეცნიერული საზოგადოება ჯერჯე-რობით მზად არ არის თავის კვლევებში გამოიყენოს არატრადიციული მათემატიკის – უცნობი აპარატი. გარდა ამისა, ინფორმატიკის ბევრი განყოფილება ჯერჯერობით კარგად არაა დამუშევებული, რაც წარმოადგენს ძირითად დაბრკოლებას განხილული პრობლემების შესწავლაში [4].

M თეორიამ შეიძლება ახსნას ყველაფერი მატერიალური სამყაროს თვალსაზრისით. მაგრამ იგი პასუხს ვერ გასცემს კითხვებს სიცოცხლის წარმოქმნასა და ადამიანის დანიშნულობის შესახებ, თუ არ გავითვალიწინებთ, ახალ, მეხუთე სახის ძალას, ინფორმა-ციულ ურთიერთქმედების სახით. ამისთვის აუცილებლდ დაგვჭირდება გონინფორმაცი-ული ურთიერთქმედების გათვალიწინება და ახალი არაკლასიკური მათემატიკის გამოყენება.

**დასკვნა.** ამრიგად, რეალურად არსებობს როგორც ჩვენი 3-გაზომილებიანი აღქმადი სამყარო – სააქაო, რომელსაც ადამიან-დამკვირვებელი იმეცნებს სენსორული ორგანო-ებით, გონიერებითა და ლოგიკური აზროვნებით, ისე უჩინარი და მარადიული მიღმური სამყარო, რომელსაც ადამიანი იმეცნებს ინტუიციითა და ზეშთაგონებით. ორივე სამყარო ინფორმაციულია, ერთმანეთთან დაკავშირებულია ინფორმაციული ურთიერთქმედებით და ქმნის ერთიან მთლიან, თვითკმარ, თვითგანვითარებად უსასრულო და მარადიულ კოსმიურ სამყაროს. მის შესასწავლად აუცილებელია მრავალმხრივი – მთელური მიდგომა, და უახლესი მეცნიერებები ინფორმატიკის, არატრადიციული მათემატიკისა და „ახალი“ ფიზიკის სახით, რომლებიც ამჟამად დამუშავების მდგომარეობაშია.

## ლიტერატურა:


1. შ. შოშიაშვილი. ნ. კეკელიძე. ახალი მონაცემები ღვთიური სამყაროს შესახებ. ეკოლოგიის პრობლემები VI; პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „რლიგიისა და მევნიერების ურთიერთობის საკითხიები“-ს მოხსენებათა კრებული. თბ., 2008
2. И.В. Прангишвили. Системный подходи повышение еффективности управления. Москва Наука. 2005.
3. Г. Тельнов. Ученый раскрыл тайну загробного мира // „Жизнь“.08 Июня 2005
4. В. Ефремов. "Здесь и там: исследования и размышления." 2000. (ინტერნეტიდან)
5. А. Силин, Тайна информации. Журнал "Сознание и физическая реальность". 30.06. 1998. http://galezoteric. narod. ru/new_page_86. htm
6. შ. შოშიაშვილი მაკროსკოპული სისტემის დახასიათება ინფორმაციული თვალსა-ზრისით. ჟურ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, N 4-6 და N 7-8; 2001.
7. შ. შოშიაშვილი, კოსმოსური სამყაროს ციკლურობის შესახებ. ჟურ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, N 4-6; 2003.
8. Брайан ГРИН. Элэгантная вселенная. Москва. 2004

# ПОТУСТОРОННЫЙ МИР И СОВРЕМЕННАЯ НАУКА

***Шота Шошиашвили, Нодар Кекелидзе***

*Тбилисский Государственный Университет*
*им. Иване Джавахишвили*

Интересным предметом исследования секретов потустороннего-загробного мира является рассказ русского учённого, знаменитого специалиста радиофизики и искусственного интеллекта Владимира Ефремова, который в течении 5-6 минут находился в состоянии клинической смерти. Спустя 16 лет он опубликовал научную статью "Здесь и там: исследования и размышления".

В. Ефремов, после выхода из клинической смерти, на основе личных впечатлений сделал следующие выводы:

- Потусторонный мир, в который он попал, правда существует;
- Человек существуют как в этом мире, так и в потустороннем, но Там лучше;
- Человек в потустороннем мире сохраняет мышление. Этот факт указывает на существование "разумной информации". Информацию как таковую, можно предположить как проявление различных структур какой-то первоосновы.
- Отдельные информационные фрагменты информационно взаимодействуют друг с другом;
- Существуют относительно последовательные аномалии различных информационных формирований, функциональные характеристики которых таковы, что их можно идентифицировать с элементарными локальными операциями и с известными структурами, имеющими направленные свойства, которые составляют основу для любых информационно-функциональных преобразователей.

В. Ефремов в единых описаниях своих впечатлений основывается пока на экспериментально недоказанных гипотезах:

- Оба мира информационны, и все объекты представлены информационно данными свойствами.
- Оба мира постоянно взаимодействует друг с другом. Они, по единству свойств представляются изолированными зонами, но в действительности их сочетание с одним ведущим субъектом (с Богом) составляет единую глобальную интеллектуальную систему.
- Здешний мир более простой для нашего понимания. Он, как правило, имеет жесткий каркас постоянных, который определяет незыблемость законов природы, а события связывает со временем.
- Видимый мир создавался, создаётся сейчас и будет создаваться в будущем.

-При определенных условиях, практически любой человек, в некоторой степени, способен мысленно взаимодействовать с обоими мирами.

Все это свидетельствует о принадлежности обоих миров Богу и единству самодостаточной и живой целостности.

В. Ефремов объясняя ситуацию, основывается на следующих соображениях:

а) Существует глобальная информационная первооснова - "Космический Разум", которая структуризована в виде систем информационных возможностей;

б) Существующие в Бытие объекты информационно взаимодействуют с "Космическим Разумом».

Специфические свойства живой материи не могут быть объяснены только на основе материальных сил (четырех фундаментальных сил). Здесь определённую роль должны выполнить также духовные разумно информационные силы.

По мнению В. Ефремова, решение вопросов в этой области осложнено по причине того, что классическое применение научного аппарата и логики, как универсального языка науки, менее приемлемо к вышеуказанным процессам. Нынешний этап цивилизации человечества определяется такой интеллектуализацией наших представлений, которая требует применение

неклассических методов математики. Главное различие между классической и

неклассической математикой скрывается в определении первичнго понятия "точки" по различным принципам. Классическая математика опирается на принцип определения «точки» с абсолютной точностью. А в неклассической – «точка» даётся по информационному принципу, в котором о местонахождении точки известна только определённая информация.

Интеллектуальная (разумно информационная) система изучается новой наукой под названием информатика. Она опирается как раз на неклассическую математику, которая использует информативное определение «точки». Научное общество пока не готово в своих исследованиях использовать незнакомый аппарат нетрадиционной математики.

# სამყაროს პარადოქსულობა

*შოთა შოშიაშვილი*
*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტი*

აინშტაინის თვალსაზრისით, არსებობს „ჭეშმარიტი, უბრალო და უმშვენიერესი კოსმიური იდუმალება, რომელიც მიუწვდომელია ადამიანის გონების უშუალო აღქმისათვის და რომელიც ინტუიციურად, მხოლოდ მცირე ანარეკლის სახით, აღიქმება ჩვეულებრივი დამკვირვებლის მიერ“ [1].

აღმოჩნდა, რომ „კოსმიურ იდუმალებაში“ დამარხული იდუმალი ჭეშმარიტების შემეცნების ორი ძირითადი საშუალება არსებობს:

ა) მეცნიერული, ანუ ემპირიულ-რაციონალური, როცა ადამიანი თავის თავს აღიქვამს როგორც „მე“-ს, მოთავსებულს სამყაროს ცენტრში და შეიმეცნებს მის მიღმა ობიექტურად არსებულ, როგორც დანაწევრებულ რეალობას.

ბ) ეზოთერულ-მისტიკური, ანუ მედიტაციური „ჭვრეტა“, როცა ადამიანი გრძნობს, რომ იგი კოსმიური სამყაროს როგორც მთელის ნაწილს წარმოადგენს. ამ დროს ადამიანი სამყაროს აღიქვამს როგორც მთელს.

მისტიკოსების მოსაზრებით, არსებობს უმაღლესი განუყოფელი რაობა, რომლის გამოვლინებას წარმოადგენს ყველაფერი. ინდუიზმში მას ჰქვია ბრახმა, ბუდიზმში – ტატხატა, ხოლო დაოიზმში – დაო. მისტიკოსების მტკიცებით, ეს რეალობა ინტელექტუალური აღქმის მიღმაა, რის გამოც არ არსებობს მისი ამაზე უფრო ზუსტი განმარტება. მისი ძირითადი ბუნება მდგომარეობს ისეთი დაკვირვებად ფორმებად განსახიერება-გამოვლინებაში, რომლებიც იბადებიან, ერთმანეთში გადადიან და კვდებიან. მისტიკოსები ამ რეალობაში ხედავენ სამყაროს პირველარსს, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენ მიერ დაკვირვებულ მრავალგვარ მოვლენასა და სხეულს.

მეცნიერების მთავარი დანიშნულება საგნებისა და კოსმოსური სამყაროს სტრუქტურულობისა და ევოლუციურობის კანონზომიერებების დადგენაში მდგომარეობს. მისტიკურისა კი, ადამიანებისა და კაცობრიობის ფუნქციური დანიშნულების დადგენაში, რისთვისაც აუცილებელია სამყაროს როგორც მთელის კანონზომიერებების შემეცნება.

მისტიკოსებმა იციან, რომ სამყარო პარადოქსულია, რის გამოც სინამდვილის სიტყვიერი აღწერა სრულად და ზუსტად შეუძლებელია. ამიტომ მისტიკოსები ინფორმაციის გადმოსაცემად ხშირად იყენებენ მითის ფორმას, მეტაფორებს, პოეტურ სახეებს, სიმბოლოებსა და ალეგორიებს. მისტიკური მსოფლმხედველობის აღწერას მითოლოგიის ენა უფრო მიესადაგება, ვიდრე ჩვეულებრივი სამეტყველო ენა. გარდა ამისა, აღმოსავლეთის მისტიკოსები განჭვრეტილი სინამდვილის გადმოსაცემად ხშირად იყენებენ

პარადოქსულ მტკიცებებს – ე.წ. „კოანებს". აღმოჩნდა, რომ ანალოგიურ მიდგომას ადგილი აქვს თანამედროვე ფიზიკაშიც.

სუბატომურ ფიზიკაში აღმოჩენილმა ახალმა შედეგებმა განამტკიცეს ის აზრი, რომ ადგილი აქვს პარალელიზმს ფიზიკასა და მისტიციზმს შორის. თანამედროვე ფიზიკის მიღწევებმა შეცვალეს მეცნიერთა ნაწილის წარმოდგენები სამყაროს შესახებ. შეიცვალა შეხედულება მატერიაზე, სივრცე-დროსა და მიზეზშედეგობრიობაზე. ასეთი ცვლილებები იწვევს წარმოდგნის შეცვლას მთელი სამყაროს სურათის შესახებ, რომელთაც მივყავართ აღმოსავლეთის მისტიკოსების მიერ წარმოდგენილ სამყაროს სურათთან.

**1. პარადოქსულობის მაგალითები რელატივისტურ სამყაროში.** პარადოქსულობას წარმოადგენს მტკიცება იმისა, რომ ერთი და იგივე საგანი ან მოვლენა წარმოადგენს ურთიერთ საპირისპირო და ურთიერთგამომრიცხავი თვისებების მქონე რაობას.

მისტიკოსები თავიდანვე გრძნობდნენ და ამტკიცებდნენ ჩვენი კოსმოსური სამყაროს პარადოქსულობას. მეცნიერები კი ანალოგიურ დასკვნამდე შედარებით გვიან მივიდნენ.

საუკუნეების განმავლობაში მეცნიერები სწავლობდნენ მაკროსამყაროში მიმდინარე მოვლენებსა და ბუნების ფუნდამეტულ კანონებს. მაკროსამყარო, საშუალო განზომილებისა და შედარებით მცირე სიჩქარეების პირობებში, აღიქმება ადამიანის სენსორული გრძნობის ორგანოების მეშვეობით. ხოლო შეგრძნებადი აღქმები საფუძვლად უდევს ადამიანის სამეტყველო ენის საწყის ცნებებსა და სახეებს. ამიტომ, ისინი დამაკმაყოფილებლად ასახავენ მაკროსკოპულ სამყაროს.

მიკროსამყაროსა და რელატივისტური – c სიჩქარით მოძრაობის შესაბამისი მოვლენების შეწავლისას კი ფიზიკოსები, მისტიკოსების მსგავსად, უცნაურ და პარადოქსულ მოვლენებს წააწყდნენ. განვიხილოთ მაგალითები:

1. კლასიკურ ფიზიკაში სივრცე მიჩნეულია საგანთა ურთიერთგანლაგებად, ხოლო დრო – მოვლენათა ურთიერთმიმდევრობად, ანუ ისინი ორ, სავსებით ურთიერთდამოუკიდებელ ცნებებად განიხილებიან. ამიტომააა, რომ თუ ორი სხეული ერთმანეთისაკენ მოძრაობენ $v_1$ და $v_2$ სიჩქარეებით, ცხადია, რომ ისინი ერთიმეორეს უახლოვდებიან $v=(v_1+v_2)$ სიჩქარით. ცდებმა აჩვენა, რომ c სიჩქრით ერთმანეთისაკენ მოძრავი სინათლის ორი სხივის შემთხვევაში ისინი ერთმანეთს უახლვდებიან არა 2c სიჩქარით, არამედ ისევ c სიჩქარით. ეს პარადოქსი დაკავშირებულია სინათლის გავრცელების უცნაურ თვისებებთან, რომელიც ახსნილ იქნა ალ. აინშტაინის ფარდობითობის სპეციალური თეორიით.

2. ფარდობითობის სპეციალურმა თეორიამ მოხსნა სიჩქარეთა შეკრების პარადოქსი, მაგრამ წარმოქმნა უფრო მაღალი დონის პარადოქსი: სივრცე და დრო, რომლებიც კლასიკური ფიზიკაში სრულიად ურთიერთგანსხვავებულ პირველად ცნებებს წარმოადგენდა, ერთი და იმავე რაობის – სივრცე-დროითი კონტინიუმის სხვადასხვა გამოვლინება აღმოჩნდა.

ბუდიზმის ერთ-ერთი სკოლის მოძღვრებაში, სამყაროს აღწერის შესახებ, მოთხრობილია დროისა და სივრცის ურთიერთგანჭოლვის შეგრძნებაზე. აღმოსავლეთის ფილოსოფია ყოველთვის ამტკიცებდა, რომ სივრცე და დრო მხოლოდ აზროვნებისმიერი ფორმებია, და მათი ურთიერთ დამოუკიდებლად არსებობა არ შეესაბამება უმაღლეს ჭეშმარიტებას [2].

ამრიგად, სივრცე-დროითი კონტინიუმის მეცნიერული ცნება შეესაბამება ანალოგიურ ცნებას მისტიკურ წარმოდგენაში.

**3.** მასისა და ენერგიის ეკვივალენტურობა. კლასიკურ ფიზიკაში მასის ცნება ასოცირდება ნივთიერ მატერიასთან, როგორც მასალასთან, რომლისაგანაც შედგება ყველა სხეული. ხოლო ენერგია არის მუშაობის შესრულების უნარი და დაკავშირებულია მოძრაობასთან. ენერგია აბსტრაქტული ცნებაა. პროცესებში ცალკე ინახება მასა, ისე როგორც ცალკე ინახება ენერგია.

ფარდობითობის სპეციალური თეორიის მიხედვით, მასა არის „დაკონსერვებული“ ენერგია, ანუ ენერგიის ერთ-ერთი ფორმა, რომლის ზომა მასის ზომის ეკვივალენტურია.

სხეულში მასის სახით არსებული კონცენტრირებული ენერგია შეიძლება გარდაიქმნას სხვა ფორმის ენერგიად, მაგალითად, კინეტიკურ ან გამოსხივების ენერგიად და, პირიქით, კინეტიკური ენერგია შეიძლება გარდაიქმნას მატერიის ნივთიერი სახის ფორმად.

აღმოჩნდა, რომ ნაწილაკები, მათი დიდი სიჩქარით მოძრაობის გამო, უნდა განვიხილოთ არა როგორც უმცირესი ზომის ბილიარდის ბურთულები, როგორც მიღებულია კლასიკურ ფიზიკაში, არამედ როგორც ოთხგანზომილებიანი სივრცე-დროის გარკვეული ფორმის დინამიკური სტრუქტურები. მათ ფორმას გააჩნია როგორც სივრცითი, ისე დროითი ასპექტი. სივრცულ ასპექტში ისინი წარმოადგენენ გარკვეულ ობიექტებს, რომლებიც ფლობენ გარკვეულ m მასას, ხოლო დროით ასპექტში – პროცესისათვის დამახასიათებელ თვისებას – E ენერგიის სახით, რომელიც რიცხობრივად ტოლია $mc^2$-ისა. შეიძლება მივიჩნიოთ, რომ გაჩერებული ნივთიერი ნაწილაკის, როგორც მასალის, საფუძველს მასა წარმოადგენს. ფარდობითობის თეორიამ უჩვენა, რომ მატერია არ არსებობს მოძრაობის გარეშე. ელემენტარული ნაწილაკები აქტიურები არიან არა მარტო მათი მოძრაობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ თვითონ წარმოადგენენ პროცესებს (გარდაიქმნებიან ერთმანეთში). ჩვენ ვერ გამოვყოფთ მატერიას მის მიერ შესრულებული მუშაობისაგან, ანუ ენერგიისაგან. ამრიგად, ნივთიერი მატერია და ენერგია წარმოადგენს ერთი და იგივე სივრცე-დროითი რაობის სხვადასხვა ასპექტს, რაც მხოლოდ ურთიერთდამატებითობის პრინციპის საფუძველზე აიხსნება.

**4.** კიდევ ერთი კონფლიქტი, რომელიც ფარდობითობის სპეციალურმა თეორიამ წარმოქმნა, მდგომარეობს ნიუტონის გრავიტაციული თეორიისა და ფარდობითობის სპეციალური თეორიის ურთიერთშეუსაბამობაში.

ფარდობითობის სპეციალური თეორიით არც ერთ ობიექტსა და ურთიერთქმედებას არ შეუძლია გადაადგილდეს სინათლის სიჩქარეზე მეტი სიჩქარით. ხოლო, ნიუტონის თეორიის მიხედვით, გრავიტაციული ურთიერთქმედება მყისიერად ვრცელდება სივრცის უდიდეს მანძილებზე. ეს შეუსაბამობა მოხსნილ იქნა ალ. აინშტაინის ფარდობითობის ზოგადი თეორიით (ფზთ), რომლის მიხედვით გრავიტაცია წარმოადგენს სივრცე-დროითი კონტინიუმის გამრუდებას, რომელიც c სიჩქარით ვრცელდება. ამით მოიხსნა გრავიტაციული ურთიერთმოქმედების გავრცელებასთან დაკავშირებული პარადოქსი, მაგრამ, სამაგიეროდ, აზრი დაკარგა კლასიკური ფიზიკის ერთ-ერთმა ძირითადმა ცნებამ – ცარიელი სივრცის ცნებამ [2].

**5.** სიცარიელის საკითხი. კლასიკური მექანიკის მიხედვით, მყარი და განუყოფელი ნაწილაკები მოძრაობენ ცარიელ სივრცეში და ერთმანეთზე მოქმედებენ მყისიერად.

ფზთ-ის მიხედვით, მასიური სხეულის მახლობლობაში სივრცე „წესრიგდება" ისეთნაირად, რომ ახლომდებარე სხეულები განიცდიან გრავიტაციული ველის მოქმედებას. სივრცის ეს „მოწესრიგება" გავლენას ახდენს სივრცის სტრუქტურაზე, რის გამოც იცვლება სივრცის გეომეტრიაც. გრავიტაციული ველი წარმოადგენს მატერიის ერთ-ერთ ფორმას. ამიტომ მატერია და სივრცე წარმოადგენს ერთი მთელის ორ ურთიერთდამოუკიდებელ ასპექტს [2].

ველის კვანტური თეორიისა და ფარდობითობის თეორიის გაერთიანებით შეიქმნა „კვანტური ელექტროდინამიკა". იგი წარმოადგენს პირველ კვანტო-რელატივისტურ თეორიას, რომლის მიხედვით ელექტრომაგნიტური ველი შეიძლება დაიკვანტოს (დანაწევრდეს) და მიიღოს კვანტების ფორმა, რომელთაც შემდეგ ფოტონები უწოდეს.

ამჟამად, ყოველი ტიპის ნაწილაკისათვის შემოღებულია შესაბამისი ტიპის კვანტური ველი, რომელიც ქმნის გარკვეულ გარემოს. ყოველ კვანტურ ველს, რომელიც განჭოლავს მთელ სივრცეს, გააჩნია დამოუკიდებელი ფიზიკური ბუნება. ხოლო, ნაწილაკები წარმოადგენენ ამ გარემოს „შემკვრივების", კონცენტრაციის არეებს, ენერგეტიკულ კვანტებს, რომლებიც წარმოიქმნებიან და ქრებიან („დნებიან"). კვანტური დინამიკის წარმოდგენაში ერთადერთი არსებული რეალობა თავის თავში შეიცავს მხოლოდ ველის ცნებას [2].

ველის ცნების გაგების შემდეგ ფიზიკოსები მიისწრაფიან ერთიანი ველის კონცეფციის შემუშავებისაკენ, რომლის ფარგლებში შეიძლება ახსნილ იქნეს ველების კერძო ნაირსახეობანი. არსებობს ამ ერთიანი ველის ცნების ეკვივალენტური ცნებები ინდუიზმში – „ბრახმანის", ბუდიზმში – „შუნიატის", ხოლო დაოსიზმში – „დაოს" სახით. აღმოსავლური წარმოდგენით, რეალობა, რომელიც საფუძვლად უდევს ყველა მოვლენას, არ გააჩნია რაიმე სახის ფორმა და განუზღვრელია. ამიტომ მას ხშირად მოიხსენიებენ „სიცარიელის" სახელწოდებით. მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში, სიტყვა „სიცარიელე" არ ნიშნავს „შეუვსებადობას", ან „არარსებობას". პირიქით, სივრცე წარმოადგენს ყველა

სახისა და ფორმის ველის არსებობის წყაროსა და საშუალებას. ამრიგად, სივრცე განჭოლვილია ყოველგვარი ველებით.

გარდა ამისა, ფიზიკური ვაკუუმი სავსეა ყოველგვარი სახის ნაწილაკ-ანტინაწილაკებით.

ამრიგად, სიცარიელე არ არსებობს. ის, როგორც მინიმუმ, წარმოადგენს ურთიერთ განჭოლვილი სხვადასხვა ველების ერთობლიობას. ეს ველები ქმნიან ენერგეტიკულ კვანძებს, სხვადასხვანაირი ნაწილაკების სახით, რომლებიც ქმნიან ურთიერთგადაჯაჭვულ ურთიერთობათა უსასრულო ერთიან ბადეს.

დაოსელებისათვის „დაო“ წარმოადგენს სიცოცხლის მატარებელ „სიცარიელეს“ რომელიც შეიცავს ყველაფერს და წარმოადგენს ყველაფრის ქმნადობის მუდმივ წყაროს [3].

აღმოსავლეთის მისტიკოსების „სიცარიელე“ შესაბამისობაშია თანამედროვე ფიზიკის სუპერგაერთიანების თეორიის კვანტურ ველთან [2].

ცარიელი სამგანზომილებიანი სივრცე, რომელიც კლასიკური მიდგომით მხოლოდ მატერიალური საგნების „საცავს“, ანუ მატერიის თვალსაზრისით, „არაფერს“ წარმოადგენდა, „ყველაფრის“ შემცველი აღმოჩნდა. „არაფრისა“ და „ყველაფრის“ ტოლფასობა კი უაღრესად პარადოქსულ მტკიცებას წარმოადგენს.

**2. პარადოქსულობა მიკროსამყაროში.** მიკროსამყარო, ანუ ატომებისა და მათი შემადგენელი ნაწილაკების სამყარო მეტად არაჩვეულებრივი და პარადოქსული აღმოჩნდა. ატომის ფიზიკაში ყველა ექსპერიმენტული შედეგი პარადოქსული და გაუგებარი იყო კლასიკური ფიზიკის თვალსაზრისით.

ამ სამყაროს პირველად სხვადასხვა ქვეყნის დიდი ფიზიკოსები გაეცვნენ: ნილს ბორი, ლუი დე ბროილი, ერვინ შრედინგერი, ვოლჰანგ პაული და პოლ დირაკი, რომელთაც ჩამოაყალიბეს ატომური ფიზიკის ძირითადი კანონები. პ. ფეინმანს უთქვამს, რომ კვანტური მექანიკის გაგება ინტუიციის დონეზე შეუძლებელია, რის გამოც იგი გაუგებარია მრავალი ფიზიკოსისათვის [4].

მიკროსამყაროში არსებული პარადოქსულობის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოგალითს წარმოადგენს ნაწილაკის ორმაგი – ტალღური და კორპუსკულარული ბუნება. როგორც აღვნიშნეთ, ჯერ მაქს პლანკმა აღმოაჩინა, რომ გახურებული სხეული სინათლეს ასხივებს ცალკეული პორციების სახით, რომლებსაც შემდეგ აინშტაინმა კვანტები უწოდა და მათში დაინახა ბუნების ძირითადი ასპექტი. მას შემდეგ, სინათლის კვანტები განიხილება, როგორც ნაწილაკები, რომელთაც ფოტონები უწოდეს.

შემდეგში აღმოჩნდა, რომ გარკვეული უძრაობის მასის მქონე ელემენტარული ნაწილაკებიც ხასიათდებიან ტალღური თვისებებით.

მატერიის ეს ორმაგი თვისება უაღრესად პარადოქსულია. წარმოუდგენელია, რომ რაღაცა ერთდროულად იყოს ნაწილაკიც, ძალიან მცირე მოცულობით, და ტალღაც, რომელიც უსასრულოდ ვრცელდება. ნაწილაკის ეს ორმაგი ბუნება პარადოქსულად გვეჩვენება, როცა მას წარმოვიდგენთ გარკვეული მასის მქონე ბურთულად, რომელიც

შეიძლება უძრავიც იყოს. პარადოქსულობა იხსნება თუ ნაწილაკს განვიხილავთ, როგორც გარკვეული ენერგიის მქონე სივრცე-დროით დინამიკურ შენადედს, რომელიც სივრცესა და დროში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ გარკვეული ალბათობით. ასეთი ნაწილაკი გავრცელებისას თავს ამჟღავნებს როგორც ტალღა, ხოლო ნივთიერებასთან ურთიერთ-ქმედებისას – როგორც კორპუსკულა. ბორის მიხედვით, მისი შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთდამატებითობის პრინციპის გამოყენებით.

**ურთიერთდამატებითობის პრინციპი.** კვანტურ თეორიაში არსებობს ურთიერთ-დაკავშირებული ფიზიკური სიდიდეების (ცნებების) წყვილები, რომელთა მნიშვნელობა არ შეიძლება ერთდროულად განისაზღვროს დიდი სიზუსტით. იმისათვის, რომ გასაგები ყოფილიყო ასეთი წყვილური ცნებების შესაბამისობა კლასიკურ ფიზიკაში ნილს ბორმა შემოიტანა ე.წ. დამატებითობის პრინციპი. ნაწილაკისა და ტალღის სურათს ის განიხილავდა როგორც ერთსა და იმავე რეალობის ურთიერთდამატებით აღწერას. ატომური სინამდვილის სრული შემეცნებისათვის აუცილებელია აღწერის ორივე ფორმის გამოყენება. დამატებითობის ცნება უხსოვარი დროიდან დიდ როლს ასრულებდა ძველ ჩინურ ფილოსოფიაში, რომლის მიხედვით, დაპირიპირებული ცნებები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ურთიერთდამატებითობის პრინციპით. ამის თვალსაჩინო დასაბუთებას წარმოადგენს ჩინურ ფილოსოფიაში არსებული ნათელისა – **იან** და ბნელის – **ინ** ერთიანობისა და ურთიერთმონაცვლეობის სიმბოლური გამოსახულება [3].

1937 წელს ჩინეთში სტუმრობისას ნილს ბორი გაოგნებული დარჩა იმით, რომ ძველი ჩინეთის ფილოსოფიაში არსებობდა წარმოდგენა დაპირისპირებათა ერთობისა და მათი ურთიერთ დამატებითობის შესახებ. ბორმა აღიარა პარალელობის არსებობა ძველ აღმოსავლურ სიბრძნესა და ამჟამინდელ მეცნიერებას შორის.

**3. კონფლიქტი კვანტურ მექანიკასა და ფარდობითობის ზოგადი თეორიას შორის.** მეცნიერული თვალსაზრისით, ყველაზე ღრმა კონფლიქტი მდგომარეობს ფარდობითობის ზოგადი თეორიისა (ფზთ) და კვანტური მექანიკის შეუთავსებლობაში. ფზთ-ის თანახმად, მზე ამრუდებს სივრცეს, რომელშიც ვარსკვლავიდან წამოსული სხივი უნდა გამრუდდეს. 1919 წლის 29 მაისს მზის დაბნელების დროს ჩატარებული ცდის შედეგების ანალიზმა დაადასტურა აინშტაინის ფარდობითობის ზოგადი თეორიის სისწორე. ამ თეორიის ერთ-ერთი შედეგს წარმოადგენს შავი ხვრელების არსებობა. ამჟამად დამტკიცებულად ითვლება, რომ ყოველი გალაქტიკის ცენტრში არსებობს შავი ხვრელი.

ფზთ-ის მეშვეობით მოხერხდა გალაქტიკების, გალაქტიკების გროვებისა და მთელი დაკვირვებადი სამყაროს იდუმალი თვისებების გამოკვლევა. ფზთ-ის ყველა წინასწარ-მეტყველება ექსპერიმენტულად უაღრესად დიდი სიზუსტით დადასტურდა [5].

მეორე მხრივ, მიკროსამყაროს აღსაწერად შემუშავებულ იქნა კვანტური მექანიკა. იგი მათემატიკურად კორექტური თეორიაა, ხოლო მისი წინასწარმეტყველებანი მიკრო-სამყაროში ექსპერიმენტულად საბუთდება მეტად დიდი სიზუსტით.

ე.ი. ეს ორი ფუნდამეტური თეორია ბრწყინვალედ მუშაობს მატერიალური სამყაროს სხვადასხვა არეში – მაკროსამყაროსა და მიკროსამყაროში. მაგრამ, არსებობენ ფიზიკური ობიექტები, უზარმაზარი მასითა და უმცირესი მოცულობით, რომელთა სრული გამოკვლევისათვის აუცილებელია როგორც კვანტური მექანიკა, ისე ფარდობითობის ზოგადი თეორია. მაგრამ ამ ორი თეორიის გაერთიანებისას სწორედ დასმული ფიზიკური ამოცანები უაზრო ამოხსნებს იძლევა [5].

ფზთ-ისა და კვანტური მექანიკის გაერთიანებისათვის საჭიროა სივრცის გამოკვლევა ულტრამიკროსკოპულ დონეზე. მაკროსკოპულ სისტემაში სივრცე, სადაც მასა არ არის მოთავსებული, ბრტყელია. თუმცა, კვანტური მექანიკის მიხედვით, კვანტური ფლუქტუაციების ობიექტს წარმოადგენს ყველაფერი, მათ შორის გრავიტაცილი ველიც, ანუ სივრცეც. კვანტური მექანიკის მიხედვით, გრავიტაციული ველი იცვლება კვანტური ფლუქტუაციების გამო, განუზღვრელობის პრინციპის ფარგლებში. ამიტომ გრავიტაციული ველის ფლუქტუაციების ზომა მით მეტია, რაც უფრო მცირეა გამოსაკვლევი სივრცის მასშტაბი. აღმოჩნდა, რომ ულტრამიკროსკოპულ ($10^{-33}$სმ) მასშტაბში გრავიტაციული ველის ფლუქტუაციები ღებულობს ტურბულენტურ და ბრუნვა-ღრეცულ ფორმებს, რომელსაც **კვანტური ქაფი** უწოდეს. ფზთ-ის განტოლებები ვერ უმკლავდებ კვანტური ქაფის უგონო ქაოსს [5].

ამიტომ ფზთ-ია და კვანტური მექანიკა ურთიერთშეუთავსებელი აღმოჩნდა.

კონფლიქტი კვანტურ მექანიკასა და ფზთ-ას შორის მოხსნა სიმების თეორიამ.

1984 წელს **მაიკლ გრინმა** და ჯონ შვარცმა პირველებმა წარმოადგინეს დამაჯერებელი მტკიცებულებები, რომ სუპერსიმების თეორიას შეუძლია ორიგინალურად და ღრმად აღწეროს სამყარო ულტრამიკრო დონეზე და მოახდინოს ფზთ-ის ისეთი მოდიფიცირება, რომელიც მთლიანად თავსებადი იქნება კვანტური მექანიკის კანონებთან. სიმების თეორიის მიხედვით, ელემენტარული ნაწილაკები წარმოადგენენ უსასრულოდ წვრილ, დრეკად, განუწყვეტლივ ვიბრირებად სიმებს და არა განზომილების არმქონე წერტილოვან ნაწილაკებს, როგორც მიიჩნევდა ელემენტარული ნაწილაკების თეორიის სტანდარტული მოდელი.

სიმების თეორიის მიხედვით, ყოველი ელემეტარული ნაწილაკი შედგება ერთი და იგივე საამშენებლო მასალისაგან – სიმის ცალკეული, მაგრამ ურთიერთიდენტური მარყუჟებისაგან. განსხვავება ნაწილაკებს შორის განპირობებულია მხოლოდ სიმების რხევების „ნოტებს" შორის სხვაობით. თითოეული ნაწილაკის შესაბამისი სიმის მარყუჟს გააჩნია რხევის რეზონანსული მოდები. სხვადასხვა ურთიერთქმედების გადამტანი ნაწილაკები: გრავიტონები, ფოტონები, გლუონები და ყალიბრული ბოზონები, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ სიმების შესაბამისი რეზონანსული რხევების კონკრეტული მოდებით. ურთიერთქმედების მუდმივები განისაზღვრება შესაბამისი რეზონანსული რხევების მახასიათებლებით. სიმის რეზონანსული რხევის ერთ-ერთი მოდის

მახასიათებლები ზუსტ თანხვედრაშია გრავიტონის მახასიათებლებთან, რაც იმას ნიშნავს, რომ გრავიტაცია სიმების თეორიის შემადგენლ ნაწილს წარმოადგენს [5].

სიმების თეორიის საფუძველზე გაერთიანდა კვანტური მექანიკა და ფზთ, მაგრამ მან კიდევ ერთხელ რადიკალურად შეცვალა წარმოდგენა სივრცე-დროის შესახებ. აღმოჩნდა, რომ სივრცე-დრო არის 10-განზომილებიანი, რომელთაგან 6 ჩახვეულ მდგომარეობაშია უმცირესი რადიუსით, რაც წარმოუდგენელი და პარადოქსულია ნებისმიერი ადამიანისათვის.

**4. სამყაროს შექმნა „არაფრისაგან“.** დიდი აფეთქების თეორიის ინფლაციური მოდელის მიხედვით, კოსმოსური სამყარო შეიქმნა 14 მილიარდი წლის წინ „სიცარიელეში“ „არაფრისაგან“, რაც შეესაბამება კრეცენისტულ მსოფლმხედველობას, რომლის მიხედვით სამყარო ღმერთმა „არაფრისაგან “ შექმნა.

დიდი აფეთქების ინფლაციური გაფართების თეორიის მიხედვით, სამყაროს წარმოქმნის საწყის სტადიაში არსებობდა სინგულარობა, რომლის ახსნაც შეუძლებელი იყო. აზრი არ ჰქონდა აგრეთვე კითხვის დასმას, თუ რა იყო სამყაროს წარმოშობამდე. არ არსებობდა დრო და სივრცე და სამყარო წარმოიქმნებოდა „არაფრისაგან“, სრულიდ შემთხვევით.

კრეაციონისტული მოსაზრებით, სამყარო ღმერთმა შექმნა „არაფრისაგან“. მაგრამ ღმერთი ხომ არსებობდა სამყაროს შექმნამდე. ჩემი აზრით, ღმერთმა სამყარო შექმნა თავისივე თავისაგან, თავისივე თავში. ამიტომ არაფრისაგან სამყაროს შექმნის იდეა პარადოქსულად მიმაჩნია.

ლუკრეციუსის აზრითაც: „არაფრისაგან თვითონ ღმერთიც ვერაფერს შექმნის“ [6].

ამ პარადოქსულ საკითხს, ფიზიკის თვალსაზრისით, პასუხი გასცა M-**თეორიამ** [5].

M-თეორიის მიხედვით, მარადიულად არსებობს 11-განზომილებიანი სამყარო. მასში განუწყვეტლივ მოძრაობენ მემბრანები, რის შედეგადაც ისინი ეჯახებიან ერთმანეთს. მემბრანების შეჯახების შედეგად წარმოიქმნა უმცირესი ზომისა და უდიდესი სიმკვრივის ბუშტულაკი და შეიქმნა ისეთი პირობები, რომ განვითარებულიყო დიდი აფეთქების თეორიის ინფლაციური მოდელი. შეჯახებისას მემბრანის ბურცობები მატერიად გარდაიქმნენ, რამაც წარმოშვა გალაქტიკები და ვარსკვლავები. დრო არსებობდა დიდი აფთქებამდეც მარადისობის სახით. M-თეორიამ მოხსნა სამყაროს არაფრისაგან წარმოშობისა და საწყისი წერტილის სინგულარობის პრომლემა. მაგრამ, აღიარა 11-ანზომილებიანი უსასრულო სივრცე-დროითი უჩინარი სამყაროს მარადიული არსებობა [5].

აღმოსავლეთის სიბრძნისმეტყველები უხსოვარი დროიდან ასაბუთებდნენ უჩინარი უსასრულო სამყაროს მარადიულად არსებობას [2].

**5. სიცოცხლის წარმოშობის შეუძლებლობა.** უაღრესად პაროდოქსულ მოვლენას წარმოადგენს სიცოცხლის წარმოშობა ჩვენ 3-განზომილებიან სამყაროში. ამ კითხავზე პასუხს ვერ იძლევა სამყაროს წარმოშობის თეორია, რომლის მიხედვით ჩვენი 3-

განზობიანი სამყარო შემოსაზღვრულია დროსა (14 მილიარდი წელი) და სივრცეში ($10^{28}$ სმ). ასეთ პირობებში, დედამიწის უნიკალურობის გათვალისწინებით, მათემატიკურად მტკიცდება, რომ უმარტივესი ცილის მოლეკულის თავისთავად წარმოშობის ალბათობაც კი არ აღემატება $10^{-67}$. რაც იმაზე მეტყველებს, რომ დედამიწაზე სიცოცხლის თავისთავად წარმოშობა შეუძლებელია. მაგრამ, ფაქტია, რომ ჩვენი შემოსაზღვრული სამგანზომილებიანი სამყაროს პირობებში სიცოცხლე არა მარტო არსებობს, არამედ ევოლუციურადაც ვითარდება. რას უნდა ვუმადლოდეთ ამ უტყური ფაქტის არსებობას?

ჩვენი აზრით, ეს პარადოქსი შეიძლება აიხსნას, მხოლოდ 11-განომილებიან უსასრულო და მარადიულ სამყაროში „კოსმიური გონისა" და „გონინფორმაციული ურთიერთქმედების" არსებობის დაშვებით [7;8].

**დასკვნა:** აღმოსავლური მისტიციზმი ოდითგანვე ამტკიცებდა სამყაროს ერთიანობასა და პარადოქსულობას. იგი სამყაროს განიხილავს ფიზიკური და ფსიქიკური ურთიერთმიმართებების ურთიერთგადაწნული ბადის სახით, რომლის ნაწილები განიხილება მთელთან კავშირში. ანუ, სამყარო განიხილულ უნდა იქნეს არა როგორც ცალკეული ნაწილების ერთობლიობა, არამედ, როგორც ერთიანი დინამიკური მთელი. თანამედროვე ფიზიკამ გადადგა დიდი ნაბიჯი აღმოსავლური მისტიციზმის სამყაროსეული ჭვრეტის მიმართულებით.

ჩვენი აზრით, კოსმიური სამყარო ხილული და უხილავი ფორმების ჩათვლით, ერთიანი ცოცხალი ორგანიზმია. მისი ნაწილები ერთმანეთთან კავშირშია და ერთმანეთის არსებობას განაპირობებს. ისინი ერთმანეთზე მოქმედებენ არა მარტო ფიზიკურად, არამედ ინფორმაციულადაც. საჭიროა, არსებობდეს ერთიანი ინფორმაციული ველი, რომლის მეშვეობით კოსმიური გონი მოქმედებს სხვადასხვა ქვესამყაროებზე. მომავალში საჭიროა, ადამიანის გონიერებისა და სულიერების გათვალისწინება ერთიანი სამყაროსეული მთელის ფარგლებში.

**ლიტერატურა:**


1. *А. Эйнштейн. Собрание научных трудов. т.IV, Москва,1967*
2. *Ф. Капра, Дао физика. Internet: http//www.philosophy. ru/library/Pibrarg/kapra/10.htinl. «ОРИС» «ЯНА-ПРИНТ»; 1994; http://bookz.ru.*
3. *ლაო-ძი. დაო დე ძინბ. „საბჭოთა საქართველო". თბ. 1983.*
4. *Ф.С.Завелький, Время и его измирение. „Наука". Москва 1987.*
5. *Брайан ГРИН. Элэгантная вселенная. Москва. 2004.*
6. *ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის. „საბჭოთა საქართველო". თბ., 1958.*
7. *შ. შოშიაშვილი, მაკროსკოპული სისტემის დახასიათება ინფორმაციული თვალსაზრისით. ჟურ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები", ¹ 4-6 და ¹ 7-8; 2001.*
8. *შ. შოშიაშვილი; კოსმიური სამყარო თეოსოფიური გადმოსახედიდან წიგნი II. „მერიდიანი". თბილისი. 2012.*

# ПАРАДОКСАЛЬНОСТЬ ВСЕЛЕННОЙ

***Шота Шошиашвили***

*Тбилисский Государственный Университет*

*им. Иване Джавахишвили*

Доказывать, что один и тот же предмет или явление имеют противоположный или взаимо исключающий характер, является парадоксальным. Мистики изначально чувствовали и доказывали парадоксальность нашей космической вселенной. А наука сравнительно позже пришла к аналогичному мнению.

Оказалось, что во Вселенной имеют место парадоксальные явления:

1. В классической физике, пространство рассматривается как взаимное расположение предметов, а время - как последовательность событий. Т.е., они рассматриваются как две взаимно независимые концепции. Именно поэтому, если два тела движутся друг к другу со скоростью $v_1$ и $v_2$, очевидно, что они приближаются друг к другу со скоростью $v=(v_1+v_2)$. Эксперименты показали, что в случае перемещения навстречу друг другу два луча света с максимальной предельной скоростью с, они приближаются друг к другу, не со скоростью 2с, а опять со скоростью с. Этот парадокс, связан со странными свойствами распространения света, которые были изучены специальной теорией относительности А.Эйнштейна.

2. Специальная теория относительности сняла парадокс суммирования скорости, но выявила парадокс более высокого уровня: пространство и время, которые в классической физике рассматривались как совершенно отличные друг от друга понятия, оказались разным проявлениям пространственно-временного континуума одной и той же сущности.

Пространство, которое, в соответствии с классической физикой, считалось пустотой, по квантово-релятивистской теории состоит из разнообразных полей. Эти поля составляют энергетические узлы, в виде различных типов частиц, которые, в свою очередь, составляют единую бесконечную сетку взаимодействия. Таким образом, пустое пространство, которое по классическим подходам было «ничем», оказалось равным «всем».

3. Утверждение, что любая частица характеризуется двойной – волновой и корпускулярной природой, весьма парадоксально. Этот парадокс снимается принципом взаимной дополнительности Н. Бора. Понятие принципа дополнительности сыграли большую роль в древней китайской философии с незапамятных времён.

4. С научной точки зрения, самым глубоким парадоксом является несовместимость общей теории относительности (ОТО) А. Эйнштейна с квантовой механикой.

С одной стороны, с большой точностью экспериментально подтверждены все предсказания ОТО. С другой стороны, для описания микромира разработана квантовая механика, которая является математически корректной теорией и её предсказания в микромире с большой точностью обосновано экспериментально.

Квантовая механика и ОТО были объеденены на основе теории струн, но это в очередной раз радикально изменило восприятие пространства-времени. Оказалось, что пространство-время является 10-мерной системой, из которых 6 является в закрученном положении с наименьшим радиусом, что является невероятным и парадоксальным для любого человека.

5. Значительным парадоксальным утверждением является создание Вселенной "из ничего". Этот парадокс был снят с помощью новейщей М-теорией, согласно которой вечно существует 11-мерная Вселенная. При столкновении вечно существующих мембран формировался 10 мерный пузырёк с наименьшим размером и с наибольшей плотностью, который развился по инфляционной модели теории большого взрыва. М-теория сняла проблему происхождения Вселенной "из ничего", но признала вечное существование 11-мерной бесконечной пространство-временной невидимой Вселенной.

6. Чрезвычайно парадоксальным является происхождение жизни в нашем 3-х мерном мире. На этот вопрос не даёт ответ теория о происхождении Вселенной, согласно которой наша 3-х мерная вселенная ограничена во времени (14 млрд. лет) и в пространстве ($10^{28}$см). При таких условиях, принимая во внимание уникальность нашей планеты, математически доказано, что вероятность само возникновения даже простейшей молекулы белка не превышает $10^{-67}$. Это указывает, что само возникновение жизни на Земле невозможно. Но, факт, что в условии нашей 3-х мерной вселённой, жизнь не только существует, но и эволюционно развивается. Чему мы обязаны существованию этого неоспоримого факта?

На наш взгляд, этот парадокс можно объяснить, только допущением существования "Космического Разума" и "разумно-информационного взаимодействия" в 11-мерной бесконечной и вечной Вселённой.

# კოსმოსური სამყაროს შექმნის ახალმეცნიერულ და რელიგიურ შეხედულებათა ურთიერთმიმართების შესახებ

***შოთა შოშიაშვილი***

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

საყოველთაოდ ცნობილია, რომ არსებობს ჩვენი სამგანზომილებიანი, მეცნიერულად დაკვირვებადი კოსმოსური სამყაროს წარმოშობის ორი ურთიერთ საპირისპრო თვალსაზრისი: ევოლუციურ-მატერიალისტური და კრეაციონისტულ-იდეალისტური. ერთის თვალსაზრისით კოსმოსური სამყარო წარმოიქმნა შემთხვევით და უმიზნოთ, მეორის თვალსაზრისით სამყარო შექმნილია შემომქმედის მიერ გარკვეული გეგმითა და მიზნით.

2006 წელს, ჩვენს მიერ, სტატაში „კოსმოსური სამყაროს დაბადების შესახებ ბიბლიური და ამჟამინდელი მეცნიერული მონაცემების ურთიერთშედარება“, შემოთავაზებულ იქნა კოსმოსური სამყაროს წარმოშობის დიდი აფეთქების თეორიის (დგთ) იმფლაციური მოდელისა და „ბიბლიაში“ აღწერილი ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის მოდელის ურთიერთ მიმართებითი განხილვა [1].

სტატიაში დაწვრილებითაა განხილული სამყაროს შექმნის ბიბლიური მოდელი და სამყაროს შექმნის ეტაპები დიდი აფეთქების ინფლაციური თეორიის მიხედვით.

ჩვენს მიერ გამოტანილ იქნა დასკვნა, რონ სამყაროს შექმნის ბიბლიური და მეცნიერული სურათი ერთმანეთს შეესაბამებიან ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებში, როგორიცაა:

1. სამყაროს დასაბამისობა;
2. სივრცის, დროისა და მატერიის ერთდროული დაბადება;
3. მატერიის ფორმა სამყაროს საწყის სტადიაში;
4. ნათელის გამოყოფა ბნელისაგან;
5. სამყაროს უნიკალურობა და ერთადერთობა;
6. მატერიის უჩინარი ფორმით არსებობა;
7. სამყაროს ევოლუციურობა;
8. ინფორმაციის პირველადობა.

მაგრამ, სამწუხაროდ თანამედროვე მეცნიერებს შორის **დათ**-ს ყავს ბევრი კრიტიკოსი და კატეგორიულად უარმყოფელიც [2]. მაგრამ მათ მიერ მოყვანილი არგუმენტებს ან დასაბუთება აკლია, ან ადვილია მათ მიერ მოყვანილი არგუმენტების უგულებელყოფა.

დიდი აფეთქების თეორიის მართებულობა კიდევ უფრო განამტლიცა ახალმა მეცნიერულმა მიღწევებმა სიმების თეორიის, M თეორიისა და მეცნიერულ-ექსპერიმენტული აღმოჩენების სახით.

**1. კიდევ ერთხელ დიდი აფეთქების თეორიის შესახებ.**

მატერიალისტურ-ათეისტური ფილოსოფიის მთავარ საყრდენს წარმოადგენდა უსასრულო და მარადიული სტატიკური სამყაროს მოდელის არსებობა. სამყაროს ასეთ მოდელში, გერმანელი ფილოსოფოსის იმანუელ კანტის გათვლების მიხედვით, შეიძლებოდა ნებისმიერად მცირე ალბათობის მქონე მოვლენის რეალიზება, რაც საფუძვლად დაედო შემოქმედის არსებობის უარყოფის იდეას.

თუმცა მეცნიერების მძლავრმა განვითარებამ XXს-ში საფუძველი გამოაცალა სტატიკური სამყაროს მოდელის პრინციპულ წარმოდგენას. უამრავმა ექსპერიმენტულმა დაკვირვებამ, რევოლუციურმა აღმოჩენებმა და თეორიულმა გამოთვლებმა დაამტკიცეს, რომ კოსმოსურ სამყაროს ჰქონდა დასაწყისი, ის შეიქმნა წამიერად – დიდი აფეთქბის შედეგად გაფართოვდა, ევოლუციურად განვითარდა და ეხლაც ფართოვდება. დღეს, ეს ვერსია აღიარბულია მსოფლიო მეცნიერების მიერ. 1981 წელს რომის პაპის მიწვევით ჩატარდა კონფერენცია ვატიკანში, რომელზეც პაპმა განაცხადა, რომ დიდი აფეთქების საწყისი მომენტი არის ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის აქტი [3].

1. ჰოლანდიელი ასტრონომის **ვილემ დე სიტერის** მიერ 1917 წელს პირველად განხილულ იქნა ცარიელი სამყაროს მოდელი. მან, აინშტაინის გრავიტაციული ველის განტოლებების საუძველზე, პირველად წამოაყენა გაფართოებადი სამყაროს თეორიული მოდელი. მან აჩვენა, რომ ცარიელ სივრცეში მოთავსებლ 2 ისეთ მასის მქონე ობიექტს შორის, როცა შესაძლებელია მათი გრავიტაციული ურთიერთქმედების უგულებელყოფა, მოქმედებს მხოლოდ გამზიდვი სიდიდით გამოწვეული, უარყოფითი გრავიტციული ძალა.

ამ შემთხვევაში ცარიელ სივრცეში არსებული ნებისმიერი 2 მასიური ობიექტი ერთმანეთს შორდება ექპონენციალრი კანონით. ამაჟმად დე სიტერის მოდელი გამოუსადეგარია. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამყაროს განვითარების საწყის სტადიის განხილვისას [4].

სამყაროს გაფართოება ერთმანეთს არ აშორებს ციურ სხეულებს მზის სისტემაში, ვარსკლავებს გალაქტიკის შიგნით და გალაქტიკებს – გალაქტიკათა გროვის შიგნით. მისი მოქმედება არაა საკმარისი იმ გალაქტიკების ერთმანეთისაგან დასაშორებლად, რომლებიც იმდენად ახლოს იმყოფებიან ერთმანეთთან, რომ აღმოჩნდნენ საკმაოდ ძლიერად დაბმულები გრავიტაციული ძალით, რაც განაპირობებს გალაქტიკათა გროვების წარმოქმნას.

მაგალითად ჩვენი გალაქტიკა და გალაქტიკა ანდრომედა შეიძლება ჩაითვალოს 2 ათეულ გალაქტიკამდე შემცველი გალაქტიკათა ადგილობრვი ჯგუფის 2 გიგანტურ წევრად.

ადგილობრივი ჯგუფის წევრი გალაქტიკების ურთიერთმოძრაობა განპირობებულია გრავიტაციული მიზიდულების ადგილობრივი ძალებით. ამიტომაა, რომ გალაქტიკა ანდრომედა უახლოდება ჩვენ გალაქტიკას. ამავე მიზეზითაა განპირობებული ასტრონომების მიერ აღმოჩენილი გალაქტიკათა ურთიერთდაჯახების ფაქტები. ყოველივე ეს წინააღმდეგობაშია დიდი აფეთქების თეორიის უარმყოფელი ზოგიერთი ფიზიკოსის მოსაზრებასთან [2].

**2.** რუსმა მათემატიკოსმა **ალექსანდრე ფრიდმანმა** (1922-1924) წლებში სამყაროს აინშტაინისეული მოძრაობის განტოლების განხილვისას თეორიულად უჩვენა, რომ ერთგვაროვანი სამყაროს შემთხვევაში, ნებისმირი გალაქტიკა გვშორდება R მანძილის პროპორციული სიჩქარით. ამრიგად, ფრიდმანის შრომების მიხედვით, სამყარო დროის რომელიღაც საწყის მომენტში იმყოფებოდა უსასრულო სიმკვრივის მდგომარეობაში, რომელმაც რატომღაც დაიწყო გაფართოება. ეს იყო **აფეთქებადი სამყაროს თეორიული** აღმოჩენა. ამ თეორიის მიხედვით ნებისმიერ მასიურ სხეულზე მოქმედებს გამზიდავი ძალა, რომელიც სამყაროში არსებულ სხეულებს შორის R მანძილის პროპორციულია.

აღმოჩნდა, რომ სამყაროში გამზიდავი ძალა და აჩქარებული გაფართოება შეიძლება გამოიწვიოს ვაკუუმის ენერგიამ და მასში არსებულმა უარყოფითმა წნევამ, როცა ვაკუუმის ენერგეტიკული სიმკვრივე გაცილებით დიდია ჩვეულებრივი ნივთიერი მატერიის სიმკვრივეზე.

3. 1929 წელს დიდმა ამერიკელმა ფიზიკოსმა **ედვინ ჰაბლმა** გააკეთა უდიდესი აღმოჩენა, რომ ვარსკვლავები დედამიწას მოდმივად შორდებიან. შემდეგ მან დაადგინა რომ ვარსკვლავები და გალაქტიკები ერთმანეთსაც შორდებიან. აქედან მეცნიერებმა გამოიტანეს ერთადერთი დასკვნა, რომ ჩვენი კოსმოსური სამყარო განუწყვეტლივ ფართოვდება.

4. 1948 წელს დიდმა მეცნიერმა **გიორგო გამვმა** გამოთქვა მოსაზრება, რომ თუ სამყარო შექმნილია დიდი აფეთქების შედეგად, მაშინ კოსმოსში შემორჩენილი უნდა იყოს თანაბრად გაფანტული რადიაციის დიდი რაოდენობა. მართლაც 1965 წ. ორმა მეცნიერმა – **არნო პენსიასმა და რობერტ უილსონმა** აღმოაჩინეს მთელ კისმოსში თანაზრად გაფანტული „რელიქტიური ელექტრომაგნიტური გამოსხივება", რომელიც შემორჩენილი იყო დიდი აფეთქების მომენტიდან. ამ აღმოჩენამ ნათლად დაამტკიცა „დიდი აეთქების თეორიის" ჭეშმარიტებულობა.

6. ეს მოსაზრება კიდევ უფრო გაამყარა 1998 წელს მეცნიერების მიერ აღმოჩენილმა საოცარმა მოვლენამ, რომელმაც „შეაზანზარა მსოფლიო ასტრონომოა": სამყაროს გაფართოვება კი არ ნელდება, როგორც ამას მეცნიერები მოელოდნენ, არმედ ჩქარდება.

ამრიგად საბოოლოდ დაიმსხვრა მითი კოსმოსური სამყაროს მარადიულობისა, ვინაიდან, „რასაც აქვს დასაწყისი, მას აქვს დასასრულიც“.

2006 წელს, ჩვენს მიერ ზემოხსენებულ სტატიაში წარმოდგენილ იქნა კოსმოსური სამყაროს წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ეტაპები. აგრეთვე დაწვრილებით იქნა განხილული სამყაროს შექმნის მოდელი მოსეს პირველი წიგნის მიხედვით. მიღებული შედეგების ურთიერთშედარების საფუძველზე დავასკვენით, რომ ის რაც ამ ორ მიდგომას, გააჩნიათ საერთო სამყაროს დაბადების შესახებ, შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

**1. სამყაროს დასაბამისობა.** ამჟამინდელი მეცნიერული მონაცემების თანახმად ჩვენი 3 განზომილებიანი კოსმოსური სამყარო სასრულოა და წარმოიქმნა 13,7 მილიარდი წლის წინ უზარმაზარი სიმკვრივის მქონე უმცირესი ბუშტულაკის სახით, რონელიც განუწყვეტლივ ფართოვდება. ბიბლიის მიხედვით სამყარო შექმნა შემოქმედმა გარკვეული დროის (7600 წლის) წინ. კათოლიკურმა ეკლესიამ 1951 წელს ოფიციალურად გამოაცხადა, რომ დიდი აფეთქების თეორია შეესაბამება ბიბლიას [3].

**2. სივრცის, დროისა და მატერიის ერთდროული დაბადება.** დიდი აეთქების თეორიის თანახმად, ჩვენი კოსმოსური სამყარო წარმოიქმნა არაფრისაგან პლანკის ზომის დროში, ვაკუუმის ენერგიის უზარმაზარი სიმკვრივის მქონე პლანკის ზომის ბუშტულაკის სახით. ანუ კოსმოსური მატერია (ენერგია) სივრცე და დრო ერთდროულად წარმოიქმნენ.

ბიბლიის მიხედვით: „თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“ [5].

ლოგიკურია, რომ სიტყვა „თვდაპირველად“ შეიძლება მივიჩნიოთ დროის დასაწყისად. „მიწა” წარმოადგენს მასალას, ანუ მატერიას, რომლისაგანაც შემდგომ შეიქმნა ნივთიერი სხეულები, ხოლო „ცა“ – სივრცეს. მაშინ ამ ლაკონიურ ფრაზაში იგულისხმება, რომ ღმერთმა, არაფრისაგან, ერთდროულად დასაბამი მისცა კოსმოსურ დროს, სივრცესა და მატერიას.

ე.ი. ამ საკითხში ბიბლიაში გამოთქმული მოსაზრება და მეცნიერული აზრი შეესაბამებიან ერთმანეთს.

**3. მატერიის ფორმა სამყაროს საწყის სტადიაში.** მეცნიერების მიხედვით კოსმოსურ სამყაროში არსებული მატერია, როგორც ნივთიერი სამყაროს საშენი მასალა, თავისი წარმოქმნის საწყის სტადიაში, წარმოადგენდა უსახო და უთვისებო შენადედს, ჯერ ვაკუუმის ენერგიის სახით, ხოლო შემდეგ – პლაზმის სახით. მატერიის ამ უსახო ფორმისაგან წარმოიქმნენ შემდეგ ნაწილაკები, ატომები, მოლეკულები, გალაქტიკები, ვარსკვლავები, მზის სისტემა, დედამიწა და ყოველგვარი მასზე არსებული საგანი, ადამიანის ჩათვლით.

ბიბლიის მიხედვით: „მიწა იყო უსახო და განუმზადებელი“ [5].

ანუ, ღმერთმა სამყარო შექმნა უფორმო და უთვისებო „განუმზადებელი მიწისაგან“, რაც კარგ შესაბამისობაშია მატერიის საწყის ფორმასთან მეცნიერული თვალსაზრისით.

**4. ნათელის გამოყოფა ბნელისაგან.** მეცნიერების მიხედვით კოსმოსური სამყარო საწყის სტადიაში ჯერ ფოტონებისა და ნაწილაკ-ანტინაწილაკების, ხილო შემდეგ ფოტონებისა და ატომების პლაზმას წარმოადგენდგენდა. სამყარო იყო ჩაბნელებული. შემდეგ სინათლე გამოეყო ნივთიერებას და სამყარო გასხივოსნადა, განათდა ფიზიკური-ელექტრომაგნიტური გამოსხივების თვალსაზრისით.

ბიბლიის მიხედვით: „ღმერთმა თქვა იყოს ნათელი და იქმნა ნათელი“... [5].

გაჰყარა ღმერთმა ნ ა თ ე ლ ი და ბ ნ ე ლ ი. „ნათელს” ღმერთმა უწოდა დღე და „ბნელს” ღამე. აქ სიტყვში „ნათელი“ თავისუფლად შეიძლება ვიგულისხმოთ ფიზიკური ნათელი ანუ სინათლე, რომელიც დასაწყისშივე (ნივთიერი სხეულების შექმნამდე), შექმნა ღმერთმა. ეს აზრი კარგ შესაბამისობაშია ზემოხსენებულ მეცნიერულ წარმოდგენასთან ფიზიკური ნათელის წარმოშობასთან დაკავშირებით.

**5. სამყაროს უნიკალურობა და ერთადერთობა.** მეცნიერების მიხედვით, ჩვენი კოსმოსური სამყარო იმდენად უაღრესადდ მოწესრიგებული, ჰარმონიული და უნიკალურია, რომ ის შეიძლება ერთადერთიც იყოს დაკვირვებად კოსმოსურ სამყაროში.

ბიბლიის მიხედვით, ჩვენი ხილვადი სამყარო შექმნილია უზენაესის მიერ გარკვეული მიზნითა და გეგმით, და ამიტომ ის არ შეიძლება უმშვენიერესი, უნიკალური და ერთადერთი არ იყოს.

**6. მატერიის უჩინარი ფორმით არსებობა.** მეცნიერების ადრინდელი მიდგომით სამყაროს საფუძვლად მიჩნეული იყო მატერია, რომელიც არსებობს მხოლოდ აღქმადი და შემეცნებადი ფორმით. მეცნიერების ამჟამინდელი მონაცემების მიხედვით კი არსებობს მატერიის „უჩინარი”- არააღქმადი ფორმებიც.

ახალი აღთქმის მიხედვით: „რწმენით შეიტყობთ, რომ საუკუნენი ღმერთის სიტყვით არიან დამყარებულნი, და რომ უხილავისგან შეიქმნა ხილული“ [5].

ამრიგად, როგორც თანამედროვე მეცნიერება ისე ბიბლია ადასტურებს მატერიის უჩინარი ფორმით არსებობას.

**7. სამყაროს ევოლუციურობა.** მეცნიერების მიხედვით ამჟამად დადგენილია, რომ მართალია მინერალური სამყარო თანდათან განვითარდა შედარებით მარტივი ფორმებიდან რთული ფორმების წარმოქმნით, მაგრამ ცოცხალი ორგანიზმების დარვინისეული ევოლუციური განვითარება არ დასტურდება [1].

დედამიწის უნიკალურობისა და ხილული სამყაროს დროში და სივრცეში შემოსაზღვრულობის გათვალისწინებით, სამყაროში ცილის უმცირესი მოლეკულის თავისთავად წარმოქმნის ალბათობა $10^{-47}$-ის რიგისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ დედამიწაზე არათუ

სიცოცხლე, არამედ ერთი ცილის მოლეკულაც კი ვერ წარმოიქმნებოდა სპონტანურად, გარედან აზრიანი და მიზანმიმართული ჩარევის გარეშე [6].

ეს თვალსაზრისი შეესატყვისება ბიბლიაში მოცემულ აზრს, რომლის მიხედვით ყოველგვარი ბალახი, მცენარე და ცოცხალი არსება ცალ-ცალკე განსახა ღმერთმა თავ-თავისი გვარისა და სახის მიხედვით [5].

მაგრამ ამ აღმოჩენამ მეცნიერებაში გააჩინა ახალი კითხვები: რა იყო დიდ აფეთქებამდე?

**2. რა იყო დიდ აფეთქებამდე.**

რა ძალა იყო ის რომელმაც სამყარო აფეთქებით შექმნა „არაფრისაგან“, და **„არაფერი“** აქცია **არსებ**დ? [7].

10 წლის წინ ამ კითხვის დასმა უაზროდ მიიჩნეოდა. ამჟამად არავინ გაურბის იმ უსიამოვნო სიმართლეს, რომ ყველაფერი – ხილვადი სამყარო და სიცოცხლე გაჩმდა „არაფრისაგან“. ყველაფერს, რასაც ვხედავთ შედეგია და არა მიზეზი.

ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვსაზღვრავთ სიტყვას „არაფრი“. არსებობს 2 სახის „არფერი“. პირველი ისაა, რასაც მივიჩნვთ აბსოლუტურად „არაფერს“ -- არანაირი სივრცე, დრო და რაიმე ისეთი, რომლის წარმოდგენაც ადამიანს შეუძლია. მეორე „არაფერია“ – ვაკუუმუ (ცარიელი სივრცე ნივთიერი ნაწილაკების გარეშე), რომელიც მოიცავს ენერგიას. მას თვისებები გააჩნია. ე.ი. ის რაღაცაა და არა „არაფერი“ [7].

ასეთი „არაფერი“ თურმე შეიძლება „ყველაფრის“ ტოლფასი აღმოჩნდეს [6].

არსებობს მოსაზრება, რომ დიდ აფეთქებამდე რაღაც უნდა ყოფილიყო.

სამყაროს დამადებას წინ უსწრებდა სტადია, რომელიც „არაფერს“ წარმოადგენდა. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მივაგნოთ მიზეზსაც, რამაც გამოიწვია დიდი აფეთქება [7].

1. ამერიკა-სსსრ-ს ცნობილმა ფიზიკოსმა **ანდრეი ლინდემ** 1982 წელს შეიმუშავა სამყაროს ინფლაციური თეორიის მოდელი. [8]

ალ. ლინდეს თეორიის მიხრდდვით, სუპერგრავიტაციის მეშვეობით წარმოიქმნა 9-განზომილებიანი ენერგიის უზარმაზარი სიმკვრივის მქონე სივრცული ბუშტულაკი. ის წარმოადგენდა დიდი სიმკვრივის მქონე „ფსევდო ვაკუუმს“, რომელიც იმყოფებოდა მეტესტაბილურ მდგომარეობაში და ექსპონენციალური კანონით დაიწყო გაფართოვება. გაფართოების დასაწყისში ადგილი ჰქონდა ე.წ. ინფლაციურ სტადიას, როცა ბუშტუ-ლაკი მასში არსებული უაროფითი წნევის ხარჯზე უსწრაფესად ფართოვდებოდა და მისი რადიუსი იზრდებოდა ექსპონენციალურუ კანონით, ხოლო ვაკუუმის სიმკვრივე მუდმივი რჩებოდა [8].

ლინდე ინფლაციას განიხილავს ისეთ პროცესად, რომლისაგანაც წარმოიშვა დაკირვებადი სამყარო. ის მიიჩნევს, რომ ინფლაციის პროცესში წარმოიშვება უამრავი სამყარო, რომეთაგან ერთ-ერთია ჩვენი უნიკალური სამყარო [8].

ამჟამად ბევრი მეცნიერისათვის მუდმივი ინფლაცია წარმოადგენს იმის რაციონალურ ახსნას, თუ რა არსებობდა ჩვენი სამყაროს გაჩენამდე. მაგრამ სხვებისათვის ის სისულელეა [7].

2. დღევანდელობის უდიდესი ინგლისელი ფიზიკოს-კოსმოლოგის **სტივენ ჰოუკინგის** მოსაზრებით, შემოქმედის შესაძლო არსებობა დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენადაა შესაძლებელი ერთიანი კოსმოსური სამყაროს წარმოქმნისა და განვითარების ყოვლიმოცველი თეორიის შექმა. მისი აზრით ამჟამად კარგადაა ცნობილი სამყაროს ისტორია დაწყებული პირველი წამიდან, დიდი აფეთქების შემდგ, მაგრამ ყველაზე საინტერესოა თუ რა ხდებოდა პირვლ წამის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, როცა გვეცოდინება თუ რა მოხდა პირველი წამის განმავლობაში, საწყოსი პირობების ჩათვლით, სიცოცხლე გახდება უინტერესო, რადგანაც მოხერხდება ყველა საიდუმლოს გახსნა და მოწყენილობა დაგვეუფლება [9].

სტ. ხოუკინგის აზრით, უაღრესად მნიშვნელოვანია სივრცე-დროის უსასრულობა-სასრულობის საკითხი. როცა სამყარო სასრულოა საჭიროა იმის ცოდნა თუ რა ხდება მის საზღვარებზე. ამ შემთხვევაში აუცილებელია დახმარებიათვის მივმართოთ ღმერთის იდეას. მისი აზრით ღმერთი წარმოაგენს სამყაროს ზღვარს, რომელსაც მოჰყავს იგი მოძრაობაში. ანუ სასაზღვრო პირობების არცოდნას მივყავათ ღმერთის იდეამდე, როდგანაც სამყაროს ძირითადი განტოლება ამოუხსნელი რჩება. ამ შემთხვევაში იძულებული ვართ ვაღიაროთ ფიზიკის კანონების თავისთავად არსებობა, როგორც პრინციპი, როგორც ლოგიკისა და მიზოზობრივობის კატეგორია, რაც, ამ გაგებით, ღმერთის აღიარების ტოლფასია. თუ სამყარო უსასრულო იქნება მოიხსნება სასზღვრო პირობების საჭიროება და ე.ი. ღმერთის არსებობის იდეაც.

ამჟამად გამოთვლებით დაგენილია, რომ ჩვენი აღქმადი სამყარო შემოსაზღვრულია $1,3{\cdot}10^{28}$სმ მქონე რადიუსით. ასეთ შემთხევაში აყცილებელია ღმერთის იდეის არსებობა.

ხოლო დროსა სივრცეში უსასრულ სამყარო თვითონაა თვითგანვითარებადი და ღმერთის ტოლფასი რაობა. ამრიგად ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს ერთი, მომწერიგებელი ღმერთის იდეის მტკიცებულებას.

სტ. ჰოკინგის აზრით, კითხვა, თუ რა იყო დიდი აფეთქების დაწყებამდე, უაზროა.

ის მართალია თუ ჩავთვლით, რომ ჩვენი სამაყაროს დაბადებამდე არაფერი არ არსებობდა, ხოლო ლოგიკის თვალსაზრისით არაფრისაგან არ შეიძლება რაიმე წარმოიქმნას, და მით უმეტეს მთელი ჩვენი უნიკალური, ჰარმონიული და ლოგიკური სამყაროს დაბადება.

მაგრამ, ჯერ ერთი, ყოველ ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანს ებადება ასეთი შეკითვა. მეორე ბოლოდროინდელი მეცნიერული მიღწევების გათვალიწინებით, შეიძლება დაუშვათ, რომ არსებობს 11 განზომილებიანი, სასრული, მემბრანებით სავსე

კისმიური სამყარო, რომლის ყველა სივრცე-დროითი წერტილი ერთგვაროვანია. ამ სივრცის ერთ-ერთ წერტილში, მემბრანების ურთიერთ დაჯახების გამო, მოხდა ის დიდი აფეთქება, რომელმაც გამოწვია ჩვენი კონკრეტული კოსმოსური სამყაროს წარმოშობა. ამრიგად მოიხსნა როგორც საწყისი წერტილის, ისე ზემოხსენებული კითხვის დასმის უაზრობის პრობლემაც.

სტ. ჰოუკინგის აზრით, თუ შესაძლებელია ერთიანი თეორიის არსებობა, ის იქნება მხოლოდ განტოლებებისა და კანონების გარკვეული კრებული. მაგარამ ის არ იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რატომ უნდა არსებობდეს ასეთი სამყარო, რომელიც აღიწერება ასეთი მოდელით. ისმის კითხვა: ნუთუ ერთიანი თეორია იმდენად ყოვლად ძლიერია, რომ წარმოადგენს თავისივე თავის რეალიზაციის მიზეზსაც? თუ სჭირდება მას შემოქმედის არსებობა? ჰოუკნგს ამ შეკითვაზე პასუხი ჯერჯერობით არ გააჩნია [10].

**3.** სტ. ხოუკინგი, **შავი ხრელების** შესწავლისას, მივიდა სამყაროს წარმოშობის დიდი აფეთქების თეორიის **ალტერნატიულ მოდელამდე.**

მისი მოსაზრებით, ყოველ შავ ხრელს გააჩნია ორგანზომილებიანი ჰორიზონტი, რომელშიც იწერება და ინახება ინფორმაცია. იგი მოიცავს ყველაფერს ჩვენ შესახებაც. ორგანზომილებიან ჰორიზონტში ინფორმაცია იწერება ჰოლოგრამის პრინციპით.

ჩვენი მოსაზრებით, ის შეიძლე მივიჩნიოთ კისმიური გონის მატერიალურ საუძვლად.

შავი ხვრელის მეორე ამოუხსნელ საიდუმლოს წარმოადგენს სივრცე-დროის ბუნება მის ცენტრში. მოსალოდნელია, რომ უშველებელმა მასამ და ენერგიამ მოახდინოს სივრცე-დროითი ქსოვილის გარღვევა-გახვრეტა, რის შედეგადაც შავი ხვრელი გადაიქცევა სხვა, ახალი სამყაროს ფანჯრად. ანუ, შავი ხვრელი შეიძლება გადავიდეს თეთრ ხვრელში (მოხდეს დიდი აფეთქებისა და ინფლაციური გაფართოების მსგავსი მოვლენა). ამ დროს შავ ხვრელში შენარჩუნებული ინფორმაცია ნაწილაკებისა და გადამტანების შესახებ გადაეცემა ახალ, მის მიერ დაბადებულ სამყაროში. ხოლო, მის ჰორიზონტში ჩაწერილი ინფორმაცია არ ქრება, ინახება და გადადის ახლად დაბადებულ სამყაროში [11].

ჩვენი აზრით, საფუძველი ჩაეყრება ჩვენს სამყაროზე მიმაგრებულ, მის მსგავს, ახალ სამყაროს თავისი სივრცე დროით, საწყისი პირობებითა და ევოლუციურობით. ეს გზა შეიძლება მივიჩნიოთ ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის ერთ-ერთ ოპტი-მალურ ვარიანტად. ის შეიძლება გამოდგეს სამყაროს ციკლურობის ასახსნელად, არსებული საწყისი პირობებისა და კოსმიური გონის შენახვისა და გამოყენების გათვალისწინებით [12].

**4** პრფესორი **ნეილ ტუროკის** მოსაზრებით, სამყარო წარმოიქმნა მანამდე არსებულ სამყაროში მომხდარი მოვლენის შედეგად. ნ. ტუროკისა და მისი კოლეგების მიხედვით ჩვენ ვცხოვრობთ 11 განზომილებიან სამყაროში არსებულ ე.წ. 3 განზომილებიან

მემბრანაზე. მთელი ჩვენი სივრცე ამ მემბრანის ნაწილია. ტუროკის მოდელით 11 განზომილებიან სამყაროში არსებობენ პარალელური სამყაროები მემბრანების სახით.

ტუროკმა და მისმა კოლეგებმა გადაწყვიტეს, რომ ერთად ჩაღრმავებოდნენ საკითხს, თუ რამ გამოიწვია დიდი აეთქება? მათ დაუშვეს, რომ ჩვენი სამყარო წარმოიქმნა ორი, არა არასრულყოფილად ბრტყელი, არამედ გამონაზარდების მქონე მემბრანების დაჯახების შედეგად, რომლის დროსაც ეს გამონაზრდები გარდაიქმნებიან მატერიად. ეს მემბრენები, ანუ პარალელური სამყაროები მოძრაობენ მე-11 განზომილების გასწვრივ ტალღების მსგავსად და ტალღების ნაირადვე ზოგჯერ ერთიანდებიან. ამან გამოიწვია მატერიის წარმოშობა დიდი აფეთქების შემდეგ.

როცა ეს ხდება, ისინი ივსებიან მატერიის კონცენტრაციით. ამ პირობებში ყველაფერი სასრულოა და გამოთვლადი მათემატიკური კანონებით [11;13].

მემბრანების არსებობა დიდ აფეთქებამდე გვაუწყებს, რომ დრო არსებობდა დიდ აფეთქებამდე. ტურეკის თეორია არის გადახვევა კოსმოლოგიის იმ სტანდარტული მოდელიდან, რომლის მიხედვით ყველაფერი წარმოიქმნა არაფრისაგან დიდი აფეთქების დროს.

ჩვენი მოსაზრებით, ტუროკის თეორია უარყოფს სამყაროს არაფრისაგან წარმოშობის ვერსიას, და გზას უხსნის 11- გნზომილებიანი უსასრულო და მარადიული უჩინარი სამყაროს არსებობის ვერსიას [15].

**3. ღმერთის იდეა და სამყაროს შემეცნება.**

1. მატერიალისტურად მოაზროვნეთა აზრით: მეცნიერება ემყარება მხოლოდ რაციონალურ ხედვას, ხოლო რელიგია რწმენას. მეცნიერება იყენებს ე.წ. ინდუქციის პრინციპს, რომლის თანახმად შეზღუდული რაოდენობის მონაცემებიდან გამოგყვავს უნივესალური დასკვნა. ამ მიდგომას ბუნებისმეტყველება იყენებს ყოველ ნაბიჯზე. მაგრამ, ცნობილი შოტლანდიელი ფილოსოფოსიის **დევიდ ჰიუმის** მტკიცებით, ბუნებისმეტყველებაში გამოყენებული ინდუქციის მეთოდი **ბრმა რწმენას ეფუძნება**. რაც იმას ნიშნავს, რომ რწმენის ფაქტორი, როგორც რელიგიაში, ისე ბუნებისმეტყველებაშიც გამოიყენება [13].

2. კვანტურ კოსმოლოგიას კითხვაზე: რამ შექმნა სამყარო? გააჩნია შემდეგი პასუხი: სამყარო გაჩნდა გრავიტაციისა და კვანტური ფიზიკის კანონების წყალობით. მაგრამ, ცხადია, რომ ეს კანონები უნდა არსებულიყო მაშინ, როცა ჯერ არ არსებობდა ფიზიკური სამყარო. ლოგიკის თვალსაზრისით, მატერიისა და სივრცის არ არსებობის შემთხვევაში, არც მისი აღმწერი კანონები შეიძლება არსებულიყო. ანუ, უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობდა კანონი, რომელმაც შექმნა სამყარო. [13].

ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ თავდაპირველად იყო კანონო – აზრი – სიტყვა, რომელსაც ძალუძს ჩვენი უნიკალური, უნივერსალური და ჰარმონიული მატერიალური სამყაროს შექმნა. განა სწორედ ამავე აზერს არ გამოხატაცს იოანეს სახარებაც: „თავდა-

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი" (რომელმაც შექმნა სამყარო) [14].

3. ცნობილი ასტროფიზიკოსის **ჰიუ როსის** აზრით, თუ დროის დასაწყისი ემთხვევა სამყაროს დასაწყისს, რაზეც მეტყველებს კოსმოლოგიური თეორია, მაშინ სამყაროს მიზეზი უნდა იყოს **არსი**, რომელიც მოქმედებდა სრულიად განსხვავებულ განზომილებაში, და აბსოლუტურად დამოუკიდებელი იყო ჩვენთვის ცნობილი დროის და სივრცისაგან; და რომელიც ცხადია არსებობდა მის შექმნამდე. ანუ ხილული მატერიალური სამყაროსა და დროის შემოქმედი – **არსი** არსებობდა მათ მიღმა, მათგან სრულიად დამოუკიდებლად [13].

4. **სამყაროს ციკლურობა.**

პროფესორი **სერ როჯერ პენროუზის** მოსაზრებით, დიდი აფეთქების დასაბამისობის დასადგენად მეცნიერებამ უნდა შეისწავლოს სამყაროს დასასრულიც. სამყაროს ამჟამინდელი სურათის მიხედვით, მან დაიწყო არსებობა დიდი აფეთქებით და უსასრულოდ ფართოვდება და იზრდება. მომავალში ის გაცივდება, ადრონები დაიწყებენ დაშლას, და საბოლოოდ ფოტონების, ლეპტონების გარდა ბევრი არაფერი დარჩება. საბოლოოდ ეს უკიდურესად გაფართოებული საყარო გახდება ახალი დიდი აფეთქების არენა. ლოგიკურია დაუშვათ, რომ ჩვენი სამყარო არის ახალი ერა, რომელიც წარმოადგენს მანამდელი სამყაროების გაგრძელებას. ამრიგად მივიღეთ ციკლური სისტემა, რომელშიც მუდმივად მეორდება „მდე" და „შემდეგ". ანუ, დიდი აფეთქება ადრეც არსებობდა და ეს განუწყვეტლივ ხდება [7].

პენროუზის ეს მოსაზრება ემთხვევა ჩვენ მოსაზრებას, სამყაროს ციკლურობის შესახებ, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: სავსებით შესაძლებლია, რომ ჩვენი სამყაროს ლეპტონურ უდაბნოდ გადაქცევის შემდეგ, ფიზიკურ ვაკუუმში ხელახლა დაიბადოს ჩვენი სამყაროს მსგავსი ახალი სამყარო და მან განვითარების ისეთი გზა გაიაროს, რომელიც მსგავსი იქნება, თავის დროზე, ჩვენი სამყაროს მიერ გავლილი გზისა. ლოგიკურია აგრეთვე ვიფიქროთ, რომ ჩვენი სამყაროს წარმოქმნამდეც არსებულიყო მისი მსგავსი, მისი წინამოებედი პროტო-სამყარო, რომელიც განვითარების გარკვეული ფაზის გავლის შემდეგ დაიშალა და უსასრულო გაფართოების შემდეგ, ადგილი დაუთმო ახალ დიდ აეთქებას, ანუ ჩვენი ხილული 3-განზომილებიანი სამყაროს წარმოქმნას [12].

**5. სამყაროს უნიკალურობა და ჰარმონიულობა.**

ყველასთვის ცხადია, ყოველი ჩვეულებრივი აფეთქებისას ადგილი აქვს მოწერიგებულობის ნგრევასა და ქაოსის დამკვიდრებას. მაგრამ დიდი აეთქების შედეგად გაჩენილი ჩვენი სამგანზომილებიანი კოსმოსური სამყარო აღმოჩნდა

უაღრესად უნიკალური და ჰარმონიულად მოწყობილი. აღმოჩნდა, რომ სამყაროს ჰარმონიულობას გააჩნია მათემატიკური საუძვლები ოქროს კვეთისა და ფიბონაჩის მიმდევრობის სახით [15].

შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ დიდი აფეთქების მიღმა იმალება ინტე-ლექტი, რომელიც აკონტროლებს და წარმართავს მთელ პროცესს. დიდმა აფეთქებამ საწყის სტადიაშივე გამოიწვია ისეთი უნიკალური თვისებების მქონე ნივთიერი მატერიის, საამშენებლო აგურაკების – ელმენტარული ნაწილაკების (კვარკებისა და ლეპტონების) წარმოქმნა, რომლებმაც განაპირობეს მატერიის გამოყოფა ანტიმატერიისა-გან, პროტონ-ნეიტრონების, ატომბირთვების, ატომების, მოლეკულების გალატიკებისა და ვარსკვლავების წარმოქმნა. ამ საოცარი წესრიგის კიდევ ერთი ასპექტი არის უნიკალური თვისებების მქონე, სიცოცხლისათვის ვარგისა, პლანეტის – დედამიწის წარმოქმნა. გამორიცხულია ამგვარი თვისებების მქონე პლანეტის შემთხვევით წარმოშობა [13]

მით უფრო უფრო წარმოუდგენელია ადამიანის შემთხვევითი წარმოშობა. ცოცხალი ორგანიზმი ძირითადად შედგება ცილებისაგან და გენებისაგან. ადამიანის ორგანიზმი მოცავს დაახლ. 110 000 განსხვავებული ტიპის ცილას. თითოეული ცილა კოდირებულია ცალკეული გენით და შედგება სხდასხვა ტიპის ამინომჟავეების მოლე-კულებისაგან. საშუალო გენი შედგება 1800 სპეციპიკურად შეერთებული ნუკლეო-ტიდებსაგან. აღმოჩნდა, რომ გენის თავისთავად წარმოქმნის ალბათობა განისაზღვრება 4,3 $10^{-109}$-დან 1.8 $10^{-217}$ შორის.

მატერიალისტების თვალსაზრიშით ეს შეიძლება აიხსნას ანთროპული პრინციპით. მაგალითად სტ. ჰოუკინგის ანთროპული პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: ჩვენი სამყაროს მიღმა არსებობს უხილავ სამყაროთა უსასრულო რაოდენობა, რომლებიც მოიცავენ ფიზიკურ სიდიდეთა ყველა შესაძლო სიმრავლეებს. მათ შორი არსებობს ისეთი სიმრავლის მქონე სამყარო, სადაც ყველა პირობა ზედმიწევნით კარგადაა შერჩეული გონიერი სიცოცხლის წარმოშობისა და არსებობისათვის. ანუ, ამ შემთხევაში, საჭირო აღარ არის გონიერი შემოქმედის – ღმერთის არსებობა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ზემოხსენებული უამრავი პარალელური სამყაროები ერთმანეთთან არანაირად არ ურთიერთქმედებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია ექსპერიმენტის მეშვეობით რომელიმა პარალელელური სამყაროს არსებობის დამტკიცება. ეს სამყაროები პრინცი-პულად დაუკვირვებელნი არიან, და მათი არსებობა მხოლდ რწმენას ეფუძნება [13].

განა **სწორედ** ამ მოტივით არ უარყოფენ უჩინარი შემოქმედი ღმერთის არსებობას თვითდაჯერებული მატერიალისტი მეცნიერები?

ჩვენი მოსაზრებით, სამყაროს შესახებ არსებული დიალექტიკურ-მატერიალის-ტური, თეოლოგიური პრინციპებისა და ამჟამინდელი მეცნიერული აღმოჩენების გათვალისწინებით, არსებობს გრძნობადკოსმოსური სამყაროს წარმოქმნის, ჰარმონი-

ულობისა და უნიკალურობის ახსნის ახალი მიდგომა, რომელსაც **კოსმიური პრინციპი** შეიძლება ვუწოდოთ:

**ა) არსებობს 11-განზომილებიანი კოსმიური სამყარო, ფართო გაგებით, თავის თავში შეიცავს მატერიის როგორც დაკვირვებად, ისე უჩინარ ფორმებს, უსასრულოა და მარადიული;**

**ბ) ის წარმოადგენს თვითკმარ, შემოქმედების უნარის მქონე, თვითშემეცნებად ცოცხალ სისტემას, რომელიც თავის თავში პოტენციურად შეიცავს ყველაფერს: ენერგიასა და ინფორმაციას კოსმიური გონის სახით.**

**გ) ის თავის თავში, ევოლუციური განვითარების მიზნით, მიზანშეწონილად, ციკლურად ბადებს ჩვენი გრძნობადკოსმოსური უნიკალური სამყაროების მსგავს სამყაროებს ისეთი თვისებებით, რომ მასში ევოლუციური განვითარების გარკვეულ საფეხურზე გაჩნდეს დამკვირვებელ-შემმეცნებელი, მოაზროვნე ადამიანის სახით.**

**დ) ადამიანის ძირითად ფუნქციას არა მარტო არსებობა და გადარჩენა წარმოადგენს, არამედ აზროვნებისა და შემოქმედებითი მუშაობით გარკვეული წვლილის შეტანა თავისივე წარმომქნელი კოსმიური სამყაროს ევოლუციურ განვითარებაში [15].**

სამყაროს უნიკალურობის ახსნის ჩვენს მიერ რეკომენდირებული, ახალი კოსმიური პრინციპი, მართალია, სხვა პრინციპების მსგავსად, შეიძლება მეტაფიზიკურად მოგვეჩვენოს, მაგრამ მას გააჩნია შემდეგი დადებითი მხარეები:

ა) არ ეწინააღმდეგება ლოგიკასა და ამჟამინდელ მეცნიერულ მონაცემებს კოსმიური სამყაროს წარმოშობის, თვისებებისა და ევოლუციური განვითარების შესახებ.

ბ) ხსნის წინააღმდეგობას ანთროპულსა და კრეაციონისტულ მიდგომებს შორის.

გ) ადამიანს ანიჭებს კოსმიურ მიზნობრივ ფუნქციას.

მკითხველმა თავად განსაჯოს სამყაროს უნიკალურობის ახსნის რომელი მიდგომაა უფრო ახლოს ჭეშმარიტებასთან.

**დასკვნა**

კოსმოსური სამყაროს წარმოშობის, სტრუქტურულობის, უნიკალურობის, ჰარმონიულობისა და ევოლუციური განვითარების შესახებ კაცობრიობის მიერ დაგროვილი მეცნიერულ და რელიგიურ ცოდნათა ურთიერთშეჯერებისა და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე დავასკვენით, რომ უნდა არსებობდეს შემდეგი უზოგადესი კოსმიური პრინციპი:

**11-განზომილებიანი კოსმიური სამყარო ფართო გაგებით, მატერიის ხილულ და უხილავ ფორმათა ჩათვლით, უსასრულოა დროსა და სივრცეში. შესაბამისად შესაძლებელია, რომ ის წარმოადგენს თვითკმარ, თვითგანვითარებად, ერთიან, მთლიან, გონიერ, სულიერ, უსრულყოფილეს და ევოლუციურად თვითგანვითარებად**

ცოცხალ ორგანიზმს, რომელიც განუწყვეტლივ მიისწრაფის აფსოლუტური სრულ-ყოფისაკენ. ამ მიზნის მისაღწევად ის ბადებს კოსმიურ სამყაროსა და ადამიანს, რომლის ძირითადი ფუნქციაა, აზროვნებითა და შემოქმედებითი მუშაობით, გარკვეული წვლილი შეიტანოს თავისივე წარმომქმნელი კოსმიური სამყაროს ევოლუციურ განვითარებაში.

ლიტერატურა:


1. *შ. შოშიაშვილი, ნოდარ კეკელიძე; კოსმოსური სამყაროს დაბადების შესახებ ბიბლიური და ამჟამინდელი მეცნიერული მონაცემების ურთიერთშედარება. „პირველად იყო სიტყვა", შრომათა კრებული – 2005, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2006.*
2. *М. Джибладзе; Миф или реальноть; „Знание"; Тбилиси. 2014*
3. *სტ. ჰოუკინგი. დროის მოკლე ისტორია; დიდი აფეთქებიდან შავ ხვრელამდე. ილ. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2008.*
4. *И. Новиков, Как взорвалась Вселенная. М., „Квант", N 68, 1988.*
5. *„ბიბლია". საქ. საპატრიარქოს გამოცემა. თბ., 1989*
6. *შ. შოშიაშვილი. სამყარო მეცნიერება რელიგია. „მერიდიანი", თბ., 2009*
7. *ინტერნეტი; „BBC Horizon - რა ხდებოდა დიდ აფეთქებამდე?"*
8. *А. Линде, Физика елементарных чостц и инфлационная космология. „Наука", Москва, 1984.*
9. *С. Хокинг, Есть ли место Богу в беспредельной Вселенной? „Наука и Религия ", N 6. 1990.*
10. *С. Хокинг, Будет ли необходимость в идее создателя, когда нам станет понятен замысел Бога? „Наука и Религия ", N8, 1991.*
11. *Бр. ГРИН. Элэгантная вселенная. Москва. 2004.*
12. *შ. შოშიაშვილი, კოსმოსური სამყაროს ციკლურობის შესახებ. ჟურ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები", N 4-6; 2003*
13. *www.orthodoxtheology.ge; ზაზა ოსმანოვი; „სამყაროს შემეცნება და ღმერთის იდეა"*
14. *„იოანეს სახარება"; ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი; 1993.*
15. *შ. შოშიაშვილი; კოსმიური სამყარო თეოსოფიური გადმოსახედიდან წიგნი II. „მერიდიანი". თბილისი. 2012.*

# О ВЗАИМООТНОШЕНИЯХНОВОНАУЧНЫХ И РЕЛИГИОЗНЫХ ВЗГЛЯДОВ СОЗДАНИЯ КОСМИЧЕСКОГО МИРА

***Шота Шошиашвили***

*Тбилисский Государственный Университет*
*им. И. Джавахишвили*

***Аннотация:***

Картина, описанная в «Библии» о создании Вселенной и научная модель основанная на теории большого взрыва соответстуют друг друга в следующих важнейших вопросах:

1. Начало Вселенной;
2. Одновременное рождение пространства, времени и материи из «ничего»;
3. Форма материи в начальной стадии Вселенной;
4. Отделение светла от мрака;
5. Уникальность и единственность Вселенной;
6. Существование материи в невидимой форме;
7. Эволюционизм Вселенной;
8. Первоначальность информации.

Однако, это открытие в науке послужило причиной появления новых вопросов: что было до большого взрыва? Неужели в действительности «Из ничего» было создано «Всё» то, что есть в нашем видимом мире? Всё зависит от того, как мы будем определять слово «Ничего». Оказалось, что часто «Ничего» равносильно «всего». С научной точкой зрения «ничтом» считается то, что «невидимо» и не подлежит научному-рациональному описанию. Рождению Вселенной предшествовала стадия, которая «ничего» не представляля из себя.

По мнению Ст. Хоукинга, вещественная материя, как величина, не является вечной. Она может породиться и разложиться. Но основой материи является энергия, которая может существовать кал в положительной, так и в отрицательной форме, и которая в итоге является постоянной. По Хоукингу Вселенная произошла из ничего благодаря законам гравитации и квантовой физики. Положительная энергия материи, происшедшая в это время, точно равна отрицательной гравитационной энергии, т.е., Вселенная может начать своё развитие с нулевой энергии. Но, ясно, что эти законы должно быть существовали ещё тогда, когда, всё ещё, не существовала физическая Вселенная. С точки зрения логики, в случае несуществования материи и пространства, не могли бы существовать также законы описывающие их. Т.е., мы должны признаться, что существовал закон, который создал Вселенную. А это, гласит о том, что первоначально был закон – мысль – слово, которое

вправе может создать нашу уникальную, универсальную и гармоничную материальную Вселенную.

Разве именно эту же смысл не выражает Евангелие от Иоанна: «Первоначально было слово и слово было с Богом, и слово был Бог».

Идея **о космическом разуме** занимает один из центральных мест в науке последних времён. Одним из основоположников этой идеи считается Владимир Вернадский, который считал, что жизнь такая же вечная, как материя, время и пространство. По его мнению жизнь связана с особой жизненной формой материи, так называемой «С космическим разумом». Это соображение нашло также своё подтверждение в дальнейшем в трудах других учёных.

По их пониманию, «Космический разум» подразумевает «Энергоинформационное поле» земли, которое вмещает в себе информацию (совокупность знания накопленного человечеством) о живой и неживой природе.

Многие исследователи уверены, что космическое пространство заполнено информационным полем.

Весьма значительны исключительная уникальность и гармоничность нашей трёхмерной Вселенной, возникшей в результате большого взрыва. Уникальность Вселенной обусловлена свойствами микро частиц, составляющей её и физическими законами, действующими в природе. А её гармоничность имеет математические основы в виде золотого (последовательность **Фибоначи).**

Ещё одним видом этого удивительного порядка является происхождение планеты – Земля, имеющая уникальные свойства пригодные для жизни. Исключается случайное происхождение планеты имеющие такие свойства. Тем более, невозможно представить случайное происхождение само по себе жизни на земле, живых организмов и человека.

Случайно установленный порядок не может быть гармоничным, универсальным и вечным. В космологичном дизайне явно видна целесообразность, поскольку любой дизайн имеет целевой характер. Как гармоничность, так и дизайн Вселенной должны служить какой-нибудь цели. А Целенаправление Вселенной нельзя представить без существования «космического разума», который создал её.

Кроме этого, по М-теории, после прохождения определённого периода, эта гармонично и логически устроенная Вселенная когда-нибудь исчезнет из-за распада её материальной части, что является абсолютно алогичным и парадоксальным утверждением. Поэтому, вполне логично считать, что после распада материальной части Вселенной, информация о структурах имеющих в ней – навсегда сохраняется где-то – «**в космическом разуме» на** осного которого в будущем вновь формируется ею подобный новый чувственно-космический мир.

Известно, что человек, на основе сравнивания нформации, полученной извне и информации, сохранённой в головном мозгу, вырабатывает новое разумно-информационное соображение. Разумная-информация характеризуется адрессативностью и сохранённостью. Соответственно, за пределом головного мозга человека должно существовать средство хранения – ново-выработанной им мыслы (разум-информация) – адресат. По нашему мнению, сущность этого адресата может быть объяснена концепцией (понятием) информационного оторажения любого предмета, введенного **А. Силином.**

По исследованию А. Силина оказалось, что зародыш человека во время своего развития повторяет все стадии развития живого организма согласно росту сложности от простого к сложному, по их хронологической последовательностью. Информация, записанная в ДНМ и хромосомах недостаточны для управления зародышеа для его целенаправленного развития. Для этого нужно подать ему извне нужную и самую правильную биоинформацию.

По мнению автора ответ на этих чуд ведёт нас к концепции «Информационного отображения» тело – «ИО», которое представляет полную информацию соответветствующую его структуральности. «ИО» представляет идеальную реальность. Оно содержит свой прототип (телесное существо) в состоянии равновесия с окружающей средой и в выгодных условиях способствует его размножению.

Подтверждением истинности концепции «ИО» А. Силина мы можем считать расскоз академика **Владимира Ефремова о «Потусторниным Мире»,** который сам перенёс клиническую смерть.

**Он**, как большой специалист сферы искусственного интеллекта, наиболее подробно, на академическом уровне и научно описал полученные страсти переживания (испытания) в потусторонном мире, во время клинической смерти, в научной статье, написанной в 2000г. **«„Здесь и там: исследования и размышления“.**

В. Ефремов, установил, что в том мире существует информационный массив соответствующий любому предмету, созданного человекой. Оно содержит огромное число информации, которая соотетствует данному предмету. В нём оказались исчерпывающие данные об основах, соображений, свойства конструкции, эффективных параметров и другим данным. Можно сказать, что в том мире существует полное и исчерпывающее **инфомационное описание предмет и** событий этого мира.

По нашему соображению открытие В. Ефремова представляет экспериментальным подтверждением гипотезы А. Силина об информационном отображении тела - «ИО».

Мы полагаем, что информационное отображение тела «ИО» является составляющей частью существующего «космического разума».

По соображению профессора **Сера Роджер Хенроуза** для установления правилности большого взрива, наука должна изучить также конец вселенной. По нынещней картине

Вселенной она начала существование большим взрывом, бесконечно расширяется и растёт. В будущем она охладеет, адроны начнут распадаться, и, в конечном итоге кроме фотонов и лнптонов не многое останется. В итоге, эта крайне расширенная Вселенная станет ареной нового большого взрыва. Логическим является допущение того, что наша Вселенная представляет новую эпоху, которая представляет продолжением прежних светов. Таким образом, мы получили циклическую систему Вселенной, в которой вечно повторяется «до» и «после», т.е., раньше тоже существовал большой взрыв и это бесконечно происходит [5].

Это соображение Пенроуза совпадает с нашим соображением о «Цикличности Вселенной», которое состоит в следующем: вполне возможно, что после превращения нашего Вселенного в лептоническую пустыню, в физическом вакууме вновь зародилась бы новая Вселенная подобная нашей и она прошла бы ту-же дорогу развития, которая будет похожа на ту дорогу пройдённую нашей Вселённой в своё время. Логическим является также думать, что даже до происхождения нашего Мира там существовала бы ею подобная её предшествующее прото-Вселенная, которая после прохождения определённой фазы развития, распала и после бесконечного расширения уступила место новому большому взрыву, т.е., происхождению нашу видимую трехмерной Вселенной. [12].

С точки зрения материалистов это может быть объяснено «**антропическим принципом».** Например, Ст. Хоукинг сформулировал «Антропический принцип», который состоит в следующем: за пределом нашей Вселенной существует бесконечное число невидимых Вселенных, которые охватывают все возможные множества физических величин. Среди них существует Вселенная имеющая такое множество величин, где все условия тщательно хорошо подобраны для происхождения и существования разумной жизни. Т.е., в этом случае, уже нет необходимости больше существование разумного создателя – Бога. Но дело в том, что невозможно экспериментальное наблюдение паралельных Вселенных существующих по той стороне от нас, поскольку они никак не взаимодействуют друг с другом. Это означает то, что их существование основано только на веру. Разве **именно по этому мотиву не** отрицают существование самоуверенные материалисты учёные невидимого созыдателя Бога?

**По** нашему соображению, с учётом диалектическо-материалистических и теологических принципов, и нынешних научных открытий, сущестыует новый подход объяснения происхождения гармоничной и уникальной космического Вселенной, которого можно назвать **космическим принципом:**

**а) Одиннадцати мерная космическая Вселенная, в широком понимании, в самом себе содержит как наблюдаемые, так и невидимые формы материи, она бесконечна и вечна;**

**б) Она представляет самодостодочную, способную созыдать, живую систему, которая потенциально содержит в себе всё: энергию и информацию в виде «космического разума».**

**в) Он в себе, с целью эволюционного развития, целесообразно, циклически порождает Вселенные подобные нашим уникальным Вселенниям с такими качествами, чтобы в них на определённой ступени эволюционного развития появился бы наблюдатель-познователь в виде человека.**

**г) Основной функцией человека представляет не только существование и спасение, но также внесение определённой доли мышлением и созидательной работой в эволюционном развитии космической Вселенной произведенной (созданной) самим-же.**

Рекомендованный нами новый космический принцип объяснения уникальности Вселенной, действительно может показаться нам метафизическим подобно другим принципам, однако, он имеет следующие положительные стороны:

а) Не противостоит логике и настоящим научным данным о происхождении, качествам и эволюционного развития космической Вселенной.

б) Объясняет противостояние между антрополистического и креативного подхода;

в) Присуждает (возлагает) человеку космическую целевую функцию.

Пусть читатель сам определит какой подход более близок к истине для объяснения уникальности Вселенной.

**Заключение**

На основе взаимосравнения научного и эзотерного знания и логического анализа, накопленного человечеством о происхождении, структуральности, уникальности, гармоничности и эволюционного развития космической Вселенной, мы делаем заключение, что должно существовать следующий наиболее общий космический принцип:

**Одиннадцати размерный космический мир, в широком смысле, включая видимые и невидимые формы материи, является бесконечным во времени и в пространстве. Поэтому, он представляет самостоятельный, саморазвивающий, единый, целостный, разумный, духовный, самый совершённый и эволюционно живой организм, который бесконечно стремится к абсолютному совершенству. Для достижения этой цели он рождпет (порождает) человека, основной целью которого состоит в том, чтобы мышлением и творческой работой он внес бы определённый вклад в эволюционном развитии космического мира, произведённого им самим-же.**

## მერაბ მამარდაშვილი, გზის ფსიქოლოგიური ტიპოლოგია და სახარებისეული პარალელები

*დეკანოზი **გიორგი წეროძე***
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ფილოსოფიის მიმართულების დოქტორანტი*

მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფიური ხედვის ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი; რას ამბობს მარსელ პრუსტი, რა უნდა ვაკეთოთ რომ დავრჩეთ ცოცხლები; რა სახისაა ქმედება, რომელიც მამყოფებს ცოცხლად? ფიზიკური, ინტელექტუალური თუ მისტიურ-სულიერი? რა უთქვამს უ. ფოლკნერს, რა არის ცხოვრებაში ყველაზე დიდი ტრაგედია. რა არის ლიტერატურა მერაბ მამარდაშვილის განმარტებით, რისი ნაწილია, რაში მეხმარება, რა ინსტრუმენტია ის?

## МЕРАБ МАМАРДАШВИЛИ, ПСИХОЛОГИЧЕСКАЯ ТИПОЛОГИЯ ПУТИ, И ЕВАНГЕЛЬСКИЕ ПРОБЛЕМЫ

*Протоиерей **Георгий Церодзе***
*Докторант философского направления*
*Тбилисского государственного университета*

Один важный аспект философского видения Мераба Мамардашвили; Что говорит Марсель Пруст - Что надо длеать, что бы остаться в живым? Какого рода действие сохраняет мне жизнь – физическое, интелектуальоне, или мистическо-духовное? Что по словам У. Фолкнера является самой большой трагедией в жизни? Что такое литературы по разъяснению Мераба Мамардашвили, частью чего она является, в чем помогает, какой это инструмент?

## MERAB MAMARDAHVILI, PSYCHOLOGICAL TYPE OF A WAY AND EVANGELICAL PROBLEMS

*Protoiereus **George Tserodze***
*Doctoral Candidate of Philosophic Branch*
*of Tbilisi State University*

One important aspect of Merab mamardashvili’s philosophic vision; What does Marcel Proust say – what shall one do to stay alive? What kind of an action keeps me alive – physical, intellectual, or mystical and spiritual? What is the biggest tragedy of life according to W. Faulkner? What is a literature according to Merab Mamardashvili? Is it a part of something, how does it help me, what type of an instrument is it?

# „წმ. ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ საღვთისმეტყველო-ლიტერატურული წყაროს ძიება და ანალიზი“

*მღვდელი ილია (ირაკლი) ჭიღლაძე*
*ისტორიის დოქტორანტი,*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

კარგად ცნობილი ფაქტია, თუ რამხელა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია დიდი ილიას პოემა „განდეგილმა“ დღიდან მისი გამოქვეყნებისა, ლიტერატურის კრიტიკოსთა შორის და ზოგადად ფართო საზოგადოებაში. თითქმის საუკუნენახევარი გვაშორებს ამ დიდებული პოემის შექმნიდან და ეს აზრთა სხვადასასხვაობა არ ცხრება: მასში ხედავედნენ და ხედავენ: 1. პესიმიზმის ქადაგებას (ესტატე ბოსლეველი, დავით კეზელი, კონსტანტინე გამსახურდია); 2. ბერმონაზვნობის (ანუ ამა სოფლიდან განდგომის) კრიტიკას და უარყოფას (კიტა აბაშიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, გრიგოლ კიკნაძე, გურამ ასათიანი); 3. განდეგილის დაცემა გაიაზრება საქართველოს დაცემად (მარჯორი უორდროპი, აკაკი ბაქრაძე, ფატი ფირუაშვილი; ეს მომენტი ჩვენი აზრით სავსებით მართებულად გამორიცხა ნათელა ჩიტაურმა, იხ. მისი: „კვლავ ილიას „განდეგილის“ შესახებ“, ლიტერატურული ძიებანი 2002 №22; ჩვენის მხრივ კი დავამატებთ: განდეგილი კი არ დაეცა მხოლოდ, იგი ნადგურდება, საქართველოს დანახვა განდეგილში ეროვნულ-პატრიოტულიმოტივისათვის სრულიად მიუღებელი ალეგორიაა); 4. სულიერი იდეალების და ხორციელ გრძნობათა შეჯახებით გამოწვეული ტრაგიზმი (გერონტი ქიქოძე, დიმიტრი უზნაძე); 5. პირველად ყველაზე მართებულად „განდეგილის“ შინაარსს ჩაწვდა აკაკი ბაქრაძე, რომელმაც ასე შეაფასა პოემის დედააზრი: *“განდეგილში“ ილიას გამოყენებულიაქვს ცოდვით დაცემის კლასიკური სიუჟეტი, მაგრამ ამჯერად დაცემა გამოწვეულია რწმენის ღალატით. ამდენად „განდეგილი“ რწმენის ტრაგედიაა. რწმენის ღალატი კი შედეგია ადამიანის გაორებისა და ნებისყოფის სისუსტისა“.* მაგრამ ა. ბაქრაძემ გაიმეორა რა მარჯორი უორდროპის აზრი განდეგილისა და საქართველოს იგივეობაზე, მცდარ დასკვნებიც გაიმეორა, რითაც გააბუნდოვნა „განდეგილის“ ანალიზი (ბაქრაძის დასკვნებს ძირითად ხაზებში იმეორებს ფატი ფირუაშვილიც).

უპირველასად უნდა ითქვას, რომ პოემა „განდეგილი“ ქრისტიანული სასულიერო ლიტერატურის ერთ-ერთ ჟანრთან – ასკეტურ-მისტიკურ მწერლობასთან უმჭიდროეს კავშირშია და პრაქტიკულად ამ ჟანრის თხზულებაა, შესაბამისად, მართებული დასკვნების მისაღებად საჭიროა მისი საღვთისმეტყველო პრიზმით კვლევა. „განდეგილის“ ერთ-ერთ ლიტერატურულ წყაროდ ნათელა ჩიტაურის მიერ სავსებით სწორად შენიშნულია გერმანელი რომანისტის გეორგ ებერის რომანი, რომელიც გამოქვეყნებისთანავე ილიამ თარგმნა რუსული თარგმანიდანსათაურით „რამეთუ კაცი ვარ“. რა თქმა

უნდა, ამ აზრს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ რომ ლიტერატურის წყაროს ფესვები უნდა ვეძიოთ ამ თემის (ასკეტურ-მისტიკური თემა) წყაროში – პატერიკებში, ანუ მამათა ცხოვრებებში. წლების მანძილზე საღვთისმეტყველო ლიტერატურის სისტემატიური გაცნობისას, ჩვენ შემთხვევით წავაწყდით ერთ პატერიკულ თხრობას, რომლის სიუჟეტი და შინაარსი თითქმის იდენტურია ილიას განსახილველ პოემასთან, ესაა მეოთხე საუკუნის ცნობილი ლათინი მართლმადიდებელი საეკლესიო მწერლის, მღვდელ რუფინუსის საეკლესიო ფილოლოგიაში კარგად ცნობილი თხზულება „მეუდაბნოე მამათა ცხოვრება“. ამ პატერიკულ ძეგლში თავმოყრილია ავტორის მიერ ეგვიპტეში მოგზაურობის დროს გაგონილი და ნანახი ისტორიები, რომლებიც ძირითადად მის თანამედროვე ბერ-მონაზონთა ცხოვრებას ასახავს. ამ „სულთა მარგებელი თხრობანის“ დანიშნულება, როგორც ზოგადად სხვა პატერიკებისა, მორწუნე ადამიანის სულიერი აღზრდა, მისი გაძლიერება ასკეტურ ღვაწლში და სულიერი ბრძოლის სირთულეებში გათვითცნობიერებაა. ამ ნაშრომის პირველსავე თავში („მამისა იოანესათვის“) აღწერილ სხვადასხვა სულიერ-ისტორიულ ამბავთა შორის მოთხრობილია შემდეგი ამბავი: „კიდევ დიდხანს გვესაუბრებოდა წმინდა იოანე პატივმოყვარეობისა და სხვა სახის ვნებებზე, ბოლოს კი გვითხრა: *„ახლა გიამბობთ, რა შეემთხვა ამ მცირე ხნის წინ ჩვენს ერთერთ ძმას. ეს მაგალითი მეტ სიფრთხილეს შეგძენთ სულიერ ცხოვრებაში: აქვე, ჩვენთან, მახლობელ უდაბნოში, ერთი მონაზონი ცხოვრობდა – დიდი მოღვაწე და მმარხველი. თავის ყოველდღიურ საზრდოს იგი საკუთარი შრომით მოიპოვებდა, სამოღვაწეო ადგილსამყოფელად მღვიმე ჰქონდა გამორჩეული და ამ მღვიმეში განუწყვეტელ ლოცვა-ვედრებას აღავლენდა ღმრთისადმი, ერთი სიტყვით, ყველანაირი სათნოებით იყო შემკული. მაგრამ, საკუთარი წარმატებებით მოხიბლულს, მას მოეჩვენა, თითქოს სრულყოფილებისათვის მიეღწია და ღმრთის შეწევნა აღარეფერში სჭირდებოდა, არამედ მთელი სასოება ამ მოჩვენებით სრულყოფილებაზე ჰქონდა დამყარებული, რომელსაც იგი საკუთარ დამსახურებად მიიჩნევდა. გონების ამგვარი ამაღლება რომ იხილა, კაცთა მოდგმის მტერმა – ეშმაკმა – სცადა თავის ბადეში გაეხვია საბრალო მონაზონი. და, აი, ერთხელ, ღამით, იგი მას მშვენიერი ქალის სახით გამოეცხადა: თითქოს უდაბნოში დიდი ხნის უგზო-უკვლო ხეტიალისაგან ღონე წართმეოდა, მუხლმოდრეკილი იდგა მღვიმის შესასვლელთან და ბერს შეწყალებას ევედრებოდა. „უდაბნოში შემომაღამდა და გზა ვერ გავიგნე, – ამბობდა იგი – ნება მომეცი, შენი მღვიმის შესასვლელის რომელიმე კუთხეში გავათიო ღამე, რათა მხეცების შესაჭმელი არ გავხდე“. მოყვასისადმი სიბრალულის გრძნობით ძლეულმა ბერმა ქალი მღვიმეში შეიყვანა. „ რა გინდა, რისთვის დაიარებოდი ამ უდაბნოში?“ – ჰკითხა მას. ქალმა მაშინვე შეთხზა რაღაც ამბავი, თან საუბარში*

*ნელნელა დახვეწილად აპარებდა ქალური ალერსის და მომხიბვლელობის შხამს, – ხან საბრალობელ, უმანკო მსხვერპლად მოჰქონდა თავი, ხანაც ნაზ, უმწეო არსებად, რომელასაც დაცვა, მფარველობა სჭირდება. თავისი ტკბილი, მიმზიდველი საუბრით მან დაატყვევა საბრალო განდეგილის სული. მერე ნელნელა ხუმრობასა და სიცილზე გადავიდა, კეკლუცურად ეხებოდა ბერის ნიკაპსა და წვერს – თითქოსდა პატივისცემისა და მოკრძალების ნიშნად, ბოლოს თავზეც დაუწყო მოფერება. და აი, ქრისტეს მხედარი საბოლოოდ ძლეული აღმოჩნდა, მის გულში ავხორცული ვნებები აბობოქრდნენ. იგი აღარ ფიქრობდა თავის აღთქმებზე, თავის მოწოდებასა, თუ იმ მძიმე ღვაწლზე, რომელიც ღმრთის გულისათვის ჰქონდა გაწეული. აი, გულის სიღრმეში იგი უკვე ეძლევა მრუშობას, მისი ფიქრი და ზრახვა უკვე დანაშაულებრივ კავშირშია უწმინდურ ვნებასთან, ქედდადრეკილი დგას მის წინაშე, „ვითარცა ცხენი და ჯორი, რომელთა თანა არა არს გულისხმა“. აი, იგი საბოლოო ნაბიჯს დგამს სამარცხვინო საქმის აღსასრულებლად, მაგრამ უეცრად ქალი შემაძრწუნებელი კივილით უსხლტება ხელიდან დამოლანდების მსგავსად ჰაერში ქრება. მაშინ კი ხმაურით იჭრებიან მღვიმეში ბოროტი სულები და უწყალოდ, შეუბრალებლად დასცინიან მონაზონს: „ახ, ეს შენა ხარ ცამდე ამაღლებულო?! ჰოდა, დაეშვი ახლა ჯოჯოხეთში! იქნებ გონს მოეგო და მიხვდე რას ნიშნავს სიტყვები: „ყოველმან რომელმან აღიმაღლოს თავი, იგი დამაბლდეს“ (ლუკა 14,11). განდეგილმა ვეღარ გაუძლო ამხელა სირცხვილს, – ის თითქოს უკვე ჭკუიდან შეშლის ჰგავდა, – და გადაწყვიტა, კიდევ უფრო მეტად ეცდუნებინა საკუთარი თავი, ვიდრე ეს დემონებმა მოახერხეს: იმის ნაცვლად რომ კვლავ სულის მხსნელ ღვაწლს შესდგომოდა, კვლავ განეახლებინა ვნებებთან ბრძოლა და სულთქმით, ლმობიერებით, გულშემუსვრილებით გამოეთხოვა ღმრთისაგან შენდობა, იგი სასოწარკვეთილების უფსკრულში დაინთქა და ყოველგავ ბილწებას და არაწმინდებას მისცა თავი, იმათ მსგავსად, ვისზეც პავლე მოციქული ბრძანებს: „ რომელთა წარიწირნეს თავნი მათნი და მისცეს ბილწებასა საქმედ არაწმინდებისა ყოვლისა ანგარებისა“ (ეფეს. 4,19). საერო ცხოვრებას დაბრუნებული, იგი ახლა ეშმაკის იარაღადაა ქცეული და გაურბის ყოველგვარ შეხვედრას წმინდა ადამიანებთან, რადგან შიშობს, ვინმემ სულის მხსნელი რჩევებით კვლავაც სიწმინდისკენ არ მიაქციოს. ცხადია, თუკი მოინდომებს და უწინდებურ კეთილკრძალულ ცხოვრებას დაუბრუნდება, თავდაპირველ მადლსა და ღირსებასაც უეჭველად დაიბრუნებს“.* (ამონარიდი მოტანილია შემდეგი გამოცემიდან „იოანე მოსხი – ლიმონარი, ანუ სამოთხე; პრესვიტერი რუფინუსი – მეუდაბნოე მამათა ცხოვრება“ თბილისი, 2005, გვ.:287-290, რუფინუსის თხზულების თარგმანი შესრულებულია მღვიმევის დედათა მონასტერში რუსული გამოცემიდან Жизнъ пустынных отцев; творение пресвитера Руфина; Сергиев посад; 1898).

უდავოა, რომ წარმოდგენილი პატერიკონის თხრობა სრულიად იდენტურია ილიას „განდეგილის“ როგორც სიუჟეტის, ისე დედააზრის. შეინიშნება მხოლოდ ორი სიჟეტური სხვაობა: „განდეგილში“ ბერი სასოწარკვეთის ელდისაგან კვდება, ხოლო პატერიკონში იგი საერო ცხოვრებას უბრუნდება, მაგრამ საღვთისმეტყველო აზრით ხომ ეს სულიერი სიკვდილია, რომელიც ბევრად მძიმეა, ვიდრე თვით ხორციელი სიკვდილი. პოემის ბერის ფინალი კი დრამატიზებულია მხატვრულად და უფრო მეტ პოეტურ ექსპრესიას და ტრაგიზმს შეიცავს. რჩება კიდევ ერთი საკითხი – პოემის ავტორი პირდაპირ არაფერს ბრძანებს განდეგილ ბერთან გამოცხადებულ ქალის მისტიკურ წამომავლობაზე. თუმცა არის პასაჟები, რომლებიც აშკარად გვაგრძნობინებენ რომ გამოცხადებული ახალგაზრდა, ლამაზი ქალი სრულიადაც არაა ფიზიკური არსება. რატომღაც ნაწარმოების არცერთმა კრიტიკოსმა ამ გარემოებას არ მიაქცია ყურადღება, წმინდა და მართალი ილია ბეთლემის მთის აღწერისას მიანიშნებს ერთ მეტად მნიშვნელოვან, ნიუანსს:

„თუ არ ღვთის ღირსი, სხვა ვერვინ თურმე
ამ წმინდა ადგილს ვერ შეეხება,
და თუ შეჰბედავს, მსწრაფლ რისხვა ღვთისა
ჭექა-ქუხილით მოევლინება.“ (თავი II)

ესაა ის ფრაზა, რომლითაც წმინდანად შერაცხილი გენიოსი ავტორი მიგვანიშნებს, თუ ვინ არის ე. წ. „მწყემსი ქალი“, რადგან მის გამოჩენამდე არსებული საოცარი დარი (რომლის აღწერას ავტორი საკმაოდ ვრცელ მონაკვეთს უთმობს, თავი VII), მოულოდნელად იცვლება საშინელი ავდრით (თავები VII-VIII), რაც სწორედ იმის მომასწავებელია, რომ წმინდა მთას ვიღაც უღირსის ფეხი შეეხო. თუ „მწყემსი ქალი“ ჩვეულებრივი, უბიწო და უბოროტო გოგონაა, რატომ იწვევს მისი მოახლება მთაზე ავდარს, ავდარი ხომ პოეტის სიტყვით ღვთის სასჯელია ბეთლემის წმინდა მთაზე ასული უწმინდურისათვის?! პოემაში ასევე არის კიდევ ერთი მინიშნება, რომ გამოცხადება არა ფიზიკური, არამედ მისტიკურია: რიჟრაჟის დადგომისთანავე განდეგილი მივარდება თავის გამოქვაბულის მთის ძირას, ხოლო მზის ამოსვლისთანავე სენაკში შევარდება, მაგრამ იქ ვეღარ ნახავს ამ ქალს (თავები XXVII-XXVIII). გამოდის რომ „გზააბნეულმა გოგონამ“ არ დაუცადა გათენებას, მზის ამოსვლას და ღამითვე დატოვაგამოქვაბული, განა ეს უმწეო ქალს შეეძლო?! პოემის მესამე თავში ავტორი სიტურფეს (ანუ ხორციელ სილამაზეს) პირდაპირ უწოდებს ეშმაკის მახეს და ცდუნებას („სად თვით სიტურფე და სათნოება, ეშმაკის მახე და ცდუნებაა“). ვფიქრობთ, ყოველივე ეს შესაძლებელს ხდის ვიფიქროთ, რომ ავტორი ქალის გამოცხადებაში გულისხმობს ეშმაკის გამოცხადებას, და თუ ეს პირდაპირ არ წერია და მხოლოდ მინიშნებებით და ქვეტექსტებითაა, ეს, რა თქმა

უნდა, ლიტერატურული ხერხითაა განპირობებული. ავტორს ნაწარმოებში პირდაპირ შემოაქვს მისტიკური და ზებუნებრივი შტრიხები, რომლის ყველაზე ნათელი მაგალითია მზის სხივზე ლოცვანის დაყრდნობის სასწაული. ნათელია, რომ ავტორისათვის მისტიურობა, ზებუნებრივი სასწაულები სავსებით ჩვეულებრივი, უეჭველი ფაქტია, ის შორს დგას ურწმუნოებისაგან, ათეისტური რაციონალიზმისგან და გნებავთ ე.წ. „რეალიზმისგან", რასაც ასე დაჟინებით გვიკიჟინებდნენ მორწუნეებს ათეისტურად და ანტითეისტურად განწყობილი კრიტიკოსები.

რამ გამოიწვია განდეგილი ბერის დაცემა?! ის ხომ უკვე სიწმინდის დიდ ხარისხში იყო, თვით სასწაულთმოქმედების საზომს მიღწეული?! რუფინუსის თხრობაში პირდაპირაა ეს მიზეზი დასახელებული „ამპარტავნება", ილიას პოემაში კი მხატვრული მწერლობის ბუნებიდან გამომდინარე შინაარსობრივადაა ნაგულისხმევი, ზედმეტი ახსნა-განმარტების გარეშე. ბიბლიის, ანუ საღმრთო წერილის სწავლებით *„დაღუპვას წინ უსწრებს ამპარტავნება, დაცემას – ქედმაღლობა"* (იგავნი სილომინისა, თ.16,18), *„ამპარტავანთა შეჰმუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი"*(იაკობი 4,6). ანუ სულიერი დაცემის მიზეზი ქრისტიანული ღვთისმეტყველების მიხედვით ამპარტავნებაა. რაში იხატება განდეგილის ამპარტავნება?! განდეგილმა დაივიწყა, რომ მიუხედავად გარკვეული სულიერი სიმაღლეების მიღწევისა, ის კვლავაცმოკვდავი, ცოდვილი ადამიანია. მან ისე შეიტკბო ღვთისგან მიმადლებული სიწმინდე და სასწაულთმოქმედება (ლოცვანის მზის სხივის მიერ დაჭერა), რომ ცოდვით დაცემის გამო ამ ნიჭის დაკარგვა, სასოწარკვეთას გვრის, თითქოს ეს სასწაული აუცილებელი პირობა ყოფილიყო ცხონებისათვის, მას ავიწყდება მაცხოვრის შეგონება: *„ოდეს ჰყოთ ბრძანებული თქვენდა, თქუთ, ვითარმედ: მონანი ვართ უხმარნი; რომელი თანა-გუედვა ყოფად, ვყავთ"* (ლუკა 17,10), ასევე სიბრძნე იობისი – *„შიშველი გამოვედი დედის მუცლიდან და შიშველი დავბრუნდები იქ. უფალმა მომცა, უფალმა წაიღო, კურთეულ იყოს მისი სახელი"*(იობი, 1,21). წმ. ისააკ ასურის სწავლებით *„ნეტარ არს კაცი, რომელი შეიცნობს უძლურებასა თვისსა, რამეთუ ცოდნა ესე ხდება მისთვის საფუძველი და საწყისი ყოველივე კეთილწარმატებისა"* (ისააკ ასური, 61-ე სიტყვა). სამწუხაროდ, განდეგილმა ეს ყველაფერი დაივიწყა, დაივიწყა რომ *„თუკი მოინდომებს და უწინდებურ კეთილკრძალულ ცხოვრებას დაუბრუნდება, თავდაპირველ მადლსა და ღირსებასაც უეჭველად დაიბრუნებს"*(პრესვიტერი (მღვდელი) რუფინუსი).

სათანადო, პირდაპირი ცნობის აღმოჩენამდე,ძნელია გადაჭრით ვამტკიცოთ იცნობდა თუ არა ილია მართალი რუფინუსის ნაშრომის ჩვენს მიერ დამოწმებულ ამონარიდს, ჩვენ ვიცით მხოლოდ ის რომ, 1898 წელს ის იყო გამოქვეყნებული სერგიევ–პოსადის მონასტრის გამომცემლობის მიერ. შესაძლოა, ეს არ იყო ამ ნაშრომის რუსულ

ენაზე გამოცემის პირველიშემთხვევა და ის მანამდეც, პოემა „განდეგილის" შექმნამდე, ანუ 1883 წლამდეც იყო გამოქვეყნებული, ეს საკითხი გამოსარკვევია. საყოველთაოდ ცნობილია: ილია მართალს ახალგაზრდობის პერიოდში ჰქონდა სურვილი – გამხდარიყო ბერმონაზონი, რაც, რა თქმა უნდა, აუცილებლად გულისხმობს იმასაც, რომ ის უცილობლად კითხულობდა საბერმონაზვნო, ანუ ასკეტურ ლიტერატურას. სიმბოლურია პოემის მიძღვნა საყვარელი და ძვირფასი მეუღლის ოლღა გურამიშვილისადმი, აქ ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ თავად ილიას პირად ცხოვრებაში, მის ახალგაზრდობაში გაკეთებული არჩევანის – ბერობაზე საბოლოო უარის და საერო ცხოვრების, დაოჯახების არჩევანისგამარჯვება.

თუ გამოვრიცხავთ „განდეგილის" სიუჟეტის სესხებას უშუალოდ რუფინუსისგან, მაინც ნათლად იკვეთება ერთი ფაქტი: წმ. ილიას პოემა სრულყოფილი საღვთისმეტყველო, ასკეტურ-მისტიკური ჟანრის ლიტერატურული ძეგლია, რომელიც კვლევის შესაბამის, სწორ ორიენტირებს მოითხოვს.

**ლიტერატურა:**


1. *ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1989;*
2. *ახალი აღთქუმაი, გამომცემლობა „კალამონი", 2002;*
3. *ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1987;*
4. *იოანე მოსხი – ლიმონარი, ანუ სამოთხე; პრესვიტერი რუფინუსი – მეუდაბნოე მამათა ცხოვრება" თბილისი, 2005, თარგმანი შესრულებულია მღვიმევის დედათა მონასტერში;*
5. *ქართველი მწერლები სკოლაში - ილია ჭაჭავაძე; წიგნი 3, ნაწილი I, ავტორ-შემდგენლები: ფატი ფირუაშვილი, მაია ჯალიაშვილი, თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე";*
6. *აკაკი ბაქრაძე, ილია და აკაკი; თბილისი, 1992;*
7. *აბაშიძე კიტა, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი, 1962;*
8. *გურამ ასათიანი, საუკუნის პოეტები, თბილისი, 1988;*
9. *ვახტანგ კოტეტიშვილი, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1988;*
10. *გერონტი ქიქოძე; წერილები, ესეები, ნარკვევები; თბილისი, 1985;*
11. *ნათელა ჩიტაური, „კვლავ ილიას „განდეგილის" შესახებ", ლიტერატურული ძიებანი, 2002, №22;*

**«ПОИСКИ И АНАЛИЗ БОГОСЛОВСКО-ЛИТЕРАТУРНОГО ИСТОЧНИКА ПОЭМЫ И. ЧАВЧАВАДЗЕ «ОТШЕЛЬНИК»»**

*Докторант истории, священник **Илья (Иракли) Чигладзе***
*Тбилисский государственный университет*

Доклад представляет собой попытку богословского осмысления «Отшельника» великого Ильи. В докладе представлена параллель его сюжета с древним памятником христианской литературы, что является совершенно новым подходом в картвелологии.

Проанализированы причины неправильной интерпретации поэмы, и ошибки ее векового филологического исследования.

**“RESEARCH AND ANALYSIS OF THEOLOGICAL SOURCE AND REFERENCES OF ILIA THE GREAT’S POEM “HERMIT””**

*Doctoral Candidate, Priest **Ilia (Irakli) Chighladze***
*Tbilisi State University*

This thesis is an attempt of theological analysis of Ilia the Great’s Poem “Hermit”. The report represents the parallel between the narrations of the poem and ancient literature which is absolutely new approach in the studies of Georgian literature.

Reasons of misunderstanding of the poem and mistakes of philological research are analyzed.

# რელიგია და კონფლიქტი

*ასის.-პროფ.* ***დარეჯან ცუცქირიძე,***
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,*
*დოქტორანტი* ***ნინო პეტრიაშვილი***
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*

რელიგიური კონფლიქტი კაცობრიობის სოციალური ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. 2012 წლის მონაცემებით მსოფლიოში რელიგიური ძალადობა როგორც მთავრობის ისე ცალკეული ინდივიდების მხრიდან იზრდება (Pew Research Centre). მეცნიერები და მკვლევრები დაუღალავად ცდილობენ მსოფლიოში მშვიდობის მისაღწევად კონფლიქტის დარეგულირებისა თუ გადაჭრის სხვადასხვა მეთოდების შემუშავებას და მათ პრაქტიკაში დანერგვას. თუმცა, ამ რთულსა და საპასუხისმგებლო გზაზე არაერთი წინააღმდეგობა იქმნება. საქმეს კიდევ უფრო ართულებს საკითხის მრავალმხრივობა და მისდამი არაკომპლექსური მიდგომა.

რელიგიური კონფლიქტებით ჩვენი დაინტერესება საკვლევი თემის აქტუალობამ განაპირობა. კვლევის პროცესში ჩვენს ძირითად მიზანს წარმოადგენდა, გაგვერკვია რელიგიისა და კონფლიქტის ურთიერთმიმართება. ასევე, შეგვესწავლა ინდივიდუალური და ფართო¬მასშტაბიანი რელიგიური კონფლიქტების ურთიერთ-მიმართების საკითხი, და დაგვედგინა რელიგიური კონფლიქტი გვხვდება ,,სუფთა“ სახით თუ პოლიტიკური, ეთნიკური და სხვა სახის დაპირისპირებები მისი თანამდევია?

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყოფა რელიგიური კონფლიქტის ძირითადი ასპექტები: ისტორიული, იდეოლოგიური და პოლიტიკური. ისტორიული გულისხმობს კონფლიქტის გენეზისში გარკვევას, რაც ხელს უწყობს საკითხის ცხადად დანახვასა და კომპლექსურ გააზრებას. იდეოლოგიური ასპექტი რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისის არსებობაში გამოიხატება _ 1. რელიგია და პოლიტიკა ორი სრულიად განსხვავებული სამყაროა და ერთმანეთს არ კვეთს; 2. რელიგია აერთიანებს ადამიანებს გარე საფრთხეების ასაცილებლად და შიდა პრობლემების გადასალახად; 3. პოლიტიკა და რელიგია სულ თანხვედრაშია. და ბოლოს, პოლიტიკური ასპექტი გულისხმობს, რომ თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობა პოლიტიკური და რელიგიური დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის ნიადაგზეა წარმოქმნილი, რასაც ასევე შეიძლება ვუწოდოთ მისწრაფება საკუთარი იდენტობის დასაცავად.

რელიგია და რელიგიური ორგანიზაციები როგორც პოზიტიურად, ისე ნეგატი-ურად ზემოქმედებენ მიმდინარე ან მომავალ კონფლიქტებზე მონაწილეობის ოთხი

ფორმით: 1. კონფლი¬ქტის მხარე; 2. კონფლიქტის მაყურებელი; 3. მშვიდობის მყოფელი; 4. მშვიდობის მშენებელი (რეიჩლერი 1997). ჩვენ კი გთავაზობთ ორცვლადიან სისტემას: რელიგია და რელიგიური ორგანიზაციები 1. ხელს უწყობენ კონფლიქტის გაღვივებას და მონაწილეობენ მასში. 2. ცდილობენ კონფლიქტის თავიდან არიდებასა და მოგვარებას.

Pew Research Center-ის მიერ 2014 წლის იანვარში გამოქვეყნებულ 198 ქვეყნისა და ტერიტორიების მასშტაბით ჩატარებული კვლევის შედეგების დასკვნაში, ნაჩვენებია რელიგიური ძალადობის ზრდა 33%-ით 2012 წელს, 29%-ით 2011 და 20%-ით 2007 წ-ში. თითქმის ყველა დიდ რეგიონში მსოფლიო მასშტაბით მოიმატა რელიგიური ძალადობის მაჩვენებელმა. აღსანიშნავია, რომ კვლევის 6 წლის განმავლობაში დაფიქსირდა ძალადობა: ქრისტიანებზე 151, მუსლიმებზე 135 და იუდეველებზე 92 ქვეყანაში. ინდუისტებსა და ბუდისტებზე 33/28 ქვეყანაში და სხვ. ძალადობა დაფიქსირდა როგორც მთავრობის ისე ცალკეული ინდივიდების მხრიდან.

ვასკვნით, რომ რელიგიურ კონფლიქტზე საუბრისას გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი: რელიგიური, პოლიტიკური, ეთნიკური, ეკონომიკური და ა.შ. მისთვის დამახასიათებელია ხანგრძლივობა და მასშტაბურობა. ხშირად, რელიგიური დაპირისპირება გადაიზრდება სამოქალაქო ომში, ტერორიზმში. გლობალიზაციის პირობებში, როდესაც მიგრაციამ არნახულ რიცხვს მიაღწია, რელიგიური კონფლიქტის არეალი კიდევ უფრო გაიზარდა. მასშტაბური რელიგიური კონფლიქტების გარდა ვიწრო ინდივიდუალურმა დაპირისპირებებმაც მოიცვა სამყარო. შესაბამისად, იგი საფრთხეს წარმოადგენს როგორც ცალკეული ინდივიდებისა და სახელმწიფო არსებობი¬სა¬თვის, ასევე თავად რელიგიისთვისაც ვინაიდან იგი წინააღმდეგობაში მოდის სიკეთესთან, რელიგიის დედაარსთან.

## RELIGION AND CONFLICT

*PhD* ***Darejan Tsutskiridze***[1]*,*
*PhD student* ***Nino Petriashvili***[2]
*Georgian Technical University*[1]*,*
*Ilia State University*[2]

Faith has always been a significant component of human society. Today the sociological reports on religious hostilities are warning. The purpose of the article is to define the interdependence of religion and conflict, the correlation of individual and large-scale religious hostilities. We argue that pure religious conflicts exist at the individual level, but large-scale religious hostilities are always accompanied by political, territorial, ethnic or other conflicts.

In the scholarly sources there are known three basic approaches of religious conflicts: historical, ideological and political. Luc Reychler suggests that religious organizations can act as conflicting parties, bystanders, peace makers and peace builders. We assume that religious organizations contribute to and participate in the conflicts, and they contribute to the prevention and resolution of conflict.

In conclusion, we clearly see religion as one of the determinants of human behaviour. The large-scale religious conflicts have a complex structure and always coexist with other types of conflict. Religious hostilities (individual and large-scale) are characterized by longevity and depth. They often transform into terrorism and wars. The growing religious hostility is a threat to individuals, states and faith itself.

**ლიტერატურა:**

– *Pew Research Center: Religious Hostilities Reach Six-Year High, 2014;*
– *Eric Brahm, Religion and Conflict, 2005;*
– *The international Journal of Peace studies, Luc Reychler, Religion and Conflict, 1997;*
– *Introduction to Comparative Politics,Mark Kesselman, Joel Krieger, William;*
– *A.Joseph, Third Edition, 2004.*
– *РЕЛИГИОЗНЫЕ КОНФЛИКТЫ В СОВРЕМЕННОМ МИРЕ: ТЕОРЕТИЧЕСКИЙ АСПЕКТ Дмитренко М. А., Голуенко Т. А.*
– *М. Ю. Зеленков социальная конфликтология учебное пособие.*
– *3. ОРЛЯНСКИИЙ В.С. КОНФЛИКТОЛОГИЯ.*

# ენების წარმოშობის ახალი, წყლის თეორია მითოლოგიური, ბიბლიური და მეცნიერული შეხედულებების ჭრილში

*პროფ.* ***გელა ღვინეფაძე***
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

არცთუ იშვიათად ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტაზე მუშაობა უხდება განსხვავებული სპეციალობების მქონე მეცნიერთა ჯგუფებს. ცხადია, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები საკითხს შეისწავლიან საკუთარი მოღვაწეობის სფეროში აპრობირებულ მეთოდებზე დაყრდნობით და თუ ასეთი ჯგუფები საერთო დასკვნამდე მიდიან, ლოგიკურია, მათ მიერ მიღებული შედეგები უფრო სარწმუნოდ მივიჩნიოთ, ვიდრე ერთი, კონკრეტული მიმართულების სპეციალობის მეცნიერთა აზრების თანხვედრით მიღებულნი.

სწორედ, ზემოთ აღწერილი მიდგომა გამოვიყენეთ ენათა წარმოშობის საკითხში გასარკვევად, როდესაც ერთმანეთთან ვაჯერებდით ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო ბიბლიურ ციტატებს დროსა და სივრცეში ფრიად დაშორებული ხალხების მითოლოგიებში გადმოცემულ ამბებთან, ბერ იოანე-ზოსიმეს ცნობილ საკრალურ თხზულება "ქებაიში" ჩადებულ მინიშნებებთან, ცალკეული მეცნიერული დარგების – ლინგვისტიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის... – სპეციალისტებისათვის ცნობილ ფაქტებთან. დასკვნების გამოსატანად კი გამოვიყენეთ მართვის მეცნიერების სფეროში აპრობირებული მეთოდები:

ანკეტირების, კომისიების, დელფოსის, 6 ქუდის და ზემოთ აღნიშნული პროჟექტორების მეთოდები (შევნიშნავთ, რომ ჩვენ თვითონ ინფორმატიკის და მართვის სისტემების მიმართულებით გვიწევს მუშაობა).

***დავიწყოთ ბიბლიით.***

ბიბლია გვიქადაგებს და თანამედროვე ენათმეცნიერებაც იქითკენ იხრება, რომ ყოველი ენა ერთი, საწყისი ენიდან იღებს სათავეს. ბუნებრივია, ქართულსა (და მის მეგრულ და სვანურ განშტოებებში) ამ მოსაზრების დამადასტურე ბელი მეტი პირველადი მასალის არსებობა ვივარაუდოთ, ვიდრე შედარებით ახალ ენებში.

შემდეგ, ბოლო ხანებში მეცნიერთა მიერაც ინტენსიური კვლევები მიდის იმ ჰიპოთეზის საფუძვლიანობის დასამტკიცებლად, რომ მსოფლიოში არსებული ენები ერთი, ძირეული ენისაგან იღებს სათავეს (მაგ., იხილეთ ა. დოლგოპოლსკის შრომები). ეს ვარაუდი სრულ თანხმობაშია ბიბლიურ შეხედულებებთან. მიზნად იქნა დასახული, განისაზღვროს ამ ჰიპოთეტური ენის ლექსიკა. ცხადია, საქმე ძალიან რთულდება ათასწლეულების მანძილზე მეტად სახეცვლილი სიტყვებისათვის საერთო ფესვების მოძიების მცდელობისას. წარუმატებლობებმა ამ გზაზე

მეცნიერთა ნაწილს აფიქრე ბინებდა, რომ საწყისი ლექსიკის სიტყვებისთვის ეტიმოლოგიების ძებნა, საერთოდ, უიმედო საქმეა, რადგანაც ისინი უბრალოდ, უმოტივაციო ცნებებია. მაგრამ ბოლო ხანებში ჩვენ მიერ გამოითქვა საპირისპირო აზრი [1-4]. ჩატარებული კვლევების შედეგად, თანამედროვე ექსპერტული შეფასებების მეთოდებზე დაყრდნობით და სხვადასხვა მეცნიერულ დისციპლინებში ფიქსირებული ფაქტების შეჯერებით გამოკვეთილი იქნა ეტიმოლოგიურად ურთიერთკავშირში მყოფი რიგი ცნებებისა, რომელთაც, სავარაუდოდ, დასაბამი მისცეს დღეს მსოფლიოში არსებულ ენათა ფრიად განტოტვილ ოჯახს. ეს უკანასკნელი ფიგურალურად უპრიანია დაბურდული ძაფის გორგალს შევადაროთ, ხოლო ჩვენი მცდელობები – მისი წვეროს ძიებას!

მეცნიერულ შეხედულებებს რაც შეეხება, ბუნებრივია, რომ უწინარეს ყოვლისა, გავეცანით ენათმეცნიერთა შეხედულებებს ენის (ენების) წარმოშობის თაობაზე და მათი გაანალიზებით მივედით ასეთ დასკვნებამდე:

• წყლის თეორია, ფაქტობრივად, აღმოჩენილი ჰქონდა დიდ მეცნიერს ნიკო მარს. განსაკუთრებით საყურადღებო ის გახლავთ, რომ ნ. მარს სხვა მიზანი ამოძრავებდა და მეთოდიც სხვაგვარი ჰქონდა შერჩეული. მხედველობაში გვაქვს მისი საყოველთაოდ ცნობილი ოთხელემენტოვანი მოძღვრება, რომლის ჩამოყალიბების პროცესში ენციკლოპედიური ცოდნის მქონე ენათმეცნიერი საკითხის, ასე ვთქვათ, "წმინდა ტექნიკურმა" (ლინგვისტიკურმა) მხარემ გაიტაცა და პრობლემის ეფექტურად გადაწყვეტისთვის მოხმობილი, ნაკლებად დამაჯერებელი არგუმენტაციის გამო კოლეგების (შესაძლოა სამართლიანი) კრიტიკა დაიმსახურა. მაგრამ აქ მოხდა ის, რასაც არცთუ იშვიათად აქვს ადგილი მეცნიერული შრომების შეფასებისას – ცნობილი გამოთქმის პერიფრაზს თუ მოვიხმობთ, ოპონენტებმა წყალს წყალიც გადააყოლეს, კერძოდ, მათ ის ლოდი დაიწუნეს, რომელიც მეტყველების წარმოშობის ახალი თეორიის ქვაკუთხედად უნდა გამომდგარიყო: ნიკო მარი ხომ თავის მტკიცებებს, როგორც წესი, ისეთი სიტყვების მწკრივთა მაგალითებზე აგებდა, რომლებიც სწორედ წყლის ცნების მეშვეობით კავშირდებოდნენ ერთმანეთთან სემანტიკურად!

• საერთოდ, ენების წარმოშობის არაერთი მეცნიერული თეორია არსებობს. ჩვენ ვთვლით, წყლის თეორია არც ერთ მათგანს არ ეწინააღმდეგება – ნებისმიერი ამ თეორიათაგანი სწორია, ოღონდ თითოეულში აღწერილმა გზამ ენების წარმოშობაში თავისი წვლილი შეიტანა მხოლოდ გარკვეული დოზით.

• მეტიც, მიგვაჩნია, რომ წყლის თეორია აქამდე არსებულ მეცნიერულ თეორიებს აერთიანებს და ამასთან, იგი თანხმობაში მოდის დროსა და სივრცეში დიდად "გაფანტული" ძველი ცივილიზაციების მითოლოგიურ და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ბიბლიურ შეხედულებებთან.

კვლევების შემდგომ ეტაპზე, ყველა ზემოთ მოხსენიებულ წყაროში არსებული ინფორმაციების შეჯერებით, შევეცადეთ პირველი ენის საწყისი ლექსიკური მარაგის წრიდან გამოგვერჩია ის ცნება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, – ძაფის გორგლის წვერო, რომლითაც უნდა მომხდარიყო უძველესი ადამიანის მიერ მისთვის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ობიექტის, ქმედებისა თუ მოვლენის სახელდება და შემდეგ მისი მეშვეობით გზა გაგვეკვლია დღევანდელი ენების ლაბირინთში.

ხაზს ვუსვამთ – საუბარია არა კონკრეტული სიტყვის (რაიმე ბგერათკომპ-ლექსის) მოძიებაზე, არამედ იმ უპირველ ცნებაზე, რომელმაც სათავე დაუდო მეტყველებას.

შევნიშნავთ, რომ ბიბლიის მიხედვით გარემომცველ სამყაროში მისთვის საინტერესო ობიექტებისათვის სახელებს ადამიანი ირჩევს! მაშასადამე, მათი სახელდება ხდება არა ადამიანისათვის ბოლომდე ყოველთვის შეუცნობელი ღვთიური ლოგიკით, არამედ ადამიანის არჩევნით, მისი განვითარების ამა თუ იმ საფეხურის შესაბამისი აზროვნებიდან გამომდინარე!

დასმულ კითხვაზე პასუხის მისაღებად გამოყენებული იქნა ექსპერტულ შეფასებათა ჩვენ მიერ რამდენადმე მოდიფიცირებული  დელფოსის მეთოდი.

შედეგი შთამბეჭდავი აღმოჩნდა:

გამოკითხვის უკვე მეორე ტურის ჩატარების შემდეგ ექსპერტთა უმრავლესობა მიდიოდა საერთო აზრამდე – ეს ცნება გახლავთ წყალი.

ჩვენი აზრით, სწორედ ამ ცნებაზე მინიშნებას შეიცავს ბერ იოანე-ზოსიმეს ცნობილი საკრალური თხზულება "ქებაი"-ც.

დავიწყოთ მტკიცებიდან, რომელიც "ქებაის" დედაარსია:

ქართული ენა ლაზარეა – "სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან", მასში დამარხული "ყოველი საიდუმლოჲ" თავის დროზე გაცხადდება, "რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა".

ჩვენი რწმენით, "ქებაი" ისეთი თხზულება გახლავთ, რომელშიც ყოველი აზრი, ყოველი სიტყვა განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია და სავსებით შესა-ძლებელია, საიდუმლო ინფორმაციის შიფრს წარმოადგენდეს. ამ მოსაზრების გათვალისწინებით, მით უფრო დიდ ინტერესს იწვევს "ქებაიში" ქართული ენის ლაზარესთან გაიგივება.

ეჭვს გარეშეა, იოანე-ზოსიმემ იცის, რომ ლაზარე ქრისტეს მეგობარია და შეიძლებოდა გვეფიქრა, ავტორს ეს პასაჟი ქართული ენის ღვთის მიერ გამორჩეუ-ლობის ხაზგასასმელად დასჭირდა. მაგრამ იბადება კითხვა – ამ მიზნის მისაღწე-ვად განა უფრო შთამბეჭდავი არ იქნებოდა პარალელის გავლება თვით მაცხოვრის აღდგომასთან? "ქებაიში" ხომ ქართული ენის განსაკუთრებულ მისიაზეა საუბარი და არა მის "უბრალოჲ" აღდგინებაზე?! მიგვაჩნია, რომ იოანე-ზოსიმეს არჩევანს სხვა

მოსაზრება განაპირობებს და სწორედ სიტყვა ლაზარეს უნდა ჰქონდეს დაკისრებ-ული საიდუმლოს გასაღების როლი.

„ლაზარეს” „ლაზთან” მსგავსების ადვილად შესამჩნევი ფაქტი კიდევ უფრო ნიშანდობლივად გვევლინება „ქებაიში” ქართველი და ბერძენი ხალხების წარმომა-დგენელთა მეგობრობის ხაზგასმის გამო (ამასთან, “ლაზი” ელინებისათვის დასავლელი ქართველის აღმნიშვნელი ტერმინიცაა), მაგრამ ნუთუ მხოლოდ სიტყვების გარეგანი მსგავსება აღმოჩნდა საკმარისი განაცხადისათვის, რომ ქართული ენა ლაზარეა? ხომ არ მიგვანიშნებს იოანე-ზოსიმე ამ ტერმინებს შორის რაიმე სხვა სახის კავშირზე?

ჩატარებულმა კვლევებმა მიგვიყვანა დასკვნამდე:

“ლაზარესა” და “ლაზს” შორის სწორედ ასეთი – სიღრმისეული დამოკიდებულება არსებობს და იგი დამყარებულია *LAK საერთო ძირიდან მათ წარმოშობაზე. ეს ტერმინი კი კაცობრიობის პირველსაწყის (ან მასთან ახლოს მდგომ ენებზე) აღნიშნავდა წყალს – ძირეულ ცნებას, რომლიდანაც ამოიზარდა “ყოველი ენის” გენეალოგიური ხე.

უძველესი ხალხების მითოლოგიებში წყალი გახლავთ ის კეთილშობილი სტიქია, რომელმაც დედამიწაზე სიცოცხლეს მისცა დასაბამი.

საინტერესო ფაქტია, მეცნიერება მხოლოდ მე-20 საუკუნის მიწურულს, უახლესი გამოკვლევების საფუძველზე რწმუნდება სიცოცხლის წარმოშობის შესახებ ბიბლიასა და ზოგ კიდევ უფრო ადრინდელ წყაროში მოცემული წარმოდგენების სამართლიანობაში [5].

ლაზარე ძველი ქართველებისათვის წყლის ღვთაებაა, რაც, ცხადია, არც იოანე-ზოსიმესთვის იქნებოდა საიდუმლო. ამასთან, წყლიდან დაბადების ნიშანს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანული სარწმუნოების თვალსაზრისით. უძველესი ქართული ტომის – ტიბარენების სახელწოდებას მეცნიერები ტერმინ “ტაბას” (ტბას) უკავშირებენ. ჩვენი ვარაუდით, ანალოგიურად მოხდა *LAK ძირიდან ლაზების სახელდებაც.

რას გვამცნობენ, “ქებაის” გარდა, სხვა წყაროები ამ საკითხთან მიმართებით? მოიპოვება უძველეს მითოლოგიებში ცნობები, ერთმანეთთან რომ აკავშირებდნენ “წყალსა” და “სიტყვას” (აქ ვგულისხმობთ მეტყველებას)? რა მიმართებაშია ეს ცნებები ღმერთის (ღვთაებების), როგორც სამყაროს შემოქმედის, არსებასა და სახელწოდებებთან?

ძველი ბერძნები, მაგალითად, თალესი, თვლიდნენ, რომ წყალია სათავე ყველა ნივთთა და არსებათა, მაშასადამე, ღმერთებისაც. ფრიად საინტერესო უნდა გახლდეთ ჰესიოდეს მოსაზრებაც (ვფიქრობთ, არა მარტო ქართველებისათვის):

“კოლხიდა და მისი მცხოვრებნი წარმოიშვნენ იმავე საწყისიდან, საიდანაც ღმერთები - ოკეანისაგან”.

დოგონური მითოლოგიის მიხედვით, სწორედ წყლის ღვთაება ნომომ მიანიჭა დედამიწას მეტყველების უნარი, შეუქმნა სამყაროს პირველი ენა, ხოლო მისი შთამომავალი ლებე სიტყვის წარმომადგენლად მოევლინა ქვეყნიერებას.

ასევე, წყლის ღვთაებამ ფარომ შეასწავლა ლაპარაკი ადამიანებს, – მიაჩნია ბამბარას ტომის ხალხს.

შუმერებისთვის სამყაროს – ცა და დედამიწის – შემოქმედია ყოველი ღმერთის დედა ნამუ. ამასთან, ნამუ მათთვის მიწისქვეშა წყლების გამოხატულებასაც წარმოადგენს.

ინდუსები ინდრასთან ერთად უმთავრესი ღვთაების როლს აკისრებდნენ კოსმიური წყლების ხატს – ვარუნას, რომელსაც ჭეშმარიტი სიტყვის სიმბოლოდაც მიიჩნევდნენ.

სიტყვის ქალღმერთი და ყველა ღმერთის მბრძანებელია ძველინდური VAK. მისი ადგილსამყოფელი ხილულ სამყაროს სცდება, საბრძანისი კი წყალში მდებარეობს. ამ ქალღმერთს აკავშირებენ პრაჯაპატ, სომა, ვიშვაკარმან და სარასვატ ღვთაებებთან:

პირველის დამსახურებაა სამყაროდან წყალთა სახით მეტყველების შექმნა, მეორე მათგანი ღვთიური სასმელის ღმერთია, მესამე – სიტყვის მბრძანებელი და ღმერთების სახელწოდებათა ერთადერთი განმსაზღვრელი, ხოლო მეოთხემ, რომლის სახელიც ასევე “წყალს” უკავშირდება, შექმნა სანსკრიტი.

დაბოლოს, ბიბლიური “პირველნედლეული”, სხვაგვარად, ქაოსი, რომლიდანაც ღმერთის მიერ შეიქმნა სამყარო, გახლავთ წყალი.

კიდევ უფრო ადრე შუმერელი მოაზროვნეები თვლიდნენ, რომ ცა და მიწა პირველქმნილ ოკეანეში ჩაისახა. იგივე შეხედულებისა გახლდნენ ძველ ეგვიპტესა და ბაბილონშიც. აქადური მითოლოგიური პოემა “ენუმა ელიშ” გვიმოწმებს, რომ პირველი სტიქია – თიამათი ზღვას წარმოადგენდა. წყალთან კავშირდება ყოვლის წარმომშობი ქაოსი ძველი ჩინური და ინდური მითოლოგიების მიხედვითაც.

შეიძლება დაუჯერებლად მოგვეჩვენოს, მაგრამ ფაქტია:

წყალი, რომელსაც დედამიწის ზედაპირის 71% უკავია, მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ ამოუცნობი, უამრავი გასაოცარი თვისების მქონე ფენომენია. იგი თითქოს არც კი ემორჩილება ფიზიკისა და ქიმიის კანონებს! მკვლევართა აზრით, წყალი უნდა დუღდეს 70$^{0}$C და იყინებოდეს –90$^{0}$C-ზე. იგი ერთადერთი ნივთიერებაა, რომელიც ბუნებრივ პირობებში სამ აგრეგატულ მდგომარეობაში გვხვდება. ანომალურია წყლის მრავალი მახასიათებელი, უნარი – ჰქონდეს კრისტალური სტრუქტურა, მყარ მდგომარეობაში იყოს თხევადზე ნაკლებად მკვრივი. აშკარაა,

რომ ეს ბოლო თვისება დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის საფუძველია, თუმცა შემდგომ მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ სიცოცხლისათვის ასევე აუცილებელია წყლის ყველა სხვა (რამდენიმე ათეული) ანომალური თვისების (ვამჯობინებდით გვეთქვა, არაჩვეულებრივი) არსებობაც!

წყალს აქვს მეხსიერება! იგი, ფაქტობრივად, უსასრულოდ განზავების შემთხვევაშიც კი ინარჩუნებს მახსოვრობის უნარს. დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყეს წყლის ე.წ. ბიოდამუხტვის მოვლენის შესწავლა. წყალი თურმე რეაგირებს სიტყვაზე: ლოცვასა და, სამწუხაროდ, წყევლაზეც. ლოცვისას წყლის სტრუქტურა იძენს განსაკუთრებული სილამაზის ფორმებს, ამასთან, ხდება სამკურნალო თვისებების მატარებელიც. სრულიად საპირისპირო ხასიათის მოვლენებს აქვს ადგილი წყევლისას და, საერთოდ, არასასიამოვნო სიტყვების წარმოთქმისას....

შვიდი ქრისტიანული საიდუმლოებიდან პირველია ნათლისღება, იგივე წყალკურთხევა. თხზულების მცირე მოცულობის ტექსტში ამ ტერმინის შეტანით ავტორი კვლავ საკვანძო (გასაღებურ) სიტყვაზე მიგვანიშნებს. ისევ ბიბლიას მივმართოთ: „დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა."

დავუშვათ, სიტყვაში იგულისხმება წყალი და თავიდან წავიკითხოთ ციტატა.

ახლა კი საკუთარ თავს დავუსვათ შეკითხვა:

უწინარეს ყოვლისა, რომელი სიტყვის (ცნების) წარმოთქმის საჭიროების წინაშე დადგებოდა ადამიანი – არსება, რომელიც ეს-ეს არის "იდგამს ენას"?

ჩატარებული კვლევების საფუძველზე, მივედით დასკვნამდე, რომ ეს არის "წყალი", (უფრო ზუსტად, ამ ცნების აღმნიშვნელი ტერმინები).

წამოყენებული ჰიპოთეზის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ უძველესი ადამიანი ცხელ ქვეყნებში ცხოვრობდა. საკვების ძიებისას იგი იძულებული იყო დიდი მანძილით დასცილებოდა წყალსატევებს. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში მისი უპირველესი, სასიცოცხლო საზრუნავი იქნებოდა წყლის მიგნება-მოპოვება.

შემდეგ, თუკი ბერბერებს "აქლემის", ხოლო ესკიმოსებს "თოვლის" ცნების გამომხატველი ასეულობით ტერმინი გააჩნიათ, ბუნებრივია, ზუსტად ასეთივე სიტუაცია შეიქმნებოდა თავდაპირველი ენის ჩამოყალიბებისას წყლის ცნებასთან მიმართებითაც.

მეტიც, ერთი შეხედვით, თვისებრივად სრულიად განსხვავებული (ზოგჯერ საპირისპირო!) შინაარსის მქონე ტერმინების უმრავლესობა ამა თუ იმ ლოგიკური გზით ისევ წყლის ცნებასთან დაკავშირდებოდა. "შვილებს" უნდა მოჰყოლოდნენ "შვილიშვილები", "შვილთაშვილები"... ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ადამიანებმა პირველი სიტყვა დავკარგეთ. ალბათ, იმის გამო, რომ...

საგამომგონებლო თეორიების შესწავლის მსურველთათვის რეკომენდებულია ერთი ასეთი ამოცანის დასმაც:

“სად, როგორ დამალავდით ოთახში ქვას ისე, რომ მისი მიგნება, რაც შეიძლება მეტად, გაძნელდეს?”

(შეეცადეთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას).

შემდეგ, გავიხსენოთ:

“რადგან მათგან, რაკი ასე სურთ, დაფარული რჩება, რომ თავდაპირველად ცა და მიწა დაარსდა ღვთის სიტყვით წყლისაგან და წყლით.”

II პეტრე, 3,5.

მიგვაჩნია, რომ ამ საკრალური ინფორმაციის შემცველ ციტატაში წყლის ცნება სრულიად გამიზნულად არის ორჯერ მოხმობილი:

ერთი მხრივ, პირდაპირ არის მითითებული, რომ უფლის მიერ ყველაფერი – ცა და მიწა, ანუ, ღვთისმეტყველთა განმარტებით, “ყოველივე – ხილული და უხილავი” (ნესტორ ყუბანეიშვილი) წყლისაგან შეიქმნა. ეს სიტყვა აქ აღნიშნავს უფორმო, უსახო, ქაოსურ მდგომარე ობაში მყოფ სამყაროს პირველსაწყისს.

მეორე მხრივ, ვვარაუდობთ, რომ აქ გაცხადებულია – წყლით განხორციელდა ყოველივეს სახელდება.

ჩვენი რწმენით, ბიბლიაში ბევრი სხვა ადგილიც მიგვანიშნებს წყლის საკრალურობაზე.

დავუბრუნდეთ ლინგვისტიკის საკითხებს – თუ ადამიანის მიერ გამოყენებული „ყოველი ენის” სათავეს ცნება წყალი წარმოადგენს, მაშინ, სავსებით ბუნებრივია, მეტონიმიის გზით, ამ ცნების მეშვეობით მომხდარიყო, პირდაპირი თუ გადატანითი გაგებით, მასთან სიახლოვეში მყოფ არსთა სახელდება! თუ ჩვენი წინაპარი მეტონიმიის წესით რაიმეს დაარქმევდა სახელს, უპირველესად, ეს იქნებოდა წყალსატევების მიმდებარე ტერიტორია – მიწა (ხმელეთი, ტაფობი, რიყე, ვაკე და ა.შ.). საცხოვრებელი ადგილი ადამიანს ხომ, უმთავრესად, იმ თვალსაზრისით აინტერესებდა (და აინტერესებს!), მოიპოვება თუ არა იქ წყალი. ისევ წყალია ორიენტირი კაცობრიობის განვითარების შემდგომ ეტაპებზე მეცხოველეობისა და ხვნა-თესვისათვის სავარგულების შერჩევისას.

მიწის ცნების ანალოგიურად უნდა მომხდარიყო კლდის (მთის, გორის...) სახელდებაც. მრავალი მაგალითი მოიპოვება, როცა მდინარეს და მთას, საიდანაც ეს წყალი ჩამოედინება, იდენტური ან მსგავსი სახელი ჰქვია... ფრიად ნიშანდობლივია, რომ წყლის ცნებასთან ეტიმოლოგიურ კავშირზე მეტყველებს თვით ტოპონიმიკის სახელწოდება!

მეტნაკლებად მოდიფიცირებულ წყლის ცნებას სახელი უნდა მიეცა მრავალი, უხსოვარი დროდან ადამიანის ყურადღების არეალში მოხვედრილი “პირველადი”

არსისათვის. გადავწყვიტეთ ჰიპოთეზის ქმედითუნარიანობა შეგვემოწმებინა ლინგვისტთა მიერ, ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, ისეთ უპერსპექტივო სიტყვებზე, როგორებიცაა: „თევზი“, „მთა“, „თავი“... მიღებული იქნა საყურადღებო შედეგები.

დაბოლოს, წყლის თეორიაზე დაყრდნობით, შესაძლებელი იქნება თვისებრივად ახალ საფეხურზე ავიყვანოთ ვიკიპედიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული განშტოება – ვიკილექსიკონი, კერძოდ, მისი მოდიფიკაცია, წინამორბედისაგან განსხვავებით, ვაქციოთ პროგრამად (და არა თუნდაც ძალიან საინტერესო სტატიების კრებულად), რომელთანაც მომხმარებელი იმუშავებს დიალოგურ რეჟიმში, რათა მიიღოს პასუხი მის მიერ დასმულ, ვთქვათ, ასეთი სახის შეკითხვაზე:

არის ეტიმოლოგიურ კავშირში სიტყვათა წყვილი – дом – дым?

პროგრამამ მან უნდა შეძლოს ჩვენი ჰიპოთეზის გამაგრება მონაცემთა ბაზაში შეტანილი მრავალი ენის თეზაურუსებში კვლევა-ძიების ჩატარების შედეგად ასეთი წყვილებით:

კერა – კერია;

კომლი – კვამლი;

очаг (ასევე, ოჯახი) – очаг და სხვ.

**ლიტერატურა:**


1. *http://gtu.ge/books/g_gvinepadze_Qebai.pdf*
2. *გ. ღვინეფაძე. არსზე ორიენტირებული ლინგვისტიკა. კონფერენცია. ბუნებრივ ენათა დამუშავება. ქართული ენა და კომპ. ტექნოლოგიები. თბილისი, 2004.*
3. *გ. ღვინეფაძე. მეცნიერებანი და იოანე-ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. პირველი საერთაშორისო კონფერენცია “მეცნიერება და რელიგია”. თბილისი, 2005.*
4. *გ. ღვინეფაძე. „...წყლისაგან და წყლით“. საქართველოს საპატრი არქოსთან არსებული კრეაციული საზოგადოების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია „პირველად იყო სიტყვა“. თბილისი, 2005.*
5. *«Как Афродита из пены», «Наука и религия», 1992, №2.*

**НОВАЯ, «ВОДНАЯ» ТЕОРИЯ ПРОИСХОЖДЕНИЯ ЯЗЫКОВ В СВЕТЕ МИФОЛОГИЧЕСКИХ, БИБЛЕЙСКИХ И НАУЧНЫХ ВЗГЛЯДОВ**

*Проф.* ***Г. Гвинепадзе***

*Грузинский технический университет*

1. В докладе рассматривается новая, т.н. «водная» теория происхождение языков, ее предпосылки, методы, примененные при научно-исследовательских изысканиях, полученные результаты, а также пути, намеченные для дальнейшего развития данной теории и достижения новых практических результатов.
2. Новая теории происхождения языков не противоречит научным теориям, существующим до сих пор. Все они правильны, но каждая из них способствовала созданию языков только в определенной мере.
3. Мы пришли к выводу, что данная теория объединяет все научные теории, к тому же, она находится в полном согласии с мифологическими воззрениями древних цивилизаций, «разбросаных» во времени и пространстве, и, что особенно интересно, - библейскими убеждениями.
4. Действительно, все новое хорошо (скажем, более или менее хорошо) забытое старое! Мы считаем, что в свое время к открытию водной теории вплотную приблизился наш великий ученый Н. Марр, но...
5. Любая теория на самом деле высоко ценится тогда, когда она выдает практические результаты: разъясняет необъяснимые доселе явления, фиксированные факты. На наш взгляд, данная теория успешно прошла тестирование на эффективность, выдав ощутимые результаты при установлении этимологий для «безнадежных» в данном плане т.н. немотивационных терминов...
6. Водная теория не дает предпочтения какому-нибудь языку среди других, она только указывает им на общие корни (точнее, на корень), на тот кончик (начало!) нити клубка, что в умелые руки превращается в нить Ариадны, помогающую проложить дорогу в лабиринте сегодняшнего Языкового Мира.
7. Наконец, в докладе будут обсуждены принципы создания компьютерной системы, которая, в дополнение к конкретной "утилитарной», наметит себе гораздо важную цель - «укажет каждому языку» (слова монаха Иоане-Зосиме, жившего в X-ом веке) на их общие корни происхождения и народам Мира предоставит возможность свершить Общее Доброе Дело.

**NEW, "WATER" THEORY OF THE ORIGIN OF LANGUAGES IN THE LIGHT OF THE MYTHOLOGICAL, BIBLICAL AND SCIENTIFIC VIEWS**

*Prof.* ***G. Gvinepadze***
*Georgian Technical University*

1. The report examines the new, so-called. "Water" theory of the origin of languages, its causes, the methods applied in the research surveys, the results obtained, as well as ways identified for further development of the theory and practical achievement of new results.
2. The new theory of the origin of languages is not contrary to scientific theory, which still exists. All of them are correct, but each of them contributed to the creation of languages only to a certain extent.
3. We concluded that this theory unifies all scientific theories, besides, it is in complete agreement with the mythological conceptions of ancient civilizations, "scattered" in time and space, and particularly interesting – widespread in biblical beliefs.
4. Indeed, all new good (more or less good) is forgotten old! We believe that by the time the opening of the water theory was closely approached by our great scientist N. Marr, but ...
5. In fact, any theory is then highly valued when it produces practical results: clarifies the hitherto unexplained phenomena, fixed facts. In our view, this theory has been successfully tested on efficiency, having seen tangible results in establishing etymologies for actually "hopeless" called non-motivational terms.
6. The water theory does not give any preferences to any of the languages; it only indicates their common roots, to the tip thread coil that in skilled hands turns into Ariadne's thread to help pave the way in the maze of today's language world.
7. Finally, the report will discuss the principles of creating a computer system that, in addition to specific "utilitarian", will constitute a much more important goal - "it indicates to each language" (these are the words of the monk Zosima-Ioane, who lived in the tenth century) their common roots of existence and peoples of the world and it will provide an opportunity to accomplish common good.

# ზოგიერთი ბიბლიური პერსონაჟების სტრატეგიული ურთიერთქმედების ანალიზი თამაშთა თეორიის გამოყენებით

*პროფესორი* ***გურამ ბელთაძე***
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

ბიბლია – საღმრთო დოკუმენტია მილიონობით ადამიანისათვის, რომელიც გამოსახავს რწმენის ზებუნებრივ ელემენტებს და ისინი არ მოითხოვენ არავითარ ახსნა-განმარტებებს. მიუხედავად ამისა, ბიბლიის ზოგიერთი დიადი მონათხრობი მაინც იქნა მიჩნეული იმ მოვლენათა ახლად გაგების შესაძლებლობად. ყოველივე ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ბიბლიური პერსონაჟები განიცდიან ჩვეულებრივ ადამიანურ წარმატებებს და წარუმატებლობებს ერთმანეთთან ურთიერთობებში.

ბიბლიის ცენტრალური პერსონაჟი არის ღმერთი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მასაც აქვს მოტივაცია შეასრულოს გარკვეული ქმედებები – აქვს მიზნები, რომელ-თა მიღწევასაც იგი ისურვებდა. როგორი ყოვლისშემძლედ არ უნდა ჩაითვალოს ღმერთი, ზოგჯერ მასაც უშლიან ხელს საკუთარი სურვილების განხორციელებაში.

ბიბლიიდან ასე ჩანს, თითქოს ღმერთი ყოველთვის ვერ მოქმედებს თავისი სურვილების შესაბამისად, ამიტომ ბუნებრივია ჩაითვალოს იგი მოთამაშედ თამაშში. მოთამაშე და თამაში განისაზღვრება თამაშთა თეორიაში. მასში თამაში არის სიტუაცია, რომელშიც მოთამაშეები (იგივე მონაწილეები) ღებულობენ გადაწყვეტი-ლებებს თავიანთი მიზნების განხორციელებისათვის ურთიერთდამოკიდებულებების შესაბამისად და თამაშის შედეგი განისაზღვრება ყველა მოთამაშის არჩევანით. მოთამაშის არჩევანი თამაშთა თეორიაში არ შეიძლება იყოს ნებისმიერი. პირიქით, იგულისხმება, რომ მოთამაშეები გულდასმით მოიფიქრებენ როგორც თავიანთ არჩევანს, ისე სხვა მოთამაშეების მიერ გასაკეთებელ არჩევანს.

ბიბლიიდან ასე ჩანს, თითქოს ღმერთი იმედგაცრუებულია თავის შესაძლე-ბლობებში იმით, რომ მისი სურვილები შეიცვალა სხვა მოთამაშეების ქმედებებით, ბიბლია ამბობს, რომ ამ შემთხვევაში ღმერთი შეიძლება გახდეს ბოროტი, ეჭვიანი ან შურისმაძიებელი. ამიტომ მისი ქმედებები სწორედ ასეთ ემოციებს გამოსახავენ. ასეთი თვალსაზრისით ღმერთი, მიუხედავად მისი უნიკალური და მოკრძალებული სიძლიერისა, ძალიან ადამიანური პერსონაჟია. რა თქმა უნდა, რელიგიათა უმრავ-ლესობა ღმერთს ასეთნაირს არ განიხილავს. სინამდვილეში ბიბლია მუდმივად გამოსახავს მას არა მხოლოდ როგორც დამაჯერებელს, მოკრძალებულს, ასევე განი-ხილავს მას როგორც არაშემეცნებითს, ანუ აბსოლუტურად ჩვენი აღქმის საზღვრებს გარეთ მყოფს. თავისთავად იგულისხმება, რომ მას არ შეუძლია გამოთვალოს რაიმე, წააქეზოს ვინმე ან მოწყალება გაიღოს ვინმეს მიმართ თამაშის დონემდე.

ძალიან მნიშვნელოვანია ბიბლიაში განხორციელებული ურთიერთქმედებების ანალიზი, რომლის საშუალებით დადგინდებოდა თუ რა პრინციპებზე დაყრდნობით ხდებოდა მის პერსონაჟთა მიერ მიღებული შედეგები. ასეთი ანალიზის წარმატებული საშუალება აღმოჩნდა მათემატიკის თანამედროვე დარგის, თამაშთა თეორიის მოდელები. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით გადადგმული იქნა ებრაელი მათემატიკოსის, თამაშთა თეორიის სპეციალისტის, ამჟამად ნობელის პრემიის ლაურეატის, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პროფესორის, რობერტ აუმანის მიერ. ამავე პრობლემებით დაინტერესებულია აგრეთვე აშშ-ში თამაშთა თეორიის ზოგიერთი სპეციალისტიც.

თამაშთა თეორიის მოდელები წარმოადგენს აბსტრაქტულ კონსტრუქციებს, რომლებიც ასახავენ რეალურ ცხოვრებაში წარმოშობილ კონფლიქტის, თანამშრომლობის, გაურკვევლობის სიტუაციებს და გამოიყენება მათი ანალიზისათვის. ასეთ მოვლენებში მიღებული გადაწყვეტილების შედეგები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გადაწყვეტილებებს მიიღებენ დანარჩენები. თამაშთა თეორიის საუძველში დევს ორი ძირითადი დაშვება: მოთამაშეებს, რომლებიც ღებულობენ გადაწყვეტილებებს, გააჩნიათ გარკვეული მიზნები (არიან რაციონალურები) და ფორმირებენ გარკვეულ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რა გადაწყვეტილებებს მიიღებენ დანარჩენები (ანუ აზროვნებენ სტრატეგიულად). განსაზღვრებით თამაშთა თეორია მათემატიკის დარგია, რომელიც აღწერს სტრატეგიული ურთიერთქმედების სხვადასხვა სახეებს, რომლებშიც მონაწილეობენ ერთზე მეტი მოთამაშეები. აქ “ადამიანები” არ გამოიყენება, რადგან მოთამაშის როლში შეიძლება განვიხილოთ ადამიანთა ჯგუფი, ხელოვნური ინტელექტი ან ღმერთი.

თამაშთა თეორიის გამოყენებით სიტუაციის ანალიზისათვის ზემოთ აღნიშნული ორი ძირითადი დაშვებიდან პირველში – მიზნებში იგულისხმება, რომ თამაშის მონაწილეები ისწრაფვიან მოგებისაკენ. მოგება აქ არაა აუცილებელი გამოისახებოდეს ფულით ან სხვა მატერიალური საშუალებით. იგი შეიძლება იყოს ამა თუ იმ ხარისხით კმაყოფილება ან სარგებლიანობის სხვა ფორმა.

თამაშთა თეორია აღმოჩნდა ერთადერთი ინსტრუმენტი, რომელიც იდეალურად არკვევს ბიბლიაში აღწერილ რთულ სიტუაციებს და შესაბამის გადაწყვეტილებებს. ბიბლიის სტრატეგიულ და კოოპერატიულ ურთიერთობებში მრავალი შედეგი ეთანადება თამაშთა თეორიის პრინციპებით მიღებულ გადაწყვეტილებებს. ასეთი დასკვნის საშუალებას იძლევა პირველად რ. აუმანის მიერ თალმუდში აღმოჩენილი “გაკოტრების ამოცანა”, მისი გადაწყვეტა და შემდეგ მიღებული შედეგები.

ძალიან საინტერესოა რ. აუმანის ბიოგრაფია. იგი დაიბადა 1930 წელს გერმანიაში. 1938 წელს მისი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა აშშ-ში. ებრაული საშუალო რელიგიური განათლების შემდეგ იგი ერთი სემესტრი სწავლობდა იეშივას

უნივერსიტეტში (ნიუ-იორკში) თალმუდის შესწავლის მიზნით. შემდეგ კი სწავლა განაგრძო მათემატიკის მიმართულებით, დაამთავრა მასაჩუსეტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია მათემატიკაში 1956 წელს და გადავიდა საცხოვრებლად იერუსალიმში. იგი არის ღრმად მორწმუნე ადამიანი და მათემატიკის პარალელურად დღემდე აგრძელებს რელიგიის შესწავლას. მას აქვს თავისი მოსაზრებები და შეხედულებები მეცნიერებისა (კერძოდ მათემატიკისა) და რელიგიის ურთიერთკავშირის შესახებ.

"გაკოტრების ამოცანის" აღმოჩენიდან ირკვევა, რომ მას აქვს ძალიან დიდი ხნის ისტორია. ამოცანაში აღწერილია შემდეგი სიტუაცია: მამაკაცს ჰყავს სამი ცოლი, რომლებთან მას დადებული აქვს კონტრაქტი იმაზე, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ისინი მიიღებდნენ შესაბამისად 100, 200 და 300 ფულად ერთეულს. ცხადია, თუ მისი დარჩენილი ქონება შეადგენდა არანაკლებ 600 ერთეულს, მაშინ მის დანაწილებაზე არავითარი პრობლემა არ უნდა წარმოქმნილიყო. რა წილს მიიღებ-და თითოეული ქვრივი დარჩენილი ნაკლები ქონების შემთხვევაში? თალმუდი გვთავაზობს თითოეული ქვრივის წილს შემდეგი ცხრილის მიხედვით:

| კონტრაქტი | 100 | 200 | 300 | დარჩენილი ქონება |
|---|---|---|---|---|
| წილი | $33\frac{1}{3}$ | $33\frac{1}{3}$ | $33\frac{1}{3}$ | 100 |
| წილი | 50 | 75 | 75 | 200 |
| წილი | 50 | 100 | 150 | 300 |

აქედან ჩანს, რომ სამივე შემთხვევაში მოქმედებს ქონების განაწილების განსხვავებული პრინციპები: დარჩენილი ქონების 100-ის განაწილება ხდება თანაბ-რად; თუ ქონება არის 200, მაშინ პირველი ღებულობს თავისი კონტრაქტის ნახევარს, ხოლო დარჩენილ ნაწილს თანაბრად იყოფს მეორე და მესამე; თუ ქონება იქნებოდა 300, მაშინ თითოეული ღებულობს თავისი კონტრაქტის ნახევარს.

რატომ ნაწილდება ქონება ასე, თალმუდში არაა ახსნილი. ებრაელი ღვთის-მეტყველები და სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები ორი ათასი წლის განმავ-ლობაში იკვლევდნენ ამ პრობლემას. მხოლოდ პირველად 1985 წელს რობერტ აუმანმა და მისმა თანამემამულემ მიხაელ მაშლერმა (1927-2008) აჩვენეს, რომ თალმუდის რეკომენდაციები სრულად შეესაბამება თამაშთა თეორიის თანამედ-როვე კოოპერატიული თამაშების თეორიას. თუ სამი ქვრივის $N=\{1,2,3\}$ სიმრავ-ლისაგან განვსაზღვრავთ კოოპერატიულ თამაშს (იგივე მახასიათებელ ფუნქციას) ფორმულით $v(S)=\max\{$ " მთლიან ქონებას გამოკლებული $N \setminus S$ წევრთა მოთხოვნის ჯამი", $0\}$, სადაც $S \subseteq N$, მაშინ ცხრილით მითითებული განაწილებები წარმოადგენს

ასე განსაზღვრული კოოპერატიული თამაშის n-გულს. კოოპერატიული თამაშის n-გული კი განსაზღვრული იყო მანამდე, 1969 წელს ებრაელი მათემატიკოსის დევიდ შმაიდლერის მიერ (დაბ. 1939 წ.). რ. აუმანმა და მ. მაშლერმა აჩვენეს, რომ n-გული არის ქონების (მოგების) სამართლიანი განაწილების ერთდერთი მეთოდი, რომელიც აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს.

ქვემოთ განვიხილავთ ორი მოთამაშის სტრატეგიულ თამაშს. მასში პირველი მოთამაშეა ღმერთი, ხოლო მეორე – ადამი და ევა კოლექტიური ერთი მოთამაშის როლში. ღმერთი იყენებს ორ სტრატეგიას, რომლითაც იგი ადამიანს უწესებს ან არ უწესებს შეზღუდვას – "არ ჭამო ედემის ბაღში ხიდან, რომელიც არის კითილისა და ბოროტის შეცნობისა". რიგითი ადამიანი, ჩვენს შემთხვევაში მოთამაშე "ადამი და ევა" ან ითვალისწინებს ამ შეზღუდვას, ან არა. მაშასადამე გვაქვს არაანტაგონისტური სტრატეგული თამაში, რომლის მოდელს წარმოვადგენთ ნორმალური და დინამიკური სახით. მათ ანალიზს განვახორციელებთ ნეშის წონასწორობის პრინციპით და უკუსვლითი ინდუქციის ალგორითმით. განვიხილავთ აგრეთვე თამაშის გამეორების პროცესს და მის ანალიზს.

ზემოაღნიშნული შეზღუდვისათვის ღმერთმა თვითონ მოამზადა ნიადაგი ედემის ბაღის შექმნით. თუმცა, არც ედემის ბაღიც არ იყო ისეთი იდილიური და არც იქ მცხოვრებნი იმდენად სუფთა გულის, რომ იქ კონფლიქტი არ წარმოშობილიყო. ღმერთის შეზღუდვა ასეა გადმოცემული: თითოეული ხიდან ბაღში შენ უნდა შეჭამო, რაც შეეხება კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხეს, იქედან შენ არ უნდა შეჭამო, ვინაიდან, როგორც კი მას გაუსინჯავ გემოს, მაშინვე მოკვდები.

ეს აკრძალვა ალბათ არ იქნებოდა აუცილებელი, თუ ადამიანები იქნებოდნენ ღმერთის მარიონეტები, რომლებიც ბრმად შეასრულებდნენ მის ბრძანებას და სურვილებს.

რომ დავრწმუნდეთ ღმერთის მიერ დაწესებული შეზღუდვის ღირებულებაში ადამიანისათვის და თვით ღმერთისათვის, განვიხილოთ თამაშთა თეორიის მათემატიკური მოდელი ორი მოთამაშის არაანტაგონისტური თამაშისათვის. ცხადია, მოთამაშეებია: 1-ელი ღმერთი, რომლის სტრატეგიებია 1. დააწესოს შეზღუდვები, 2. არ დააწესოს შეზღუდვები; მე-2 მოთამაშეა ადამი და ევა სტრატეგიებით 1. გაითვალისწინოს შეზღუდვები, 2. არ გაითვალისწინოს შეზღუდვები. თამაშის მოდელი მოიცემა ბიმატრიცული თამაშის სახით:

$$(H_1, H_2) = \begin{array}{c|cc} & 1 & 2 \\ \hline 1 & (4,3) & (3,4)^* \\ 2 & (5,2) & (2,5) \end{array}. \qquad (1)$$

ამ თამაშში 1-ელი მოთამაშე (ღმერთი) ირჩევს სტრიქონში სტრატეგიებს, ხოლო მე-2 მოთამაშე – სვეტში სტრატეგიებს. თამაშში სიტუაციას აქვს სახე $(i, j)$, სადაც $i$ არის ღმერთის სტრატეგია, ხოლო $j$ – მეორე მოთამაშის სტრატეგია. ასეთი სიტუ-აცია სულ 4-ია: $(1,1),(1,2),(2,1),(2,2)$. ეს სიტუაციები შესაბამისად ასე შევაფასოთ: $(4,3),(3,4),(5,2),(2,5)$. აქ შეფასება 5 ყველაზე საუკეთესოა, 4-მასზე ცოტათი ნაკლები, მაგრამ 3 - კარგი, ცუდია, ხოლო 2 - ძალიან ცუდი.

ამოცანა ისმის შემდეგნაირად: როგორ უნდა მოიქცეს ღმერთი, მან უნდა დააწესოს თუ არა შეზღუდვა და როგორ მოიქცნენ ადამი და ევა, დაემორჩილონ თუ არა ღმერთის შეზღუდვებს?

ამისათვის მოცემულ თამაშში, რომელიც არის სრული ინფორმაციით (რაც ნიშნავს, რომ თითოეულმა იცის მისი პარტნიორის სტრატეგიები, მოგების მნიშვ-ნელობები და უპირატესობები), ამიტომ რაციონალური გადაწყვეტილების მიღები-სათვის გამოვიყენოთ ნეშის წონასწორობის პრინციპი. ეს პრინციპი აქ გვაძლევს $(1,2)$ სიტუაციას მოგებებით $(3,4)$, რაც გვეუბნება, რომ ღმერთმა უნდა დააწესოს შეზღუდვები, ხოლო ადამი და ევა ამ შეზღუდვას არ უნდა დაემორჩილონ. მოცე-მულ თამაშში ეს ერთადერთი სიტუაციაა წონასწორული, მასში არ არსებობს წონასწორული სიტუაცია შერეულ სტრატეგიებში. ვფიქრობთ, რომ ასეთ სტრატე-გიას ამიტომ იყენებენ ადამიანები უფრო მეტად ცხოვრებაში.

ასეთი გადაწყვეტილების რაციონალურობაში დასარწმუნებლად, შევნიშნოთ, რომ მოცემილი თამაშის პირობებში ღმერთი აკეთებს პირველ სვლას, ხოლო მეორეს – მე-2 მოთამაშე. ამიტომ ასეთი დინამიკური პროცესი წარმოიდგინება პოზი-ციური თამაშის სახით (ნახ.1):




*ნახ. 1.*

უკუსვლითი ინდუქციის მეთოდით თამაშის შემცირებით მივიღებთ პოზიციურ თამაშს:



აქედან კი ცხადია 1-ელი მოთამაშე აირჩევს 1-ელ სტრატეგიას და ვღებულობთ სრულყოფილ წონასწორობას (1,2)-ს მოგებებით (3,4).

ცხადია, (1) ბიმატრიცული თამაში ვერ გამოსახავს თამაშს შეზღუდვებით. სამაგიეროდ ეს კარგად ჩანს ნახ.1-ზე მოცემული პოზიციური თამაშიდან. ამ პოზიციური თამაშის ბიმატრიცულ თამაშზე დაყვანისათვის უნდა შევნიშნოთ, რომ მე-2 მოთამაშეს აქვს 4 სტრატეგია: 1. (1,1)-ნებისმიერ შემთხვევაში დაექვემდებაროს შეზღუდვებს: თუ შეზღუდვები იქნება, დაექვემდებაროს მას, თუ შეზღუდვები არ იქნება, მაინც დაექვემდებაროს მას; 2. (2,2)-ნებისმიერ შემთხვევაში არ დაექვემდებაროს შეზღუდვებს; 3. (1,2)-დაექვემდებაროს, თუ შეზღუდვებია, არ დაექვემდებაროს, თუ არაა შეზღუდვები; 4. (2,1)-არ დაექვემდებაროს, თუ შეზღუდვებია, ხოლო დაექვემდებაროს, თუ არაა შეზღუდვები. ამიტომ პოზიციური თამაშის ნორმალიზებით მი-ვიღებთ ბიმატრიცულ თამაშს:

$$(H_1, H_2) = \begin{array}{c|cccc} & (1,1) & (2,2) & (1,2) & (2,1) \\ \hline 1 & (4,3) & (3,4)^* & (4,3) & (3,4) \\ 2 & (5,2) & (2,5) & (2,5) & (5,2) \end{array}.$$

აქ წონასწორული სიტუაცია გვაძლევს იგივე მოგებებს (3,4)-ს, რასაც წონასწორული სიტუაცია გვაძლევდა (1) თამაშში. მიღებული მოგებები არც ღმერთისათვისაა საუკეთესო და არც ადამი და ევასათვის. აქ მე-2 მოთამაშისათვის სტრატეგია (2,2) არის საუკეთესო, როგორი არჩევანიც არ უნდა გააკეთოს 1-ელმა. მე-2 მოთამაშისაგან განსხვავებით, ღმერთს არ აქვს საუკეთესო არჩევანი. მართლაც, თუ მე-2 აირჩევდა (1,1)-ს ან (2,1)-ს, მაშინ მას უნდა აერჩია 2, რადგან მაშინ მიიღებდა 5-ს. თუ მე-2 აირჩევდა (2,2)-ს ან (1,2)-ს, მაშინ ღმერთს უნდა აერჩია 1. ის, რომ თამაშში შეზღუდვებით ღმერთს არ აქვს საუკეთესო არჩევანი, დამოკიდებულია იმაზე, რომ ადამი და ევა არჩევანს აკეთებს ღმერთის შემდეგ. საბოლოო ჯამში სიტუაცია (1,(2,2)) მიიღება რაციონალური მოთამაშეების მიერ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი არჩევანით ადამი და ევა ღებულობს საუკეთესოზე ცოტათი ნაკლებს – კარგს, ხოლო ღმერთი – ცუდს.

საინტერესოა რა შედეგს მივიღებდით მოცემული მოთამაშეების მიერ (1)-ელი საბაზისო თამაშის გამეორებით. სასრულ რიცხვჯერ გამეორებისას, ცხადია იგივე წონასწორულ სიტუაციას მივიღებთ. საინტერესოა შემთხვევა, როცა თამაში ღმერთთან უსასრულოდ გამეორდება. ასეთ შემთხვევაში დასჯის შიშით ადამიანები ღმერთთან ახორციელებენ თანამშრომლობას. პროცესში შემოდის მოგების დისკონტირების კოეფიციენტი. თუ ასეთი კოეფიციენტი ახლოს იქნება ერთთან, ანუ

თუ ადამიანებისათვის შედეგებს მნიშვნელობა აქვს მომავალში, მაშინ თამაშთა თეორიაში დამტკიცებულია სახალხო თეორემა, რომლის თანახმად უსასრულოდ გამეორებულ თამაშში იარსებებს სხვა წონასწორული სიტუაციებიც, რომელთაგან რომელიმეში მოთამაშეები მიიღებენ იმაზე მაღალ შედეგებს, რასაც ისინი ღებულობდნენ საწყისი თამაშის წონასწორულ სიტუაციაში. ასეთი დასკვნის ჭეშმარიტება ნათლდ ჩანს პრაქტიკაში: ის ადამიანები, რომლებიც ღმერთან თანამშრომლობენ (დამჯერები, მორწმუნენი და წონასწორობის მაძიებელნი არიან), უფრო მაღალ წარმატებებზე არიან ორიენტირებულნი.

**ლიტერატურა:**


1. *ბელთაძე გ., ჯიბლაძე ნ. გადაწყვეტილებათა მიღების თეორია. მეორე ნაწილი. მრავალკრიტერიუმიანი გადაწყვეტილებები, კონფლიქტები და თამაშები, კოლექტიური გადაწყვეტილებები. თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2011.*
2. *Brams Steven J. Game Theory and the Hebrew Bible. Massachusetts institute of Technology, 2003.*
3. *Auman R.J., Mashler M. Game theoretic analysis of a bankruptcy problem from the Talmud. Journal of Economic Theory, 36, 195-203, 1985.*

# АНАЛИЗ СТРАТЕГИЧЕСКОГО ВЗАИМОДЕЙСТВИЯ НЕКОТОРЫХ БИБЛЕЙСКИХ ПЕРСОНАЖЕЙ С ПРИМЕНЕНИЕМ ТЕОРИИ ИГР

*Доктор физико-математических наук,*
*профессор **Гурам Белтадзе***
*Грузинский Техничекий Университет*

Библия является божественным документом для миллионов людей, которая изображает сверхприродных элементов веры и они не требуют никаких пояснений. Несмотря на это, некоторые великие истории всё-же считаются возможностью понимания по-новому тех явлений. Всё это было вызвано тем обстоятельством, что персонажи Библии испытывают обыкновенные человеческие успехи и неудачи во взаимоотношениях друг с другом.

Центральным персонажем Библии является Бог. Мы должны подразумевать, что Он тоже имеет мотивацию совершить определённые поступки – Он имеет цели, достичь которых Он бы желал. Как бы всемогущим не был бы Бог, иногда ему тоже мешают осуществить собственные желания.

Из Библии видно так, что как-будто Бог не всегда действует согласно своим желаниям, поэтому, естественно, считать его игроком в игре. Игрок и игра определяются в Теории Игр. В ней игра представляет ситуацию, в которой игроки (те-же участники принимают решения для осуществления своих целей согласно взаимозависимостей и результат игры определяется по выбору каждого игрока. Выбор игры в Теории Игр не может быть произвольным. Наоборот, это значит, что игроки обдумывают как свой выбор, так и выбор, который должен быть сделан другими игроками.

Из Библии также видно, что Бог как-бы разочарован в своих возможностях тем, что Его желания были заменены действиями других игроков. Библия гласит, что в этом случае Бог может стать злым, ревнивым или-же мстительным. Поэтому, его действия изображают именно таких эмоций. С такой точкой зрения Бог, несмотря на его уникальной и скромной силы является очень человеческим персонажем. Разумеется, большинство религий не рассматривают Бога как таковым. На самом деле (в действительности), Библия постоянно изображает Его как убедительным, скромным, она рассматривает его как непозновательным, т.е. как существущего абсолютно за пределы нашего восприятия. Само по себе считается, что Он не может рассчитать что-либо, подстрекать кого-либо или-же выдать милосердие по отношению кого-нибудь до уровня игры.

Очень важным является анализ взаимоотношений осуществлённых в Библии, с помощью которого можно было бы установить на основе каких принципов были получены результаты её персонажами. Успешным средством такого анализа оказались модели Теории Игр, современной отрасли математики. Первые шаги в этом направлении были сделаны

еврейским математиком, специалистом Теории Игр, в насеоящее время лауреатом Нобелевской премии, профессором Еврейского Университета Иерусалима, Робертом Ауменом. Этими-же проблемамы заинтересованные также некоторые специалисты Теории Игр в США

Модели Теории Игр представляют абстрактные конструкции, которые изображают конфликты возникшие в реальной жизни, сотрудничества, ситуации неопределённости и используются для их анализа. Результаты решений, полученные в таких явлениях зависят от того, какие решения будут приняты остальными. В основе Теории Игр лежит два основных допущений: игроки, которые принимают решения, имеют определённые цели (они рациональные) и формируют определённое ожидание в связи с тем, какие решения будут приняты остальными (т.е. мыслят стратетигически). По определению, Теория Игр является областью математики, которая описывает разные виды стратегического взаимодействия, в котором участвуе больше одного игрока. Здесь, «Люди» не использованы, так как в роли игрока можно рассмотреть группу людей, искуственный интелект или Бог.

Для анализа ситуации при использовании Теории Игр из вышеприведенных двух основных допущений, в первом – в целях подразумевается то, что участники игры стремятся к победе. Здесь не обязательно, чтобы выигрыш был бы изображен деньгами или другим материальным средством. Это может быть удовлетварение, в той или иной степени, или-же другая форма выгоды.

Теория игр оказалась единственным инструментом, которая идеально разбирается в сложных ситуациях и соответствующих решениях, описанных в Библии. В стратегических и кооперативных отношениях Библии множество результатов соответвуют решениям принятых принципами Теории Игр. Возможность сделать такое заключение даёт «Задача банкротства», открытая впервыи Р. Ауманом в Тальмуде, её решение а затем, полученные результаты.

Очень интересна биография Р.Аумана. Он родился в 1930 году в Германии. В 1938 г. его семья переехала жить в США. После получения еврейского среднего религиозного образования он в течении одного семестра учился в Университете Иешива (в Нью Иорке) с целью изучить Тальмуд. А затем, он продолжил учёбу по направлении математики, окончил Технологический Университет Массачусета, защитил докторскую диссертацию по математике в 1956г. и переехал жить в Иерусалим. Он глубоко верующий человек и паралельно с математикой, по сегодняшный день, продолжает изучение религии. У него есть свои соображения и взгляды о взаимосвязи науки (в частности математики) и религии.

Из открытии »Задача банкротства» выясняется, что у неё очень давняя история. В задаче описана следующая ситуация: У мужчины есть три жены, с которыми у него заключён контракт о том, что после его смерти они получили бы, соответственно, по 100, 200 и 300 денежных единиц. Ясно, что если его оставшийся имущество составляло бы не менее 600

единиц, то на его распределение не должно было возникнуть никаких проблем. Какую доли получили бы каждая вдова в случае оставшегося меньшего имущества, Тальмуд предлагает долю каждой вдовы по следующей таблице:

| Контракт | 100 | 200 | 300 | оставшийся имущество после смерти мужа |
|---|---|---|---|---|
| доля | $33\frac{1}{3}$ | $33\frac{1}{3}$ | $33\frac{1}{3}$ | 100 |
| доля | 50 | 75 | 75 | 200 |
| доля | 50 | 100 | 150 | 300 |

Из этого видно, что во всех трёх случаях дйствуют различные принципы разделения имущества: деление 100 оставшегося имущества происходит одинакого; если имущество составляет 200, то первая получает половину своего контракта, а остальньую часть деляп поровну вторая и третья; если имущество было бы 300, то каждая получает половину своего контракта.

Почему делится собственность так, не объясняется в Тальмуде. Еврейские теологи и представители различных отраслей исследовали это проблему в течении двух тысяча лет. Только в 1985 г. впервые Роберт Ауман и его соотечественник Михаэл Машлер (1927-2008) показали, что рекомендации Тальмуда полностью соответствуют современной теории кооперативных игр Теории Игр. Если мы определим кооперативную игру (тот-же характеристическую функцию) из множества трёх вдов $N=\{1,2,3\}$ с помощью формулы $v(S)=\max\{$ „сумма требований $N\setminus S$ членов, отнята от общей собственности”, $0\}$, где $S\subseteq N$, тогда распределения указанные таблицей представляют $n$-ядро кооперативной игры, определённой так. А $n$- ядро кооперативной игры было определено до того Еврейским математиком Девидом Шмаидлером (родившегося в 1939г.). Р. Ауманн и М. Машлер показа-ли, что $n$-ядро является единственным методом справедливого распределения собствен-ности, который удовлетваряет указанные требования.

Ниже мы рассматриваем стратегическую игру двух игроков. Первым игроком является Бог, а вторым - Ева и Адам, в роли коллективного одного игрока. Бог применяет две стратегии, с промощью которых Он устанавливает или не устанавливает запрет – “Не пробуй плод с дерева в Саду Едема, искушающего икоторое является древом познания добра и зла”. Простой человек, в нашем случае, игрок “Адам и Ева” либо считаются с этим запретом, либо нет. Значит мы имеем неантагонистическую стратегическую игру, модель которой мы представляем в нормальном и динамическом виде. Мы проведём её анализ по принципу равно-

весия Нэша и алгоритмом обратной индукций. Мы также рассмотрим процесс повторения игры и его анализ.

Для вышеотмеченного запрета Бог сам подготовил почву созданием Сада Эдема. Хотя, ни Сад и ни проживающие там были настолько чистыми душой, чтобы не возникал бы там конфликт. Запрет (ограничение) Бога передан так: с каждого дерева в Саду ты должен поесть, а что касается Древа познания Добра и Зла, ты не должен поесть, поскольку, как только ты попробуешь плод, ты сразу умрёшь.

Этот запрет наверняка не был бы необходимым если бы люди были бы марионетамы Бога, которые вслепую выпоняли бы Его приказ и желания.

Чтобы убедиться в ценности запрета установленным Им для человека и самого Бога, давайте рассмотрим математический модель теории игр для неантагостической игры двух игроков. Ясно, что игроками являются: первый – Бог, стратегиями которого являются 1. Установить запреты, 2. Не установить запреты; Вторым игроком является Адам и Ева со стратегиями: 1. Учесть запреты, 2. Не учитывать запрет. Модель игры даётся в виде биматричной игры:

$$(H_1, H_2) = \begin{array}{c|cc} & 1 & 2 \\ \hline 1 & (4,3) & (3,4)^* \\ 2 & (5,2) & (2,5) \end{array}. \qquad (1)$$

В этой игре игрок Бог избирает стратегии в строке, а второй игрок – стратегии в столбце. В игре ситуация имеет вид $(i, j)$, где $i$ представляет стратегию Бога, $j$ – стратегия второго игрока. Такая ситуация всего четыре: $(1,1),(1,2),(2,1),(2,2)$. Мы оценим эти ситуаций соответственно так: $(4,3),(3,4),(5,2),(2,5)$. Здесь оценка 5 наилучшая, 4 – чуть меньше ее, но хорошая, 3 – плохая, а 2 – очень плохая.

Задача ставится следующим образом: Как должен поступить Бог, Должен ли установить запрет и как должны вести себя Адам и Ева, подчиниться ли запретам Бога?

Для этого в данной игре, которая является полной информацией (что означает того, что каждый ишрок знает стратегии его партниора, значения и предпочтения выигрыша), поэтому, для принятия рациональных решений применяем Принцип равновесия Нэша. Этот принцип здесь даёт ситуацию (1,2) с выигрышами (3,4), что говорит о том, что Бог должен установить запреты, а Адам и Ева не должны подчиниться этому запрету. В данной игре это единственная ситуация равновесия, в ней равновесная ситуация в смешанных стратегиях. не существует. Мы думаем, что такую стратегию потому и применяют люди больше всего в жизни.

Для того, чтобы убедиться в рационfльности такого решения, заметим, что в усло-виях данной игры Бог делает первый ход, а второй – делает второй игрок. Поэтому такой динамический процесс представляется в виде позиционной игры (Рис.1):




Рис. 1.

По принципу обратной индукции мы получим позиционную игру:




А из этого ясно, что первый игрок выберит первую стратегию и получаем совершенное равновесие (1,2) с выигрышами (3,4).

Очевидно, Очевидно, что биматричная игра (1) не в состоянии изобразить игру с запретами. Зато, это хорошо видно на Рис.1 из данной позиционной игры. Для приведения этой позиционной игры до биматричной игры мы должны отметить, что у второго игрока есть 4 стратегий: 1. (1,1) – В любом случае подчиниться запретам: Если будут запреты – подчиниться им, если не будут запреты, всё равно - подчиниться им; 2. (2,2) – В любом случае не подчиниться запретам; 3. (1,2) – Не подчиниться, если есть запреты, не подчиниться, если нет запретов; 4. (2,1) не подчиниться, если есть запреты, но подчиниться – если нет запретов. Поэтому при нормализаций позиционной игры получаем биматричную игру:

$$(H_1, H_2) = \begin{array}{c|cccc} & (1,1) & (2,2) & (1,2) & (2,1) \\ \hline 1 & (4,3) & (3,4)^* & (4,3) & (3,4) \\ 2 & (5,2) & (2,5) & (2,5) & (5,2) \end{array}.$$

Здесь равновесная ситуация даёт теже выигрыши (3,4), которых давала равновесная ситуа-ция в (1) игре. Получившиися выигрыши не являются наилучшими ни для Бога и не для Адама и Евы. Здесь для 2-го игрока стратегия (2,2) является наилучшей, какой бы выбор не сделал первый. В отличии от второго игрока, у Бога нет наилучщего выбора. На самом деле, если второй выбрал бы (1,1) или (2,1), то он должен выбрал бы 2, так как в этом случае он получил бы 5. Еслы второй выбрал бы (2,2) или же (1,2), тогда Бог должен был бы выбрать 1. Тот факт, что в игре с запретами у Бога нет наилучшего выбора, зависит от того, что Адам и Ева делают выбор после Бога. В конечном счёте ситуация (1,(2,2)) будет принята

рациональными игроками, несмотря на то, что с таким выбором Адам и Ева полуит немного меньше – хорошего, а Бог – плохого.

Интересно, какой результат мы получили бы данными игроками повторением (1) базисной игры. Повторением конечных числом, ясно, что получим ту же равновесную ситуацию. Интересна случай, когда игра с Богом бесконечно повторяется. В таком случае от страха быть наказанным осуществляют люди сотрудничество с Богом. В процессе входит коэффицикнт дисконтирования. Если такой коэффициент будет близок к единице, т.е. если для людей результат имеет смысла в будущем, тогда в теории игр утверждена народная теорема, согласно которой в бесконечно повторенной игре будут существовать другие равновесные ситуации, в некоторой из них игроки получат выше тех результатов, которых они получали в равновесной ситуации исходной игры. Истинность такого заключения явно видна на практике: Те люди, которые сотрудничают с Богом (они послушные, верующие и ищущие), ориентированные на более иысокие успехи.

***ЛИТЕРАТУРА:***

1. *Белтадзе Г., Джибладзе Н. Теория принятия решений. Вторая часть (Многокритериальные решения, Конфликты и Игры, Коллективные решения). Тбилиси, Технический Университет, 2011г. (на груз. языке);*
2. *Brams Steven J.Game Theory and the Hebrew Bible.Massachusetts institute of Technology, 2003.*
3. *Auman R.J., Mashler M. Game theoretic analysis of a bankruptcy problem from the Talmud. Journal of Economic Theory, 36, 195-203, 1985.*

# წმ. ნინო ქართული ბერ-მონაზვნობის სათავეებთან

*შოთა მათითაშვილი*

წმ. ნინოსთან დაკავშირებული ქართული თუ უცხოური სამეცნიერო ლიტერა-ტურა საკმაოდ მდიდარია. მკვლევართა მხრიდან მისი მოღვაწეობის მრავალი მხარეა შესწავლილი და გაანალიზებული, მისი საქმიანობა განხილულია ქართლის მოქცევისა და ზოგადად ქართული კულტურის ფართო კონტექსტში, მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული წმ. ნინოსთან დაკავშირებული წყაროების ავთენტურობის შესახებ, თუმცა ამჯერად ჩვენ აღნიშნულ საკითხებს გვერდს ავუვლით, რადაგან ამ შემთხვევაში ნინო კაპადოკიელის მოღავწეობის ერთი კონკრეტული ასპექტი გვაინტერესებს, რომელსაც მკვლევარები ნაკლებად ან საერთოდაც არ შეხებიან. ეს არის წმ. ნინოს სასულიერო წოდებასთან დაკავშირებული პრობლემა. იყო თუ არა ქართლში შემოსული კაპა-დოკიელი მისიონერი მონაზონი? აშკარაა რომ მისი ცხოვრების წესი ადრეული ასაკიდანვე განსხვავდებოდა ჩვეულებრივი საერო ცხოვრების წესისაგან, ნინოს მშობლები მკაცრი ქრისტიანული კეთილმსახურებით ზრდიდნენ და საბოლოოდ მისიონერული ღვაწლისთვისაც შეამზადეს. საქმე ისაა რომ ნინოს ქართლში შემოსვლის დროისათვის დედათა მონასტრები ჯერ კიდევ არ არსებობდა (პირველი დედათა მონასტერი პახომი დიდმა 329 წელს დაარსა საკუთარი დისთვის ტაბენესში, ზემო ეგვიპტეში, თებაიდაში, ეს კი ქართლის მოქცევიდან ორი წლის შემდეგ მოხდა). ჩნდება კითხვა თუ რა სასულიერო წოდება აქვს წმ. ნინოს, მორწმუნეთა რომელ კატეგორიას განეკუთვნება იგი თუკი ის არც საერო ცხოვრებას მისდევს, მაგრამ არც მონაზონია ამ სიტყვის გვიანდელი გაგებით? აღნიშნული საკითხის გარკვევა ადვილად შეიძლება თუკი იმდროინდელ ქრისტიანულ სამყაროში (განსაკუთრებით კი აღმოსავლეთში) არსებული ასკეტური ცხოვრების ფორმებს გადავხედავთ და ნინოს ცხოვრებას ამ კონტექსტში განვიხილავთ.

,,ქართლის მოქცევის'' თანახმად, რომელიც უკანასკნელი გამოკვლევების მიხედვით მეოთხე საუკუნის ავთენტური წყარო უნდა იყოს[86] წმ. ნინო თავად უყვება მსმენელებს საკუთარი ცხოვრების შესახებ ,,*ხოლო წარვიდეს* (ანუ ნინოს მშობლები - შ.მ.) *თჳისა ქალაქად კოლასტედ და მე ოდენ ვიშევ მათგან. და იგი არიან მშობელნი ჩემნი. და აღმზარდა მე დედამან ჩემმან წიაღთა შინა თჳსთა მსახურებასა შინა გლახაკთასა დღე და ღამე დაუცადებელად. და ვითარცა ვიქმენ მე ათორმეტისა წლისა*

[86] *მ. ჩხარტიშვილი, ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები, ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოსი, თბ. ,,მეცნიერება'', 1987*

*მშობელთა ჩემთა განყიდეს ყოველი, რაჲცა აქუნდა და წრავიდეს იერუსალემდ”*[87]. ჩანს რომ მშობლები კოლასტეში ნინოს მკაცრი ქრისტიანული ცხოვრებით ზრდიდნენ, აშკარაა მათი მისწრაფება ასკეტური ცხოვრებისაკენ. მას შემდეგ რაც ნინო თორმეტი წლის გახდა, მშობლებმა კოლასტეში არსებული სახლ-კარი გაყიდეს და შემდეგ იერუსალემში მიემგზავრებიან, სადაც (ჭელიშური ,,ქართლის მოქცევის” მიხედვით) ქონების დარჩენილ ნაწილსაც გლახაკებს ურიგებენ. აქ იერუსალემში ნინოს მფარველად ბიძამისი (დედის ძმა) იერუსალიმის პატრიარქი იუბენალი ევლინება[88]. ნინოს მამა ზაბილონი განდეგილურ მოღვაწეობას ირჩევს, რასაც ,,ქართლის მოქცევის” თანახმად წმ. ნინო სალომე უჯარმელს უყვება: ,,*მაშინ მამამან ჩემმან დაიწერა ჯვარი პატრიარქისაგან და განიჯმნა დედისაგან ჩემისა. და შემიტკბო მე მკერდსა მისსა და დამაღუარა ვითარცა წყარონი ცრემლნი მისნი პირსა ზედა ჩემსა და მრქუა მე: შენ ხარ შვილო ჩემო, რომლისა ღმრთისა ნებითა ვიქმენ შენდა ოდენ მამაჲ, აჰა ესერა დაგიტეობ შენ ობლად ჩემგან და მიგათუალავ შენ მამასა ზეცათასა და ყოველთა მზრდელსა ღმერთსა, რომელი იგი მამაჲ არს ობოლთაჲ და მსაჯული ქვრივთაჲ; ნუ გეშინინ შვილო ჩემო საყვარელო და მრქუა მე: ხოლო შენ მარიამ მაგდალინელისა შური აღიღე ქრისტეს სიყუარულისათვის და დათა მათ ლაზარესთა, და თუ შენ ეგრეთ გეშინოდეს მისგან, ვითარცა მათ, ეგრეთ მიგცეს შენ ყოველი, რაჲცა სთხოვო მას, ოდესცა გინდეს. და მომცა ამბორის ყოფაჲ და წარვიდა წიაღ იორდანესა კაცთა მათ თანა ველურთა, რომელთა ყოფაჲ იცის უფალმან იესუ ქრისტე”* [89]. ამ პასაჟში ნახსენები ,,ველური კაცები” ასკეტიზმის განსაკუთრებული სახის მიმდევრები იყვნენ. ისინი ,,მძოვართა” სახელითაც მოიხსენიებოდნენ. მძოვარნი (ანუ მძოველები, ბალახისმჭამელები) ღია ცის ქვეშ მოღვაწეობდნენ, არ იღებდნენ ცეცხლზე დამზადებულ საკვებს, უდაბნოში მხოლოდ ერთი სამოსელი მიჰქონდათ, მისი გაცვეთის შემდგომ კი არც იმოსებოდნენ, სიცხესა და სიცივეში უდაბნოში დაეხეტებოდნენ ხშირად მრავალი ათეული წლის მანძილზე და მხოლოდ ლოცვითა და ღვთის ჭვრეტით იყვნენ დაკავაბეულნი. მათგან ყველაზე ცნობილია მარიამ ეგვიპტელი, ყოფილი მეძავი, რომელმაც საკუთარი ცოდვების მოსანანიებლად საერო ცხოვრება დატოვა და უდაბნოში ორმოცდარვა წელი გაატარა, სიკვდილის წინ ის პალესტინელმა მოღვაწემ ზოსიმემ იხილა და აზიარა[90].

---

[87] *ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, რედ. ილ. აბულაძე, თბ. I, 1963, გვ. 109*

[88] *იმ დროისათვის ეკლესიაში ჯერ კიდევ არ არსებობდა პატრიარქობის წოდება აღნიშნული ტიტული რომის იმპერიის ხუთი საეკლესიო კათედრის მმართველებმა ქალკედონის კრების (451) შემდეგ მიიღეს, ასევე შეცდომითაა მოხსენიებული იმდროინდელი მღვდელმთავრის სახელი, იუბენალი იერუსალიმის ეკლესიას მეექვსე საუკუნის დასაწყისში ედგა სათავეში.*

[89] *ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, თბ. 1963, გვ. 109*

[90] *ნ. მირაშვილი, მონანიე და განდეგილი დედები ქართულ ნათარგმნ ჰაგიოგრაფიაში (X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით), ,,ლოგოსი”, თბ. 2009, გვ. 80-132*

ისინი „განთესულ მეუდაბნოებადაც" მოიხსენიებოდნენ (მაგ. *მიერ ჟამითგან იწყო შეწყნარებად, რომელი მოვიდოდეს მისა, მრავალნი განთესულნი მეუდაბნოენი და მძოვარნი მოვიდეს მისა და იყოფოდეს მის თანა"*[91]. ასეთ ასკეტთა სიმრავლით განსაკუთრებით პალესტინა გამოირჩეოდა, ამგვარდ სრულიად ცხადია რომ წმ. ნინოს ადრეული ასაკიდანვე ჰქონდა კავშირი ასკეტურ, ბერმონაზვნურ ტრადიციასთან, აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ყურადღებას იქცევს ზაბილონის მიერ თქმული სიტყვები ნინოსათვის მისაბაძი მაგალითების შესახებ: ,,*ხოლო შენ მარიამ მაგდალინელისა შური აღიღე ქრისტეს სიყვარულისათვის და დათა მათ ლაზარესთა"*. თითქოს ამ სიტყვებით ზაბილონმა ნინოს მომავალი მოღვაწეობის სახეზე მიანიშნა, რადგან მარიამ მაგდალინელი და მისი დები ანუ მენელსაცხებლე დედები მოსაგრეობისა და მისიონერობის მაგალითებად გვევლინებიან. პატრიარქის ნებართვით წმ. ნინოს დედა „გლახაკთა და უძლურ დედათა" მსახურებას იწყებს, უნდა აღინიშნოს რომ ცხოვრების ამგვარი წესი შორს არ იდგა მოგვიანებით ჩამოყალიბებული მონაზვნური ცხოვრების წესისაგან, რადგან ნინოს დედაც ამ შემთხვევაში უარს ამბობს ჩვეულებრივ ოჯახურ ცხოვრებაზე, შორდება საკუთარ შვილს (ყოველ შემთხვევაში წყაროებიდან ასე ჩანს) და თავს ქრისტიანულ მოწყალებას უძღვნის. თავად ნინო იერუსალიმში მოღვაწე სომეხ ქალთან სარა ნიაფორთან გადადის და ორი წლის განმავლობაში მას ემსახურება. ნინომ სარა ნიაფორისგან ქრისტეს ჯვარცმის, დაფვლისა და აღდგომის, ასევე კვართის შესახებ შეიტყო, სარა ნიაფორმა შეატყობინა რომ მაცხოვრის კვართი დაფლული იყო „ჩრდილოეთის ქვეყნის" დედაქალაქ მცხეთაში. ნინოს სულიერი და გონებრივი შესაძლებლობებით გაოგნებული სარა ეუბნება თავის მოწაფეს: *„ვხედავ შვილო ჩემო, ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა ძუჲსა ლომისასა, რომელი იზახებნ ყოველსა ზედა ოთხფეჴსა, გინა ვითარცა ორბი დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა ჰაერისასა უფროჲს მამლისა, და ყოველი ქვეყანაჲ მცირესა გუგასა თუალისასა შემოიყვანის, იხილის და განიცადის საჭმელი მისი ცეცხლებრ, დაინახის იგი და მიუტევნის ფრთენი მისნი შრიალით და მიეფრივნის მას ზედა. ეგრეთ იყოს ცხორებაჲ შენი"*[92].

ნინოსადმი თქმული ეს სიტყვები ძალიან მნიშვნელოვანია გვიანანტიკური ეპოქის კონტექსტში, რადგან გვიანანტკურ ხანაში (ისევე როგორც უფრო ადრე) ქალი საზოგადოებაში მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა, ითვლებოდა რომ ქალი მამაკაცზე სუსტი არსებაა არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ ინტელქტუალური შესაძლებლობებითაც, საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად მას უფრო მეტი ძალისხმევა ესაჭირეობოდა ხორციელ გულისთქმათა და ემოციების მოსათოკად[93].

---

[91] *მამათა ცხოვრებანი, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და კომენტარები დაურთო ვ. იმნაიშვილმა, თბ. 1975, გვ. 64*

[92] *შატბერდი კრებული, ,,მეცნიერება", თბ. 1979, გვ. 330*

[93] *Gillian Calrck, Women in Late Antiquity, Pagan and Christian lifestyles, Oxford University Press, 1993, p.119-121*

რელიგიურ-ფილოსოფიურ სწავლებათა და ამ მოძღვრების მქადაგებელთა, საერთოდ ფილოსოფოსთა, რიტორთა ადრესატები ძირითადად მამაკაცები იყვნენ. ნებისმიერი ფილოსოფიური სკოლა აქცენტს მხოლოდ მამაკაცზე აკეთებდა[94]. ქრისტიანობამ ანტიკურ სამყაროში ქალისადმი სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება მოიტანა, მიუხედავად იმისა რომ ეკლესია სოციალურ გარემოში მამაკაცის უპირატესობას აღიარებდა, სულიერ შესაძლებლობებში ქრისტიანობაში ქალი და მამაკაცი სრულიად თანასწორნი იყვნენ. ქრისტიანულმა მოძღვრებამ ქალს ტრადიციული სოციალური როლის გადალახვის შესაძლებლობა მისცა, მისი სწავლების თანახმად ქალისა და მამაკაცის სული ერთმანეთისაგან არ განსხვავდება, ისინი ერთი ბუნებისანი არიან, რადგან ბიბლიის თანახმად ღმერთმა შექმნა ადამიანი ორივე სქესის არსებად, *,,მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი* (დაბადება 1, 27)". სულიერ სამყაროში არ არსებობს სქესობრივი განსხვავება. *,,ვინაიდან აღდგომისას არც ცოლს ირთავენ, არც თხოვდებიან, არამედ არიან, როგორც ანგელოზები ცაში"* [მათე 22, 30]. სქესობრივი განსხვავება ქრისტიანული ღვთისმეტყველების თანახმად ადამიანის ხორციელი ბუნების ნაწილია, რითაც ის ცხოველურ ბუნებას ენათესავება, ამიტომ სულიერი განვითარების პროცესში მას მნიშვნელობა არ ენიჭება. ქრისტიანული ასკეტიზმი ქალს მამაკაცთან გათანასწორების შესაძლებლობას აძლევდა. ევას დაცემა, რომელმაც წყევლა მოიტანა, ღვთისმშობლის მიერ განქარდა, შესაბამისად სხვა ქალებსაც აქვთ დაცემისა და წყევლისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა მიბაძავენ რა ღვთისმშობელს. სწორედ ასე ჩამოყალიბდა ქრისტიანულ ეკლესიაში ქალწულთა კატეგორია, რომელმაც დროთა განმავლობაში ინსტიტუციონალიზებული სახე მიიღო და დედათა მონასტრების, ქალთა მონაზვნობის კლასიკური ფორმისაკენ გარდამავალ საფეხურად იქცა. სრულიად ცხადია რომ ცხოვრების წესითა და მოღვაწეობის ხასიათით წმინდა ნინო სწორედ ამგვარ ქალწულებს განეკუთვნებოდათ[95].

ზემოთქმულიდან ცხადია რომ მოსაგრე ცხოვრებაში ქალს მამაკაცის თანაბარი წარმატებების მიღწევა შეეძლო, ასკეტიზმი „ქალურობის" როგრც ფიზიკური სისუსტისა და უმნიშვნელო სოციალური მდგომარეობის გამომხატველი სიმბოლოს გადალახვის შესაძლებლობად გადაიქცა. სწორედ ეს ჩანს კარგად სარა ნიაფორის სიტყვებიდან. წმ. ნინო თავისუფლდება ქალზე როგორც სუსტ არსებაზე გავრცელებული ტრადიციული შეხედულებისაგან, მეტიც, სარა ნიაფორი მას მამაკაცებზე უპირატესადაც სახავს *(„ვითარცა ორბი დედალი რომელი აღვიდის სიმაღლესა ჰაერისასა უფროჲს მამლისა").* წყაროებიდან ჩანს რომ წმ. ნინომ უკვე ადრეულ ასაკშივე გადაწყვიტა საკუთარ თავზე მისიონერული ღვაწლის აღება: *„მათ დღეთა შინა მო-ვინმე-ვიდა დედაკაცი ეფესელი*

[94] *იქვე*
[95] *ა.ჯიქია, რელიგიის ისტორიის საკითხები, I, თბ. 2010, გვ. 45-79*

*თავყუანის-ცემად წმიდასა აღდგომასა. და ჰკითხვიდა მიაფორი დედაკაცსა მას, თუ: ჰელენე დედოფალი ეგეთსავე ბნელსა შინა არსა და მეფობაჲ მათი თჳნიერ ღმრთისა? ხოლო მან ჰრქუა: მე ვარ მჴევალი მათი და მახლობელი განზრახვასა მათსა ყოველსა, და დიდი წადიერებაჲ აქუს ჰრომთა ქრისტეს მიმართ შჯულისათვის და ნათლის-ღებისა, ხოლო მე ვარქუ* (ანუ ეუბნება წმ. ნინო - შ.): *წარმავლინე და წარვიდე წინაშე ჰელენე დედოფლისა, ნუუკუე მიმიახლოს სიტყვის-გებად მის წინაშე ქრისტეთვის".* [96] წმ. ნინოს მისიონერულ საქმიანობას ბიძამისი, იერუსალიმელი მღვდელმთავარი აკურთხებს, წმ. ნინო ეფესელ დედაკაცთან ერთად რომისკენ მიემგზავრება, თუმცა როდესაც ნინო ეფესოში ამ ქალის სახლში ჩადის, იქ მას „მეფეთა ავადაგი" ხვდება სახელად რიფსიმე, რომელსაც ნათლისღება სურდა. ეფესელმა ქალმა ნინო რიფსიმესთან დატოვა, ნინომ რიფსიმეს სურვილი შეუსრულა და მღვდლის ხელით მონათლა იგი. *„და მივეც მას ნათელი ჴელითა მღდელისჲთა ჴელსა ქუეშე ჩემსა და ორმეოცსა და ათსა სულსა მისისათა. და წარვედით სახლსა მისსა და ვიყვენით ორ წელ".* [97]

,,ქართლის მოქცევის" ეს ცნობა *(,,და წარვედით სახლსა მისსა და ვიყვენით ორ წელ")* ძალიან საინტერესოა, რადგან პირადპირ მიანიშნებს იმ დროისათვის გავრცელებულ პრაქტიკაზე, რომელიც ასკეტთა მონასტრული ტიპის სავანეების საკუთარ სახლებში მოწყობას გულისხმობდა. ზემოთ დამოწმებული ამონარიდიდან ცხადია რომ ნინო რიფსიმეს სახლში ცხოვრობს მის მიერ მონათლულ ადამიანებთან (ან მათ ნაწილთან) ერთად, ზოგადი კონტექსტიდან შეგვიძლია დავასკვნათ რომ ეს ორმოცდაათი სული მოღვაწე დედები (საეკლესიო კრებები ერთ ჭერ ქვეშ მამაკაცთა და დედაკაცთა ასკეტურ მოღვაწეობას კრძალავდნენ, ამგვარი აკრძალვა, როგორც ზემოთ ვიხილეთ, ჯერ კიდევ კვიპრიანე კართაგენელის ეპისტოლეში გვხვდება) არიან, რომლებმაც ქალწულების აღთქმა დადეს. გვიანანტიკური ხანის რომის იმპერიაში ამგვარი სავანეების მოწყობა (ძირითადად ქალებს შორის რომლებიც უდაბნოში ვერ მიდიოდნენ, რდაგან იქაურობა მათთვის ათასგვარი საფრთხით იყო სავსე) გავრცელებული იყო, ხშირად ერთი ოჯახის წევრებიც, დედა და ქალიშვილები საკუთარ სახლში მონასტრული თემის მსგავს ერთობას ქმნიდნენ და ქალწულებასა და სიწმინდეში, მუდმივ ლოცვით რეჟიმში ცხოვრობდენენ. ამგვარი ტიპის ,,სამარტომყოფელოები" ძირითადად ქალაქებში ეწყობოდა ჩვენგან ზემოთხსენებული მიზეზების გამო. უილიამ ჰარმლესი ქალ ასკეტებზე საუბრისას (მიმოიხილავს რა ცნობილ ეგვიპტელ დედათა სარას, თეოდორასა და სინკლიტიკიას ცხოვრებებს) აღნიშნავს რომ მოღვაწე დედებს იშვიათი გამონაკლისების გარდა უდაბნოებში საერთოდ არ უნდა

[96] *ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, თბ. 1963, გვ. 113*
[97] *იქვე*

ეცხოვრათ, ისინი ძირითადად დასახლებულ ადგილებში ან მათ მახლობლად ეწეოდნენ მოღვაწეობას[98].

ანტონი დიდის ,,ცხოვრებაში" აღნიშნულია რომ როდესაც ანტონმა განდეგილის ცხოვრება აირჩია საკუთარი და ქალწულებს მიაბარა: *,,ხოლო მან არარა თავს იდვა მერმე შემდგომად, გამოვიდა და მისცა იგიცა* (ანუ დისათვის გადანახული ქონება - შ.მ.) *გლახაკთა და დაჲ იგი თჳისი შეჰვედრა მეცნიერთა მისთა მორწმუნეთა ქალწულთა და მისცა იგი საქალწულესა განზრდად, ხოლო სახლსა შინა თჳისსა იქცეოდა"* [99]. ვინ არიან ეს ქალწულები და რას წარმოადგენს ,,საქალწულე"?

კოპტური ეკლესიის კანონთა კრებულთაგან ცნობილია ე.წ. ,,ჰიპოლიტეს კანონები" (დათარიღებული დაახ. 330-იანი წლებთ). ეს კანონები შეიცავენ ცნობებს ,,ქვრივებსა და ქალწულებზე", როგორც ეკლესიაში არსებულ განსაკუთრებულ კატეგორიაზე. უძველეს ქალაქ ოქსირინქუსის ტერიტორიაზე აღმოჩენილი პაპირუსი გვაწვდის ინფორმაციას ქრისტიან მოღვაწეებზე, რომლებსაც ,,უარისმყოფელნი" (apotaktikoi) ეწოდებოდათ. აღნიშნული ტერმინი გულისხმობს ქრისტიანისაგან უარის თქმას ყოველგვარ მიწიერსა და წარმავალზე, მატერიალურ კეთილდღეობასა და წუთისოფლის საცთურებზე, მორწმუნე ადამიანი უარს ამბობდა საერო ცხოვრების წესზე და სულიწმიდის მოსახვეჭად მკაცრ მოსაგრეობას მიმართვადა, მაგრამ ამგვარი უარის თქმა წუთისოფელზე (განსაკუთრებულად ქალებისათვის) სულაც არ ნიშნავდა საზოგადოებისაგან მოშორებასა და უდაბნოში წასვლას, მკაცრ ანაქორეტულ ცხოვრებას. აღნიშნული მოღვაწეები ძირითადად დასახლებულ პუნქტებსა და მათ მახლობლად ცხოვრობდნენ მონასტრის მსგავს სავანეებში. ზემოხსენებული პაპირუსი გვატყობინებს, რომ ქალაქ ოქსირინქუსში (უძველესი ეგვიპტური ქალაქი მდ. ნილოსის შუა წელზე, მარცხენა სანაპიროზე, დღეს აღარ არსებობს) მცხოვრები ორი ასკეტი ქალი (დები) თეოდორა და ტაურისა (ხელნაწერში მათ ,,დედაკაცნი მონაზონნი უარისმყოფელნი" ეწოდებათ) თავიანთი სახლის (სავანის) ქვედა სართულს ვინმე ებრაელ ვაჭარს ავრელიუს ოისიას მიაქირავებენ. ეს ,,უარისმყოფელენი" მეოთხე საუკუნის სხვა პაპირუსშიც მოიხსენიებიან, მათ ასევე იხსენიებს ნეტარი იერონიმე თავის 22-ე წერილში, როდესაც ეგვიპტეში მოღვაწე ბერებზე საუბრობს.

რუფინუს აკვილიელის მიერ ლათინურად ნათარგმნ ,,ეგვიპტელი ბერების ისტორიაში" ქალაქი ოქსირინქუსი მოღვაწე მამებითა და დედებით დასახლებულ მიწიერ სამოთხედ წარმოგვიდგება. აღნიშნული თხზულება მეოთხე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის მდგომარეობას აღწერს: *,,მოვედით ჩვენ თებაიდის ერთ-ერთ ქალაქ*

---

[98] *ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით იხ. William Harmless, Desert Christians, An Introduction of literature of early monasticism, Harvard University Press, 2004*

[99] *მამათა ცხოვრებანი, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და კომენტარები დაურთო ვ. იმნაიშვილმა, ,,მეცნიერება", თბ. 1975, გვ. 11*

*ოქსირინქუსში. ამ ქალაქში ქრისტიანული კეთილმსახურების იმდენი მაგალითი ვიხილეთ, რომ ერთობ რთულია ეს ყოველივე სიტყვებით გადმოსცე. მოწესენი ყოველი მხრიდან და ქალაქის მთელ შემოგარენში გვხვდებოდნენ, ხოლო თავად ქალაქი სავსე ამ ადამიანებით. რაც კი იქ საზოგადოებრივი დაწესებულებანი და ძველი წარმართული ტაძრები იყო, ყველა მოსაგრეთა საცხოვრებლად იქცა, ასე გვეჩვენებოდა თითქოს მთელ ქალაქში მონასტრები უფრო მეტი იყო, ვიდრე მოქალაქეთა სახლები... ამ ადგილის წმინდა ეპისკოპოსისგან შევიტყვეთ, რომ ქალაქში ოცი ათასი მოწესე დედა და ათი ათასი მოწესე მამა ცხოვრობს"*[100]. ჩვენთვის ცნობილია რომ მაკრინე უმცროსმა ბასილი დიდის დამ მეოთხე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში საკუთარ მამულში, სოფელ ანისთან ახლოს მდ. ირისის ნაპირას დაიწყო მოღვაწეობა დედასთან ერთად. ასე რომ ქალები ასკეტური ღვაწლის აღების შემდეგაც არ შორდებოდნენ საზოგადოებას, ხშირად საკუთარ სახლებში მოწყობილ სავენეებში ეწეოდნენ მონაზვნურ ცხოვრებას. *,,ადამიანი რომელიც ქალწულად დარჩენას ანუ ზეციურ სასძლოსთან შეღლებას და საკუთარი ხორციელი ჭურჭლის შეუბრალავად შენახვას გადაწყვეტდა, ქალწულობის აღთქმას დებდა. ქალწულები ჩვეულებრივ რჩებოდნენ საკუთარ ოჯახებში, ან ცხოვრობდნენ სენაკებში, რომელთაც მათ ოჯახის წევრები საკუთარი კარ-მიდამოს ფარგლებში უშენებდნენ"* [101].

ქალწულთა ინსტიტუტი მეოთხე საუკუნემდე დიდი ხნით ადრე ჩამოყალიბდა (ამის შესახებ ზემოთაც ავღნიშნეთ). ჯერ კიდევ პავლე მოციქული განარჩევს ქვრივთა სამ კატეგორიას. ქვრივებსა და ქალწულებს მოიხსენიებენ სხვადასხვა საეკლესიო ავტორები (კლიმენტი რომაელი, ეგნატე ღმერთშემოსილი, პოლიკარპე სმირნელი, ირინეოს ლიონელი, კლიმენტი ალექსანდრიელი, ორიგენე, იპოლიტე რომაელი, ტერტულიანე და სხვ.). ჩვენამდე მოღწეულია მესამე საუკუნის დასაწყისში სირიულ ენაზე შექმნილი ორი მრგვლივმოსავლელი ეპისტოლე ,,ქალწულთა მიმართ". ეპისტოლეებში საუბარია იმის შესახებ თუ რა არის ჭეშმარიტი ქალწულება, რისთვის ჭირდებათ იგი ქრისტიანებს, რა არის მისი საფუძველი (Две окружных послания к девствинницам). ეპისტოლეების მესამე საუკუნეში არსებულ მდგომარეობას გამოხატავს, ქალწულთა ინსტიტუტი უკვე ჩამოყალიბებულია. მსგავსი ტიპის თხზულებანი განსაკუთრებით სწორედ მეოთხე საუკუნეში მომრავლდა. ცნობილია ათანასე ალექსანდრიელის ორი ეპისტოლე ,,ქალწულთა მიმათ", რომლებიც კოპტურ და სირიულ ენებზეა შემორჩენილი, ასევე ჩვენამდე მოღწეულია ფსევდო-ბასილის ნაშრომი ,,ჰომილია ქალწულების შესახებ", ბასილი ანკვირელის თხზულება ,,ქალწულებასა შინა

[100] *Руфин Аквилиеский, Жизнь отцев пустинников (переведо, вступительная статья и коментарии А. А. Сидорова), Екатеринбург, 2010, გვ.60-63.*

[101] *ვ. ჯუღელი, ნეტარი თეოდორიტე კვირელი - საღმრთო ასპარეზობა და სიბრძნისმოყვარეობა სირიული ასკეტიზმის ფონზე: ფილოეთეონ ისტორია და მისი ქართული თარგმანები, თბ. ,,ლოგოსი", 2011*

ჭეშმარიტისა უხრწნელებისათვის", გრიგოლ ნოსელის შრომა ქალწულების შესახებ და მრავალი სხვ. ქართული თუ უცხოური წერილობითი წყაროებიდან აშკარაა რომ წმ. ნინო ეკლესიაში არსებულ ქალწულთა კატეგორიას განეკუთვნება, ისევე როგორც რიფსიმე, გაიანე და მათთან ერთად ის ორმოცდაცხრა სული რომელიც ნინომ მონათლა.

წმ. ნინოს მოღვაწეობის სახე ძალიან გვაგონებს სირიაში გავრცელებული ასკეტიზმის განსაკუთრებულ ტიპს, რომლის მიმდევრები ქალებიც იყვნენ და მამაკაცებიც. მათ ბნაი-კიამა (აღთქმის ძენი) და ბნათ-კიამა (აღთქმის ასულნი) ეწოდებოდათ (აქვე უნდა გავითვალისწინოთ რომ სირიული ბერმონაზვნობა გარკვეულ გავლენას ახდენდა პალესტინურზე). ჩვენ ამჯერად ამ უკანასკნელზე შევცერდებით. ამგავრი ასკეტიზმი წარმოადგენს *,,პირველქრისტიანული სირიული ასკეტიზმიდან სამონასტრო ცხოვრებზე გარადამავალ საფეხურზე"*[102]. აღთქმის ასულები მოღვაწე ქალები იყვნენ, რომლებსაც ქალწულების აღთქმა ჰქონდათ დადებული, ისინი ცხოვრობდნენ ეკლესიის შენობებში, დასახლებულ პუნქტებში, საკუთარ ოჯახებში მშობლებთან ერთად, მათ მოვალეობებში შედიოდა ეკლესიაში მღვდლებისა და დიაკონესების (დედათდიაკვნების) დახმარება (გავიხსენოთ რომ ნინო ორი წლის მანძილზე ემსახურებოდა სარა ნიაფორს. აქვე უნდა ავღნიშნოთ სარას უჩვეულო განსაწავლულობა ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში (*,,რამეთუ არავინ ყოფილი იყო, არცა იყო შორის იერუსალემსა ზომი მისი მეცნიერებითა შჯულსა გზასა ძველსა და ახალსავე ყოველსავე"*[103]. ამგვარი განსწავლულობა ქალს იმდროისათვის არ ევალებოდა, მითუმეტეს მას ქადაგების, სხვისი დამოძღვრის უფლება არ ჰქონდა, ქართლის მოქცევაში აღნიშნული არ არის, მაგრამ ვფიქრობთ სარა ნიაფორს ეკლესიაში გარკვეული მოვალეობები უნდა ჰქონოდა დაკისრებული, ჩვენი ვარაუდით ის შესაძლებელია დიაკონისა ყოფილიყო, ხოლო ნინო მისი დამხმარე, ანუ ჩვენი მოსაზრებით ამ უკანასკნელს სწორედ სირიული ბნათ-კიამას როლი უნდა შეესრულებინა), ასევე ეკელსიაში გალობა, ფსალმუნთა კითხვა, განსაკუთრებით მადრაშების ანუ სამოძღვრო ჰიმნების გალობა. ბნათ-კიამას ,,იჰიდაიებსაც" უწოდებდნენ, რაც სირიულად განდეგილ, მარტომყოფელ მოღვაწეებს ნიშნავს, თუმცა ამ სიტყვის მნიშვნელობის დაკონკრეტებაც შესაძლებელი იყო. მათი სავანეები მრავლად გვხვდება მთელ იმდროინდელ სირიაში, ისევე როგორც ეგვიპტეში, პალესტინაში, მცირე აზიასა და რომში. ზემოთქმულიდან ვფიქრობთ გასაგები ხდება თუ რა ტიპის მოღვაწეობას ეწეოდნენ ნინო, რიფსიმე და გაიანე სხვა მონათლულებთან ერთად ეფესოშო ორი წლის მანძილზე. მათ საკუთარ სახლებში სწორედ იმგვარი ,,საქალწულე" შექმნეს, როგორიც

[102] *ვ. ჯუღელი, თეოდორიტე კვირელი, გვ. 19*
[103] *ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ.15*

ზემოთ აღვწერეთ, სადაც დედები ასკეტურად მოღვაწეობდნენ და ქრისტიანულ მოძღვრებაში განისწავლებოდნენ.

ეფესოში ორწლიანი ცხოვრების შემდეგ დედათა კრებული რომის იმპერიას ტოვებს და სომხეთში მიდის. სომხეთში რიფსიმე, გაიანე და სხვა ორმოცდაცხრა ქალწული მოწამეობრივად აღესრულება, ხოლო ნინო ქართლს აფარებს თავს. აქ იგი თავის ასკეტურ მოღვაწეობას აგრძელებს, ჯავახეთიდან მოემართება მცხეთისკენ და თავდაპირველად ძველ მცხეთაში (ანუ არმაზში) ბინავდება, ციხესიმაგრის მახლობლად ,,ბრინჯის'' მაღალი ხის ქვეშ: ,,*მოვედ ქუეშე ხესა მას და გამოვინიშნე ნიში იგი ქრისტეს ჯუარისაჲ და ვილოცევდ მუნ ექუს დღე*"[104]. შემდეგ სამეფო ბაღში მიდის, უშვილობისგან სასწაულებრივად კურნავს მებაღის მეუღლეს ანასტოსს და მაყვლოვანში მკვიდრდება, სადაც ლოცვითა და მარხვით ცხოვრობს (აქ ძალიან აშკარა პარალელია სირიელი განდეგილი ქალის დომნინას ცხოვრების ერთ ეპიზოდთან, როდესაც დომნინა საკუთარი სახლის ეზოში აშენებს ტალავარს და იქ იწყებს მოღვაწეობას). ჩვენ ამ შემთხვევაში წმინდა ნინოს მოღვაწეობის დაწვრილებითი აღწერა და ქრონოლოგია არ გვაინტერესებს. ყურადღებას გავამახვილებთ წმინდა ნინოს მოწაფეებზე და ცხოვრების წესზე. ქართლის მოქცევიდან ცნობილია რომ მას ემოწაფებიან სეფე-ქალი შროშანა, ებრაელი მღვდლის აბიათარის ასული სიდონია და სხვა თორმეტი ქალწული, რომელიც მუდმივად მასთან ერთად არიან, მასთან ერთად ლოცულობენ მაყვლოვანში და მარხულობენ (გავიხსენოთ სვეტის აღმართვისა და ქალაქის დაქცევის ხილვის ეპიზოდი). შესაძლებელია წმ. ნინომ სულიერ დებთან ერთად მაყვლოვანში სწორედ იმგვარი სავანე მოაწყო, რომელზეც ვისაუბრეთ, თუმცა ტექსტში ამაზე პირდაპირი მინიშნება არაა, მიუხედავდ ამისა ის კი ცხადია რომ წმ. ნინო და მის გარშემო შემოკრებილი ქალწულები ასკეტურ ცხოვრებას ეწევიან, ჩვენი აზრით ნინო და მისი მოწაფეები (ის მათ ,,დებად" მოიხსენიებს) საქართველოში დედათა მონასტრებისათვის საფუძვლისდამდებებად უნდა მივიჩნიოთ.

ამრიგად, უნდა დავასკვნათ რომ წმ. ნინო საქართველოში, ზოგადად ქრისტი- ანობის გარდა, იმდროინდელი ასკეტური ტრადიციის შემომტანიც უნდა ყოფილიყო, ამიტომ ვფიქრობთ საფუძველსმოკლებული არ იქნება თუკი ბერმონაზვნური ცხოვრების პირველდამწყებად საქართველოში ნინო კაპადოკიელს მივიჩნევთ.

[104] *ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 192*

# ST. NINO AT THE ORIGINS OF GEORGIAN MONASTICISM

*Shota Matitashvili*

The Georgian Monasticims was playing important role for the development of Georgian culture and spread of education during the centuries. The scientific work was quite integral with monastic life in the middle ages. According to the spread point o view the biginners of monastic life in Georgia were thirteen Syriac father, which came to Kartli in 40s of VI, but there is an evidance that the first preacher of ascetic life in Georgia was the enlightner of Kartli Nino (lately Eustathius of Sebastia the famous figure of IV began to preah the ascetic lifestyle in Georgia). During the acquaintnace with life and courage of st. Nino there is arising the question: who was she? from the works which describe her life it is obvious that st. Nino was not an ordinar secular person. The fact is that from her youth she chose the way which was wellknown in the late ancient church – virginity. The vow of virginity meaned a strict ascetic life (the term implied to both sexes). The courage of desert mothers who lived near the settled places or in settlements were weellknown in the Christian Ecumene. The above-mantioned ascets were not nuns (as Nino herself) in the term of lete meaning, because the frist monastery where female ascets lived was found in 329 by Pachomius the great and the rule of entering the convent was shaping during the centuries. st. Nino is representative of that kind of ascetic life wich was the transitional form from easrly Christian asceticism to classical monasticism.

## ზოროასტრიზმი - წარსული და თანამედროვეობა

*ასოცირებული პროფესორი **მაია ქუთათელაძე***
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

უძველესი რელიგიების შესწავლა თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. განსაკუთრებით, თუ ამ რწმენის მიმდევრები დღევანდელ სამყაროშიც აგრძელებენ არსებობას. ამ რელიგიებს შორისაა ზოროასტრიზმი.

თანამედროვე მეცნიერება მიიჩნევს, რომ ზოროასტრიზმი ერთ-ერთი უძველესი მონოთეისტური რელიგიაა. მოძღვრების უმთავრესი არსი ერთი ღმერთის თაყვანისცემის იდეაშია. თითქმის ათეული საუკუნის განმავლობაში (ძვ.წ. 558-652წწ.) ზოროასტრიზმი სახელმწიფო რელიგიის სტატუსით სარგებლობდა ირანის ტერიტორიაზე არსებულ აქემენიანთა, პართიისა და სასანიანთა იმპერიებში. მისი გავლენის არეალი დასავლეთით საბერძნეთამდე, ხოლო აღმოსავლეთით ინდოეთამდე აღწევდა. მონოთეისტული ზოროასტრიზმის კულტისა და ტრადიციული წეს-ჩვეულების ნაწილმა გარკვეული ასახვა იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის მოძღვრებებშიც ჰპოვა.

დღესდღეობით მსოფლიოს მასშტაბით ზოროასტრიზმის მიმდევართა რიცხვი 150-200 ათას ადამიანს ითვლის. მაზდეანთა დიდი ნაწილი ძირითადად ირანშია განსახლებული. ინდოეთში მათი შთამომავლები 60-ათასიან სპარსულ თემს შეადგენენ. ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე ზოროასტრულ თემში კი 20 ათასი ადამიანია გაერთიანებული.

საქართველოს ტერიტორიაზე მაზდეანობის თაყვანისმცემელთა არსებობას მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა და ეთნოგრაფიული მონაცემი ადასტურებს. ამ საკითხების კვლევას ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამორჩეული ადგილი უჭირავს. მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან დღევანდელობამდე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა გამოავლინა ზოროასტრული ცეცხლის სამლოცველოების არსებობა აღმოსავლეთ საქართველოს ვრცელ ტერიტორიაზე. მათი ქრონოლოგიური ჩარჩოები აქემენიანების ეპოქიდან მოყოლებული ვიდრე გვიანდელი სასანიანების მმართველობის პერიოდს მოიცავს. ამ ყველაფერმა კიდევ უფრო გაამყარა თვალსაზრისი რეგიონში მაზდეანთა მძლავრი ფენის არსებობის შესახებ არა მარტო ქრისტიანობამდელ, არამედ მომდევნო ეპოქაშიც, ვიდრე ისლამის გამოჩენამდე.

უძველესი მაზდეანური რწმენა-წარმოდგენების რეკონსტრუქცის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღევანდელი ირანის ტერიტორიაზე მცხოვრებ მაზდეანთა თემების შესწავლას, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ინახავენ ზოროასტრულ ტრადიციებს. აქ მოღვაწე ზოროასტრული ტაძრის მსახურები დღევანდელობამდე ზრუნავენ, რომ საკურთხეველზე წმინდა ცეცხლი მუდმივად იყოს.

ფარავახარი – კედელზე გამოსახული ფრთოსანი მზის დისკო ადამიანის ტანით – ზოროასტრული რელიგიის მთავარი სიმბოლოა. უძველეს ეპოქაში იგი არა აჰურამაზდას, არამედ აქემენიანი მეფეების დიდებას განასახიერებდა. სახელი ფარავახარი უძველესი სპარსული ფრავარანედან მოდის და ნიშნავს ,,მე ვირჩევ", რაც ზარათუშტრას მოძღვრების არჩევანზე მიუთითებს. უძველესი ზოროასტრული ტრადიციის თანახმად, მიცვალებულებს მდუმარების ღია კოშკებში ტოვებდნენ გარეული ფრინველების საჯიჯგნად. ჩვენი გაგებით, სასაფლაოები ძველ სპარსულ ქალაქ იეზდში (ირანის ზორო¬ასტრულ სინამდვილეში) 70-იანი წლებიდან დამკვიდრდა, მას შემდეგ, რაც 1979 წელს ირანის ისლამურმა ხელისუფლებამ ამ კოშკების დახურვა ბრძანა. მაშინ მიცვალებულთა დასამარხად შემოღებული იქნა ჰერმეტულად დახურული ბეტონის აკლდამები, რათა ზოროასტრული მოძღვრების თანახმად, არ წაბილწულიყო წმინდა სტიქიები – ცეცხლი, მიწა და წყალი. ზოროასტრული ცეცხლის ტაძარი იეზდში 479 წლიდან არსებობს. საკრალური რიტუალი საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემოდა და არ აძლევდა ღვთაებრივ ცეცხლს ჩაქრობის საშუალებას. სწავლების თანახმად, თუ ცეცხლი ჩაქრება, ეს იმის მომასწავლებელი იქნება, რომ სამყაროს ბოროტების ბნელი ძალები დაეპატრონნენ. მარადისობისადმი მორჩილების ნიშნად, თანამედროვე მაზდეანთა ყველა სამარხი ერთგვაროვნად გამოიყურება. საფლავის ქვებზე მოცემულია მხოლოდ გარდაცვლილის სახელი და ამონარიდიდები ზოროასტრიზმის წმინდა წიგნი¬დან ,,ავესტა". თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მაზდეანებს არ ახსოვთ საკუთარი მიცვალებულები და პატივს არ მიაგებენ მათ. თანამედროვენი მათი სულების მოსახსენიებლად აღავლენენ ლოცვებს, ასრულებენ ღვთისმსახურებას, განსაკუთრებით ახალი წლის დღესასწაულზე, რომელიც მაზდეანებისათვის 21 მარტს დგება. საუბარია ნაურუზობის ფესტივალზე, რაც სპარსულად ,,ახალ დღეს" ნიშნავს.

## რწმენისა და ცოდნის ჰარმონიზაცია: კულტურული კონტექსტი

*არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე)*

*საქართველოს საპატრიარქოს წმ. თამარ*
*მეფის სახ. უნივერსიტეტი*

რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართება გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ მოაწყობენ თავიანთ ცხოვრებას ცალკეული ადამიანები, ესა თუ ის საზოგადოება ან მთელი კაცობრიობა მომავალში. თავის მხრივ რეალური კულტურული კონტექსტი განაპირობებს რწმენისა და ცოდნის ჰარმონიზაციის ხარისხს.

მე-20 საუკუნის ფილოსოფიაში ახლებურად დადგა ცოდნისა და რწმენის ურთიერთმიმართების საკითხი. რაკი მეცნიერებამ სინამდვილის ერთადერთ ჭეშმარიტ ამსახველად ყოფნის ძველ პრეტენზიაზე უარი თქვა, რელიგიურ რწმენას ხელახლა მიეცა ის ადგილი, რომელიც ერთ დროს კანტის მცდელობით დაიმკვიდრა. შესაძლებელი გახდა მეცნიერებისა და რელიგიის წარმომადგენელთა თანასწორუფლებიანი დიალოგი, რომლის მიზანი მართებული მსოფლგაგების ჩამოყალიბებაა.

დღევანდელი პოსტმოდერნისტული კულტურული კონტექსტის უმთავრესი მახა-სიათებელია ის, რომ მსოფლიო სეკულარიზებულია, ანუ ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფერო ცდილობს თავი გამოითა¬ვისუ¬ფლოს ეკლესიური და სარწმუნოებრივი (რელიგიური) აზროვნებისაგან. სეკულარიზაცია გლობალურია.

პარალელურად მიმდინარეობს საკრალიზაციის პროცესი. იგი უპირატესად სპონტანურია, სპორა¬დიული, არასისტემური. რწმენისა და ცოდნის ჰარმონიზაცია ამ პროცესის ნაწილია. საკრალი¬ზაციის მიზანია ადამიანს დაუბრუნოს პირველქმნილი, სამოთხისეული პირველი ადამიანების დროინდელი და მათთვის დამახასიათებელი მსოფლგაგება – სწრაფვა სამყაროს ერთიანი, ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული სურათის აღქმისა და მასში საკუთარი ყოფიერების გააზრებისაკენ.

ამ მიზნის მიღწევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სჭარბობს ერთიმეორეს საკრალიზაციისა და სეკულარიზაციის ძალები. შედეგები აისახება კაცობრიობის ყოფიერების ყველა სფეროში (კულტურულ კონტექსტში).

ასე რომ, ჩვენს წინაშეა არც თუ რთული სქემა: ცოდნისა და რწმენის ურთიერთმიმართება საკრალიზაცია/სეკულარიზაცია სამყაროსა და მასში სამყაროსა და მასში ადამიანის ყოფიერების კულტუ¬რული კონტექსტის გააზრება.

**ГАРМОНИЗАЦИЯ ВЕРЫ И ЗНАНИЯ:**
**КУЛЬТУРНЫЙ КОНТЕКСТ**

***Архимандрит Адам Ахаладзе***
*Университет им. св. Царицы Тамар*

*Грузинской Патриархии*

Настоящий культурный контекст обусловливает степень гармонизации веры и знания. В XX веке отказ науки от древней претензии быть единственным истинным отражателем реальности дал возможность религии и вере занять то место, которое было заполучено стараниями Канта. Так стал возможен равноправный диалог между представителями науки и религии.

Основной характерной чертой современного, постмодернистского культурного контекста является существование секулярного мира. Секуляризация глобальна. Параллельно ей идёт процесс сакрализации. Она преимущественно спонтанна, спорадична, безсистемна. Гармонизация веры и знания является частью этого процесса, целью которого является возрождение присущего первым, живущим в Раю, людям миропонимания, стремления к созданию единой, основанной на Истине, картины Универсума, к осмыслению бытия Человека в мироздании. Достижение этой цели зависит от того, каково соотношение сил сакрализации и секуляризации. Результаты отражаются во всех сферах человеческого бытия (в культурном контексте).

Таким образом, перед нами несложная схема: Взаимоотношения веры и знания → сакрализация/секуляризация → Познание мира и осмысление культурного контекста собственного бытия в нём.

## HARMONIZATION OF FAITH AND KNOWLEDGE: CULTURAL CONTEXT

***Archimandrite Adam Akhaladze***
*St. King Tamar University of Georgian Patriarchate*

Current cultural context determines the degree of harmonization of faith and knowledge. In the twentieth century rejection of science from ancient claims to be the only true reality reflector has enabled religion and faith to occupy the place that had got hold through the efforts of Kant. Thus became possible an equal dialogue between science and religion.

The main characteristic of present postmodern cultural context is the existence of the secular world. Secularization is global. In parallel, a process of sacralization exists. It seems mostly to be spontaneous, sporadic, unsystematic. Harmonization of faith and knowledge is part of this process, the purpose of which is to revive the worldview inherent first human beings living in Paradise, the desire to create a unified, based on Truth, picture of the World and understanding of human existence in the Universe. Achieving this purpose depends on what is the balance of forces of secularization and sacralization. The results are reflected in all spheres of human existence (i.e. in the cultural context).

Thus, we have a simple scheme: the relationship between faith and knowledge → Sacralization / Secularization → Cognition of the Universe and understanding of the cultural context of human being’s existence in it (worldview).

## XX საუკუნეში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების განმაპირობებელი ფაქტორების პარადიგმული გააზრება

*დოქტორანტი, **დეკანოზი ზურაბ მჭედლიშვილი***
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

1917 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, რუსეთის იმპერიის რევოლუციური გზით დაშლისთანავე, გამოაცხადა თვითმყოფადობა – ავტოკეფალია, რომელიც იმ დროისთვის არსებულმა ადგილობრივმა მართლმადიდებელმა ეკლესიებმა საქართველოს ეკლესიის მესვეურთა მცდელობის მიუხედავად, არ აღიარეს. მხოლოდ 1943 წელს მოხდა ი. სტალინის სპეციალური ჩარევის შემდეგ რუსეთის ეკლესიის მხრიდან აღიარება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობისა. მიუხედავად ამისა, ამას არ მოყოლია მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიების მხრიდან ანალოგიური აღიარება. მხოლოდ 1990 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის და ქართველი მეცნიერების დიდი მცდელობით იქნა აღიარებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ასევე მისი საპატრიარქო ღირსებაც. აღნიშნული მოხსენება სწორედ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორების ანალიზს შეეხება.

## ПАРАДИГМИЧЕСКОЕ ОСМЫСЛЕНИЕ ФАТКОРОВ, ОПРЕДЕЛИВШИХ ПРИЗНАНИЕ АВТОКЕФАЛИИ ГРУЗИНСКОЙ ЦЕРКВИ В XX ВЕКЕ

*Докторант, протоиерей **Зураб Мчедлишвили***
*Грузинский Технический Университет*

В 1917г., как только Российская империя распалась революционным путем, Грузинская Православная Церковь, до обретения Грузией государственной независимости, объявила свою автокефалию-независимость. Однако, существовавшие на тот момент поместные Православные Церкви, несмотря на старания представителей Грузинской церкви не признали ее автокефалию. Только в 1943г., после специального вмешательства Сталина Русская Церковь признала автокефальность Грузинской Церкви. Несмотря на это, со стороны Вселенских Православных Церквей такого признания не последовало. Только в 1990г., благодаря великому старанию Католикоса-Патриарха Грузии Илии II и грузинских ученых была признана автокефалия Грузинской Церкви, а так же ее патриаршее достоинство. Данный доклад посвящается анализу этих важнейших факторов.

## სერბულ-ქართული საეკლესიო დიპლომატიის

## ისტორიიდან (ათონის ივერთა მონასტერი და სტეფანე დუშანი)

*დოქტორანტი* ***ეთერ ბოკელავაძე***
*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ცნობები სერბულ-ქართული საეკლესიო დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ დაცულია სერბულ, ბერძნულ და ქართულ წყაროებში. ეს ურთიერთობები იწყება XII საუკუნის ბოლოს და გრძელდება დღემდე.

ა) წარმოდგენილ ნაშრომში შესავლის სახით ჩვენ განვიხილავთ ქართულ-სერბული საეკლესიო ურთიერთობების მოკლე ისტორიას (XIV საუკუნის შუა წლებამდე). წმინდა საბას (სერბეთის მართლ¬მადი¬დებელი ეკლესიის პირველი მთავარეპისკოპოსი) და სიმეონ ნემანის (სერბეთის დიდი ჟუპანი სტეფანე ნემანი, შემდგომში ათონელი ბერი სიმეონი) კონტაქტები ათონის ივერთა მონა¬სტერ¬თან. სამეფო ბერთა (მამა-შვილი ნემანები) ურთიერთობა ქართველ ბერებთან და წინამძღვრებთან ივირონის საქმიანობის ხელშესაწყობად.

ბ) ივირონის მონასტერი ათონის მთაზე დაარსდა 980-983 წლებში ცნობილი საეკლესიო მოღვა¬წეების იოანე ათონელისა და თორნიკეს (იგივე იოანე) მიერ. მთელი არსებობის მანძილზე მონასტერი ყოველთვის განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ათონის ისტორიაში. აღსამიშნავია მისი კონტაქტები ბიზანტიის საიმპერატორო კართან (წრეებთან) და მისი დიპლომატიური ურთიერთობები (საქმიანობა) საიმპერატორო ხელისუფლებასთან). საუკუნეების მანძილზე მონასტერი ფლობდა დომენებს და მეტოქ ეკლესიებს ბალკანეთის ნახევარკუნძულის მნიშვნე¬ლოვან ტერიტორიაზე, რომელიც ბიზანტიელი იმპერა¬ტორების გამგებლობის ქვეშ იმყოფებოდა. ივირონის მდგომარეობა და სტატუსი ათონის მთაზე, მისი საკუთრება და მფლობელობა ბალკანეთში დაკავშირებულია ბიზანტიის საიმპერატორო წრეებთან ურთიერთო¬ბასთან. ივირონის ბერძენი სამღვდელოების კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან ურთი¬ერთობა ხაზგასმულია წინამდებარე ნაშრომში.

გ) ნაშრომში ჩვენ ასევე განვიხილავთ დიდი სერბი მეფისა და იმპერატორის სტეფან დუშანის (1331-1355) პოლიტიკას ათონის მთისადმი და მის მნიშვნელობას ბერძნულ-სერბული იმპერიის მშენებ¬ლობისას. ისტორიულად ცნობილია, რომ სტეფანე დუშანის მოღვაწეობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ბერძენთა და სერბთა დიდი იმპერიის შექმნა. XIV საუკუნის 40-იან წლებში მან მართლაც შეძლო თავისი მმართველობის ქვეშ გაეერთიანებინა ძირითადი ბალკანური მიწები. ამასთან, მას თავისი ტიტულის ლეგიტიმაციისთვის ესაჭიროებოდა ბერძენი სამღვდელოების მხარდაჭერა, რისი მიღებაც შეუძლებელი იყო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსგან, დუშანის

ანტიბიზანტიური პოლიტიკის გამო. სწორედ ამიტომ მისი საეკლესიო პოლიტიკის გატარების ყველაზე მნიშვნელოვან ადგილად ათონის მთა და მისი მონასტრები გახდა.

დ) ნაშრომში განხილულია დუშანის პოლიტიკია ათონის მთისადმი და ქართველთა ივირონის მონასტრის დამოკიდებულება (პოზიცია) ამ ფენომენისადმი; ორი ხრიზობული გაცემული მის მიერ 1346 წელს ქართველი სამღვდელოებისადმი და მონასტრისდამი დამტკიცებული საკუთრება და პრივილეგიიები.

ნაშრომის დასასრულს შეფასებულია ათონის ივერთა მონასტრის როლი სტეფანე დუშანის იმპერიულ პოლიტიკაში და ზოგადად ქართულ-სერბულ საეკლესიო ურთიერთობებში.

## FROM THE HISTORY OF SERBIAN-GEORGIAN ECCLESIASTICAL DIPLOMATIC RELATIONS (STEPHEN DUSAN AND THE IVIRON MONASTERY ON MOUNT ATHOS)

*PHD Student* ***Eter Bokelavadze***
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

Notes on Serbian-Georgian ecclesiastical diplomatic relations are kept in Serbian, Grecian and Georgian sources. History of these relations begins in the end of the XII century and still lasts today.

a) In the present work as an introduction we consider brief history of Georgian-Serbian ecclesiastical relations the study period (middle ages of the XIV century) preceding epoch: contacts of St. Saba (the first archbishop of Serbian Autocephalous Church) and Simeon Neman (Grand Zupan of Serbia, Stephen Neman, later Athos' monk Simeon) with the Holy Iviron Monastery of Athos, relations of royal monks (father-son Nemans) with Georgian monks and churchwarden activity carried out for the benefit of the Iviron.

b) Georgians' Iviron Monastery on Mount Athos was founded in 980-983 by the well-known ecclesiastic figures – Ioannes of Athos and Tornikios (the same Ioane). In all times of its existence the Monastery always played special role in the Athos history. It has direct contacts with Byzantine imperial courts and took active part in diplomatic activity carried out by the imperial authority. Throughout the centuries the Monastery owned domains and metohias churches on important territories of Balkan Peninsula presented by Byzantine emperors. Condition and status of the Iviron Monastery on Mount Athos in the middle years of the XIV, its property and estates on the territory of the Balkans, attitude of the Monastery to the Byzantine imperial court, relations with

imperial court, relations with Greek clergy of Iviron and patriarchy of Constantinople are highlighted in the work.

c) In the work are also discussed the policy of the great Serbian king and emperor Stephen Dusan (1331-1355) on Mount Athos and his importance in building of the single Greco-Serbian empire. It is historically known that the main objective of Stephen Dusan's activity was formation of the big empire of Greeks and Serbians. In 40s of the XIV century he really managed to unite important Balkan lands under his reign. Although, for legitimation of his title he needed support of the Greek clergy, which was impossible to derive from the patriarchy of Constantinople due to Dusan's anti-Byzantine policy. That is why the most important place in his ecclesiastic policy held the Mount Athos and monasteries of that place.

d) In the work are described activities carried out by Dusan on Mount Athos and the position of Georgians' Iviron Monastery regarding this phenomenon; 2 khrisobuls issued by him in 1346 for Georgian clergy and property and privileges adopted in favors of the Monastery by their means.

In the end of the work the role of Georgians' Athos Monastery in the imperial policy of Stephen Dusan and in general the history of Georgian-Serbian ecclesiastical relationships are assessed.

# საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკის ასახვა უმაღლეს სასწავლებლებში

*დოქტორანტი **მიხეილ ქართველიშვილი***
*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

1. თანამედროვე საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთ საინტერესო მიმართულებას წარმო¬ადგენს საბჭოთა იდეოლოგიური პოლიტიკის შესწავლის საკითხები, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბჭოთა რელიგიური პოლიტიკის პრობლემატიკის მეცნიერულ შესწავლას.
2. სამეცნიერო კვლევის კუთხით საინტერესო ეტაპს წარმოადგენს ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდი, როდესაც ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაწყებული დესტალინიზაციის პოლიტიკა შეეხო ქვეყნის განვითარების თითქმის ყველა იდეოლოგიურ სფეროს, მათ შორის რელიგიურ პოლიტიკასაც.
3. გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოთა კავშირი ტოტალიტარული ტიპის სახელმ-წიფოს წარმოადგენდა, რომელიც ცდილობდა მისი იდეოლოგია მთელი ქვეყნის მასშტაბით საზოგადოების ყველა ფენაში გავრცელებული ყოფილიყო, რელიგიური პოლიტიკის კვლევა ძირფესვიანად არის გადაბმული ისეთი ფუნდამენტური საკითხების გაანალიზებასთან, როგორიც არის მისი კავშირი საგანმანათლებლო პოლიტიკასთან.
4. რელიგიური პოლიტიკის შესწავლისას რამდენიმე საკითხი გამოიყოფა, ჩვენი წინამდებარე კვლევის საგანს წარმოადგენს საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში ათეიზმის სწავლების საკითხები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათეიზმის კათედრის მაგალითზე.
5. ნაშრომში საარქივო დოკუმენტების დაყრდნობით გამორკვეულია კათედრის დაარსების სავარაუდო თარიღი, ის იდეოლოგიური პოლიტიკა, რომელსაც იმ პერიოდის ცენტრალური ხელისუფლებას ახორციელებდა, ერთის მხრივ, როგორც რელიგიისადმი, ხოლო მეორეს მხრივ მასთან საგანმანათლებლო დონეზე ბრძოლის კუთხით.
6. ნაშრომში საარქივო დოკუმენტებსა და ბეჭდური მედიაზე დაყრდნობით შევეცდებით გავაანალიზოთ თუ რა დატვირთვა ჰქონდა ამ კათედრას, როგორც იდეოლოგიური, ასევე საზოგადოებრივი კუთხით რა მსგავსებები და განსხვავებები არსებობდა საბჭოთა რეალო¬ბაში არსებულ სხვა კათედრებთან.

**REFLECTION OF SOVIET ANTIRELIGIOUS POLICY IN THE INSTITUTIONS OF HIGHER EDUCATION**

*PHD Student* ***Mikheil kartvelishvili***
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

1. One of the interesting trends of modern historical science is the Soviet ideological Policy Studies, where an important place has the scientific study of the Soviet religious policy problems.
2. From the Scientific research position the interesting period is Nikita Khrushchev's rule, when the central government began a policy of de-Stalinization that touched almost all spheres of country's ideological development, including religious policy.
3. The Soviet Union was a totalitarian type of government, which was trying to spread it's ideology throughout all levels of society, so religious policy research is fundamentally tied to the analysis of the fundamental issues, such as it's relation to educational policy.
4. There are several issues in the study of religious policy, the subject of our present study was to study the issues of atheism in the Soviet institutions of higher education, on the example of Chair of Atheism in Tbilisi State University.
5. In this paper, based on archival documents we found out approximate date of founding of that department and scrutinize the central government's policy toward religion and it's struggle against religion on the educational level.
6. In this paper, based on archival documents and print media, we analyze what was the main function of this chair, what were similarities and differences of this department with the other departments of Soviet institutions of higher education.

## თეოლოგიისა და ბუნებისმეტყველების მეთოდოლოგიათა იზომორფიზმი

(დამატებითობის პრინციპი)

*ჯანგირ ელიაშვილი*

„ჩვენს წინაშე ორი წიგნია – ბიბლია და ბუნება“[105]. თეოლოგია ბიბლიას განმარტავს, ბუნებისმეტყველება – ბუნებას.[106] ამ განსხვავების მიუხედავად, თეოლოგია და ბუნებისმეტყველება მეთოდოლოგიურად იზომორფულია. იზომორფულობა სისტემურ ანალიზში განისაზღვრება როგორც სისტემათა მსგავსება, განურჩევლად მათში შემავალი ელემენტების შინაარსისა. იზომორფულობას ამ მნიშვნელობით გამოვიყენებთ, ხოლო მეთოდოლოგიას როგორც კვლევის პრინციპების და მიდგომების სისტემას.

თეოლოგიაც და ბუნებისმეტყველებაც ეფუძნება შეხედულებას სამყაროს მოწესრიგებულობის შესახებ. ეს დაშვება ბუნებისმეტყველებაში განპირობებულია მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერებით, თეოლოგიაში კი უფლის ნებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერული დასკვნების ჭეშმარიტება ემყარება ექსპერიმენტს, თეოლოგიაში კი რწმენას. იზომორფიზმზე საუბრისას უნდა დავაზუსტოდ რას ვგულისხმობთ მეცნიერული დასკვნის „ჭეშმარიტებაში“ და ამისათვის ალბერტ აინშტაინს მოვიშველიებთ: „ჩვენს მისწრაფებაში გავიგოთ რეალობა, გარკვეულწილად ვემსგავსებით ადამიანს, რომელსაც სურს გაიგოს დახურული საათის მექანიზმი. იგი ხედავს ციფერბლატს და ისრების მოძრაობას, ესმის კიდეც საათის წიკწიკი, მაგრამ არა აქვს საშუალება გახსნას საათის კორპუსი. თუ იგი გონებამახვილია, შეუძლია თავისთვის დახატოს საათის მექანიზმის ისეთი სურათი, რომელსაც იგი თავისი დაკვირვებით ხედავს. თუმცა, ვერასოდეს იქნება დარწმუნებული, რომ ეს სურათი ერთადერთი ამხსნელია იმისა, რაც მან დაკვირვებით დაინახა. მას არასოდეს კი ექნება შესაძლებლობა, შეადაროს თავისი სურათი რეალურ მექანიზმს“[107].

აინშტაინის განმარტებით, რომლითაც შემდგომში ვიხელმძღვანელებთ: **მეცნიერული კვლევის მეთოდი და კვლევით მიღებული შედეგი ჭეშმარიტია, თუ კი მტკიცდება შედეგის ერთადერთობა და მისი სხვაგვარი განმარტების არარსებობა.**

თეოლოგიის და ბუნებისმეტყველების მეთოდოლოგიური იზომორფიზმის ნათელსაყოფად საჭიროა განვიხილოთ ჭეშმარიტების ძიებასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც არსებობს ბუნებისმეტყველებაში. **სწორედ ეს პრობლემებია**

[105] *საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე, „საპატრიარქოს უწყებანი“, N 8(315), 2005. გვ.1.*

[106] *სტატიაში ტერმინი „თეოლოგია“ გამოყენებულია როგორც მოძღვრება ღმერთის არსის შესახებ, როგორც სწავლება რელიგიური დოგმების და მათ ფარგლებში არსებული ფილოსოფიური აზროვნების შესახებ მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგიის ფარგლებში.*

[107] *Эйнштейн А., Инфельд Л., Эволюция физики, «НАУКА », М., 1977. გვ.30.*

**თეოლოგიასა და ბუნებისმეტყველებას შორის მეთოდოლოგიური იზომორფიზმის არსებობის საფუძველი.**

ბუნებისმეტყველებაში ჭეშმარიტი შედეგის მიღების სირთულე გამოწვეულია მკვლევარის, როგორც ადამიანის შესაძლებლობათა შემოსაზღვრულობით, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს კვლევის ჩატარების მეთოდიკას. ამ გარემოებას ემატება კვლევის დაუძლეველი ტექნიკური სირთულეები და რიგი მათემატიკური ამოცანების ზუსტად ამოხსნის შეუძლებლობა.

ბუნებისმეტყველებაში მეცნიერული კვლევის მეთოდიკა შემდეგ ძირითად ეტაპებს მოიცავს:

1. მკვლევარი დაკვირვების საფუძველზე (თავისი ინფორმირებულობის დონიდან გამომდინარე) განსაზღვრავს მახასიათებლებს, რომელიც გავლენას ახდენს შესასწავლი პროცესის მიმდინარეობაზე.

2. მკვლევარი თავად განსაზღვრავს ძირითად მახასიათებლებს, რომელის მიხედვით გაანალიზდეს შესასწავლი მოვლენა.

3. მკვლევარი გეგმავს და ატარებს ექსპერიმენტს, რის საფუძველზეც ადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. ეს კავშირები წარმოადგენს შესასწავლი მოვლენის ექსპერიმენტულ მოდელს.

4. მკვლევარი ირჩევს მათემატიკურ აპარატს, რომელიც, მისი აზრით, უკეთესად ასახავს მის მიერვე დადგენილ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, რომელიც შესასწავლი მოვლენის მათემატიკური მოდელია.

5. მკვლევარი აყალიბებს თეორიას და განსაზღვრავს მისი გამოყენების არეს.

როგორც ვხედავთ, კვლევის შედეგი დამოკიდებულია იმაზე თუ რა ფაქტორებს და სიდიდეებს აირჩევს მკვლევარი შესასწავლი მოვლენის ძირითად მახასიათებლე-ბად. ამ არჩევაში უკვე არის ჩადებული მკვლევარის გარკვეული შეხედულებები, რომელთა გავლენა აისახება კვლევის ჩატარების ყველა ეტაპზე. მკვლევარის გავლენის პოზიტიურობა (კვლევის ყველა ეტაპზე) დამოკიდებულია მის რიგ თვისებებზე: ინტელექტზე, შესწავლის უნარზე, მეხსიერებაზე, ინტერესებზე, მსოფლმხედველო-ბაზე[108], პროფესიონალიზმზე და სხვ. ყველა ეს თვისება შემთხვევითია და განსხვავებული. ამიტომ, საბუნებისმეტყველო კვლევის მეთოდიკა, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ნების მონაწილეობას, არ იძლევა შესასწავლი მოვლენის ჭეშმარიტი არსის დადგენის გარანტიას. ადამიანის ნების გამორიცხვა მეცნიერული კვლევის პროცესიდან სადღეისოდ წარმოუდგენელია.

---

[108] *მაიკელსონი – ერთ-ერთი ავტორი მაიკელსონ-მორლის ცნობილი ექსპერიმენტისა, რომელიც საფუძვლად დაედო ფარდობითობის თეორიას. იგი გარდაიცვალა 1933 წელს ისე, რომ არ უღიარებია აინშტაინის ფარდობითობის თეორია.*

საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოება: ადამიანის შესაძლებლობათა შამოსაზღვრულობის გაუთვალისწინებლობა ქმნის იმის ილუზიას, რომ კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის უდიდესი მარაგი, რომელიც ინახება ბიბლიოთეკებსა და საცავებში (წიგნები, ხელნაწერები, ფოლიანტები) და წარმოადგენს ჩვენს მატერიალურ საკუთრებას, არის ამავე დროს „ჩვენი ცოდნა“. მატერიალური საკუთრება თავისთავად ცოდნად ვერ იქცევა. საკუთრივ **ჩვენს ცოდნას** წარმოადგენს ამ მარაგის მხოლოდ ის მცირედი ნაწილი, რომლის მოცულობა და შემადგენლობა განისაზღვრება ადამიანთა ინტერესებით და ათვისების უნარით. ამიტომ საკუთრივ ჩვენი ცოდნა მხოლოდ მცირედი ნაწილია იმ უდიდესი მარაგისა, რომელიც ჩვენს საკუთრებას წარმოადგენს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერულ კვლევაში ერთ-ერთი დაუძლეველი ტექნიკური სირთულეა კვლევის პროცესის გავლენა შესასწავლი მოვლენის ბუნებრივ მიმდინარეობაზე. ამ ვითარების თვალსაჩინოებისათვის წარმოვიდგინოთ, რომ გვინდა გავზომოთ ძალიან თხელი ფირფიტისაგან დამზადებული მილის დიამეტრი. თუ საზომ ხელსაწყოთი მილს მჭიდროდ არ შევეხებით, ზომა არაზუსტი აღმოჩნდება. თუ მჭიდროდ შევეხებით, მაშინ მილი დეფორმირდება და ზომა ისევ არაზუსტი იქნება. კვლევის შედეგზე ხელსაწყოს ზეგავლენა განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია ატომური ფიზიკის ამოცანებში. დამკვირვებელი ინფორმაციას არა უშუალოდ ბუნებრივი პროცესის შესახებ ღებულობს, არამედ იმ ვითარებაზე, რომელიც წარმოიქმნება ხელსაწყოს ჩარევის პირობებში. იმის გარკვევა, თუ ინფორმაციის რა ნაწილი ასახავს შესასწავლი პროცესის ბუნებრივ მიმდინარეობას და რა ნაწილი ხელსაწყოს ჩარევით გამოწვეულ ცვლილებებს,

პრაქტიკულად შეუძლებელია. ქვანტური მექანიკის ერთ-ერთი შემქმნელის ვერნერ ჰაიზენბერგის თქმით, ის რასთანაც ჩვენ დაკვირვებისას გვაქვს საქმე არის არა თვით ბუნება, არამედ ბუნება, რომლისთვისაც მისაწვდომია ჩვენი მეთოდებით დასმული კითხვები[109].

მეცნიერული კვლევების მათემატიკურ სირთულეს წარმოადგენს საბუნებისმეტყველო ამოცანათა ე.წ. არაწრფივობა. ამ კლასის ამოცანების ამოხსნის ზუსტი მეთოდები არ არსებობს; არ მტკიცდება მათი ამონახსნების ერთადერთობა; არ სრულდება სუპერპოზიციის პრინციპი (ორი ზემოქმედების შედეგი არ არის ტოლი ცალკეულ ზემოქმედებათა შედეგების ჯამისა). არაწრფივი ამოცანების ამოხსნის მიახლოებით მეთოდებში სიახლეს წარმოადგენს მათემატიკური ექსპერიმენტის ჩატარების შესაძლებლობა, გამოთვლითი ტექნიკის – კომპიუტერის მეშვეობით. ასეთი ექსპერიმენტებით შესაძლებელი ხდება არაწრფივი ამოცანების მიახლოებითი ამოხსნა.

[109] *Гейзенберг В., Физика и философия, М.. „Наука“, 1989.*

მეცნიერულ კვლევათა შესაძლებლობების შეზღუდვებს უკვალოდ არ ჩაუვლია. იგი აისახა მეცნიერების განვითარების ისტორიაში და მას ანრი პუანკარემ „ჰიპოთეზათა სასაფლაო“ უწოდა[110], ხოლო ალბერტ აინშტაინმა „იდეათა დრამა“[111].

XX საუკუნის მეორე ნახევრის ფილოსოფოსთა აზრით, ყოველ ეპოქაში არსებობს აზროვნების გარკვეული მოდელი, მსოფლმხედველობის სახე. ასეთ მოდელს პარადიგმას უწოდებენ. პარადიგმა აღნიშნავს მეცნიერული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ შეხედულებათა, ღირებულებათა და ა.შ. ერთობლიობას და იგი წარმოადგენს მოდელს ახალი ამოცანების გადასაწყვეტად. ეს ისეთი თეორიებია, რომელთა წარმოშობა მეცნიერების ისტორიაში რევოლუცია იყო[112]. ყოველი პარადიგმა, თავისი „ბატონობის“ ისტორიულ ეტაპზე (წარმოშობიდან უარყოფამდე) აქსიომად არის მიღებული, ხელშეუხებელია და განმარტებას არ საჭიროებს. ჩვენ ქვემოთ პარადიგმის ამ განმარტებით ვსარგებლობთ და სქემატურად წარმოვადგენთ მათი მონაცვლეობის დრამატულ ისტორიას. ამ შემთხვევაში შევეხებით მხოლოდ ფიზიკას და არა ბუნებისმეტყველებას საერთოდ. მეცნიერების სხვა დარგებით დაინტერე-სებულები ადვილად აღმოაჩენენ ანალოგიურ ვითარებას მათთვის საინტერესო დარგშიც. ამ მხრივ ფიზიკა მრავლისმომცველია.

ფიზიკის განვითარების ისტორია შეიძლება წარმოვადგინოთ ხელშეუხებელ პარადიგმათა მონაცვლეობის სახით. ამ თვალსაზრისით გამოყოფენ ოთხ ეტაპს:

**I ეტაპი – არისტოტელედან გალილეიმდე (ეტაპის ხანგრძლივობა 2000 წელი)**

თანამედროვე ფიზიკა პირველ ეტაპთან ნაკლებადაა დაკავშირებული. ამ პერიოდის ფიზიკას

ინგლისელი მეცნიერი, ისააკ ნიუტონის სახელგანთქმული ოპონენტი, რობერტ ჰუკი ასე ახასიათებს: “ის რასაც ვკითხულობთ არისტოტელეს, პლინიუსის და ნატურალური სტორიის სხვა ავტორთა თხზულებებში, მეტად არასანდო, ზერელე და ზედაპირულია. ეს ავტორები საჭიროდ არ მიიჩნევდნენ ეწარმოებინათ კვლევა ექსპერიმენტის მეშვეობით...... მათ აინტერესებდათ საგანთა გარეგნული ფორმის და ფიგურის სილამაზე. ისენი მიზნად ისახავდნენ ჩვენს გართობას, განცვიფრებასა და აღტაცებას.“[113]

---

[110] *Пуанкаре А., О науке, М., Гл.ред. физ - мат. лит., 1990.*

[111] *Эйнштейн А., Инфельд Л., Эволюция физики, «НАУКА », М., 1977.*

[112] *ავალიანი ს., თ.ს. კუნი, წიგნში „თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია (XX საუკუნის მეორე ნეხევარი)“ თბ., თსუ., 1988.*

[113] *Эйнштейн А., Инфельд Л., Эволюция физики, «НАУКА », М., 1977.*

## II ეტაპი – გალილეიდან აინშტაინამდე (ეტაპის ხანგრძლივობა 300 წელი)

ეს ეტაპი დაიწყო არისტოტელეს შეხედულებათა გადაფასებით. ამ ეტაპზე გალილეიმ აღმოაჩინა სხეულთა ინერციულობა. ამ აღმოჩენის საფუძველზე ი. ნიუტონმა, მოგვიანებით ჩამოაყალიბა ინერციის ცნობილი კანონი. აინშტაინის აზრით გალილეის მიერ გაკეთებული აღმოჩენა (1638 წ.) და მის მიერ გამოყენებული მეცნიერული მეთოდი (ექსპერიმენტი) იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში და იგი აღნიშნავს ფიზიკის ნამდვილ დასაწყისს.[114]

ფიზიკის განვითარების მეორე ეტაპზე, რომელსაც ნიუტონისეულ კლასიკურ მექანიკას უწოდებენ, სამყაროს მოწყობის მექანიკური კონცეფცია პარადიგმად იქცა. იგი გავრცელდა ფიზიკის მთელ რიგ მიმართულებებზე (ელექტროობა, სითბო და სინათლე განიხილებოდა მექანიკის თვალსაზრისით). XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში გაირკვა, რომ ელექტროობა, მაგნტიზმი, ოპტიკა და ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკა არ ემორჩილება კლასიკური მექანიკის კანონებს. გამოაშკარავდა შეუთანხმებლობა მექანიკის პრინციპულ საკითხებში. ნიუტონისეულ ფიზიკას საფუძველი შეერყა.

## III ეტაპი – აინშტაინიდან სინერგეტიკამდე (ეტაპის ხანგრძლივობა 70 წელი)

ფიზიკის განვითარების მესამე ეტაპის პარადიგმას აინშტაინის ფარდობითობის თეორია წარმოადგენს. მისი წარმოშობის პროცესი მეტად დამახასიათებელია ფიზიკის განვითარების ისტორიისათვის და ამიტომ მასზე ხაზგასმით შევჩერდებით.

გალილეისა და ნიუტონის კლასიკურ ფიზიკაში საკვანძო ადგილი უკავია ე.წ. გალილეის გარდაქმნებს. ეს გარდაქმნები იძლევა საშუალებას ერთ ათვლის სისტემაში აღწერილი მოვლენა გამოვხატოთ მეორე ათვლის სისტემის მახასიათებლების მეშვეობით. ამ გარდაქმნათა წარმოსაჩენად განვიხილოთ ერთი მაგალითი: დავუშვათ, მატარებელი სცილდება სადგურს სიჩქარით 40 კმ/საათში. მატარებლის ვაგონში მყოფი მგზავრი გადაადგილდება მატარებლის მოძრაობის მიმართულებით სიჩქარით 2კმ/სთ-ში. მგზავრის გადაადგილების სიჩქარე სადგურის მიმართ იქნება ამ სიჩქარეთა ჯამის ტოლი 40+2=42. ეს ჯამი „გალილეის გარდაქმნის“ გამომხატველია და მიგვითითებს, რომ მატარებლის მოძრაობის სიჩქარემ გავლენა იქონია მგზავრის მოძრაობის სიჩქარეზე სადგურის მიმართ. თუ მგზავრის მაგივრად განვიხილავთ იმავე ვაგონში ანთებული სინათლის შუქის გადაადგილების სიჩქარეს, აღმოჩნდება, რომ მატარებლის მოძრაობა გავლენას ვერ ახდენს სინათლის სიჩქარეზე. სინათლის სიჩქარე იგივე იქნება, განურჩევლად იმისა, იმოძრავებს მატარებელი თუ არა. ეს უცნაური

---

[114] *Эйнштейн А., Инфельд Л., Эволюция физики, «НАУКА », М., 1977.*

ფაქტი დასტურდება მაიკელსონისა და მორლის ცნობილი ექსპერიმენტით, რაც შეუთავსებელია „გალილეის გარდაქმნებთან“. ამ გარემოებამ გადაულახავი სირთულეები წარმოქმნა, ვინაიდან გალილეის გარდაქმნებს ფიზიკაში ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს. „შეიქმნა ჩაკეტილი წრე,სადღაც უნდა გარღვეულიყო. ან უნდა უარეყოთ გალილეის გარდაქმნები, ან არ გაეწიათ ანგარიში მაიკელსონ მორლის ექპერიმენტისათვის. გადაწყდა, უარი ეთქვათ გალილეის გარდაქმნების გამოყენებაზე,“ – წერდა ალბერტ აინშტაინი[115]. საჭირო გახდა ჩამოყალიბებულიყო

ისეთი გარდაქმნები, რომელიც არ შეეწინააღმდეგებოდა მაიკელსონ-მორლის ექსპერიმენტს. ასეთი მათემატიკური ამოცანა უკვე ამოხსნილი იყო ელექტროდინამიკაში ლორენცის მიერ. ლორენცის შედეგების გამოყენება უმტკივნეულო არ ყოფილა. მისი გამოყენება მოითხოვდა უჩვეულო და სრულიად გაუგებარ გარემოებებთან შეგუებას. გარდაქმნათა შედეგების ფიზიკური ახსნა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. საჭირო გახდა კლასიკური ფიზიკის ფარგლებს გარეთ გასვლა. ეს განმარტებები ალბერტ აინშტაინმა განახორციელა მის მიერვე შექმნილ „ფარდობითობის სპეციალურ თეორიაში“. აქ საყურადღებოა, რომ ფარდობითობის თეორიაში ფიზიკურ მოვლენათა არსი გამომდინარეობს მათემატიკური გარდაქმნებიდან და არა პირიქით. დღეს ფარდობითობის თეორია, ქვანტურ მექანიკასთან ერთად არის ბირთვული ფიზიკის და ელემენტარულ ნაწილაკთა თეორიის საფუძველი. მეცნიერების ამ დარგებში ნიუტონისეული კლასიკური მექანიკის კანონები არ გამოიყენება.

## IVეტაპი – სინერგეტიკიდან დღემდე (ეტაპის ხანგრძლივობა დღემდე – 40 წელი)

XX საუკუნის ბოლო მეოთხედში ბუნებისმეტყველებაში ჩამოყალიბდა მეცნიერული კვლევის ახალი მიმართულება – სინერგეტიკა, რომელიც შეისწავლის დიდი სისტემების თვითორგანიზების პროცესებს. სისტემის თვითორგანიზებაში ვგულისხმობთ სისტემის სტრუქტურის სპონტანურ გართულებას მასზე სპეციალური ზემოქმედების განხორციელების გარეშე.

კლასიკური ბუნებისმეტყველება აღწერს და განმარტავს სისტემათა ორგანიზაციული სტრუქტურის რღვევას – ქაოსში გადასვლას. სინერგეტიკა განიხილავს საპირისპირო პროცესს – ქაოსიდან მოწესრიგებულობაში გადასვლას – ევოლუციას. სინერგეტიკული კვლევებით დადგინდა, რომ ფიზიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა სისტემებში თვითორგანიზების პროცესი ერთნაირად მიმდინარეობს, რომ ეს პროცესი ალბათური ბუნებისაა და მიზეზ-შედეგობრივ კანონზომიერებას არ ემორჩილება. დღეს სინერგეტიკა სისტემათა

---

[115] *Суворов С. Г., Эволюция физики в представлении Эйнштейна, М., «Наука», 1965.*

ევოლუციის უნივერსალურ თეორიად მოიაზრება და თანამედროვე მეცნიერების პარადიგმად გვევლინება.

სინერგეტიკულმა გამოკვლევებმა ნათელყო, რომ **„არასაკმარისად რთული სისტემები უუნარონი არიან განვითარებისათვის. გარემოდან ჭარბი რაოდენობის ენერგიის მიღება იწვევს მარტივი სისტემების არა თვითორგანიზებას და ევოლუციას, არამედ ნგრევას”**.[116] სინერგეტიკა უარყოფს მარტივი სისტემების ევოლუციის შესაძლებლობას და ამით უარყოფს დარვინიზმის ძირითად კონცეფციას, რომლის თანახმად თანამედროვე რთული ორგანიზმები წარმოიშვნენ მარტივი ორგანიზმების ევოლუციის შედეგად. ეს იმას ნიშნავს, რომ **ცოცხალი ორგანიზმები თავიდანვე შეიქმნენ რთულ ორგანიზმებად.**

ფიზიკის პარადიგმათა მონაცვლეობის ისტორიას სხვადასხვა თანამიმდევრობით წარმოაჩენენ. ჩვენი საკითხისათვის მნიშვნელოვანია მათი მონაცვლეობის არსებობა და არა თანმიმდევრობა. 1930 წელს, ლონდონში, აინშტაინის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე ბერნარდ შოუმ კოსმოლოგიის პარადიგმათა მონაცვლეობის ისტორია ხატოვნად წარმოადგინა: „კოპერნიკმა დაამტკიცა, რომ პტოლომეოსი არ იყო მართალი. კეპლერმა დაამტკიცა, რომ კოპერნიკი არ იყო მართალი. გალილეიმ დაამტკიცა, რომ არისტოტელე არ იყო მართალი. აქ მიმდევრობის ჯაჭვი წყდება. ნიუტონმა ივარაუდა სამყაროს სწორხაზობრივობა და იმისათვის, რომ აეხსნა მოძრაობათა სიმრუდე, მოიგონა მიზიდულობის ძალა. მან გვაიძულა მიგვეღო სწორხაზობრივი სამყარო როგორც რელიგია, რომელსაც ჩვენ 300 წლის განმავლობაში ვეთაყვანებოდით. 300 წლის შემდეგ გამოჩნდა ახალგაზრდა პროფესორი (ალბერტ აინშტაინი), რომელმაც თქვა – სამყაროს სწორხაზოვნების ვარაუდი საჭირო არ არის და ამით დაამხო ნიუტონის სამყარო“.[117]

პარადიგმათა მონაცვლეობა გრძელდება. XXI საუკუნე ფიზიკაში ძირეული ცვლილებების

მომასწავებელია. იგი დაიწყო სინათლის სიჩქარისა და ვაკუუმის პრობლემებით. 2011წლის 22 სექტემბერს ბირთვული გამოკვლევების ევროპულ ცენტრში ( CERN) მასშტაბური ექსპერიმენტის

(OPERA) ფარგლებში მოხდა სენსაციური აღმოჩენა. გაირკვა, რომ სუბ-ატომურ ნაწილაკებს შეუძლიათ იმოძრაონ სინათლის სიჩქარეზე მეტი სიჩქარით[118]. ეს მეტად მნიშვნელოვანი განცხადებაა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ფარდობითობის თეორიის საფუძვლებს და, ვინ იცის, რა შედეგებს მივიღებთ. სენსაციური ცვლილებებია ტორიჩელის სიცარიელის გაგებასთან დაკავშირებითაც. ჩატარებული მრავალრიცხოვანი

---

[116] *Эбелинг В., Энгель А., Файстель Р., Физика процессов эволюции, М.,“Эдиториал Урсс”, 2001. გვ.105.*
[117] *Ланцош К., Альберт Эйнштейн и строение космоса, М., «Наука», 1967. გვ,128.*
[118] *google. европейский центр (CERN ) експеримент (OPRRA) 2011год 22 сентября.*

ექსპერიმენტული გამოკვლევით დადგინდა ენერგიის ნამატი ფიზიკური ვაკუუმის ხარჯზე[119] (ამ შედეგებზე გაცემულია პატენტები[120]). დღეს თანამედროვე ფიზიკაში ყალიბდება მეცნიერული კვლევების ახალი მიმართულება, რომლის შესწავლის საგანია ვაკუუმის შესაძლებლობები. ამ მიმართულებით ფუნდამენტური ცვლილებებია მოსალოდნელი. პრინციპული ძვრებია გენეტიკაშიც (გენურ ინჟინერიაში) და სხვ. ყოველ ახალ იდეას საზეიმოდ მხოლოდ ერთი წამი აქვს განკუთვნილი ორ უსასრულო დროს შორის: უსასრულო დრო, რომელშიც იგი არასწორად ითვლებოდა და უსასრულო დრო, რომელშიც მას ტრივიალურად თვლიან[121]. ამიტომ პარადიგმათა სიმრავლის პირობებში, მათ მონაცვლეობას ვეღარ ვამჩნევთ.

მეცნიერულ პარადიგმათა მონაცვლეობის ისტორია ნათელყოფს, რომ საბოლოო თეორიები არ არსებობს. ყოველი ახალი თეორია, უკეთეს შემთხვევაში, მოიცავს ძველს, უარეს შემთხვევაში – ძველს საერთოდ უარყოფს.

როგორც ცნობილია, მეცნიერების განვითარების პროცესში რაც უფრო მეტს ვგებულობთ, მით უფრო ბევრად მეტი კითხვები გვიჩნდება. „ვის შეეძლო ეფიქრა, რომ ორმოცდაათი წლის შემდეგ ჩვენ ამდენად მეტი გვეცოდინებოდა და ამდენად ნაკლების გაგება შეგვეძლებოდა,“ – წერდა ალბერტ აინშტაინი[122]. მეცნიერულ თეორიათა და, საერთოდ, პარადიგმათა შესახებ ოსვალდ შპენგლერი უფრო

რადიკალურ აზრს გამოთქვამდა: „ყოველ კულტურას თავის შიგნით აქვს მნიშვნელობა. ის, რაც ერთ კულტურაში დროის და სივრცის თეორიაა, მეორეში შეიძლება უაზრობა იყოს“[123].

მეცნიერების ძირითად შეხედულებათა მონაცვლეობის დრამატიზმი მარტო ფიზიკას როდი ახასიათებს. მათემატიკის ანალოგიურ პრობლემებს მიეძღვნა მათემა-ტიკის ისტორიისა და ფილოსოფიის ცნობილი ამერიკელი მეცნიერის მაკ კლაინის წიგნი „მათემატიკა. განსაზღვრულობის დაკარგვა”.[124] ანალოგიური მდგომარეობაა ლოგიკაშიც[125] და მეცნიერების სხვა დარგებშიც.

**საბუნებისმეტყველო მეცნიერების შესაძლებლობათა შემოსაზღვრულობის ობიექტური მიზეზები და მეცნიერულ პარადიგმათა მონაცვლეობის ისტორია**

---

[119] *Гарбарук В. И. Мир подступается к ваакумной энергии. Физический ваакум и природа. №2. 1999.*

[120] *იქვე*

[121] *Пуанкаре А., О науке, М., Гл.ред. физ - мат. лит., 1990.*

[122] *Ланцош К., Альберт Эйнштейн и строение космоса, М., «Наука», 1967. გვ.132.*

[123] *კოდუა ე., ოსვალდ შპენგლერი, წიგნში XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, თბ., „განათლება““, 1988. გვ.102.*

[124] *Клайн М., Математика.Утрата определенности, М., «Мир»,1984*

[125] *Налимов В.В., Вероятностная модель языка. М., 1979.*

**ნათელყოფს ბუნებისმეტყველებაში „ჭეშმარიტი“ შედეგების მიღების შეუძლებლობას** (აქ სიტყვა „ჭეშმარიტი“ გამოყენებულია ზემოთ მოყვანილი განმარტების შესაბამისად.)

თანამედროვე მთელი მატერიალური ცივილიზაცია შექმნილია იმ ტექნიკითა და ტექნოლოგიებით, რომლებსაც საფუძველი მეცნიერებამ ჩაუყარა. ყოველივე ეს მოხდა მეცნიერების შესაძლებ ლობათა იმ შეზღუდულობის პირობებში, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. როგორ მოხდა ეს?!

როგორც უკვე აღინიშნა, ბუნებისმეტყველებაში დასკვნები კეთდება ბუნების რეალური მოდელის ანალიზის საფუძველზე. მოდელი რეალობისაგან ხშირად ისე განსხვავდება, როგორც რუკა ადგილმდებარეობისაგან. არის უფრო პრინციპული სირთულეებიც. მაგალითად, ნიუტონისეული კლასიკური მექანიკა ჩამოყალიბებულია არარსებული ათვლის სისტემისათვის[126]. ალბერტ აინშტაინი აღნიშნავდა: „ჩვენ გვაქვს კანონები, მაგრამ არ ვიცით ის ათვლის სისტემა, რომელშიც მოქმედებს ეს კანონები, და ჩვენი ყოველი ნაგებობა ქვიშაზე აღმოჩნდა დამყარებული“[127] მიუხედავად იმისა, რომ ბუნებისმეტყველება მოიპოვებს მხოლოდ მიახლოებით ცოდნას რეალური ბუნების შესახებ, ამ ცოდნაზე აღმოცენებულმა ტექნიკამ და ტექნოლოგიებმა შექმნა ყოველივე ის, რასაც დღევანდელი მატერიალური ცივილიზაცია ეწოდება.

მეცნიერებისაგან სარგებელის მიღება, საზოგადოებამ ჭეშმარიტების წვდომად მიიჩნია. ასე აირია ერთმანეთში ჭეშმარიტება და სარგებელი (ნიშანდობლივია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა „პრაგმატიზმი“-ს სახელწოდებით ცნობილი ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომლის მაქსიმაა „ჭეშმარიტია ის, რაც სასარგებლოა“). ასეთ ისტორიულ ვითარებაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებას ქვეცნობიერად მიენიჭა ჭეშმარიტების განმსაზღვრელის ტიტული.

მეცნიერების მიერ კაცობრიობისათვის მოტანილი სარგებელი და სიმძლავრეები იმდენად დიდია, რომ ადამიანები მზად არიან ირწმუნონ ნებისმიერი თანამედროვე მეცნიერული მოსაზრება, მიუხედავად იმისა თუ რამდენად გასაგებია იგი მათთვის. მაგალითად ის, რომ მიზიდულობის ძალა ამრუდებს სივრცესაც და დროსაც; რომ დრო სხვადასხვა სიჩქარით მიედინება; რომ ელემენტარული ნაწილაკები უფრო პროცესებია ვიდრე მატერიალური ობიექტები, რომ ერთი კილოგრამი სილა შეიცავს ორჯერ მეტ ენერგიას ვიდრე ელექტროენერგიის რაოდენობა, რომელსაც მოიხმარს აშშ ერთ კვირაში და.ა.შ. თუ თანამედროვე ფიზიკას თვალს გადავავლებთ, ადვილად შევამჩნევთ, რომ ჩვენი მატერიალური რეალობა, წარმოჩენილი ფარდობითობის თეორიით და ქვანტური მექანიკით, ბევრად უფრო ირაციონალურია, ვიდრე ბიბლიური სამყარო. გასული

---

[126] *მხედველობაში გვაქვს ათვლის ე.წ. ინერციული სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სხვა სხეულებისაგან თავისუფალი სხეულების არსებობას.*

[127] *Ланцош К., Альберт Эйнштейн и строение космоса, М., «Наука», 1967. გვ. 35.*

საუკუნის 30-იან წლებში შემთხვევით როდი იყო ფიზიკოსთა შორის ასეთი მოარული გამონათქვამი: ფარდობითობის თეორია ესმის მხოლოდ ორს, მის ავტორსა და ნაწილობრივ ღმერთს. დანარჩენებს გვწამს.

დღეს ადგილი აქვს რწმენას არა მარტო მეცნიერებისადმი, არამედ რწმენაზეა აგებული თვით მეცნიერულ კვლევათა მეთოდიკა და ეს გარემოება საყურადღებოა და მნიშვნელოვანი. ბუნებისმეტყველებაში კანონები გამოიყვანება დაკვირვებებიდან. კანონთა განმარტება დამკვირვებლის შემოქმედების ნაყოფია. კანონები იძლევიან პასუხს კითხვაზე „როგორ?", ხოლო კანონთა განმარტებები – კითხვაზე „რატომ?". ამ უკანასკნელ კითხვაზე პასუხის გაცემა ზევრ შემთხვევაში ვერ ხერხდება. ამ გარემოებას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. თუ გავითვალისწინებთ მეცნიერებაში დამკვიდრებულ მოსაზრებას სამყაროს მოწესრიგებულობის შესახებ, მაშინ ნათელი გახდება, რომ ერთი მოვლენის ასახსნელად უნდა გვესმოდეს ყველა მოვლენის არსი. ეს კი შეუძებელია. ამიტომ მეცნიერები იძულებული ხდებიან თვალი დახუჭონ მოვლენებზე, რომელთა არც ახსნა და არც უარყოფა შეუძლიათ. არავინ იცის რატომ სრულდება ფიზიკის ძირითადი კანონები: რატომ არ შეიძლება ენერგიის არც წარმოქმნა და არც გაქრობა, რატომ სრულდება მსოფლიო მიზიდულობის კანონი, რატომაა ელექტრონის მასა სწორედ ასეთი სიდიდის, რატომაა სინათლის სიჩქარე ამდენი და სხვ. ეს აუხსნელი კანონზომიერებები და სიდიდეები ფიზიკაში მიჩნეულია სამყაროს მოწყობის ფუნდამენტურ კანონებად და ფუნდამენტურ მუდმივებად, რომლებიც განხილვას და განმარტებას არ ექვემდებარებიან. სწორედ ეს გარემოება ხდება აქსიომათა წარმოქმნის მიზეზი. დღეს ყველა საბუნებისმეტყველო დისციპლინა აღჭურვილია განუმარტავი „ფუნდამენტური კანონებით", „ფუნდამენტური მუდმივებით".

თანამედროვე მეცნიერული კვლევის მეთოდიკა ბუნებისმეტყველებაში წარმოადგენს აქსიომებზე დაფუძნებული ლოგიკური დასკვნების ტექნოლოგიას. აქსიომები კი მეცნიერებაში ხელშეუხებელია და რწმენის საგანია ისევე, როგორც რელიგიური ცნებები და დოგმები თეოლოგიაში. თანამედროვე მეცნიერება ბუნების შესახებ ასეთი რწმენის გარეშე ვერ იარსებებდა.

**ბუნებისმეტყველება რაციონალურ ცოდნას ეფუძნება.** რაციონალური ცოდნა ინტელექტის – ცნობიერის სფეროა, ლოგიკურად დასაბუთებული და სისტემატიზებული. ასეთი ცოდნის შექმნას თავისი ტექნოლოგია ახასიათებს, რომელსაც შემდეგნაირად აღწერენ: შესასწავლი ობიექტის დაყოფა, გაზომვა, კატეგორიებად დანაწილება და სტრუქტურირება. შესაბამისად ამისა, შესასწავლი ობიექტის მთლიანობის სურათი დანაწევრების გზით აღიქმება. სახელდობრ, როგორც ობიექტის მექანიკურ, ქიმიურ, მაგნიტურ, ატომურ და ა.შ. მხარეთა ერთობლიობა. არც ერთი ამ მხარეთაგანი ბუნებაში ცალკე, გამოყოფილად არ არსებობს. ეს ყველაფერი (ფიზიკა,

ქიმია, ბიოლოგია და ა.შ.) ადამიანთა მოგონილია. ამას მოითხოვს რაციონალური ცოდნის მოპოვების ტექნოლოგია. ასე უფრო მოსახერხებელია ბუნებასთან ურთიერთობა.

**თეოლოგია ირაციონალურ ცოდნას ეფუძნება.** ირაციონალური ცოდნა ინტელექტუალურ-ცნობიერ სფეროს არ განეკუთვნება. შესაბამისად ამისა, ირაციონალური გაგების ტექნოლოგია არ მოითხოვს შესასწავლი საგნის კატეგორიებად დანაწევრებას, კავშირების ძიებას და სხვა.

ბუნებისმეტყველება სამყაროს აღწერს, თეოლოგია სამყაროს აღიქვამს. აღწერა რაციონალური გონების სფეროა, აღქმა – ირაციონალურის. თეოლოგიური გაგებით, სამყარო აღიქმება მთლიანობაში, როგორც ერთი მთლიანი ობიექტი, ერთი გეგმით შექმნილი და შინაგანად შეთანხმებული. თეოლოგიის ფუნდამენტია ღმერთი – ყოვლის შემძლე, ყოვლის მცოდნე, ყველგან მყოფელი, დაუსაბამო, ყოვლის შემქმნელი არარსებულიდან, მიუწვდომელი. ამასთან ერთად თეოლოგიის თვალსაზრისით, არსებობს სამყაროს გაგების ისეთი სფეროები, რომელიც ადამიანის გონებისათვის ისევე მიუწვდომელია, როგორც ღმერთი. „მიუწვდომლობა, საიდუმლოება, რომელშიც გახვეულია ჩვენი გონება ერთნაირი საბუთიც არის უზენაესის არსებობისა. ეს კაცთა არსის დამთქმელი ზენაარი არსი აბა რის ზენაარი იქნებიდა, რომ ყველა მისი მოქმედება ჩვენთვის მისაწვდომი და განსასჯელი იყოს. უწვდომელს უსათუოდ უწვდომელი მოქმედება და გაგება ამშვენებს და ამაღლებს და სწორედ ამით არის ღმერთი მთელი კაცობრიობის აზრის საკვირველება, ჩვენი გონების ზე აღსავალი“ წერდა ივანე გომართელს ღირსი მამა ალექსი (შუშანია)[128].

ბუნებისმეტყველებაში ცოდნის წყაროა ბუნება, რელიგიური რწმენის წყაროა ღმერთი. თეოლოგიაში ჭეშმარიტებანი, რომლებსაც უფალი გვაწვდის, ხელშეუხებელია ისევე როგორც მეცნიერებაში ხელშეუხებელია ფუნდამენტური მუდმივები და აქსიომები.

ირაციონალური გაგება არ საჭიროებს ცნებებს, კატეგორიებს, კანონებს, მტკიცებულებებს. ეს საკითხები ირაციონალური გაგების მიღმაა. ირაციონალობის განმარტების თანახმად, გაგება ხდება

პირდაპირ და უშუალოდ, მსჯელობების და სიტყვების გარეშე; ინტუიციით, გრძნობით, ინსტინქტით, რწმენით, გამოცხადებით – დანაწევრებისა და კატეგორიებად დაყოფის გარეშე. უშუალო ინტუიციური გაგების ყოველდღიური მაგალითებია: წინათგრძნობა, უეცარი – ელვისებური გახსენება; თუნდაც ხუმრობის მყისიერი წვდომა. „ასეთ მომენტებში გონება სდუმს, ჩვენ კი წამიერ გაბრწყინებას განვიცდით“. ამავე კატეგორიის ვითარებებს უნდა მივაკუთვნოთ შემოქმედებითი პროცესები ხელოვნებაში თუ მეცნიერებაში, როდესაც არაფრისაგან შექმნა ხდება.

---

[128] *წიგნში „ღირსი მამა ალექსი (შუშანია) და მისი სავანე“, რედაქტორი არქიმანდრიტი მელქისედეკი (მიქავა), თბ., 1999.*

აღმოსავლეთის მისტიკოსები მიიჩნევენ, რომ ჭეშმარიტი რეალობა იმყოფება ჩვენი გრძნობებისა და ინტელექტის ფარგლებს გარეთ, რომლისგანაც წარმოიქმნება ჩვენი სიტყვები, ცნებები, აუხსნელი კანონები, აქსიომები. „იქ არ აღწევს მზერა, არც სიტყვა, არც გონება, არც შეგრძნობა“. მეცნიერების შესაძლებლობათა შემოსაზღვრულობამ შეუძლებელი გახადა სამყაროს ჭეშმარიტი სურათის დადგენა. სამყაროს ჭეშმარიტი მოწყობა ისევე მიუწვდომელია მეცნიერებისათვის, როგორც უფლის წვდომა ადამიანთათვის, თეოლოგიისათვის. ამ თვალსაზრისით, მეცნიერება და თეოლოგია იზომორფულია. სწორედ „აქსიომისა“ და „თეოლოგიური დოგმის“ განმარტებიდან გამომდინარეობს თეოლოგიისა და ბუნებისმეტყველების მეთოდოლოგიური იზომორფულობა:

**აქსიომა** – საბაზო დებულებაა, დამტკიცების გარეშე მიღებული, რომელიც ხელშეუხებელია მხოლოდ მოცემული თეორიის ფარგლებში. მაგალითად, ნიუტონის სამივე კანონი – აქსიომებია. მათგან გამოიყვანება ბუნების ძირითადი კანონები, რომელთა ხელშეუხებლობა და უტყუარობა სავალდებულოა მხოლოდ კლასიკური მექანიკის ფარგლებში. სხვა თეორიებში, მაგალითად, ფარდობითობის თეორიაში, ქვანტურ მექანიკაში, ელექტრომაგნიტურ დინამიკაში და სხვა ნიუტონის კანონები მიუღებელია.

**თეოლოგიური დოგმა** – საბაზო დებულებაა, დამტკიცების გარეშე მიღებული და

გამოცხადებული უცილობელ ჭეშმარიტებად, რომელიც გადასინჯვას არ ექვემდებარება და ხელშეუხებელია მხოლოდ მოცემული რელიგიის ფარგლებში. მაგალითად, ქრისტიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება – პროტესტანტიზმი (მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით) უარყოფს ქრისტიანობაში ისტორიულად ჩამოყალიბებულ საეკლესიო დოგმატიკას, ლიტურგიკულ ტექსტებს, წმინდანთა წერილებს. ასე რომ, თეოლოგიურ დოგმათა და სამეცნიერო აქსიომათა ხელშეუხებლობა მიღებულია მხოლოდ მოცემული რელიგიის და სამეცნიერო თეორიის ფარგლებში (და არა საყოველთაოდ).

აქსიომისა და თეოლოგიური დოგმის განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ ეს კატეგორიები ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებენ შესაბამისად ბუნებისმეტყველებაში და თეოლოგიაში. ეს გარემოება შემდეგი დასკვნის საფუძველია:

**თეოლოგია და ბუნებისმეტყველება იზომორფულია სამყაროს გაგებისადმი მიდგომის მეთოდოლოგიაში. როგორც თეოლოგია, ასევე ბუნებისმეტყველება ეფუძნება თავის ძირითად ფუნდამენტურ დებულებებს, რომლებიც არც შემოწმებას, არც განხილვას არ ექვემდებარებიან და, ამ მხრივ, რწმენის საგანს წარმოადგენენ. ამიტომ თეოლოგიის და ბუნებისმეტყველების შინაარსობრივი აგებულება აქსიომატიურია და ამაში მდგომარეობს მათი მეთოდოლოგიური იზომორფიზმი.**

მიუხედავად მეთოდოლოგიური იზომორფიზმისა, თეოლოგიისა და ბუნებისმეტყველების პოზიციები სამყაროში მიმდინარე პროცესების ახსნა-განმარტებაში ურთიერთგამომრიცხავია. გამომრიცხავობა მაშინაც კია, როდესაც ორივე იზომორფულია ერთსა და იმავე საკითხთან მიმართებაში. მაგალითად, მეცნიერების თვალსაზრისით სამყარო მოწესრიგებულია და წესრიგი განპირობებულია მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერებით. თეოლოგიის თვალსაზრისით კი სამყარო მოწესრიგებულია, ვინაიდან ღმერთის სრულყოფილი ქმნილებაა. მეცნიერებაში მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერება აქსიომატური მოცემულობაა, თეოლოგიაში ეს კანონზომიერება ადასტურებს პირველსაწყისის არსებობას და ეს საწყისი არის ღმერთი; მეცნიერების თვალსაზრისით (სინერგეტიკული განმარტება) ცოცხალ არსებათა განვითარების საწყისი დონე ვერ იქნებოდა დაბალი, ვინაიდან დაბალი განვითარების ორგანიზმების შემდგომი თვითგანვითარება შეუძლებელია. თეოლოგიის თვალსაზრისით – ცოცხალი ორგანიზმები შექმნა ღმერთმა დასრულებული, განვითარებული სახით. როგორც ვხედავთ, **მეთოდოლოგიური იზომორფიზმი არ იწვევს პოზიციათა თანხვედრას**.

საყურადღებოა არა მარტო საბუნებისმეტყველო და თეოლოგიურ გაგებათა შორის ურთიერთგამომრიცხაობა, არამედ ურთიერთგამორიცხვის არსებობა როგორც უშუალოდ ბუნებისმეტყველებაში, ასევე უშუალოდ თეოლოგიაში.

ბუნებისმეტყველებაში ურთიერთგამორიცხვის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს სინათლის პრობლემა. 1800 წელს თომას იუნგმა ექსპერიმენტით აღმოაჩინა სინათლის ინტერფერენციის[129] ისეთივე სურათი, როგორიც არის წყლის ზედაპირზე წარმოქმნილი წრიული ტალღების ერთმანეთთან გადაკვეთისას. ამ ფაქტით დადგინდა, რომ სინათლე არის ტალღა, ანუ მოძრაობის გადაადგილება (ანალოგიურად იმისა, როგორც გადაადგილდება ველზე პურის თავთავების მოძრაობის ტალღა ქარიან ამინდში; თუმცა თავთავები ადგილზე რჩებიან). ეს აღმოჩენა უარყოფდა ი. ნიუტონის თეორიას, რომლის თანახმად სინათლე წარმოადგენს მატერიალურ ნაწილაკთა გადაადგილების ნაკადს და არა ტალღას. როგორც ნიუტონის, ასევე იუნგის შეხედულება სინათლის ბუნების შესახებ, მიუხედავად მათი ურთიერთგამომრიცხავობისა, არაერთგზის იქნა ექსპერიმენტულად დადასტურებული. კერძოდ, გარკვეული სიხშირის სინათლის ნაკადს შეუძლია ზოგიერთი მეტალის ზედაპირული ფენებიდან

ამოაგდოს ელექტრონები. ეს ნიშნავს, რომ სინათლე მატერიალურ ნაწილაკთა ნაკადია და არა ტალღა.

ამ ექსპერიმენტებიდან გამომდინარეობდა ის დასკვნა, რომ სხვადასხვაგვარად ჩატარებული ექსპერიმენტები არა მარტო სხვადასხვა თვისებებს ავლენენ, არამედ შეუძლიათ შესასწავლი ობიექტი სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგინონ და ამიტომ –

[129] *ინტერფერენცია – ჯამური ტალღის ამპლიტუდის გაძლიერება ან შესუსტება.*

სინათლე ნაწილაკებიცაა  და ტალღაც. ეს გარემოება სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა მეცნიერულ კვლევათა მეთოდოლოგიაში.

აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით, ნილს ბორმა 1927 წელს ჩამოაყალიბა მეთოდოლოგიური პრინციპი, რომელიც ქვანტურ მექანიკაში **„დამატებითობის პრინციპი“**-ს სახელწოდებითაა ცნობილი[130].

ნ. ბორის დამატებითობის პრინციპის თანახმად, შესასწავლი მოვლენის მთლიანობის ადექვატური აღწერისათვის საჭიროა ორი ურთიერთგამომრიცხავი, დამატებითი ცნებების სისტემები. ეს სისტემები უნდა ეფუძნებოდნენ  საკუთარ კანონზომიერებებს. მაგალითად, სინათლე უნდა განვიხილოთ როგორც ელემენტარულ ნაწილაკთა ნაკადი (ერთი სისტემა) და სინათლე – როგორც ტალღური პროცესი (მეორე სისტემა). ნილს ბორი კატეგორიულად მოითხოვდა არ შეჯამებულიყო ამ

განხილვათა შედეგები რაიმე  ერთიან სურათად, რადგან ეს შედეგები ურთიერთ გამომრიცხავი  ბუნებისა იყო.

ნილს ბორის დამატებითობის პრინციპი აღმოცენდა ქვანტური მექანიკის ირაციონალიზმიდან მისი ვირტუალური ნაწილაკებით, რომელიც ენერგიას ღებულობდა გაურკვევლობიდან, თავისი ქვანტური განუყოფელობით და განუსაზღვრელობის პრინციპით. რაციონალური სამყაროს საძირკველსა და ფესვებს წარმოადგენს ქვანტური მიკროსამყარო. **ამ გარემოებათა საფუძველზე ბორმა დამატებითობის პრინციპი გაავრცელა ფიზიკის ფარგლებს გარეთ: ბიოლოგიაზე, ფსიქოლოგიაზე, ფილოსოფიაზე, პოლიტიკაზე და სხვ.** საფუძვლად კი მიიჩნევდა იმ გარემოებას, რომ ადამიანთა ცოდნის მრავალ სფეროში ერთი და იგივე ფენომენი წარმოდგება ორი ურთიერთდამატებითის სახით. მაგალითად:

ცოცხალი არსება, როგორც ქიმიურ ნივთიერებათა გარკვეული ერთობლიობა და ცოცხალი არსება, როგორც სიცოცხლე;  ცოდნა, როგორც მეცნიერება და ცოდნა, როგორც რწმენა; პრობლემის წვდომა, ერთი მხრივ ლოგიკით, მეორე მხრივ ინტუიციით; მართლმსაჯულება, როგორც სამართლიანობა და როგორც შემწყნარებლობა, საგნის ფორმა და შინაარსი, გონი და გრძნობა და სხვ. „ვინაიდან ფიზიკაში, ამ შედარებით მარტივ და ზუსტ მეცნიერებაში, ცალმხრივი მიდგომით საიმედო პასუხის მიღება შეუძლებელია, ამიტომ იგივეს (დამატებითობას) უნდა მოველოდეთ სხვა მეცნიერებებშიც“[131].

მეცნიერებისა და რელიგიის რაციონალურობა და ირაციონალურობა არის საფუძველი მათი ურთიერთგამომრიცხავობისა. სწორედ ამიტომ, მათი განხილვა უნდა მოხდეს ნილს ბორის დამატებითობის პრინციპით. რაც უფრო მეტია მათი ურთიერთ-

[130] *Бор Н., Избранные научные труды Т.2. М. Наука. 1971. გვ.5.*

[131] *იქვე. გვ. 30.*

გამომრიცხავობა, მით უფრო დიდია მათი მნიშვნელობა სამყაროს მოწყობის ადექვატურ წვდომაში. ნ. ბორის დამატებითობის პრინციპის თანახმად, ურთიერთგამომრიცხავ კატეგორიათა სინთეზი შეუძლებელია და მის ძიებას აზრი არა აქვს.

თანამედროვე ქართულ თეოლოგიურ ნააზრევში დამატებითობის პრინციპი არ მოიხსენიება. როგორც უკვე აღინიშნა, დამატებითობის პრინციპი გამოქვეყნდა 1927 წელს, როდესაც საქართველოში კომუნისტური რეჟიმი იყო რაც თეოლოგიის არსებობას საერთოდ გამორიცხავდა. ამიტომ, კომუნისტურ ეპოქაში დამატებითობის პრობლემა თეოლოგიურ ჭრილში ვერც იქნებოდა განხილული.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კი ჩვენი თეოლოგები არაოფიციალურ საუბრებში მიიჩნევენ, რომ დამატებითობის პრინციპის წამოწევამ შეიძლება გამოიწვიოს დაძაბულობა

მეცნიერებასთან მიმართებაში და უკეთესია მას საერთოდ არ შევეხოთ[132]. ამ პოზიციას ადასტურებს საქართველოში გამოქვეყნებული ნაშრომები მეცნიერებისა და რელიგიის საკითხებზე. სახელდობრ, ინტერნეტში ქართულ საიტებზე წარმოდგენილია 200-ზე მეტი ასეთი შინაარსის პუბლიკაცია[133]. იგივე მდგომარეობაა საპატრიარქოს ჟურნალებში: „კარიბჭე“, „სვეტიცხოველი“, „მართლმადიდებელი საქართველო“, „გზა სამეფო“ და სხვ. ნიშანდობლივია, რომ 2005 წლის 23 მაისს თბილისში, საპატრიარქოს მიერ ჩატარებულ ცნობილ საერთაშორისო კონფერენციაზე „მეცნიერება და რელიგია“ ერთი მოხსენებაც არ შეხებია დამატებითობის პრინციპის თემატიკას. უფრო მეტიც, პუბლიკაციებში მეცნიერებასა და თეოლოგიას შორის ურთიერთობა დამატებითობის პრინციპი საპირისპირო შინაარსით მოიაზრება. ასეთ ვითარებას ხელი შეუწყო ილია ჭავჭავაძის სიტყვის არასწორმა გაგებამ, რომელშიც მეცნიერებისა და რელიგიის საკითხზეა საუბარი. ეს სიტყვა ილია ჭავჭავაძემ წარმოთქვა 1896 წელს იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის (ქიქოძის) დაკრძალვაზე. ჩვენს, ქართულ პუბლიკაციებში ძირითადი აქცენტი უკეთდება სიტყვის იმ ნაწილს, რომელიც თავად ილია ჭავჭვაძეს სავარაუდოდ მიაჩნდა და აღნიშნავდა „სარწმუნოებას (გაბრიელ ქიქოძე. ჯ.ე.) ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა“.

ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა გაბრიელ ეპისკოპოსის სარწმუნოებრივ და მეცნიერულ მოღვაწეობას: „ქვეყანა, ბატონებო, სავსეა ხილულითა და არა – ხილულითა ადამიანის სულიერ და ხორციელ თვალისათვის. ერთი ბრძენისა არ იყოს, „ზოგი საგანია, თუ არ დაინახე, ვერ

*132 ანალოგიური მიდგომაა მაცხოვრის უმნიშვნელოვანესი დარიგებისადმი – „მიაგე კეისარს კეისრისა და ღმერთს ღმრთისა“.*

*133 მეცნიერება და თეოლოგია – www. Google; მეცნიერება და რელიგია – Google.*

ირწმუნებ, და ზოგი კი იმისთანაა, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ". ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთა-სწრაფვა ჩვენი ერთსაც ეტანება და მეორესაც საცნაურად **ორთავ გზით,** და მით უფრო, რაც ადამიანი თვალ-ხილულია და გონებ–გაღვიძებული, ნება – უნებურად ამ ორ სამფლობელოში დადის მოუსვენრად გონება და გული ადამიანისა, რომ იპოვოს ბინა და იქ დაღალული სული შეასვენოს ხოლმე გულთა ძვრისაგან და მსოფლიო ღელვისაგან. ამ ორ სამფლობელოთა შორის შემაერთებელ ხიდსა სწნავს მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთისოფელში, რომლითაც ასე სავსე იყო განსვენებული მღვდელმთავარი და რომელიც, ჩემის ფიქრით, სხვა არა არის-რა, გარდა **მეცნიერებისა და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორიგებისა, ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად**. ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორიც ნიუტონი და სხვანი მისებრნი, ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნებისმეტყველნი.

მთელი მოძღვრება აწ განსვენებული სახელოვანი მღვდელმთავრისა რომ აიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს, რომ **მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება – მეცნიერებისათვის**. პირიქით, იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა **თუ ასე ითქმის**."[134] ეს სიტყვა ქართულ საზოგადოებაში ინტერპრეტირებულ იქნა როგორც მოწოდება მეცნიერულ და რელიგურ შეხედულებათა შერწყმის საჭიროების შესახებ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძის შეხედულება დიამეტრალურად უპირისპირდება დამატებითობის პრინციპს, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

ილია ჭავჭავაძის სიტყვაში ნათლადაა მითითებული შეთანხმების ხასიათზე **„ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად".** ეს ნიშნავს შეთანხმებას დათმობების გარეშე; როდესაც ორივე მხარე ერთმანეთს სცნობს ისეთებად, როგორებიც არიან; შეთანხმება ყოველგვარი **გაწირვის** გარეშე, შეთანხმება ორივე პოზიციის მაღალი ღირებულების აღიარებით, მათ შეთანხმებას პარიტეტულ საფუძველზე. სწორედ ამაში მდგომარეობს ნილს ბორის დამატებითობის პრინციპის ძირითადი არსი.

ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვა, რომელიც ასე ცალსახად ეხმაურება ნილს ბორის დამატებითობის პრინციპს, თავის დიდ შინაარსობრივ დატვირთვასთან ერთად, ძალზე მნიშვნელოვანია კიდევ იმითაც, რომ იგი წარმოთქმულია 31 წლით ადრე, ნილს ბორის პრინციპის გამოქვეყნებამდე.

დამატებითობის პრინციპის გამოყენების საჭიროება გამომდინარეობს განსახილველი ობიექტის შესახებ არსებული შეხედულებების რაობიდან. სახელდობრ, ორ შეხედულებას ერთი ობიექტის შესახებ ვუწოდებთ „დამატებითს" ერთმანეთის მიმართ

[134] *ჭავჭავაძე ი. სიტყვა თქმული გელათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს. წიგნში – ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ტ. I,. ქუთაისი, „ძმობა", 1913. გვ.12.*

მაშინ, თუ ორივე ერთდროულად არც ჭეშმარიტია და არც მცდარი. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება დამატებითობის პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად, ნებისმიერი ობიექტის ადექვატური აღწერისათვის იგი უნდა განხილებოდეს ურთიერთგამომრიცხავი შეხედულების საფუძველზე (ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად) ისე, რომ თითოეული განხილვა ემყარებოდეს ცალკეულად მიღებულ ცნებებსა და განმარტებებს. „მხოლოდ ურთიერთ გამომრიცხავ შეხედულებებზე დამყარებული დასკვნების კომპლექსი მოგვცემს ამომწურავ ინფორმაციას განსახილველი ობიექტის ურთიერთ გამომრიცხავი მხარეების შესახებ".[135]

ბორისეული ამ განმარტების მიხედვით ურთიერთდამატებითი შეხედულებები თანაბრად მნიშვნელოვანია და ღირებული. ამიტომ **არ უნდა ვეცადოთ სარწმუნოების გამეცნიერებას და მეცნიერების გასარწმუნოებას**. უნდა შევურიგდეთ იმას, რომ სამყარო მოწყობილია ურთიერთ გამომრიცხავ თავისებურებათა ერთობლივად მატარებელი ობიექტებით. ავიღოთ, თუნდაც, ადამიანის თავის ტვინის ნახევარსფეროთა ურთიერთ-გამომრიცხავი ფუნქციები: მარცხენა ნახევარსფერო – ცნობიერი, ანალიტიკური და ლოგიკური; მარჯვენა – ქვეცნობიერი, ემოციური და ინტუიციური. გავიხსენოთ ასევე, რომ თავის ტვინის ფუნქციონალური ასიმეტრია მნიშვნელოვნად აფართოებს მის შესაძლებლობებს. ასეთია ადამიანის ფუნქციონალური აგებულება და ამიტომ არ შეიძლება მარცხენა ნახევარსფეროს მოვთხოვოთ მარჯვენის ფუნქციათა შესრულება და პირიქით. ასევე არ შეიძლება მოვთხოვოთ თეოლოგიას ექსპერიმენტული მტკიცებუ-ლებები, ხოლო მეცნიერებას პრობლემის უშუალო წვდომა ჰიპოთეზებისა და აქსიომატიკის გარეშე. ეს სხვადასხვა თვისებების ასიმეტრიული სისტემებია.

ბუნებისმეტყველებაში ცნობილია, რომ შესასწავლი ობიექტის ურთიერთგამომ-რიცხავ თავისებურებათა **ერთდროულად** შეფასების სიზუსტე საკმაოდ დაბალია. ეს დონე რაოდენობრივად განისაზღვრება ვერნერ ჰაიზენბერგის „განუზღვრელობის" პრინციპით. ამ პრინციპის თანახმად

ერთდროულად შეფასების პირობებში ერთი გამომრიცხავი თავისებურების შეფასების სიზუსტის გაზრდა ხდება მეორე გამომრიცხავი თავისებურების შეფასების სიზუსტის შემცირების ხარჯზე. სრული ინფორმაციის მოძიება ერთი თავისებურების შესახებ იწვევს ინფორმაციის სრულ დაკარგვას

მეორის შესახებ. ამიტომ გაშუალოებული მიდგომა, რომელიც წარმოიქმნება თეოლოგიისა და ბუნებისმეტყველების ურთიერთგაშუალოებული მორიგების საფუ-ძველზე, ვერ მოგვცემს საიმედო შედეგს სამყაროს მოწყობის მრავალმხრივი ბუნების გააზრებაში. ბუნებისმეტყველებამ და თეოლოგიამ სამყაროს მოწყობის შესწავლა დამოუკიდებლად უნდა განაგრძოს. ეს დასკვნა არ ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ დიდ მეცნიერთა მნიშვნელოვან ნაწილს ღვთისმორწმუნე ადამიანები წარმოადგენდნენ

[135] *Бор Н., Избранные научные труды Т.2. М. Наука. 1971. გვ 53.*

(ბლეზ პასკალი, ისააკ ნიუტონი, იოჰან კეპლერი, ლუი პასტერი და მრავალნი სხვანი). ჰენრი მორისის ცნობილ გამოკვლევაში[136] დასახელებულია 42 მორწმუნე მეცნიერი, რომელთა ძალისხმევითაც ჩამოყალიბდა თანამედროვე მეცნიერების მთელი რიგი ძირითადი მიმართულებისა.

ღვთისმოსაობა არ ნიშნავს თეოლოგიაში წარმატების ქონას. ეს ნათლად ჩანს თეოლოგიის ენციკლოპედიური განმარტებიდან, თუ მას განვიხილავთ მეცნიერებასთან მიმართებაში: „თეოლოგია ან ღვთისმეტყველება – სწავლება შესახებ ღვთისა და მისდამი რწმენისა. ყველაფერი, რაც პრინციპულად უკავშირდება რელიგიას, წარმოადგენს თეოლოგიის საგანს. მისი მიზანია, მოგვცეს სისტემური ცოდნა ღმერთის და რელიგიური რწმენის განსაგნებულ ჭეშმარიტებათა ირგვლივ და გაამართლოს რწმენა ღვთისა, არსებობა მისი, თვისებები და უმთავრესი ჭეშმარიტებანი რელიგიური აღმსარებლობისა.“[137] დიდ მეცნიერთა მორწმუნეობა მაჩვენებელია მათში მეცნიერების თანაარსებობისა რწმენასთან და არა თეოლოგიასთან.

ბუნებისმეტყველების შესაძლებლობათა შემოსაზღვრულობა და მისი მეთოდოლოგიური იზომორფიზმი თეოლოგიასთან, „დამატებითობის“ და „განუზღვრელობის“ პრინციპების გათვალისწინებით შემდეგი დასკვნის შესაძლებლობას იძლევა:

**სამყაროს მოწყობის თეოლოგიური გაგება არ შეიძლება შეიცვალოს მეცნიერული გაგებით და პირიქით. მათი დამოუკიდებელი გააზრება დამატებითობის თვალსაზრისით ბადებს სამყაროს მრავალმხრივი მოწყობის ადექვატურ გაგებას.** ამდენად „რწმენა და გონი ორი ფრთაა, რომლებზეც ადამიანთა სულები მაღლდებიან ჭეშმარიტების შესაცნობად.“[138]

როგორც აღინიშნა, ურთიერთგამომრიცხავ გაგებათა არსებობა მარტო ბუნებისმეტყველებისათვის როდია დამახასიათებელი. ასეთივე მდგომარეობაა უშუალოდ თეოლოგიაშიც. ამაზე მეტყველებს მსოფლიო რელიგიათა მრავალფეროვნება. ეს მეტად საინტერესო თემაა, რომელიც წინამდებარე წერილის ფარგლებს სცდება.

---

136 *Моррис Г. Библейские основы науки. www.google, Наука и религия, Библейские основы науки.*
137 *ენციკლოპედიური ლექსიკონი, www.google.*
138 *Энциклика папы Иоанна Павла II, “Вера и разум” (Fides et ratio) от 15 X, 1998 г.*

# სარიტუალო პურების ისტორიიდან სვანეთში

*როზეტა გუჯეჯიანი*

სვანეთის ტრადიციული ყოფა საწესო-სარიტუალო პურების დიდი მრავალ-ფეროვნებით გამოირჩევა. ცნობილია, სვანეთში ტრადიციულ ლოცვას (ლიმზირ //ლიმზ²რ) კომპლექსური სახე ჰქონდა და მას აუცილებლად ახლდა მატერიალური შესაწირავები (პური, ზედაშე, სანთელი, ზვარაკი), ლოცვის ტექსტები, საგალობლ-ები//ფერხულები. ლოცვის დასრულების შემდეგ იმართებოდა საერთო ტრაპეზი. შესაწირავის სახეობები მისადაგებული იყო წლიურ საეკლესიო კალენდართან და სხვადასხვა დღესასწაულის ან წმინდანის ხსენების დღესთან. ზვარაკთან, „ლემზი-რებთან“, ზედაშესთან და სანთლებთან ერთად, სარიტუალო პურების ნაირსახე-ობებიც შეიწირებოდა.

კორნელი კეკელიძის აზრით, „სვანეთში შემონახული ლოცვის რიტუალი ჰგავს „ჟამის წირვას“, ქართულ სრულ ლიტურგიას“ (Кекелидзе 1912: 336). მსგავს დაკვირვებას გამოთქვამს ვერა ბარდაველიძეც: სვანური ლოცვის//ლიმზირ-ის „ცნებას უდგება ქართული სიტყვა „წირვა“, ვინაიდან როგორც ეს უკანასკნელი, ისე სვანური – ლიმზირი აღნიშნავდა არა მარტო ლოცვას, არამედ ერთდროულად ლოცვასა და მსხვერპლის მიტანას“ (ბარდაველიძე 1939: 78). გვიანი შუასაუკუნე-ებისა და XIX საუკუნის სვანეთში, რომელიც ქვეყნის დეცენტრალიზაციის, ცაიშისა და ცაგერის ეპარქიების დაშლის შემდეგ, საკუთარი ძალებით ინარჩუნებდა ქართულ სამართალსა და სულიერი ცხოვრების წესს, სულიერი ცხოვრება ხალხური ელფერით იმოსებოდა. ჟამისწირვის ესა თუ ის ელემენტი, აღმოფხვრას კი არ ნებ-დებოდა, არამედ ხალხური საბურველით იფარებოდა და სვანეთის ტრადიციული კულტურის აუცილებელ ნაწილად ყალიბდებოდა. ამ პერიოდში ჩამოყალიბებული ტრადიციული ლოცვის არაერთი ელემენტი ცოცხალია ჩვენს დროშიც.

უმთავრესი პური, რომელიც ლოცვის განუყოფელი ატრიბუტია, ხალხური სეფისკვერია, სვანურად „ლეზირ“-ი, თუმცა ტერმინი „სეფისკვერიც“ შემონახულია სვანეთის ყოფაში. ვერა ბარდაველიძე „სეფისკ ერ//სეფისკვერ“-ს სვანეთის ბევრ თემში ადასტურებს, მაგალითად, უშგულში, ბეჩოში და სხვ. უშგულის მასალით, შობასა და ახალ წელს შუა, უშგულელები მართავდნენ მიცვალებულთა სულების მოსახსენიებელ ხარჯებს, ამ დროს აცხობდნენ დიდი ზომის აფუებულ კვერებს – „სეფისკUერ“-ებს, თითოს ყოველი უშგულელისათვის, რომლებსაც იგი შინ

მიჰქონდათ და დილით უზმოზე შეექცეოდნენ[139] (ბარდაველიძე 1939: 75). ბეჩოში კი „სეფისკვერ“-ს აცხობდნენ კაჲშობის დღეობისათვის (ბარდაველიძე 1939: 89). ახალი წლის დღეობისათვის ცხვებოდა ე.წ. „ფუსნა ლემზირ“-ი, რომლის პარალელური სახელი „სეფისკUერ“-ია და ამით უზმოზე მამაკაცები ეზიარებოდნენ.

ტერმინი სეფისკვერი აუცილებლად მოიხსენიება ლოცვებისას, მაგალითად, ლოცვის ლახამულურ ვარიანტში მეტად საინტერესო კონტექსტია შემონახული, იქ სეფისკვერი არა მარტო იხსენიება, არამედ იგი გაძლიერებულია მისი „იერუსალიმური წარმომავლობითაც“: „ჩემი ლოცვა ოჯალეშის ზედაშის, ირსელანის სეფისკვერის გვარად მიიღე, მადლიანო“ (ბარდაველიძე 1939: 177).

სვანური კილოების უდიდესი სპეციალისტები ვარლამ თოფურია და მაქსიმე ქალდანი „ლემზირ“-ს განმარტავენ, როგორც „სეფისკვერს, შესაწირ პურს“ (თოფურია, ქალდანი 2000).

სარიტუალო პურები (სეფისკევრები//ლემზირები) განსაკუთრებული „წმიდად“ მოწეული, დაფქვილი და შენახული მარცვლეულისაგან ცხვებოდა. სარიტუალო ფქვილი სპეციალურ კიდობანში ინახებოდა და ღვთისმშობლისადმი იყო შეწირული („ლამარიაშ ტაბლა“). ყოველ ოჯახს საუკეთესო ყანის ერთი მონაკვეთი (მდიდარ ოჯახებს კი – მთელი ყანები) სალოცავისათვის ჰქონდა მიძღვნილი და მასზე მოწეული მოსავალი მხოლოდ და მხოლოდ სარიტუალო დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა. ასეთ ყანაში მოყვანილი ხორბალი, ფეტვი, კანაფი, მოგვიანებით, სიმინდიც, როგორც უკვე ვთქვით, სპეციალურ კიდობანში ინახებოდა და მას ოჯახის უფროსი დიასახლისი, შუახნის ასაკს გადაცილებული საპატიო მანდილოსანი[140] განაგებდა.

სეფისკვერი (ლემზირი), სვანეთში, დიოფიზიტური ტრადიციის თანახმად, მოიზილებოდა წყლით, ცომი აუცილებლად საფუვრით უნდა აფუებულიყო და ჰქონოდა მარილი.

სარიტუალო პურები, ძირითადად, ორი დანიშნულებით გამოიყენებოდა – ღვთის შესაწირავად და მიცვალებულთა სულების მოსახსენიებლად. პურების ამ ორ სახეობას სვანურად „საღ რმათ“ (საღმრთო) და „საქვნიშ“ (სულისათვის) ეწოდება. ნებისმიერი სარიტუალო პური აუცილებლად საფუვრით უნდა აფუებულიყო, მსგავსად, სეფისკვერისა.

---

[139] *კაჲშობა ეძღვნებოდა ბეჩოს დასავლეთით, ჩუბეხევის თემში, მაღალ მთაზე აღმართულკაჲშის (ტოპონიმია) მთავარანგელოზის ეკლესიის დღეობას, რომელიც ძვ. სტილით 31 დეკემბერს აღინიშნებოდა.*

[140] *შუახნის ასაკს გადაცილებული ქართველი მანდილოსნის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით იხ. ნ. მინდაძე, ადამიანის სიცოცხლის ასაკობრივი ციკლების ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებანი და ცხოვრების ტრადიციული წესი, ჟ. ჩუბინი, 2, თბ., 2003.*

ლემზირები, როგორც უკვე ითქვა, სეფისკვერის ხალხური ნაირსახეობებია. უმთავრესი ლემზირი მამა ღმერთისადმი შეიწირება, მას ტრადიციულ ყოფაში წინამძღოლი სეფისკვერი – მუჟეღ ლემზირ ჰქვია. წინამძღოლი სეფისკვერის პარალელური სახელია „ფუსნა სეფსკUერ“-ი. „ფუსნა ლემზირ“//„სეფისკUერ“-ი ფუძებრტყელი და ბურთულა კვერია, მრგვალია, მის ზედაპირზე ჯვარია ამოსახული. აღბეჭდილი ჯვარი ზოგ თემში კვერის მთელ ზედაპირზეა გადავლებული, ზოგან კი გამოყვანილია ოთხი თითით კვერის შუა ნაწილის ოდნავი შეზნექის საშუალებით[141] (ბარდაველიძე 1953: 77). ცხვებოდა ჯვრის ფორმის ლემზირიც, რომელიც, ასევე მამა ღმერთს ეძღვნებოდა (ბარდაველიძე 1953: 77-80).

სვნეთის ტრადიციულ ყოფაში დასტურდება შესაწირავი პურების დიდი მრავალფეროვნება, ფორმისა და შიგთავსის, ასევე ფუნქციის მიხედვით.

ზოგიერთი სარიტუალო პური მხოლოდ ოჯახის წვერთათვის ან ლოცვის რიტუალის მონაწილეთათვის იყო განკუთვნილი. მათ სვანურად „უწონაშ“ (სხვისათვის უხილავი) ერქვა.

საწესო პურების ერთ სახეობას „კვანჭილ“//„კUანჭილ“-ები, ან „ანჭი-კუანჭი“ ეწოდება. ეს პურები ცხვებოდა და შეიწირებოდა ბარბალობას, შობას, „წმინდანების სახელით შემონახულ ღვთაებათა“ დღეობებში (ბარდაველიძე 1953; Бардавелидзе 1957; მარგიანი 1973).

XX საუკუნის 90-იან წლებში კვანჭილები, შეიწირებოდა მთელი ბრწყინვალე შვიდეულის მანძილზეც და მის შემდგომ კვირაში (მსგავსად არტოსის პურისა). კვანჭილებს აცხობდნენ გათენებამდე და დილით, მზის ამოსვლამდე შეწირავდნენ. ლოცვის შემდეგ კი ამავე კვერებით გაიხსნილებდნენ.

ვერა ბარდაველიძის დაკვირვებით, „კვენჭილების შეწირვისა და შეწირულით ზიარების რიტუალის წარმოება მაინცდამაინც სისხამ დილით, ბინდის გაყრისას მისი დამთავრება მზის ამოსვლამდე... ნათლად მოწმობენ იმას, რომ ეს რიტუალი და კვერი მთიების კულტის ამსახველი უნდა ყოფილიყო“ (ბარდაველიძე 1953: 88). თუკი ამ რიტუალს ისტორიული განვითარების დინამიკაში განვიხილავთ და ყურადღებას გავამახვილებთ იმ გარემოებაზე, რომ რიტუალის შემსრულებლის მენტალობა დრო-ჟამის შესაფერისად იცვლებოდა და ვითარდებოდა, შეიძლება დავუშვათ, რომ არქაული მთიების კულტის ასეთი ცოცხალი სახით არსებობა XXს-ის 30-იანი წლებისათვის, ნაკლებ სავარაუდოა. ვფიქრობ, ამ რიტუალის შემსრულებელთა მენტალობაში, კვერის შეწირვისა და შემდეგ ამავე კვერით უზმოზე გახსნილების წესის დამკვიდრება, სეფისკვერისა და არტოსის პურის გახალხუ-

---

*[141] „ფუსნა ლემზირ“-ის//„სეფისკUერ“-ის გრაფიკული გამოსახულება მოცემულია ვერა ბარდაველიძის ნაშრომებში (ბარდაველიძე 1953: 77), ხოლო კვერის მულაჟი ინახება ეროვნული მუზეუმის ეთნოლოგიის განყოფილებაში.*

რებული აღქმის შედეგია. მით უმეტეს, რომ წარმოქმნილი ასოციაციური მსგავსება უაღრესად ნათელი და გამჭვირვალეა: ცნობილია, რომ, საეკლესიო სწავლებით, სასურველია მორწმუნეს შინ მუდამ ჰქონდეს ნაკვეთი სეფისკვერი, რომელიც ჟამისწირვის შემდეგ ურიგდებათ მორწმუნეებს როგორც ევლოგია[142] (კურთხევა), ნაწილს იქვე მიიღებენ, თუ კი უზმოდ არიან, ნაწილი კი შინ მიაქვთ, მცირე ნაწილებად ჭრიან და ყოველ დილით საუზმემდე ნაკურთხ წყალთან ერთად მიიღებენ (სეკ 1994: 410).

ენათმეცნიერ გ. როგავას დაკვირვებით სვანური „კვანჭ“-ი და ზანური „კვანჯ“-ი ქართული „კვარის“ კანონზომიერი შესატყვისობებია (როგავა 1990: 79-80). ე. ჭკუასელის აზრით, მთელ საქართველოში იკვეთება კვერ-ძირის მქონე პურთა საკრალური მნიშვნელობა. კვერ-/კვარ-/კვანჯ-/კუანჭ-ილ-/კუჭ-ალ-ძირების სემანტიკურ-ფონოლოგიური კავშირიც თვალსაჩინოა (ჭკუასელი 2014).

ვვრაუდობ, რომ „კვანჭილ“//„კՍანჭილ“-ები სეფისკვერის პაგანიზებული ნაირ-სახეობებია.

„კვანჭილ“//„კՍანჭილ“-ების ფუნქციურ დატვირთვა მსგავსია არტოსის პურის მიღების ტრადიციისა. ცნობილია, რომ აღდგომიდან მთელი ბრწყინვალე შვიდეულის მანძილზე ეკლესიაში კანკელის წინ მდგარ მაგიდაზე წმინდა პური (არტოსი) დევს, იგი ამ დღეებში მადლით იმოსება. აღდგომის სწორზე არტოსს მცირე ნაწილებად ჭრიან და მორწმუნეებს ურიგებენ. მორწმუნეები, თავის მხრივ, ამ ნაჭრებს უფრო მცირე ნაწილებად ყოფენ და მთელი წლის განმავლობაში, ავადმყოფობის ან განსაცდელის ჟამს, უზმოზე მიიღებენ, ვითარც სულიერ წამალს (სეკ 1994: 410). ცნობილია, რომ სვანური ეთნოგრაფიული მასალითაც, ლოცვის (ლიმზირის) დროს ეკლესიაში მოტანილი, შეწირული კვერების ნაწილი (ლოცვის შემდეგ) მლოცველებს უკანვე მიაქვთ და შინ, უზმოზე იხმევენ.

განსაკუთრებით ბევრი წვრილი ფორმის ლემზირი შეიწირებოდა მზგეფსის დროს, რომელსაც სვანურად „იარუნენსგა“ (ორთაშუა) ეწოდება. მაგალითად, ცხუმარის თემში, ისევე როგორც სხვა სოფლებში ბალსქვემოთ, „იარუნენნსგა-ს განმავლობაში ყოველდღიურად მართავდნენ ლიმზურ-ებს. თვითეულ ოჯახში გამოაცხობდნენ ბლომად ლემზირს და სადილის წინ შესწირავდნენ მათ სვანეთისა და მეზობელი კუთხეების სალოცავებს. პირველად თავის სოფლის სალოცავებს მოიხენიებდნენ, შემდეგ მახლობელი სოფლებისას; როდესაც ბალს-ქვემოთა სალოცავების მოხსენებას მორჩებოდნენ, ბალს-ზემოურებზე გადავიდოდნენ, შემდეგ ქვემო-სვანეთის სალოცავებს ჩამოჰყვებოდნენ და ბოლოს ლეჩხუმის, სამეგრელოსა

[142] *ევლოგია, დიდი სჯულისკანონის თანახმად „ნაკურთხი პურია“ (იხ. დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ვ. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975, გვ. 565.*

და აფხაზეთის ეკლესიების ხსენებით დაამთავრებდნენ. თავის სოფლის და მახლობელი სოფლების ხატებს სათითაოდ ჩამოთვლიდნენ და თვითეულ მათგანს სამ-სამ ცალ ლემზირ-ს შესწირავდნენ, ხოლო დანარჩენების მიმართ ან თვითეული სოფლის მთავარ სალოცავს ახსენებდნენ და ან ზოგადად მოიხსენებდნენ – ამადამ სოფლის სალოცავებს დიდებაო. შესაწირავი ლემზირები ყველა ლამარიაშ ტაბლაშ-ისაგან იყო გამომცხავრი და როგორც ეს ფქვილი, ისე ლემზირ-ები უწონაშ-ი იყო – მათ ისე გამოაცხობდნენ, შესწირვდნენ და შესჭამდნენ, რომ ოჯახისათვის უცხო პირებს არ აჩვენებდნენ და არც აგემებდნენ“ (ბარდაველიძე 1939: 62).

ბესარიონ ნიჟარაძის ინფორმაციით, შესაწირავი კვერების გარკვეულ სახეობას „კირკადოლ“-ი (გორგალი) ჰქვია. კირკადოლებს „ოჯახი თავის წევრთა შორის გაინაწილებს და ყოველ კვირა დილას... მიიღებს როგორც ევლოგიას... სჭამენ ხელპირდაბანილნი...“ (ნიჟარაძე 1973: 74-75). ზემოთაღწერილი რიტუალი გრძელ-დება მთელი დიდმარხვის განმავლობაში (ნიჟარაძე 1973: 74-75)..

სარიტუალო პურები სხვადასხვა მასალისაგან მზადდებოდა: უმეტესად ხორბლის ფქვილისაგან, მაგრამ, ზოგიერთ შეთხვევაში საწესო პურს გულსართიც ჰქონდა (მარხვისას – კანაფის მარცვლის ფქვილგარეული, დანაყილი ნიგვზის გულსართი... ხსნილში – ყველის გულსართი); ზოგიერთი დღეობის სარიტუალო პური ფეტვის ან სიმინდის ფქვილისგან ცხვებოდა.

იანობის დღეობისათვის, რომელიც 9 (22) დეკემბერს აღინიშნებოდა, სვანეთის ზოგიერთ თემში, ოჯახებში უქმობდნენ და ფეტვის ან სიმინდის კვერებს აცხობდ-ბენ, იან მადლიანის სახელზე ლოცულობდნენ. რიტუალი ვერა ბარდაველიძის აზრით, დღეობა „ჲან დეცეშ“-ს – იონა წინასწარმეტყველს ეძღვნება და მასში იკვეთება წინარექრისტიანული რიტუალი, რომელიც ფეტვის ღვთაებას უკავშირდება (ბარდაველიძე 1951: 51-66). ნინო აბაკელიას აზრით კი, „იანობა“ მართალი ანასადმი მიძღვნილი დღეობაა (აბაკელია 1991: 25-31). ამავე დღეებში, ლახამულის თემში სიმინდისა ან ფეტვის „ლემზირებით“, ხოლო ეცერში სიმინიდსა და ყველისაგან დამზადებული „ჭიშდვრებით“ ლოცულობდნენ.

სვანეთში არსებობდა სარიტუალო პურების დაჭვრეთის//დაბეჭდვის ტრადი-ციაც. მორწმუნე მოსახლეობა გვიან დრომდე იყენებდა სპეციალურ საბეჭდავებს, რომლებიც, ზოგადად, არსებობდა მთელ საქართველოში და მსოფლიოს მრავალ ეთნიკურ კულტურაშიც.

სარიტუალო პურის „დაბეჭდვის“ სვანეთში არსებული ტრადიციის შესახებ სამეცნიერო საზოგადოებას პირველ ინფორმაციას ცნობილი მოღვაწე, თავადი თათარყან დადეშქელიანი აწვდის. თავადმა დადეშქელიანმა 1909 წელს ეცერის თემიდან ექვთიმე თაყაიშვილს თბილისში გამოუგზავნა ხის ნივთი ე.წ. „დასტაგი“ და სტატია „შენიშვნა შესახებ სიტყვისა „დასტაგისა“. თათარყან დადეშქელიანის

სტატია გამოქვეყნდა მისი გარდაცვალების შემდეგ „ძველი საქართველოს“ II ტომში 1913 წელს. სტატიას ახლავს ამ ნივთის ფოტო და სარედაქციო მინაწერი: „აწ განსვენებულმა ცნობილმა მამულიშვილმა თავადმა თათარხან დადეშკელიანმან საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს გამოუგზავნა პატარა ხის ნივთი, მოგრძო და ოთხკუთხედი, ორ გვერდზე ლამაზი ჩუქურთმა აქვს ბაწრის მსგავსი და ორ გვერდზე ჩაღრმავებულია, თავში ოთხი პატარა სვეტი უზის, ბოლო პრტყელი აქვს ჯვარედინის ხაზებით... თავადმა წერილით გვაცნობა, ამ ნივთს ქვემო სვანეთში[143] დასტაგი ჰქვიაო და ქალები დღესაც ხმარობენ პურის დასაბეჭდავათო“ (დადეშქელიანი 1913: 139). თათარყან დადეშქელიანის სტატიაში გაანალიზებულია „ქართლის ცხოვრების“ ერთი ეპიზოდი (სარკინესთან გამართული ბრძოლა), ხოლო პურის საბეჭდავი მხოლოდ შენიშვნაში იხსენიება: „ჩემგან გამოგზავნილ დასტაგს ახლა ხმარობენ... დასავლეთ სვანეთის სოფლებში; სხვაგან მე არ მინახავს, და ხმარობენ მარტო ორ დღეს წელიწადში გამოცხობილი პურის დასაბეჭდავად, მსგავსად სეფისკვერისა“ (დადეშქელიანი 1913: 143). სამწუხაროდ, ავტორი არ აკონკრეტებს ამ ორ დღეს, მაგრამ გვთავაზობს ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო დაკვირვებას, რომ პურის საბეჭდავს სვანეთში იყენებდნენ სეფისკვერის „ბეჭდვის“ წესის ანალოგიით.

თათარყან დადეშქეიანის მიერ გამოგზავნილი ნივთის მსგავსი რამდენიმე ექსპონატი დაცულია მესტიის მუზეუმში, სადაც მათ „დაგი“-ს უწოდებენ. ტერმინი „დაგი“ იხსენიება ლიფანალის ციკლის დროსაც (სულთა მოხსენიების კვირეული სვანეთში, იწყება განცხადების//ნათლისღების წინა საღამოს და სხვადასხვა ხანგრძლივობისაა). ამ დღეებში ნახშირით სახეს იხატავდნენ, აკვნის ბავშვებს შუბლზე ჯვარს გამოსახავდნენ და ამ პროცესს „ლითგენი”//„დაგი” ერქვა (ბარდაველიძე 1953: 250). ტერმინის ანალიზი ქვემოთ იქნება წარმოდგენილი.

პურის სვანურ საბეჭდავს აღწერს ნიკო მარიც. მან 1911 და 1913 წლებში იმოგზაურა სვანეთში, სადაც მეცნიერს თავად თათარყან დადეშქელიანის ძმა თავადი ოთარი მასპინძლობდა, ვინაიდან თათარყანი უკვე გარდაცვლილი იყო[144].

ნიკო მარი, სხვა საინტერესო ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად, სარიტუალო პურების საბეჭდავის აღწერილობასაც გვთავაზობს: „პურებს ბეჭდავენ ხის ოთხკუთხა მტკაველის სიგრძის მქონე დაფით. ამ ინსტრუმენტს ამჟამად ეცერში ეძახიან „ლადგი“-ს, ძველად კი ზოგიერთი ეცერელის მონათხრობით, მას „დასტაკ“-ს[145] (Марр 1913: 9).

---

[143] *იგულისხმება ზემო სვანეთის ე.წ. ბალსქვემო ნაწილი.*

[144] *თავად დადეშქელიანთა ამ შტოს რეზიდენცია ეცერის თემში, სოფელ ბარშში მდებარეობს, ანუ იმ სოფელში, საიდანაც იქნა გამოგზავნილი „დასტაგი“.*

[145] *როგორც ამ ნაშრომიდან ჩანს, ნიკო მარი, არ იცნობს თათარყან დადეშქელიანის სტატიას.*

პურის სვანურ ტვიფარს ვერა ბარდაველიძე „საჭვრეთ“-ს და „ბეჭდარ“-ს უწოდებს და ამ საკითხზე საუბრობს ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშების აღწერისა და გაანალიზების კონტექსტში: „ჩვენი ტაბულების (XVIII ტაბულის 5-6 ნახატი) ნახატებს რიტუალური კვერების საჭვრეთი (ბეჭდარ) ეწოდება. მაგრამ თვით გამოსახულებიანი – წინწკლების რგოლები და მათ ცენტრში თითო წინწკალი, მთელ საჭვრეთს კი არ წარმოსახავს, არამედ საჭვრეთის იმ ნაწილს, რომლითაც რიტუალური კვერების დაჭრელება ხდებოდა“ (ბარდაველიძე 1953: 51), რადგანაც „საჭვრეთი“ რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა და ყოველ ნაწილს თავისი დანიშნულება ჰქონდა. 1957 წელს გამოცემულ რუსულენოვან წიგნში კი ვერა ბარდაველიძე უშუალოდ საბეჭდავს, ხის ტვიფარს ახსენებს: „სვანების ძველ ყოფაში შემონახულია ხის ტვიფარები (штампы), რომლებიც განკუთვნილია სარიტუალო პურებისათვის, მათ შორის არის სპირალის გამოსახულებიანი ტვიფარიც“ (Бардавелидзе 1957: 143).

საბეჭდავებს კაცობრიობის ისტორია უძველესი დროიდან იცნობს (ლორთქიფანიძე 1969: 1). უძველესი საბეჭდავები ძირითადად თიხისაგანაა დამზადებული, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ხის საბეჭდავებიც არსებობდა და მათ ჩვენს დრომდე მასალის სიმყიფის გამო ვერ მოაღწიეს (ლორთქიფანიძე 1969: 13). წინაქრისტიანული ხანის საბეჭდავები აღმოჩენილია საქართველოშიც. ადრეული საბეჭდავები გამომწვარი თიხისაა, შემდეგ მათ რბილი ქვები ცვლის, თავის იჩენს ბრინჯაოს საბეჭდავებიც (Бардавелидзе 1957: 62).

ადრეული ხანის საბეჭდავები აღმოჩენილია სვანეთშიც სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის მიერ (ჩართოლანი 1976: 9).

ადრეული შუასაუკუნეებიდან, ცხადია, წინაქრისტიანული პურის საბეჭდავი ხმარებიდან გამოდის და მას სეფისკვერის ყალიბები ცვლის. სეფისკვერისა და ევლოგიის კვერის ტვიფარები ასახავს იმ ცნობილ პროცესს, როდესაც საქართველოს ეკლესიებში, ტრადიციულად არსებულ წმიდა იაკობის ანუ სირიულ-პალესტინურ ლიტურგიას, XI საუკუნის პირველი ნახევრიდან თანდათანობით ბიზანტიური ანუ იოანე ოქროპირის ლიტურგია ცვლის (ჯობაძე 1980; ჯობაძე 1979; ჯობაძე 2001; ხავთასი 1998; ღამბაშიძე 1998)[146].

---

[146] *ვახტანგ ჯობაძე რამდენიმე ნაშრომში საუბრობს სეფისკვერის ყალიბებზე და მათ ადარებს ანტიოქიის ქართული მონასტრების არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ სეფისკვერისა და ევლოგიის კვერის ტვიფარებს (ჯობაძე 1979; ჯობაძე 2001). ამავე თემას ეხმაურებიან სხვა ქართველი არქეოლოგებიც, მაგალითად, რუსთავში აღმოჩენილი VI-VIII საუკუნეების ევლოგიის საბეჭდავის ანალიზის დროს (ხავთასი 1998). დაღესტანში ნაპოვნი, X-XI საუკუნეებით დათარიღებული სეფისკვერის ქართულწარწერიანი საბეჭდავის შესახებ მსჯელობს გივი ღამბაშიძე (ღამბაშიძე 1998) და ა.შ.*

გარდა ოფიციალური, საეკლესიო სეფისკვერისა და ევლოგიის კვერის ტვიფარ-საბეჭდავებისა, ქართულ ყოფაში შემონახულია გვიანი შუა საუკუნეების, ასევე XIX ს-ისა და თვით XXს-ის დასაწყისის სარიტუალო პურების ხალხური საბეჭდავებიც, რომლებიც ერთმანეთისაგან ფორმითა და ორნამენტით, ასევე მასალით განსხვავდება, მაგრამ ყველა მათგანის დანიშნულება რიტუალური პურების „დაჭვრეთა“ //„დაბეჭდვაა“.

სარიტუალო პურებთან დაკავშირებით (კვერები, სამეკვლეო, განატეხი, ქადა, გოგა...) მდიდარი ეთნოგრაფიული ლიტერატურა მოგვეპოვება. ეთნოგრაფთა ნაშრომებში აღწერილი და გაანალიზებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი საწესო პურები, მათი „დაჭრელების“, „დაჭვრეთის“, „დაბეჭდვის“, გამოძერწვის ხალხური მეთოდები. შესწავლილია ამ რიტუალების ჩამომყალიბებელი რწმენა-წარმოდგენები და თანმხლები წეს-ჩვეულებები[147].

სავარაუდოა, რომ სვანეთის ტრადიციულ ყოფაში შემონახული „დასტაგი“ //„დაგი“//„ლადგი“ ლიტურგიკული სეფისკვერის ბეჭდვის ანალოგიითაა გაჩენილი და ამ ნივთის გამოყენება ტრადიციულ ყოფაში საეკლესიო სწავლების გახალხურების შედეგია[148], მით უმეტეს, რომ ეს დაკვირვება გაკვრით უკვე გამოთქმული აქვს სვანეთის ყოფის შესანიშნავ მცოდნეს თათარყან დადეშქელიანს (დადეშქელიანი 1913: 143).

რასაკვირველია, გაქრისტიანების შემდეგ არსებული სეფისკვერის საბეჭდავი ყალიბის სულიერი არსი და დანიშნულება მკვეთრად განსხვავდებოდა არქაული პერიოდის მსოფლაღქმისაგან. ბუნებრივია, ახალი რელიგიური თვითშეგნების გაჩენის შედეგად, ადამიანთა ცნობიერებაში ხდება ყოველი თემის და სიმბოლოს

---

[147] *ვ. ბარდაველიძის ნაშრომების გარდა იხ. მ. ხიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რკინის ხანაში, თბ., 1982; ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღესასწაულები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1991; ფ. გარდაფხაძე-ქიქოძე, ქართული ხალხური დღეობები (რაჭა-ლეჩხუმი), თბ., 1995; ჯ. რუხაძე, ზოგიერთი აგრარული წეს-ჩვეულება XIX ს-ის დასავლეთ საქართველოში, მსე, ტ. XIV, თბ., 1968; ნ. მაჩაბელი, მინდვრის სამუშაოებთან დაკავშირებული რიტუალური კვერები, მსე, ტ.XXI, თბ., 1981; დ. გიორგაძე, დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, თბ., 1987; ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1993; ნ. ბრეგაძე, რიტუალური ნამცხვრების ისტორიისათვის, „ანალები“, №1, თბ., 1999; ნ. მინდაძე, ნ. აბაკელია, სამცხე-ჯავახეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში და გ. გოცირიძე, კახეთის 1987 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში წიგნში „საველე-ეთნოგრაფიული ძიებანი“ (1986-1987წწ.), თბ., 1990; ნ. ღამბაშიძე, ახალწლის დღეობათა ციკლი აღმოსავლეთ საქართველოში (ერწო-თიანეთი), თბ., 2004; ქ. ალავერდაშვილი, ზოგიერთი რიტუალური პურის სიმბოლიკა ახალწლის ციკლის დღესასწაულებში ქართული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით (სვანეთი), კრ. „ოჩხარი“, თბ., 2002; ე. ნადირაძე, ჯვრის ქრისტიანული ბუნებისათვის, ჟ. რელიგია, №7-8-9, თბ., 1996 და ა.შ.*

[148] *რაჭულ სარიტუალო პურთან – „განატეხთან“ დაკავშირებით მსგავს დასკვნას გვთავაზობს ნ. აბაკელია (აბაკელია 1999: 11).*

გადააზრება ქრისტიანული მსოფლმხედველობის შესაბამისად და ამა თუ იმ მთავარ იდეას და საგანს ახალი მნიშვნელობა ენიჭება, თუნდაც იმავე იდეის და საგნის ფარგლებში.

უძველესი, არქაული ხანიდან მოყოლებული, ვიდრე XX საუკუნის 30-იან წლებამდე, საქართველომ ისტორიის სხვადასხვა ეტაპი განვლო, მათ შორის, ქრისტიანობის ხანგრძლივი მონაკვეთიც. ამიტომ, ვფიქრობ, სვანური სარიტუალო პურების საბეჭდავები ქრისტიანული მსახურების პაგანიზაციის ნიმუშებია. ამ მხრივ სვანეთის ყოფა მსგავსია საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში შემონახული ტრადიციებისა და ზოგადად, მსოფლიოს ქრისტიანული ქვეყნების ტრადიციებისა. სეფისკვერის ყალიბის ანალოგიით გაჩენილი ხალხური პურის საბეჭდავი ტვიფარები ცნობილია მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ეს ყალიბები ვრცელ ქრონოლოგიურ მონაკვეთს მოიცავს. არის ადრეული ხანის ხალხური საბეჭდავებიც – V-VI საუკუნეებისა; საშუალო საუკუნეების ყალიბები და თანამედროვე ტვიფარებიც. მაგ., ტიბერიასის გათხრების შედეგად აღმოჩენილ ყალიბებზე გამოსახულია... დიაგონალური ჯვრები, ხოლო კეფარ ბარამის ყალიბის ფრაგმენტზე (ზემო გალილეა) ჯვრის მხრებს შორის ჩანს მზის სხივების გამოსახულება, ეს ფრაგმენტიც ბიზანტიურ პერიოდს მიეკუთვნება (Feig 1994: 591-594) და ა.შ.

საყურადღებოა ლიტურგიკული პურის ყალიბების უდიდესი სპეციალისტის გ. გალავარისის აზრი, რომ სეფისკვერების ტვიფრებთან მიმართებაში ნაკლებმნიშვნელოვანია მათი ქრონოლოგია, რომ ამ ყალიბებს არ გააჩნიათ ქრონოლოგიური დატვირთვა, ვინაიდან, ხშირად არქეოლოგიური გათხრებისას ყალიბი გამოყენების ადგილის ნაცვლად, მისგან საკმაოდ მოშორებით, სხვაგან არის ნაპოვნი. ამის მიზეზს მკვლევარი პურის ყალიბების გამომყენებელთა მენტალობაში ეძიებს, რომელთათვისაც ყალიბი წმინდა, საგვარეულო ნივთის აზრობრივ დატვირთვას ატარებდა, რადგანაც იგი ტრადიციულად საკრალურ ნივთად მიიჩნეოდა. ხანდახან კი, მოსახლეობა ორიგინალის იმიტაციას ქმნიდა და ორიგინალის ნაცვლად მას იყენებდა (ალავარის 1970: 21).

თათარყან დადეშქელიანის მასალით „დასტაგით“ პურს წელიწადის ორ დღეს ბეჭდავდნენ (დადეშქელიანი 1913: 143), ნიკო მარის ინფორმაციით კი სვანები საბეჭდავს ბევრ დღესასწაულზე იყენებდნენ. იგი ამ „ნაბეჭდ“ პურებს ორ ნაწილად ყოფს: 1. სადღესასწაულო, საზეიმო, სალოცავად შესაწირ პურებად (სვანურად „საღ რმათ“ – საღმრთო) და 2. მიცვალებულთა სულების მოსახსენიებლად, შესანდობად ნაკურთხ პურებად (სვანურად „საქვნიშ“ – სულისათვის). სადღესასწაულო პურებს აცხობენ ყველა დიდ საუფლო დღესასწაულზე, მიცვალებულთა მოსახსენიებლად განკუთვნილ პურებს კი – მარიამობას („ლიმრიე“), ნათლისღებას (განცხდაზ), აღდგომის II დღეს („ლიჯგრი“ – კურთხევა), სულთმოფენობის წინა

შაბათს, ახალი წლისა და ნათლისღების შუა პერიოდში (Марр 1913: 8-9). ჩვენს მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალაც იდენტურია, თუმცა, ცხადია, ეს მასალა უფრო მწირია, ვინაიდან მთხრობლები თვითონ უკვე აღარ ასრულებენ პურების „დაბეჭდვის“ რიტუალს, ისინი ნანახს იხსენებენ. მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს რიტუალური პურების „ლემზირების“ცხობის ტრადიცია, ლემზირს უკეთებენ ოთხ ქიმს ან მასზე ამოკვეთენ ჯვარს ან „აჭრელებენ“. შემონახულია, აგრეთვე, ნაძერწი რიტუალური პურების ტრადიციაც.

ე.ი. შესაწირავის სახეობა განსაზღვრავდა „დაბეჭდვის“ წესს და ყოველმა მთხრობელმა იცოდა „დასტაგი“//„დაგი“//„ლადგი“-ს ამა თუ იმ ნაწილით ან ორნამენტით რომელი პური უნდა დაბეჭდილიყო. „საღმრთო“ პურებს ბეჭდავდნენ ორნამენტით (რომბების, ჯაჭვი, კვადრატებისაგან შემდგარი დიაგონალები, მზის, ბორჯღალის გამოსახულებები და ა.შ.), მიცვალებულთა მოსახსენიებლად განკუთვნილ პურებს კი, საბეჭდავის იმ ნაწილით ტვიფრავდნენ, რომელზეც მხოლოდ ჯვარი იყო გამოსახული, მსგავსად საეკლესიო მიცვალებულთა მოსახსენიებელი სეფისკვერებისა.

სვანური პურის საბეჭდავის „დასტაგი“//„დაგი“//„ლადგი“-ს ლიტურგიკული პრაქტიკიდან მომდინარეობას ადასტურებს ტერმინოლოგიაც. როგორც უკვე ითქვა, შემონახულია, პურის საბეჭდავის რამდენიმე პარალელური სახელი: „დასტაგი“, „დაგი“, „ლადგი“. თათარყან დადეშქელიანის განმარტებით, „ენგურის ხეობის სვანეთის დასავლეთის სოფლებში ახლაც ხმარობენ სტაგიდან[149] ქმნილ სიტყვებს: და-სტაგ=დასტაგი, ლა-სტაგ-ი=სა-სტაგ-ისი, ლი-სტაგ-ი=და-სტაგ-ვა, ნა-სტაგ-ვ=ნა-სტაგ-ევი და სხვა. სიტყვებიდან ჩანს, რომ სტაგი რამე საგნის სანიშნოს – კუთვნილებას შეადგენს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყოველ საგანს თავისებური დასტაგი აქვს“ (დადეშქელიანი 1913: 142-143). ნიკო მარის აზრით, „დასტაკი ირანული წარმოშობის სიტყვაა, ხელის მტევნის მნიშვნელობით“ (Марр 1913: 9), სულხან-საბა ორბელიანი სტაგ-ს განმარტავს, როგორც „რუს სათავეს“ (ორბელიანი 1993:110). იმავე თათარყან დადეშქელიანის ცნობით, „იმერეთის კუთხეებში, სადაც ჯერ არ არის დავიწყებული ძველი სახელწოდება, წისქვილის წყლის... გადმოსაშობ ფიცარს, ანუ გათლილ ქვას უწოდებენ დასტაგს“ (დადეშქელიანი 1913: 143). ანდრო ლეკიაშვილის მასალით „დასტაგი“ ქართული ხალხური ღვინის წნეხების ქართლური ტერმინია (ლეკიაშვილი 1963: 123). და ა.შ. მიუხედავად მრავალფეროვანი დეფინიციებისა, შეიძლება დავასკვნათ, რომ „დასტაგი“//„დასტაკი“ აზრობრივად „ნიშნის დადებას“, „აღბეჭდვას“, „დაწნეხვას“ გულისხმობდა. რაც შეეხება, „დაგი“-ს და „ლადგი“-ს, აქ ასოციაცია ლიტურგიკულ პრაქტიკასთან მეტად თვალსაჩინოა, ვინაიდან ძველ-

[149] *სტაგი შესაძლოა ბერძნული წარმომავლობის ფუძე იყოს.*

ქართულად შენაწირ, ეკლესიაში მიტანილ, მიძღვნილ პურს „დაგების პური“ ეწოდებოდა. იხ. ბიბლიის ლექსიკონი: „პური დასაგებელი (დაგების პური), „ტაბლა დასაგებელი პურისათვის“ (ბლ 2000: 24). ხოლო ხელოვნებათმცოდნე ხ. კაპანაძის ნაშრომის თანახმად, რომელშიც განხილულია სამკვეთლოს თავდაპირველი ფუნქციური დანიშნულება, „სამკვეთლოს შეიძლება სადაგებო ვუწოდოთ, რომელიც შენაწირავისათვის (დაგების პურის მისაღებად) გამოიყენებოდა“ (კაპანაძე 2002: 58-59) და როგორც ვხედავთ, იგი ამავე აზრობრივი დატვირთვით შემოგვენახა სვანურშიც.

ამრიგად, ერთი კონკრეტული ეთნოგრაფიული ნივთის („დასტაგი“ – „დაგი“ – „ლადგი“) გაანალიზების კონტექსტში, შევეცადეთ, წარმოგვეჩინა სვანეთის ტრადიციულ ყოფაში ბოლო დრომდე შემონახული რიტუალური პურების „დაბეჭდვის“ წესები, მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და მენტალური მახასიათებლები, რომლებიც, სავარაუდოდ, ქრისტიანული სწავლების, ლიტურგიკული პრაქტიკის გახალხურებული ფორმებია, გამომდინარე ობიექტური ისტორიული გარემოებებიდან.

ჩვენი დროისათვის, ლემზირი, ძირითადად, მომცრო ზომისაა, მისი ოთხივე მხარეს, ჯვრის სიმბოლიკის მიხედვით, არის მონიშნული ქიმით. ხშირად, მაგალითად, ბალსქვემოთ, ლემზირზე ჯვრის სიმბოლურ გამოსახულებას ოთხივე მხარეს ჩანგლის ანაბეჭდით ტვიფრავდნენ, ან სამი თითის დადებით.

გარდა ლემზირებ-ისა, სარიტუალო პურების ნაირსახეობას ქმნიდა ყველისგულიანი, დიდი ზომის პურიც – „ლესკარ“. „ლესკარ“-ი ცხვება ხსნილის დროს, მაგალითად „პარპულაშის“ (პეტრე-პავლობის) დღეობაზე. ეცერის თემში პეტრე-პავლობის დღესასწაულს „გეშლარ“-ის სალასკარო ჯგუფი აღნიშნავს დიდი დღეობით (სოფლები: ჭელირი, ბარში, ქურაში), მორიგეობით ამ სამი სოფლის ეკლესიებთან. ზვარაკის შეწირვით, ზვარაკის გულ-ღვიძლით, სეფისკვერებით, სანთლებით, ზედაშითა და ლესკარებით ლოცულობენ. ლესკარი ყოველ ოჯახს ერთი ცალი გამოაქვს. ლესკარი დიდი ზომისა და მრგვალი ფორმის ხაჭაპურია. ის სკარის, ანუ სოფლის საკრებულოსათვის არის განკუთვნილი. ლოცვის დასრულების შემდეგ გამართულ ტრაპეზზე ლაგდება შესაწირავი. ზვარაკის მოხარშული ხორცის, ლემზირებისა და ლესკარის თითო ნაჭერი ყოველ შემწირველს, უკან, თავის ოჯახშიც მიაქვს და მეორე დილით ამ შესწირავით იხსნილებენ.

როგორც ვხედავთ, სვანეთის ტრადიციულმა ყოფამ შემოინახა ლიტურგიკულ სეფისკვერთან (ევლოგიის კვერთან, არტოსის პურთან) დაკავშირებული ტერმინოლოგია და ყოფაში გადაიტანა მისი ხალხური ანალოგიები (ლემზირ, „სეფისკႨერ //სეფისკვერ, კႨანჭილ//კვანჭილ...), რომელთაც თავისი ადგილი დაიკავეს მოსახლეობის რელიგიურ ცხოვრებაში და რომლებიც საეკლესიო ღვთისმსახურების (ლიტუ-

რგიკის) კლასიკურ ფორმას მოკლებული მრევლის სანუგეშოდ ჩამოყალიბდნენ ლოცვის და ჟამისწირვის ამგვარი ინოვაციური სახით და ფორმით.

არათუ ძველად, არამედ ჩვენს დროშიც, ყოველი დიდი „ლიმზირი“-დან (ლოცვიდან, საეკლესიო დღეობიდან) მობრუნებულ მლოცველს, შინ მოაქვს შეწირული, „ნაკურთხი“ პურების – „სეფისკვერ“//„ლემზირ“-ების ნაწილი და მათ ოჯახის წევრებს ურიგებს. ხოლო განსაკუთრებული მასშტაბურობით გამორჩეული დღეობებიდან, მაგალითად, „კვირიკობიდან“ უკან, თავის თემში დაბრუნებული მლოცველი, „ლემზირ“-ს ძალიან პატარა ნაჭრებად ჭრის და მთელ სოფელს ჩამოურიგებს, როგორც დიდ სიწმინდეს.

ამრიგად, გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ სვანეთის ტრადიციულ ყოფაში არსებული და ჩვენი დროისთვისაც ცოცხალი სარიტუალო პურები, დანიშნულებისა და მნიშვნელობის მიხედვით, საეკლესიო სეფისკვერების, ევლოგიისა და არტოსის პურების პაგანიზებული ფორმებია. ამავე კონტექსტშია განხილული სარიტუალო პურების საბეჭდავი ყალიბების არსი და ფუნქცია. ვფიქრობ, რომ სვანური საწესო პურის საბეჭდავების ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული გავლენა იქონია ევქარისტული პურის საბეჭდავმა, სეფისკვერის ტვიფარ-ყალიბმა და სეფისკვერთან დაკავშირებულმა საეკლესიო წეს-ჩვეულებებმა.

**ლიტერატურა:**


1. *აბაკელია 1999 – აბაკელია ნ., ზოგიერთი ადრექრისტიანული ელემენტი ქართულ ტრადიციაში, ანალები, I, თბ., 1999.*
2. *აბაკელია 1991 – აბაკელია ნ., ქრისტიანულ წმინდანთა კულტები დასავლეთ საქართველოში, ანუ კიდევ ერთხელ „ჲან დეცეშ“-ს შესახებ, კრ., დიდგორი, თბ., 1991.*
3. *ბარდაველიძე 1939 – ბარდაველიძე ვ., სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალწლის ციკლი, ტფ., 1939.*
4. *ბარდაველიძე 1951 – ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, IV, „ჲან დეცეშ“, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, V, თბ., 1951.*
5. *ბარდაველიძე 1953 – ბარდაველიძე ვ., ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953.*
6. *ბს 2000 – ბიბლიის ლექსიკონი (მასალები), ტ. II, 2000.*
7. *დადეშქელიანი 1913 – დადეშქელიანი თ., შენიშვნა შესახებ სიტყვისა „დასტაგისა“, ძველი საქართველო, ტ. II, ტფ., 1913.*
8. *თოფურია, ქალდანი – თოფურია ვ., ქალდანი მ., სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.*

9. *კაპანაძე 2002 – ნ., სამკვეთლოს თავდაპირველი ფუნქციური დანიშნულებისა და მრევლის ასაკობრივი დიფერენციაციის თაობაზე, კრ. ხელოვნებათმცოდნეობა, №4, თბ., 2002.*
10. *ლეკიაშვილი 1963 – ლეკიაშვილი, ქართული ხალხური ღვინის წნეხები, მსე, XII-XIII, თბ., 1963.*
11. *ლორთქიფანიძე 1969 – ლორთქიფანიძე მ., ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I, თბ., 1969.*
12. *მარგიანი 1973 – მარგიანი ივ., ვინ იყვნენ „პაპები“ ანუ „ბაპები“? კრ. ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ., 1973.*
13. *ნიჟარაძე 1973 – ნიჟარაძე ბ., სვანეთის ზოგიერთი ჩვეულებანი და ცრუმორწმუნეობანი, კრ. ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ., 1973.*
14. *ორბელიანი 1993 - ორბელიანი სულხან საბა, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993.*
15. *როგავა 1990 – როგავა გ., სვან. კვანჭ//კვანჭილ სიტყვის წარმომავლობის საკითხი. ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1990.*
16. *სეკ 1994 – საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., საქართველოს საპატრიარქო, 1994.*
17. *სურგულაძე 1993 – სურგულაძე ი., ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1993.*
18. *ღამბაშიძე 1998 – ღამბაშიძე გ., ევქარისტული პურის (სეფისკვერის) ქართულწარწერიანი საბეჭდავი დაღესტნიდან, კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია, I, თბ., 1998.*
19. *ჩაართოლანი 1976 – ჩართოლანი შ., მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის, თბ., 1976.*
20. *ჭკუასელი 2014 – ჭკუასელი ე., ქართული რელიგიური წეს-ჩვეულებები და სარიტუალო ლექსიკა (სვანეთისა და სამეგრელოს ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით), – სადოქტორო დისერტაციად წარდგენილი ხელნაწერი.*
21. *ხავთასი 1998 – ხავთასი მ., სეფისკვერი-ევლოგიის საბეჭდავი რუსთავიდან, კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია, I, თბ., 1998.*
22. *ხახუტაიშვილი 1964 – ხახუტაიშვილი დ., უფლისციხე I, თბ., 1964.*
23. *ჯობაძე 1980 – ჯობაძე, ვ., სეფისკვერის ქართული ტვიფარი ანტიოქიიდან, მრავალთავი, VII, თბ., 1980.*
24. *ჯობაძე 2001 – ჯობაძე ვ., წმ. ბარლაამის მონასტერი კასიუსის მთაზე, მრავალთავი XIX, თბ., 2001.*
25. *Бардавелидзе 1957 - Бардавелидзе В. В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство Грузинских племен, Тб., 1957.*
26. *Бардавелидзе 1957 - Бардавелидзе В. В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство Грузинских племен, Тб., 1957*
27. *Djobadze 1979 - Djobadze W., Medieival Bread Stamp from Antioch and Georgia, Oriens Cristianus, Band 63, 1979, Wiesbaden.*
28. *Feig 1994 - Feig N. A Byzantine Bread Stamp from Tiberias; Liber Annuus Cstudium Biblicum Franciscanum, 44 (1994) 591-594.*
29. *Galavaris 1970 - Galavaris G., Bread and the Liturgy. London, 1970.*
30. *Кекелидзе 1912 - Кекелидзе К. С., Иерусалимский канонар, VIII в., Тиф., 1912.*
31. *Марр 1913 - Марр Н. Я., Из поездок в Сванию, Христианский Вопрос, т. II, вып. I, С. Пет., 1913.*

## ИЗ ИСТОРИИ РИТУАЛЬНЫХ ХЛЕБ

***Розетта Гуджеджиани***

В труде представлен функциональный анализ обрядно-ритуальных хлеб существующих в традиционном бытьё Сванетии. Описана форма, назначение и ритуальная нагрузка каждого из них.

Выявлены объективные исторические обстоятельства формирующие традиции приношения в жертву ритуальных хлеб и комплексная суть, генезис, идущие от церковных обрядов-обычаев.

Установлено, что в традиционом бытье Сванетии разновидности жертво-приношения были согласованы с годовым церковным календарьём и с торжественным днём разных праздников или-же с днём упоминания Святого. В месте жерстветнным животным, с «Лемзирами», «Зедаше» (святое вино) и со свечками, происходило также жертвование разновидности ритуальных хлеб.

Высказано предположение, что ритуальные хлеба существующие в традиционном бытьё Сванетии и живучие также в наше время, по назначению и значимости, имеются в поганизированных формах церковных просвиров, хлеба эвлогии и артоса.

Обширный материал представлен о штампование – печатание Сванских ритуальных хлеб. Рассмотрена сущность и функция печатающих форм для ритуальных хлеб. Высказано мнение, что на создание печатающего Сванских ритуальных хлеб особое влияние имел печатающий аппарат евкаристичного хлеба, штамповщик-форма просвиров и церковные обычаи-ритуалы связанные с просвиром.

# შინაარსი * СОДЕРЖАНИЕ * CONTENTS


1. აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილის მისასალმებელი სიტყვა ................ 5
2. მისასალმებელი სიტყვა კონფერენციაზე „მეცნიერება და რელიგია“
   *პროფესორი, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე* ................ 6
3. უწმიდესი პატრიარქი ილია II ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების შესახებ
   *პროფესორი, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე* ................ 8
4. **СВЯТЕЙШИЙ ПАТРИАРХ ИЛИЯ II О ГРАНИЦАХ ЦЕРКОВНОЙ ЮРИСДИКЦИИ**
   *Профессор, митрополит Анания Джапаридзе* ................ 15
5. **HIS HOLINESS PATRIARCH ILIA II ON THE BORDERS OF THE CHURCH JURISDICTION**
   *Professor Mitrpolitan Anania Japaridze* ................ 16
6. **ВЕРА И ЕСТЕСТВЕННОНАУЧНОЕ ЗНАНИЕ**
   *Протоиерей Владимир Воробьев*
   *Священник Александр Щелкачев* ................ 17
7. **КОНЦЕПЦИЯ «ДВУХ КНИГ» В ХРИСТИАНСКОЙ ТРАДИЦИИ**
   *Канд. геол.-мин. наук Н.С. Серебряков* ................ 29
8. **О РОЛИ НАУЧНОЙ ИНТЕЛЛИГЕНЦИИ В МЕЖРЕЛИГИОЗНОМ ДИАЛОГЕ**
   *Сакит Гусейнов* ................ 39
9. **BRAVE NEW WORLD**
   *Assuntina Morresi* ................ 41
10. **ДИВНЫЙ НОВЫЙ МИР**
    *Ассунтина Морреси* ................ 45
11. **“RELIGIOUS-SPIRITUAL VALUES IN POSTMODERN PHILOSOPHY: FROM PRISM OF CULTURAL DIVERSITY”**
    *PhD. Elsevar Samadov* ................ 46
12. **INCREASING COMPLEXITY IN LIFE EVOLUTION AND POSSIBLE EXPLANATIONS**
    *Fiorenzo Facchini* ................ 48
13. სიცოცხლის ევოლუციის მზარდი სირთულე და შესაძლო განმარტებები
    *ფიორენცო ფაკინი* ................ 48
14. РАСТУЩАЯ СЛОЖНОСТЬ ЭВОЛЮЦИИ ЖИЗНИ И ЕЕ ВОЗМОЖНЫЕ ОБЪЯСНЕНИЯ
    *Фиоренцо Факини* ................ 48
15. შესაქმის წიგნის პირველი ტექსტი
    *პადრე გაბრიელე ბრაგანტინო* ................ 49
16. ადამიანის ბუნების ძიებისათვის არჩილის „ბაასებაში კაცისა და სოფლისა“
    *დეკანოზი მიქაელ ჭაბაშვილი, მზია თამაზაშვილი, ლალი კიკვიძე* ................ 60

17. **IN SEARCH OF HUMAN NATURE IN THE "CONVERSATION OF A MAN WITH THE WORLD" BY ARCHIL**
*Archpriest Michael ChabaSvili, Mzia Tamazashvili, Lali Kikvidze* ........................................... 70

18. **რიჩარდ დოკინზის "ღმერთი - როგორც ილუზია" რაობისათვის**
*ანტონინა ჩხარტიშვილი, მარიამ და მარატ ციცქიშვილები,*
*ზურაბ და დავით ზურაბაშვილები* ........................................................................ 72

19. **ON THE ESSENCE OF "THE GOD – AS AN ILLUSION" BY RICHARD DOKINZ**
*Antonina Chkhartishvili, Mariam and Marat Tsitskishvilis,*
*Zurab and David Zurabashvilis* ........................................................................................ 73

20. **«ЭКОЛОГИЯ ДУХОВНОЙ СРЕДЫ ЧЕЛОВЕКА» – НАЛИЧИЕ ДУХОВНОСТИ ИЛИ ВЕРА ДЛЯ ЭКОЛОГИЧЕСКОЙ ОПТИМИЗАЦИИ ОКРУЖАЮЩЕЙ ПРИРОДНОЙ СРЕДЫ КАВКАЗА**
*Марат и Мариам Цицкишвили, А.Г.Чхартишвил* ................................................................ 74

21. **ქართველების აღმნიშვნელი ერთი სადაო ტერმინის ინტერპრეტაციისათვის**
*აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე* ........................................................................................ 82

22. **К ИНТЕРПРЕТАЦИИ ОДНОГО СПОРНОГО ТЕРМИНА ОБОЗНАЧАЮЩЕГО ГРУЗИН**
*Акад. Нана Хазарадзе* ............................................................................................................. 82

23. **სულიერი სამყაროს ეკოლოგიის საგნობრივი არსი – თანამედროვე საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების სინთეზი**
*დავით, მარიამ და მარატ ციცქიშვილები,*
*ანტონინა ჩხარტიშვილი, ზურაბ და დავით ზურაბაშვილები* ...................................... 83

24. **THE ESSENCE OF THE SUBJECT OF THE ECOLOGY OF THE SOUL**
*Antonina Chkhartishvili, Mariam and Marat Tsitskishvilis,*
*Zurab and David Zurabashvilis* ........................................................................................ 90

25. **მეცნიერების და რელიგიისა ურთიერთობის სახეცვლილება**
*ი. ლექვინაძე, თ. ადეიშვილი, მ. ციცქიშვილი, ხ. კიკალიშვილი* ............................ 91

26. **MODIFICATION OF INTERRELATION OF SCIENCE AND RELIGION**
*Izolda Leqvinidze, Teimuraz Adeishvili, Marat Tsitskishvili, Khatuna Kikalishvili* ..................... 98

27. **სამყაროს შექმნის ბიბლიური აღწერა და თანამედროვე მეცნიერული შეხედულებები**
*პროფესორი ნოდარ კეკელიძე*
............................................................................................................................ 99

28. **БИБЛЕЙСКОЕ ОПИСАНИЕ СОТВОРЕНИЯ ВСЕЛЁННОЙ И СОВРЕМЕННЫЕ НАУЧНЫЕ ПРЕДСТАВЛЕНИЯ**
*Проф. Нодар Кекелидзе* ......................................................................................................... 116

29. **ნეტარების სიმფონია და ნეტარების ცნების საზრისი ბიბლიის მიხედვით**
*პროფ. მზია სულაძე* .................................................................................................... 130

30. **СИМФОНИЯ БЛАЖЕНСТВА И ИСТИНА ЧУВСТВА БЛАЖЕНСТВА ПО БИБЛИИ**
*Проф. Мзия Суладзе* ........................................................................................................... 143

*31.* ზოგიერთი ქართული საეკლესიო ტერმინისა და სინტაგმის მართებული დაწერილობის შესახებ
*პროფ. გურამ ტყემალაძე* ........ *144*

*32.* საბანკო სისტემა და მევახშეობა: ინტერკონფესიონალური კანონიკური ანალიზი
*მღვდელი ალექსი ქშუტაშვილი* ........ *145*

*33.* **БАНКОВСКАЯ СИСТЕМА И РОСТОВЩИЧЕСТВО: ИНТЕРКОНФЕССИОНАЛЬНЫЙ КАНОНИЧЕСКИЙ АНАЛИЗ**
*Священник Алексий Кшуташвили* ........ *152*

*34.* **BANKING SYSTEM AND USURY: INTER CONFESSIONAL CANONICAL ANALYSIS**
*Priest Alex Kshutashvili* ........ *152*

*35.* რელიგია და მეცნიერება - გზა ჭეშმარიტებისა და ჰარმონიისაკენ
*პროფ. ნატო ქავთარაძე* ........ *153*

*36.* **FOR THE WORK – “THE RELIGION AND THE SCIENCE - THE WAY TO THE TRUTH AND THE HARMONY”**
*Prof. Nato Qavtaradze* ........ *162*

*37.* იესო ქრისტეს ღმერთობა სახარებებიდან სეკულარულ და ნეოპროტესტანტულ დისკურსის ფონზე
*ასოც. პროფ. დეკანოზი ლევან მათეშვილი* ........ *163*

*38.* **THE DIVINITY OF JESUS CHRIST IN GOSPELS VS. SECULAR AND NEO-PROTESTANT DISCOURSE**
*Associated professor, protoiereus Levan Mateshvili* ........ *181*

*39.* **БОЖЕСТВЕННОСТЬ ИИСУСА ХРИСТА НА ОСНОВЕ ЕВАНГЕЛИЙ НА ФОНЕ СЕКУЛЯРНОГО И НЕОПРОТЕСТАНТСКОГО ДИСКУРСА**
*Ассоц. проф., протоиерей Леван Матешвили* ........ *181*

*40.* სულიერების გამომხატველი სიტყვების ბედი თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში
*პროფ. მანანა ტაბიძე* ........ *182*

*41.* მეცნიერება და რელიგია გლობალიზაციის პირობებში
*პროფ. გელა ლობჯ(ჟ)ანიძე* ........ *188*

*42.* **СВЕДЕНИЯ РУКОПИСИ № 153 О КНИГЕ ЦАРЯ НИМРОДА**
*Натела Борисовна Попхадзе* ........ *191*

*43.* მოძრავი რეალობის მოდელი
*თ. ბაციკაძე* ........ *194*

*44.* **МОДЕЛЬ ДВИЖУЩЕЙСЯ РЕАЛЬНОСТИ**
*Т. Бацикадзе* ........ *198*

*45.* ქრისტიანული პედაგოგიკა და ქართული ანბანის სახელმძღვანელოები
*ასოც. პროფ. ნათელა მაღლაკელიძე* ........ *199*

*46.* **CHRISTIAN PEDAGOGICS AND THE MANUALS OF GEORGIAN ALPHABET**
*Ass.Prof. Natela Maghlakelidze* ........ *204*

*47.* ქვანტური მექანიკა და წმინდა სამების ფენომენი
*პროფ. რ. ბაბლიძე, პროფ. ნ. კეკელიძე, უფროსი მასწ. მ. ჩხაიძე* ........ *206*

*48.* **КВАНТОВАЯ МЕХАНИКА И ФЕНОМЕН СВЯТОЙ ТРОЙЦЫ**
*Проф. Р. Баблидзе, проф. Н. Кекелидзе, М. Чхаидзе* ............................................................ **213**

*49.* **სეკულარიზაცია და კულტურული წყვეტა, როგორც სამოქალაქო ომების პროვოცირების ფაქტორი მრავალკონფესიურ სახელმწიფოებში (მარონითული ეკლესიის მაგალითზე)**
*გიორგი არავიაშვილი* ............................................................ **218**

*50.* **СЕКУЛЯРИЗАЦИЯ И КУЛЬТУРНЫЙ РАЗРЫВ, КАК ФАКТОР ПРОВОЦИРОВАНИЯ ГРАЖДАНСКИХ ВОЙН В МНОГОКОНФЕССИАНАЛЬНЫХ ГОСУДАРСТВАХ (НА ПРИМЕРЕ МАРОНИТСКОЙ ЦЕРКВИ)**
*Георгий Аравиашвили* ............................................................ **225**

*51.* **SECULARIZATION AND CULTURAL GAP ARE THE CIVIL WARS PROVOCATION FACTOR IN MULTI CONFESSION COUNTRIES ESTABLISHED BY CHURCH (ON THE EXAMPLE OF MARONITE CHURCH)**
*George Araviashvili* ............................................................ **226**

*52.* **ქართული სამონასტრო წესები მოკლე მიმოხილვა**
*ხათუნა თოდაძე* ............................................................ **227**

*53.* **КРАТКИЙ ОБЗОР ГРУЗИНСКИХ МОНАСТЫРСКИХ ПОРЯДКОВ**
*Хатуна Тодадзе* ............................................................ **230**

*54.* **მეცნიერებისა და რწმენის სინთეზი და ეკლესიათა თანამშრომლობის პერსპექტივები**
*ნუგზარ ბარდაველი* ............................................................ **236**

*55.* **THE SYNTHESIS OF SCIENCE AND FAITH AND THE PROSPECTS OF CHURCH COOPERATION**
*Nugzar Bardaveli* ............................................................ **245**

*56.* **რელიგიისა და ბიზნესის ურთიერთმიმართებისათვის**
*პროფ. ბადრი ცხადაძე* ............................................................ **246**

*57.* **TO THE MUTUAL RELATION OF RELIGION AND BUSINESS**
*Doctor of Philology, Prof. Badri Tskhadadze* ............................................................ **248**

*58.* **წინარექრისტიანული ჰიერატების მხატვრული ორგანიზება გრიგოლ რობაქიძის მოდერნისტულ ტექსტებში**
*პროფ. ეკა ცხადაძე* ............................................................ **249**

*59.* **ВОПРОС ФОРМИРОВАНИЯ НАЦИОНАЛЬНОГО СОЗНАНИЯ В ГРУЗИНСКОМ МОДЕРНИЗМЕ**
*Проф. Эка Цхададзе* ............................................................ **251**

*60.* **FORMING NATIONAL CONSCIOUSNESS IN GEORGIAN MODERNISM**
*E. Tskhadadze* ............................................................ **251**

*61.* **პეტრე იბერის რელიგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა**
*რაულ გვეტაძე* ............................................................ **252**

*62.* **РЕЛИГИОЗНАЯ И НАУЧНАЯ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ ПЕТРА ИБЕРА**
*Раул Гветадзе* ............................................................ **253**

*63.* **მოღვაწე და მეცნიერი - გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი**
*პროფ. მერაბ ნაჭყებია* ............................................................ **254**

*64.* სამშენებლო მეცნიერების როლი
რელიგიის განვითარებაში
*ასოც. პროფ. ი. ქვარაია* ........................................ **256**

*65.* **РОЛЬ СТРОИТЕЛЬНОЙ НАУКИ В РАЗВИТИИ РЕЛИГИИ**
*Асоц. профессор И. Кварая* ........................................ **258**

*66.* მიღმური სამყაროსა და უახლესი მეცნიერების შესახებ
*შოთა შოშიაშვილი, ნოდარ კეკელიძე* ........................................ **260**

*67.* **ПОТУСТОРОННЫЙ МИР И СОВРЕМЕННАЯ НАУКА**
*Шота Шошиашвили, Нодар Кекелидзе* ........................................ **271**

*68.* სამყაროს პარადოქსულობა
*შოთა შოშიაშვილი* ........................................ **273**

*69.* **ПАРАДОКСАЛЬНОСТЬ ВСЕЛЕННОЙ**
*Шота Шошиашвили* ........................................ **282**

*70.* კოსმოსური სამყაროს შექმნის ახალმეცნიერულ და რელიგიურ
შეხედულებათა ურთიერთმიმართების შესახებ
*შოთა შოშიაშვილი* ........................................ **284**

*71.* **О ВЗАИМООТНОШЕНИЯХНОВОНАУЧНЫХ И РЕЛИГИОЗНЫХ**
**ВЗГЛЯДОВ СОЗДАНИЯ КОСМИЧЕСКОГО МИРА**
*Шота Шошиашвили* ........................................ **297**

*72.* მერაბ მამარდაშვილი, გზის ფსიქოლოგიური ტიპოლოგია
და სახარებისეული პარალელები
*დეკანოზი გიორგი წეროძე* ........................................ **302**

*73.* **МЕРАБ МАМАРДАШВИЛИ, ПСИХОЛОГИЧЕСКАЯ ТИПОЛОГИЯ**
**ПУТИ, И ЕВАНГЕЛЬСКИЕ ПРОБЛЕМЫ**
*Протоиерей Георгий Церодзе* ........................................ **302**

*74.* **MERAB MAMARDAHVILI, PSYCHOLOGICAL TYPE**
**OF A WAY AND EVANGELICAL PROBLEMS**
*Protoiereus George Tserodze* ........................................ **302**

*75.* „წმ. ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ საღვთისმეტყველო-ლიტერატურული
წყაროს ძიება და ანალიზი“
*მღვდელი ილია (ირაკლი) ჩიღლაძე* ........................................ **303**

*76.* **«ПОИСКИ И АНАЛИЗ БОГОСЛОВСКО-ЛИТЕРАТУРНОГО**
**ИСТОЧНИКА ПОЭМЫ И. ЧАВЧАВАДЗЕ «ОТШЕЛЬНИК»»**
*Священник Илья (Иракли) Чигладзе* ........................................ **309**

*77.* **“RESEARCH AND ANALYSIS OF THEOLOGICAL SOURCE**
**AND REFERENCES OF ILIA THE GREAT’S POEM “HERMIT””**
*Priest Ilia (Irakli) Chighladze* ........................................ **309**

*78.* რელიგია და კონფლიქტი
*ასის.-პროფ. დარეჯან ცუცქირიძე, ნინო პეტრიაშვილი* ........................................ **310**

*79.* **RELIGION AND CONFLICT**
*PhD Darejan Tsutskiridze, PhD student Nino Petriashvili* ........................................ **312**

*80.* ენების წარმოშობის ახალი, წყლის თეორია მითოლოგიური,
ბიბლიური და მეცნიერული შეხედულებების ჭრილში **313**

*პროფ. გელა ღვინეფაძე* ...............................................................................................................

81. **НОВАЯ, «ВОДНАЯ» ТЕОРИЯ ПРОИСХОЖДЕНИЯ ЯЗЫКОВ В СВЕТЕ МИФОЛОГИЧЕСКИХ, БИБЛЕЙСКИХ И НАУЧНЫХ ВЗГЛЯДОВ**
*Проф. Г. Гвинепадзе* ............................................................................................................ 321
82. **NEW, "WATER" THEORY OF THE ORIGIN OF LANGUAGES IN THE LIGHT OF THE MYTHOLOGICAL, BIBLICAL AND SCIENTIFIC VIEWS**
*Prof. G. Gvinepadze* ............................................................................................................ 322
83. **ზოგიერთი ბიბლიური პერსონაჟების სტრატეგიული ურთიერთქმედების ანალიზი თამაშთა თეორიის გამოყენებით**
*პროფ. გურამ ბელთაძე* ............................................................................................................ 323
84. **АНАЛИЗ СТРАТЕГИЧЕСКОГО ВЗАИМОДЕЙСТВИЯ НЕКОТОРЫХ БИБЛЕЙСКИХ ПЕРСОНАЖОВ С ПРИМЕНЕНИЕМ ТЕОРИИ ИГР**
*Гурам Белтадзе* ............................................................................................................ 330
85. **წმ. ნინო ქართული ბერ-მონაზვნობის სათავეებთან**
*შოთა მათითაშვილი* ............................................................................................................ 336
86. **ST. NINO AT THE ORIGINS OF GEORGIAN MONASTICISM**
*Shota Matitashvili*............................................................................................................ 345
87. **ზოროასტრიზმი - წარსული და თანამედროვეობა**
*ასოც. პროფესორი მაია ქუთათელაძე* ............................................................................................................ 346
88. **რწმენისა და ცოდნის ჰარმონიზაცია: კულტურული კონტექსტი**
*არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე)* ............................................................................................................ 348
89. **HARMONIZATION OF FAITH AND KNOWLEDGE: CULTURAL CONTEXT**
*Archimandrite Adam Akhaladze* ............................................................................................................ 349
90. **ГАРМОНИЗАЦИЯ ВЕРЫ И ЗНАНИЯ: КУЛЬТУРНЫЙ КОНТЕКСТ**
*Архимандрит Адам Ахаладзе* ............................................................................................................ 349
91. **XX საუკუნეში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების განმაპირობებელი ფაქტორების პარადიგმული გააზრება**
*დეკანოზი ზურაბ მჭედლიშვილი* ............................................................................................................ 350
92. **ПАРАДИГМИЧЕСКОЕ ОСМЫСЛЕНИЕ ФАТКОРОВ, ОПРЕДЕЛИВШИХ ПРИЗНАНИЕ АВТОКЕФАЛИИ ГРУЗИНСКОЙ ЦЕРКВИ В XX ВЕКЕ**
*Протоиерей Зураб Мчедлишвили* ............................................................................................................ 350
93. **სერბულ-ქართული საეკლესიო დიპლომატიის ისტორიიდან (ათონის ივერთა მონასტერი და სტეფანე დუშანი)**
*დოქტორანტი ეთერ ბოკელავაძე* ............................................................................................................ 351
94. **FROM THE HISTORY OF SERBIAN-GEORGIAN ECCLESIASTICAL DIPLOMATIC RELATIONS**
***(Stephen Dusan and the Iviron Monastery on Mount Athos)***
*PHD Student Eter Bokelavadze* ............................................................................................................ 352
95. **საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკის ასახვა უმაღლეს სასწავლებლებში**
*დოქტორანტი მიხეილ ქართველიშვილი* ............................................................................................................ 354
96. **REFLECTION OF SOVIET ANTIRELIGIOUS POLICY IN THE INSTITUTIONS OF HIGHER EDUCATION** 355

*PHD Student Mikheil kartvelishvili* ....................................................................................................

*97.* თეოლოგიისა და ბუნებისმეტყველების მეთოდოლოგიათა იზომორფიზმი (დამატებითობის პრინციპი)
*ჯანგირ ელიაშვილი* .................................................................................................................. ***356***

*98.* სარიტუალო პურების ისტორიიდან სვანეთში
*როზეტა გუჯეჯიანი* .................................................................................................................. ***374***

*99.* **ИЗ ИСТОРИИ РИТУАЛЬНЫХ ХЛЕБ**
*Розетта Гуджеджиани* .................................................................................................................. ***387***

| | |
|---|---|
| რედაქტორი | რ. ჩიქოვანი |
| დიზაინი | გ. ავსაჯანიშვილი |
| კორექტორი | ნ. ქავთარაძე |
| კომპიუტერული უზრუნველყოფა | ნ. ჭულუხაძე |

| | |
|---|---|
| Редактор | Р. Чиковани |
| Дизайн | Г. Авсаджанишвили |
| Корректор | Н. Кавтарадзе |
| Компьютерное обеспечение | Н. Чулухадзе |